ნოდარ ჯიბლაძე

დაკვირვებები:

პოსტ-ცივილიზაციური ქარგა

წიგნი მეორე

(ლ-ფ)

„წიგნი მეორე“ მთლიანი ნაწარმოების მეორე ნაწილს შეადგენს, რომელსაც მესამე ნაწილი მოჰყვება შემდგომ. მისი საერთო რაობის და მიმართების გახსნას წიგნის სათაური და თავების ანბანური გაშლა ემსახურება, საკუთრივ:

ერთ-ერთი მოტივი მოცემული სათაურის შერჩევისა იყო მიშელ მონტენის წიგნი „ცდები“ (XVI საუკუნე), რომელიც შუასაუკუნეების და ახალი დროების (აღორძინების ეპოქის) გასაყარზე შეიქმნა. ეს ის დრო იყო, როცა შუასაუკუნეობრივი სწავლულობის (და, საერთოდ, „სწავლულობის“) ხანა სრულდებოდა და დედამიწური ცივილიზაციის ქმნა იწყებოდა, მისი გამწევი ძალის, მეცნიერების ჩამოყალიბების და ცხოველყოფის საათის ჩართვით. სიმბოლურად ეს დროთა გადასვლა შეიძლება გამოიხატოს როგორც:

დაკვირვების (შუასაუკუნეობრივი სწავლულობის მთავარი ინსტრუმენტის) შენაცვლება ექსპერიმენტით (მეცნიერების ფუძე-ინსტრუმენტით)...

მონტენი სწორედ ამ მიჯნის აღწერას ცდილობდა თავის ნაღვაწში, ერთგვარ ინვენტარიზებას იმ დროის მდგომარეობის: იმ ჟამისთვის მოწეული ცოდნა-გამოცდილების შეჯამებით და დაგროვილი საკითხების გამოკვეთით, რომლებიც უფრო გამოწვლილვით გამოკვლევას თხოულობდა ახალი დროების მეთოდებითა და საშუალებებით.

რამდენადაც დღეს ცივილიზაციის შენების დროებიდან პოსტ-ცივილიზაციურ ხანაში გადავდივართ (თუ გადავედით) უკვე, მისი ყოვლისმომცველი შესაძლებლობებით და საშუალებებით, უფრო კომპლექსური სამოქმედო ინსტრუმენტების გამოყენება ხდება შესაძლებელი, ადრე მიღებულთა ნაცვლად. ერთი მათგანია „დაკვირვება“, რომელიც ისეთი კომპლექსური და მრავალსახოვანი გახდა ცივილიზაციის აღმასვლასთან ერთად (რაც ასტროფიზიკურ კვლევებში იკვეთება მეტადრე კარგად), რომ „ექსპერიმენტსაც“ ითავსებს თავის თავში დღეს. ამ თვალსაზრისით, ერთგვარი შემობრუნება ხდება აქ: ექსპერიმენტებიდან, უკან, დაკვირვებებში.

მოცემულ წიგნში გაგრძელებულია ამ ახალი, პოსტცივილიზაციური რეალობის წარმოდგენა, მრავალსახოვანი და მრავალგანზომილებიანი დაკვირვებების საშუალებით გამორჩეული, გამოკვეთილი და ნათელყოფილი. ქართული ანბანი შესანიშნავად ესიტყვება და ეხმიანება მათ, მასთან ნათელყოფს, თუ რა არის „პოსტცივილიზაციური დაკვირვების“ ანი და ბანი. მთლიანი წიგნი 33 თავს მოიცავს; მისი „წიგნი მეორე“ თერთმეტ თავს შეიცავს, შესაბამისად, ლ-დან ფ-მდე.

ეს არ არის დაკვირვებების კრებული, პირიქით, ის ერთიან, მთლიან სხეულს წარმოადგენს თავისთავად, რომელშიც ყველა ნაკვეთს თავისი ადგილი და მიმართება აქვს და გადაძახება, კავშირი დანარჩენ ნაკვეთებთან, მაგრამ არა პირდაპირი, უფრო ქსელური, რაც ერთიან ქსოვილად კრავს მთელ მასალას, მთლიან მოზაიკად აქცევს მას. მასალის ამგვარი აწყობა და გაშლა-განფენა სურდასის „პოეზიის ოკეანით“ (XVI საუკუნე) არის ნაკარნახევი.

რედაქტორი: პაატა პაპავა

დამკაბადონებელი: ნუგზარ არჩემაშვილი

ISBN 978-9941-8-5161-2 (PDF)

© ნ.ჯიბლაძე. 2023

ნოდარ ჯიბლაძე

დაკვირვებები:
პოსტ-ცივილიზაციური ქარგა

წიგნი მეორე
(ლ – ფ)



სარჩევი

დაკვირვება **ლ** 3

დაკვირვება **მ** 36

დაკვირვება **ნ** 49

დაკვირვება **ო** 67

დაკვირვება **პ** 80

დაკვირვება **ჟ** 92

დაკვირვება **რ** 103

დაკვირვება **ს** 115

დაკვირვება **ტ** 132

დაკვირვება **უ** 169

დაკვირვება **ფ** 181

ბიბლოსი, მსოფლიოს ერთერთი უძველესი ქალაქი, რომლის ძირები ნეოლითამდე ჩადის და რომელიც უწყვეტად მოდის მეთევზეთა პრეისტორიული სოფელი-დასახლებიდან დღევანდელ დღემდე.. ამ დასახლების ქალაქურ ფორმებში გადასვლა, მისი სრულ ქალაქად ჩამოყალიბება და ხმელთაშუაზღვის ერთ-ერთ საჩინო ქალაქად გადაქცევა რვაათასწლიან გაუწყვეტავ ისტორიულ პროცესს ითვლის!.. აქ მრავლად შეხვდები სხვადასხვა ხანის და ჟამის, სხვადასხვა ხალხის და კულტურის, სხვადასხვა ცივილიზაციის ნაკვალევს, მათი ნაღვაწის და ნამოქმედარის ნანგრევ-ნარჩენებს, მათ ანაბეჭდებს, მეტადრე მისი წიაღის სიღრმეებს თუ ჩაუყევი, შიგ ჩაიხედე, დროში მოგზაურობას თუ დაეშურე და ადამიანეთის ცხოველყოფის აქ შემონახულ ნიშანსვეტებს გაუსწორე თვალი: თუ მზად ხარ მისთვის და მოწადინე...

ეს ლიბანია, პატარა ქვეყანა, რომელშიც ხდება ეს ყველაფერი; მისი ფართობი სულ ათნახევარათას კვადრატულ კილომეტრს თუ შეადგენს, ღათუ ცივილიზაციის პირველი ნიშნები შვიდიათასი წლით უკან თარიღდება აქ.. მისი ერთი წილია ბიბლოსიც, პირველი დასახლება ამ რეგიონში და მთელ სიგრძეზე კიდევ ხმელთაშუა ზღვა მიჰყვება მას, რაც თავის წილ იდუმალებასა სძენს ამ დროით ისედაც დაბინდულ მთაგორიან მხარეს.. ლიბანი ნაწილი იყო ბევრი ერთმანეთს მიყოლილი და ერთურთის შემცვლელი იმპერიისა ანტიკურ ხანაში და მის შემდეგაც ვინ არ გადადიოდა მის სამანებს და არა ფლობდა მის სამკვიდროებს: მათი ნიშან-ანაბეჭდებით და ნაკვალევით მოფენილია მთელი ქვეყანა, მომსწრე და მონაწილე ყველა იმ ამბების და გარდახდომების, იმ ქარაშოტების, ხმელთაშუა ზღვის არეში და მიგარდმოში რომ ხდებოდა და ბრუალებდა, ენაცვლებოდა ერთმანეთს შუმერული ცივილიზაციის აღმოვლენიდან დაწყებული!.. მასაც გრძელი პრეისტორია აქვს, უშუალოდ, ამ ქვეყანას, და გაუწყვეტავი ისტორიული პროცესი, მოსული დღემდე... მისი ქვაკუთხედი ფინიკიელები იყვნენ, რომლებმაც ამ მიწაზე აიდგეს ფეხი (იგივ ბიბლოსში) და აქვე ჩამოყალიბდა და განვითარდა მათი ზღვისპირა კულტურა-ცივილიზაცია (ძველი წელთაღრიცხვის 3200-539 წლებში), რომელმაც 3000 წელზე მეტ ხანს იარა და იარსება ხმელთაშუა ზღვის სიგრძე-სიგანეში და გაიტანა თავი!.. ლიბანი ფინიკიელების ფუძეა, მათი სამშობლო და სამკვიდრო, სადაც მათ დაიწყეს ქალაქი-სახელმწიფოების სისტემის შექმნა და გან-

ვითარება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ, საზღვაო ვაჭრობის ქსელის ქსოვა და დართვა და მისი ქმედით სხეულად ჩამოყალიბება, მისი ცხოველყოფა საუკუნეებში და მასთანვე არის დაკავშირებული ფინიკიური ანბანის შექმნა-გავრცელება, ამ პატარა ქვეყანასთან, რამაც დასაბამი მისცა თანამედროვე ანბანების განვითარებას მსოფლიოში! – პირველი ფინიკიური წარწერა იმავ ბიბლოსში იყო აღმოჩენილი: ის ძველი წელთაღრიცხვის 1050 წლით თარიღდება...

– თავისებური განცდები გეუფლება, პალიკო, ესეთ ქვეყანას როცა შეხვდები და მიეგები, სად ყოველ მხარეს გარდასული დროებების რაიმე ნაწყვეტი გხვდება, იკვეთება, ძეგლად თუ ნანგრევად შემორჩენილი.. თითქოს სხვადასხვა დრო შეუკრებია წუთისოფელს მცირე ნაკვეთზე, ამ ერთიბეწო მიწაზე, ერთად რომ შეხვდე მის განაკვეთებს და გაიცხადო აქ გარდავლილი ამბები და გარდახდომები, ჟამთა ცვალობა მიწყივ მდინარე: როდის ვინ იყო? რა იმოქმედა? და რა დატოვა მის სახსენებლად?..

– აქ ათასწლეულები იმზირება წარსულის, პალიკო, ამ პატარა ქვეყნის მიწაზე, ზოგი ზედაპირზე, ზოგიც დროის მიწაყრილებით დაფარული, უცნაურ თანაფარდობას რომ წარმოადგენენ სივრცის და დროის, მათი ურთიერთმიმართების და თანაყოფნის: სულ მცირე ფართი, მიწის განაკვეთი, და დრო ჩასული ნეოლითამდე!. სად ვერ გაარჩევ, ეს საერთო წესია დრო-სივრცის ქცევის თუ კერძო შემთხვევა, ცალკე განაწესი მათი ერთურთთან შეწყობა-შეთავსების, ხმელთშუა ზღვის განმასხვავებელი თვისება, ნიშანი...

– ამ პატარა ქვეყანაში ექვს მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, პალიკო, დღესაც (ერთი მილიონი უცხოელი მუშაკის ჩათვლით); რომ ვერ მიხვდები, სად და როგორ თავსდება ამდენი ხალხი!. ერთია მხოლოდ, მისი მწვანე მთები (იმავე ბიბლოსის მხარეს) ავსებულია მრავალსართულიანი სახლებით, სოკოებივით რომ ამოზრდილან და ამოზიდულან ხეებს შორის: აქ ძნელად თუ მოძებნი თავისუფალ ადგილს გასაშლელად კარვის..

– ლიბანი საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა, ამავდროს, პალიკო, დიდი და ძლიერი დიასპორით (რვა მილიონს აჭარბებს დღეს მნიშვნელოვნად), რომელმაც ლიბანური „კომერციული ქსელი“ შექმნა და გაშალა მთელ მსოფლიოში – თითქოს ძველი ფინიკიელების საქმეს აგრძელებენო დღესაც დაჟინებით!.. აქ ბევრი მანქანაა ძალიან, პატარა ტერიტორიაზე, ჩქარა ვერავინ მოძრაობს, ავტობანებზეც, მათი გრძელი მწკრივებია ყველგან, პალიკო; რომლებიც არ ჩერდებიან, არ ყოვნდებიან, ნელა მოძრაობენ, მაგრამ მაინც სულ გადაადგილდებიან და დანიშნულების ადგილზეც დანიშნულ დროს მიდიან, მაინც!. თან არსად ისმის საყვირების გრძელი ჭყვიტინი, ყურს რომ წაიღებს ხოლმე ჩვენთან, თითქოს რაღაც საერთო შეთანხმებაა დადებული აქაურ ხალხში, ერთმანეთს შორის, ფუჭად რომ არ დაიხარჯოს თავი და ნერვები ადამიანის...

– ეს უფრო ხელშესახები და გარჩევადი ბეირუთშია, პალიკო, გზაჯვარედინებზე განსაკუთრებით, სადაც ასევე უწყვეტად მოძრაობენ მანქანები, ყველა მხრიდან და ყველა მხარეს, ყველა თავ-თავისი სვლაგეზით და საქმეებით: ჯერ

მთავარ გზაზე მოძრავი მანქანა გადაივლის გზაჯვარედინს, მას ქვემოდან მომავალი მანქანა მიჰყვება კვალად, მერე ზემოდან ჩამომავალი მანქანა შეუერთდება მათ რიგს და ბოლოს ისევ მთავარი გზის მანქანა გაივლის გზაჯვარედინს და სხვებიც თავის წილ მიჰყვებიან რიგობით მას: არავინ ფერხდება, არ ცდილობს ჩაუხტეს მეორეს წინ, სულყველა მოძრაობს, ნელა, მაგრამ შეუჩერებლად, არა საყვირი ირგვლივ – ჯერი ჯერს მისდევს, მას კიდევ შემდეგი, დღეც გათენებიდან დაღამებამდე გადადის ცარგვალს...

– ეთნიკური იდენტურობა როგორღაც მეორადი საკითხია ამ ქვეყანაში, პალიკო, ის უფრო თემობრიობით შეინაცვლება, რომელიც ადამიანის კულტურული თვით-აღქმით და რელიგიური კუთვნილებით განისაზღვრება ჩვეულებრივ.. ... გენეტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ლიბანური თემები ერთმანეთისგან, ღათუ საკვანძო თავისებურებები ყოველ მათგანს გამოკვეთილი აქვს და გააჩნია.. მათი საერთო კულტურული ფუძე, წინაპრები ფინიკიელებზე (ქანაანი), არამეელებზე (ანტიკური სირია) და ბერძნებზე (ბიზანტია) გადის, პალიკო, თუმც ექვსი-შვიდი ათასი წლის მანძილზე ბევრი სხვა ტომის ხალხიც იყო მოსული ლიბანში და შერეული აქაურ ხალხს – თუნდაც სპარსელების და არაბების გახსენება შეიძლება ამ მხრივ...

– სამი მკვიდრი თემი გამოირჩევა ლიბანში, პალიკო, დღეს: ქრისტიანების (40%-მდე), მუსულმანების (მოსახლეობის ნახევარზე მეტი) და დრუზების (5%-ზე მეტი), რომელთაც „სხვები“ ემატება კიდევ (სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მხარიდან ქვეყანაში ჩამოსახლებული ხალხი) – 1.5%-ის ფარგლებში, ერთად... მათი განსაკუთრებულობა და ერთნაირობა, მკვიდრი ლიბანელების, იმაში მდგომარეობს, პალიკო, რომ ქრისტიანებიც, მუსულმანებიც და დრუზებიც, განურჩევლად, თავს ფინიკიელებად რაცხავენ და ამას ზედმიწევნით უსვამენ ხაზს!. ვინძლო იმიტომ, რომ სწორედ ფინიკიელების დროს (მათი ზეობის ჟამს) იყო აღზევებული და თავისი ცხოვრების განმგებელი ეს ქვეყანა; უმეტეს დანარჩენ დროს, იგი ან ემორჩილებოდა სხვებს ან დაპყრობილი იყო მათგან და არც დღევანდელ დღეს არის მისი ცხოვრება სულ დალხენილი... არანაკლები მნიშვნელობისა უნდა იყოს ისიც, რომ ფინიკიელები ერთ-ერთი ყველაზე საჩინო სემიტური ხალხია წარსული დროების და მათი სამყაროც გამორჩეული იყო თავისი მიღწევებით და ქმედუნარიანობით, „სხვანაირობით“ და მათ გამგრძელებლებლად და მემკვიდრეებად თავის რაცხვა და შეგრძნება ლიბანელთათვის საშური ჩანს.....

ფინიკიელების გამოჩენა-გაცნობილება ხმელთაშუა ზღვის რეგიონში უმეტესი ფუძე-კულტურების (შუმერულ-აქადური, ძველი ეგვიპტის, ბაბილონის...) მოშლას და დაშთობას მოჰყვა გვიანი ბრინჯაოს ხანაში (ძველი წელთაღრიცხვის 1500-1200 წლები).. არსებითად, მათ ბრინჯაოს ხანის დასრულების ჟამს გაჩენილი ძალის ვაკუუმი შეავსეს ამ დროს, ფინიკიელებმა, როგორღაც თავისთავად, დიდი ძალისხმევის გარეშე, რეცა ასპარეზზე გამოვიდნენ უბრალოდ, როგორც გამოცდილი მეზღვაურები და ზღვაოსანი ვაჭრები და საზღვაო ძალად გადაიქცნენ თანდათან „უბატონოდ“ დარჩენილი ხმელთაშუა ზღვის არემარეთში!. ამ სტატუსს ისინი საუკუნეებს ინარჩუნებდნენ შემდგომ...

ფინიკია საზღვაო ცივილიზაცია იყო, წარმოქმნილი და განვითარებული თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზე და შეკრებილი დამოუკიდებელი ქალაქი-სახემწიფოების ძეწკვით, აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს რომ მიჰყვებოდა ბიბლოსის ორივე მხარეს, სანაპირო ზოლზე ამ ქალაქების დაფუძნების და გაშლის კვალდაკვალ – ტირი, სიდონი, ბიბლოსი (გებალი), არვადი... ფინიკიური ქალაქი-სახელმწიფოების ფორმირების ეს პროცესი ძველი წელთაღრიცხვის 3200 წლებში დაიწყო (ბიბლოსით) და ძველი წელთაღრიცხვის 2750 წლებისთვის დასრულდა უკვე მკვიდრად ჩამოყალიბებული ფინიკიური ქალაქი-სახელმწიფოების მწკრივით ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლზე.. ისე უცნაურად გამოვიდა, რომ იმ დროისთვის, როცა ძველი კულტურა-ცივილიზაციების დაძაბუნება, მათი სასიცოცხლო ძალების დაშრეტა გახდა საჩინო, ფინიკიური ცივილიზაცია სრულად აღჭურვილი და მომზადებული აღმოჩნდა ამ ვითარებისთვის, მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის (თითქოს ელოდაო ამას) და დაყოვნების გარეშე გამოვიდა დიდ ასპარეზზე, საჯილდაო ველზე: რეცა თავისთავად, ბუნებრივად, უმტკივნეულოდ, წინააღმდეგობის და დაბრკოლების შეხვედრის გარეშე შეავსო შუა აღმოსავლეთის ძველ სამყაროში გაჩენილი ეს სიღუე, სიცარიელე, შეავსო იგი თავისი ცხოვრების წყობით და შინაარსით, მიმართებებით და ცხოველყოფით – თავისი დაულეველი ძალისხმევით!..

ამ დროებაში ფინიკიელები უწინარესად გამოირჩეოდნენ, როგორც გაწაფული ვაჭრები, საუკეთესო ზღვაოსნები და უშიშარი მოგზაურ-მკვლევარები, რომლებმაც ადრიანად განავითარეს მაღალი დონის გემთმშენებლობა, ააწყვეს გემების მასობრივი წარმოების სისტემა (მეტადრე ბიბლოსში), მოკლე დროში რომ აგებდა და უშვებდა ზღვაზე როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო ხომალდებს, რომლებიც ძირითადად ნიჩბების მოსმით გადაადგილდებოდნენ, ადამიანის ძალის გამოყენებით, საკმაოდ სწრაფად, რაც მათ საშუალებას აძლევდა თავისუფლად ეცურათ ხმელთაშუა ზღვის მღელვარე წყლებში და შუამდინარეთის და ბრიტანეთის ნავსადგურებშიც მისულიყვნენ თავისი ნაწარმით და საქონლით... ფინიკიელები საუკეთესო ხელოსანი-მეწარმეები იყვნენ და მათი ნახელავი (მინის ნაკეთობები, ლითონის ნივთები, სამკაულები, სამოსი, ფუფუნების საგნები...) მეტად ფასობდა მთელ იმდროინდელ შუა აღმოსავლეთში: მათ შექმნეს ეგვიპტური ფაიანსის წარმოების მოდელი; შემოიტანეს ბრინჯაოსა და ვერცხლზე მუშაობის ნორმები, თავისი სტანდარტი; განავითარეს მათი ნაკეთობების მასობრივი წარმოების ფორმები... ფინიკიური მეწამული საღებავი აუცილებელი ატრიბუტი გახდა შუამდინარეთის და ეგვიპტის დიდებულების სამოსსა და კაზმულობაში და ასევე რომის იმპერიაშიც (შემდგომ); იმდენად გამორჩეული იყო სიდონის ოსტატების ხელოვანობა მინის წარმოებაში (მინის ბერვა მათ შემოიტანეს პირველებმა), რომ სიდონელებს მინის კეთების შემქმნელებადაც მიიჩნევდნენ ერთხანს, მიუხედავად იმისა, რომ მინის საგნები უკვე ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულში გვხვდება მესოპოტამიასა და ეგვიპტეში!..

ფინიკიელების სანაპირო ქალაქები იდეალურად იყო მოწყობილი ვაჭრობისათვის ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ლევანტასა (შუა აღმოსავლეთის რეგი-

ონი, რომელიც მოიცავდა ისტორიული ლიბანის, იორდანიის, პალესტინის, ისრაელის და სირიის არეებს) და დანარჩენ ანტიკურ მსოფლიოს შორის: ისინი ქმნიდნენ ნავსდგურებს (შერჩეულ ადგილებში), საწყობებს, ბაზრებს და დასახლებებს მათ ირგვლივ, რომლებიც ფუნქციონალურ ცენტრებად იქცეოდნენ ამ მხარეებში და ძალმოსილ ქალაქებად ყალიბდებოდნენ თანდათანბით, მათი ცხოველყოფის გაშლა-განვითარებასთან ერთად... ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნისთვის ფინიკიელებმა დასავლეთი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროც მოიცვეს ამგვარი ქალაქებით (კართაგენით დაწყებული), აითვისეს რა ჩრდილო აფრიკის სანაპირო ზოლი, სამხრეთი სარდინია, დასავლეთი სიცილია, მალტა, ბალეარის კუნძულები (ესპანეთის არქიპელაგი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაში) და სამხრეთი იბერია (იბერიის ნახევარკუნძულზე)!.. ამ ძალისხმევით მათ შექმნეს და გაშალეს მეტად ვრცელი და ქმედი საზღვაო ვაჭრობის ქსელი, ერთგვარი „საერთო ბაზარი“ ხმელთაშუა ზღვის, რომელიც საუკუნეებში ყალიბდებოდა და რომლის ფუნქციონირებაც ათასწლეულს გრძელდებოდა მათი ძალისხმევით... ამან გაბატონებულ სავაჭრო-კომერციულ ძალად აქცია ფინიკიელები ამ არეალში, ამ პერიოდში..

ერთი კვანძი, გასაღები ამ ქმედითობის ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის მიმდინარე გაუნელებელი კონკურენცია იყო, ერთურთთან შეჯიბრი (განსაკუთრებით მწვავე სიდონსა და ტირს შორის, ორ გამორჩეულ ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოს შორის, საუკუნეების მანძილზე), რომელიც სულ უფრო მეტად ახელოვნებდა ფინიკიელ ოსტატ-ხელოსნებს და შეუდარებელს ხდიდა მათ ნაღვაწ-ნახელავს, სულ უფრო გამართულს ხდიდა მათი წარმოების ფორმებს და სისტემებს, რომლებიც მისაბაძი ხდებოდა სხვა ხალხებისთვის და კულტურებისთვის... ამასთან ერთად, ფინიკიელების არაჩვეულებრივი ზღვაოსნობა და საიმედო ხომალდები მათ საშუალებას აძლევდა მთელ ანტიკურ მსოფლიოში გაევრცელებინათ საკუთარი ნაწარმი და „ნოუ-ჰაუ“ და სულ უფრო მოთხოვნადი გაეხადათ ეს ნაწარმიც და მოგებული ცოდნა-გამოცდილებაც ყველა მომხდურისთვის, სხვა ხალხებისთვის!. ამის შედეგად, ფინიკიას ხშირად გვერდს უვლიდა სამხედრო თავდასხმები და შემოსევები, შეტაკებები და კონფლიქტები, მათი თანმყოლი უბედურებები, რასაც ასე მრავლად განიცდიდნენ ახლო აღმოსავლეთის სხვა რეგიონები და ხალხები: უმეტესწილად, დიდი სამხედრო ძალის სუბიექტები ამჯობინებდნენ არ მოეშთოთ ფინიკიელები და საშუალება მიეცათ მათთვის გაეგრძელებინათ ჩვეული საქმიანობა: მეწარმეობა, ვაჭრობა და ზღვაოსნობა!..

– ეს უცნაური ცივილიზაცია იყო, პალიკო, მეტადრე იმ დროისათვის, და მან ასევე უცნაური იმპერია შექმნა ხმელთაშუა ზღვაზე, შემდგომში.. ჩვეულებრივ (სხვებისგან განსხვავებით), ფინიკიელები არ იპყრობდნენ ტერიტორიებს და არ იმორჩილებდნენ ადგილობრივ ხალხს, ისინი თავის დასახლებას ქმნიდნენ შერჩეულ ადგილზე, უწინარესად, თავის კოლონიას, ქალაქს აშენებდნენ იქ, მისთვის ჩვეულ ინფრასტრუქტურას (საზღვაო, სამრეწველო, სახელოსნო, სავაჭრო, კომერციულ...) ქმნიდნენ და მართავდნენ ადგილზე და ამუშავებდებდნენ მას დღენიადაგ!. მათ თავისი წესწყობილება მოჰქონდათ, პალიკო, თან და მას ამკვიდრებდნენ თავის ქალაქ-სახელმწიფოში, საჩინოს ხდიდნენ მის ქმედითობას თავი-

სიანისთვის თუ სხისთვის...

– ძალიან მალე მრავალნაირი და მრავალგვარი საქმიანობის ცენტრი ხდებოდა ამგვარი ქალაქი, იმ რეგიონში და მის შემოგარენში, სრულად აცოცხლებდა იქაურობას და ნირს უცვლიდა ირგვლივ გარემოს: გავლენის ცენტრი ხდებოდა, პალიკო, ესეთი ქალაქი თანდათანობით, თავისთავადაც, ძალდაუტანებლად, დიდი ბრძოლების გარეშე, რომელშიც ბევრი საკითხის გადაწყვეტა და მოგვარება შეიძლებოდა მავანისათვის, ხალხთან შეხვედრა და საქმიანი ურთიერთობების დამყარება მათთან, ქვეყნის ამბების გაგება და ყოფითი თუ სასიცოცხლო, თუ ტექნიკური სიახლეების გაცნობა-გათავისება ადგილზე: თვალის მიდევნება მიმდინარე ცვლილებებისთვის!..

– წარმოიდგინე, პალიკო: ამგვარი ქალაქი-სახელმწიფოების ძეწკვი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, აქეთ და იქით, ხან ერთი რომ არის უფრო წინ წასული და ხან მეორე უსწრებს განვითარებაში, სულ რომ ჭიდილია წინამძღოლობაზე და პირველობაზე, გაუთავებელი შეჯიბრი ერთმანეთთან, თან განაწილება ფუნქციონალური არეების და მით შევსება ერთმანეთის ძალისხმევის, ერთურთს მიმატება და გაუნელებელი ვაჭრობა ყველა მხარეს და მიმართულებით, გაუჩერებელი ზღვაოსნობა ხმელთაშუა ზღვაში!!. – „საერთო ბაზრის“ ფორმირება ამ სამანებში და მისი ფუნქციონირების წარმართვა საუკუნეებში!. ...

– ესე ხდებოდნენ, პალიკო, ფინიკიელები მეკავშირეები ხმელთაშუა ზღვის ხალხებს შორის, შუამავლები მათი ურთიერთობების და ერთურთის ცნობის, ამბის მიმტანები ერთმანეთის ცხოვრებაზე და ყოფაზე, საზრისებზე და მიმართებებზე, ღირებულებებსა და წეს-ჩვეულებებზე, განვითარებაზე და ჩამორჩენაზე, წინმყოფელობაზე: ერთგვარი შუა რგოლი მათ შორის მოქმედი, უშუალო შემხებლობა რომ ჰქონდა ყოველ მათგანთან, საქმიანი ურთიერთობები თითოეულთან, რომელიც არ იფარგლებოდა მხოლოდ საქონლითა და ნაღვაწით ვაჭრობით, გაცვლა-გამოცვლით და მიმოხედვით, არამედ პირველწყაროებიდან აძლევდა ფინიკიელებს ცნობებს ამ ხალხებზე, მათ ყოფაზე და ზნე-ჩვევებზე, სოფლხედვაზე და რწმენა-შეხედულებებზე, იდეებსა და წამოდგენებზე, კულტურულ ბადეზე და მიმართებებზე!.. ისინი აგროვებდნენ და აახლებდნენ მთელ ამ მასალას, პალიკო, მოგებულ ცოდნას და მონაცემებს, ინფორმაციას, მიწყივ, სულ მისხალ-მისხალ (დღევანდელი „სერვერებივით“) და დაუნანებლად მიაწვდიდნენ მას ყველა მხარეს, კიდევ და კიდევ, კვლავაც და კვლავაც, დაუღალავად, დაუნანებლად: თავისებურ „განმანათლებლობას“ ეწეოდნენ იმ ძველ ხანაში!. კულტურის „ანტიკურ შუამავლებსაც“ უწოდებდნენ ამის გამო ფინიკიელებს, ამ უცნაურ ხალხს, მათი ამგვარი ძალიხმევისთვის: კულტურის გადატანისთვის ხალხიდან ხალხში, მხარიდან მხარეში, არიდან არეში – მისი გავრცელებისთვის მთელი ხმელთაშუა ზღვის არეალში.. ...

– ფინიკიელები ძალიან კარგი მეომრებიც იყვენენ, პალიკო, შეუპოვრები (საკმარისია გახსენება, რომ ალექსნდრე მაკედონელს შვიდი თვე დაჭირდა ტირის ასაღებად!.), მაგრამ ისინი ნაკლებ იყენებდნენ და ეყრდნობოდნენ ძალას თავის დასაფუძნებლად და დასამკვიდრებლად, უფრო თავის მრავალმხრივ ფუნქციო-

ნალობას, მოწინავეობას და ხელოვანობას მიჰყვებოდნენ მიმდინარე საქმეებში – მაღალ ორგანიზებულობას და ქმედითობას მათი ცივილიზაციის!.. უბრალოდ, ძალიან კომფორტული გამოდიოდა, პალიკო, ფინიკიელებთან ურთიერთქმედება, საქმიანი ურთიერთობების დამყარება მათთან, მოხერხებული და სარგებლიანი სხვებისთვის...

– ეს განვითარებული ცივილიზაცია იყო, კარგად აწყობილი და გამართული, დალაგებული.. მხოლოდ ზღვასთან მიმართებაში ჩანდა, პალიკო, მათი ძალმოსილება და ბრძოლის უნარი: თითქმის ათას წელს აკონტროლებდნენ ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვას და ნაოსნობას მის წყლებში: უბადლო მეზღვაურობით და შეუდარებელი გემ-ხომალდებით, ქალაქი-სახელმწიფოების ჯაჭვით, ებგურებივით რომ იყვნენ შემოჯარული მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ირგვლივ და ერთიან სისტემას ქმნიდნენ სამხედრო ხომალდებთან ერთად, რომელიც საუკუნეების მანძილზე აკონტროლებდა და უზრუნველყოფდა „მოწესრიგებულ“ ზღვაოსნობას მის მღელვარე წყლებში! – ვიდრე რომი არ გადაეღობა ფინიკიელების ამ ზეობას ხმელთაშუა ზღვაზე და კართაგენს არ დაუპირისპირდა ხანგრძლივ და მომწყვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში...

პირველი ფინიკიელები უკვე ძველი წეთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნეში დასახლდნენ ხმეთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე; ისინი ტირთან და სიდონთან დაკავშირებული ფინიკიური სავაჭრო-კომერციული ქსელის ნაწილს შეადგენდნენ ამ დროს. დასავლეთელი ფინიკიელები მრავალ თვითმართვად ქალაქ-სახელმწიფოდ იყვნენ ორგანიზებული (აღმოსავლელი ფინიკიელების მსგავსად): ამ ჩარჩოს ფარგლებში შეიქმნა კართაგენიც (ძველი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნეში), როგორც ტირის კოლონია, თავიდან.. ძველი წეთაღრიცხვის 650 წელს ის დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფო გახდა და მალევე გადაიქცა იმ ძალად, რომელმაც პოლიტიკური ჰეგემონია მოიპოვა სხვა ფინიკიურ დასახლებებზე დასავლეთი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე – მათ აღიარეს, უმეტესწილად, კართაგენის წინამძღოლობა და პირველობა მათი სავაჭრო-კომერციული საქმიანობის მეურვეობაში და წარმართვაში...

ესე გამოვიდა, როგორღაც, თითქმის იმგვარადვე, როგორც მოხდა ფინიკიელების საერთო შემოსვლა ხმელთაშუა ზღვის არეალში (გვიანი ბრინჯაოს ხანაში), წინასწარ იყო თითქოს ეს განჭვრეტილი თუ დასაზღვრული და თადარიგი დაჭერილი: მაშინ, როდესაც ფინიკიელების უშუალო სამშობლო (დღევანდელი ლიბანი) ერთიმეორეზე მიყოლებულ შემოსევებს განიცდიდა გარედან (ასირიელების, სპარსელების, ელინების...) და ვასალური ცხოვრების ყაიდაზე გადასვლა უწევდა თანდათანობით, მისი დასახლება ჩრდილო აფრიკაში, კართაგენი (დღევანდელი ტუნისი), აღზევების ხანაში შედიოდა და მთავარი გამგრძელებელი ხდებოდა ფინიკიური ცივილიზაციის და კულტურის, მისი საუკუნეებში გამოყვანილი წესწყობილების, რამეთუ ის თავის გარშემო იკრებდა დასავლეთი ხმელთაშუა ზღვის ფინიკიელებს, როგორც თვითონ კართაგენის მაცხოვრებლებს, ისე ფინიკიურ დასახლებებს ჩრდილო აფრიკაში, დასავლეთ სიცილიაში, მალტაში, სამხ-

რეთ სარდინიაში, ბალეარის კუნძულებზე და სამხრეთ იბერიაში!.. რეცა ფუნქცია გადააბარესო ძნელდროებაში შესულმა აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის ფინიკიელებმა დასავლეთი ხმეთაშუა ზღვის ფინიკიელ-კართაგენელებს (პუნიკებს, როგორც მათ რომაელები უწოდებდნენ): ფინიკიური ცივილიზაციის და კულტურის გაგრძელებისთვის, მისი პატრონობისა და განვითარებისთვის, შემდგომი გაძლიერებისთვის.. ამ დროს წარმოქმნილი და გათავისებული „პუნიკური ენაც“ (ბოლო განშტოება ფინიკიური ენის) ამის გამოხატულებას წარმოადგენდა, ერთერთს...

– უცნაურად ჰგავდა, პალიკო, ეს „გადაბარება“ ფინიკიელების ძალუმ შემოსვლას ხმელთაშუა ზღვის არეალში გვიანი ბრინჯაოს ხანაში, შუა აღმოსავლეთის ძველი კულტურა-ცივილიზაციების დალევის კვალად.. მაშინაც, როგორღაც (რაღაც მანქანებით), უკვე მზადა ჰქონდათ ფინიკიელებს ყველა საჭირო საშუალება და მექანიზმი ამ განთავისუფლებული და უპატრონოდ დარჩენილი არის მისაგებად და ასათვისებლად, მის გასათავისებლად: ქალაქი-სახელმწიფოების მწკრივი აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლზე, აქეთ და იქით; საუკეთესო ზღვაოსნობა და ხელოსნობა-მეწარმეობა ფინიკიელების; საზღვაო ვაჭრობის გამართული სისტემა, მისი პირველადი ქსელი!.. ამდაგვარივე ვითარება იყო დასავლეთი ხმელთაშუა ზღვის არეალში, პალიკო, კართაგენის ძლიერ სუბიექტად ჩამოყალიბების ჟამს, ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე-მეექვსე საუკუნეების გადასავალზე: ფინიკიელებს უკვე მრავალი დასახლება-კოლონია ჰქონდათ დაფუძნებული დასავლეთი ხმელთშუა ზღვის სანაპიროზე; ისინი მიერთებული იყვნენ საერთო ფინიკიური საზღვაო ვაჭრობის ქსელს; კართაგენი დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფო გახდა, რომლის წონა და გავლენა სწრაფად მატულობდა დასავლელი ფინიკიელების დასახლებებში და მთელ დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე; რომი კი მხოლოდ იწყებდა თავის წელთაღრიცხვას ამ დროის კვალში.....

– ისე გამოვიდა, თითქოს ფინიკიელებს აქაც დაჭერილი ჰქონდათო თადარიგი, პალიკო, წინასწარ, მოვლენების ამგვარი, მათთვის არასახარბიელო განვითარების შემთხვევისთვისაც: თადარიგი მათი კულტურისა და ცივილიზაციის გადარჩენაზე, მის კიდევ უფრო მეტად განვითარებაზე და გაძლიერებაზე მომართული!. ... მართლაც რომ საოცარი იყო, პალიკო, ეს ხალხი: თავის მიზან-მიმართებებში და წინგანჭვრეტილ მოქმედებებში, მათ დაულეველ ძალისხმევაში...

კართაგენი აშენდა სამკუთხოვან ნახევარკუნძულზე, რომელიც კონცხით იყო შეჭრილი ხმელთაშუა ზღვაში, ორი ვიწრო ზღვის ყურით მის ჩრდილო და სამხრეთ მხარეს და ნახევარკუნძულის დიდ ხმელეთთან დამაკავშირებელი ხმელეთის ვიწრო ყელით, ვიწრო ზოლით... აქ ორი ხელოვნური ყურე-ნავსაყუდელი შეიქმნა, უშუალოდ ქალაქის ფარგლებში: ერთი, მისი მასიური სამხედრო ფლოტის სადგომად და შესაფარად (200-ზე მეტი სამხედრო ხომალდისთვის განსაზღვრული) და მეორე, საზღვაო ვაჭრობის და კომერციის შეუფერხებელი და გამართული წარმოებისთვის.. ორივე ნავსაყუდელს კონცხის თავზე ამართული გალავანშემოვლებული კოშკი გადმოჰყურებდა ზევიდან... თვითონ ქალაქსაც მასიური კედლები ჰქონდა შემოვლებული ირგვლივ, 37 კილომეტრი სიგრძის, მთლიანობაში!.

მათი უმეტესი ნაწილი ზღვის ნაპირს მიჰყვებოდა, რაც ერთობ საძნელოს ხდიდა კართაგენზე შეტევის განხორციელებას ზღვიდან: არსებითად, ის მიუდგომელი ციხესიმაგრე იყო მთელად... ზღვისიქითა მხარეს სიცილია იყო, ოდნავ აღმოსავლეთით, კართაგენული კოლონიებით მის დასავლეთ სანაპიროზე... ქალაქის ესეთი მდებარეობა მას საშუალებას აძლევდა სრულად გაეკონტროლებინა საზღვაო ვაჭრობა ხმელთაშუა ზღვაზე (დასავლეთიდან აღმოსავლეთით და აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმდინარე), რადგან ყველა გემს, რომელიც ზღვას გადაკვეთდა, სიცილიასა და ტუნისის სანაპიროს შორის უნდა გაევლო, სადაც კართაგენი იყო აშენებული და დამკვიდრებული: ამან დიდი ძალმოსილება და გავლენა მისცა ამ ქალაქს.. ...

ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში (როცა ფინიკია ბაბილონელების მართველობის ქვეშ იმყოფებოდა) კართაგენი დასავლეთი ხმელთაშუა ზღვის მთავარ კომერციულ ცენტრად გადაიქცა, როგორადაც დარჩა იგი ძველი წეთაღრიცხვის მესამე საუკუნემდე.. კართაგენელებმა შეინარჩუნეს ფინიკიელების მიდრეკილება და მომართულობა ვაჭრობასა და კომერციაზე და მიჰყვებოდნენ კიდეც მას, გარნა დაშორდნენ ფინიკიელებს თავანთ იმპერიულ და სამხედრო მისწრაფებებსა და მიმართებებში: მაშინ, როდესაც ფინიკია დასჯერდა მონოპოლიას ვაჭრობაზე (იშვიათად თუ ხარბდებოდა სხვის ტერიტორიებს და სანახებს), კართაგენმა სხვათა ტერიტორიების დაპყრობა-დაკავება და ათვისება დაიწყო სიმდიდრისა და ვაჭრობის ახალი წყაროების მოსაპოვებლად!.. მან კონტროლი დააწესა ყველა მიმდებარე ფინიკიურ კოლონიაზე, დაიმორჩილა ბევრი მეზობელი ლიბიური ტომი და დაიკავა ჩრდილო აფრიკის სანაპირო მაროკოდან დასავლეთ ლიბიამდე.. ამ მოქმედებების კვალად, დროთამსვლელობაში: კართაგენმა გააფართოვა თავისი გავლენა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე, განავრცო რა მისი კონტროლი ასევე მალტაზე, სარდინიაზე, სიცილიაზე (დასავლეთი სანაპირო) და შექმნა რა, ამავდროს, რამდენიმე დიდი და მეტად მნიშვნელოვანი დასახლება ძვირფასი ლითონებით მდიდარი იბერიის ნახევარკუნძულზე... მთლიანობაში, კართაგენის ეკონომიკა კვლავაც ეყრდნობოდა და ეფუძნებოდა ტრადიციულ ფინიკიურ სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას, მაგრამ, ამასთან ერთად, ის უკვე ჩრდილო აფრიკის და ზღვის იქითა კოლონიების სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოებასაც მეურვეობდა და პატრონობდა!.. ამ პირობებში და დროით მოტანილ ახალ რეალობაში კართაგენელებმა ყურადღება სამხედრო-საზღვაო ფლოტზე გაამახვილეს, მის შემდგომ განვითარებაზე და გაძლიერებაზე აიღეს გეზი, აქეთ მიმართეს მნიშვნელოვანწილად ძალისხმევა: ახლად წარმოქმნილი და შემკვრივებული მყიფე იმპერიული კონსტრუქციის მდგრადობის მისაღწევად და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.. ამან მალევე გამოიღო თავისი ნაყოფი: კართაგენის სამხედრო-საზღვაო ფლოტი გაბატონებული ძალა გახდა ხმელთაშუა ზღვაზე და საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა ეს მდგომარეობა!..

ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნისთვის: კართაგენი მისი კოლონიების და მასთან სავაჭრო-კომერციულ ურთიერთობებში მყოფი სახელმწიფოებისგან ფორმირებული და ნელინელ ზრდადი („მცოცავი“) ქსელის ცენტრად გადაიქცა; როგორც აფრიკასა და დანარჩენ ანტიკურ მსოფლიოს შორის მოქცეული მთავარი

კვანძი, ის უამრავი იშვიათი საქონლის და ფუფუნების საგნის მიმწოდებელი გახდა ანტიკური მსოფლიოსთვის; პარალელურად, თავის დროზე ტირის მიერ დასავლეთი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე შექმნილი ფინიკიური დასახლება-კოლონია მრავალეთნიურ იმპერიად ჩამოყალიბდა, რომელიც რომის რესპუბლიკაზე დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა ამ დროს; თვითონ კართაგენი ერთერთ ყველაზე დიდ და მდიდარ, ყველაზე აყვავებული ქალაქად გადაიქცა ხმელთაშუა ზღვაზე, მთელ ანტიკურ სამყაროში; მისი მოსახლეობა მეოთხედ მილიონს აჭარბებდა იმ ჟამს...

– გაურკვეველია, პალიკო, რამ მოახდინა ესეთი გავლენა კართაგენზე, რამ გამოიწვია მისი ამგვარი გადაწყობა და საუკუნეებში გამოტარებული და გამჯდარი მიდგომის ესოდენ მკვეთრი შეცვლა (სხვა ფინიკიური კოლონიებისგან განსხვავებით): გეზის აღება ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის მოპოვებაზე დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე და იმპერიის შექმნაზე ამ არეალში!.. ...

– გარკვეულწილად, ბუნებრივად ჩანს, პალიკო, ფინიკიური ცივილიზაციის ამგვარი განვითარება, ევოლუცია, მისი ერთი საფეხურიდან შემდეგზე გადასვლის კონტექსტში: ვაჭრობა-კომერციის მონოპოლიიდან უფრო კომპლექსურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ იმპერიაზე გადასვლის ლოგიკით.. ღათუ, გარე ფაქტორების ზემოქმედება აქ ვინძლო არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი იყო, მეტადრე რომ, სხვადახვა ძველმა და ახალმა სუბიექტმა ძალების მოსინჯვა დაიწყო ხმელთაშუა ზღვის არეალში, ამ პერიოდში...

– ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნის შუიდან დაწყებული, ხან ერთი დამპყრობელი შემოესეოდა აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოებს, ხან მეორე, ხან კიდევ მესამე: არბევდა და იმორჩილებდა მათ, პალიკო, თავის ვასალებად ხდიდა რიგრიგობით, აძლევდა ფინიკიელებს საშუალებას კვლავაც გაეგრძელებინათ სავაჭრო-კომერციული საქმიანობა, მაგრამ უკვე მათი მეურვეობის და მმართველობის ქვეშ, მათი ინტერესების და მიზან-მიმართებების მიხედვით!. აქ უკვე ძნელი იყო ლაპარაკი ფინიკიელების მიერ საუკუნეებში აწყობილი და გამართული სავაჭრო ქსელის რამდენადმე სრულფასოვან ფუნქციონირებაზე და ქმედითობაზე, პალიკო, მითუმეტეს მის შემდგომ გაშლაგაფართოებაზე.. ამასთან, ვითარების ამგვარ განვითარებას თან ახლდა აღმოსავლელი ფინიკიელების მზარდი მიგრირება კართაგენში, დასავლეთი ხმეთაშუა ზღვის სანაპიროზე, რაც მეტად სათუოს ხდიდა ძველი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობას, თუნდაც შორ პერსპექივაში...

– ეს ახალ საკითხებს აყენებდა საერთო ფინიკიურ დღის წესრიგში, პალიკო, ახალი დროის შესაბამისს: ფინიკიური ცივილიზაციის შენარჩუნების და ცხოველყოფის; დროის შესატყვისი მიდგომების და საშუალებების გამოკვეთის და მოქმედების ფორმების შეთვისების... ორივე ამ ფაქტორმა განაპირობა, სავარაუდოდ (თავ-თავის წილად), კართაგენის მიმართება ეკონომიკურ-პოლიტიკურ ბატონობაზე დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე, იმპერიის შენებაზე ამ არეალში: ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან დაწყებული... გარნა ეს უცნაური იმპერია იყო, მაინც, პალიკო, ისევე უცნაური, როგორც თვითონ ფინიკიური ცივილიზაცია, მეტადრე იმ დროისათვის და გარემოსთვის.. ...

– კართაგენის იმპერია არაფორმალურ, მრავალსახოვან და მრავალწახნაგოვან სახელმწიფოებრიობად ჩამოყალიბდა, პალიკო, თავისი რაობით და ხასიათით, თავისი წყობით, რადგან ის შეთანხმებებზე იყო ძირითადად დანდობილი და დაფუძნებული, გარკვეულ გარიგებებზე კართაგენსა და იმპერიის სხვა სუბიექტებს შორის!.. ამ იმპერიის შენების ფარგლებში, კართაგენმა: შექმნა ახალი კოლონიები და ახლიდან დააარსა და გააძლიერა ძველები; თავდაცვითი შეთანხმებები დადო და გააფორმა სხვა ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოებთან; ხელშეკრულებებით დაადგინა, პალიკო (ბევრ შემთხვევაში), მისი ბატონობა და ჰეგემონია სხვა სუბიექტებზე, მათი ხასიათი; კავშირ-გაერთიანებები შექმნა ზოგიერთებთან („ალიანსები“); მოხარკის ვალდებულებები დაუდგინა დამორჩილებულ სუბიექტებს (ყოველს თავისი) და სხვა ამგვარი ზომებით და საშუალებებით შეკრა ეს ოკრო-ბოკროდ შეკერილი ერთიანობა იმპერიად, რომელიც რამდენიმე საუკუნეს არსებობდა და მოქმედებდა მაინც!..

– მეტად საგულისხმოა და საინტერესო, პალიკო, რომ უკვე ამ პროცესის საწყის სტადიაზე (ძველი წელთაღრიცხვით 509 წელს) კართაგენმა ხელი მოაწერა შეთანხმებებს იმდროინდელ (ადრეულ) რომთან, რომლებიც ერთმანთისგან მიჯნავდნენ მათი გავლენის სფეროებს და სავაჭრო-კომერციულ საქმიანობებს და დოკუმენტურად ადასტურებდნენ (მათ შორის) კართაგენის კონტროლს სიცილიასა და სარდინიაზე... ამან ხელები გაუხსნა კართაგენელებს (გარკვეულწილად) მათი იმპერიული მისწრაფებების ხორცშესხმაში: რეცა თადარიგი აქაც დაჭერილი იყო, პალიკო, ისევ.. ....

კართაგენის გაბატონებულმა მდგომარეობამ საზღვაო ვაჭრობაში და იმპერიულ ყაიდაზე გადაწყობამ მისი დაპირისპირება გამოიწვია იმავე არეში მოქმედ სხვა სუბიექტებთან, სხვა ძალებთან, საკუთრივ, ბერძნებთან ამ საფეხურზე, რომლებსაც ასევე ჰქონდათ (ფინიკიელების მსგავსად) ქალაქი-სახელმწიფოები დაფუძნებული ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და თავისი კოლონიების გაშლა-გაფართოებას ეშურებოდნენ თავგამოდებით, საზღვაო ვაჭრობაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად და მათი გავლენის გასაძლიერებლად იბრძოდნენ, საზოგადოდ, ხმელთაშუა ზღვის არეალში... ფინიკიელები (კართაგენელები შემდგომ) ბევრად წინ იყვნენ წასული მათი დასახლება-კოლონიების შექმნაში, მაგრამ დროთაგანმავლობაში ბერძნებიც მეტად გააქტიურდნენ ამ მიმართებით, ფინიკიელების მონოპოლიურობის შერყევა დაიწყეს თანდათანობით.. ძველი წელთაღრიცხვის მეცხრე-მერვე საუკუნეებში ბერძნების ამ აქტიურობას პარალელური პროცესის სახე ჰქონდა კიდევ, თუმც შემდეგ პერიოდებში ამას მხარეთა შეხლა-შემოხლა მოჰყვა უკვე, სამოქმედო არისთვის ბრძოლა ცალკეულ ლოკალობებში... ამ მიმართებით, მათი დაპირისპირება კართაგენთან ხმელთაშუა ზღვაზე სტრატეგიული ეკონომიკური უპირატესობების მოპოვებისთვის ბრძოლის ხასიათს ატარებდა უფრო, ვიდრე მხარეების სამხედრო-პოლიტიკურ შეჯახებას გაბატონებული მდგომარეობის მოსაგებად ამ არეალში, ღათუ ამგვარი მოტივებიც ამოძრავებდა ბერძნებს, მაგრამ რომთან მიმართებით, პირველყოვლისა... ამ ვითარებაში, სიცილია გახდა მთავარი ადგილი დაპირისპირების, მისი ქვაკუთხე-

დი, საჯილდაო ველი ბერძნების და კართაგენელების შეჭიდებაში – სიცილიის კუნძული, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვაზე და რომელზეც ფინიკიელებსაც და ბერძნებსაც თავთავისი ქალაქი-სახელმწიფოები და კოლონიები ჰქონდათ დაარსებული და ამოქმედებული.. ამან სამი სიცილიური ომი მოიტანა შედეგად, კართაგენსა და ბერძნებს შორის, რომლებიც ცალკეული ლაშქრობებით იკრიბებოდა მთლიანობაში და ბევრად ნაკლებ ხასიათდებოდა ფრონტალური შეტაკებებით მხარეებს შორის..

სიცილიური ომები ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში გაიმართა და, შესაბამისად, ძველი წელთაღრიცხვის 480, 410-404 და 315-307 წლები მოიცვა.. ეს ლაშქრობების სერია იყო, მნიშვნელოვანი დროის შუალედებით მათ შორის და გარკვეული შუალედებით ცალკეულ ლაშქრობებს შორისაც, რომლებსაც ხან ერთი მხარე იწყებდა, ხან მეორე, ხან ერთი მხარე იყო შედარებით წარმატებული, ხან მეორე, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც პირვანდელი მდგომარეობა დაბრუნდა, „სტატუს-ქვოს“ აღდგენაზე შეჯერდნენ ბოლოს მხარეები... აქ დაპირისპირება, შეჭიდება კართაგენსა და სირაკუზს (დაარსდა ძველი წეთაღრიცხვის 700 წელს), ამ ქალაქი-სახელმწიფოს ბერძნებს შორის მოხდა, რომლებსაც ცენტრალური ხმელთაშუა ზღვის კონტროლის აღება უნდოდათ ხელში.. მეტად საგულისხმოა, ნიშანდობლივი, რომ ამ ლაშქრობების ბედზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბუნებრივმა, სტიქიურმა მოვლენებმაც: ღელვამ, ამინდმა ზღვაზე; ჭირის ეპიდემიამ კუნძულზე!.. ორივე შემთხვევაში კართაგენი მოხვდა მათი მოქმედების არეში, ის აღმოჩნდა დაზარალებული მხარე – კართგენელების დაუდევრობით თუ შემთხვევათა თამაშის ძალით...

პირველი სიცილიური ომი სირაკუზის გააქტიურებით დაიწყო, რომელმაც სცადა მთელი სიცილიის გაერთიანება მისი მმართველობის ქვეშ, ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მხარდაჭერით, რასაც კართაგენის მნიშვნელოვანი ჯარის გადასვლა მოჰყვა კუნძულზე ზღვით, დიდ უამინდობაში, რომელმაც დიდად დაზიანა მისი ფლოტი და ჯარი, ქანცი გაუწყვიტა მათ.. ამას დაემატა არაორგანიზებულად და არეულად წარმართული ბრძოლა ბერძნებთან და კართაგენელების სრული დამარცხება ამ ბრძოლაში, მათი მეფის დაღუპვა გაურკვეველ ვითარებაში და ზავის დადება მერე ბერძნებთან, მათ პირობებზე, ისიც კართაგენის დიდგვაროვნების ჩარევის შემდეგ!.. შედეგად: ზედმიწევნით შეიზღუდა კართაგენელების სამოქმედო არე და ძალმოსილება სიცილიაში... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო ამ ომის, ერთი ამბავი, ერთი შედეგი, ბევრად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური რეფორმები და ცვლილებები, რომლებიც კართაგენმა განახორციელა ბერძნებთან სიცილიაში განცდილი დამამცირებელი მარცხის პასუხად ზავის დადებისთანავე, მათი ქმედებები ამ ომის შემდეგ, ცხელ კვალზე!..

– წარმოიდგინე, პალიკო, ზავის დადების შემდეგ უმოკლეს დროში კართაგენმა გადააწყო თავისი პოლიტიკური სისტემა და ოლიგარქიულ რესპუბლიკად გადაიქცა, დიდგვაროვნების და უბრალო ხალხის კრება-ასამბლეით მის შუაგოლში, რომელმაც ჩარჩოში მოაქცია მისი მომდევნო მმართველები (მეფეები), მნიშვნელოვანწილად, წაართვა რა მათ უფლება და საშუალება თვითნებურად მიეღოთ

გადაწყვეტილებები, მეტადრე, სასიცოცხლო საკითხებზე, და ემოქმედათ მხოლოდ საკუთარი ნებისდა მიხედვით; პარალელურად, კართაგენელებმა დაიკავეს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიები და შემოიმტკიცეს ისინი, ახალი კოლონიები დააფუძნეს ჩრდილო აფრიკის გასწვრივ და გაიკვლიეს გზა შორს, ხმელთაშუა ზღვის იქით; მათი ექსპედიციები ჩაუყვნენ აფრიკის დასავლეთ სანაპიროს და გამოიკვლიეს ატლანტიკის ოკეანის ევროპული სანაპირო; მათ გაამკაცრეს და გაძლიერეს საზღვაო გადაზიდვების კონტროლი და, ამასთანავე, დაიწყეს მზადება სიცილიაში მდგომარეობის აღსადგენად და პოზიციების დასაბრუნებლად!!.

– გესმის, პალიკო, კართაგენელები კი არ დაიზაფრნენ და დაიხაფრნენ ესოდენ მძიმე მარცხის განცდის შემდეგ, არამედ მიიღეს ის როგორც მოცემულობა, როგორც ცნობა და ნიშანი, რომ მათი მიდგომები და ქმედებები გადაწყობას და გადახალისებას თხოულობდა დაუყოვნებლივ, კართაგენის ქმედუნარიანობის ამაღლებას უმოკლეს დროში და განვითარების ახალი გზების და საშუალებების გამოძებნას და ამოქმედებას: ამას კართაგენი ზავის დადებისთანავე შეუდგა!.. განცდილი მარცხი, პალიკო, კართაგენელებმა საკუთარი საქმიანობის შემდგომი გაშლის და განვითარების შესაძლებლობად და საშუალებად მიიღეს და გამოიყენეს ზედმეტი დაყოვნების და იწილი-ბიწილოს გარეშე...

ძველი წელთაღრიცხვის 409 წელს კართაგენის ჯარი სიცილიაში გადავიდა, აიღო ორი პატარა ბერძნული ქალაქი და გამარჯვებით და ნადავლით დაბრუნდა უკან, გარნა უშუალო მტერს, სირაკუზს არ შეხებია ამ ლაშქრობის დროს.. ამიტომ, ოთხი წლის შემდეგ ეს ჯარი მეორედ გადავიდა კუნძულზე, მაგრამ ამ ჯერზე კართაგენელებს ჭირის ეპიდემია შეეყარათ უკვე, რომელმაც მნიშვნელოვნად მოწყლა მათი ჯარი და მხედარმთავარიც გაიყოლა თან!. მხედარმთავარის უფლებამონაცვლემ მაინც შეძლო ამ ლაშქრობის გაგრძელება, კიდევ ერთი ბერძნული ქალაქი დაიკავა და სირაკუზის ჯარიც დაამარცხა, მაგრამ კართაგენელებს ისევ ჭირი შეეყარათ, სამშვიდობო შეთანხმების დადება მოუწიათ ბერძნებთან და ესე დაბრუნდნენ უკან, კართაგენში... ამას მოჰყვა ზავის დარღვევა ბერძნების მიერ, კართაგენელების მორიგი ლაშქრობა სიცილიაში და ასე შემდეგ: განუწყვეტელი შეტაკებები მხარეების მცირე ძალებს შორის მომდევნო ათეული წლების მანძილზე, მეტნაკლები წარმატებებით ერთ თუ მეორე მხარეს, მაგრამ ჭირის ეპიდემიის ხშირი დაცემით კართაგენელებზე და მათი ძალების მნიშვნელოვანი დაზარალებით ყოველ ამ ჯერზე, რის გამოც ძველი წელთაღრიცხვის 340 წლისთვის კართაგენი უკვე კუთხეში იყო მიმწყვდეული სიცილიაში სირაკუზელი ბერძნების მიერ, შეურაცმყოფელი ზავის პირობებში მოქცეულები!..

ძველი წელთაღრიცხვის 315 წელს სირაკუზმა კვლავ დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება კართაგენთან და მის ბოლო ორ ქალაქს შეუტია კუნძულზე, გარს შემოერტყა თავისი ძალებით.. კართაგენელებიც ისევ შეიჭრნენ სიცილიაში, თითქმის მთელი კუნძული აიღეს ერთი წლის მანძილზე და ალყაში მოაქციეს თვით სირაკუზაც, მაგრამ როგორღაც, დაფარულად, სირაკუზის მმართველმა მოახერხა და 14-ათასიანი ბერძნული ლაშქარი გადაიყვანა ზღვის მეორე მხარეს და კართაგენისკენ დაიძრა პირდაპირ, მის ასაღებად მომართული!. კართაგენელები

იძულებულნი გახდნენ, ჯარის უმეტესი ნაწილი გამოეწვიათ სიცილიიდან და უკვე ადგილზე შებრძოლებოდნენ ბერძნებს.. მათ დაამარცხეს ბერძნების ლაშქარი (ძველი წელთაღრიცხვის 307 წელს), მაგრამ სირაკუზის მმართველი ისევ დაუსხლტათ როგორღაც ხელიდან, მოახერხა სიცილიაში დაბრუნება და სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა კართაგენელებთან.. ... შედეგად: პირვანდელი მდგომარეობა აღდგა კუნძულზე, სტატუს ქვო მხარეებს შორის და სირაკუზაც კვლავ დარჩა ბერძნული ძალის ციხე-სიმაგრედ სიცილიაში.....

– უცნაური რამე გამოვიდა (ანუ, ყოფილა), პალიკო, ლაშქრობა-ომები.. საუკუნენახევარს გაგრძელდა სამი სიცილიური ომი და მხოლოდ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა ბოლოს, კართაგენელების და ბერძნების ძალთა თანაფარდობის მიხედვით კუნძულზე, უბრალოდ ბევრი ნგრევა მოიტანა თან და ბევრი მეომარი დაიღუპა ამ ლაშქრობებში, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე ჩანს არც მაშინ ფასობდა ძვირად ცხოვრების მდინარე სრბოლებში!. კაცს შეიძლება თავიდან დაეწყო მთელი ეს ორომტრიალი, ეს შეხლა-შემოხლა, პალიკო, ბოლო დაზავების წერტილიდან და ყველაფერი ახლიდან აღიძვრებოდა და დატრიალდებოდა გაკვალული გზით და ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა კიდევ ან როდის დასრულდებოდა მხარეთა ჭიდილი ნებას მიცემული...

– მონუსხულ წრეს მიჰყვებოდა თითქოს ვითარების ცვლა-განვითარება კუნძულზე: ხან ერთი დაიწყებდა ლაშქრობას, პალიკო, ხან მეორე... ერთის მხრივ, სიცილიას სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვაზე და ორივე მხარისთვის საჯილდაო ქვას წარმოადგენდა მით; მეორეს მხრივ, კართაგენელებს ფინიკიური კოლონიები უნდა დაეცვათ კუნძულზე (მათი იმპერიული შეთანხმებავალდებულებების თანახმად და მიხედვით) და ვერ დაუთმობდნენ მათ ბერძნებს; ბერძნებისთვის კი ყოველი ფინიკიური ქალაქის დაკავება-შემოერთება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სიცილიაზე დომინირების მოსაპოვებლად და ისინიც უკან ვერ დაიხევდნენ ამ გზაზე დამდგარნი და გრძელდებოდა მათი ჭიდილი საუკუნენახევარს, ესე გამართული...

– აქ გამარჯვება ბევრს არ ნიშნავდა, პალიკო, და არც დამარცხება იწვევდა სასოწარკვეთას, რადგან მხარეები ძალებს იკრებდნენ მერე, გაჩენილ შორისში, უომოდ დარჩენილ დროის შუალედში და ისევ შეაწყდებოდნენ ფეხზე დამდგარნი დაუნანებლად ერთმანეთს, რეცა მისჯილი ჰქონდათო ამის კეთება: მხნეობა რომ შეენარჩუნებინათ და მოშვილდულობა, ვინძლო, მზადყოფნა ცხოვრების ფათერაკებთან შეხვედრისთვის და გამკლავებისთვის, მათი დაძლევისთვის, ვიდრე არ შემოხვდებოდათ გზად რამე საჩინო უფრო: სხვა ზომაწონის და მნიშვნელობის, სხვა ძალისხმევის მომთხოვი და სხვა მომავლის მომხვეჭი – უფრო სხვა განზომილების საწიერის მომგები!. ...

კართაგენს ერთხელ კიდევ მოუწია ომის გადატანა სიცილიაში, ელინური პერიოდის ბერძენ მეფესთან, ეპირის პიროსთან ამჯერად (ძველი წელთაღრიცხვის 280-275 წლები), რომელიც არ შეეპუა კართაგენის და რომის თაურობას ხმელთაშუა ზღვაზე და პირველობაში შეეცილა მათ, იმპერიული პრეტენზიები განაცხადა

ამ არეალზე... უწინარესად მან სამხრეთი იტალიის დაპყრობა განიზრახა და რომს დაუპირისპირდა ამით, გადამწყვეტი გამარჯვებაც მოიპოვა ასკულუმთან რომაელებზე, მაგრამ დიდძალი ცოცხალი ძალის დაკარგვის ფასად (ცნობილი „პიროსის გამარჯვება“ – გამარჯვება ძალიან დიდი დანაკარგებით), რის გამოც პიროსმა სამომავლოდ გადადო იტალიის სამხედრო კამპანიის გაგრძელება და ყურადღება სიცილიაზე გადაიტანა ამ საფეხურზე.. მას სიცილიის ბერძნული ქალაქების დესპანები ესტუმრნენ ამ პერიოდში და მის მმართველობაში ამ ქალაქების გადაცემას შეჰპირდნენ პიროსს, თუ კართაგენელების კუნძულიდან განდევნაში დაეხმარებოდა მათ!. ასკულუმის გამარჯვებით დამძიმებულმა პიროსმა მიიღო ეს შეთავაზება და პერსპექტივა, ღირებულად ჩათვალა სიცილიის დაკავება ამ პირობებში და მალევე დაიწყო კუნძულის დამორჩილებაზე მიმართული კამპანია სიცილიაში... ამ ომის ფარგლებში (პირველი სამი წლის მანძილზე): კართაგენმა რამდენიმე მარცხი განიცადა პიროსთან შეტაკებაში; ფინიკიური ქალაქების დათმობა მოუწია რიგრიგობით; იძულებული გახდა კუნძულის უკიდურეს დასავლეთამდე დაეხია; ზავიც ითხოვა ბოლოს და დიდი თანხა და გემებიც შესთავაზა პიროსს მის საფასურად, მაგრამ მან არ მიიღო ეს წინადადება და უარი თქვა ზავის დადებაზე, თუ კართაგენი სრულად არ დატოვებდა სიცილიას და უარს არ იტყოდა თავის უფლებებზე და ინტერესებზე ამ კუნძულზე, სადაც მისი ბოლო ალყაშემორტყმული ქალაქი ლილიბეუმი ჯერ კიდევ უმკლავდებოდა და იგერიებდა ბერძნების შეტევებს!..

მაგრამ პიროსს გაუგრძელდა ამ კარგად შეიარაღებული და გამაგრებული კართაგენული ქალაქის აღება, გაეწელა თვეებზე, გაუჭიანურდა, რასაც თან მოჰყვა დიდი დანაკარგები მის ცოცხალ ძალებში, პიროსის ხისტი მმართველობით განაწყენებული სიცილიელი ბერძნების უკუქცევა მისგან, პირის ბრუნება (კართაგენელებსაც შეუერთდა ზოგიერთი თავისი ძალებით) და მანაც მოხსნა ქალაქს ალყა და უშუალოდ კართაგენისკენ შემობრუნდა უკვე, მის დალაშქვრაზე აიღო გეზი და შესაბამისი ექსპედიციის აღჭურვა-მომზადებას შეუდგა ამისთვის, მაგრამ არ დასცალდა, რადგან რომმა სული მოითქვა ამასობაში, განაახლა შეტევები იტალიაში და პიროსიც იძულებული გახდა, იქით ებრუნა პირი და სამხრეთ იტალიაზე მიემართა თავისი ძალისხმევა!. ესეც არ გამოუვიდა ბედთან შეჭიდებულს: კონტინენტზე ჯარის გემებით გადაყვანისას კართაგენელების ფლოტი დაესხა თავს და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა პიროსს, რომელმაც თორმეტი სამხედრო და რამდენიმე სატრანსპორტო გემითღა შეძლო გადასვლა იტალიაში – მით, რაც გადაურჩა კართაგენელებს მისი დიდი ფლოტიდან მესანას სრუტეში!. პიროსის მიერ სიცილიის დატოვების შემდეგ კართაგენმა დამატებითი ძალები გაგზავნა კუნძულზე და სრულად დაიბრუნა კონტროლი კართაგენულ-ფინიკიურ კოლონიებზე ამ მხარეში...

ესე დასრულდა პიროსის სიცილიური კამპანია (და იტალიურისაც, მას მიყოლებული), რომლის შედეგად: კართაგენმა აღადგინა ომამდელი სტატუს ქვო და კიდევ ერთხელ დაეპატრონა სიცილიის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებს; ხელცარიელს და ხელმოცარულს მოუწია პიროსს დაბრუნება პირში; რომაელებს კი გზა გაეხსნათ სამხრეთ იტალიის ბერძნულ სანაპირო ზოლზე გავლენის მოსაპოვებლად და იტალიის ნახევარკუნძულზე გასაბატონებლად, საბოლოო ჯამში.....

– სხვაგვარი ომი იყო ეს, პალიკო.. არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ფრონტალური შეჯახება მოხდა მხარეების, რომლის ერთ მხარეს სიცილიის დაპყრობა და დამორჩილება ჰქონდა გადაყვეტილი და მეორის სრული განდევნა ამ არიდან, ხოლო მეორე მხარე ამ შეტევის მოგერიებას და საკუთარი ძალმოსილების შენარჩუნებას ცდილობდა კუნძულზე, არამედ იმით უფრო მეტად, რომ აქ იმპერიული ზრახვებით აღძრული ელინელი მეფე ებრძოდა კართაგენს, რომელსაც უკვე ჩამოყალიბებული და გამართული ჰქონდა თავისი იმპერია ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ არეალში!. ანუ, ეს იმპერიული ომი იყო უკვე, პალიკო, ხმელთაშუა ზღვაზე ორი დიდი ძალის შეჭიდება მასზე გაბატონებისთვის!. ეს უკვე არ იყო ჩვეული ლაშქრობა-ომი, რომელიც შეიძლება გაუთავებლადაც გაგეგრძელებინა, აქ ერთი მხარე უნდა დამარცხდეს უცილოდ და მეორემ გაიმარჯვოს: მდგომარეობა უნდა შეიცვალოს აუცილებლად ამ ომის შემდეგ!.. ...

– კართაგენელები მზად არ იყვნენ ამგვარი ომისთვის და თითქმის დამარცხდნენ კიდეც, პალიკო, რომ არა იღბალი თუ უბრალო შემთხვევა: კართაგენის მიერ შეთავაზებულ ზავზე უარის თქმა პიროსის მიერ, რამაც შემოაბრუნა ბედის ბორბალი და კართაგენელებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობა გაუჩინა!. მათ სრულად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, გადამწყვეტი დამარცხება მიაყენეს რა იტალიისკენ შებრუნებული პიროსის ჯარს საზღვაო ბრძოლაში, რასაც ელინელი მეფის ჩამოცილება მოჰყვა ხმელთაშუა ზღვისთვის ბრძოლის ველიდან (საბოლოო ჯამში): მასზე მხოლოდ ორი მოქმედი სუბიექტი დარჩა შემდეგ – კართაგენი და რომი...

– მეტად უცნაურად იკვეთება აქ „შემთხვევის“ როლი და ადგილი ცხოვრებისეული მოვლენების განვითარებაში, პალიკო, არსაიდან რომ ჩნდება თითქოს, უეცრად, იჩქით, რეცა კენჭი ყარესო სადღაც იქით წუთისოფელში, „თეთრი თუ შავი, ზედა პირი თუ ქვედა პირი, მარჯვნივ თუ მარცხნივ, თუ ალმაცერად,“ ამ დროს კი ეს არჩევანი მოვლენათა განვითარების მიმართულებას განსაზღვრავს, მის კვეთას ადგენს და მას მოყოლილ მომავალს უღებს კარს: სადღაც შეკირწყლულ და ახდენისთვის გამზადებულ მყობადს მოიტანს თან, განგებასავით!. ...

– გაუგებარი რჩება, პალიკო, რატომ თქვა პიროსმა უარი კართაგენელების მიერ შეთავაზებულ ზავზე, მის სარგებელზე, რომლის გამოყენებით ჯარის სათანადო გაძლიერება და საჭირო იარაღით და საშუალებებით აღჭურვაც შეიძლებოდა და ამის შემდგომ არჩევა სამოქმედო სტრატეგიის (გარემოებებისდა მიხედვით): ზავის დარღვევა (ჩვეული ამბავი მაშინ და დღესაც, გარნა სხვადასხვაგვარად შეფუთული) და კართაგენელების ბოლო ქალაქის აღება სიცილიაში, კუნძულის ფლობა; უშუალოდ კართაგენზე გალაშქრება დიდი და გამართული ჯარით და პირველობის დაჩემება ხმელთაშუა ზღვის არეალში; ანაც, ზავის პირობების სრული შესრულება, იტალიაში გადასვლა, დაბრუნება და შეჭიდება ჯერ კიდევ ახალგაზრდა, არდაღვინებულ რომთან... სამივე ამ შემთხვევაში პიროსი ასპარეზზე რჩებოდა, პალიკო, და სამთა ჭიდილიც ხმელთაშუა ზღვაზე გაგრძელდებოდა, ვინ უწყის ვისი გამარჯვებით თუ დამარცხებით, მაგრამ მოხდა მხოლოდ ის, რაც იმ ჟამს მოხდა („უნდა მომხდარიყო“..), რამაც განსაზღვრა მყობადის გზები: შემთხვევის ჩართვით და მოსილებით, მისი მოქმედებით, რეცა ინსტრუმენტიაო

წუთისოფლის, მექანიზმი მისი განგების და განჩინების აღსრულების: როცა ჯერი მოდის ცხოვრების შეცვლის, მისი გადაწყობის და განრიგების!..

– და კიდევ უფრო საკვირველად წარმოდგა აქ თვითონ პიროსის ჯერი და მისი როლი, პალიკო, მისი ძალისხმევა დროის ამ ნაკვეთში, თითქოს საკუთარი იმპერიული ზრახვებით და წადილით აღვსილი ელინელი მეფის, რომელიც გამოვიდა რომ სხვებისთვის გაირჯა და დაიხარჯა, სხვებს ემსახურა სინამდვილეში!. მოასუფთავა მთელად ასპარეზი და ესე გამზადებული და განთავისუფლებული საომარი ლელო თავის მოტოქეებს დაუთმო, მათ დაუტოვა: პიროსთან ჭიდილში მოღონიერებულ რომაელებს და მისით შეჭირვებულ და განსაცდელგამოვლილ კართაგენელებს, რომლებიც აუცილებლად შეეხლებოდნენ ერთმანეთს, ადრე თუ გვიან, დღეს ანთუ ხვალით.. და ამ ამბავმაც არ დააყოვნა, პალიკო, არ დაიცადა დიდად, პუნიკურ ომებში განსხეულდა და გაიშალა (ძველი წელთაღრიცხვის 264-146 წლები), სად სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეაწყდნენ ერთმანეთს ყოფილი „თანამებრძოლები“, კართაგენი და რომი, ურთიერთდაცვის შეთანხმება რომ ჰქონდათ დადებული ერთმანეთთან პიროსთან ომში!!. ...

პიროსის ომის შემდეგ კართაგენი გაბატონებული ძალა გახდა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ არეალში, ფართოდ გაშლილი საზღვაო იმპერიით მის სამანებში, რომი კი სწრაფად აღმავალი ძალა იყო იტალიაში ამ დროს, რომელიც მთელ ნახევარკუნძულს ფლობდა უკვე, გარნა ჯერ არა ჰქონდა კართაგენის ტოლფარდი სამხედრო საზღვაო ფლოტი შექმნილი, რაც მეტად ზღუდავდა მისი შემდგომი გაშლა-გაფართოების შესაძლებლობებს და პერსპექტივას.. საჯილდაო ქვად აქ ისევ სიცილია წარმოდგა, სტრატეგიული კუნძული ხმელთაშუა ზღვაზე, რომელსაც მხოლოდ მესანას ვიწრო სრუტეღა ყოფდა იტალიის ნახევარკუნძულისგან და რომლის უმეტეს ნაწილს კიდევ კართაგენელები აკონტროლებდნენ.. სწორედ აქ დაიწყო ამ ორი ძალის ფრონტალური შეჯახება და შეჭიდება, მათი პირველი პუნიკური ომი (ძველი წელთაღრიცხვის 264-241 წლები), ანტიკურობის ყველაზე ხანგრძლივი უწყვეტი დაპირისპირებით (23 წელი) და ყველაზე დიდი საზღვაო შერკინებით – ისინი სიცილიის კუნძულზე და მის გარშემო წყლებზე და აგრეთვე ჩრდილო აფრიკის სანაპიროზე ბატონობისთვის იბრძონდნენ ესეთი გამეტებით და თავგამოდებით ამ ომში!..

ეს რომაელების პირველი ომი იყო იტალიის ნახევარკუნძულის გარეთ, მის ფარგლებს იქით.. ისინი კარგად მოემზადნენ მისთვის, სიცილიაში შეჭრისთვის, და კარგად წარმართეს საომარი მოქმედებები კუნძულზე: თავიდან ფეხი მესანაში მოიკიდეს, საყრდენ წერტილად გაიხადეს ის; გადამწყვეტი ბრძოლა კართაგენელებთან მათი მთავარი ბაზის (აგრიგენტუმის) ირგვლივ გამართეს და გაიმარჯვეს მასში; მერე სიცილიის უმეტესი ნაწილიც დაიკავეს და თავისი კონტროლი დაამყარეს მასზე... ამან საკუთარი თავის რწმენა და დაჯერებულობა შესძინა რომს, ესოდენ საჭირო დიდი მიზნების დასახვისათვის და მიღწევისთვის.. ...

რომაელებმა საკუთარი სამხედრო ფლოტი შექმნეს ამის შემდეგ, მეტად მოკლე ხანში, იგივე კართაგენელების გემების (როგორც ნიმუშების) და ტექნოლოგიების გამოყენმებით, მათი ცოდნა-გამოცდილების გულმოდგინე შესწავლა-გათა-

ვისების და საკუთარ ნიადაგზე გადატანის გზით.. ბრძოლის ტაქტიკაც შეცვალეს ამასობაში, გააფართოვეს რა საომარი მოქმედებების არე კართაგენელებზე შეტევებით კორსიკასა და სარდინიაში, თუმც კი რაიმე ხელშესახებ წარმატებებს ვერ მიაღწიეს ამ კუნძულებზე – კართაგენმა შეძლო მათი დაცვა, მოულოდნელობის და მოუმზადებლობის და დაბნეულობის მიუხედავად, რომაელების კუნძულებზე თავდასხმის პირველ პერიოდში.. რომი უფრო წარმატებული იყო საზღვაო შეტაკებებში და მათზე დაყრდნობით ჩრდილო აფრიკაშიც დაიწყო შეჭრა, რომელიც აღკვეთეს კართაგენელებმა პირველ ჯერზე, მაგრამ „ქეიპ ეკნომუსის ბრძოლაში“, ალბათ ისტორიის ყველაზე დიდ საზღვაო შერკინებაში (700-მდე სამხედრო გემის და 300 ათასამდე მეომრის მონაწილეობით ორივე მხრიდან) გამარჯვების შემდეგ რომაელები მაინც გადავიდნენ ჩრდილო აფრიკაში და კართაგენსაც შეუტიეს მძლავრად, გარნა დამარცხდნენ მაინც ბოლოში!. გადარჩენილი მეომრების გამოსაყვანად გაგზავნილმა რომის ფლოტმა სასტიკად დაამარცხა დამხვდური კართაგენელების ფლოტი, მაგრამ ქარიშხალმა მოუსწრო გზად, შინისკენ მიბრუნებულს და გაუნადგურა უმეტესი გემი და მთელი გადარჩენილი ჯარი... ...

ომი კი გრძელდებოდა, მაგრამ ვერცერთი მხარე ვერ აღწევდა გადამწყვეტ გამარჯვებას – მეორე მხარის სრულ დანებება-მორჩილებას.. რომაელებმა სწრაფად აღადგინეს სამხედრო ფლოტი; თანდათან დაიპყრეს მთელი სიცილია; დამარცხდნენ კიდეც კართაგენელებთან საზღვაო ბრძოლაში (დიდი დანაკარგებით), მაგრამ მალევე ააგეს ახალი ფლოტი; კიდევ ერთხელ შეებრძოლნენ კართაგენელებს, დაამარცხეს ისინი და აიძულეს კართაგენი სრულად გაეყვანა სამხედრო დანაყოფები კუნძულიდან და დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები!.. დადებული საზავო ხელშეკრულების მიხედვით: კართაგენმა დიდი კომპენსაცია („რეპარაცია“) გადაიხადა, ხოლო სიცილია რომს მიუერთდა და მის პროვინციად (მხარედ) გადაიქცა უკვე!. – ეს პირველი პროვინცია იყო, რომელსაც რომი დაეუფლა თავის აღმავალ გზაზე... აქედან დაწყებული რომი წამყვანი სამხედრო ძალა გახდა დასავლეთ და (თანდათან) მთელი ხმელთაშუა ზღვის არეალში; მისმა ძალისხმევამ სამხედრო ფლოტის შექმნაში (ათასამდე სამხედრო გემის აგება და ამოქმედება ომის მსვლელობის თანად!!) ფუძე ჩაუყარა რომის ზღვაზე ბატონობას შემდეგი 600 წლის განმავლობაში; ამ სასტიკი ომის შედეგად არ შეწყვეტილა სტრატეგიული დაპირისპირება მხარეებს შორის, მათი ჭიდილი პირველობისთვის, რამაც მეორე პუნიკური ომი მოიტანა არც თუ შორ დროში.....

– რომისა და კართაგენის პირველმა ფრონტალურმა შეჯახებამ მნიშვნელოვნად შეცვალა, პალიკო, მხარეთა მდგომარეობა და საერთო ვითარება ხმელთაშუა ზღვაზე (როგორც ეს თანსდევს იმპერიულ ომს), მეტადრე მის დასავლეთ არეალში, მაგრამ არა გადამწყვეტად, მხოლოდ ნაწილობრივ: რომი სიცილიას დაეუფლა და მიითვისა ის, ზღვაზეც გავიდა დიდი ბრძოლების გავლით; კართაგენმა კი დაკარგა ეს სტრატეგიული კუნძული და ზღვაოსნობაზე მეურვეობა ხმელთაშუა ზღვაში, ესე მიჩვეული და შეთვისებული საუკუნეებში!. უფრო მნიშვნელოვანი აქ კიდევ სხვა იყო, პალიკო: ახალი მიმართებები მხარეების: ზეაღმავალი და გაშლა-განფენას მოწყურებული რომი და თავისი სამკვიდროს და სანახების შენარჩუნე-

ბას დაშურებული კართაგენი; გამარჯვების გემოთი აღტყინებული რომაელები და დამარცხებანაწვნევი და წაგებაგემებული კართაგენელები – აქ ჯერ წინ იყო საქმის გარჩევა, გრძელი...

– უცნაურად იყურება, პალიკო, დამდგარი რეალობა, მეტადრე იმ ფონზე, რომ პიროსთან ომის შემდეგ მეტად კარგი ურთიერთობა დამყარდა რომსა და კართაგენს შორის, აღნიშნულად მეგობრული, ღიადაც რომ აცხადებდა ორივე მხარე, თანავ ძლიერი კომერციული კავშირებიც ჩამოყალიბდა მათ შორის ამ დროს!. გარკვეულწილად, რომის ექსპანსიურმა განწყობამ (სამხრეთ იტალიის რომაელების კონტროლქვეშ გადასვლის შემდეგ) და კართაგენის მესაკუთრულმა დამოკიდებულებამ სიცილიის მიმართ მოიტანა მათი დაპირისპირება, პალიკო, თანდათანობით, ომში გადასული თითქოსდა უნებურად, უფრო შემთხვევის ძალით, ვიდრე წინაგანზრახვით და გამიზნებით!.. უშუალო მიზეზი აქ სიცილიის ერთ დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოზე, მესანაზე კონტროლის საკითხი იყო მხოლოდ, რომლიდანაც დაიწყო პირველი პუნიკური ომი – ისევ შემთხვევის ძალით, პალიკო, მისი მოსილებით მოვლენათა განვითარება განსაზღვრული (საჭირო) გზით...

– ეს ორი განსხვავებული იმპერიული ძალის გადაკვეთა იყო, პალიკო, დროსივრცის მოცემულ ნასკვში: სხვადასხვა წყობის და მიმართების, სხვადასხვა სოფლხედვის და მისწრაფების: სამხედრო-პოლიტიკურ ბატონობაზე მომართული და აწყობილი რომის, და ეკონომიკურ-პოლიტიკურ ძლიერებაზე დამყარებული და დაიმედებული კართაგენის.. ისინი სხვადასხვა მხარეს ეწეოდნენ წუთისოფელს, პალიკო, სხვადასხვა ცხოვრებას, სხვადასხვა მერმისს, ერთად ვერ მოთავსდებოდნენ და დაეტეოდნენ ვერსად, ვერაფრით – ვერარად გახსნიდნენ განასკვულ კვანძს!.

– ანტიკური ხანისთვის ჩვეული იყო, პალიკო, სამხედრო-პოლიტიკურ ძალაზე დაყრდნობით შექმნა იმპერიის და მის ჩარჩოში მოქცევა მერე სახელმწიფოებრიობის.. რომიც სრულად მიჰყვებოდა გაკვალულ გზას, მაგრამ არა კართაგენი, რომელიც ამოვარდნილი იყო ამ კონტექსტიდან, ამ ცნობის ბადიდან, თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკურ ძლიერებაზე და შეთანხმება-გარიგებებზე დაფუძნებული იმპერიით, რომლის შესაქმნელად მას წესიერად არც უომია!!. ის უცხო სხეული იყო, პალიკო, ამ გარემოსთვის, აქ დამკვიდრებუილი მიდგომებისთვის, უცნაური და გაუგებარიც, ღათუ ამ უცნაურობის და „უცხოობის“ ხიბლით გადიოდა ის საუკუნეებში ფონს: რამეთუ მისგან სულ ახალს ელოდნენ და ღებულობდნენ, პალიკო, რამეს საჩინოს და ნიშანდობლივს; რამეთუ კართაგენელებისგან ბევრის სწავლა და გაგება შეიძლებოდა, ბევრის გადაღება, თან თავისთავად, ურთიერთქმედებით, ურთერთ მორიგებით.. გარნა ეს დროება დასრულდა მაინც, ამოიწურა: ახალი იმპერიული ძალები გამოჩნდნენ უკვე ასპარეზზე...

– კართაგენი ვერ მოემზადა, პალიკო, შესატყვისად, მათ შესახვედრად და შესაჭიდად.. მისი იმპერიული მიზანმიმართება არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნებაზე იყო უფრო მიმართული, მაშინ როცა რომი ასპარეზის გასუფთავებას ლამობდა და მასზე დამკვიდრებას ესწრაფოდა მთელი ძალ-ღონით!. ის სულ უტევდა, პალიკო, პირველ პუნიკურ ომში, სულ ხელში ჰქონდა ბრძოლის სადავეები,

კართაგენი კი თავს იცავდა უმეტესად, ღათუ პასუხობდა ყველა შესაძლო საშუალებით.. ინიციატივა სულ ერთ მხარეს იყო – რომის, კართაგენი მას მიჰყვებოდა და ეწინააღმდეგებოდა თავგამოდებით.. ეს კიდევ სხვა ომი იყო, პალიკო, გრძელი და უწყვეტი, ქანცის გამწყვეტი, არა ის, პიროსის „ლაშქრობა-ომი“ – კართაგენი არ იყო მისთვის მომზადებული...

ომის დამთავრებას დაქირავევებული ჯარების ამბოხება მოჰყვა კართაგენის დამცრობილ იმპერიაში, რომელსაც მასზე დაქვემდებარებულმა სხვადასხვა ქალაქმაც აუბა მხარი (სარდინიის გარნიზონმა, მათ შორის), ღათუ უნაყოფო და წარუმატებელი მათთვის: ოთხი წელი (241-237, ძველი წელთაღრიცხვის) წაიღო ამ ომმა თან... მან ღრმა პოლიტიკური ცვლილებები მოიტანა კართაგენში, არა ახალ გარემოებებზე მორგებული და მომართული, არა აუცილებლობით მოგებული და განხორციელებული, არამედ ფაქტობრივად დამდგარი, თავისთავადი, ამ გარდახდილი ომის შედეგი!.. მის შემდეგ: კართაგენმა ვეღარასოდეს დაიბრუნა კონტროლი ჯარზე – მის გენერლებს, სარდლებს, მხედართმთავრებს ჯარები თავად ირჩევდნენ უკვე, რაც მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას და ძალაუფლებას აძლევდა მათ!. უწინარესად ჰამილკარ ბარკასთან გამოჩნდა ეს, მის აღზევებასთან ერთად, რომლის გამარჯვებამ ამბოხებულებზე დიდად გაზარდა „ბარკიდების ოჯახის“ წონა და ძალმოსილება კართაგენში, სადაც სწორედ ბარკიდები და პოპულარული ასამბლეა კარნახობდნენ და განუსაზღვრავდნენ შემდგომ დღის წესრიგს ძველ სახელისუფლებო ინსტიტუტებს, სენატს და ტრიბუნალს, ხოლო ჰამილკარის მიერ იბერიაში გადაყვანილი სამხედრო დანაყოფები ბარკიდების კერძო ჯარად გადაიქცა უბრალოდ, კართაგენელების სამხრეთიბერიული სამფლობელოებები კი ბარკიდების ოჯახის ნახევრადავტონომიურ ფეოდალურ ქვეყნად გადაიქცა ამ დროს.. ანუ: კართაგენის სახელისუფლებო სისტემამ (ვინძლო ცივილიზაციამაც) თავისი მთლიანობა დაკარგა აქ...

– ცალკე ამბავია, პალიკო, რომის ქცევა და ქმედება ამ პერიოდში... ის ყოველმხრივ გაემიჯნა ამბოხებულებს და ყველა გზით ეცადა არ გარეულიყო მათ ამბებში, გარიდებოდა რაიმე სარგებლის ძებნას და მიღებას კართაგენელებს დატეხილი ძნელბედობისგან!!. უფრო მეტიც, მან: აუკრძალა იტალიელებს ამბოხებულებთან ვაჭრობა, პალიკო, და პირიქით, ხელს უწყობდა კართაგენელებთან ვაჭრობაში; 3000-მდე კართაგენელი ტყვე გაანთავისუფლა უსასყიდლოდ და გადასცა კართაგენს, რომელმაც დაუყოვნებლივ ჩარიცხა ისინი ჯარში; უფლება მისცა რომის სატელიტი სირაკუზის მეფეს საკვების დიდი მარაგი მიეწოდებინა კართაგენელებისთვის, რომელსაც ვეღარ იღებდნენ ისინი საკუთარი სანაპირო ზოლიდან!. მან უარი უთხრა, პალიკო, ამბოხებულებს (იგივე სარდინიის გარნიზონს) დახმარების გაწევაზე და უარით გაისტუმრა კართაგენული უტიკას და ჰიპოს წარმომადგენლებიც, რომლებმაც რომს შესთვაზეს ეს ქალაქები... მატიანე არაფერს ამბობს რომაელების მოაზრებაზე და ნაფიქრალზე ამ გადაწყვეტილებების მიღების უკან.. ...

– გარნა ეს შეიცვალა 237 წელს, ძველი წელთაღრიცხვით.. ამ დროს სარდი-

ნიის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ განდევნილმა და იტალიას თავშეფარებულმა სარდინიის გარნიზონმა კიდევ ერთხელ მიმართა დახმარებისთვის რომს და რომმაც ყურად იღო მათი თხოვნა და ლაშქრობაც მოამზადა სარდინიის და კორსიკის დასაკავებლად, მალევ!. გაურკვეველი დარჩა მხოლოდ, პალიკო, თუ რატომ მოიქცნენ რომაელები ესე განსხვავებულად ამ ჯერზე, საპირისპიროდ, კართაგენთან დადებული საზავო შეთანხმების პირობების სრული დარღვევით!..

– კართაგენმა სამხედრო ექსპედიციის მომზადება დაიწყო საპასუხოდ, სარდინიის კუნძულის დასაბრუნებლად (300 წელი რომ ეკავა), პალიკო, მაგრამ ელჩიონი გაგზავნა მანამდე რომში, მისი გადაწყვეტილების შეცვლის იმედად.. მათ ცივი უარი მიიღეს რომის სენატისგან, რომელმაც (თავის მხრივ) ომის აქტად გამოაცხადა კართაგენის სამხედრო მზადება და აქეთ მოსთხოვა კართაგენელებს სარდინიის და კორსიკის დათმობა და დანაკარგების ანაზღაურების გარანტია, როგორც დამატებითი პირობები საზავო შეთანხმების გასაგრძელებლად, პალიკო!. და კართაგენიც იძულებული გახდა მიეღო ეს პირობები (მშვიდობის შესანარჩუნებლად), დათანხმდა მათ.. ანუ: მხარეების დაპირისპირება ისევ დაიწყო, შუღლი განახლდა, ღათუ ამის საფუძველი თითქოს არსად ჩანდა.. ის მეორე პუნიკურ ომამდე მივიდა ბოლოს, თავისთავად, რომელზეც ძველი წელთაღრიცხვის 2018-2001 წლები დაიხარჯა...

ომის საფუძველი ჰანიბალ ბარკას (ჰამილკარის შვილის) მიერ ესპანეთში რომის მოკავშირე ქალაქი სეგუნტუმის დაკავება და გაძარცვა გახდა (218 წლის გაზაფხულზე, ძველი წელთაღრიცხვით), რასაც რომის მხრიდან კართაგენთან ომის გამოცხადება მოჰყვა დაუყოვნებლივ.. იმავე წელს, გვიანი შემოდგომით ჰანიბალი ჩრდილოეთ იტალიაში გადავიდა, ხმელეთით, ჯარით და ჩრდილოაფრიკული საომარი სპილოებით, იბერიის და გალიის გავლით და ალპების გადაკვეთით ზამთრის პირზე!.. აქ მათ გალელი მოკავშირეები შეუერთდნენ თავისი ძალებით, მნიშვნელლოვნად გაზარდეს რა და გააძლიერეს კართაგენელების ჯარი, რომლითაც ჰანიბალმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა რომაელებზე, სასტიკად დაამარცხა რა მათი უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი მდინარე ტრებიასთან ბრძოლაში – იმავე წლის დეკემბერში უკვე, მის მეორე ნახევარში.. კიდევ უფრო მეტი გალელი შეუერთდა კართაგენელების ჯარს ამ ბრძოლის შემდეგ... შეშფოთებულმა რომაელებმა ცენტრალურ იტალიაში მიმავალი დასავლეთის და აღმოსავლეთის გზები გადაუღობეს კართაგენელებს, ორი არმიით, რომამდე რომ არ მიეშვათ ისინი, ჰანიბალმა კი აპენინების მთები და ასევე ძნელად გადასასვლელი მდინარე არნო გადაკვეთა პასუხად, რამდენიმედღიანი უწყვეტი მარშით გაიარა ეს ძნელად სავალი გზები, იქაურობის აოხრებას და გაპარტახებას მიჰყო მერე ხელი, რომაელების ჯარი რომ გამოეწვია ღია ბრძოლაში და რომის იქაური მოკავშირეებისთვის ეჩვენებინა კიდევ, რომ რომი უკვე ვეღარ დაიცავდა მათ!. ბოლოს ეს ბრძოლაც შედგა, ტბა ტრასიმენესთან (217 წლის ივნისში, ძველი წელთაღრიცხვით), რომელშიც ჰანიბალმა კვლავ სასტიკად დაამარცხა რომაელები და გზაც გაინთავისუფლა რომზე მისასვლელად, გარნა არ გააკეთა ეს, არ შეუტია რომს, რადგან არ ჰქონდა საალყო არტილერია, საშუალებები ქალაქზე შეტევისთვის და არც

საკმარისი ძალები ხანგრძლივად ალყის შემორტყმისთვის.. ამას მან ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში თარეში არჩია, მიგარდმო ტრიალი, რომის ბატონობა რომ შეერყია ამ მხარეებში და ადგილობრივები აემხედრებინა მის წინააღმდეგ!. რომაელები ერიდებოდნენ კართაგენელებთან პირდაპირ ბრძოლაში შესვლას ამ დროს, პატარა შეტაკებებით და შეხლა-შემოხლით იფარგლებოდნენ უფრო, ამ სტრატეგიას მისდევდნენ ამ პერიოდში, ჰანიბალის ძალების თანდათანობითი დალევის და გამოფიტვის იმედით და ვარაუდით; ის კი განაგრძობდა იტალიის ყველაზე მდიდარ და ბარაქიან პროვინციებში ბრიალს და თარეშს, მათ გაჩანაგებას და გაპარტახებას, როგორმე რომ დაეთანხმებინა რომაელები დიდ ორთაბრძოლაზე და შერკინებაზე, რომელსაც ისინი გაურბოდნენ ესე გამეტებით!.. რომშიც სულ უფრო იზრდებოდა უკმაყოფილება ამ გაუთავებელი პატარ-პატარა შეტაკებებით, რომლებიც გრძელდებოდა და გრძელდებოდა, მაგრამ არას იძლეოდა, რამეს ხელშესახებს და მათაც შეცვალეს ეს სტრატეგია, დროის წამღები და გამთანგველი, არას მომცემი. დიდი ჯარი შეკრიბეს ბოლოსდაბოლოს (90000-მდე ჯარისკაცის რიცხოვნობით) და ჰანიბალთან შესახვედრად გაგზავნეს იგი, მასთან შესაბმელად და დასაძლევად.. ბრძოლა ღია ველზე გაიმართა, სოფელ კანაესთან ახლოს, სამხრეთ-დასავლეთ იტალიაში, 216 წლის აგვისტოს დასაწყისში (ძველი წელთაღრიცხვით).. რომაელები ისევ მწარედ დამარცხდნენ, წააგეს ბრძოლა, დიდძალი ჯარი დაკარგეს, დახოცილი და ტყვედჩავარდნილი, 70000-მდე მეომარი ერთად...

რიგი ქალაქი-სახელმწიფო მიემხრო ჰანიბალს სამხრეთ იტალიაში კანაეს ბრძოლის შემდეგ და ძველი წელთაღრიცხვით 214 წლისთვის მისი დიდი ნაწილი განუდგა კიდეც რომს, ღათუ ისინი არ იყვნენ ერთიანები არც კართაგენელებთან, არც ერთმანეთში, ამასთან ერთად, რომის უმეტესი მოკავშირე (სამხრეთ იტალიაშიც) მისი მომხრე და ერთგული რჩებოდა ამ პირობებშიც, რაც ართულებდა ჰანიბალის მოქმედებას, ხელს უშლიდა რამდენადმე ერთიანი ფრონტის შექმნას რომის წინააღმდეგ, თანავ, რომაელები სულ ახალ და ახალ ლეგიონებს ქმნიდნენ ამასობაში, შეუჩერებლად, შეუნელებლად, შედარებით პატარა არმიებად კრებდნენ მათ (20000-მდე მეომრით თითოეულში) და ანაწილებდნენ სხვადასხვა მხარეში, სადაც ისინი უშუალოდ ხვდებოდნენ და უპირისპირდებოდნენ კართაგენელებს და თუმც დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ მათ, მაინც ხელს უშლიდნენ მათ მოძრაობას და მოქმედებას იტალიაში, ზღუდავდნენ მნიშვნელოვნად!.. ესე გრძელდებოდა წლები, თანდათან ვიწროვდებოდა ჰანიბალის სამოქმედო ველი, სამხრეთ იტალიამდე დავიდა საბოლოო ჯამში, მით მოიფარგლა მისი ასპარეზი და 207 წლისთვის (ძველი წელთაღრიცხვით) ის უკვე იტალიის უკიდურეს სამხრეთს მიებჯინა, მით მოისაზღვრა მხოლოდ, მას მიმხრობილი ქალაქი-სახელმწიფოები კი რომს მიუბრუნდნენ უმეტესლად, კვლავაც მოექცნენ მის საწიერში...

– თავისებური იყო ეს ომი, პალიკო: ის კართაგენელებმა დაიწყეს, გარნა რომაელებმა გამოაცხადეს, დაარქვეს თავისი სახელი; უფრო ზუსტად, ბარკას ოჯახმა დაიწყო საომარი მოქმედებები, არა კართაგენმა, როგორც ასეთმა (როგორც სახელმწიფომ), როცა მათ სამფლობელოებს საფრთხე დაემუქრა რომისგან ესპანეთში; თითქოს ამ ხიფათის ასაცილებლად და უვნებელსაყოფელად გადავიდა

კიდეც ჰანიბალი იტალიაში, მაგრამ თხუმეტი წელი იბრიალა მერე ამ ქვეყანაში!.

– უთავბოლო იყო, პალიკო, ჰანიბალის კამპანიაც იტალიაში, გაუმართავი: მისი მიზანმიმართება და ამოცანები, ერთიანი ხაზი მოქმედებების.. ის ჯერიჯერ ამარცხებდა რომაელებს; ბევრი მიიმხრო თავის მხარეს თანდათანობით (ჯერ გალელები, მერე გზადაგზა სხვადასხვა ადგილობრივი ქალაქი-სახელმწიფოც..); მაკედონიის მეფეც მისი მოკავშირე გახდა რომის წინააღმდეგ ბრძოლაში და ომშიც ჩაება რომაელებთან, წლები რომ გაგრძელდა შემდეგ; ცენტრალურ იტალიაშიც გადავიდა ჰანიბალი, პალიკო, და რომზე მისასვლელი გზაც გაიკვალა, მაგრამ ვერ მივიდა ქალაქზე შეტევით, ის ვერ დაიკავა; თარეშს დასჯერდა სანაცვლოდ სამხრეთ იტალიაში, გარნა მის უკიდურეს სამხრეთში აღმოჩნდა მოქცეული ბოლოს და ბოლოს, მით მოსაზღვრული!..

– ჰანიბალი თითქოსდა ელოდა, პალიკო, რომ რომაელები, ამ საფეხურზე თუ არა, შემდეგზე, დღეს თუ არა ხვალ, ადრე თუ გვიან ზავის დადებას სთხოვდნენ მას, მასთან ბრძოლით და დამარცხებებით გათანგულები და დათრგუნულები, დამცრობილები და ესე თავისთავად, ბუნებრივად დასრულდებოდა მაშინ ამ ჯერის ომი, მისი გადასვლა და ლაშქრობა იტალიაში, მაგრამ რომი არ ჩქარობდა მშვიდობის ძებნას, არ ნებდებოდა და არც დამარცხებას ეპუებოდა, ისევ და ისევ ფეხზე დგებოდა, პალიკო, ძალებს იკრებდა და უკან ბრუნდებოდა: აქ პატარა შეტაკებებში ჩაითრევდა ჰანიბალს, იქ ღია ბრძოლაში შეერკინებოდა; აქ გზას გადაუღობავდა და ძნელად სავალს გაუხდიდა მას, იქ კართაგენელებს მიმხრობილ თუ მათ მიერ დაკავებულ და დაქვემდებარებულ ქალაქებს უკან იბრუნებდა; აქ მაკედონელებთან ომი შეხლა-შემოხლაზე დაიყვანა, პალიკო, პატარა შეტაკებებზე, დროში გაწელა და გაანელა, იქ ჰანიბალის მხარეზე დამდგარი სარდინიელების აჯანყება ჩაახშო და კუნძული ისევ დაიმორჩილა; სიცილიის კუნძულიც არ დაუთმო ამასობაში კართაგენელებს, ისიც შეინარჩუნა!.. და ასე შემდეგ და ამდაგვარად, წლები და წლები, გაუთავებლად და გაუჩერებლად, რომი არა და არ ნელდებოდა, თან სულ ახალ გზებს და საშუალებებს ნახულობდა, ჰანიბალთან ბრძოლის ახალ ხერხებს და მეთოდებს იყენებდა და სულ იწრთობოდა და იწრთობოდა, ფეხზე დგებოდა და ძლიერდებოდა და თანდათანობით ახალ, მძლავრ რომად ყალიბდებოდა.....

– მართლაც თავისებური იყო, როგორღაც, ეს ომი, პალიკო, რომელსაც თვითონ კართაგენი ესე გულდაგულ არ მიჰყოლია, არ მიუღია მასში მონაწილეობა პირდაპირ, ზედმეტად არ დახარჯულა, რეცა თვალყურს ადევნებდა გარედან, გვერდიდან უფრო და სიცილიაში მისი შეჭრაც (ჰანიბალის იტალიაში თარეშის კვალად) უფრო ვითარების გამოყენება იყო მისგან, კუნძულის უკან დაბრუნების, მისი ისევ ხელში ჩაგდების ცდა და წადილი, ვიდრე ჰანიბალის მისაშველებლად განხორციელებული რამე ლაშქრობა!. ამ ომში ბარკას ოჯახი იბრძოდა ისევ, სინამდვილეში, იბერიაში დაბუდებული, თავგადადებულად და დაუზოგავად, თავგანწირულად და იგივე ჰანიბალის ძმები იყვნენ, პალიკო, სწორედ, მასთან მისვლა რომ სცადეს და შეშველება (ჯერ ჰასდრუბალმა და მერე მაგომ) და რადგან ზღვაზე უკვე რომი ბატონობდა ამ დროს, ის აკონტროლებდა იქ ზღვაოსნობას, ისინიც ხმელეთით გადავიდნენ იტალიაში, იგივე ალპების გადაკვეთით: ჰანიბა-

ლის შესახიდად და მისახმარებლად, მისი ძალების შესავსებად, ღათუ როგორღაც უგეგმოდ, აბნეულად, გაუმართავად..

– მეტადრე ჰასდრუბალი, პალიკო, რომელიც საკმაოდ დიდი ჯარით და საალყო არტილერიით შეიარაღებული გადავიდა იტალიაში (207 წლის გაზაფხულზე, ძველი წელთაღრიცხვით) ჰანიბალთან შესაერთებლად და მასთან ერთად რომზე მისასვლელად, მაგრამ შიკრიკის გაგზავნაც ვერ მოახერხა მასთან, ხმა ვერ მიაწვდინა, ალპებზე მისი გადმოსვლის ამბავი ვერ შეატყობინა და ვერ გააგებინა, და ჰანიბალმაც ვერა შეიტყო ჰასდრუბალის იტალიაში ყოფნის შესახებ, მის შესახვედრად ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რომაელებმა კი ისარგებლეს მდგომარეობით, ღონეც იხმარეს, ცნობა რომ არ მისვლოდა ჰანიბალს დრომდე, დამატებითი ჯარი გაგზავნეს ჩრდილოეთ იტალიაში, უჩუმრად, ფარულად, გაერთიანებული ძალებით დაუხვდნენ ჰასდრუბალს ადგილზე და გაანადგურეს, თვითონ ჰასდრუბალიც იქ დაიღუპა!..

– 205 წელს (ძველი წელთაღრიცხვით) უკვე მაგო გადავიდა, პალიკო, იტალიაში (მის ჩრდილო-დასავლეთში), იმავე გზის გავლით, მისი ძმებისგან გაკვალულით: პირენეის მთების ჩრდილო-დასავლეთი გასასვლელით; გალიით; და მერე ალპების გადაკვეთით... გზად მას გალელები და ლიგურიელები შეუერთდნენ მრავლად და ამგვარად გაძლიერებული ჯარით მაგო გალელების მთავარი მიწებისკენ (მდინარე პოს ველი) დაიძრა, მაგრამ მას რომაელების დიდმა ჯარმა გადაუღობა გზა, არ გაატარა.. გაჩაღებულ ბრძოლაში (203 წელი, ძველი წეთაღრიცხვით) აქაც რომაელებმა გაიმარჯვეს, პალიკო, მაგო დაამარცხეს და მისი შემდეგი მოძრაობაც შეაჩერეს...

იტალიაში ჰანიბალის სამოქმედო არის შეზღუდვასთან ერთად, რომაელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კართაგენელების მოქმედებებს იბერიაში, მეტადრე რომ აქ ისინი მეორე კართაგენულ ცენტრს ქმნიდნენ ფაქტობრივად, ბარკიდების ოჯახის ძალისხმევით, რომელმაც კართაგენაც დააარსა უკვე („ახალი კართაგენი“) ამ დროისათვის: სამხრეთ-დასავლეთ იბერიაში, ძველი წელთაღრიცხვით 227 წელს.. რომაელების უმთავრესი ამოცანა აქ ასეთი იყო – არ დაეშვათ ჰანიბალის ძალების შევსება იბერიიდან.. უწინარესად მათ საზღვაო კონტროლი გაამკაცრეს ზედმიწევნით, რამაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა კართაგენელთა მიერ ჯარის და სამხედრო აღჭურვილობის გადატანა გემებით იტალიაში; მეორეს მხრივ, ომის დასაწყისშივე (ძველი წელთაღრიცხვით 217 წელს) რომაელებმა მდინარე ებროსა და პირენეის მთებს შორის მოქცეული არე დაიკავეს (ჩრდილო-აღმოსავლეთ იბერიაში), რითიც იბერიიდან იტალიაში გადასასვლელი გზაც გადაკეტეს – მხოლოდ ალპების გადაკვეთით შეიძლებოდა ამის შემდეგ იტალიაში გადასვლა ხმელეთით!.. ესე გრძელდებოდა წლები, ვიდრე არ გამოჩნდა სციპიო აფრიკანუსი (რომაელი გენერალი და მომავალი კონსული), რომელმაც გადაწყვიტა არსებითად მეორე პუნიკური ომის ბედი...

ძველი წელთაღრიცხვით 210 წელს გადავიდა სციპიო იბერიაში, რომაელების შემდგომი გაძლიერებისთვის ამ ქვეყანაში; 209-ში მან კართაგენა დაიკავა უკვე

და დიდძალი ოქრო, ვერცხლი და საალყო არტილერია ჩაიგდო კიდევ ხელში; 208-ის გაზაფხულზე ჰასდრუბალი შეებრძოლა მას და დამარცხდა, გარნა შეძლო ჯარის ძირითადი ნაწილის გამოყვანა ბრძოლის ველიდან სამშვიდობოზე; 206 წელს სციპიომ გადამწყვეტი ბრძოლა გამართა კართაგენელებთან და დაამარცხა ისინი (მიუხედავად მათი ჯარის მრავალრიცხოვნობისა), რამაც განსაზღვრა კიდეც კართაგენელების შემდგომი ბედი იბერიაში: მან დაასრულა მათი ზეობა ამ ქვეყანაში... 205-ში მაგოს ბოლო ცდა ჰქონდა შემოებრუნა მდგომარეობა, ახლიდან აეღო კართაგენა, მაგრამ რომაელებმა მოიგერიეს მისი შეტევა და დარჩენილი ჯარით მანაც დატოვა იბერია.....

ძველი წელთაღრიცხვით 205 წელს რომის სენატმა სციპიო კონსულად აირჩია, რამაც მას საშუალება მისცა ჯარის მომზადება დაეწყო აფრიკაში გადასასვლელად.. აფრიკაში ის 204 წელს გადავიდა და უტიკასთან დაბანაკდა (40-მდე კილომეტრში კართაგენიდან).. აქ მან კართაგენელების და მათი მოკავშირე ნუმიდიელების გაერთიანებულ ჯართან გამართა ბრძოლა და გაანადგურა ისინი!.. მოკავშირეებისგან მიტოვებულმა და რომაული ჯარით გარსშემორტყმულმა კართაგენელებმა სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყეს რომაელებთან, თანავ (ამავდროს) მათ ჰანიბალი და მისი ჯარი გამოიწვიეს იტალიიდან და თუმც სციპიომ ზომიერი და მისაღები საზავო პირობები წარუდგინა კართაგენს (რომის სენატმაც დაამტკიცა შეთანხმებული ხელშეკრულება), ჰანიბალის კართაგენში გადასვლის შემდეგ კართაგენელებმა მოულოდნელად უარი თქვეს მათ მიღებაზე, შეწყვიტეს მოლაპარაკებები და ისევ ომის ყაიდაზე გადაეწყვნენ, მისთვის გაემზადნენ!. ...

ეს ბრძოლაც გაიმართა, მხარეების ბოლო შერკინება მეორე პუნიკურ ომში, სციპიოსა და ჰანიბალის უშუალო პირისპირობით, 202 წლის ოქტომბერში, ძველი წელთაღრიცხვით, ზამასთან ახლოს (დღევანელ ტუნისში), 160 კილომეტრში კართაგენიდან: მძიმე ბრძოლა ორივე მხარისთვის, რომელიც კართაგენელების სრული დამარცხებით დასრულდა; მხოლოდ ჰანიბალმა შეძლო მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად ბრძოლის ველიდან თავის დაღწევა და სამშვიდობოს გასვლა.....

– ესე შემოუარეს, პალიკო, რომაელებმა ჰანიბალს: იტალიაში ვერა დააკლეს და კართაგენში დაბრუნება აიძულეს ბოლოს, ამ გზით მოახერხეს მისგან თავის დაღწევა და განთავისუფლება, თხუთმეტწლიანი ძალისხმევის შემდეგ!!..

– უცნაური გამოვიდა, პალიკო, ისევ, მთელი ეს „პუნიკური“ მეცადინეობა კართაგენელების, რომელიც რეალობაში რომის რომად გადაქცევას მოემსახურა: პირველმა პუნიკურმა ომმა რომს თავისი თავი აპოვნინა, რასაც მან არაჩვეულებრივი შეგირდობით და კართაგენელების ცოდნა-გამოცდილების ათვისებით და გათავისებით მიაღწია; მეორე პუნიკური ომიდან ის უკვე გამოწრთობილი, გამობრძმედილი და ზე-ორგანიზებული სახელმწიფო გამოვიდა, გამზადებული აღზევებისთვის!..

– კართაგენი კი რომს დაქვემდებარებულ, მის სატელიტ სახელმწიფოდ გადაიქცა, პალიკო, ამ დროს, რომელსაც: დაეკისრა დაეტოვებინა ყველა ზღვის იქითა და ზოგიერთი აფრიკული ტერიტორიაც და რომისთვის ზარალის ანაზღაურების გარანტიაც ეხადა 50 წლის მანძილზე; აეკრძალა საბრძოლო სპილოების ყოლა

და მოეთხოვა სამხედრო ფლოტის 10 გემით მოფარგვლა ოდენ; აეკრძალა ომის წარმოება აფრიკის გარეთ და იქაც მხოლოდ რომის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე ემოქმედა...

– პრაქტიკულად, რომმა უკვე ყველაფერი მიიღო, პალიკო, ამ ომებით კართაგენისგან, რისი მოგებაც შეეძლო მისგან, სხვამხრივ კართაგენი მას აღარ ესაჭიროებოდა, ხელსაც უშლიდა მისი არსებობა თითქოს, მიუხედავად მისი დამცრობისა, რადგან ის მაინც ცენტრად რჩებოდა: განვითარებული ეკონომიკით და განსხვავებული ცივილიზაციით, ცალკე ფენომენი ანტიკურ სამყაროში, გამორჩეული: თან რომ გიზიდავს, თან კიდეც გშურს – გაღიზიანებს როგორღაც!. რეცა საფრთხედაც აღიქვამ შენი მერმისისთვის, მეტადრე როცა იმპერიას ქმნი და მის დამკვიდრებას ეშურები..

– ვინძლო ამ განწყობის გამოძახილი იყო, პალიკო, დაჟინებული მოწოდება, რომის სენატში რომ გაჩნდა და ისმოდა მესამე პინიკური ომის წინარე წლებში (გამეორებული და გამეორებული უფროსი სენატორის, კატო ცენზორის მიერ): „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ „უნდა დაინგრეს!“ „უნდა დაინგრეს!..“ ლოგიკურად მივიდა ის, ეს მდგომარება, შემდეგ ნაბიჯამდე: კართაგენთან კიდევ ერთი ომის გაჩაღებამდე...

ეს ყველაზე მოკლე ომი იყო პუნიკურ ომებს შორის, ოთხ წლამდე გაგრძელდა სულ (149-46, ძველი წელთაღრიცხვით) და მთლიანად კართაგენის ტერიტორიაზე წარიმართა (დღევანდელი ჩრდილო ტუნისი).. საბაბად აქ კართაგენელების მიერ ჯარის შეკრება და 151 წელს რომის მოკავშირე ნუმიდიელებთან შებრძოლება იყო (რომაელებისგან ნებართვის მიღების გარეშე), რომლებიც სარგებლობდნენ კართაგენის უუფლებობით და ჯერიჯერ ესხმოდნენ მას თავს, იტაცებდნენ მის ტერიტორიებს, ეცილებოდნენ, რომი კი უარით პასუხობდა კართაგენელების ყველა მიმართვას, პეტიციას ამ ქმედებებზე და ბოლოსდაბოლოს (ზავის დადებიდან 50 წლის შემდეგ) კართაგენელებმა სამხედრო ძალა გამოიყენეს ნუმიდიელების შესაჩერებლად, გარნა დამარცხდნენ ბრძოლაში სასტიკად!. ამ დროისათვის კართაგენმა სრულად გადაუხადა რომს ზარალის ანაზღაურების გარანტია და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე დადგა ისევ, მაგრამ არანაირ სამხედრო საფრთხეს ის რომისთვის უკვე არ წარმოადგენდა.. მიუხედავად ამისა, რომმა სადამსჯელო ექსპედიციის მომზადება დაიწყო და კართაგენელების ელჩიონის მათთან მივლინების მიუხედავად, მაინც ომი გამოუცხადა კართაგენს, ძველი წელთაღრიცხვის 149 წელს...

დიდძალი რომაული ჯარი და ფლოტი გადავიდა უტიკაში იმავე წელს, სულ ახლოს კართაგენთან.. კართაგენელებმა კიდევ სცადეს რომაელებთან მოლაპარაკება, მათი უმეტესი მოთხოვნაც შეასრულეს (უამრავი იარაღი გადასცეს რომაელებს და გემებიც კი მიიყვანეს უტიკას ყურეში, რომლებიც მათ დაწვეს ერთიანად!.), მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ და ომი დაიწყო... რომაელებმა კართაგენს შეუტიეს პირდაპირ, მაგრამ ვერ დაძლიეს მისი დამცავი კედლები, მკვიდრად ნაგები მრავალშელონიანი სიმაგრეები და ალყა შემოარტყეს მას ირგვლივ.. ქალაქს სახალხო ლაშქარი იცავდა შიგნიდან, მაგრამ მასთან ერთად კართაგენელებმა საველე ჯარიც შექმნეს, რომელიც ქალაქიდან 25-30 კილომეტრში დაბანაკდა:

ის რომაელების ჯარის მომარაგების და კომუნიკაციების გზებს აკონტროლებდა იქიდან.. მათ ფლოტის შექმნაც დაიწყეს ისევ და საერთოდაც, ყველა გზით და საშუალებით ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მტრის ჭარბი ძალისთვის...

კართაგენელები კარგად უმკლავდებოდნენ რომაელებს ომის პირველ წლებში: პირდაპირ შეტევებს, ალყას, ბლოკადას და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მათ, ცოცხალი ძალის დანაკარგებით და მოსპობილი გემებით, რომლებსაც თავის აალებულ, „ცეცხლოვან გემებს“ აჯახებდნენ და წვავდნენ უფლოტოდ დარჩენილი კართაგენელები!.. ვითარების შეცვლა 147 წელს დაიწყო (ძველი წეთაღრიცხვით), როცა რომის კონსულად სციპიო აემილიანუსი აირჩიეს (სციპიო აფრიკანუსის აყვანილი შვილიშვილი), რომლის ხელშიც გადავიდა ამ ომის სადავეები შემდგომ...

უწინარესად კართაგენის ირგვლივ დაიწყო სციპიომ მდგომარეობის შეცვლა, გამოსწორება: უფრო შეკუმშა და მჭიდრო გახადა კართაგენს შემოვლებული ალყა, რითიც დაამცრო მნიშვნელოვნად საბრძოლო ველი და გადაკეტა სახმელეთო შესასვლელი ქალაქში, მისი ნაპირიდან მომარაგების არხი; ჯებირი შექმნა ქალაქის ნავსადგომში, ყურეში შესასვლელის გადასაღობად და ზღვიდან კართაგენის მომარაგების შესაჩერებლად; ქალაქის კედლის სიმაღლის აგურის ნაგებობა ააგო კიდევ ნავსადგომის მხრიდან, რამაც კართაგენზე პირდაპირი შეტევა გახადა შესაძლებელი!.. 147 წელი წაიღო ამ ქმედებებმა, მხარეების შედარებით მცირე შეტაკებებთან ერთად, რომლის დროსაც კართაგენელები განაგრძნობდნენ გააფთრებულ წინააღმდეგობას, მტრის შეტევების მოგერიებას, ახალი ფლოტიც შექმნეს ამასობაში და რომაელების ფლოტსაც შეებრძოლენ გამეტებით, ღათუ დამარცხდნენ მასში, მაგრამ ქალაქის შენარჩუნება მაინც შეძლეს ამ შუალედშიც!. მათ საველე ჯარის ქალაქში შეყვანა მოუწიათ ამ დროს, მის გასამაგრებლად და გაძლიერებლად, და კართაგენის მომხრე ქალაქების უპატრონოდ დატოვება ამის გამო, რომლებიც რომაელების მხარეს გადავიდნენ ან მათ მიერ იყვნენ დაკავებული შემდეგ.. აქ უკვე მხოლოდ ისინი შემორჩნენ ბრძოლის ველს, პირისპირ, ორნი: რომაელები და კართაგენი – ყველასგან მოკვეთილი და მარტო დარჩენილი...

გადამწყვეტი შეტევა 146 წლის გაზაფხულზე დაიწყეს რომაელებმა (ძველი წელთაღრიცხვით).. საყრდენი წერტილის გაჩენა შეძლო მათმა ჯარმა ციხესიმაგრეში, პლაცდარმის შექმნა ნავსადგომთან ახლოს და იქიდან შეუტიეს კართაგენს პირდაპირ.. მათ მალე შეძლეს ქალაქის მოედნის დაკავება და ლეგიონები დააბანაკეს იქ ღამით... შემდეგ დილას რომაელებმა თანმიმდევრულად გაიკვალეს გზა ქალაქის სამოსახლო ნაწილში, კლავდნენ რა ყველა შემოხვედრილს და წვავდნენ ყველა შენობას მათ უკან – ამან 6 დღე წაიღო, კართაგენელების წინააღმდეგობის დაძლევამ და ქალაქის მიწასთან გასწორებამ, სრულად განადგურებამ... მხოლოდ 50000 კართაგენელი დარჩა აქ ცოცხალი, ტყვე, მცირე ნაწილი ამ დიდი ქალაქის მოსახლეობის: ისინი მონებად გაყიდეს, ყველა.....

– ეს ცივილიზაციური ომი იყო, პალიკო, არა იმპერიული, მისი ამოცანა არ ყოფილა კართაგენის დაჯაბნა და დამცრობა, მისი დამორჩილება, რადგან ის უკვე ისედაც სრულად მორჩილებდა რომის ნებას, ამოცანა იყო კართაგენის სრული მოსრა და მოშთობა, მისი ამოძირკვა როგორც ცივილიზაციის!..

– ეს „ცივილიზაციური შიში“ კართაგენის მიმართ მეორე პუნიკური ომის შემდეგ გაუჩნდათ რომაელებს, პალიკო, ჰანიბალის ფენომენის და მთელი იმ ომის უცნაურობით გამოწვეული... ის განსაკუთრებით მესამე პუნიკური ომის წინა წლებში გამძაფრდა, მეტადრე კატო ცენზორის მიერ კართაგენის ნახვის შემდეგ, სადაც ის რომის მიერ გაგზავნილი ელჩიონის შემადგენლობაში შედიოდა, კართაგენელების და ნუმიდიის მეფის დაპირისპირების განსასჯელად მივლენილი ადგილზე, ძველი წელთაღრიცხვის 153 წელს.. მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კართაგენის ეკონომიკურმა განვითარებულობამ, მიღწეულმა კეთილდღეობამ და მზარდმა სიძლიერემ, რომ რომის უსაფრთხოება და მომავალი მან კართაგენის არსებობა-არარსებობას დაუკავშირა, პალიკო, მასში დაინახა!. აქედან გაჩნდა თეზა-მოწოდება, „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ ...

– ეს საერთო განწყობა გახდა რომში, პალიკო, და ამიტომ იყო, რომ უტიკაში დაბანაკებული რომაელები არ დასჯერდნენ მათთან მოსალაპარაკებლად მისული კართაგენელების მიერ მათი ყველა მოთხოვნის შესრულებას (ისინი სრულად განიარაღდნენ, ოღონდ კი რომთან ომი აეცილებინათ!.) და ქალაქის დატოვებაც მოსთხოვეს ბოლოს, პალიკო, მის შორიახლო (ანუ, სხვაგან) დასახლება, კართაგენს კიდევ რომაელები დაანგრევდნენ, ძირისძირამდე, ამ დროს!!.. ნათელი იყო, თავიდანავე, რომ კართაგენელები ამას ვერ დათანხმდებოდნენ და ომიც აუცილებლად გაჩაღდებოდა.....

რომი შეუვალი იყო, კართაგენი უნდა ნანგრევებში დარჩესო სრულად და კომისიაც გაგზავნა ქალაქში იმის დასანგრევად, რაც რბევას გადაურჩა – თუ რამე იყო ასეთი იქ.. და კიდევ: ანათემას გადაეცემოდა ნებისმიერი, ვინც მის აღდგენას შეეცდებოდა მომავალში!. თვითონ ქალაქის ნაკვეთი, მიწა მფლობელს ჩამოერთვა და რომის საკუთრებაში გადავიდა როგორც „სახელმწიფო მიწა“... კართაგენის წინანდელი ტერიტორიები რომმა მიიერთა, მის მიერ შექმნილი პუნიკური ქალაქები მიითვისა ან დაანგრია, გადააწყო ეს ყველაფერი, გადაალაგა და რომის აფრიკული პროვინცია ჩამოაყალიბა ამისგან, უტიკით მის დედაქალაქად!.. პუნიკურმა ენამ, იდენტობამ და კულტურამ გაუძლეს ამ გარდახდომებს და განაგრძეს არსებობა კიდევ რამდენიმე საუკუნეს, მაგრამ უკვე რომის მიერ შექმნილ სამყაროში, მის საწუთროში: როგორც ნარჩენებმა წინარე ცხოვრების და წუთისოფლის... რომს არც აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის ფინიკიური ქალაქები გამორჩენია, არ დავიწყებია, არც ისინი დაუკარგავს თვალთახედვიდან და ძველი წელთაღრიცხვის 64 წლისთვის მათი ანექსიაც მოახდინა, მიიერთა ისინი: დაშლილ-დაქუცმაცებული ფინიკიის გაბნეული ნაწილები.. ახალი წელთაღრიცხვის 15 წლისთვის ისინი უკვე რომის იმპერიის კოლონიებს წარმოადგენენ – ერთერთნი მრავალთა შორის... ამის შემდეგ ფინიკიის ხსენება თანდათან ქრება და ილევა ჟამთაღრიცხვებში, მხოლოდ მის ანბანს თუ გაიხსენებენ ხოლმე და ფინიკიელების უცნაურ ხელოვანობას და კულტურას თუ ახსენებენ კიდევ აქა-იქ, გარნა არად ჩერდებიან მათ წუთისოფელზე, ფინიკიელების არაჩვეულებრივ და სრულიად გამორჩეულ ცივილიზაციაზე, რომელსაც სამი ათასი წლის მანძილზე

ანვითარებდა და ეწეოდა გაუნელებლად, თავგამოდებით და დაჟინებით ეს განსაცვიფრებელი ხალხი, ადამიანები.....

ბიბლოსსაც შეეხო ეს გარდახდომები, მასზეც გადაიარა ამ ორომტრიალმა, აქაც დატოვა ამ დროებამ თავისი ნიშნები და ნაჭდევები, მისი ნარჩენები, მისი ნაკვესები (იგივე რომაული კოლონადები..), ისევე როგორც სხვა დროებებმა და გარდახდომებმა, საიდანსად მოსულმა და მოწეულმა, თავზე რომ გადაუარა ბევრჯერ ამ ქალაქს და მის მკვიდრებს, მასში ფეხადგმულ და დამკვიდრებულ და ცხოვრების გზებს გადევნებულ ფინიკიელებს და მათ შთამომავლებს!.. გაბნეულია ეს ნიშანსვეტები აქეთ და იქით, ქალაქის არე-მარეში, გარნა შეკრებილია განსაკუთრებულად მის არქეოლოგიურ მოედანზე, დიდ გაშლილ ღრმულს რომ ჰგავს (არქეოლოგების მიერ გასაჩინოებულს), რომელშიც ფენებად ლაგდება თითქოს ერთმანეთზე (გეოლოგიური ქანებივით) ქვემოთ, წარსულისკენ მიმართული სხვადასხვა ჟამის და დროების ანაბეჭდები, ესე გულდაგულ შენახული და შეფარებული მათ კუთვნილ შრეებში და ადგილებში, ერთურთს შეწყობილი და მიყოლებული წარსულის ამბები და მოვლენები, გარდასული საუკუნეების გრძელი გრაგნილები, რეცა ბიბლოსის კუთვნილი „სინათლის კონუსი“, წარსულის: ფრანგების ნაკვესი, ახლოს ზედაპირთან; ოსმალოების დროება იქით; მამელუკების ჟამის კვალედი; იქ ჯვაროსნების ნაღვაწ-ნაშენები!.. და ასე შემდეგ, და ამდაგვარად, მიგარდმო, ირგვლივ: ისტორიამდელ მეთევზეთა დასახლებამდე დასული დროის კვალედი, ნეოლითამდე: ერთციცქნა მიწის ნაკვეთზე მოქცეული ათასწლეულები სოფლის მდინარების და მიმოქცევის, ქვე-ყანაში.....

– გასაოცარია, პალიკო, როგორ გულდაგულ გამოარჩევს, იფარავს და ინახავს წარსულის ნაკვალევს, მის ნაღვაწ-ნამოქმედარს და მოწმეობას ბუნება მიწაზე: სად ერთად შეკრებს, სად ცალკე განკვეთს, სად ერთურთს შეაწყობს და დააშენებს და დროის სიღრმეს გაჩვენებს გზად!.. თავისთავად უერთდები ანტიკური მათემატიკის მკვლევარის მადლიერებას ბუნებრივი კატასტროფების მიმართ, პალიკო, ცხოვრების ნაკვეთებს რომ ართმევენ სოფლის მდინარებას და ცივილიზაციის სვლისგან ფარავენ მათ, რომელიც ყველას შლის ირგვლივ, წინ შემოხვედრილს, სულ მოკლე დროში: ისე ცვლის გარემოს, კვალსაც ვერ მიაგნებ წინარე ცხოვრების, წინარე ყოფის ნიშან-თვისებას...

– წარმოიდგინე, პალიკო, რა საშუალებას არ იყენებს, რას არა ღონობს ამისთვის ბუნება: მაიას ხალხის ერთერთი ყველაზე ძლიერი სამეფოს მოსახლეობას დედაქალაქის მიტოვება მოუწია ათასი წლის წინ, რადგან მისი წყლის ავზების წყალი სასმელად უვარგისი გახდა, პალიკო, მასში ვერცხლისწყლის შერევის გამო.. ამან ეს ქალაქი დღემდე შეინახა, გვატემალის ჯუნგლებში, იმდროინდელი სახით... შუამდინარეთის და ძველი ეგვიპტის ცივილიზაციების რიგის და მათი ტოლფარდი ინდის ველის (მოხენჯო-დარო-ჰარაპას) არაჩვეულებრივად განვითარებული ცივილიზაცია საწიერიდან გაქრა, პალიკო, ძველი წელთაღრიცხვის მეჩვიდმეტე საუკუნისთვის – მდინარე ინდის კალაპოტის ცვლილების შედეგად!. მისი ქალაქები და დასახლებები დატოვა ხალხმა და ესე დაცლილი და დაცარიე-

ლებული ისინი მიწამ შეიფარა, შეინახა და ჩვენამდე მოიტანა – ჩვენს დროში გამოაჩინა მხოლოდ, საუკუნეების შემდეგ, არქეოლოგების ძალისხმევით... ან იგივ ჩვენი უძველესი ქვევრი, რვა ათასი წელი რომ ინახა ბუნებამ, გამოატარა ჟამთა ტრიალში და ქარცეცხლში და აქამდე მოიტანა მისი ნატეხები, მისი ფრაგმენტები, ერთურთს შეწყობილი და შეწებებული და გამთელებული დღეს!..

– არაჩვეულებრივია, პალიკო, ეს განცდა და შეგრძნება უწყვეტი კავშირის, უწყვეტი ხაზი რომ გაქვს იმ სიშორის დროის ნაკვესთან, უძველეს ქვევრთან, იმ დროის კულტურის და ცივილიზაციის უშუალო მოწმესთან და წარმომადგენელთან: შენთვის ესოდენ ნაცნობთან და ჩვეულებრივთან, ამავდროს, დღესაც!!. თან ეს ის დრო არის, ნეოლითის, მომთაბარეობიდან ბინადრობაზე რომ გადადის ადამიანი, მკვიდრ ცხოვრებაზე (ბოლო გამყინვარების შემდეგ), მიწათმოქმედებას ეკიდება და მესაქონლეობას და მისი კულტურა, „მოწყობა ცხოვრებისთვის“ (დესიგნ for living) ცივილიზაციურ ფორმებში ექცევა თანდათან და ყალიბდება, ცხოვრების მდინარებას მისდევს და ეთვისება,.. აქ ჩნდება ჩვენი ქვევრიც, ამ დროის ნაკვეთი, ამ პროცესის თანმდევი და მისი ერთერთი კვანძი!. – მართლაც რა ბებერი ერი ვყოფილვართ, პალიკო, თურმე.....

არქეოლოგიური მოედანი გარშემოვლებულია საერთო კედლით, რომელიც დანარჩენი ქალაქისგან აცალკევებს მას.. მის შიგნით, შიდა არეში სხვადასხვა დროის და პერიოდის ნაკვეთები და ნაკვალევია მოქცეული, შემორჩენილი სოფლის ტრიალიდან: ზოგი ცალცალკეა გამოკვეთილი, ზოგი ურთიერთსაა შეწყობილი, სხვადასხვა მხარეს და სხვადასხვა ალაგს მიკვლეული, სხვადასხვა სიღრმეზე თუ სიმაღლეზე მიწის წიაღის მიგნებული!. აქ დროის საუფლოა, მისი სახმილები, როგორღაც შრეებად შემოვლებული თითქოსდა სოფელს, წარსულისკენ რომ მიიმართება და მის სიღრმეებში ახედებს მავანს ჟამთაცვლის მორევის მბრუნავი სხეულით.. წარსულის სინათლის კონუსივითაა მთელი ეს ალაგი, ყველას რომ გიხსნის და გიცხადებს და თვალსაჩინოს ხდის: როდის რა მოხდა, საიდან მოვიდა, რა მოიტანა და საით მიდის...

უცნაური მსგავსება იკვეთება ამ არქეოლოგიურ მოედანსა და კოსმიურ შავ ხვრელს შორის, ასოციაციური: აქ თვითონ მოედნის ზედაპირია ამბების მთხრობელი, იქ შავი ხვრელის „ხდომილებების ჰორიზონტი“; აქ არქეოლოგიურ მოედანს კედელი აქვს შემოვლებული, რომლის შიგნით გარდასული დროებების ნაკვალევს ხვდები და ეხები, იქ ხდომილებების ჰორიზონტის ხაზია გამოკვეთილი, რომელსაც გადაცდენილი ვერა წარმონაქმნი, ვერა კოსმიური სხეული, ობიექტი ვერ გაბრუნდება უკან; აქ დროის მორევია გასაჩინოებული, აწმყოდან ყველა რომ წარსულში გადააქვს და მათ ნამყოდ აქცევს, იქ მჭიდრო სივრცულ კავებში მოქცეული უზარმაზარი მასის სხეულის გრავიტაციული მორევი ბრუნავს და ბზრიალებს, ყველაფერსა ნთქავს და ყველას აშთობს (თვით სინათლესაც), მასში მოხვედრილს!. დროის მორევი წარსულად ქცეულ ნაჭდევ-ნაკვალევს მიწის წიაღში და ბუნების სხვა მღვიმეებში ფარავს და ინახავს და საჭირო დროს მათ ისევ აწმყოში აჩენს, ანუ: დროის მორევი გარდასულ ჟამთა კვალს არ შლის მთლიანად, არ აქრობს სოფლიდან, გარნა გულდაგულ იფარავს ყველას გარდასულს და თავის

დროზე დღის სინათლეზე ამოაქვს ისინი ისევ (ადამიანის ძალისხმევით), კვლავ ხილვადსა ხდის მათ გრძნეულ სახეს.. ... სავარაუდოა, რომ არც გრავიტაციული მორევი ნთქავს ბოლომდე მის მსხვერპლთ, არ აქრობს უკვალოდ მის შავ ხახაში მოხვედრილ სხეულებს და მისი კედლების შავ-ბნელ ღარებში და ხვეულებშიც რჩება ნაშთენი ამ არსებების, მათი ნაკვალევი და ანაბეჭდი, მათი რაობის და გვარ-ტომობის ნიშნები და რწმუნებები, რომელთაც კრიბავს როგორღაც მორევი ერთად: ვის სად წაიღებს და სად დატოვებს!!. – მორევი ხომ ხშირად ერთგან დაგძირავს, სხვაგნით ამოგაგდებს...

ვინძლო აქ არის „სალხინებელიც“, რომელშიც ხვდება ბნელი მატერიის მსწრაფი ტალღებით გატაცებული სამშვინველი გარდაცვლილი ადამიანის: მის განსაკითხად და გასამწესებლად ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში, ანთუ შეყოვნებად „ლოდინის სკნელში“, მოსანანიებლად მისი ცოდვების!.. ანუ: კოსმიურ შავ ხვრელს გარესკნელიც უნდა ჰქონდეს მის იქითა მხარეს („საიქიოს“ რომ ეძახიან), თავისი ქვესკნელით („ჯოჯოხეთით“), მისი ზესკნელით („სამოთხით“) და „ლოდინის სკნელით“ (სადმე შუალედში)... ერთი რწმუნება შავი ხვრელის ამ ბუნებითობის, მტკიცებულება მისი არსებობის და სახეობის დანტემ მოგვაწოდა და გაგვიშალა, სულ დაწვრილებით, სრულად რომ მოიარა მისი წიაღის ბნელი ორწოხები, მისი წკვარამები, აღმა და დაღმა გადაიარა და გარე სკნელის კვალზეც გავიდა, საიქიოსი, მასაც გაუყვა და გაიარა: თვით ჯოჯოხეთის ბნელი სიღუის შუილიც იგზნო და ზეშთა სოფლის ბრწყინვაც იხილა!!! .....

– საოცარია, მაინც, პალიკო, ის სისრულე, წვრილმანებამდე დაზუსტებული, რომლითაც დანტე აღწერს „შავი ხვრელის“ ბუნებითობას და მის აღნაგობა-შედგენილობას – მეცნიერებამ არ იცის ამდენი ამ ციურ სხეულზე, მის შიდასკნელზე და გარესკნელზე ჯერაც!. მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია (უფრო მეტადაც), რომ მისი სამშვინველი უკანაც დაბრუნდა ამ გზაგაუკვალავი მგზავრობა-კვლევიდან გრძნეული პოეტის ცოცხალ სხეულში და თვისად ირგო ის, კვლავ შეიყვარა!!. თან ეს მგზავრობა მრუმე არეში დანტემ შეგნებულად, წინდასახულად განახორციელა.....

– კლინიკურ სიკვდილგავლილები არიან კიდევ ის ხალხი (ზოგი მათგანი), რომელთა სამშვინველს გარკვეული შეხება ჰქონდა „შავ ხვრელთან“, პალიკო, გარნა მათი განცდა იქაურობის მეტად მწირი და ბუნდოვანია, წარმოსახვითი: შავბნელი გვირაბი, კაშკაშა შუქით ბოლოში; რაღაც საზღვრის ზოლი, მის იქით, მყისად...

– ერთი საერთო ნაკვეთი გხვდება ამ შემთხვევებში, პალიკო, მეტად საგულისხმო: ორივე შემთხვევაში „შავ ხვრელში“ ნამყოფებს გამყოლი ჰყავდათ, მეგზური მათი: ზეშთა სოფლის არსებები – დანტეს; და ექიმები – კლინიკურ სიკვდილზე გადავლილებს!!. ანუ, ეულად ამ გზის გავლა (იქით და აქეთ) არ შეიძლება, და არ ეგების... ... ...

მასპინძლები ამაყად მიჩვენებენ გარდასული დროებების ნაჭდევ-ნაკვალევს, მრავლად რომ არის მოგებული არქეოლოგიური მოედნის სხვადასხვა მხარეს, იქით და აქეთ: მტკიცებულებებს ლიბანელების (და მათი წინაპარი ფინიკიელების)

უხსოვარი დროის წარმომავლობის და ჟამთასვლის ხაზის უწყვეტობის იქიდან დღემდე.. დაჯერებით მაწვდიან ცნობებს და განმარტებებს გარდავლილი დროებების ყოველ მტკაველზე და განაკვეთზე, გულდინჯად, ცოდნით, რადგან აქ ყველაფერი ნამდვილია და ფიქრის მომგვრელი!.. განსაკუთრებით დიდხანს ვჩერდებით დროის მღვიმესთან, შრეებად რომ ჩადის წარსულის სიღრმეში და გეოლოგიური ქანებივით ზუსტად გეუბნება: რომელი რა ჟამისაა, და ვის ეპყრა მაშინ!. ...

ახალგაზრდების პატარა ჯგუფი გამოჩნდა მოედანზე ამასობაში, ორი-სამი ლიბანელი გოგო-ბიჭი და კიდევ უფრო ახალგაზრდა შავკანიანი გოგონა მათ შორის, ძალიან მოხდენილი და მომხიბლავი, სულ ცინცხალი.. რომ მიდიოდა, მხოლოდ ის მხარე მიჰყვებოდა ხსეულის, რომელ ნაბიჯსაც დგამდა ამ დროს და მერე პირიქით, ავაზასავით, აქეთ და იქით, ოდნავ ნამიანი ლორთქო ბალახივით ირხეოდა მისი სხეული, სიო რომ გაანანავებს ნებად... გამალებით უყვებოდნენ და აცნობდნენ უცხო გოგონას იქაურობას ლიბანელები, განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას ამ ადგილის, ამ ალაგის: სახის ნაკვთებით, გამომეტყველებით, ხელებით, მთელი სხეულით, ვინძლო ზანგი გოგონას მწყაზარობით მოხიბლულები და აღელვებულები (მეტადრე ვაჟები) და (სჩანს) სტუმრის რაღაც გვარის მნიშვნელოვნებით აჩქარებულები!. ის კი როგორღაც სხვათაშორის უგდებდა ყურს მათ ამ უბნობას, რეცა ზერელედ, აქეთ შეავლებდა თვალს წარსულის ნაკვეთებს, მერე იქით და აგრძელებდა თავის ნებიერ სვლას, ჩვეულებრივ.. მეწყინა კიდეც თითქოს მისი ეს ქცევა, უპასუხოდ დატოვება მასპინძლების ესოდენი მეცადინეობის, წამით თვალი გავაყოლე მონარნარე ზანგის გოგონას და დროის მღვიმეს მივუბრუნდი ისევ გულდასმით... რაღაც დროის შემდეგ იქაურობა შევათვალიერე, მიმოვიხედე ირგვლივ და ამაღლებულზე, ზღვის მხარეს ის გოგონა დავინახე, უცნაურად მოცეკვავე: ერთი ფეხიდან მეორეზე ხლტებოდა, გრძლად, გაწელილად, აქეთკენ, იქით (თითქოს ჰაერში ჩერდებაო მეყვსეულად), კიდევ და კიდევ, განზე გაშლილი, ზემოთკენ ამართული ირიბად (დიაგონალურად) ხელებით, უკან კი ჩამავალი მზით შეწითლებული ჰორიზონტის მხარე ისმოდა და მწუხრის ლიბრი შრიალებდა ეთერში, ირგვლივ!. ...

– კოსმიურ როკვას ჰგავდა, პალიკო, მისი ეს ხლტომა, მთელი სურათი, რეცა ციური სხეული ძრაობსო სივრცეში, შორით და ცნობას გაწვდის თავის თავზე და სამყაროს წყობაზე, შეთედ რომ გტოვებს და გაშეშებულს!.. უნებლიეთ გაირბინა თავში ფიქრმა: „ჩვენზე გრძელი მეხსიერება ჰქონიათ, ვინძლო..“

– მხოლოდ ჩვენს ხორუმზე მომდის ხოლმე, პალიკო, იგივე, მის ძველ (არა დღევანდელ, მოდერნიზებულ) ფორმას რომ შევხვდები: ნამდვილი კოსმიური როკვაა, პალიკო, წუთისოფლის, გაუთავებელი, რომ მიდის და მიდის, ჟამთასვლის ხვიებში გაშვებული და ამოვლებული!.. მაგიურად მოქმედებს ყველა მხილველზე მისი გრძელი ჯაჭვი და დოლის რიტმი, ყოველ ჩქამს რომ გამოჰყოფს და ჰკიდებს ჰაერში.. როჩესტერის კონფერენცია მახსენდება, პალიკო, მიკროფიზიკაში, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ იმართებოდა იმ დროს და ჩვენთან გაიმართა 1968 წელს, თბილისში... კონცერტი გაუმართეს მის მონაწილეებს სამუშაო სესიების დასრულების შემდეგ და მერე ყვებოდნენ, რა მოუვიდა ფიზიკოსებით სავსე

დარბაზს დოლის პირველივე დაცემაზე და მოცეკვავეთა ძეწკვის გამოჩენისთანავე!. როგორ გაიყურსა უცაბედად მთელი დარბაზი, გაისუსა და ჩაიღუა თავისავ თავში, თვალებად და სმენად გადაქცეული და დაბნეული – შეჩერებული სცენას, მროკავებს!. ისე მონუსხა ხორუმმა ეს თვალსაჩინო მეცნიერები, სამყაროს ფუძისფუძის მკვლევარები დ მაძიებლები, რომ ცეკვის დასრულების შემდეგ ესევე გაშეშებული დარჩა დარბაზი ერთხანს და მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა თანდათან ტაში, თავაშვებული და ნებასმიცემული.....

ბეირუთი.. პატარა რესტორან-კაფე ზედ ზღვის პირზე.. სამხარი გვაქვს მე და ახალგაზრდა იტალიელ ქალბატონს, რომლის პროექტის მსვლელობის შეფასებაც მიწევს ამ ჯერზე.. ხმელთაშუაზღვის ტალღები ტლაშუნობენ აქვე, ყურისძირთან, შხრიალებენ დამჯდარი რიტმით, თვისად გიყვებიან უამრავ ამბავს, მის ირგვლივ ხმელზე გარდახდომილს: ხალხთა ძრაობას; ერთურთზე მისვლას; შეჭიდებას და შებრძოლებას; დიდ გამარჯვებებს; სრულად დაქცევას; გმირების ხანას; თავდავიწყებას; მტრობას; სიყვარულს!.. იგივე ტროას ომი, ახლად ამოსული ბერძნების დაცემა იბერების მთავარ ბასტიონზე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაზე!!. ან რომაელების დადგომა კვალზე და მათი წყობილი იმპერიის აღმოცენება, გაშლა, განფენა!.. ჩვენ ჩვენსას ვსაუბრობთ, ვარჩევთ პროექტის ავ-კარგს, საკვანძო საკითხებს მისი განხორციელების: მის წყობილებას, დღევანდელ ფაზას, განმსაზღვრელ ფაქტორებს, მსვლელობის კვანძებს, ქმედებების მიზანმიმართულობას და შედეგიანობას, საჭირო ცვლილებებს და მოქმედებებს, არსებულ წინაღობებს და მათი დაძლევის შესაძლებლობებს... თან მე ვაგრძელებ ზღვის ყურისგდებას, გაღუებული ვუსმენ მის ნათხრობს, ტალღებს რომ მოაქვთ შეუსვენებლად ხმელის ნაპირზე, აქვე, სულ ახლოს!. ქალი ამჩნევს ჩემს ნებად ყოფნას და ოდნავ შეცბუნებული მეკითხება: „როგორ ახერხებ, რომ ნებისმიერ ვითარებაში, რას არ უნდა იქმდე, მაინც ყოველთვის თავისუფალი რჩები?..“ მაგრამ როგორ გინდა აუხსნა მშვენიერ ქალბატონს, რომ როგორც ქართველს, რაინდობა „თამაშად და მიჩანს მღერად“, ამიტომ ვეუბნები, რომ ჩინურ ფსიქო-ტექნიკებს, „ტაიჩის“ და „ჩიგუნს“ ვიშველიებ და ეს მეხმარება თავისუფლების შენარჩუნებაში... ჩვენ ვაგრძელებთ პროექტზე საუბარს, მის დღევანდელ სტატუსზე და გადასადგმელ ნაბიჯებზე, პროექტის ეფექტიანობაზე და ეფექტურობაზე; ტალღები კი ტლაშუნობენ, ისევ, სულ ახლოს და ზღვის ამბებს ყვებიან ვნებით: ათასწლეულების მანძილზე როგორ სერავდნენ ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვას, აქეთ და იქით, მის ყველა მხარეს; როგორ ადგებოდნენ მის ყველა ნაპირს, ყველა კუნძულს და ყველა ბინადარს; როგორ მიჰქონდათ მათთან ცნობები სხვა ხალხებზე, მათ ადათ-წესებზე და ცხოვრებაზე, დღევანდელ ყოფაზე და მისწრაფებებზე; როგორ აცნობდნენ მათ ერთმანეთს, ერთურთის ნახელავს და ნაფიქრალს; როგორ აკავშირებდნენ ურთიერთს ხალხებს და „ხალხთაშორის ზღვად“ აქცევდნენ ხმელთაშუა ზღვას!!. ეს არაჩვეულებრივი ფინიკიელები, დესპანები ყველასი ყველასთან!.. ... ...

ზენართან მიმართება, მასთან ურთიერთობის და შეხმიანების მოთხოვნილება თითქოს თანდაყოლილია ადამიანში და უნებურად ხდება ხოლმე მისი გამომჟღავნება, ხშირად თავისით, წინაგანზრახვისა და წინადასახვის გარეშე, მიუხედავად მავანის მორწმუნეობისა თუ ურწმუნობისა და ამის ალეგორიულ გამოხატულებას რეცა ცხოველ ბუნებაშიც ვხვდებით აქა-იქ, რასაც ხატოვნად გადმოსცემს ქართული სხარტულაც: „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო“!. ... მართლაც საოცარია ამის შესწრება, დანახვა... თითქმის ასევე იქცევა ადამიანიც, როცა წარმატებას აღწევს, წინაღობას დაძლევს, მეტოქეს დაამარცხებს თუ მისთვის მნიშვნელოვან პრობლემას გადაწყვეტს: ხელებს ამართავს მოკვეთით ზენით (ერთ ხელს, საჩვენებელ თითს, თითებს) და რაღაცას ჩაიბურტყუნებს თავისთვის გამალებით; ან დაიღრიალებს ხელებგაშლილი, გულიდან ამომსკდარი გრძელი ძახილით, თითქოს მადლს უძღვნისო უფალს შეწევნისთვის, მასთან დგომისთვის და გვერდით ყოფნისთვის, არმიტოვებისთვის (ძნელბედობის ჟამს), ამ შესაძლებლობის მოგებისთვის, მოწეული გამარჯვებისთვის და გამორჩევისთვის (მრავალ სხვათ შორის): მისი წყალობისთვის!!. ამგვარ მოქმედებას ბევრჯერ შევსწრებივართ, უშუალოდ თუ მედიის მეშვეობით, მეტადრე სპორტულ თამაშებზე და შეჯიბრებებზე, ხალხით სავსე სარბიელზე თუ ცარიელ დარბაზებში...

უცნაურია, საიდან არის ადამიანი ესერიგად დაჯერებული, რომ მის შეძახილს და მის მიმართვას მართლაც შეისმენს ზეშთა სოფელი!. საიდან მოდის ეს დაიმედება, ეს მოლოდინი, როცა გვერდიგვერდ მყოფ ადამიანებსაც არ ესმით ხშირად ერთიმეორის – ან დრო არა აქვთ, ან სხვას ეძებენ, ან გავლით არიან მხოლოდ, შემოვლით.. ყველაზე მეტად მაინც ლოცვაში ვლინდება ეს მიმართება, მიმართვა ზენარით, მისი ნიშატი და ხასიათი, რომელიც ბევრად უფრო წყობილია და გამართული, თადარიგდაჭერილი და გააზრებული, ვიდრე უბრალოდ ამოძახება აღტყინებული, მშფოთვარე გულის!..

– წარმოიდგინე, პალიკო: შენ რაღაცას ჯახირობ, ცდილობ დაალაგო და დაიწყო შენი სათქმელი, გამართო და შინაარსი მისცე მას, გამომეტყველება, ზენარს რომ მიმართო, სინამდვილეში კი, ვინ უწყის, რა გამოდის აქედან, მეტადრე რომ

უშუალოდ ლოცვის აღვლენისას რაღაც გავიწყდება კიდევ, გერევა ერთმანეთში, გებნევა სათქმელის წყობა და რიგი და უკვე ვეღარას იტყვი მასზე დაჯერებით, გარნა მაინც იმედიანად ხარ, დარწმუნებული, რომ უფალი მოგისმენს, პალიკო, შეისმენს შენს ლოცვას და სრულად შეიტყობს შენს შევედრებულს!.. ერთადერთი, რასაც არ ითხოვ და არც მოელი ამ დროს: რომ ესე პირდაპირ მიიღებს, გაითავისებს და აგისრულებს ნუკვას ზენარი...

– მაგრამ ყველაზე დიდი ხიბლი და უცნაურობა ზენართან ურთიერთობაში მაინც ის არის, პალიკო, რომ მას შეიძლება ნებისმიერ დროს მიმართო, სთხოვო წყალობა და შემწეობა, შეწევნა საქმეში, მიუხედავად იმისა, შენ მართალი ხარ თუ მტყუანი, კეთილ საქმეზე ეაჯები თუ უკეთურობის შენდობას ემუდარები, ბედმა დაგწიხლა უწყალოდ თუ სხვის დაჯაბნას ეშურები, ადამიანურ შურისგებას გაურბიხარ თუ სხვის დამცრობას ეხვეწები, ხელის გამართვასა სთხოვ შენს ქმედებებში თუ განსაცდელისგან თავის დაღწევას ევედრები.. – ის ყველას ისმენს, დილით თუ ღამით, განთიადის ნიავია თუ მწუხრის ჟამი, თაკარა მზეა თუ სავსე მთვარე, ღრუბლიანია თუ იალკიალი, აქაური ხარ თუ იქაური, ამა ჯურის ხარ თუ იმა ჯურის, ქველი ხარ, თვალთმაქცი, თუ ავის მზრახველი, სიკეთის მთესველი თუ მკვლელი მუხანათი!. ის ყველას იღებს, პალიკო, და ყველას უსმენს, ყველას პასუხობს (ამით თუ იმით), ყველას აქვს უფლება მას მიმართოს, მას შეევედროს, წყალობა სთხოვოს და შემწეობა, არმიტოვება სოფლის ტრიალში: არავისთვის არ არის ეს არხი დახშული!..

ლოცვა უკვე საუბარია ზენართან: მამა ზეციერთან, იესო ქრისტესთან, წმინდა სამებასთან, ღვთისმშობელ მარიამთან... ეს უშუალო მიმართებაა და ურთიერთქმედება მათთან, კავშირის დამყარება და ურთიერთობა ზეშთა სოფელთან, მის მკვიდრებთან, გულის და გონების მოხმობას თხოულობს, დაკვირვებულობას, უბრალოდ ჩვევად რომ არ გადაიქცეს ან ახალ თამაშად ცხოვრების ზმნობაში, ტვირთად რომ არ იქცეს, ყველას რო ამართლებს, უმოქმედობასაც წუთისოფელში!. ამიტომ არ ჩქარობ, თანდათან შედიხარ მის სამკვიდროში, მის სანახებში, უფრო მყისებით, კერძო შემთხვევებით, ვიდრე წყობილი ნაბიჯებით: რომ გაგიმართლებს ერთბაშად რამეში და სიხარულის გზნებით ივსები, შეცბები უნებლიეთ, შეიკუმშები, ზენით აღაპყრობ თვალებს და მზერას და თან გულისთქმასაც მიატან შინიდან მოხეთქილს!!.. როგორც ეს მოსდის ყველა ადამიანს მსგავს შემთხვევებში.. ეს შენში რჩება, ეს განცდა, ეს შეგრძნება და შემდეგ ჯერზე მყისად ხსენდება, ამოდის ისევ ზედაპირზე, მისით ივსები!. შენც უკვე მზად ხარ მის მისაგებად, მასთან წინარე შეხვედრის გზნება გახსენდება უნებს და მას მიჰყვები...

ესე იკრიბება შენი გამოცდილება ზენართან მიმართებაში: თითო-თითობით, ნაკვეთ-ნაკვეთად, ყოველგვარი რიგის და წყობის გარეშე, გაბნეულად და გაფანტულად, შემთხვევითობის ძალით და ნებით, მისი ძალისხმევით, მაგრამ მაინც მკვრივდება რაღაც სიმრავლედ ნელინელ, თანდათანობით, თავის სახეს აჩენს დროთასვლაში..

უცნაური პროცესია: გამართლება, მოულოდნელი წარმატება თუ გამარჯვება ცხოვრების კვალში (თითქოსდა ციდან მოგებული ბედის ღიმილი!) და ნასკვის

გახსნა, ვერანაირად რომ ვერ უდგებოდი, რომ არსად ჩანდა გამოსავალი!. გარნა ეს ყველაფერზე არ ვრცელდება, ყველა საგანზე, ყველა ამბავზე არ მოდის, რაღაც შერჩევა ხდება თითქოს ზეცაში, იმისდა მიხედვით, თუ რა გეკუთვნის და რა არ გეკუთვნის – თუ რა ეგების!.. ამას უცებ ვერ გებულობ, უცებ ვერა ხვდები (რადგან არც ეძებ, რადგან უბრალოდ ცხოვრებას მიჰყვები..), ის წლებში იკრიბება, ირიბი ნიშნებით, სადღაც გროვდება შენს გონებაში (შენდა უნებურად და უკითხავად) და ფასოვდება მერე, თავისით, გონის მანქანებით, ფასოვდება და ცნობადი ხდება შენთვის, ცნობადი ხდება არა რაიმე სახელით ან რამ სხვა სახის რაციონალიზებით, გაცნობიერებით, არამედ თავისთავად, ანაზდად, იჩქით, ცხადდება მეყვსად და შენი ხდება როგორღაც თავისით, თავის ადგილს პოულობს შენს გონში და გულში, შენს სამშვინველში.. უფრო გაფაციცებული ხდები ამის შემდეგ, დაკვირვებული ზეშთა სოფელთან მიმართებაში, შენს საწიერსაც უფრო გაფრთხილებით უდგები უკვე და გულისყურით ეკიდები...

კიდევ უფრო საჩინოა ცხოვრების სიძნელეებთან შეხვედრა, მათთან შეჭიდება: პირისპირ დარჩენა მოწეულ პრობლემებთან; მოვლენების არასახრბიელო განვითარება; პირადი ცხოვრების აღმა-დაღმართი; ოჯახის კვანძები; ფეხის დაცდენა; ფათერაკები... აქ უკვე თვითონ ეძებ გარე საყრდენს, სანდოს და საიმედოს, ფეხზე რომ წამოგაყენოს წაფორხილებული თუ შეცდომილი და გზის გაკვლევაში დაგეხმაროს გზააბნეულს, ცნობაარეულს!. თვითონ მიმართავ მაშინ ზეშთა დასს, უფალს მოწყალეს, შეცდომები რომ შეგინდოს და შეცოდება მოგიტევოს, არ მიგატოვოს ძნელბედობაში და განსაცდელში, ავს და უკეთურს გადაგარჩინოს, გამოსავალი მოგაძებნინოს და სამშვიდობოს გამოგიყვანოს!!.. მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისა თვითონ ეს შესაძლებლობაა, ეს საშუალება – ზენარს მიმართო, შველა შესთხოვო და შემწეობა, დარწმუნებული, რომ შენ გისმენენ და ესმით შენი ყველა ნათქვამი, რასაც ევედრები და ეაჯები, რომ ეს არ არის ფუჭი ღაღადი, რომ არ დაგტოვებს ეულად უფალი, რომც აღარ მიგიღოს ამქვეყნად არავინ!!. ეს საოცარი შვებაა, მარტო რომ არ ხარ და ნებისმიერ დროს, დღისით თუ ღამით შეგიძლია მიმართო მამაზეციერს, იესო ქრისტეს, წმინდა სამებას, (ჩვენს მფარველს) ღვთისმშობელ მარიამს, რომ მათ არ ეზარებათ შენი მოსმენა, არ ეძვირებათ შენთან უბნობა, თუნდ ცოდვილი იყო, ზნედაცემული, თვალთმაქცი, გაიძვერა, ყაჩაღი დაუნდობელი, ან თუნდაც მეტად წარმატებული პიროვნება, სუბიექტი, აღზევებული ამ ქვე-ყანაში!!!. ეს არაჩვეულებრივია, ყველას მიმღებლობა, ამის შეგრძნება და მისი განცდა, იმის გაფიქრება, რომ რაღაც გაქვს მაინც ვინძლო ღირებული (ვინც და რაც არ უნდა იყო წუთისოფელში), მარტოს რომ არ გტოვებს უფალი, ზეშთა დასი, რომ გაქვს უფლება ლოცვით მიმართო და შეავედრო მათ შენი თავი, შენი მოყვასი და ნათესავი, შენი ქვეყანა, ა დ ა მ ი ა ნ ი . . . . . .

– ეს მართლაც არაჩვეულებრივი განცდაა, პალიკო, ეულობა რომ არ არსებობს ქვეყნად, მარტოკა რომ აროდეს რჩები, ნებისმიერ დროს რომ შეგიძლია მიმართო ზენარს და თან ამასაც არავინ გაძალებს, არ გავალდებულებს, არავინა გთხოვს ამის გაკეთებას: შენ ისევ თავისთავადი და თავისუფალი რჩები!..

– არაჩვეულებრივი წყობილება გამოდის, პალიკო: შენ შენს თავს ეკუთვნი, შენ თავს ეყუდნი, თუ ეს გეშურება და არ გეზარება: ამის შესაძლებლობას ყოველთვის გაძლევს წუთისოფელი!. ანუ – ასიმეტრიულია, პალიკო, ეს მიმართებები: ზენარი ყოველთვის მზად არის მიგიღოს და შეგიწყნაროს, შენ კი შეგიძლია მას არ მიმართო, არც შეეხმიანო, ამისთვის არავინ არ მოგთხოვს პასუხს, არავინ დაგსჯის, რადგან: ეს შენი ცხოვრებაა და შენი ნება, თავისუფალი (ღათუ ღმერთისგან ბოძებული)!..

ესე შედიხარ ნელინელ ლოცვის მღვიმეში, მის აწყობას ცდილობ და დალაგებას, მოვლა-პატრონობას – შენს საწიერს ქმნი ამ სამკვიდროში... თავდაპირველად ლოცვის „ზომა“ ხდება თვითონ საკითხი (როგორც ასეთი) და თუმც კი გახსოვს, რომ „რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვით“, მაინც გასარკვევი რჩება, თუ რას ნიშნავს „მრავალი“ ამ შემთხვევაში და ამ ხანაში?. უბრალოდ სიტყვების რაოდენობას თუ უფრო სხვა რამეს კიდევ?. და როგორ უნდა განსაზღვრო საერთოდ მისი ხაზი?. ცალკე გასავლელია აგრეთვე: საკვანძო თემები, საკითხები; ლოცვის დრო-ჟამი დღე-ღამის ნაკვეთზე; მისი სიხშირე და ხანგრძლივობა; კვირის დღეები; რეგულარულობა... და სულ მთავარი (და ძნელად შესასრულებელი ხშირად) მოწოდება: „ილოცე ... ფარულად“! რამეთუ ეს უშუალოდ შენი საწიერია, შენი სამკვიდრო (არავისთან გასაყოფი და გასაზიარებელი), შენი ურთიერთობაა მხოლოდ ზენართან, შენი მიმართება: მამაზეციერთან, იესო ქრისტესთან, წმინდა სამებასთან, ღვთისმშობელ მარიამთან – ზეშთა სოფელთან!..

ამას რაიმე განრიგით არ აკეთებ (ლოცვის სამკვიდროში შესვლას), რაიმე განსაზღვრული წესით და რიგით არ მიჰყვები, რაიმე ალგორითმით: როგორც ცხოვრება გიხმობს და გკარნახობს, ისე მოქმედებ და ისე იქცევი, არ ითვლი წლებსაც... ხან გრძელი სიტყვით მიმართავ უფალს, ხან მოკვეთილად შესძახებ რამეს; ხან მოყვასთ შეავედრებ, მათ შემწეობას სთხოვ ზენარს, ხან შენი შეწევნისთვის უძღვნი მადლობას; ხან დღეებს მიჯრით ერთმანეთს მიაწყობ, ლოცვებს აღავლენ ზეცით, ხან მთელი კვირა გაგეპარება და მხოლოდ პირჯვრის გადაწერას ჯერდები!. და ესე მიდის და ვითარდება ნებად ეს პროცესი (როგორც თხოულობს მისი შინაარსი და ხასიათი), „ლოცვობის“ გზნება და მეტყველება რომ შეიცნო და შეითვისო და შენად მიიღო თანდათანობით... აქ ყოველ ჯერზე რაღაც იკვეთება, ილექება და რჩება შენში, ძალიან მცირე, ნამცეცი პატარა, მარცვალი ერთი, მაგრამ ნაწილი ლოცვის არსის და რაობის, მისი ნაკვესის.. ეს შეიძლება მის სიტყვიანობას შეეხოს, მის ხმობას, თემატურობას, სიხშირეს, დღე-ღამის განრიგს, კვირის დღეებს, მის რეგულარობას, ან სხვა რამ მახასიათებელს კიდევ.. მან შეიძლება ყოველი ცალ-ცალკე მონიშნოს, შერეულად ჩაჰყვეს, ან ერთად მოიცვას, მაგრამ (ყველა შემთხვევაში) არარა სანიშნო, არა მისხალი აქ არ იკარგება, მიღმა არ რჩება, შენში ისადგურებს ისევ, ერთურთს ედება და ემატება, იკრიბება დროთამსვლელობაში და რაღაცა ჟამს ყველა ერთიანდება, მთელად იქცევა (რეცა „სატორივით“) და შენთვის უკვე საჩინო ხდება!. და ესე ყოველი ნაკვეთი, ყოველი საკითხი მკაფიოვდება, ნათელი ხდება და ერთმანეთს შეწყობილი (ამ წლების სვლაში) „ლოცვის“ სხეულად ყალიბდება: სათვისო ხდება.. მერე მას ცხოვრებას

უთანადებ, სადაგ ფორმას აძლევ და შენს ლოცვასაც უკვე წყობილად აღავლენ...

ლოცვის ეს ჩარჩო ხისტი არ გამოდის, საკმაო მოქნილობა აქვს, ცხოვრების აღმა-დაღმა სვლას რომ უპასუხოს და მთლიანობა (ამ პირობებშიც) შეინარჩუნოს.. ყოველ დილას კეთილ დღესა სთხოვ უფალს, ზეშთა დასს, შუაღამეს უკვე მადლობას იხდი გავლილი დღისთვის და მშვიდობიან ღამეს ავედრებ ზენარს; ყოველ ლოცვაში წყალობას და შემწეობას სთხოვ მამაზეციერს, მშვიდობასა და ჯანმრთელობას და გამარჯვებას კეთილ საქმეებში შენთვის, შენი ოჯახისთვის, ნათესავისთვის და მოყვასისთვის, შენი ერისთვის და შენი ქვეყნისთვის; დღის მანძილზე უფალს ახსენებ სხვადასხვა კვალში, სხვადასხვა ხაზში და პირჯვარს იწერ მის სიჩუმეში; კერძო ლოცვას აღავლენ ხოლმე, ხანდახან, ცალკე, გასაჭირია თუ სიხარული, ან ღმერთს მადლობას უძღვნი შეწევნისთვის და თავზე დგომისთვის; ეკლესიაში შედიხარ დროდადრო, მარტო, პირჯვარს გადაიწერ, სანთელს აანთებ და ლოცვით ივსები...

– ცხოვრებასა ჰგავს, პალიკო, ლოცვის სამკვიდროში შესვლა: ისიც თანდათან აჩენს თავის სახეს და რაობას, თავის წყობილობას; და ისიც გავლილი წლებით გროვდება და იკრიბება.. „ლოცვობა“ თანასდევს ცხოვრებას, მაგრამ მისი წილი არ არის – გვერდითა რჩება, როგორღაც, განზე, გარნა არ გტოვებს არასდროს, არსად არ მიდის.. თან თითქოს შენგან არაფერს თხოულობს, მაგრამ არც დაჟინებით გეძახის; მისგან მოგებული სარგებელიც არ არის საჩინო, თვალისმომჭრელი და მომნუსხველი, მაგრამ ხელშესახებია, რეცა შენია მიწყივ – სულ აქვე არის; თან არად გაწუხებს, არსად არ გეწევა, არ ცდილობს შეგიტყუოს თავის სანახებში!. შენც არა ჩქარობ, არ ცდილობ, რაც შეიძლება მალე გახვიდე ნაპირზე და „ლოცვის“ აღვლენას ისევ ცხოვრების გზებით მიჰყვები...

– გაბნეულად მიდის, პალიკო, ეს პროცესი, როგორც ყველაფერი ამ ცხოვრებაში: აქ რაღაც მოხდება, სიხარულს მოგგვრის – თვალებს აღაპყრობ ზენით; იქ გაგიჭირდება სიძნელის დაძლევა – ზეციურ ძალას შველას ეხვეწები; რამ გაიელვებს, ფიქრი გაეკიდება, აღძრული მყისით; სოფელი დაგხუნძლავს – დაყუჩდები და გზის გაკვლევას ზენარის შეწევნით დაეშურები...

– აქ ჯერ არ არის პირდაპირი მისამართულობა, პალიკო, უბრალოდ ხდომილებებს პასუხობ, ცხოვრებით მოწეულს, მათ ესიტყვები და ეხმიანები, გარნა მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება, სულ უფრო მატულობს მსგავსი შემთხვევები, ერთურთში ირევა და იკვეთება და დროთაგანმავლობაში (როგორღაც თავისად) ეწყობა ერთმანეთს: ერთი ერთს უერთდება, პალიკო, მეორე მეორეს ემატება, მესამე კიდევ სხვას ნახულობს და ასე ხსვებიც: ერთგვარ ნიშნებით მეტყველებას ემსგავსება ეს აბურდული კრებული, რაღაც რომ უნდა გაცნობოს და შეგატყობინოს დაჟინებით!. ...

– უფრო ყურადღებით უდგები ამის შემდეგ ამ შეტყობინებებს, თვითონვე ცდილობ მათ დაჯგუფებას და დალაგებას, ერთურთზე გადაბმას და გაგრძელებას, პალიკო, და პატარა „ტექსტებს“ ღებულობ ნელინელ უკვე აქედან: ცხოვრების ნაკვეთებს, ზენართან მიმართვას რომ თხოულობენ, შენს წინ რომ გადიან ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გარნა მათ ვერა ცნობ საერთო ხმობაში და ვერად არჩევ!.

ერთმანეთს ედება ცხოვრების ტექსტები და ლოცვის კვესები თავისთავად და შენი ლოცვების საერთო ჩარჩოს და ხაზებს ავლენენ თანდათან: სიტყვიანობას, თემატურობას, დღე-ღამის განრიგს, მიმართვის სიხშირეს და ხანგრძლივობას, კვირის დღეების ერთურთზე მიბმას, რეგულარულობას და კერძო ლოცვებს (ცალკე რომ ამბობ), ეკლესიაში სანთლის ანთებას და ლოცვის გზაკვალს...

– მერე თვით საგანში ცდილობ გარკვევას, პალიკო, მის მიდამოში და გარემოში და ძებნას იწყებ ცოდნის და ცნობების სხვადასხვა სახის წყაროში და რწმუნებებში, მეტადრე სამყაროს შესაქმესთან და მის წყობასთან, მის ევოლუციასთან და მომავალთან, ადამიანის ბედთან და მის საცხოვრისთან, დედამიწასთან მიმართებით: მითებში, რელიგიებში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მუსიკასა და მეცნიერებაში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში, განსაკუთრებით), ეზოთერიკაში, სისტემებსა და ტექნოლოგიებში, პოლიტიკაში – ცხოვრების ზმობაში...

– პირველი, რასაც აქ გებულობ, ის არის, პალიკო, რომ ყველა ამ წყაროში არსებითად ერთი და იგივე ამბავია მოთხრობილი და ერთი და იგივე სიმართლეა გადმოცებული: თავთავის ენაზეა, უბრალოდ, მოყოლილი!. უწინარესად აქ განყოფაა ორი რეალობის, ურთიერთ საპირისპირო ორი ფენომენის: ქაოსისა და კოსმოსის: სრული უწესრიგობის და ჩარჩოში მოქცეული, მოწესრიგებული წუთისოფელის.. და სანიშნოა, მეტად, პალიკო, საგულისხმო, რომ ეს პირდაპირ არის ასახული კოსმოსის ქართულ სახელდებაში: „სამყარო“, ანუ „მყარი“ ცხოვრებისთვის შექმნილი გარემო, ბუნება, სოფელი, დრო-სივრცის ხვიებში რომ იშლება და ფართოვდება და მიემართება მერმისის ცნობისთვის!..

– თვითონ ეს „სიმყარე“ საიდან მოდის და რით ნარჩუნდება, ყველაზე მეტად ფიზიკა-მათემატიკაში არის, პალიკო, გახსნილი და გარკვეული: არსებული ბუნების კანონებით და მათ კავებში მოქცეული კოსმიური (მათ შორის დედამიწური) პროცესების განვითარებით... საკვანძო ადგილი და მთავარი როლი ამ განგებაში ფიზიკის ფუნდამენტურ მუდმივებს მიეკუთვნა, ებგურებივით რომ შემორტყმიან ჩვენს კოსმოსს ირგვლივ, რომელთა უმცირესად შეცვლაც (თუნდაც ერთ-ერთის), პალიკო, ამოაყირავებს მთელ ამ სამყაროს და ქაოსის საუფლოს დაუბრუნებს წუთისოფელს: სინათლის სიჩქარეს – c; გრავიტაციულ მუდმივას – G; პლანკის მუდმივას – h; დიელექტრიკულ მუდმივას – ε_0; ელემენტარულ მუხტს – e.. ქვაკუთხედი აქ სინათლეა, რომელიც საზღვრავს სამყაროს მთელად და თან ხილვადს ხდის მას, სულ წვრილმანებამდე: „და განწვალა ღმეთმან შორის ნათლისა და შორის ბნელსა“.....

– საოცარია, პალიკო, ამ კოსმიურ წეს-წყობილებასთან შეხვედრა, მისი შეგრძნება და მისი განცდა, იმის დანახვა, თუ რა ძალისხმევა იყო დახარჯული მისი შექმნისთვის და ცხოველყოფისთვის და რა ძალისხმევა იხარჯება წუთისოფლის შენარჩუნებისთვის და დრო-სივრცის ხვეულებში მისი მიმდინარეობისთვის: უწყვეტად, ყოველჟამ, ყოველმყის!.. გინდა-არგინდა, აქ შეგნებულ ქმედებას ხედავ ყოველ საფეხურზე და ყოველ ნაბიჯზე, შემოქმედის ხელს და მის პატრონობას მთელი ამ ქმნილების, ადამიანეთის: ეს უკვე რწმენა-არრწმენის ფარგლებსა სცდება, პალიკო, რადგანაც: შენ ეს უკვე უბრალოდ იცი... იცი, რომ ღმერთი

მართლა არსებობს, ზეშთა სოფელი და მისი დასი!!! და უკვე ხვდები, რომ ლოცვა მართლა მიმართებაა, ურთიერთქმედება მამაზეციერთან, იესო ქრისტესთან, წმინდა სამებასთან, ღვთისმშობელ მარიამთან – მთელ ზეშთა სოფელთან, და კარგად გესმის, სულ შიგნით, შენში, თუ რაოდენი მნიშვენელობა აქვს შენს ყოველ სიტყვას და ყველა ნათქვამს, ლოცვად აღვლენილს!. რამეთუ სამყაროში არა იკარგება, პალიკო, არა ცნობა და არა ამბავი, არა ინფორმაცია, არა მონაცემი, არა ნათქვამი: როგორღაც იკრიბება და ინახება და თავის დროზე მოიკითხება, მისი თადარიგით...

– და უზომო პატივით ივსები, პალიკო, და მოწიწებით იმსჭვალები მორწმუნეთა და მათი რწმენის მიმართ, რომელთაც ისე სწამთ ღმერთი და ზე-ყანა, არღას ძიობენ მათზე, მათ ირგვლივ, არცა რა საბუთს ან დამოწმებას მათი არსებობის, არცა სჭირდებათ ამგვარი ცოდნა და რწმუნებები (თუნდ სამყაროდან მიღებული), რამეთუ იციან ეს ყველაფერი: ყველა სიმართლე, ყველა ნამდვილი როგორღაც თავისით აქვთ მოგებული – გულით იციან, პალიკო, არა გონებით, სიყვარულის გზით იციან, არა სამყაროს ცნობით და მისი მოწმობებით!.. მათთვის ზენარი რეალობაა, მარად ცოცხალი და კონკრეტული: ზეშთა დასიც და ზეშთა სოფელიც!!. და მათი ლოცვაც უშუალოა, კონკრეტული და მისამართული: ზე-აღმართული – არა განყენებული, რამ აბსტრაქტული, არამედ სიღრმიდან ამოსული და გულის სიტყვებით შემკვრივებული!..

– გესმის, პალიკო, რა განცდა მიჰყვება ამგვარ ლოცვას, ამგვარ მიმართვას, რა შეგრძნებები!!! აქ მალე გებულობ, მალევე ხვდები, რაოდენ სუსტი და უღონოა ცოდნით გაჟღენთილი შენი ლოცვა, ზენით მიმართვა, რა უსუსური – რომ ყველა შენი განცდა და შეგრძნება ამ გზნების კვალზე გაღვივებული, ისევ ცოდნის მოპოვებას და მის მიგნებებს ეხმიანება, ახალ მოვლენებში და ფენომენში, ახალ საგანში გარკვევით მოსულ აღტყინებებს უკავშირდება (ისევ და ისევ ამ ძველ „ევრიკას“, ადამს რომ სამოთხე დააკარგვინა!!) და ვერად იჯერებს და ვერ ითავისებს თვით სამყაროსთან და ზეშთა სოფელთან ადამიანის ესოდენ ნათელ და უთუო ერთიანობას და მით მოგვრილი სიხარულის უსაზღვრო ზვაობას!!!.

– აქ უკვე კარგად გესმის, პალიკო, დარწმუნებულად, რომ გზის თავში ხარ, სულ დასაწყისში, ღათუ საკმაოდ ბევრი გივლია და ბევრი რამ უკვე ზუსტად იცი: რომ ნამდვილია ღმერთი, იესო, წმინდა სამება, მარიამ ღვთისმშობელი; რომ მართლა არსებობს ზე-ყანა, ზეშთა სოფელი; რომ მათთან მიმართება და ურთიერთქმედება, მათთან საუბარი წუთისოფლიდანაც შეიძლება, ცხოვრების გავლით და მეშვეობით; რომ თავიდან უნდა შენს ლოცვას სწავლა, სულ სათავიდან და გულის გახსნა ამ სამკვიდროში!.. ...

უპირველესად ეს „კონკრეტულობაა“ გასაცხადებელი და გასათავისებელი: რომ მამაზეციერი, იესო ქრისტე, წმინდა სამება, ღვთისმშობელი მარიამი კონკრეტული სუბიექტებია – სხვა განზომილების, სხვა სახოვნების, მაგრამ სრულიად კონკრეტული და გამოკვეთილი.. ლოცვის აღვლენისას ამ სუბიექტებს ეხმიანები, უბრალოდ ეთერში არ უშვებ შენს სიტყვებს, შენს გულისნადებს, უბრალოდ სივრცეს არ ეაჯები!. ეს ძალიან ცვლის „ლოცვის“ მთელ არსს და გაგებას, იმას, რომ

ეს არ არის აბსტრაქტული, ალალბედზე ამოთქმული ხვეწნა-მუდარა, „ვინძლოს“ იმედად გაშვებული, რომ შესმენილი იქნება შენი ღაღადი ზენით: აქ ლოცვა უკვე ნამდვილი ხდება, უშუალო და მისამართული, ცხოვრების ნაწილი, ზეშთა არსებებთან მიმართული და მათთან დამაკავშირებელი; აქ არსებითად იცვლება მისი რაობა და მნიშვნელობაც, რადგან ამგვარ ლოცვაში შენ კონკრეტულ ზეციურ არსებებს მიმართავ, მათ უკავშირდები და შენი სიტყვებიც არ იკარგება, არსად არ ქრება, „სადღაც“ არ მიდის; და ისიც ცხადდება, ნათელი ხდება, რომ არ ეგების ყველაფერზე მიმართო ზენარს, ყველა წვრილმანზე და გულისთქმაზე მოუხმო უფალს, რამეთუ ეს შენი ცხოვრებაა, შენი საწიერი და მასზე შენ ხარ პასუხისმგებელი (ღმერთის შეწევნით და მეოხებით)...

ეს საგრობაა, დროში გახსნილი, და მის მღვიმეში იმასაც ამჩნევ (შენდა უნებურად), რომ მოწესრიგებული ხდები როგორღაც, დაკვირვებული, თუმც მეტად შორია ჯერ სიმშვიდემდე გზა გასავლელი... გარეგნულად აქ არც რა იცვლება სანიშნო, ამ გადასავალზე, გამოსარჩევი: არ გესმის ხოლმე ლოცვის სიტყვები (შენივე თქმული) და აღვლენილ ღაღადსაც ხშირად უცნოდ მიჰყვები; მოკლე ამოძახილს სჯერდები ხანდახან და პირჯვრის გადაწერით იფარგლები; ღამის ბინდბუნდში სიტყვაც გებლანდება და მის გამართვას დილის ლოცვაში უბრუნდები.. მაგრამ რაღაც გეცვლება ამ დროსაც, ამ კვალში, მაინც, რეცა განზომილება გემატებაო, ახალი თვალი გიჩნდება თითქოს: ყველას რომ ამჩნევს შენგან შეცდომილს და გულს გინაღვლიანებს მასზე წუხილით!. არა იმად, რომ ლოცვა შებღალე, რამ შეამოკლე, გადაუხვიე, არ შეასრულე მისი წესები (მეტადრე, რომ არცა გქონია ამის ვალდებულება აღებული, ყველას შენით აკეთებ, შენი სურვილით და შენი ნებით და შეიძლება ისეც ილოცო, როგორც გამოდის..): აქ შეწუხება ზეშთა სოფელთან კავშირს ეხება, მასთან უბნობას და ურთიერთცნობას, რომელიც ირღვევა გულით თუ არ მიმართე, მისი გზნებით და მისი სიმართლით – მისი სიტყვებით...

ამ წყობილებას გზადაგზა არკვევ, თანდათან გებულობ და ეთვისები და მასთან ერთად იმასაც ხვდები (ისევ უნებლიეთ), რომ უფრო მეტს ამჩნევ, ბევრად მეტს ხედავ, აღქმის სიმძაფრეც გემატება და (ამის კვალად) ზენართან მიმართვას და მასთან უბნობას სულ უფრო მეტად უფრთხილდები.. გამოსწორებას იწყებ დიდ-პატარა ხარვეზების, შენი ლოცვის მოწესრიგებას, სადაგად გამართვას და არა ერთგზის, ერთი მიდგომით, არამედ კვალდაკვალ, მისი წყობის შეთვისებასთან ერთად, რეალობასთან მისადაგებით: ლოცვის დროს შენიშნავ, არ გესმის შენი ხმა, შენივე ნათქვამი, მის მდინარებას მექანიკურად მიჰყვები – უკან ბრუნდები და თავიდან იწყებ მის გაშლა-გამართვას; დაღლილობის, მთვლემარობის თუ შეუძლოდ ყოფნის დროს ლოცვას ამოკლებ ხოლმე და მთავარი კვანძების გამოკვეთით იფარგლები; სხვაგან როცა ხარ (სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში) მოკლე მიმართვებს აღავლენ ზენით, ხანდახან გულში, უხმოდ და უსანთლებოდ, სიჩუმეში; თუ ლოცვა გამოგრჩა, დღე გაილია – ზეცას ბოდიშს უხდი და შენდობას სთხოვ, დუმდები; ხან კერძო შემთხვევას აჰყვება გული, თავს ვეღარ იკავებ და ვერ ჩერდები – ისევ მიტევებას სთხოვ, პირჯვარს იწერ და ზენით იყურები; მოყვასმა დატოვა წუთისოფელი – მისი სულის ცხონებას და განათლებას ეხვეწები;

ძნელბედობა დაატყდა ოჯახს, ქვეყანას – მათ გადარჩენას, ფეხზე დადგომას და გზის გაკვალვას ევედრები.....

– საოცარია, პალიკო, ლოცვასთან შეთვისების ეს გრძელი ხაზი, გრძელი სავალი, ათას რამეს რომ გახვედრებს გზად, რაც მანამდე არც შეგინიშნავს, არც განგიცდია, არ შეგიგრძვნია.. სადაც პირველად გრძნობ მთელი სიგრძე-სიგანით, თუ რაოდენ უმართებულოა, შეუძლებელი – ვინმეს უბედურება უსურვო, პალიკო, სრული დაქცევა, განადგურება (თუნდ სამკვდრო-სასიცოცხლო მტერს): ამ თხოვნით მიმართო მამაზეციერს, იესო ქრისტეს, წმინდა სამებას, მარიამ ღვთისმშობელს!. ... აქ უნებურად იმასაც სრულად გრძნობ: შენ რარიგ იცვლები...

– იმდენი რამე იხსნება ამ გზაზე, იმდენ და ისეთ რამეზე ფიქრდები, ადრე აზრადაც რომ არ მოგსვლია, პალიკო, მათთვის დრო დაგეთმო, დახარჯულიყავი, ახლა კი ისეთი განცდა გეუფლება, რომ წუთისოფლის სულ ძირის-ძირში ხარ, სულ სათავეში და მის გულის-გულში იხედები!..

– აქ თურმე მთელი სამყაროა, პალიკო, იგივე ჩვენი სამყარო, მაგრამ როგორლაც შემობრუნებული (თუ შემოტრიალებული): თითქოს სულ შინიდან, მისი დვრიტიდან, სხვა დამზერის წერტილიდან უყურებ საწუთროს, ადრე რომ დაფარული იყო და არად ჩანდა, ახლა კი შენს ირგვლივ იხსნება თავისით, ყველა კუთხიდან, ყველა მხარიდან, ისევ განუზომელი და თვალუწვდენელი, პალიკო, რომელიც არაფერს გიფარავს, არას გიმალავს და შენს წინაშეა მთელად გადაშლილი, იმდენად სრულად და ისე სავსედ, რომ ძნელი ხდება ამის ატანა: ამდენის ცნობა და ამდენის შეგრძნება, ამდენის გაგება და ამდენის დანახვა!!..

– შენც ლოცვას უბრუნდები, ისევ, პალიკო, ზენართან უბნობას, მასთან მიმართებას: მოზღვავებულ განცდებს რომ გაუძლო, შენი ფიქრები გააწონასწორო და გზა გასავლელი გააგრძელო.....

საოცარი რამეები ხდება ამ გზაზე ისევ, გარნა სხვა რიგის და სხვა სახეობის, თან არა ერთბაშად, ყველაფერი ერთად და ერთმანეთში არეული, არამედ ნაკვეთ-ნაკვეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ, პატარა მიგნებებით და აღმოჩენებით, გარჩევად ფორმას რომ აძლევენ და სხეულოვნებას სძენენ „ლოცვობის“ სახმილს... რაღაც მონაკვეთზე მეყვსად შენიშნავ, რომ ძნელბედობაში ჩავარდნილი შენი მოყვასი, უფალს რომ შეავედრე გზნებით, მომჯობინებულა და ფეხზე დგება, ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება თანდათანობით.. ფიქრი გაგიელვებს უნებურად, წამიერად, რომ ამ „გამომჯობინებაში“ ვინძლო შენი წვლილიც ურევია, შენი წვლილიც არის!. მერე დროდადრო ისევ გამოერევა ამგვარი ამბავი (ერთი, მეორე), შენს პირველ აღქმას რომ გიდასტურებს და კიდევ უფრო გაფაციცებულს გხდის მსგავსი ხდომილებების, ამბების გამორჩევაში და მიდევნებაში.. მათ ზედდებაში და ზმობაში იმასაც არჩევ (თავიდან ბუნდოვნად, მერე უფრო გარკვევით), რომ შენი ლოცვა-ვედრება უმეტესწილად მაშინ მოქმედებს, მაშინ ნახულობს თავის გზა-კვალს, როდესაც გულის მოძახილით მიმართავ ზენარს, შესთხოვ შეწევნას და დახმარებას, ყოველგვარი უკანა აზრის და გათვლის გარეშე, რომ ამით სიკეთეს აკეთებ, „კარგად“ იქცევი: მხოლოდ მაშინ, როცა შენი ქმედებით ტკბობას არ ეძლევი, როცა

„ინდულგენციისგან“ სრულად ხარ დაცლილი!. ... მეორე მხრივ, ისეთი ამბავიც გამოერევა ხოლმე, ისეთ შემთხვევასაც აწყდები, როცა რამ უმართებულო თუ ჩაიდინე, თავი ვერ შეიკავე, უწესოდ მოიქეცი – რაღაც არასასიამოვნო გემართება, შემაწუხებელი, მტკივნეული, იქავე, უცაბედად, მოულოდნელად, თითქოს არსაიდან მოსული (ავად გახდები თუ ცხოვრების გზაზე ცუდად დაეცემი), რეცა ამ მოქმედების სასჯელიაო თუ საზღაური!. ... ისევ გაფაციცდები და უკვირდები ამგვარ ხდომილებებს შენი ცხოვრების მდინარებაში და აქაც დასტურს ღებულობ შენს პირველ აღქმაზე, მის მართებულობაზე და საფუძვლიანობაზე... თანავ (რაც კიდევ უფრო უცნაურია, ფიქრის მომწევი), ყველაფერი ამის გაცხადების და უფლისგან მასზე შენდობის შეთხოვნის შემდეგ, საკმაოდ მალე, ეს „ცუდად ყოფნა“ ისევე ერთბაშად გტოვებს, ერთიანად, ისევე ქრება, როგორც დაგატყდა თავიდან თავზე, გაუფრთხილებლად.....

პირველი, რაც ამის შემდეგ გემართება, შეგიპყრობს, ერთგვარი დაბნეულობაა ყველა მომხდარით, გარდახდომილით, ლოცვასა და ამ ხდომილებებს შორის რაღაც კავშირის არსებობის შესაძლებლობით, მისი ნიშნების გამომჟღავნებით!. მერე აგრძელებ მსგავსი შემთხვევების შემდგომ შემოწმებას, უფრო დაკვირვებით, გულმოდგინებით და მისგან რწმუნდები, რომ პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქ არ იმზირება, მაგრამ გარკვეული კორელაცია (რაღაც დამოკიდებულება) შენს ლოცვასა და მას მოყოლებულ ხდომილებებს შორის მართლაც არსებობს და დროდადრო ცხოვრებაში ვლინდება.. ანუ: შენი მიმართება ზენართან უკვე სხვა განზომილებას იძენს, სხვა სტატუსს ღებულობს, სხვა კვალში გადადის...

არაერთგვაროვანი მდგომარეობაა, ისევე ფიქრის მომგვრელი: ერთმხრივ, თითქოს შესაძლებლობები გიფართოვდება, გარკვეული გავლენა შეგიძლია მოახდინო ცალკეული ხდომილებების განვითარებაზე; მეორე მხრივ კი, რეცა თავისუფლების ზომა გაკლდება, ერთგვარად იბოჭები, რადგან შენი მოქმედება შეიძლება ზიანის მომტანიც იყოს (და არა მარტო შენთვის..) და ეს ამბავიც შენ უკვე იცი!. ისე გამოდის, რომ მდგომარეობაში გარკვევის შემდეგ თავისუფალი ქმედების არე გეკვეცება, გივიწროვდება!. მართლაც რომ იმას ჰგავს, ძველი ქართული ანდაზა რომ გეუბნება (ნიშნის მოგებით): „არცოდნა არცოდვააო“ – გარნა აქ უკან უკვე ვერ დაბრუნდები.....

– ესე უცნაურად გამოდის, პალიკო, რაც უფრო მეტ საშუალებას გაძლევს ზენართან მიმართება მოვლენების განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენაში, მით უფრო მეტად იზღუდები, რადგან ამ ზეგავლენის შედეგები დამოკიდებულია შენს ქმედებაზე, მის რაობაზე და ხასიათზე და შეიძლება სიკეთეც მოიტანოს და დიდი ზიანიც, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცევი!. ერთია მხოლოდ, ეს შეზღუდვა ყველაფერს ერთნაირად არ ეხება, ერთნაირად არ უდგება, წვრილმანებს არ დასდევს თავგამოდებით, უბრალოდ ზნეობის ფარგლებს არ უნდა გასცდე, პალიკო, ზღვარს არ უნდა გადახვიდე და ის არ გააკეთო, რაც არ ეგების, ცხოვრების ჩარჩო რომ არ დაირღვეს, არ ჩამოიშალოს შენს სამკვიდროში: ათ მცნებას მაინც უნდა მისდიო (ესე თუ ისე), უფალმა რომ შემოაშველა ადამიანს თავის გასატა-

ნად, თითქმის ისევე, როგორც ფიზიკის ფუნდამენტური მუდმივები შემოამტკიცა წუთისოფელს, მისი ცხოველყოფის უზრუნველსაყოფად!..

– სხვა რა გზა გრჩება, დაკვირვებული ხდები, პალიკო, რამდენადაც ეს ძალგიძს და ხელგეწიფება: საზღვრებს რომ არ გასცდე ბუნებრიობის და ქაოსის წყლებში არ დაიკარგო, მათში არ ჩაინთქა გაუფრთხილებლობით...

როგორღაც დალაგებული ხდება ზენართან შენი ურთიერთობა: დილით მადლობას იხდი მშვიდობიანი ღამისთვის, ახალი დღის გათენებისთვის და სრულ დღესა სთხოვ მამაზეციერს შენი ოჯახისთვის, ნათესავისთვის, მოყვასისთვის, შენი ქვეყნისთვის, ყველასთვის, ვისაც კი შეიძლება მისწვდეს შენი ლოცვა, ზენით აღვლენილი; ღამით მადლობას უძღვნი უფალს გავლილი დღისთვის და მშვიდობიან ღამეს შესთხოვ ყველა მოყვრისთვის; თუ ზეშთა სოფელმა შენი ვედრება შეისმინა, შეწევნა მისცა შენს შევედრებულს, მადლობას უხდი ზეცას მთელი სიწრფელით და სავსე გულით; თუ დაისაჯე რამ უკეთურისთვის, შენდობას ითხოვ ამ ქმედებისთვის და მადლობას იხდი მოგებული სასჯელისთვის, საზღაურისთვის, რომელიც ნათელს ხდის შენს შეცოდებას და გაგებინებს, რა არ ეგების; და კიდევ უფრო მადლობელი ხარ მამა ზეციერის, შენს მონანიებას რომ შეისმენს და შეცოდებას შეგინდობს და შეიწყნარებს!..

..ისევ იმავეს გებულობ ამ მხარიდანაც, ამ ცარგვალიდან, ამ საწიერიდან წუთისოფლის: რომ სამყაროში ცხოვრობ, უსაზღვრო კოსმოსში, რომელშიც განუზომელი ძალები მოქმედებენ, დაუცხრომელი – საწუთრო ბორგავს აქეთ და იქით, უზარმაზარი ენერგია ამოიფრქვევა სხვადასხვა მხარეს, ყველას რომ წალეკავს წინშემოხვედრილს, გარნა მტკიცე კავებშია ყველა მოქცეული, ბუნების ვნებები და სტიქიები, და ქაოსის თავაშვებულობა და გაველებაც მხოლოდ მოფარგლულ არეში ხდება, დრო-სივრცის განსაზღვრულ ნაკვეთებში, მხოლოდ იქ არის დაშვებული; რომ ადამიანიც აქავე იშვა, ამ სამყაროში გაჩნდა, წუთისოფელში, ცხოვრების წესების საუფლოში და მის ქმედებებსაც პასუხი ერგება: საზღაური მიეგება მათზე, უცილობლად, ავი თუ კეთილი, კვალს რომ დატოვებს მის ნაშიერში...

– მართლაც რომ საოცარი ძალა ჰქონია ცოდნას, პალიკო: თავს ველარ მოიტყუებ, ვერ წაუყრუებ, სირაქლემასავით ველარ მოიქცევი, რამეთუ „იცი“ უკვე: სიმართლე იცი!. ყველაზე მეტად ამას ლოცვაში გებულობ, პალიკო, მის სამკვიდროში, რადგან აქ უშუალოდ ზენართან საუბრობ, მას ეაჯები, რომელმაც სულყველა უწყის სოფლის და ქვეყნის, მათ შორის შენი ცხოვრების, მისი სახმილების!. და ბედისწერული სწორედ ის არის, რომ ეს უკვე შენც იცი, მთელი სიგრძე-სიგანით: რომ წუთისოფელში არა იმალება, არაფერია დაფარული და რომ საზღაურიც მართლა არსებობს და ყველას ეწევა: აქაც, ცხოვრებაში, და იქაც, შავი ხვრელის ბნელ ხვეულებში...

– ღამის ნირი წაგიხდეს, პალიკო, ამ შეზღუდვებში, გაფრთხილებებში, წინაღობებში, ნებიერი ყოფისთვის ადგილიც რომ აღარ რჩება ლაღი, უდარდელი ცხოვრებისთვის!. ღათუ ამავდროს, მეორე მხრივ: ესე დაცული ხარ, ქაოსისგანაც, მისი გზნებისგან და ვნებებისგან, ყველას რომ ერთად ზელს, პალიკო, ერთ-

მანეთში, განურჩევლად და განუსაზღვრელად, დაუნანებლად, სიცარიელედ რომ აქცევს ყველაფერს ირგვლივ, ერთ დიდ არაფრად, სადაც არც გულია და არც გონება, არც სიყვარული, თნობა ერთურთის, მხოლოდ უსაშველო ენერგია, პალიკო, ზღვარგადასული და დამშეული, დროსაც რომ აჩერებს არემარეში და ცარიელ სივრცედ დაშთება ბოლოს, გაუთავებელი, გრძელი შუილით.....

მეტად მყუდრო ხდება შენი ლოცვა თანდათანობით, კონკრეტული და მისამართული, თავისავ თავში ჩაბუდებული, ჩაღუებული: უბრალოდ შენს თავთან არა ბჭობ უკვე და არც ეთერში არ გზავნი ვინძლოდ შენს მთავარ სიტყვებს და გულისნადებს!. სიმშვიდე შემოდის შინით, არაჩვეულებრივი გრძნობა, როცა იცი, რომ გისმენენ ზეშთა სოფელში, სიტყვაც რომ აგერიოს, მისი რიგი, გაუმართავი იყოს შენი მიმართვა: მთავარია არ ითამაშო, არ ილაქუცო, არ სცადო ლიქნა, არ სცადო, უბრალოდ გული მოუგო როგორმე ზენარს, როგორმე მოარგო მიმართვის ფორმა მის „მოთხოვნებს“, მიუსადაგო, როგორმე თავი მოაწონო მას, კეთილგანწყობა მოიპოვო მისი, ზეშთა დასის!.. მაშინვე გაწყდება ზენართან კავშირი, მარტოდ დარჩები წუთისოფელში და გრძელი გზის გავლა მოგიწევს თავიდან, მასთან კავშირი რომ აღადგინო, მიმართება და ურთიერთობა, მასთან უბნობა, გარნა ხინჯი დარჩება გარდახდომილისგან, მაინც რომ გეტყობა და თავს გახსენებს, ნაიარევივით – არა ქარვდება...

ეს სულ არ ნიშნავს, რომ რაიმე არსებითად იცვლება შენს ლოცვაში, მის ხასიათში, რომ უფრო გამართული ხდება ის, უფრო წყობილი: ის ისევე მიდის, როგორც მანამდე: ხან გამართულად, ხან აბნეულად; ხან წყობილი რიტმით იშლება, ხან გამოგრჩება რაღაც ნაკვეთები; მექანიკურად, ენაბლუკუნით მიმართავ ხანდახან, მთელი გზნებით და მღელვარებით ღაღადებ სხვა დროს!.. ერთი რამ იცვლება მხოლოდ თვისობრივად: ლოცვა შენი ცხოვრების ნაწილი ხდება, მკვიდრი, ყოველი ცისმარე დღის გამხსნელი და ღამის სიჩუმის მიმღები... დანარჩენი ცხოვრებაც ჩვეულებრივად გრძელდება, თავისი აღმასვლებით და დაღმართებით, მოვლენებით და ხდომილებებით: მისი ტალღებით.. გარნა მას თან ახლავს, გვერდით მიჰყვება ლოცვის საკმეველი, ხან მოკლე შეძახილით რომ შეეშველება, ხან ნუგეშს აძლევს ზენარის იმედით, ხან გრძელი ვედრებით დროს შეაჩერებს, ხან მადლობას აღავლენს ზეშთა სოფელში...

ორი რამ ხდება ნათელი ამ ჯერზე, ამ საფეხურზე: „ლოცვობა“ უკვე შენი სამკვიდროც არის; და რაც უფრო მკვიდრი ხდება კავშირი უფალთან, მით უფრო მეტი მოგეცემა და მეტიც მოგეკითხება.. ამას უშუალოდაც გრძნობ უკვე, დროდადრო, როცა მთელი გზნებით სთხოვ ზენარს შეწევნას: რომ შენს ლოცვა-ვედრებას რაღაც მოყვება, რაც მდგომარეობას შეცვლის, სასიკეთოდ, ამ განაკვეთში... საოცარ სიმშვიდეს გაძლევს ეს განცდა და უფლებას შენი ვედრებით მიმართო ხოლმე უფალს:

მაღალო წმინდაო სამებავ,
შეგვინდე შეცოდებანი ჩვენნი!
გვიხსენ და გადაგვარჩინე,

გადაგვარჩინე და დაგვარჩინე,
დაგვარჩინე და გაგვამარჯვებინე
უკეთურებაზე, ბედუკულმართობაზე,
ჩვენს უნიათობასა და უწესობაზე,
შემინდე შეცოდებანი ჩემნი,
მაღალო წმინდაო სამებავ, ამენ!
შეგვინდე შეცოდებანი ჩვენნი,
მაღალო წმინდაო სამებავ, ამენ!
შეუნდე შეცოდებანი მათნი
ქართველ ხალხს და საქართველოს,
მაღალო წმინდაო სამებავ, ამენ!

ნ

თამაში ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ყოველთვის: თავისი წესებით და მეთოდებით, მოგება-წაგების ფილოსოფიით და მეთოდოლოგიით, მოქმედების სტრატეგიებით და ტექნოლოგიებით – თავისი მიდგომით.. სხვადასხვა იყო მისი ადგილი და ზომა-წონა სხვადასხვა დროებაში და კულტურაში, სხვადასხვა ცივილიზაციაში.. ეს არ ეხება კონკრეტულ თამაშებს, რომლებსაც ყველა დროს ქმნიდა და იყენებდა ადამიანი, საზოგადოება – თავის შესაქცევად, გულის გადასაყოლებლად, შეჯიბრ-სანახაობად თუ აზარტული გართობებით დროის მოსაკლავად: აქ ლაპარაკია თამაშზე, როგორც ცხოვრების ფორმაზე და, ხანდახან, მის შინაარსზეც!. საკმარისია, ცნობილი „თამაშები, რომლებსაც ადამიანები თამაშობენ“ (“Games People Play”) გაიხსენო, ამ მიმართებით, ცხოვრებისეული თამაშების ერთ-ერთ ნაირსახეობაზე წარმოდგენის შესაქმნელად...

– აქ საგნის ორი მხარის გარჩევა არის საჭირო თავიდანავე, პალიკო, რამდენადაც: ერთი მხრივ, „თამაში“ გამოიყენება როგორც საშუალება, ინსტრუმენტი გარკვეული მიზნის მისაღწევად და ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად; ხოლო მეორე მხრივ, თვითონ ცხოვრებას აქცევენ ხოლმე თამაშის ჩარჩოში და თამაშის ფორმას და შინაარსს აძლევენ მას... ეს ორი მიდგომა შეიძლება ერთდროულადაც მუშაობდეს, პალიკო, პარალელურად, ან ირეოდეს და გადადიოდეს ერთმანეთში.. ...

– ამ თვალთახედვით, რეალობის ორ განსხვავებულ სახეობას ვღებულობთ, პალიკო: *„ცხოვრება-ცხოვრებას“*, ყოველი დღეცისმარის გავლით, თავისი ფაზებით და გადასვლებით, პიროვნული ცხოვრებით და განვითარებით, ოჯახით და მოყვასებით, ადამიანური ურთიერთობებით და გარემოსთან ურთიერთქმედებით, ქვე-ყანაში მოღვაწეობით და საქმიანობით – ანუ, „ცოცხლობით“, პალიკო (ცხოვრების სულხან-საბასეული განმარტება რომ გამოვიყენოთ); და *„ცხოვრება-თამაშს“*, რომელიც მოდელირებულ რეალობას წარმოადგენს და მხოლოდ მისთვის დადგენილი წესებით მოქმედებას უშვებს და ღებულობს, მისით ფარგლავს წუთისოფელს, მის ცხოველყოფას, რომელშიც დრო მომავლისაკენ აღარ მიემართება, აღარ მოძრაობს მერმისისაკენ და მხოლოდ თამაშის ხანგრძლივობაზე არის დაყ-

ვანილი, გაჩერებული, მოგება-წაგებაც კი პირობითი ხდება (ადრე თუ გვიან) მის სამანებში და თვითონ თამაშის პროცესი, ამ შეთხზულ (გამოგონილ) რეალობაში სიცოცხლის დაუნანებელი ხარჯვა-გაფლანგვა, მისი გალევა ხდება ყველაფრის მსაზღვრელი – ანუ, არსებობაზე დასული ცხოვრება, პალიკო, დრო-სივრცის ერთ ნაკვეთ-ხვეულში გაჩხერილი და გაშეშებული წუთისოფელი!!..

– მათი თანაფარდობა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა პიროვნების ცხოვრებაში და მდინარებაში, საზოგადოებაში, პალიკო, და ცვალებადია დროის ცვლასთან ერთად, გარნა გლობალიზების პროცესის დღევანდელი მოძალების პირობებში „ცხოვრება-თამაშის“ დამკვიდრებაზე და გავრცელებაზე მიმართული ძალისხმევა და მოქმედება სულ უფრო უპირატესი და წარმმართველი სტრატეგია ხდება დედამიწაზე, დომინანტური.. ეს პროცესი, თავისთავად (როგორც ასეთი), წინა საუკუნის 80-იანებიდან დაწყებული ხდება საჩინო, პალიკო, ხელშესახები და მზარდი დაჩქარებით იშლება და ფართოვდება პოსტმოდერნისტულ რეალობაში კაცობრიობის გადასვლასთან ერთად, მის კვალედში...

ცხოვრების თამაშად გადაქცევის პროცესი ადამიანური საქმიანობის და მოღვაწეობის ყველა სფეროს შეეხო და მოიცვა თანდათანობით, მათ შორის მეცნიერებასაც, რომელიც ინსტრუმენტული (ანუ, ქმედებაზე მომართული) ცოდნის წარმოების დასრულებულ სისტემად ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის 80-იანი წლებისთვის და (სხვა საგნებს შორის) თამაშის თეორია და მეთოდოლოგიაც სრულად დაამუშავა ამ დროისათვის და მის უკან მდგომი (და მისი გამამყარებელი) იდეოლოგიაც მწყობრად ჩამოაყალიბა ამ პერიოდში... არც თვითონ მეცნიერება დარჩენილა ამ პროცესის მიღმა და მისი სისტემაც უპრობლემოდ მოერგო თამაშის ფორმებში და ტერმინებში მის მოქცევას და წარმოდგენას: „მეცნიერება როგორც თამაში“ (“Science As A Game”)!. უფრო მეტიც, მეოცე საუკუნის 80-იანების მეორე ნახევარში უკვე სრულად გაცხადდა მეცნიერების ქმედითობის უსაზღვრო შესაძლებლობები და საშუალებები, მისი ნიშატი და ხასიათი და იგი უკვე ამ სტატუსით წარმოდგა წუთისოფელში, ამ განსაზღვრებით: „მეცნიერება მოქმედებაში“ (“Science In Action”)...

მეცნიერების, როგორც ინსტრუმენტული ცოდნის წარმოების სისტემის ერთ-ერთ საკვანძო მოდულს, ფუძე-ელემენტს პროფესიონალი მეცნიერ-მკვლევარების, ანუ კვლევებისა და დამუშავებების (R&D) კვალიფიციური სპეციალისტების კვლავწარმოება შეადგენს. მათი კვლავწარმოების მექანიზმი სრულად არის დამუშავებული, სათანადო საფეხურებით და პროცედურებით გაწყობილი და გამართული, რომელთა გავლის შემდეგ სუბიექტს შესაბამისი მეცნიერების ფილოსოფიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხი ენიჭება. ამ აკადემიური ხარისხის მინიჭება ნიშნავს, რომ მისი მატარებელი სრული პროფესიონალი მკვლევარია (უწინარესად) და მან გარკვეული ცოდნითი წვლილიც შეიტანა კვლევებისა და დამუშავებების შესაბამის არეში, რაც მისი სადოქტორო ნაშრომით (ან სათანადო სამეცნიერო გამოქვეყნებების, პუბლიკაციების ნაკრებით) დასტურდება, ანუ: ის კვალიფიციურ მეცნიერ-მკვლევართა თემს შეემატა აკადემიური ხარისხის მიღებით... ამ ხარისხს მომავალ დოქტორანტს (მის მაძიებელს) „კოლეგები“ ანიჭებენ,

საკუთრივ, მეცნიერ-მკვლევრებისგან შემდგარი სამეცნიერო საბჭო, სადოქტორო ნაშრომის დაცვის სპეციალური პროცედურის გამოყენებით... მსგავსი პროცედურის ჩატარება შეუძლია ნებისმიერ (საუნივერსიტეტო თუ მის გარეთა) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც შექმნილი აქვს საკუთარი სამეცნიერო საბჭო კვლევებისა და დამუშავებების სათანადო არეებში აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.. ამგვარი საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ როგორც თვითონ მოცემული ინსტიტუტის მაღალი რანგის მეცნიერ-მკვლევრები, ისე მოწვეული მეცნიერები...

საბჭოთა კავშირში (დასავლეთის სამყაროსგან განსხვავებით) ორი აკადემიური ხარისხი გამოიყენებოდა: მეცნიერებათა კანდიდატის და მეცნიერებათა დოქტორის.. მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხი დასავლური ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის ტოლფარდი იყო: მსგავსი მოთხოვნებით და პირობებით მის მოსაპოვებლად.. რაც შეეხება მეცნიერებათა დოქტორის აკადემიურ ხარისხს, ის რიგით უფრო მაღალი რანგის აკადემიურ ხარისხს წარმოადგენდა და ბევრად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებდა მის მაძიებელს: პირობითად, მას რამდენიმე კანდიდატის ხარისხის ტოლფარდად თვლიდნენ ხოლმე.. უფრო არსებითი იყო თვისობრივი განსხვავება ამ ორ აკადემიურ ხარისხს შორის, მათ მისანიჭებლად მოთხოვნილ პირობებს შორის: აქ განმსაზღვრელი ცოდნითი წვლილი იყო უკვე, რომელიც მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მაძიებელს უნდა შეეტანა შესაბამისი კვლევების ველში: კვლევებისა და დამუშავებების ახალი მიმართულების შექმნის თუ მისი ტოლდიდი და ფარდი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემის გადაწყვეტის გზით...

ამგვარი არის ფორმალური მხარე, მოკლე, სქემატური მონახაზი მეცნიერ-მკვლევართა კვლავწარმოების საერთო მექანიზმის, ღათუ მასშიც კარგად გარჩევა სხვადასხვაგვარი თამაშის წარმოების შესაძლებლობა, მეტადრე შესაბამისი პროცედურების განხორციელების ფარგლებში.. ერთი ასეთი (თავისებური) პროცედურაა ეგრეთწოდებული „წინა-დაცვა“, რომელსაც აკადემიური ხარისხის მაძიებელი გადის მისი ნაშრომის ოფიციალური, ფორმალური დაცვის პროცედურამდე, შედარებით ვიწრო, „შინაურულ“ წრეში, არაფორმალურად... ეს „წინა-დაცვა“ შეზღუდულ ხასიათს ატარებდა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვების საერთო პროცესში, მაგრამ თითქმის ინსტიტუციონალიზებული იყო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მაძიებლებისთვის...

სწორედ ამგვარი „წინა-დაცვა“ გაიმართა მეოცე საუკუნის 80-იანების შუა პერიოდში ერთ დიდ საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (რამდენიმე ათასი მეცნიერ-თანამშრომლით მასში), რომელიც სხვადასხვა მეცნიერების გადაკვეთაზე მუშაობდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პრობლემატიკის ამოცანებზე... აღნიშნული „წინა-დაცვა“ მის ერთ-ერთ დეპარტამენტში გაიმართა, სოციალურ-ტექნოლოგიური პროცესების პროგნოზირების და პროგრამირების თემატიკაში, რომელშიც უნდა მოეპოვებინა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მისი ერთი განყოფილების ხელმძღვანელს.. „წინა-დაცვის“ დანიშნულება იყო სადოქტორო ნაშრომის კრიტიკული განხილვა-შეფასება, კონკრეტული შენიშვნების

გაკეთება მის საგნობრიობასა და სტრუქტრულ გამართულობაზე, სამეცნიერო ღირებულებაზე, და რჩევების მიცემა მაძიებლისთვის მისი ნაშრომის გადასახალისებლად და მოსამზადებლად სამეცნიერო საბჭოზე ოფიციალური წარდგენისა და წარმატებული დაცვისთვის...

წინა-დაცვის პროცესს სპეციალურად შერჩეული მოდერატორი წარმართავდა – სრულად გარკვეული შესაბამის სამეცნიერო-კვლევით პრობლემატიკაში და ამგვარადვე კომპეტენტური სამეცნიერო საბჭოს მუშაობასა და პროცედურებში.. 400 გვერდზე უფრო დიდი მოცულობის (დაახლოებით 450-გვერდიანი) სადოქტორო ნაშრომის უშუალო შეფასებას ორი პროფესიონალი მეცნიერ-მკვლევარი, ოპონენტი ახორციელებდა, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ მიწოდებული სადოქტორო ნაშრომის ასლები, მათი შესწავლისთვის და კრიტიკული ანალიზისთვის, შეფასებისთვის; თავად ნაშრომის მოკლე წარმოდგენას და მისი თეზისების დაცვას სადოქტორო ხარისხის მაძიებელი ახორციელებდა; განხილვას ესწრებოდნენ მისი კოლეგები, სადოქტორო კვლევებში ჩართული სპეციალისტები, დეპარტამენტის თანამშრომლები, დაინტერესებული პირები, გულშემატკივრები – მისი „შინაური წრე“ (20-30 პირი, მთლიანობაში)...

„წინა-დაცვის“ პროცედურა სადოქტორო ნაშრომის მოკლე წარმოდგენით, მაძიებლის მიერ მისი პრეზენტაციით დაიწყო, რომელიც ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა.. აქ მთელი მასალა მოდულებად იყო დაყოფილი და გაშლილი, რომლებშიც სადოქტორო კვლევების საკვანძო ელემენტების საერთო მონახაზები იყო მოცემული: ჩატარებული კვლევების პრობლემატიკა და ამოსავალი წერტილები; კვლევებისა და დამუშავებების შესაბამის ველში მიმდინარე კვლევების ძირითადი მიმართულებები და სადოქტორო კვლევების ადგილი მათ რიგში, მათი განსხვავებულობა და მნიშვნელობა; საერთო მიდგომა და თეორიული ჩარჩო, გამოკვეთილი ამოცანები და მათი გადაწყვეტის გზები (ჰიპოთეზები); მეთოდოლოგია და კვლევების პროცესი; ძირითადი შედეგები და ცოდნითი წვლილი; მიღებული შედეგებით გამოწვეული ცვლილებები კვლევებისა და დამუშავებების თემატურ ველში, მიმდინარე კვლევების ძირითად მიმართულებებში; საერთო დასკვნები, სამომავლო პერსპექტივები... ყოველი მოდული ცალკე ერთეულს წარმოადგენდა, ცალკე ფრაგმენტს კვლევების საერთო პროცესის, წინა და მომდევნო მოდულებთან მისი გადაბმის გარეშე (ამ შემთხვევაში), რაც ძნელად აღსაქმელს ხდიდა მთელ წარმოდგენილ მასალას, მის ერთიანობას, ერთგვარ მოზაიკას ემსგავსებოდა, რომლის ელემენტებიც უბრალოდ გვერდიგვერდ იყვნენ მიწყობილი და განლაგებული, როგორღაც ფორმალურად, რაიმე მკაფიო მიზანმიმართების და მიდგომის, გარჩევადი ლოგიკის გარეშე.. მაძიებელი თითქოსდა ცდილობდა ამ შორისების შევსებას თავისი ზეპირი განმარტებებით, დამატებებით, მაგრამ ისინიც ბევრს არას ჰმატებდნენ პრეზენტაციის ამ გაუწყობელ მასალას და კიდევ უფრო აბნეულს ხდიდნენ ქმნილ მოზაიკას; მოდერატორიც შეეცადა (რამდენიმეჯერ) დამაზუსტებელი შეკითხვებით დაეკვალიანებინა მაძიებელი, ფონს გაეყვანა, მაგრამ უშედეგოდ და მალევე შეწყვიტა დამატებითი კითხვების დასმა და გარჩევა, წარმოდგენილ მასალაში ჩაძიება...

მოკლე შესვენების შემდეგ უკვე ოპონენტების ჯერი მოვიდა... პირველი მათგანი სადოქტორო ნაშრომის წყობას განიხილავდა უშუალოდ, მის სტრუქტურულ გამართულობას.. ეს სრული განხილვა იყო, სულ ნაკვეთ-ნაკვეთ: ნაშრომის სათაურით, მოკლე შეჯამება-აღწერით და შესავლით დაწყებული; მისი ნაწილებით, თავებით, ქვეთავებით და მუხლებით (პარაგრაფებით) გაგრძელებული; და ბიბლიოგრაფიითა და დანართ-დამატებებით დამთავრებული.. ოპონენტის შენიშვნები და შეფასებები, დასმული კითხვები ყოველ სტრუქტურულ ერთეულს ეხებოდა: მათ სისრულეს და გამოკვეთილობას, ფუნქციონალურ განსაზღვრულობას და შესატყვისობას, ერთურთის შევსებას, ლოგიკურ გადასვლას ერთი სტრუქტურული ერთეულიდან მეორეში (პარაგრაფიდან პარაგრაფში, ქვეთავიდან ქვეთავში, თავიდან თავში, და ნაშრომის ერთი ნაწილიდან მეორეში)... ყოველი მათგანი ცალკე მოდულს წარმოადგენდა მოცემულ ნაშრომში, რომელიც უფრო დაბალი დონის მოდულებით იყო შეკრებილი, რომელთა შორის ლოგიკური კავშირები თითქმის არ იმზირებოდა, ხოლო მათ შესავსებად მოყვანილი ემპირიული და თეორიული დასაბუთება და მსჯელობები უმეტესად სცდებოდნენ განსახილველი საგნის სივრცეს და უფრო მეტი ქაოსურობა შეჰქონდათ ამ მოდულებში, მათ დანიშნულებასა და ამოცანებში, შემაჯამებელ დებულებებსა და დასკვნებში: მათ გაგებაში... აქ მთლიანობა დარღვეული იყო ყველა დონეზე და, მოიუხედავად იმისა, რომ მასალის წყობა ნაშრომში სრულად ეთანადებოდა სადოქტორო ნაშრომისთვის მოთხოვნილ სტანდარტულ სტრუქტურას, ფორმატს, ეს თანადობა უფრო პირობით ხასიათს ატარებდა და დაინტერესული სუბიექტი ვერ მიიღებდა საჭირო ცნობებს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ნაშრომის შესატყვის თავებში, ქვეთავებში, დანართებში და დამატებებში, ბიბლიოგრაფიაში... ...

– გასაოცარი იყო, პალიკო, სადოქტორო ნაშრომის ესე გულდაგულ გაჩხრეკა, ძირისძირამდე, თავიდან ბოლომდე, მისი საერთო წყობის და სტრუქტურული ერთეულების, მისი ნაკვეთების და მთელი მოდულების, მათი ერთურთზე შეწყობის და შეთავსების, თანაწყობის, თანავ ესე კვალიფიციური და კომპეტენტური და ესერიგად ობიექტური განხილვა მთელი ნაშრომის!. და ეს მაშინ, როცა ეს მხოლოდ „წინა-დაცვა“ იყო, პალიკო, „შინაურული გარჩევა“ მაძიებლის ნაღვაწის და ნახელავის, რაც (თითქოსდა) სულაც არ თხოულობდა მის ბოლომდე გაცრას და გაწურვას, მის ავ-კარგში ესერიგ ჩაძიებას და ჩაყოლას და შეიძლება მოფარგლულიყო მთავარი (ყურადღებამისაქცევი) საკითხების გამოკვეთით, ცალკეული კვანძების მონიშვნით და შესაფერისი რჩევა-დარიგებების მიცემით მაძიებლისთვის!.. აქ კი სადოქტორო ნაშრომის ყველა ნაკვეთი იყო, პალიკო, გაჩხრეკილი და გამოძიებული, გულისგულამდე, კიდიდან კიდემდე და მისი სრული გაუმართაობა და გაუწყობლობა გამოვლენილი და გამოაშკარავებული.. 40 წუთზე მეტი დასჭირდა ოპონენტს მის გასაშლელად და გასახსნელად...

– მეც მქონდა წაკითხული ეს ნაშრომი, პალიკო, გარნა მხოლოდ „იმდენად, რამდენადაც“, არა უმეტეს, ანუ, გადაკითხული მქონდა უბრალოდ, საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ ისიც საკმარისი იყო მისი წყლიანობის და ჭიანობის დასანახად და გასარჩევად და გასაკვირი და მოულოდნელიც ის იყო, რომ

ოპონენტმა სწორედ ეს „წყლიანობა“ გამოკვეთა და გაშალა, პალიკო, მთელი მისი სიგრძე-სიგანით, სულ დაწვრილებით, მარცვალ-მარცვალ, დაუნდობლად და დაუზოგავად!. ავღელდი, მეტად, ამის მომსწრე და შემყურე, ლამის ტაში შემოვკარი...

მეორე ოპონენტი საგნობრივ მხარეს შეეხო უკვე, სადოქტორო ნაშრომის, მის განსაზღვრულობას და გამოკვეთილობას, გარჩევადობას და გამართულობას, ისევე გულდასმით და რუდუნებით, როგორც პირველი ოპონენტი, დაუზოგავად და დაუნანებლად: სადოქტორო ნაშრომის საერთო მიზან-მიმართებას, დაწყებული მისი სათაურით და მოკლე აღწერით, მისი შესავლით; კვლევების ველის გამოკვეთას და მასში სადოქტორო კვლევების მთავარი ამოცანების გამოყოფას, მათ რაობას, მართებულობას და აქტუალობას; კვლევების ველის ანალიზურ მიმოხილვას, მიმდინარე კვლევების მიმართულებებს და მათ სტრუქტურას, პრობლემატიკას და დომინანტურ თეორიებს, საერთო მიდგომებს; სადოქტორო კვლევების საკუთარი თეორიული ჩარჩოს რაობას და შედგენილობას, დასაბუთებას, დასმული კვლევითი ამოცანების გადაწყვეტის გზებს და საშუალებებს; კვლევის მეთოდოლოგიის ამოსავალ წერტილებს და სტრუქტურას, მის ქმედითობას და შედეგიანობას; განხორციელებული კვლევების პროცესს, მის გაშლას და საკვანძო მომენტებს მსვლელობის პროცესში, პირველად შედეგებს და მონაცემებს; ძირითად შედეგებს, დამუშავებებს, მათ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობა-ღირებულებას; ცოდნით წვლილს, შეტანილს კვლევებისა და დამუშავებების მოცემულ ველში და მისი შემატებით გამოწვეულ ცვლილებებს მიმდინარე კვლევების ჩარჩოსა და მიმართულებებში; საერთო დასკვნებს და სამომავლო პერსპექტივებს...

– და ეს ყველაფერი მან სულ მისხალ-მისხალ გაარჩია, პალიკო, ისე, რომ არაფერი გამოუტოვებია ან გამორჩენია, არაფერი მიუფუჩეჩებია ან დაუფარავს!. თან ეს გააკეთა საგნის სრული ცოდნით და კომპეტენციით, მიუკერძოებლად!.. გარნა, აქაც იგივე სიცარიელე წარმოდგა, საბოლოო ჯამში, ყოველ ნაბიჯზე და მთლიანობაში, მხოლოდ კიდევ უფრო მძიმე და უხერხული, პალიკო, უსიამო, რადგან ეს უკვე სადოქტორო კვლევების (წლების მანძილზე რომ მიდიოდა) ქსოვილს ეხებოდა, მათ ნივთიერებას, მათ შინაარსს, ფაქტუალურ შედეგებს, სადოქტორო ნაშრომის საგნობრიობას, ერთიანობაში, რომელსაც ვერსად პოულობდი, ვერსად ნახულობდი, ხელთ ვერ იგდებდი, პალიკო, ვერ ეწეოდი, რადგან: გაურკვეველი რჩებოდა ჩატარებული კვლევების საერთო მიზან-მიმართება, გაბლანდული ზოგად თეზისებში, ის არსად იყო მკაფიოდ განსაზღვრული და ხაზგასმული; კვლევების ველი სახელდებების დონეზე იყო მოფარგლული ოდენ, რაც ძნელად დასადგენს ხდიდა სადოქტორო კვლევების ძირითადი ამოცანების თანადობას და თანაწყობას მასთან, მათ მართებულობას და აქტუალობას ამ ველის ფარგლებში, მეტადრე, რომ ეს ამოცანები მხოლოდ საერთო დებულებების დონეზე იყო ჩამოყალიბებული სადოქტორო ნაშრომში; კვლევების ველის ანალიზურ მიმოხილვაში იყო ყველაფერი, გარდა ანალიზისა და მისი შედეგებისა, პალიკო, მასში ერთად იყო შეყრილ-შეკრებილი და თავმოყრილი რაღაც კვლევების ფრაგმენტე-

ბი, სახელდებებით ხსენებული კვლევების მიმართულებები, თითქმის გაუხსნელი კვლევითი პრობლემატიკა და ძნელად გასარჩევი საყრდენი თეორიები და მიდგომები, რაიმე გაშლა-დახასიათებას მოკლებული; სადოქტორო კვლევების თეორიული ჩარჩო ზოგად თეზისებს და გადამისამართებებს (რეფერენსებს) არა სცდებოდა, პალიკო, რაც ბუნდოვანს ხდიდა მის რაობას და შედგენილობას, მუშა ჰიპოთეზებს (კვლევით ვარაუდებს) და მათზე დაფუძნებულ წინასწარმეტყველებებს (მისაღებ შედეგებს), ვერ აკონკრეტებდა კვლევითი ამოცანების გადაწყვეტის გზებს და საშუალებებს; გაურკვეველი დარჩა კვლევის მეთოდოლოგიის საყრდენი წერტილები და პრინციპები (მიდგომით დაწყებული), არასრული და აბნეული იყო მისი სტრუქტურა და მასთან ერთად, შეუფასებელი დარჩა გამოყენებული მეთოდოლოგიის ქმედითობა და შედეგიანობა, მისი ვარგისიანობა მსგავსი კვლევებისთვის მომავალში; მკაფიოდ არ იყო გაწერილი ჩატარებული კვლევების პროცესი, პალიკო, მისი გაშლა და მსვლელობა, ფაზები და სტადიები, საკვანძო მომენტები, შეფერხებები და შეყოვნებები, გარდატეხის წერტილები, კვლევების პირველადი შედეგები და მიგნებები, მათი საყრდენი მონაცემები; არ იყო გამოკვეთილი სადოქტორო კვლევების ძირითადი შედეგები, გადაწყვეტილი პრობლემა-ამოცანები, მიღებული შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება, განზომილებები; არ შეჯამებულა, პალიკო, ცოდნითი წვლილი, რომელიც სადოქტორო კვლევებმა შეიტანა (უნდა შეეტანა) კვლევებისა და დამუშავებების მოცემულ ველში, არ გამოკვეთილა მისი მთავარი ხაზები და მით მოტანილი ცვლილებები მიმდინარე კვლევების საერთო ჩარჩოსა და სტრუქტურაში, კვლევების ცალკეულ მიმართულებებში; და როგორც შედეგი, საერთო ფრაზებს ვერ გასცდა სადოქტორო კვლევების შემაჯამებელი საერთო დასკვნები და კიდევ უფრო ფუყე მსჯელობებით მოიფარგლა მათი „სამომავლო პერსპექტივების“ განაკვეთი...

– აღფრთოვანებული ვიყავი, პალიკო, სადოქტორო ნაშრომის ამ ყოვლისმომცველი მიმოხილვით და შეფასებით, რომელმაც მთელი ნაშრომის ავ-კარგიც წარმოაჩინა და არც რამ წვრილმანი დატოვა გაუხსნელი, მიუხედავი, ყველას ნათელი მოჰფინა, გააცხადა, ესე კომპეტენტურად და ობიქტურად!!. თან ეს ხდებოდა შინაურ წრეში და ვითარებაში, „წინა-დაცვაში“: პატივით აღვივსე, პალიკო, ოპონენტების და მთელი ამ პროცედურის მიმართ...

– ერთმა გაფიქრებამ გაიელვა მხოლოდ მეყსეულად, გაკვრით, რომ ეს ყველაფერი სადოქტორო ნაშრომს ეხებოდა, პალიკო, ოდენ (450-გვერდიანს), არა სადოქტორო კვლევებს და მათ შედეგებს: გაიელვა და იქავე ჩაქრა, მიილულა, თავისით, გზაში...

კიდევ ერთი შესვენება და მოდერატორმა სადოქტორო ხარისხის მაძიებელს მოუხმო ისევ, ოპონენტების შენიშვნებზე და შეფასებებზე განმარტებების და პასუხების გასაცემად.. იგი გამალებით იწერდა და ინიშნავდა რაღაცებს ოპონენტების მოხსენებების დროს და შესვენების დროსაც აგრძელებდა მუშაობას, ვინძლო თავისი პასუხების მოსამზადებლად.. ნახევარ საათზე მეტი დასჭირდა ისევ მის ამ მეცადინეობას...

მაძიებელმა თავისი ახსნა-განმარტებები შენიშვნა-პასუხის რიგით ააწყო, წარმოადგენდა რა ოპონენტების შესაბამის კითხვა-შენიშვნებს თუ შეფასებებს და შემდეგ თავის გაშლილ პასუხებს იძლეოდა მათზე, გარნა ყოველ შენიშვნას თავის ყაიდაზე აყალიბებდა და ძნელად გასაგებს ხდიდა ხშირად, თუ რა საკითხზე იყო ლაპარაკი ამ დროს და თვითონ ოპონენტებსაც უწევდათ ხოლმე ამაზე ჩაკითხვა და ჩაძიება, დასაზუსტებლად, ერთი-ორჯერ კი მოდერატორიც ჩაერთო ამ მოკვლევაში... კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას ქმნიდა მაძიებლის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებები, პასუხები ოპონენტების შენიშვნებზე და დასმულ კითხვებზე, რამდენადაც ისინი როგორღაც აცდენილნი იყნენ ამ შენიშვნების საგანს და შინაარსს და რაღაც კიდევ უფრო სხვაზე იძლეოდნენ თავის გაფანტულ პასუხებს.. უნებურად ფიქრდებოდი მათ მიყოლილი, რამე ხომ არ გამოგრჩა, ხომ არ გაგეპარა, ხომ არ გამოტოვე და, თუ არა და, მაშინ რაზეა აქ ლაპარაკი, მაშინ რა არის საერთოდ ეს სადოქტორო ნაშრომი და რისთვის გაიმართა ეს „წინა-დაცვა“?!. მაძიებელი კი რიხით აგრძელებდა თავის „ახსნა-განმარტებებს“, ენერგიულად, მთელი სხეულით, რეცა კმაყოფილიც, რომ ყველაფერზე ჰქონდა საკუთარი წარმოდგენა და მოსაზრება, საკუთარი პასუხები!. გაურკვეველი რჩებოდა მხოლოდ, საკითხავი, რა იყო მაინც ეს „ყველაფერი“.. ... რაღაც ინტრიგასავით გაჩნდა მთელ ამ „დრამაში“, მის მსვლელობაში და უნებლიეთ გავიყურსე მისი გახსნის მოლოდინში...

გვირგვინი აქ მოდერატორის გამოსვლა იყო – შემაჯამებელი, ყველაფრის გამხსნელი და დამასრულებელი, მშვიდი და დაჯერებული.. მან აღნიშნა, რომ: ოპონენტების შენიშვნა-შეფასებები მკაფიო იყო და მართებული, სადოქტორო ნაშრომის რაობის და ავ-კარგის, მისი გაუმართაობის და ქაოტურობის შესატყვისად ამსახველი; მაძიებლის პასუხებმა და ახსნა-განმარტებებმა ვერ შეიტანა სიცხადე სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურულ აგებულებაში და საგნობრივ წყობილებაში, უფრო მეტიც, უფრო აბნეული და ქაოტური გახადა ისინი და კიდევ უფრო მეტი კითხვა გააჩინა მათ მიმართ; ამდენად, მაძიებელმა არ უნდა სცადოს სადოქტორო ნაშრომის გადახალისება და „გაუმჯობესება“ ოპონენტების შენიშვნა-შეფასებების მიხედვით და მიყოლებით (მიუხედავად მათი მართებულობისა), რამეთუ მაშინ მას მთელი ნაშრომის ახლიდან დაწერა მოუწევს უკვე და არ არის გარანტია, რომ ამის შედეგად ნაშრომის უკეთ გაწყობილ და გამართულ ვერსიას მივიღებთ და სავარაუდოა, ის უარესიც გამოვიდეს შემდეგ; ამიტომ საკმარისი იქნება, მაძიებელი გულისყურით მოეკიდოს ოპონენტების მიერ გამოტანილ საკითხებს და მზად იყოს მსგავს კითხვებზე პასუხის გასაცემად ოფიციალური დაცვის პროცედურაზე, არ დაიბნეს და არ დაიხაფროს ამ დროს, არ დაიკარგოს სადაგი აზრების უსარგებლო (და უნაყოფო) ძებნა-ძიებაში!!! ... ...

– გესმის, პალიკო? გამოვიდა, რომ თვითონ სადოქტორო ნაშრომი და მისი ხარისხი, მისდამი დაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება-დაუკმაყოფლობა სულ მეორადი საკითხი ყოფილა ამ „წინა-დაცვისთვის“!. მთავარი ნაშრომის ჯეროვანი წარდგენა ყოფილა მხოლოდ და „წინა-დაცვის“ მთელი მეცადინეობაც მას ემსახურებოდა ოდენ: მაძიებლის გარკვევას და ჩამოყალიბებას ამ საკითხებში

(რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო) და მის შემზადებას სადოქტორო ნაშრომის ოფიციალური წარდგენისთვის – მიუხედავად ნაშრომის სრული გაუმართაობისა და უსაგნობისა!.

– უფრო მეტიც, პალიკო, არავის მოსვლია აზრად ეკითხა, თუ რამდენად იმსახურებდა (ან არ იმსახურებდა) სადოქტორო ხარისხის მაძიებლობას ამგვარი ნაშრომის წარმდგენი, რამდენად ესადაგებოდა მისი ცოდნა-გამოცდილება და კვალიფიკაცია, მკვლევარის კომპეტენცია (თუნდაც „წინა-დაცვაზე“ გამომჟღავნებული) ამ მაღალ აკადემიურ ხარისხს!. „წინა-დაცვის“ მომწყობებისთვის და მონაწილეთათვის საკითხი სხვაგვარად იდგა: მაძიებელს უნდა მოეპოვებინა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, პალიკო, ყველა შემთხვევაში; საკითხი იმაში მდგომარებდა მხოლოდ, თუ როგორ უნდა მიღწეულიყო ეს, როგორ გაკეთებულიყო, რა გზით და საშუალებით...

– კიდევ უარესი, პალიკო, აქ სულ არ განხილულა თვითონ კვლევების საკითხი, რეალური კვლევების, რომლებიც ჩატარდა (ან უნდა ჩატარებულიყო) სინამდვილეში მაძიებლის ხელმძღვანელობით და წინამძღოლობით: მათი ნამდვილი რაობა და სახეობა, მიზანმიმართება და შინაარსი, მიმართულებები და ამოცანები, მიღებული შედეგები და მათი წვლილი კვლევებისა და დამუშავებების შესაბამისი ველის განვითარებაში!. ეს აქ არავის აინტერესებდა, პალიკო, არ უკითხავს, ყველა მხოლოდ მათ სათანადო წარმოსახვას ძიობდა სადოქტორო ნაშრომში, მის შესატყვისობას ფორმალურ მოთხოვნებთან და მთელი პრობლემაც იმას მოჰქონდა, რომ აქაც არა ჩანდა ხელჩასაჭიდი!..

– ანუ, მთელი ეს ქმედება, პალიკო, თამაშის სიბრტყეზე იყო (თავიდანავე) გადატანილი, მკაფიო წესებით და მიდგომებით, მსვლელობის ფორმატით და მოგება-წაგების განსაზღვრებით: ამოცანა იყო მაძიებლის მიერ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვება (მოგება); „წინა-დაცვის“ დანიშნულებას შეადგენდა აუცილებელი ბაზისის, საფუძვლის შექმნა ამისთვის (მიდგომა); მოცემულ რეალობაში ერთადერთ საშუალებად აქ სადოქტორო ნაშრომის ოფიციალური დაცვისთვის მაძიებლის სათანადო მომზადება განისაზღვრა – მომზადება ნაშრომის დაჯერებული წარდგენისთვის და შენიშვნა-შეკითხვებზე პასუხების უყოყმანო გაცემისთვის, მიუხედავად ამ პასუხების მართებულობისა და ადეკვატურობისა (სტრატეგია); „წინა-დაცვა“ ამას სადოქტორო ნაშრომის ოფიციალური დაცვის სიმულირებით, მისი გათამაშებით მოემსახურა (პროცედურა); მხარდამჭერი ჯგუფის თუ თემის საერთო ინტერესს, პალიკო, მეცნიერებათა დოქტორის შემატება წარმოადგენდა, რომელიც ყველა გზით და საშუალებით წარადგენდა და დაიცავდა მათ ინტერესებს შემდგომში (სარგებელი); ქვეყანას, კვლევებისა და დამუშავებების შესატყვის ველს ამით არაფერი ემატებოდა.....

საჯარო სივრცეშიც შეხვდები ამგვარი თამაშის ნაირსახეობებს დღეს, დღევანდელ მედიაში უწინარესად, მეტადრე ტელევიზიაში.. მეტად საგულისხო იყო ერთი სხვა ქვეყნის ტელევიზიის მიდგომა ამ მხრივ, რომელიც პერიოდულად (ერთ-ორკვირიანი თუ ერთთვიანი რეგულარობით) აწყობდა შეხვედრას რომელიმე „ცნობად სახესთან“ (მეტ-ნაკლებად ცნობილ თუ ხილვად პიროვნებასთან),

ბატონთან თუ ქალბატონთან, პირდაპირ ეთერში, გვიან საღამოს... ამ რიტუალიზებულ პროცედურაში ორი მხარე მონაწილეობდა: ტელევიზიის მხარე; და ცნობადი პიროვნება.. ტელევიზიას მისი ჟურნალისტები და მოწვეული „სპეციალისტები“ წარმოადგენდნენ (ოთხი-ხუთი პირი სულ, ერთად), გათვითცნობიერებულები მოწვეული პიროვნების საქმიანობასა და ქმედებებში, მის დამოკიდებულებაში გარკვეული ტიპის მოვლენებისადმი და საკითხებისადმი; ცნობადი პირი თავის თავს თვითონვე წარმოადგენდა.. შეხვედრის მსვლელობას, ჩვეულებრივ, ტელევიზიის მთავარი რედაქტორი (ან სხვა ხელმძღვანელი) წარმართავდა...

ეს აგრესიული გასაუბრება იყო, თავისი ხასიათით, ზედმიწევნით, რომლის დროსაც ტელეჟურნალისტები და მოწვეული სპეციალისტები მძიმე, საჩოთირო კითხვებს უსვამდნენ სტუმარს მის ცალკეულ ქმედებებზე და განცხადება-გამონათქვამებზე, მონაწილეობაზე „მიუღებელ“ ღონისძიებებში, თავის შეხედულებებს წარმოადგენდნენ ამ ხდომილებებზე და მოწვეულ სტუმარს ახსნა-განმარტებებს თხოვდნენ მათზე!.. ისინი მეტად შემტევები იყვნენ და კატეგორიულები, ჩაკითხვებით ავსებდნენ სტუმარს, შენიშვნებით, ლამის თითო სიტყვაზე ეკიდებოდნენ, მათთვის საჭირო ცნობა რომ მიეღოთ, მონაცემები, დაეზუსტებინათ გარემოებები, საერთო კონტექსტი: დაკითხვას ჰგავდა თავისი ფორმით მთელი ეს პროცესი, დაუნდობელს და მოურიდებელს, ოღონდ, ღია ეთერში მიდიოდა ეს ყველაფერი (არა მოგუდულ არეში, სადმე), ყველას თვალწინ იყო გადაშლილი და გაშვებული!.. ... სტუმარმა იცოდა (როგორც ჩანს) მისი ფორმატი, შემზადებული იყო მისთვის და გაშმაგებით ეპასუხებოდა მის დამკითხავებს, არ ეპუებოდა მათ შემოტევებს, არ ნებდებოდა, არ ყაბულდებოდა „დამკითხავების“ მიერ მოცემულ განსაზღვრებებს და შეფასებებს მისი ქმედებების და განცხადებების, სხვადასხვა ღონისძიებაში მისი მონაწილეობის.. თავს იცავდა მთელი ძალ-ღონით და შემართებით, შეუპოვრად და გამეტებით და თან თავის რაობას, პროფილს წარმოსახავდა (რამდენადაც ხელეწიფებოდა) მაყურებლის წინ, მისთვის მომგებიანი კუთხით და სახეობით, შინაარსით... წამყვანიც ერთვებოდა ხოლმე ამ ჭიდილში, აქა-იქ, იჩქით, მისი წარმმართველი კითხვებით და შენიშვნებით, მოსაზრებებით და დაზუსტებებით: რიტმი რომ გადაეწყო ხოლმე და მუხტი შეენარჩუნებინა შეტევის ტალღის.....

მეტად მძიმე იყო და მძაფრი ეს ჭიდილი, მაყურებლის სამსჯავროზე გამოტანილი, რომელშიც ერთი მხარე (ტელევიზიის) ჯგუფურად ესხმოდა თავს მოწვეულ სტუმარს, ყველა დაშვებული თუ (თითქმის) დაუშვებელი ხერხის და მეთოდის გამოყენებით, ხოლო მეორე მხარეს ცნობადი სახე იდგა მარტოკა, მხოლო, რომელიც გააფთრებით იცავდა თავს მათი გაუნელებელი შემოტევებისგან, არ ერიდებოდა მომხდურებს, არ ურიგდებოდა მათ თავდასხმებს სხვადასხვა მხრიდან, იღრინებოდა თვითონაც და იკბინებოდა კიდეც დროდადრო მწარედ!. კეჭნაობას ჰგავდა (ჩვენს მთებში რომ იცოდნენ) რაღაცით ეს შერკინება, ჭრილობებს რომ იღებს ორივე მხარე, პატარ-პატარას, საკმაოდ მტკივნეულს, მაგრამ არა მომწყვლელს, მერე რომ ითვლიან ოდენობით და სიღრმე-სიგანით და გამარჯვებულს ავლენენ ამის მიხედვით.. აქ არ არკვევდნენ პაექრობაში გამარჯვებულს მისი დასრულების შემდეგ, ვინძლო ორივე მხარე თავის წილ მოგება-წაგებას ღებულობდა

მისგან, უბრალოდ მოკლე შთაბეჭდილებას სთხოვდნენ ცნობად სახეს განვლილ „საუბარზე“ ბოლოს, მისი სარგებლიანობის შეფასებას...

ერთ საათამდე გრძელდებოდა ხოლმე ეს პაექრობა, მეტად ცხარე და დაძაბული, თითქმის შუალედების გარეშე, მეტად მაღალ ტემპში, ერთმანეთს რომ ენაცვლებოდნენ ტელე-ჟურნალისტები და სპეციალისტები, შეხვედრის წამყვანი თავისი მწვავე შეკითხვებით და შეფასებებით, შეუსვენებლივ – და მოწვეულ სტუმარს კი ხან ერთი მათგანის მოგერიება უწევდა, ხან მეორესთან ფარიკაობდა, ხან მესამეს შეუღრენდა (ბებერი ლომის მაგვარად, ღონზე მოსულ ახალგაზრდა ლომებს რომ ებრძვის პირველობის შენარჩუნებისთვის), სულის მოთქმის დროც რომ არა ჰქონდა, ოდნავი მოდუნების!. იმდენად მძაფრდებოდა ხანდახან პირისპირობა, რომ ჩხუბის ტონებში გადადიოდა ხოლმე მათი „საუბარი“ და იმდენად გაამწარეს ერთხელ ერთი ასაკოვანი, მაგრამ მხნე და გამობრძმედილი სტუმარი, რომ მან მძვინვარედ შესძახა ბოლოსდაბოლოს, გაშმაგებულმა, რომ მეტად გამოცდილია, ბევრს გარდახდომილი, კარგად იცის თავის დაცვა და ნუ ეჭიდებიან მას ესე რქებით, ესე პირდაპირ!!..

– მეტად რთული იყო, პალიკო, ეს თამაში თავისი სტრუქტურით, თავისი მრავალგანზომილებიანი და მრავალმიზნობრივი ფორმატით, შედგენილობით, რადგან: ეს ტელევიზია (მისი ჟურნალისტებით) გარკვეული თემის ინტერესებს და შეხედულებებს ეხმიანებოდა მთლიანობაში და მკაფიო იდეოლოგიურ პოზიციასაც ქომაგობდა და წარმოადგენდა თავისი მაუწყებლობით; მოწვეული სპეციალისტები იმავე თემს განეკუთვნებოდნენ, პალიკო, უპირატესად, გარნა სხვა ერთიანობებში და კლასტერებშიც მიმოდიოდნენ და მოქმედებდნენ ამასთან ერთად, მათ ინტერესებსაც უწევდნენ ანგარიშს და ღებულობდნენ, ასე თუ ისე, მხედველობაში; უმეტესი მოწვეული ცნობადი სახეც იმავე თემის მიდგომების და ინტერესების გამტარებლად მოიაზრებოდა მთლიანობაში, ღათუ სხვა თემებთანაც იკვეთებოდა (სხვადასხვა დროს და ვითარებაში) და მათ ახლობლადაც განიხილებოდა საზოგადოებაში, გარდა ზოგიერთი „გამორჩეული“ სტუმრისა (იმ ასაკოვანის მსგავსად), რომლებიც დამოუკიდებლობას ჩემულობდნენ დაჟინებით (ანუ, სხვადასხვა თემს ემსახურებოდნენ ერთდროულად) და სხვა დონის სუბიექტებად წარმოაჩენდნენ და წარმოადგენდნენ საკუთარ თავს, გამეტებით.....

– ამდენად, მრავალმოგებიანი თამაში იყო, პალიკო, ეს ქმედება: სხვადასხვა დონის და მიმართების, მისამართულობის... საერთო მოგებას, სარგებელს ამ „გასაუბრება-სანახაობიდან“ (Talk-Show) ეს ტელევიზია ღებულობდა, რამეთუ მან შექმნა ესოდენ მძაფრი და შემართული, დროში მოკვეცილი და მოკვეთილი საუბრის „პროცესი“, რომლის გიზგიზში გამოცდილი და გამობრძმედილი ცნობადი სახეებიც კი ცხარდებოდნენ უკიდურესად, წონასწორობას ვერ ინარჩუნებდნენ, იკარგებოდნენ, პალიკო, და იძულებული ხდებოდნენ, გაეღოთ მკვიდრად ჩარაზული ცხრაკლიტულის ზოგიერთი კარი და გამოეჩინათ მათი პროფილის (და რაობის) აქამდე დაფარული და გაუმჟღავნებელი, უცნობი მხარეები!. – „პროცესი“ სრულად პასუხობდა თემის დაკვეთას ამ მიმართებით და იდეოლოგიური პლატფორმის გაძლიერებასაც ემსახურებოდა კვალად...

– ტელეჟურნალისტები ზიარი იყვნენ საერთო მოგების (გარკვეულწილად), რამეთუ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ „პროცესის“ ცხოველყოფასა და ქმედითობაში, პალიკო; და, მეორე მხრივ, აქ მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ, უკეთ წარმოეჩინათ საკუთარი თავი, გამოეკვეთათ მათი ჟურნალისტური აღჭურვილობა და უნარ-ჩვევები, მომართულობა, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებდა მათ პოზიციებს ტელევიზიის შიდაჟურნალისტურ კონკურენციაში და, ამავე დროს, საჩინოს ხდიდა, პალიკო, უფრო გარჩევადს, მათ საერთო კვალიფიკაციას და მომზადებულობას, სარგებლიანობას ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სხვა სუბიექტებისთვის...

– მოწვეული სპეციალისტები თავის წილს მიაგებდნენ დაინტერესებული თემის მოთხოვნებს და მოლოდინებს, პალიკო, და თავგამოდებით ეპაექრებოდნენ, ეკამათებოდნენ მოწვეულ სტუმარს, კონკრეტული ამბებით და ხდომილებებით მომარჯვებულები, რომლებშიც მონაწილეობდა ცნობადი სახე და „გაურკვეველ“ როლს ასრულებდა თუ „გაუგებარ“ განცხადებებს აკეთებდა იმაზე, რის ახსნა-განმარტებასა და გამართლებას თხოულობდნენ მისგან დაჟინებით!. ამასთან, ისინი უშუალოდ მოცემულ ტელევიზიას არ წარმოადგენდნენ ამ ქმედებაში და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებსაც ახმოვანებდნენ (სავარაუდოდ) მასში – ბაზრის სხვა სეგმენტებსაც აწვდიდნენ თავის გზავნილებს და მათაც უწევდნენ „პროცესში“ მონაწილეობით ღირებულ სამსახურს...

– ცნობადი სახე მძიმე მდგომარეობაში იგდებდა თავს, თავიდანავე, პალიკო, ტელევიზიაში სტუმრობას რომ თანხმდებოდა, გარნა უკვე ამით ხდებოდა ის მოგებულიც: რომ არ ერიდებოდა ტელევიზიის მიერ დადგმულ სანახაობაში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ მასთან საპაექროდ შეკრებილ ჯგუფს შეიძლება დაეჯაბნა კიდეც სტუმარი – რაღაც საკითხებში, რაღაც ნაკვეთებში!. მომგებიანი იყო ისიც, რომ გასაუბრებაზე გამოყოფილი დროის მეტი ნაწილი მასზე მოდიოდა ისევ, პალიკო, ცნობად სახეზე (ჯგუფის ყოველი წევრისთვის რომ გაეცა ცალ-ცალკე პასუხი..), რაც საშუალებას იძლეოდა, საჯაროდ გაეშალა საკუთარი მიდგომა და შეხედულებები და მისი ბრძოლიუნარიანობა და გამბედაობაც ეჩვენებინა დაინტერესებული მხარეებისთვის, ღათუ ხიფათებიც საკმარისზე მეტი იყო ამ პირობებში: არაფრის მთქმელი პასუხები (გაპარებული); უღიმღამო განმარტებები; ძნელად დასაფარი ჩავარდნები; გაუმაგრებელი დებულებები... და მაინც, ამგვარ „პროცესში“ მონაწილეობა და მარტოკად შეჭიდება სპეციალურად მომზადებულ და აღჭურვილ ჯგუფთან წონიდა, პალიკო, ყველა ხიფათს და ფათერაკს, გამოვლენილ სისუსტეებს და ქანცის გაწყვეტას.....

ეს სერიოზული თამაში იყო: რთული, კონსტრუქციულად და მიზანმიმართებებით; კომპლექსური, სარგებლების სიმრავლით და მრავალსახეობით; ზედმიწევნით დაწურული, მოკვეცილი ფუნქციონალური ფორმატით; მძაფრი თეატრალიზებული პროცესით; მონაწილეების (შემსრულებლების) წყობილი როლებრივი განაწილებით... ამოცანა იყო გარკვეული (დამკვეთი) თემის მიმართებების და იდეოლოგიის, მოვლენებისადმი მისი დამოკიდებულებების სისტემატური გახმოვანება და წარმოდგენა, მათი დაცვა მედიასივრცეში (მოგება); მოცემული ტელევიზიის დანიშნულება (ამ კონტექსტში) იყო მედიაინსტრუმენტის შექმნა, რო-

მელიც კონკრეტულ, ხელშესახებ წვლილს შეიტანდა ამ ამოცანის გადაწყვეტაში თავისი ფუნქციონირებით (მიდგომა); ამგვარ საშუალებად ტელევიზიამ „გასაუბრება-სანახაობის“ ინსტრუმენტი აირჩია, რომელიც სათანადოდ უნდა ყოფილიყო ადაპტირებული, მოთხოვნილი შედეგების მიღებაზე მომართული და ფოკუსირებული (სტრატეგია); ამის მისაღწევად „გასაუბრება-სანახაობას“ მძაფრი და დროში მოკვეცილი (ერთ საათამდე ხანგრძლივობის, არა უმეტეს) პროცესის სახე მიეცა, რომელშიც ტელევიზიის სპეციალურად შეკრებილი (და ყოველ ჯერზე შეცვლილ-გადახალისებული) ჯგუფი ზედმიწევნით ინტენსიურ საუბარ-დაკითხვას უტარებდა მოწვეულ ცნობად სახეს, სტუმარს, მასთან საჭირბოროტო საკითხების და ამბების გასარჩევად და შესაჯერებლად (პროცედურა); ამის შედეგად – დაინტერესებული თემი მეტ გარკვეულობას იძენდა „საჭირბოროტო“ საკითხებზე, ხდომილებებზე და მოვლენებზე (ამბებზე), ცნობადი სახეების ავან-ჩავანსა და მიმართებებზე; ტელევიზია ვალს იხდიდა დამკვეთი თემის მიმართ, თავის კაპიტალს ზრდიდა ქმედითი ინსტრუმენტის შემომატებით და, მასთან, ასპარეზსაც იფართოებდა; მონაწილე ჟურნალისტების და სპეციალისტების ცნობადობა მაღლდებოდა და მათი საბაზრო ღირებულება იზრდებოდა (სარგებლები).. საზოგადოება, მაყურებელი ახალ მედიათამაშს ღებულობდა...

„გასაუბრება-სანახაობა“ არსებითად განსხვავდებოდა „წინა-დაცვისგან“, თვისობრივად.. უწინარესად აქ პირველის ღია ეთერში მაუწყებლობა იყო, რაც მისი უშუალო მიდევნების საშუალებასაც აძლევდა ტელემაყურებელს და საზოგადოდ ხელმისაწვდომსაც ხდიდა მისი ელექტრონული მისამართის მეშვეობით ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მაშინ, როცა, „წინა-დაცვა“ მოგუდულ არეში ხორციელდებოდა და მხოლოდ დამსწრეთა მცირე წრისთვის იყო გახსნილი!. ამავდროს, მიუხედავად „გასაუბრების“ მთელი სანახაობრიობისა, ის სრულად თავსდებოდა „თამაშის“ ჩარჩოში და ეთანადებოდა მის მახასიათებლებს თავისი: დაინტერესული მხარეებით; უშუალო მონაწილეებით და შესაბამისი მოგებულ-წაგებულებით, ანუ გამარჯვებულებით, დამარცხებულებით თუ ბარიბარ დარჩენილებით; მკაფიო ფორმატით და თამაშის პროცესის მწყობრი მსვლელობით... გარეგნულად ის ცხოვრების ფრაგმენტს წარმოადგენდა უბრალოდ, რომელიც მაყურებლის თვალწინ ვითარდებოდა, რეალურად, მაყურებლისავ დროში, მეტად მძაფრად და აზარტულად, დიდი გზნებით და აღტყინებით: დიდი ხიბლი ჰქონდა და მიზიდულობა და როგორღაც ირიბად გიჩვენებდა, შეგონების გარეშე, გაჩვევდა (თანდათანობით), რომ ესეც ცხოვრების ნაწილია, და უფრო მეტიც, რომ საერთოდაც – ესე ცხოვრებაც შეიძლება!!. ...

გარნა სხვა სახის ცხოვრება-თამაშებიც გამოიყენება დღეს წუთისოფელში, ბევრად უბრალო, ისევ მოგუდული, ძალიან ძველი (ალბათ ადამიანეთის დასაბამიდან მოსული), მაგრამ მეტად ეფექტური, შედეგიანი, ღათუ მხოლოდ შეზღუდული წრისთვის (ჯგუფებისთვის) გახსნილი და ხელმისაწვდომი.....

სამხედრო გადატრიალებით და შიდა ომებით გათანგული, შუღლით და უპირობით, უგუნურობის და უკეთურობის თარეშით დაქცეული და გაპარტახებული ქვეყანა, მავანთა საჯიჯგნად და საგლეჯად დაგდებული და მიტოვებული, მოვ-

ლა-პატრონობას დანატრებული, შარაზე გაშვებული ბედის საძებნელად, თვითონ სამოთხე, წალკოტი, უთბილესი და უგრძნეულესი, რომლის ხელში ჩაგდება და მითვისება, მის წიაღში დაბუდება და დაბუჟება ყველას ეშურება და ენუკვება, გარდა მისი საკუთარი მკვიდრი ხალხისა, მისი ერისა!.. ახალი პოლიტიკური ძალა იქმნება ამ დროს ქვეყანაში, ძირითადად ახალგაზრდებით (და შედარებით ახალგაზრდებით) შედგენილი და შეკრებილი, მის მისახედად და დასალაგებლად მოხმობილი თითქოსდა, მის გადასაწყობად და „გასათანამედროვებლად“ – მას სახელმწიფოს მეთაური მფარველობდა და მეურვეობდა უშუალოდ, პიროვნულად... რამდენიმე დაჯგუფება გაირჩეოდა ამ პარტიაში თავიდან, რომელთაგან ორი განსაკუთრებით ახლობლობდა მეთაურთან, მისი მიმართებების და მიდგომების ამოცნობას ცდილობდა და გათავისებას, მათზე მორგებას და მისადაგებას, „მისიანობას“ ეშურებოდა მთელი ძალღონით, გარნა მათში უფრო ახლობელის, „ფავორიტის“ შერჩევა ჭიანურდებოდა, იწელებოდა დროში და ნერვიულ გაურკვევლობაში ტოვებდა ორივე მხარეს საკმაოდ დიდხანს.. ბოლოს ნასკვის გახსნის ჯერიც მოვიდა, ეს ჟამიც დადგა და სახელმწიფოს მეთაურთან გადამწყვეტი შეკრების, მხარეთა შეპირისპირების ღონისძიებაც დაითქვა და დაიგეგმა...

„შეხვედრა-გარჩევა“ პრეზიდენტის სამუშაო ოთახში გაიმართა, იქ შეიკრიბნენ ახალგაზრდა პოლიტიკოსები დათქმულ დღეს, შუადღისათვის.. პრეზიდენტი სამუშაო მაგიდასთან იჯდა, თავი ასწია, მოსულებს მიესალმა, ოდნავ გაუღიმა, თვალი მიმოავლო; მხარეები (ათამდე კაცი ყოველი ჯგუფიდან) გრძელი მაგიდის სხვადასხვა მხარეს დასხდნენ, განლაგდნენ, სამუშაო მაგიდის წინ რომ იდგა, მას მიბჯენილი; მათი წინამძღოლები ყველაზე წინ დასხდნენ, ახლოს პრეზიდენტთან, უშუალოდ რომ მიემართათ მისთვის, მიეწოდებინათ თავისი სათქმელი, დანარჩენები უკვე მათ მიჰყვნენ, ზომა-წონის და რიგის მიხედვით.. საუბარი ერთმა მხარემ დაიწყო, პრეზიდენტისგან მარცხნივ რომ განლაგდა, მისი წინამძღოლის ვრცელი გამოსვლით, გრძელი სიტყვით, რომელშიც იგი თავისი გუნდის მიდგომას და პოლიტიკურ პლატფორმას წარმოადგენდა, ნაკეთებ საქმეებს არჩევდა ამაყად და გუნდის ქმედებების თანამიმდევრულობას უსვამდა ხაზს, თან პრეზიდენტის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას გამოყენებულ გასაღებ სიტყვებს და დებულებებს ურთავდა ზედ, საჭირო ადგილას, შუალედებში!. მერე თანაგუნდელებმაც მიაშველეს ხმა, მიუმატეს თავ-თავიანთი სათქმელი, რიგ-რიგობით, ჯერობის მიხედვით, ზოგი მეტს ამბობდა, ზოგი ნაკლებს, კერძო საკითხებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ცალკეულ მაგალითებზე და შემთხვევებზე, ღონისძიებებზე – უფროს-უმცროსობის წყობით და მიხედვით.. პრეზიდენტი გულდაგულ უსმენდა მათ, დაკვირვებით, ყურადღებით, რაღაც ჩანიშვნებს აკეთებდა სამუშაო რვეულში, მაგრამ ხმას არ იღებდა, არას ამბობდა და არცა რა ნიშანს იძლეოდა მისი დამოკიდებულების ამოსაცნობად და გასაგებად... ახლა მეორე გუნდის ჯერი დადგა, მისი წინამძღოლის სიტყვით და მოხსენებით დაწყებული: იგივე სქემა, იგივე მომართულობა, იგივე მიმართება, იმდაგვარივე გამოსვლა (გრძელი და ვრცელი), იგივე რიხი და შემართება, ოღონდ სხვა ხალხის, უკვე სხვა ჯგუფის, სხვა ამბებით და მახვილებით, სხვა საქმეებით, ერთგვარად საპირისპირო წინარე გუნდის (საერთო მიდგომით, პოლიტიკური პლატფორმით...), პრეზი-

დენტის სხვა გასაღები სიტყვების და დებულებების მოშველიებით, გარნა იმავე განწყობით, იმავე პათოსით – პრეზიდენტის კეთილგანწყობის მოპოვების იმედით ავსებული!. ის კი ჩუმად იყო ისევ, ამჯერადაც, ხმას არ იღებდა და არც რამ ნიშანს იძლეოდა მისი გუნება-განწყობის მისახვედრად და ამოსაცნობად, მხოლოდ ინიშნავდა სამუშაო რვეულში რაღაც-რაღაცებს, ვინძლო მისთვის საგულისხმოს, ნიშანდობლივს, შეკრებილების ბედის განმსაზღვრელს...

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, უხერხულობასავით, შეკრებილების შეშმუშნებით სკამებზე, გრძელი მაგიდის ირგვლივ, მიმოხედვით.. მერე ისევ პირველი გუნდის წინამძღოლმა დაიწყო ლაპარაკი, ნაკლები რიხით და შემართებით, მაგრამ უფრო გამოზომილად და გამოკვეთით, შეყოვნებით მთავარ ნაკვეთებზე, მკაფიო მახვილებით და მოკლე განმარტებებით, შიგადაშიგ დამატებებით, რეცა წინსწრებით, შესაძლო კითხვებზე პასუხის მოსინჯვასავით; თვითონაც უფრო შეკრული იყო წინამძღოლი, მოჭიმული, სერიოზული, კამათისათვის გამზადებული, დამატებითი საბუთების და არგუმენტების მოსატანად მომზადებული!. მას გუნდის წევრებიც მიჰყვნენ, როგორც პირველ ჯერზე, არა ისევე მწყობრად და რიგით – ალაგ-ალაგ ამოვარდნებით – მაგრამ მთლიანობაში კვლავაც წყობილად, ერთურთის მიყოლებით და მიმატებით; ყველა თავის წილს გამოკვეთდა, წინამძღოლის მსგავსად, მკაფიო მახვილების და განმარტებების გამოყენებით... ამდაგვარადვე მოიქცა მეორე გუნდიც, მისი წინამძღოლით დაწყებული, მხოლოდ კიდევ უფრო დაჯერებით და დარწმუნებით, ყოველი ნაკვეთის გამორჩევით და გამოკვეთით, ერთგვარი აგდებითაც მეტოქე გუნდის ამბების მიმართ, ღათუ ირიბად, ტონალობით, საკუთარი გუნდის წინწასულობის და რეალობების უკეთესი ცოდნა-გაგების მტკიცებით და დასაბუთებით!.. პრეზიდენტი კი ისევ ჩუმად იყო, გულისგულ უსმენდა მოქიშპე მხარეებს, ყოველ მათგანს და ყველას ერთად, მათ თეზისებს და დებულებებს, არგუმენტებს და მტკიცებულებებს, განმარტებებს და მოსაზრებებს, დასაბუთებებს: კვლავაც ინიშნავდა სამუშაო რვეულში რაღაც-რაღაცებს, გარნა სიტყვას არა ძრავდა, არას ამბობდა და არც ნიშანს იძლეოდა რაიმეს მიმახვედრებელს... ...

პირველი დაბნეულობა, არეულობასავით მონაწილეთა რიგებში, გრძელი მაგიდის ირგვლივ, ტრიალი სკამებზე აქეთ და იქით, გადაჩურჩულება, გადმოჩურჩულება, ერთურთს შეჩერებული კითხვა-სახეები, ორივე გუნდში, ლამის ერთმანეთშიც!.. მერე ისევ პირველი გუნდის წინამძღოლმა დაიწყო გამოსვლა, ნაკლებად მისი გუნდის ავ-კარგზე, მის ავან-ჩავანზე გაგრძელებით, უფრო მოპირდაპირე მხარის სისუსტეებზე გამახვილებით, მათ უუნარობაზე, უმართებულო გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე შეჩერებით, მოურიდებლად, ტონის ამაღლებით, ხანდახან ხელების მიშველებით, თუმც მაინც ფარგლების დაცვით, დასაშვების ჩარჩოებში დარჩენით.. მას გუნდის სხვა წევრებიც შეუერთდნენ აქეთ-იქიდან, ვისაც რა გაახსენდა ან ჰქონდა მომარაგებული, ჯერ მორიდებით, მერე დაჯერებით, არა დალაგებული წყობით და რიგით, მაგრამ მაინც რაღაც წესების დაცვით, თავის შეკავებით... მეორე გუნდი მათ არ ჩამორჩა, იგივე გაიმეორა, მხოლოდ უფრო თამამად და მონდომებით, შესაფერისი ტონალობით და მეტყველებით, მოპირდაპირე გუნდის მიმართ კნინობითი სიტყვების და გამოთქმების გამოყენებით,

ცალკეულ ხდომილებებზე მითითებით: წინამძღოლით დაწყებული და გუნდის წევრებით გაგრძელებული, ვისაც რა ჰქონდა სათქმელი, დასამატებელი, მისაშველებელი და მისაყოლებელი!. ის კი ჩუმად იყო, პრეზიდენტი, როგორაც უწინ, ბგერას არა ძრავდა (არათუ სიტყვას!), რაღაცებს ინიშნავდა მუშა რვეულში, როგორაც უწინ, და ყველა რჩებოდა ისევ მას მიჩერებული, კვლავაც დაბნეული და პირში ჩალაგამოვლებული.....

– სამმა საათმა გადაიარა, პალიკო, ამასობაში და ვითარება კი ისეთი იყო, ახლა თუ დაიწყებდი ამ „შეხვედრა-გარჩევას“, ამ თავყრილობას, მხარეების მოსმენას და შეჯერებას, რადგან აქამდე არაფერი იყო გარკვეული და გაცხადებული!.

– ბრაზი გერეოდა უნებურად, ამის შემყურეს, პალიკო, აღშფოთება, ამდენ დროს რომ ხარჯავდა დაქცეული ქვეყნის თავკაცი, მისი პრეზიდენტი ამგვარ ქმედებაზე, ამდენ დროს რომ უთმობდა ამ იწილო-ბიწილოს, გაუთავებელს, როცა ყოველ კუთხეში პრობლემა გხვდებოდა მოსაგვარებელი და ყოველ ნაბიჯზე საკითხი იდგა გადასაჭრელი!!. ანთუ არც მას და არც „მისიანებს“ სულ არ აწუხებდათ ეს მდგომარეობა, ეს ვითარება, პალიკო, ეს ყველაფერი, არას დაგიდებდნენ ქვეყნის ბედ-იღბალს, არად ანაღვლებდათ მისი ჭირ-ვარამი, მისი რაობა და მომავალი, არა ძიობდნენ, თუ სად იყო კიდევ, მაინც, გამოსავალი!?. ანთუ ეს იყო, სწორედ, პალიკო, სინამდვილეში, მხარეების ეს შეთანხმება და შეჯერება, ურთიერთობების გარკვევა ერთმანეთში – მათი მთავარი საქმე და საფიქრალი, მათი მთავარი ამბავი?.. ...

თანდათან აირია ვითარება გრძელი მაგიდის ირგვლივ, დაბნეულობის მატებასთან ერთად: ვინ რას დაიძახებდა სხვადასხვა მხრიდან, ვინ რას მიამატებდა, ვინ რას უპასუხებდა მეორე გუნდიდად, დაუფიქრებლად თუ გააზრებით.. თავიდან აქა-იქ ისმოდა ეს წამოძახილები, მერე უფრო არეულად და აბნეულად, სულ უფრო ხშირად, მოურიდებლად და თავშეუკავებლად, გამეტებით: ვინძლო წავაწყდეთო სიტყვებს და სათქმელს, პრეზიდენტი რომ ელისო ჩვენგან ესე მოთმინებით!. მერე ისევ წინამძღოლები იღებდნენ თაურობას, გზა რომ გაეკვლიათ ამ დაბინდულ არეში, რაღაც გეზს უჩვენებდნენ თითქოსდა სხვებს და ისინიც იმედით მიჰყვებოდნენ მათ უცნო კვალში!.. ესე იარეს რამდენიმეხანს წრეებზე, ღათუ უშედეგოდ და უნაყოფოდ, მტკაველითაც ვერ წაიწიეს რაიმე მიმართულებით.. პრეზიდენტი კვლავ ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა, ბგერას არა ძრავდა, მაგრამ გულმოდგინედ აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს, თან რაღაცებს ინიშნავდა და ინიშნავდა თავის სამუშაო რვეულში... რომელიღაც წამს ერთი ახალგაზრდა (პირველი გუნდიდან) აიშალა, თავი ვეღარ შეიკავა, ვეღარ გაუძლო ამ დაძაბულობას, გაუთავებელ ტკეპნას ერთი ადგილის და განწირულად შესძახა პრეზიდენტს, პირდაპირ, სასოწარკვეთით: „გვითხარი რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, საით წავიდეთ, რა არის სწორი???“ იგივ დუმილი მოჰყვა პასუხად, არაფრის მთქმელი და ესე მჭევრი.....

ამის შემდეგაც გაგრძელდა გუნდების ჭიდილი პოლიტიკური მომავლისათვის, ერთმანეთთან და მდუმარე პრეზიდენტთან პირისპირობა, მათი ტრიალი აქეთ და

იქით, საათის ისრის მიმართულებით და მისი საწინააღმდეგო მიმართულებით!.. ეს დამთავრდა მხოლოდ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა გუნდებმა (ერთად და ცალ-ცალკე) ამოწურეს ყველა მარაგი: თან რაც მოიტანეს, რაც კი მათ ჰქონდათ იმ ჟამისათვის, დაფარული თუ გაცხადებული, ნააზრევი თუ ნაგულისხმევი, ზურგის ტვინიდანაც კი ყველა გაიღეს, რაც კი რამ ჰქონდათ იქ დაგროვილი!. და მხოლოდ ამის შემდეგ (მეშვიდე საათის მიწურულს), როცა მხარეები დაილივნენ და გამოიფიტნენ და არღა დარჩათ მისამატებელი, მაშინ შეირხა ოდენ პრეზიდენტი, იმ ახალგაზრდას მიუბრუნდა უკან და უპასუხა დაყვავებით: „არა, გია, შვილო, შენ თვითონ უნდა გაერკვე, თვითონ უნდა გაიგო, რა არის საკეთებელი...“ მერე გუნდებს მიუბრუნდა წყნარად, წინამძღოლებს, ხელებით მიამატა რაღაც სათქმელი, ვითომ არაფერი, რეცა მცირე ხნით იყვნენ სულ მოსულები, რაღაც უნდა შეეთანხმებინათ უბრალოდ პრეზიდენტთან, წვრილმანები: ერთმანეთს შეხვდითო, პრეზიდენტმა, მოითათბირეთ და კიდევ შევხვდეთო როგორმე, შემდგომში.....

ესე, ვითომ არაფერი, ფუჭად დახარჯული შვიდი საათი, დაქცეული ქვეყნის პრეზიდენტის, მისი თავკაცის!!.. აღშფოთებამ ამიტანა, ბრაზი მომერია, გარნა მალევე მივხვდი, მალევ გავერკვიე, თუ რა მოხდა ამ ოთახში სინამდვილეში, რა თამაშში ჩაიყოლა პრეზიდენტმა ახალგაზრდები და რა მოიგო მან მათთან შეხვედრით, რა მიიღო ამ „შეხვედრა-გარჩევით“, ამ შვიდსაათიანი, გამთანგველი თავყრილობით და დაუნდობელი შეჭიდებით!. – ყველასი ცნობა (ერთად და ცალ-ცალკე), ძირისძირამდე: მათი აზრების და საფიქრალის, უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების, აწმყოში ყოფნის და მერმისის ხაზების, გუნება-განწყობის და მათი მდგრადობის, თმენის ფარგლების და თავშეკავების, გამძლეობის და შემართების, ერთად კეთების და მოქმედების, საკუთარი თავის ცნობის და სხვისი ატანის, დიდი მოთხოვნების და მცირედით კმარობის, გულში ჩათხრობის და ღიაობის, სხვისი იმედის თუ თავკერძობის, მოქნილობის თუ მყარად დადგომის, დროების ცნობის და მიზანმიმართების, გამარჯვების მიღწევის და ხარკის გაღების, მარცხის გაძლების თუ ფსკერზე დაშვების, მკვიდრად დადგომის თუ შეთედ დარჩენის, სხვაზე ზრუნვის თუ თავის გატანის, განსწავლის უნარის თუ ნიჭიერების, ვითარებაზე მორგების და მისადაგების, ცხოვრების მიღების თუ მასთან შეჭიდების და გააფთრების, კეთილდღეობის თუ მოკრძალების, შეჭირვებას შეგუების თუ გაცხარების, დანებების თუ შეუპოვრობის, ჯარისკაცობის თუ მეთაურობის, თანაშემწეობის თუ წინამძღოლობის, თავნებობის თუ სხვასთან შეწყობის, დაყუდების თუ ბობოქრობის, დანებების თუ გზების გაკვლევის... ... ... – და ეს ყველაფერი შვიდიოდ საათში, მაშინ, როდესაც იმავეს მიღებას (და ისიც, მხოლოდ მიახლოებით) კარგად მომართული და მომზადებული, აწყობილი და გამართული სოციალური კვლევის თვეები და თვეები დასჭირდებოდა!!! თან თვითონ დაფარული დარჩა, პრეზიდენტი, გაუხსნელი და უხილავი ყველა დამსწრისთვის, არარა გასცა მისი ნიშატის, მტკაველიც არ დათმო ამ შეჭიდებაში: ისევ თვითონ ფლობდა ყველა სადავეს ყველა არჩევანისა და გადაწყვეტილების!.. პატივით განვიმსჭვალე მისდამი უნებურად, მისი შეუვალობისა და სიმტკიცისადმი, უნარისადმი, მაქსიმუმი მიეღო მოგებული ხდომილებიდან, რაც კი შეიძლებოდა, არა გაეღო საკუთარი და ეს ყველაფერი უმოკლეს დროში!. დამთრგუნველი იყო მხოლოდ,

გულის გამწყვეტი, რომ ამას არაფერი ჰქონდა საერთო (და ვერ ექნებოდა) ქვეყანაზე ზრუნვასთან, მასზე წუხილთან და ღონებასთან, მის ფეხზე დადგომაზე მიმართული გზების ძებნასთან, მათ გამორჩევასთან და გაკვლევასთან...

– ეს უკვე „გასაუბრება-სანახაობა“ არ იყო, პალიკო, მოდელირებული რეალობის გათამაშება მოკვეთილ პროცესში – აქ თვითონ „ცხოვრება-*თამაში*“ იყო მოცემული – ნატურალური სახით, მთელი სიგრძე-სიგანით წარმოდგენილი: მისი მოგება-წაგების იდეოლოგიით და მეთოდოლოგიით და პროცესების მართვის უთვალავი, ურიცხვი ტექნოლოგიით!.

– ეს ყველამ გაიგო, პალიკო, იგზნო თუ გაერკვა, ვინც პრეზიდენტის ირგვლივ ტრიალებდა, სიახლოვეს იდგა თუ მიგარდმო დადიოდა: „ცხოვრება-თამაშის“ სარფიანობა და სარგებლიანობა, მისი ხელმისაწვდომობა და მომგებიანობა!.. ვინც ხელს უშლიდა, ყველა ჩაირეცხა ან გვერდზე გაწიეს (უმეტესი), სხვები ცხოვრების თამაშებში გადაეშვნენ თავდავიწყებით, აღგზნებულები და გახელებულები!!. და დრო გაშეშდა, პალიკო, მაშინ, ამ ქვეყანაში, სხვა აღარაფერი ხდებოდა, თამაშის გარდა, მის სამანებში.. მხოლოდ ბოლო ხანს, სულ ბოლო ჟამს, რაღაც ნიშნები გამოჩნდა (ძლივს შესამჩნევი) აქა-იქ მეყვსად, როგორღაც გამოჩნდა აქეთ და იქით, რომ დრო ღვივდება რეცა ახლიდან, სივრცეც იხსნება და ავსებს არეს, „ცხოვრება-*ცხოვრება*“ ისევ ბრუნდება, შემოდის ნელინელ, თვისად, თავისად, კვლავ იკრებს ძალებს.....

ო

პირველი **სტუმრობა სომხეთში** 1996 წლის ზამთრის მიწურულს შედგა, ევროკავშირის ერთი რეგიონული (სამხრეთ კავკასიის) დახმარების პროგრამის მსვლელობის მონიტორინგის ფარგლებში, ერთ ბრიტანელ კოლეგასთან ერთად.. თბილისიდან ერევანში მგზავრობა (300-მდე კილომეტრი მანქანით) იოლი საქმე არ იყო მაშინ, რამდენადაც რეგულარული ფრენები ქალაქებს შორის ჯერ არ ხორციელდებოდა, სამანქანო გზა კი იმდენად დაზიანებული იყო და დაშავებული ორივე მხარეს, რომ ერთი-ორი საათით მეტი მიჰქონდა მის გავლას, ვიდრე ამას უფრო რიგიანი გზის პირობებში დასჭირდებოდა და, თანაც, იმდენად დანგრეული იყავი ხოლმე ამგვარი მგზავრობის შემდეგ, რომ საკმაო დრო გეხარჯებოდა გამოშუშებაზე და მწყობრში ჩადგომაზე მერე...

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მარნეულიდან სომხეთის საზღვრამდე მისასვლელი გზის მონაკვეთი იყო (30 კილომეტრამდე, სულ), რომლის გავლასაც საათიდან საათნახევრამდე სჭირდებოდა იმ დროს!. ორი სამანქანო გზა მიდიოდა იქიდან, წითელი ხიდიდან ერევანში: „აბარანის"; და „სევანის"... აბარანის გზა უფრო გრძელი იყო, მაგრამ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში, თუმც აქაც საკმაოდ ბევრი ოღრო-ჩოღრო ადგილი გხვდებოდა გასავლელი და დიდი ყურადღებით უნდა ყოფილიყავი, აქეთ ან იქით არ გადაქანებულიყავი მის მიმოქცევაში, მეტადრე ზამთარში თუ გიწევდა მასზე მოძრაობა, საღამო ჟამს, თოვლის ნამქერში, გაუნათებელ არეში, მხოლოდ მანქანის ფარნების წვდომაზე რომ გაარჩევდი საგნებს, აღმართს რომ აუყვებოდი, აბარანის გზაზე დამდგარი: უეცრად ამოზიდული და თავს გადმომდგარი მთების ნაკვეთები წინიდან თუ გვერდიდან; უკუნი სიცარიელე მარცხენა მხარეს, გასწვრივ სიღუეში, შიგ რომ ჩაიხედავ და ვერას დაინახავ სიბნელის იქით, თვალსაც რომ არიდებ უნებურად მის აიროვან, უნივთო სხეულს; გაურკვეველი მდებარეობა მოკვეთილ არეში, რომელიც მეორით იცვლება, მესამით, მეოთხით, მაგრამ ისე, რომ გარემო ირგვლივ იგივე რჩება როგორღაც, თითქმის უცვლელი, მოძრაობასაც უფრო ფიზიკურად გრძნობ, ვიდრე თვალებით... ვითარება ზეგანზე გასვლის შემდეგ იცვლება მხოლოდ, გარჩევადი რომ ხდება თანდათან გარემო ირგვლივ, ჯერ აქეთ-იქით, მერე ყველა მიმართულებით,

დასახლებები რომ შემოგხვდება გზადაგზა, სინათლის ბჟუტებით ფანჯრებში და აღარ გეშინია სივრცეში გადავარდნა, ჩანთქმა სიბნელის უძირო მხარეში!. ...

– განსაკუთრებით უსიამოვნო ერთი პატარა გვირაბი იყო, პალიკო, რომელსაც მალევე ხვდებოდი სომხეთში გადასვლის შემდეგ (დაახლოებით ნახევარი საათის სავალზე საზღვრიდან), აღმართს რომ შეუდგებოდი.. ის ბუნებრივ წარმონაქმნს ჰგავდა უფრო, ფუღუროსავით გაღრღნილს მთის გრეხილ სხეულში, რომელსაც ადამიანის ხელი არ შეხებია, პალიკო, საერთოდ არ გაუმაგრებია და გაუმყარებია მისი ბრეცილი კედლები და უსწორმასწორო ჭერი, უბრალოდ მთის ნაკვეთები გამოხდებოდა ხოლმე გვირაბის სხვადასხვა მხრიდან, ზოგი შეღუნული, შიგნით შეწეული, ზოგი გამოშვერილი მკვახედ და უეცრად, სხვადასხვა ფორმის და (ხშირად) მოულოდნელი მოყვანილობის და ყოველთვის შენზე მოღერებული და მოჩერებული!..

– ერთი რამე იყო, პალიკო, წყვდიად სიბნელეში ამ მორღვეული, გამხმარი ტალახისფერი გვირაბის გავლა, მანქანის ფარნებით ამოკვეთილი მოქანავე სხეულებით გარშემო, ირგვლივ უცაბედად რომ ამოხტებოდნენ ხოლმე საიდანღაც წარმოსახვითი არსებებივით და დაგეფეთებოდნენ თავისი მოძრავი ლანდებით, მოჩვენებებივით მოვლენილები სიბნელის მღვიმიდან (გვერდიდან, ზემოდან, გზის სიღუიდან), სულ რომ გიქადდნენ ამ ხუხულოების უეცარ ჩამოშლას (ჭერიდან, მთის დასერილი გვერდებიდან, მრუმე მოსახვევიდან) და მანქანის დახშობას მათი ნამტვრევ-ნამსხვრევების ბუღში და მტვერში!. ერთი სული რომ გქონდა, გვირაბს გასცდენოდი, პალიკო, მისგან გაგეღწია და სამშვიდობოს გასულიყავი, გარნა მის ორმოებიან, ოკრობოკრო ზედაპირზე ვერად ჩქარობდი, სვლასაც ანელებდი და თუმც წუთებით ოდენ, მაინც, მისი გავლა და გალევა გულის მომწყვლელ გრძელ ლოდინად იწელებოდა და გრძელდებოდა...

– სევანის გზა უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო, პალიკო, უფრო მოუვლელი, მაგრამ შედარებით მოკლე და მით მიმზიდველი, თუმც ამ უპირატესობას ვერ იყენებდი იმჟამად სრულად, რადგან ამ გზის ერთი ნაწილი (საქართველოდან გამოსული) აზერბაიჯანის საზღვართან გადიოდა ახლოს, საიდანაც გამვლელ მანქანებს ესროდნენ ხოლმე ყარაბახის ომის შემდეგ და გვერდის ავლა გიხდებოდა ამ მონაკვეთის!.. სხვა გზაზე გიწევდა დადგომა მის შემოსავლელად, მთებში სიარული, ხან ზემოთ რომ ადიოდი, ხან ქვემოთ ეშვებოდი, მარჯვნივ შეუყვებოდი, მარცხნივ მობრუნდებოდი, ერთმანეთის მიყოლებით და მიდევნებით, გრძელი მიხვეულ-მოხვეულებით და მოკლე, მოსწორებული ნაკვეთებით – იმ არისათვის გვერდი რომ აგევლო, გასცდენოდი და სევანის გზის მეორე მხარეს მშვიდობით გასულიყავი!. მერე განსაკუთრებული წინაღობები აღარ გხვდებოდა უკვე, გარნა დანგრეული გზა სწრაფად მოძრაობის საშუალებასაც არ იძლეოდა.. ამ გზით ერევანში სხვა მხრიდან შედიოდი, პალიკო, აბარანისგან განსხვავებულით და, პირიქითაც, ერევნიდანაც სხვადასხვა მხრიდან შეგეძლო გამოსვლა; შესაბამისად, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა გზის შერჩევისას, ერევანში მიდიოდი თუ თბილისში, უკან, ბრუნდებოდი...

– სერპანტინივით მიდიოდა, პალიკო, ეს მთის გარშემოვლა, ირგვლივ სიარული გაუთავებელი ხვეულებით, მის თავზე ასვლა წვალება-წვალებით და თავქვე დაშვება, ესევე დამქანცველი და გამთანგველი.. აქა-იქ პატარ-პატარა დასახლებები გხვებოდა, გზადაგზა, არაფრით ღირსშესანიშნავი და ნიშანდობლივი, თვალსაც რომ ვერ შეაჩერებდი მათზე დიდხანს, ვერ შეასვენებდი თუნდაც მცირე ხნით!.

– ეს გრძელი მონაკვეთი არ იყო, პალიკო, მაგრამ მეტისმეტად დამღლელი თავისი ერთგვაროვნებით და ერთსახოვნებით: მონოტონურად მიხვეულ-მოხვეული, ზემოთ ასვლისას თუ ქვემოთ დაშვებისას; ერთნაირად დაბალი სიჩქარით მოძრაობა ოკრობოკრო გზაზე, აღმა-დაღმართია თუ შედარებით სწორი მონაკვეთი; ირგვლივ არაფერი ნიშანდობლივი, თვალშისაცემი, განსაკუთრებული, უბრალოდ ელი მის დასრულებას, ბოლოსდაბოლოს, „წრეზე“ სიარულის...

თბილისიდან ერევანში (და ერევნიდან თბილისში, უკან) მგზავრობის კიდევ ერთ შესაძლებლობას საქართველოში გაეროს წარმომადგენლობა იძლეოდა მაშინ: მისი თანამშრომლებისთვის, უწინარესად, მაგრამ აგრეთვე საქართველოში დასაქმებული უცხოელებისთვის და სხვა კერძო შემთხვევებისთვის.. მას მიკროთვითმფრინავი ჰქონდა ადგილზე, რომელიც დროდადრო დაფრინავდა თბილისსა და ერევანს შორის (საჭიროებისდა მიხედვით) და გაეროს წარმომადგენლობასთან შეთანხმება იყო მხოლოდ საჭირო ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად.. ეს დამატებითი საშუალება იყო, შექმნილი იმ დროისა და ვითარების, არსებული მდგომარეობის და გარემოებების გათვალისწინებით... მსგავსი (მაგრამ სხვა ტიპის) საშუალება იყო შექმნილი აგრეთვე თბილისიდან ბაქოში (და ბაქოდან თბილისში) მგზავრობისათვის, რამდენადაც არც აქ სრულდებოდა რეგულარული ფრენები ქალაქებს შორის, სამანქანო გზა კი ბევრად გრძელი იყო (600 კილომეტრამდე) და ასევე მოუვლელი; ძველ მატარებელს კიდევ დღენახევარი სჭირდებოდა (თუ მეტი არა) ბაქოში ჩასასვლელად, უამრავი გაჩერებებით და დალოდინებებით შუალედებში!. ამ პირობებში ერთი პატარა, სულ ოთხვაგონიანი მატარებელი იყო დამატებული ამ ხაზზე, კარგად მოწყობილი და გამართული, რომელიც გაჩერებების გარეშე მოძრაობდა და ბევრად ამცირებდა მგზავრობის ხანგრძლივობას ერთი ქალაქიდან მეორეში.. ის მხოლოდ ერთხელ ჩერდებოდა გზაში, ქვეყნებს შორის საზღვარზე, მგზავრების პირადი საბუთების გადასამოწმებლად და მატარებლის გასასინჯად, და შემდეგ შეუფერხებლად აგრძელებდა მოძრაობას ბაქომდე თუ თბილისამდე, საითაც მიდიოდი... ეს მეტად მოხერხებული საშუალება იყო უცხოელებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, თავისი განრიგით და მგზავრობის პირობებით: გვიან საღამოს ჯდებოდი მატარებელში (ყველა საქმეს რომ მოითავებდი), დილით კიდევ ბაქოში იყავი უკვე (ან თბილისში), ქალაქის ცენტრში, მის შუაგულში, რკინიგზის სადგურში, დასვენებული და მუშაობისთვის მომზადებული – არც აეროპორტში გიწევდა გასაფრენად წასვლა და არც აეროპორტიდან ქალაქში გასვლა ჩაფრენის შემდეგ!.. ამ მოხერხებულობის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ქალაქებს შორის რეგულარული ფრენების დაწყების შემდეგაც იყენებდნენ ამ მატარებელს ერთხანს, მისი გამართულობის და მყუდროდ მგზავ-

რობის შესაძლებლობის გამო... ერევანში მგზავრობისათვის პატარა თვითმფრინავით ვისარგებლეთ იმ დროს...

მეტად უცნაური იყო ერევანში ეს ფრენა მიკროთვითმფრინავით, რომელშიც თერთმეტი-თორმეტი მგზავრი და ორი მფრინავი თავსდებოდა მთელად.. სრული განცდა გქონდა (მეტადრე თავიდან), რომ მიკროავტობუსში იჯექი უბრალოდ, რომელიც თან მიფრინავდა, რატომღაც, კიდევ!. ამას ისიც ემატებოდა, რომ ეს თვითმფრინავი დიდად არ სცდებოდა მიწის ზედაპირს (1000 მეტრამდე თუ ადიოდა), რომელიც როგორღაც ახლოსა ჩანდა მეტად და შიშის განცდაც კი არ გიჩნდებოდა, მასზე დაცემას რომ წარმოიდგენდი!!. შიგნითაც სიმშვიდე იყო, თვითმფრინავში, არავინ ფათიფუთობდა, არა ღელავდა, უბრალოდ საუბრობდნენ მგზავრები ერთმანეთში – რაღაცებს აზუსტებდნენ, გადაილაპარაკებდნენ ხოლმე მფრინავებთან, რომლებიც იღიმოდნენ თავის მხრივ, ხალისით პასუხობდნენ და ერთვებობდნენ საუბარში... შენც თავისთავად უერთდებოდი ამ საერთო განწყობას, მსუბუქად ყოფნას: ფანჯარაში იყურებოდი, მიწას მიაბჯენდი ხოლმე თვალებს, დაბლა, ასე ახლო რომ იყო მოულოდნელად შენგან, მისი ლანდშაფტის ცვლილებას აკვირდებოდი, რომლის გადასვლებთან ერთად თვითმფრინავიც ცვლიდა თავისი ფრენის ხაზს: ხან ზევით ადიოდა უფრო, ხან დაბლა ეშვებოდა მცირედ, მარცხნივ გადაუხვევდა ოდნავ, მარჯვნივ მიუხვევდა, ერთ სიმაღლეზე მიდიოდა მერე, ერთხანს.. მართლაც ძალიან პატარა იყო ეს თვითმფრინავი და ფრენის ერთი მდგომარეობის დაჭერას კი არ ცდილობდა (და ვერც ცდილობდა), ერთ სიმაღლეზე ფრენას კი არ ეშურებოდა, არამედ გარემოს ცვლილებებს მიჰყვებოდა და ესადაგებოდა!.. გარნა ხიფათის განცდას ეს არ იწვევდა, არ გაფიქრებდა ამაზე, უფრო პირიქით, ხალისს მატებდა იქაურობას, მგზავრებს და მფრინავებს, მათ ხმიანობას: ერთმანეთში გადალაპარაკებას, იქეთ და აქეთ ფანჯრებში გახედვას, რაღაცების ჩვენებას, თითით მითითებას, უხმაურო შეძახილებს, მრავალმნიშვნელოვნად მიმოხედვას: რომ ვერ გაარჩევდი, ეს ხალისობა იყო მაინც თუ ერთიმეორის გამხნევება გაუცხადებელი.. თვითმფრინავი კი მართლა „მიკრო“ იყო, ძალიან პატარა და, ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ მიმოქცევასთან ერთად, ნიავის ოდნავი დაბერვისას აქანავდებოდა ხოლმე აქეთ და იქით და კიდევ უფრო თავისებურს ხდიდა მის ცაში ფარფატს პეპელასავით!..

– სხვანაირი იყო, პალიკო, მიკროთვითმფრინავით ფრენა, მიკროავტობუსში ყოფნა მგზავრებთან ერთად, მის შიგნით, რომლებიც ჩვეულებრივად იქცეოდნენ, შესაფერისად: საუბრობდნენ, რაღაცას კითხულობდნენ, ფანჯარაში გაიხედავდნენ დროდადრო, ადგილს აკვირდებოდნენ თითქოს, სადა ვართო და თან მივფრინავდით ამ დროს ავტობუსით.. არავის უკვირდა ეს ამბავი, პალიკო, ვინძლო ბევრჯერ უსარგებლიათ ამგვარი საშუალებით და არაფერი იყო აქ მათთვის უჩვეულო, მოულოდნელი; მე კი მინდოდა (ერთი პირი) გამეზიარებინა მათთვის ჩემი განცდები და შთაბეჭდილებები, ჩემი აღქმა ამ ვითარების, მაგრამ თავი შევიკავე, არაფერი ვთქვი, რომ არ დამერღვია საერთო განწყობა თანამგზავრების!..

– დრო კი მიდიოდა, პალიკო, და მიდიოდა და ჩვენც მივფრინავდით და მივ-

ფრინავდით (საათნახევარზე მეტხანს, მთლიანობაში), გარემო იცვლებოდა, მიწის რელიეფი, მიკროავტობუსი კი მიფრინავდა და მიფრინავდა მაღლა, ცაში, ფარატინა ქაღალდივით, მოქანავე ჰაერის ნაკადებში...

მთაგორიან ქვეყანაზე მივფრინავდით, რომლის 90% 1000 მეტრზე მეტ სიმაღლეზეა ზღვის დონიდან და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიკროთვითმფრინავი კიდევ 1000 მეტრამდე ადიოდა მიწის ზედაპირიდან ზევით, ნათელი გახდება, რომ შემოხვედრილი მთები და მათი გრეხილები (უფრო მარჯვენა მხარეს რომ მოჰყვებოდნენ პატარა თვითმფრინავს) ბუმბერაზებად არა ჩნდებოდნენ, დიდებად არ ისახებოდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებასაც არ იპყრობდნენ თავისი სახეობით და აღნაგობით, უბრალოდ გადადიოდნენ და გადადიოდნენ ერთმანეთში, დამრეცი ფერდებით და ვაკეებით მიგარდმოებში... მხოლოდ ერევანთან მიახლობისას, კარგა ხნის ფრენის შემდეგ, წინით გამოჩნდა დიდი მთა-გორა, როგორღაც მეყვსად, მკვეთრად, შეუმზადებლად: კონუსის ფორმის მოყვანილობის, მეტად ჩასკვნილი და მძიმედ ჩამჯდარი, საგულდაგულოდ ნიადაგში, მეორე კონუსის მთის თანხლებით მის შორიახლოს, მარცხენა მხარეს, უფრო მომცრო რომ იყო და უფრო დაბალი, მაგრამ ისიც ჩასკვნილი საკმაოდ და მკვიდრად ჩამჯდარი მიწის მკვლავებში!. ეს არარატი იყო, დიდი და პატარა კონუსისებური მთები, რამოდენიმეკილომეტრიანი უნაგირით გადაბმულები ერთურთს.. ის მეტად განსხვავდებოდა ყველაფრისაგან, რაც მანამდე შემოგვხვდა ამ ფრენის კვალად: მისი განცალკევებულად დგომით და გამოკვეთილობით, ზედაპირიდან მისი ამოზიდულობით (5000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე ზღვის დონიდან), კავკასიონის დიდ მთებთან ტოლობით: მოულოდნელად, აქ, ამ მხარეში!.. ერევანთან მიახლოებასთან ერთად ის სულ უფრო საჩინო ხდებოდა და გამოკვეთილი, წარმოსადეგი, თავისი სხეულოვნობით და განფენილობით.. უწინარესად დიდი არარატი, მკაფიო ცენტრი წინით გადაშლილი არემარის, მისი ფოკუსი, საყრდენი წერტილი, ირგვლივ რომ ყველას ახშობს თავისი მასიურობით და აღმართულობით, გარშემოწერილობით!!.. და მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავიდან ის არა ჩანდა აზიდული სხეულის მთელი ახოვანობით, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდი მის განზომილებებს და პარამეტრებს, მახასიათებლებს (აღწერილობებიდან) და რეცა მზად იყავი მასთან შეხვედრისთვის, მაინც შთამბეჭდავი იყო და მომნუსხველი მასთან ცხადლივ შეხვედრა, არარატთან, ესე შეფეთება, უეცარი!!. ..

ის უცნაურად დგას ოთხი მხარის გადაკვეთაზე: აქეთ კავკასია, იქით მცირე აზია, ქვემოთ შუამდინარეთი და მის იქით კიდევ ვრცელი აღმოსავლეთი აზიის მხარბეჭი, რომელთაც ეს მთა ჰყოფს ერთმანეთისგან, ანთუ ახვედრებს პირიქით ერთურთს, აერთიანებს თავის სამკვიდროში.. არარატის მთა ოთხი ქვეყნის შეყრა-გადაკვეთის ადგილივითაა, ამავდროს, დღეისთვის: თურქეთის, სომხეთის, ირანის და აზერბაიჯანის (ნახიჭევანით): ტერიტორიულად ის თურქეთშია; 16 კილომეტრია მისგან ირანისა და ნახიჭევანის საზღვრებამდე; და 32 კილომეტრი აშორებს მას სომხეთის საზღვარს... მიუხედავად იმისა, რომ მისი ორი კონუსის მწვერვალი და მათი კალთები მუდმივი თოვლითაა დაფარული და ათეულობით მყინვარია კიდევ დაფენილი მათ ტანზე, არარატის მთები არ აძლევენ დასაწყისს

არც ერთ მდინარეს, როგორღაც თავისად რჩებიან, თავისად დგანან, სხვათაგან განცალკევებით!!. მათ ფერდობებზე მაინცდამაინც არ ხარობს მცენარეულობა, უდაბურია, ფუძის წრიული განფენილობა კი 130 კილომეტრს აღწევს და, ეს ყველა ერთად, არარატის მთების ერთ მთლიან სხეულად იკრიბება, ცალკე წარმოდგება მთელ მიდამოში, მეტად მკვიდრი და მყარად მდგომი, თავისთავში ჩაგუდებული, რეცა იმისთვის ქმნილი და ჩამოსხმული, მას ძვრა რომ ვერ უყოს ვერა სტიქიამ, თუნდ გავეშებული დაძგერებით!. რითიც გაუძლო მან დიდ წარღვნასაც, მთელი დედამიწა რომ დაალტო და გადაფარა, რატომაც გაჩერდა, ვინძლო, არარატთან ნოეს კიდობანიც!.. ...

და ერევანშიც ჩავფრინდით ბოლოს; აეროპორტის შენობიდან მოცილებით დაეშვა მიკროთვითმფრინავი, მოშიშვლებულ ადგილზე, ერთგვარად განზე აეროდრომის საფრენი ზოლებიდან, რომლებიც ცარიელი იყო აგრეთვე ამ დროს და წინ იხსნებოდა გაშლილი სივრცე, პირდაპირ დიდი არარატისკენ მიმართული და მას მიბჯენილი, იქვე, სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზე, თუ მოინდომებდი!.. აქ ის სულ სხვა იყო, ეს დიდი მთა-გორა, უკვე ბუმბერაზი, უშველებელი, თითქმის ოთხნახევარ კილომეტრზე ამოსული მიწის ზედაპირიდან, აწოწილი, მხრებში გაშლილი და ყველა მხარეს გაშვებული, სრულად რომ ჩანდა, მთელი სხეულით, მცირე არარატით მარცხნით, კიდეში!!. ...

ის ყველას ფარავდა თვალის საწიერს, გარშემო, მიგარდმო, ზეაღმართული, თავს გადმომდგარი გოლიათივით, გარემოს ცენტრი, სხვა რომ არა ჩანდა მის გარდა იმ არეს, თვალის მისაყრდენი და მისადები!.. გაშეშებული იდექი მის წინ, უხმოდ შემყურე, ერთხანს, წუთები, მთელად მონუსხული მისი ზვაობით და გოროზობით, ამოზვირთული სხეულოვნებით, ვეება ტანით; და უკვე ხვდებოდი, გესმოდა სრულად, თუ რატომ გახდა ეს მთა, არარატი, ამოსავალი წერტილი ყველა სომხისთვის!.. მერე გაგახსენდა მხოლოდ, უნებლიეთ, სადღაც, რომელიღაც ფიქრის კუნჭულში, რომ ის თურქეთშია, ეს მომნუსხველი მთა, სინამდვილეში, თუმც სულ ახლოა, აქვე, ხელის მისაწვდომზე, არც წინაღობა ჩანს ხელის შემშლელი, თითქოს შეგიძლია ფეხითაც მიხვიდე და ხელით შეეხო მას, უშუალოდ, იგზნო მშვინვარება მისი გრძნეული სხეულის!!. ის კი სხვაგან არის, ამ დროს, სხვა მხარეს, სხვა ქვეყანაში, სულ სხვა არეში... თვალის ცეცებით იწყებ ძებნას მსაზღვრელი ზოლის, ბუნებრივი წყალგამყოფის ამ ორი ქვეყნის და ვერას ნახულობ, ვერა სამანს, ვერა მინიშნებას მისი არსებობის – წინ მხოლოდ ველია გადაშლილი, დაუბრკოლებლად მთისკენ მიმართული!. ... ანუ, გამოდის, ეს მხოლოდ შეთანხმების საგანია, საზღვრის გავლება, ამ მხარეში: შეიძლება აქეთ იყოს ან კიდევ – იქით, შეიძლება შეიცვალოს გარემოებათა ხლართებში ან დროის კვალში – ჟამთასვლის მწკრივებში.. ანუ, გამოდის, პირობითია ეს საზღვრის ხაზი, ქვეყნების გამყოფი, აქ, ამ არეში და ისე გაივლება, როგორც გამოვა, როგორც მოხერხდება, დღეს იქნება თუ ხვალით.. და მაშინ რა არის ეს ქვეყანა, მისი სამკვიდრო – ის საით არის?. ისიც პირობითია როგორც ასეთი, მუდამ გასარკვევი და დასადგენი!?. მუდამ აღსადგენი და მუდამ ახლიდან წარმოსადგენი?. ...

– დამზრინა, პალიკო, მთელ ტანში, მქისედ, როცა გავიცხადე, რომ აქაურებს არა აქვთ მკვიდრი განცდა და ცნობა თავისი ქვეყნის, რომ სულ მტკიცება უწევთ და სჭირდებათ იმის თუ ამის და დამტკიცება (უწინარესად საკუთარი თავისთვის) მისი რაობის და სახეობის, მისი გამორჩეულობის და განსაკუთრებულობის, მისი ზომა-წონის და მნიშვნელობის!. არარატი კი სულ აქვე არის, მიწყივ, ყოველთვისა ჩანს, არსად არ მიდის და, ამავე დროს, ის სხვაგან არის.. ...

– წარმოიდგინე, პალიკო, ერევანი (მისი ცენტრალური ნაწილი მაინც) ისე იყო დაგეგმარებული და აშენებული, რომ მისი ყოველი შენობიდან, ყველა სახლიდან ყოფილიყო შესაძლებელი ამ საოცარი მთა-გორის ხილვა და თვალის შევლება მის დიდ სხეულზე, მოვლება მისი მოყვანილობის!.. გესმის, პალიკო, რა განცდა უნდა ჰქონდეთ აქაურებს, რა ნაღველი, ყოველდღე როცა ხედავ შენს მთავარ სიმბოლოს და საყრდენ წერტილს, შენს ფუძე-ნიშანს და რაობის განმსაზღვრელს, ის კი სხვაგან არის: სხვა მხარესაა, სხვა ქვეყანაში, სხვა საუფლოში!!.

– და ეს ყველას ეხება, პალიკო, ეს რეალობა, ეს სინამდვილე, ყველას, ვინც იქ ცხოვრობს, იქაური ხდება (საიდანაც არ უნდა იყოს ის ამოსული), არა მხოლოდ ფუძნეულ სომხებს.. ვინძლო ამიტომა ჰგავს აქ ყველა ერთმანეთს: განწყობით, ყაიდით, ცხოვრების წესით, გულნაკლულობით (ჩაცხრობას რომ ცდილობ მუდამ, ყოველთვის)... ...

– ალბათ აქედან მოდის, სომხებს რომ ეროვნულობაზე აქვთ უფრო მახვილი, გაფაციცება თემობრიობაზე და, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, პალიკო, სადაც არ უნდა სახლდებოდნენ, ყველგან თავისი თემის შექმნას ცდილობენ, მის განვითარებას, მოგებული ალაგის გათავისებას და შემომტკიცებას: რადგან ბუნდოვანია მათთვის როგორღაც „ქვეყნის“ რაობა და სამანები...

– სულ სხვანაირადაა ეს ჩვენთან, პალიკო, საპირისპიროდ, საქართველოში, რომელიც სულ ქვეყანაა, ყველა მხარეს და ყველა კუთხეში – თავისი ზნე-ჩვევით და იერსახით, თავისი ხასიათით და ბუნებითობით!!. და მიუხედავად იმისა, რომ (სულ ცოტა) 25-საუკუნოვანი უწყვეტი სახელმწიფოებრიობა გვაქვს, ამა თუ იმ ფორმით დღემდე მოწეული, ქართველებისთვის მთავარი მაინც ქვე-ყანაა, უპირველესად, მამული და არა საცხოვრისი თუ სახლობის ადგილი!!. ამიტომ არის, რომ სხვადასხვა დროს მოგლეჯილ კუთხე-მხარეებსაც ჩვენი ქვეყნის (არა სახელმწიფოს) ნაწილებად ვგულვილობთ დღესაც: რამეთუ ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი ნიშატი და მშვინვარება, მათი ლაზათი და ხასიათი!. – ლაზეთი, ტაო, კლარჯეთი, ქართლის სომხითი, ჰერეთი, დვალეთი, ჯიქეთი.....

– მახსოვს, ქვეშეთში გვყავდა ბავშვები ზაფხულში, პალიკო, ფასანაურს რომ გასცდები, არაგვის პირზე და დროდადრო შავ არაგვს ავუყვებოდით ხოლმე, იქვე რომ უერთდება თეთრ არაგვს, ახლოში... არაჩვეულებრივი იყო ეს გადასვლა თეთრი არაგვის ქოთქოთიდან შავი არაგვის ხეობაში, თანდათან რომ სცილდებოდი მათი შესართავის შერეულ ხმაურს და შავი არაგვის ხეობაში შედიოდი ნელინელ, პალიკო, სულ უფრო შიგნით!. რაღაც დროის შემდეგ აღარა გახსენებდა თეთრ არაგვს (უკან რომ მოიხედავდი), მისი გარემოს შრიალს და თუხთუხს და მთლიანად შავი არაგვის საუფლოში ექცეოდი: სრულსა და მთელში, თვითკმარ

სამყაროში, მისი ხმებით და მისი ფერებით, მდინარის ჩქარობით და ხვეულებით, თანმხლები მთების უტყვი მოწმეობით: რეცა სხვა ქვე-ყანაში იმყოფებოდი, უკვე, პალიკო, ოდნავ გაცდენილი თეთრ არაგვს, მის უწყვეტ ფუსფუსს!. ...

მეტად მიზანმიმართულსა ხდის ეს საერთო განწყობა სომხებს მათ საქმიანობაში, მომართულს დასახული მიზნების მიღწევაზე და სათანადო შედეგების მიღებაზე... საგულისხმო იყო, ამ მხრივ, ეგრეთწოდებული „დახმარების“ („განვითარების“) პროექტების და პროგრამების მიმდინარეობა ამ ქვეყანაში.. ყოველ მათგანს მკაფიო პატრონი ჰყავდა და პასუხისმგებელი სუბიექტი სომხური მხრიდან, რომელიც: თავიდანვე იყო ჩართული შესაბამისი ქმედების დაგემვაში და გაშვებაში და ნაკვეთ-ნაკვეთ მიჰყვებოდა მისი განხორციელების პროცესსაც შემდგომ; უზრუნველყოფდა ამ პროექტს თუ პროგრამას ადგილობრივი ექსპერტებით და სპეციალისტებით, სათანადო საშუალებებით და მეურვეობით; მისი მსვლელობის გამართულობას და ნაყოფიერებას აფასებდა ყოველ საფეხურზე, სარგებლიანობას მიმღები მხარისთვის (დარგისთვის, სექტორისთვის, სახელმწიფოსთვის) და შესაბამისი ქმედების გადაწყობას ითხოვდა დონორისაგან, შემსრულებელი კომპანიისგან (საჭიროებისდა მიხედვით), ან შეწყვეტასაც, კერძო შემთხვევაში!.. – „დახმარების“ პროექტების (პროგრამების) ესეთი მჭიდრო მეურვეობა არ იყო სახასიათო ბევრი სხვა განვითარებადი (მიმღები) ქვეყნისთვის.. ...

ესევე გულისყურით უდგებოდნენ სომხები ამ ქმედებების გარე მონიტორინგის და შეფასების მისიების მუშაობას, თხოულობდნენ რა მათი ანგარიშების, მათი დასკვნების და დებულებების, შემუშავებული რეკომენდაციების სათანადო მტკიცებულებებით და განმარტებებით გამაგრებას და დასაბუთებას: ამოსავალ წერტილს ყოველთვის მიმღები მხარის (საზოგადოდ, სომხეთის სახელმწიფოს) ინტერესები და კონკრეტული საჭიროებები შეადგენდა მათთვის!.. ეს პატივისცემით განგაწყობდა ადგილობრივი პარტნიორების (საჯარო მოხელეების, ექსპერტ-სპეციალისტების, ბიზნესის თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების) მიმართ, დაკვირვებულს გხდიდა მათთან ურთიერთქმედებაში: აქ სამუშაოს ფორმალური (თუნდაც კვალიფიციური) შესრულებით ფონს ვერ გახვიდოდი, ვერ მოიფარგლებოდი: მაქსიმუმი უნდა გაგეკეთებინა, რაც კი შეიძლებოდა და მოიაზრებოდა შენი მისიის ამოცანების, ვალდებულებების ჩარჩოში და განაწესში...

– ამ „დახმარების“ პროექტებში მომუშავე ბევრ უცხოელ ექსპერტს შემოუჩივლია, პალიკო, ჩემთვის, დაუწუწუნებია, სული ამომხადესო, გაძლება აღარ არისო; რაც არ უნდა გააკეთო, კიდევ მეტს თხოულობენო, სხვას ითხოვენო კიდევ, დამატებით; იქამდე მიდიხარო, ლამის თვითონ მოიგონო რაღაცები, მათი მოთხოვნები რომ როგორმე დააოკო და დაკმაყოფილო, სხვაგვარად აქ არა გამოდისო!.. ...

– ალბათ ცოტა ხისტია და უკიდურესი, პალიკო, ამგვარი მიდგომა და მოქმედება სომხების, მაგრამ ის გასაგებია და მისაღები, მთლიანობაში, რამეთუ: ისინი თავის ერზე და სახელმწიფოზე ზრუნავენ უბრალოდ და მათთვის მეორადია, მხოლოდ თანმხლებია ყველაფერი დანარჩენი!..

მეტად საინტერესო და საგულისხმოა უშუალო ურთიერთობები სომხებთან, მეტადრე სომხეთში, სადაც გაქვს შესაძლებლობა, შეეხო მათ კულტურას, ცხოვრების განაწესს, გაერკვე მათი ქცევის თავისებურებებში, ურთიერთობების ნორმებსა და სტანდარტებში (რა არის მისაღები და რა – დაუშვებელი), ფასეულობებში, საუკუნეებში რომ არის გამოყვანილი და ჩამოყალიბებული, გამჯდარი ამ ხალხში!.. „დახმარების“ ქმედებების (პროექტებისა და პროგრამების) მსვლელობასა და განხორციელებასთან დაკავშირებული შეხვედრები და საუბრები, საგნობრივი განხილვები, მათთან თანამშრომლობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ჩვეულებრივ, და შესატყვისი ფორმატით ხორციელდებოდა, სათანადო ჩარჩოში მოქცეული.. აქ განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო, გამოკვეთილი, თუ რაოდენ გულდასმით ეკიდებოდნენ მათში ჩართული ადგილობრივი ექსპერტები, სპეციალისტები, საჯარო მოხელეები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (განურჩევლად) შესაბამისი საკითხების გარჩევასა და დამუშავებას, მიმღები მხარისთვის ამ ქმედებების მაქსიმალური სარგებლიანობის უზრუნველყოფას!.. შედარებით თავისუფალი ხასიათი აქვს მათთან კერძო საქმეებში ურთიერთობას, თუმც ფორმალიზების ხარისხი საკმაოდ მაღალია ამ შემთხვევაშიც, უწინარესად, მონაწილეებს შორის როლების და პასუხისმგებლობების განაწილებასთან და შესრულებასთან დაკავშირებით... ისინი კარგად არიან გათვითცნობიერებულნი როგორც მიმდინარე ამბებში, ისე საგანთა და მოვლენათა განვითარების პროცესებში; კვალიფიციურად წარმართავენ საკუთარ საქმეებს და ჰყავთ ბევრი განათლებული და კომპეტენტური სპეციალისტი; მეტად სერიოზულად უდგებიან თავიანთ სამუშაოს და საკეთებელს, საკუთარი ცხოვრების აწყობას და გამართვას, მის დალაგებას!. ეს განსაკუთრებით საინტერესოსა ხდის მათთან ურთიერთქმედებას და თანამშრომლობას, ერთად რაიმეს კეთებას თუ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას, უბრალოდ გარჩევას...

ბევრად სხვანაირია ადგილობრივებთან უშუალო, ადამიანური, პიროვნული ურთიერთობები, რომლებიც საქმესთან და სამუშაოსთან არ არის დაკავშირებული: კოლეგებთან, მათ მეგობრებთან და ახლობლებთან, ადრე თუ ახლად შეძენილ ნაცნობებთან, შემთხვევით გაცნობილებთან... ბევრად თავისუფალია ეს ურთიერთობები, უფრო გახსნილი, გულითადი და ხალისიანი, გარნა ხაზგასმით კულტურულ ჩარჩოში მოქცეული და გამოკვეთილი (თუმც მწირი ნიშნებით), წონამიცემული, რეცა იმის მისანიშნებლად, რომ: ეს ყველასთან არ ხდება და არა აქვს ყოველთვის ადგილი.. ... ეს ურთიერთობა აროდეს არის ზღვარგადასული, თუმც არც რა აკლია პატივის გამომხატველი... აქ მთავარი თვითონ ურთიერთობის წარმოჩენაა, მისი ღირებულობის აღნიშვნა და მნიშვნელოვანების, ყველა დანარჩენი მას არის დაქვემდებარებული!..

სომხები ძველი ერია და კარგად უწყიან სტუმარ-მასპინძლობა, მისი ყადრი და ავან-ჩავანი; მათი ქცევა და მოპყრობა გულითადია და მოზომილი, სადაგი განწყობის შემქმნელი; უბრალოდ აქ ყველაფერი აღინიშნება, გამოიკვეთება (სულ უხმაურო მინიშნებებით), რაც კიდევ უფრო საგულისხმოს ხდის და საინტერესოს მათთან შეხვედრებს და ნაცნობობას!. ერთი თავისებურება აქვს ამ ურთიერთობებს ნიშანდობლივი: ისინი გარემოებებზეა მეტად დამოკიდებული და რაც არ უნდა გულითადი

იყოს ურთიერთობა, ის შეიძლება მყისად შეტრიალდეს (საჭიროების შემთხვევაში) და შეიცვალოს საპირისპიროთი... ერთი თავისებურებაა, კიდევ, საცნაური: თავისუფალი პიროვნული ურთიერთობების დროსაც, ისინი მუშაობენ თითქოსდა იმავდროს, სულ მცირედ, მაგრამ მაინც – რეცა თადარიგს იჭერენო მომავლისათვის.....

– გულითადი და გულწრფელი ურთიერთობის მიუხედავად (ახლობლურისაც, ზოგჯერ), აქ ყოველთვის გრძნობ რაღაც შორისს, პალიკო, შუალედს, ისინი რომ ტოვებენ შენსა და მათ შორის, რეცა დაბმულები რომ არ იყვნენ ამ ურთიერთობით და ის შეცვალონ, რადიკალურადაც, თუ ვითარება მოითხოვს, გარემოებები!. ...

– ღათუ ეს არ უნდა იყოს რაიმე პიროვნული თვისება სომხების, პალიკო, ცალკე ნიშანი მათი ხასიათის: აქ ისევ „სომხეთი“ დგება მის უკან, ვალდებულება, უწინარესად მას ემსახურო (ქვეცნობიერში გამჯდარი), ის გააკეთო, რაც მას სჭირდება, როგორც ამას მდგომარეობა თხოულობს, მხოლოდ, არა ის პირობითი „ქვეყანა“, რომელშიც არარატიც კი ვერ თავსდება, არამედ მითად გადაქცეული ქვეყანა „სომხეთი“, პალიკო, რომლის ფარგლებიც ბევრადა სცდება დღევანდელი (კონკრეტული) სახელმწიფოს საზღვრებს და ბევრად სავსეა შინაარსებით!..

ძალიან განსხვავებულია სომხურ ოჯახში სტუმრობა.. აქ მეტად უშუალონი არიან ისინი, თავისთავადნი, შეუდარებლად ინდივიდუალურები: საცხოვრისის მოწყობა-გამართვით დაწყებული და ქცევის ხასიათით გაგრძელებული... აქ კულტურა სახლობს ყველა ნაკვეთში, ალბათ საერთო სომხური კულტურა, მაგრამ ზედმიწევნით ინდივიდუალიზებული, ოჯახის თარგზე მოჭრილი და მორგებული, თან არა მკვეთრი ხაზებით და კონტურებით გამოკვეთილი, არამედ მინიმალური საშუალებებით გამოყვანილი და ფორმამიცემული.. ამოსავალი მყუდრო გარემოს შექმნაა: საკმარი (მაგრამ არა ბევრი) საგანი და კაზმულობა, ნივთი, საგულდაგულოდ შერჩეული და განაწილებული (სივრცულობის განცდა რომ არ დაიკარგოს და არც სიცარიელის სიგრილე შემოიპაროს სადმე, ღრიჭოში!.); ყველაფერს თავისი ფუნქციონალობა აქვს (დანიშნულების შესაფერისი) და თვალიც ნება-ნება მიჰყვება მათ ნაკვთებს, მოყვანილობას – დაუძაბავად, სვენება-სვენებით.. ანუ: აქ ყველაფერი ადგილზეა და თან არა არის გადატვირთული...

ოჯახში მიწვევა ცალკე ამბავია სომხეთში, აღნიშნული და წონამიცემული (როგორც ყველაფერი მათთან ურთიერთობაში) და უფრო მეტადაც, ვიდრე დანარჩენი, რამეთუ ის ხშირად არ ხდება და არც ყველას ეძლევა (მეტადრე უცხოელს) ამგვარი ძღვენი: პატივის მიგებაა თავისთავად, განსაკუთრებული... განსაკუთრებულია მათი მასპინძლობაც: ისევ მოზომილი, არაფერი გადაჭარბებული, მაგრამ მთლიანად სტუმარზე მომართული.. კურიუნთან სტუმრობა გახსენდება ამ დროს, უნებურად: სახლი, ზომიერი და მოხდენილი, გემოვნებით გაწყობილი; სათნო მეუღლე, ქალბატონი; პატარა ქალიშვილი, ცინცხალი და მშვენიერი; შინ მოხარშული ვარდისფერი ძეხვი, მისი ოხშივარი; და შენს ირგვლივ ოჯახის წევრების ტრიალი – თვალებით, სიტყვებით, სახის მეტყველებით.. ...

– ვერც კი შეამჩნევ, პალიკო, ისე გაქცევენ ამბის შუაგულში, მის ფოკუსში, სადაც იკვეთება ყველა მოქმედება, მოზომილი, მაგრამ შეუნელებელი, ერთურთს შეწყობილი და მიყოლებული: მათი ყურადღებით, აღნიშნული ქცევით, შენდამი ინტერესით, დროის დაუნანებლობით შევსებული და შენივთებული.. ეს არ არის უბრალოდ პატივის მიგება სტუმრისთვის, ეს შენ გეხება და შენთვის კეთდება, კონკრეტულად და უშუალოდ!. იძულებულს გხდიან თითქოსდა, პალიკო, ყველა მიიღო მათგან ბოძებული: ეს მდგომარეობა, გამორჩეული და მისგან მომდინარე ვალდებულება, სრულად შეეწყო მათ წეს-წყობილობას, ამ არაჩვეულებრივ მასპინძლობას და შეიფერო მათ სახლში ყოფნა, ესოდენ ღირებული და ფასეული ამ ოჯახისთვის!!. ვალი გედება, როგორღაც, პალიკო, სიტყვად ართქმული, დაუნაწევრებელი, თან რომ გაგყვება შენს სამყოფელში.. ...

– ერთი შემთხვევა მახსენდება, პალიკო; ერთ ხორვატ-იტალიელ კოლეგასთან ერთად ვიყავი ამ ჯერზე სომხეთში.. მან ერევნის ღია ბაზრობაზე გაყოლა მთხოვა როგორღაც (ქალაქის ცენტრალურ არეში რომ იყო გაშლილი), საათების ნახვა უნდოდა იქ (როგორც აღმოჩნდა) და ერთად გავედით ერთხელაც, მუშაობისგან თავისუფალ დროს... საოცარი იყო, პალიკო, მისი და გამყიდველის ურთიერთქმედება ბაზრობაზე (საკმაოდ მოკლე, ამგვარი საქმისთვის), მეტადრე საათების სომეხი პატრონის ქცევა, მისი უზუსტესად მორგებული მოქმედებები!.

– ის არაფერს სთავაზობდა მყიდველს, პალიკო, არა ცდილობდა თავისი საქონელი წარმოეჩინა მისთვის, საშუალებას აძლევდა, თავისუფლად დაეთვალიერებინა საათების ნაკრები, უბრალოდ გვერდით მიჰყვებოდა მას წყნარად და მოკლედ პასუხობდა აქა-იქ შეკითხვებს... ერთგან გაჩერდა ჩემი კოლეგა ბოლოს, დაკვირვებით დაიწყო ერთ-ერთი საათის თვალიერება, საგნობრივი კითხვების დასმა პატრონისთვის, რომელიც ესევე საგნობრივად პასუხობდა, თან ისე ზუსტად და მოკვეთილად, პალიკო, გასაღები სიტყვების გამოყენებით, რომ დამატებითი ჩაძიება აქ აღარ ხდებოდა (არ იყო საჭირო), უბრალოდ სხვა საკითხებზე გადადიოდა ხორვატ-იტალიელი და საათების გამყიდველიც მიჰყვებოდა მას!. იმდენად კვალიფიციური იყო ეს კითხვა-პასუხი, პალიკო, რომ საათის ყიდვის საკითხი აქ აღარც დამდგარა (უხერხული იყო, როგორღაც, უკვე), მალევე შეთანხმდნენ სადაგ ფასზეც და ჩემმა კოლეგამ იყიდა საათი... გასაოცარი იყო, პალიკო, მართლაც, სომხების ამ ნიჭის და უნარის გამოვლინება: ისე შეფუთო საგანი, მოვლენა თუ ვითარება, რომ უხერხული გახდეს მისი არმიღება, ჩაკირკიტება მის ნივთიერებაში!.. ...

– გარნა უპირობო, თავისუფალი ურთიერთობებიც გხვდება სომხეთში, პალიკო, ყოველგვარ პირდაპირ სარგებელს გაცლილი და გაცდენილი!. ისევ სამხარი მახსენდება კურიუნთან ერთად, ერევანში ჩემი ყოფნის დროს რომ ვმართავდით ხოლმე, ხანობით: მსუბუქი სამხარი ("ლუნცჰ"-ი), ოდნავ სასმელის მიყოლებით და ბჭობა სოფლის ამბებზე და გარდახდომებზე – საუბარი „თავისუფალ თემებზე", ნებას მიცემული...

ერთი გარემოებაა მხოლოდ აქ უცხოელისთვის არაიოლად გადასავლელი: ძალიანა ჰგავს სომხეთში ყველაფერი ერთმანეთს: ცხოვრების რიტმი და გადასვ-

ლები, ურთიერთობები და ვითარებები, ხალხის ქცევა და მოქმედებები!.. ეს არ არის მონოტონურობა ან ერთგვაროვნება გულის გამწყალებელი: აქ ყველაფერი ცოცხალია და ძალუმად ჩქეფს, გარნა ერთმანეთის მსგავსია ამავდროს როგორ-ღაც, საშინლად ერთნაირი!!. ეს მოსახერხებელიც არის, გარკვეულწილად, სამუ-შაოდ როცა ჩადიხარ, რადგან ნაკლებად გიწევს გადაწყობა-გადმოწყობა და მე-ტი ყურადღება შეგიძლია დაუთმო უშუალოდ სამუშაოს, შენს საკეთებელს, მეტი დრო დაუთმო მის საგნობრივ მხარეს და თავისებურებებს: თუ ქვეყანაში დიდხანს არ დგები.. დიდი ხნით დარჩენის (თუ იქ ცხოვრების) შემთხვევაში, გინდა თუ არ გინდა, მათი ცხოვრების წეს-წყობილებაში ექცევი, მათ ფერხულს ერთვები და, მიუხედავად წარმომავლობისა, ადრე თუ გვიან თვითონაც სომეხი ხდები.. ...

– ეს თავისებურება განსაკუთრებით ქართველისთვისაა საგრძნობი, პალიკო, ხელშესახები, რადგან ჩვენი რაობა მრავალნაირობაშია (მათგან განსხვავებით), მრავალსახეობაში და ყოველ კუთხეს და მხარეს თავისი განუმეორებელი ხმა და ჟღერა აქვს, თავისი პეწი აქვს საქართველოში, რომელთა ერთურთთან შერთვით და თანხმობით, თანა-ხმიანობით შემოდის მხოლოდ წუთისოფლის ერთიანობის შეგრძნება და განცდა ცხოვრების მთლიანობის!. ...

– სომხეთში პირველი რამდენიმე ჩასვლის შემდეგ, რომელთა ხანგრძლივობა არ იყო მკაცრად განსაზღვრული, შევნიშნე, პალიკო, რომ მიუხედავად ზედმიწევ-ნით საინტერესო და საგულისხმო, შინაარსით დატვირთული ურთიერთობებისა ადგილობრივებთან, გარკვეული დროის შემდეგ მიძნელდებოდა იქ მეტხანს დარ-ჩენა.. ამას ვითვალისწინებდი შემდგომში და ვცდილობდი, ორ კვირაზე მეტხანს არ გავჩერებულიყავი სომხეთში...

ადრიანი დილა, გაშლილი ეზო ფანჯრების წინ... იქვე, ფანჯრის ქვემოთ მა-მაკაცი ბოლო სისველეს აცილებს ახლადგარეცხილ მანქანას, ბოლო ნარჩენებს აცლის მას... ის ნელა მოქმედებს, აუჩქარებლად, გულდასმით ამშრალებს ოდნავ სველ მანქანას, თუნდ ციცქნა ნამცეცსაც აცილებს დარჩენილს.. ისე რუდუნებით წმენდს მთელ მანქანას, ისე რბილად უსვამს ქსოვილის ნაჭერს მის ყოველ ნაკ-ვეთს, ისე აკრიალებს, რეცა ეფერებაო მანქანის სხეულს!. თვალს ვერ მოაცილებ მის მოქმედებას, დროდადრო რომ უბრუნდება გაწმენდილ ადგილებს, ისევ და-უვლის მანქანას ირგვლივ, ისევ აუჩქარებლად და ისევ წყნარად გააკრიალებს მის ყველა ნაწილს, ვიდრე თვითონ არ მოეწონება მიღებული შედეგი, მისი სახე და იერი!.. პატივით ივსები მის მიმართ, მისი მუშაობის და ხასიათის; მადლიერი ხარ ამ შემთხვევის, ამ შესაძლებლობის მიღებისთვის...

საათი-საათნახევრის შემდეგ პატარა სატვირთო მანქანა (პიკაპის ტიპის) გა-ჩერდა ეზოს შემოსასვლელთან, ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა იქიდან და იქვე დაიწყო დახლის გაშლა, ხილ-ბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქტებისთვის... ჯერ დახლი ააწყო და გამართა (მისი თაროები, ნაკვეთები, ცალ-კე უჯრედები...), წყნარად, აუჩქარებლად, ნაწილ-ნაწილ; მერე ხილ-ბოსტნეულის დაბინავება დაიწყო, ყოველის მისთვის მიჩენილ ადგილზე, სულ თითო-თითოს

გაწმენდა-გაკრიალებით და მათი პირამიდების აწყობით: ვაშლის, გარგარის, ქლიავის – რუდუნებით და სიყვარულით, ყოველგვარ ფაციფუცს მოკლებული; მერე სხვა პროდუქტებიც დააბინავა, დინჯად და დაჯერებით და მყიდველს დაუწყო უკვე ყურება მომღიმარი სახით და თვალებით...

– არაჩვეულებრივი იყო ამ ორი სხვადასხვა ამბის ნახვა, პალიკო, საქმის ამგვარად კეთება: გულმოდგინედ და რუდუნებით, სრულყოფილ შედეგამდე მიყვანით, უცილო პატივით რომ აგავსებს ადგილობრივების მიმართ და მათ უცნაურ ერთნაირობასაც დაგანახვებს გზად!..

სევანის გზით ბრუნდები უკან, თბილისში, უფრო მოხერხებულია ამ შემთხვევაში, თან სიტყვების თამაშს მიჰყვები გზადაგზა, გული რომ გადააყოლო დროის ღუებში:

... სევანი, ანუ ზე-ვანი, მოსვენების ადგილი ზემოთ, მთაში და მართლაც, სევანის ტბა თითქმის 2 კილომეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან დაბინავებული.. სვანეთიც ხომ ზე-ვანეთია, კავკასიონის მთების კალთებზე შეფენილი მოსასვენებელი ადგილი.. და სვანი კიდევ უბრალოდ ზე-ვანელია (ანუ, სევანელი), მეტი არაფერი... როგორც ჩანს, ოდესღაც სვანები ცხოვრობდნენ აქ, ქართველები...

მაინც რა თვითმეტყველია ეს ქართული ენა.....

3

სიკვდილის სიმღერა, „სიმღერა, ნამღერი ვინმეს გარდაცვალებამდე ან მის შემდეგ, ან გარდაცვლილის მოსახსენებლად“, პატივის მისაგებად მისთვის (წლისთავის აღნიშვნაზე...).. სხვადასხვა კულტურა სხვადასხვაგვარად აწყობს და მოსავს მას... მისი ერთგვარი გაგრძელება, თემის გაშლაა „მუსიკა სიკვდილზე ან კვდომაზე“ (death or dying).. დასავლურ კულტურაში აქ „მესა“ და „რექვიემი“ წარმოდგება უწინარესად, გარნა კლასიკური მუსიკის მრავალი ნაწარმოები მიეძღვნა ასევე მას უშუალოდ (განსაკუთრებით ბახის შემოქმედებაში, იგივე ეკლესიური გალობები, „ქორალები“...).. ამავე არეში შემოდის „სამგლოვიარო მარშები“, თავისთავად და ბუნებრივად (მენდელსონის, გრიგის, შოპენის...): როგორც მუსიკალური ჟანრი – ეს მარშია, თავისი წყობით და მიმართებით, რომელიც ბაძავს დაკრძალვის პროცესიას, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება მას; თავისი შინაარსით ეს გარდაცვლილის გაცილებაა ამა სოფლიდან საიქიოში.. ამგვარ მარშებს სამხედრო დაკრძალვებზეც უკრავდნენ (და უკრავენ დღესაც), სამხედრო ორკესტრის შესრულებით... სიკვდილის თემას ცალკეული საესტრადო ჯგუფებიც ახმიანებენ სცენაზე, ღათუ ეს არ უკავშირდება რაიმე კონკრეტულობას, კერძო ამბავს თუ ხდომილებას (ჩვეულებრივ), უფრო ზოგადია, განყენებული, გარკვეული წარმოსახვაა სიკვდილთან შეხვედრა-შეხების, მისტიფიკაცია მათეული, შესაბამისი მისტერიალური განწყობების და განცდების, შეგრძნებების წარმოჩენით და აჟღერებით, გათვალსიჩინოებით და მათი ტალღების გაშვებით წინარე არეში, მათ გარემოში, მათ მსმენელ-მაყურებლებში.. ...

ამ „სიმღერებში“ თუ მუსიკალურ განვითარებებში თვითონ სიკვდილია ამოსავალი, ცხოვრების დამასრულებელი, მისი ფენომენი და მასთან დაკავშირებული გარდახდომები: სიკვდილის ცივი სხეულოვნების შემოსვლა ცხოვრების სამკვიდროში; სიცოცხლის მუხტის დაშთობა ადამიანში, უეცრივ, ერთბაშად თუ ნაკვეთ-ნაკვეთ, თანდათანობით – წუთისოფელთან გაყრის პროცესში; დროის დალევა და გაჩერება სიცარიელის ცივ სიჩუმეში; მათ მოყოლილი ბგერები, სინათლის ბჟუტები, თანმყოლი ფიქრები და სევდის ფთილები; სასოწარკვეთა დასასრულის გარდაუვალობით და მისი სუსხის ძვალ-რბილში გაჯდომით!. უმეტესწილად, ეს მძიმე გლოვაა, დიდი ნაღველი, ადამიანის სიცოცხლის დალევის და უკუნეთში მი-

სი გაქრობის!. მხოლოდ აქა-იქ (უწინარესად ბახის მუსიკაში) მოისმის ხოლმე მის უკან, იქით, უხილავ შორეთში ციური სფეროების შეხმიანება, შეშმუშვნასავით, მიმღები ხმები და მათი ტალღებით აკვესილი უცხო ბგერები.....

მეტად განსხვავებულია სიკვდილის აღქმა და მასთან დამოკიდებულება აღმოსავლურ (მეტადრე ინდურ-ტიბეტურ) მსოფლმხედველობასა და კულტურაში, ტრადიციაში... აქ სიკვდილი შუალედური ყოფნაა გარდაცვლილის სამშვინველისთვის, არსებობა დედამიწაზე ორ ცხოვრებას შორის: განვლილი ცხოვრებიდან ახალი ცხოვრების დაბადებამდე: მისი ფაზებით და ნაკვეთებით, შუალედური მდგომარეობებით, რომელთა გათავისება და გადავლა ხდება (უნდა მოხდეს) თანმიმდევრობით... ყველაფერი სამშვინველისა და ხორციელი სხეულის გაყრით იწყება, მტკივნეული და სასოწარმკვეთი თავისთავად, თავისი რაობით და ფიზიკური შეგრძნებებით, რასაც მიჰყვება უზომო ნაღველი ოჯახთან და ნათესავებთან, მოყვას-ახლობლებთან და ქვე-ყანასთან განყოფით და განშორებით, მათი მიტოვებით მოწეული და გაუნელებელი წუხილი მოყვასთ მომავალზე, მათ ბედ-იღბალსა და ცხოვრების გზაზე, განუზღვრელობაზე, წინ რომ მოელით.. მაგრამ ამავდროს (და მასთან ერთად) უცნო სიმსუბუქე შედის ნელინელ ხორციელი სამოსიდან გათავისუფლებულ სამშვინველში, მისი შეგრძნება და შეთვისება და უშუალო შესმენა, მიყურადება ცხოვრების ხმიანობის და მდინარების, შუამავლებისგან შეურყვნელის და შეუბღალავის, თავისთავადის, გარჩევა მისი საგნების და მოვლენების პირველყოფილი ფორმების და ნივთიერობის, შეცნობა მათი ნიშატის და ხასიათის და შინა-არსის!. ... ყველაზე სრულად ეს „ტიბეტური მკვდრების წიგნშია“ გაშლილი და გაწყობილი, რომლის ფორმატსაც მიჰყვება, მთლიანობაში, შესაბამისი „სიკვდილის სიმღერა“ და მისი ხაზები...

– ასე განსხვავებული აღქმა და მიდგომა აქვთ დასავლურ და აღმოსავლურ კულტურა-ტრადიციებს სიკვდილისადმი, პალიკო: დასავლეთი მახვილს ადამიანის სიცოცხლის დაშრეტაზე აკეთებს (სიკვდილის ძალებით), მის დაშთობაზე – აქ დიდი გლოვაა და დიდი ნაღველი; აღმოსავლეთისთვის კი ეს საშუალებაა, პალიკო, ერთი ცხოვრებიდან მეორეში გადასვლის და მათ უკან მდგომი რეალობის გათავისუფლებული სამშვინველის მიერ უშუალო შეგრძნებისა და შეცნობის, მისი „შესმენის“ – ეს საიქიოს განჭვრეტის გზაა, გლოვა არ არის!.. ...

– ხიდივითაა მათ შორის „სვანური ზარი“, პალიკო, სიკვდილისადმი დასავლური და აღმოსავლური მიდგომების გამაერთიანებელი: დაკრძალვის პროცესიაზე აქ სრული გლოვაა, ქალების მოთქმა, ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტასა და დასრულებაზე, რომელსაც მიჰყვება კაცების მიერ დატირება, პალიკო, უსიტყვო ვაება (არა გლოვა), სიკვდილის შემოსვლის ზარი, რომელსაც პატივით უნდა მიღება და შეხვედრა, დაამება, გაფრთხილებით რომ მოეპყრას გარდაცვლილის სამშვინველს საიქიოში გადაყვანის ჟამს (სკნელიდან სკნელში), მის ორწოხებიან და ქარაფებიან გადასასვლელებზე და ხრამებით და უფსკრულებით დაგრეხილ გზაზე: მშვიდობით რომ მიიყვანოს სამშვინველი მისთვის განკუთვნილ ადგილამდე და ალაგამდე, დააბინაოს იქ...

– ეს ერთგვარი „ნანაა“ სიკვდილისადმი ნათქვამი, პალიკო, კრძალვა და პა-

ტივი მისი გარდაუვალობისა და ძალმოსილებისადმი, იმავე რიგის და გრძნეულების, იმავე მნიშვნელობის, როგორიცაა ადამიანის განწყობა-დამოკიდებულება დაბადებისა და ცხოვრებისადმი.. ... გასვენების დღეს მამაკაცები ქალების მოთქმას უერთდებიან, პარალელურად ამბობენ ზარს, რომელიც ამთლიანებს და ერთიან წყობად კრავს დაკრძალვის რიტუალს...

– გასაოცარია, პალიკო, კაცების ეს უსიტყვო სიმღერა-დატირება, უწყვეტი ზარი, მხოლოდ შორისდებულებით ამაღლება და განელება ხმის ტონალობის და გულის წყობის, რეცა მორიგი ფაზის თუ ხვეულის გავლა უწევსო სამშვინველს საიქიოს დაგრეხილ გზაზე, ზარი რომ უძღვება წინგაჭრილ კვალში.....

...ეს წინა საუკუნის ოთხმოციანებში მოხდა, მის შუა წლებში, მოსკოვში მუშაობის დროს.. განსაკუთრებით სასარგებლო სოციალურ ფსიქოლოგებთან ურთიერთქმედება იყო მაშინ იქ ჩემთვის, ერთ ახალგაზრდების ჯგუფთან, მეტადრე, და არა აკადემიურ კვლევებთან დაკავშირებით, არამედ ჯგუფურ პროცესებში მონაწილეობის და მათი წარმართვის ტექნოლოგიებში გარკვევის მხრივ, რასაც ისინი მოცალეობის, ნებიერად ყოფნის დროსაც კი არ ივიწყებდნენ, რაღაც ჯგუფურ თემებს და საკითხებს, ამოცანებს ათამაშებდნენ ყოველთვის, მიწყივ, წრთვნიდნენ ერთმანეთს: სასარგებლოს და სასიამოვნოს უთავსებდნენ ერთთავად ერთურთს... სწორედ ერთმა მათგანმა მიმიწვია როგორღაც ოჯახში: ჟენია, მეუღლე და სკოლამდელი ასაკის ვაჟიშვილი...

მშვენიერი საღამო გამოვიდა: მსუბუქი ვახშამი, ერთმანეთის მიმოკითხვა, ოჯახის ამბები, ნაცნობები, პროფესიონალური თემები; მცირეოდენი სასმელი კვალად, მყუდრო განწყობის თვისად შემქმნელი... ბოლოს საძილე ოთახიც მაჩვენეს და ჟენიამ რაღაც ფირფიტა მომაწოდა კიდევ, „ტიბეტური სიკვდილის სიმღერააო“, ეხლახან გამოჩნდა ჩვენთან, უცნაურ რეაქციებს იწვევსო მის მსმენელებში, მკვეთრსაც ხანდახან: შეგიძლია მოუსმინო, შეგიძლია არა, როგორც შენ მოგინდება და მოგესურვება, მოგეხალისებაო... ნათელი იყო, რომ ეს ტესტირება იყო ამავდროს (ერთგვარი), დამატებითი ცნობების მიღება სტუმარზე და მის ქცევაზე, ვინძლო სახალისოდ, უბრალოდ, შესაჯერებლად სხვების ქცევებთან.. პირჯვარი გადავიწერე (ყოველი შემთხვევისთვის) და ფირფიტაც გავუშვი (თავისთავად!), სანამ დავწვებოდი.....

რუსეთის ჩრდილოეთის ხალხებს რომ აქვთ რაღაც პატარა მსხვილსიმიანი საკრავი, ერთი თუ ორი ძლიერ დაჭიმული სქელი სიმით ბოლოებს შორის, პირში რომ იდებენ (კბილებს შუა), თითს გამოჰკრავენ რაღაცნაირად, შიგნით და გრძელ, მძიმე ბგერებს უშვებენ ირგვლივ, მიგარდმო, ბოლო რომ არ უჩანს მათ ამოძახილს („ძინნნ!.. ძინნნ!.. ძინნნ!..“): ამგვარი ბგერები გადმოვიდა ფირფიტების საკრავიდანაც, მაგრამ ბევრად უფრო მძიმე და სქელი, გრძელი ტალღების ჯერით, ბევრად უფრო მსხვილი და მკვრივი სიმებიდან გადმოდენილი, მხოლოდ დიდი ძალისხმევით რომ ააჟღერებს კაცი!. ... თავიდან ერთი სიმიდან გადმოსული ბგერები მოდიოდა და იღვრებოდა, გრძელ ტალღებს მიჰყვებოდა შორით და შორით და იშლებოდა და იხსნებოდა გაუთავებლად, თვალუწვდენელი.. მერე მათ

მეორე სიმის ბგერები ემატებოდნენ, ზედ ედებოდნენ და ერეოდნენ და ეწეოდნენ, და მერე კიდევ სხვა მოჰყვებოდა და ისევ გრძელი ტალღები და გრძელი გზები, ერთმანეთზე გადასული და არეული და მთლიან ბუბუნად გაველებული განხვნილ ეთერში, ზარების ტალღებად მოდებული, სივრცის შუილში კიდევ უფრო გამკვეთრებული და გამოკვეთილი: რეცა სამყაროს სხვადასხვა ფენის ბგერობა ისმისო, ერთად შეიყარნენო და ერთად როკავენო გაგრძელებულად: ყველა თავისას, მათ კუთვნილ ხმებზე და გზნობის ენით!.. ალბათ ნასვამობის გამო, ეს ხმოვანება სულ უფრო ყოვლისმომცველი ხდებოდა და მეც ნებად მივყავდი მისი გრძელი სუნთქვით გაშვებულ ტალღებზე, იქითკენ, შორით... ...

ბოლოს „სიმღერა“ დასრულდა; საკრავი გამოვრთე; გამზადებულ საწოლში ჩავწექი და დავიძინე... გარნა სხვანაირად დატრიალდა ირგვლივ ყველაფერი: სულ სხვაგან აღმოვჩნდი უცაბედად, დაუსაზღვრელად, ისე, რომ დაძინებაც ვერ მოვასწარი!.. მეტად დაქანებულ, მიხვეულ-მოხვეულ (სერპანტინივით) გვირაბში მივექანებოდი რატომღაც თავქვე, დიდი სიჩქარით, ხელს რომ ვერაფერს ჩასჭიდებდი, ჩაებღაუჭებოდი, მოსახვევიდან კი მოულოდნელად უშველებელი ცხოველი გამოვარდა ჩემზე დაგეშილი: უზარმაზარი, გრძელფაფრიანი ლომის თავით და შოლტივით მოქნეული კუდით; მასზე უფრო დიდი და მოხეული ვეფხვის ტანით, ყველას მიმწვდომი მსხვილი თათებით; ღრმად დაბჩენილი წითელი ხახით და ანთებული თვალებით, ფართოდ გაშლილი ვეება თათებით ჩემკენ მოჯლიგინე, ხანჯლებისხელა, მოკაუჭებული ბასრი ბრჭყალებით: ვერსად რომ ვერ წაუხვალ და ვერ დაემალები!! ლამის მოვიკუნტე ერთიანად და შევიკუმშე ერთ მთლიან გორგლად, ერთბაშად რომ გავმქრალიყავი ნადირის თათებში და მშიერ ხახაში, გარნა რაღაც მეუბნებოდა (საიდანღაც) დაჟინებით, რომ თვალები არ უნდა დამეხუჭა ამ ვითარებაშიც და მოსახდენს თვალღია შევხვედროდი!!. როგორღაც შევძელი, თავი ავწიე, თვალი გავახილე და სწორედ მაშინ, როცა უნდა ჩავეყლაპე, გავმქრალიყავი, ნადირის თათებში დავკარგულიყავი, მან მხარი მიქცია და იქვე გაჩერდა, გვერდით ნაკვეთში, ერთთავ დაიჩუტა და მოიბუზა, მყისიერად, თვალწინ, წამებში: მეყვსად დაჩიავდა ამხელა მხეცი, დარცხვენილივით ამომხედა ქვემოდან ზევით, რეცა ბოდიშობდა შეწუხებული: ასეთი არისო აქ ჩემი ადგილი და ჩემი ხვედრი!..

მაგრამ ეს ყოველი წამებში მოხდა, გააზრებასაც ვერ მოასწრებდი და ისევ თავქვე მივექანებოდი, იმ მხეცთან შეხვედრით დაფეთებული, მოსახვევიდან კი უკვე სხვა არსება მოიწეოდა, უფრო საშინელი და საზარელი: სამი ვეება ობობა მოისწრაფოდა ჩემკენ სხვადასხვა მხრიდან, გამძვინვარებული და გახელებული, მრავალკიდურა ფეხების უსწრაფესი (თვალს ვერ მოასწრებდი) მონაცვლეობით; საერთო აბლაბუდას ქსოვდნენ გრეხილი თოკებით, მასში რომ შევეფუთე (გავეთოკე), დავეგესლე და შევეწოვე თხევად მასად გადაქცეული!!. – ერთ სხეულოვნებად შეკრებილი სამი ობობა (რაღაც მანქანებით), ერთურთს შეწყობილი და ერთად მოქმედი, შეუნელებლად მოიწევდნენ, გამალებით, მოშიებულები და მოწყურებულები: ერთბაშად რომ შევესანსლე მათ მარწუხებში გამომწყვდეული!!. ... ორი მომცრო იყო უფრო და უთვალო, გულის ამრევი, გვერდებიდან მოიჩქარროდენ ჩემკენ გახელებით; პირდაპირ მოჰქროდა მათზე დიდი ობობა, წინიდან,

თავზარდამცემი, დაყვლეპილთვალებიანი.. იმასღა ვფიქრობდი, ხელები შემომეხვია თავზე მთელი ძალღონით და თვალდახუჭული დავმხვდარიყავი!. მაგრამ იმ ხმამ შემაჩერა (საიდანღაც), შემომაძახა, განსაცდელს ღიად შეხვდიო, პირდაპირ, ნუ ემალები!. და სწორედ მაშინ, სამივე მხრიდან რომ შემომიდგნენ, თავს წამომადგნენ ნერწყვმორეულები და თვალებდაკარკლულები, აბლაბუდაში რომ გავეხვიე და შევ/ეფუთე ღონეგაცლილი და სასოებადაკარგული: უეცრად შედგნენ ჩემს ცხვირწინ, მეყვსად, ადგილზე გაშეშდნენ ალეწილები და მოცელილებივით დაეცნენ მათსავე დაჩვარულ აბლაბუდაზე, მოწყვეტით, ერთად, დამცრობილები და დაპატარავებულები, პირდაპირ ფეხითაც რომ გასრისავდი: შეწუხებულები შემომყურებდნენ (ერთის რვა თვალით), თითქო ბოდიშობდნენ უხერხულად, დაბნეულები და დარცხვენილები...

გარნა კვლავ თავქვე მივექანებოდი, შეუნელებლად, ნებაწართმეული და მოსახვევიდან კი რაღაც ცხოველი გამოვარდა, სისხლის გამთოში, გამაოგნებელი: ერთურთს შეზრდილი ორი უშველებელი, ვეება ხარი (ერთად ქცეული), გაშმაგებით მოიწევდა ჩემკენ, გავეშებული: საერთო ტანი და ექვსი დაძარღვული, მძიმე ფეხი – შუაში ორი წყვილ-წყვილად შეზრდილი და კიდევ ოთხი კიდურა ტოტი; უზომოდ დიდი ფლოქვები, მთას რომ ჩაჭედავენ მიწაში თხემამდე, ბდღვინვა რომ გააქვს მიწას, ალმური ასდის მათი ოდნავი შეხებით; ორი უზარმაზარი მოღერებული თავი, ზედ ანთებული დიდი თვალებით და ნესტოებით, ყოველ მათგანზე ნაღვერდალივით აბდღვიალებული ცხელი პირი და ყოველგვარი ზღუდის დამლეწი, ერთთავ მბზინავი და მოელვარე გრეხილი რქები; ნაკეცნაკეცად აბურცული და მოლაპლაპე კუნთების კრებული მის ზორბა ტანზე და თითოეული თავის ქვემოთ, ყველანაირი გუთნის გამწევი და ხნულის გამჭრელი, მკვიდრად ჩამჯდარი სქელი ქედები!. ისე მორბოდა, მიწას ბუღი ასდიოდა მიგარდმო, ირგვლივ, რომ გადაგივლიდა და გაგთელავდა, ნარჩენებიანად ჩაგიტანდა ქვესკნელის შიგნით, თვითონ კი სვლასაც არ შეანელებდა და გზას გააგრძელებდა იმავე ქშენით!!. აუტანელი იყო ამ მყისების გავლა, ბუმბერაზთან შეხვედრის მოლოდინი, ერთი სული მქონდა, თავი მუხლებში ჩამერგო და მიწის მტვერში ავრეულიყავი, ოღონდ ეს საშინელი არსება არ დამენახა, მისი გაავებული სახე და თვალები!.. ... მაგრამ ის ისევ მიძახდა (საიდანღაც), გაუჩერებლად, ბოლო ხმით: თავი ასწიე და მომხდურს შეხვდი, მოსახდენს ნურსად ეპარებიო!.. როგორღაც შევძელი (ძალისძალით), თავი ავწიე და აალებულ ხარს კიდევ შევხედე, ბოლო ჟამისთვის გამზადებული, მაგრამ ყველაფერი კვლავ სხვანაირად დატრიალდა, გაუგებრად (რაღაც მანქანებით): ორთავა ხარი უეცრად გაჩერდა, გაშეშდა ჩემ წინ ყალყზე შემდგარი, თითქოსდა უნდა თავზე დამცემოდა და დავემარხე, მის წინად მდგომი, მაგრამ უეცრად დაპატარავდა და იქვე ჩაიკეცა, დაღონებული.. ორივე თავი დახარა დაბლა და მიაბრუნა სხვადასხვა მხარეს: თითქოს ერთმანეთისაც ერიდებათო დამცირებულებს, არა მხოლოდ ჩემი...

მე კიდევ ქვემოთ მივექანებოდი, გვირაბის მიხვეულ-მოხვეულებში, რომლის ხან ერთი მხრიდან გამოხტებოდა უცნო არსება, ხან მეორიდან, გაუგებარი აღნაგობის და სახეობის, ერთიმეორეზე უფრო საზიზღარი და საზარელი და საშინელი: უზარმაზარი, უშველებელი, ჩემზე წამოსული გაშმაგებით და გამეტებით,

მთელი თავისი აუტანელი სხეულოვნებით, მოყვანილობით, განფენილობით, მხოლოდ ერთსღა რომ ფიქრობ გამალებით, მიწა რომ გაიპოს, გასკდეს ერთბაშად და თან ჩაგიტანოს შორით და შორით, ოღონდ კი მათთან შეხვედრას აგაცილოს (ამ ნადირებთან), თუნდაც ჩაინთქა მის ბნელ წიაღში!. და სწორედ მაშინ, როცა საშველი აღარსად ჩანდა და ვერვის უხმობდი გადასარჩენად: ისინი უეცრად ჩერდებოდნენ, თითქმის შენამდე მოწეულები, ერთბაშად ჩიავდებოდნენ შენწინ დაცემულნი, დამცრობილები და დაპატარავებულები, დაბნეულები შემოგცქეროდნენ, ოდნავ გაღებული ნაღვლიანი თვალებით, რეცა მიტევებას გთხოვდნენ მორიდებით და ბოდიშს გიხდიდნენ, ნირშეცვლილები!.. ...

ბოლოსდაბოლოს ისიც გამოჩნდა, თვითონ ეშმაკი, ქვესკნელის მეუფე და მბრძანებელი, მისი განმგებელი... ის არა ჩქარობდა, არ მოისწრაფოდა ჩემკენ გავეშებით, უბრალოდ იდგა ერთ ადგილას გაუვალ ზღუდედ, ყველა გადასასვლელის ჩამკეტი და ჩამრაზავი, იდგა და მელოდა მშვიდად, დაჯერებით, მაინც რომ ვერსად წავუვიდოდი, ვერ დავუსხლტებოდი, დავნებდებოდი მის შავბნელ ნებას და ჩემითვე ჩავბარდებოდი!!. ... მის სახებაში თითქოს ყველა ის არსება ჩნდებოდა და გადადიოდა, ერთურთზე მიჯრით და მიყოლებით (მოძრავი კადრებივით), რომელიც მანამდე გვირაბში შემომხვდა, მის ხვეულებში და გადასასვლელებში: უშნოდ ქირქილებდნენ ერთიმეორეში, რეცა დამცინოდნენ ნიშნის მოგებით, ბატონის სხეულოვნებაში შეკრებილები და ჩემს ჩასანთქმელად გამზადებულები: ნერწყვმორეულები შემომყურებდნენ ეშმას სახებიდან, სისხლის გამყინავი მისი თვალებით!! ... საშინელი იყო ეს ყოვლისმომცველი განცდა, მასთან შეხვედრის გარდაუვალობის, მეტადრე რომ მისკენ ჩემით მივდიოდი, „მივიჩქაროდი“; იმასაც ვეღარ ვფიქრობდი ღონემიხდილი, როგორმე მანამდე გავმქრალიყავი: იქნება უმცირეს ნაწილაკებად დავშლილიყავი და მთელად აირში გავბნეულიყავი!!! ერთი რამ იყო მხოლოდ უცნაური, ბოლომდე დაშთობას რომ არ მაჩქარებდა: განსხვავებით ბნელეთის მეუფის აქამდე ნანახი წარმოსახვებისგან (კინოფილმებში, ლიტერატურაში, ფერწერულ ტილოებში თუ ნახატებში...), სადაც ის ჟამისფერი იყო უმეტესწილად, თითქოსდა გამხმარი ტალახით წყობილი, აქ ის ჭრელი იყო რატომღაც, სრულად, ლამის ჯამბაზივით ფერადოვანი!.. ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმიცია, უბრალოდ მენიშნა სადღაც საფიქრეთში, მაგრამ ეს საკმარისი იყო, თვალების დახუჭვა რომ ვეღარ მომესწრო და ეშმას თვალღია მივგებებოდი!. და ჰოი, საოცრებავ, აქაც იგივ მოხდა, რაც იყო წინით: ის გვერდით გადგა, ბნელეთის ბატონი, ოდნავ მოშორებით, მობუზული და მოღუშული, რეცა დამცრობილი, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა (თითქოს თავისთვის): ასეთი არისო აქ ჩემი ადგილი, დანიშნულება და ჩემი როლი!. მერე გზა გამიხსნა და გამატარა, მეც თავქვე დავეშვი დიდი სიჩქარით, საკმაოდ მალე გვირაბის ბოლოც გამოჩნდა, ღია გასასვლელით, მის იქით კიდევ მდინარე დიოდა („დროის მდინარე“, ცხოვრების დინებით – გამიელვა, მყისით..), მიღებულმა ქანმა იქით გადამაგდო, მეორე ნაპირზე, მას გაცილებული!. და: იქვე დავიძინე, შეუსვენებლივ.....

სხვებზე ადრე ავდექი დილით, თავი მოვიწესრიგე და წიგნების დათვალიერება დავიწყე ოჯახის პატარა ბიბლიოთეკაში.. რაღაც დროის შემდეგ ჟენიაც გა-

მოვიდა, გაუკვირდა უკვე ფეხზე რომ მნახა, მშვიდი და მოწესრიგებული: როგორ გეძინაო, ფირფიტა თუ დაუკარი?!. საინტერესო იყო-თქო, მხოლოდ ერთი უცნაურობა ახლდა, მოულოდნელი: ძილში ქვემოთკენ მივექანებოდი რაღაც გვირაბის ხვეულებში, ჩვეულებრივ კი ზემოთკენ ავდივარ ხოლმე, ძილის დროს გვირაბში: სინათლისკენ და შუქისაკენ, მის თავზე რომ იფრქვევა და ზევით გეწევა დაჟინებით!. ... დილის ცხრის ნახევრისთვის სახლის ტელეფონმა დარეკა (მობილურები არ გვქონდა მაშინ), უკვე ვიცოდი ვინც იქნებოდა მეორე მხარეს, გაბუებული: ჟენია დაელაპარაკა მოგუდულად, თითო-ოროლა სიტყვით: არაფერიაო სანიშნო, გამოსარჩევი; ცვლილება არ ჩანსო, რამე შესამჩნევი; თითქოს არცარა მომხდარა საგულისხმო, ყურადსაღები, ჩვეულად მიდისო ისევ ყველაფერი.. ... მერე ვისაუზმეთ ყველამ ერთად – მე და ოჯახი; მოვისაუბრეთ რაღაცებზე და დავემშვიდობე თბილად ყველას, მასპინძლობისთვის მადლობელი...

– მართლაც დამაბნეველი იყო, პალიკო, ეს თავქვე დაშვება ხვეულ გვირაბში, გააზრებასაც რომ ვერ მოასწრებდი თუ გზად რა შემოგხვდა, რას გადააწყდი, შეშინებისთვისაც რომ არა გრჩება დრო, ქვემოთ ეშვები სულმოუთქმელად და არა უწყი, რა გამოვარდება შემდეგი მოსახვევიდან, რა დაგეტაკება და დაგეძგერება სასოწარკვეთილს!.. ყოველივე ამის აღდგენა და გადახედვა მხოლოდ მერე მოხდა, პალიკო, წლების გავლის შემდეგ და კიდევ უფრო გვიან იყო ამბის გარჩევა დაწვრილებით...

– ადრეც მოვხვედრილვარ ძილის (თუ ძილ-ღვიძილის) წილ გვირაბში, პალიკო, ახალგაზრდობის ჟამს უფრო, ახალგაზრდულ ასაკში, გარნა ყოველთვის ზევით მივვემართებოდი იმ შემთხვევებში: სინათლისაკენ, შუქის მხარეში!. ეს თავისით ხდებოდა როგორღაც და არანაირი მნიშვნელობა არა ჰქონდა, პალიკო, სინამდვილეში, ჩემი ძალისხმევა იყო ამაში მეტი თუ რამე ძალა მეხმარებოდა ზევითკენ მისწრაფებაში!.. აქ კიდევ თავქვე მივექანებოდი უგზო-უკვლოდ, ბედს მინდობილი, საზარელი არსებების გარემოცვაში და სამყოფელში...

– რამოდენიმე უცნაურობა გამოიკვეთა, პალიკო, შემდგომში, მთელ იმ ამბავში... სანიშნო იყო უწინარესად, რომ შერეული აგებულების იყო ყველა იქაური არსება-ცხოველის მთლიანი სხეული: ერთი ნაწილი ერთი ცხოველისა ჰქონდათ, მეორე – სხვისი; ერთი სახეობის რამდენიმე ცხოველიც იყო, პალიკო, მათ შორის, როგორღაც ერთ მონსტრ-არსებად შეკრებილი და შეწყობილი, ან კიდევ ერთურთს შეზრდილი, შეერთებული და ერთიან სხეულად შემკვრივებული; უფრო კომპლექსური შედგენილობის არსებებიც გხვდებოდა გზადაგზა, რამდენიმე ცხოველის ნაწილებისგან რომ ჰქონდა თავისი სხეული აგებული და აშენებული!.. ...

– ძნელად აღსაქმელი იყო მაშინ ეს, პალიკო, წინა საუკუნის ოთხმოციანებში, რადგან გენური ინჟენერია ჯერ არ იყო ისე განვითარებული, ცხოველების ერთმანეთზე დამყნობა და გამოყვანა რომ ყოფილიყო შესაძლებელი: მითოლოგიებში თუ შეხვდებოდი ამგვარ არსებებს ისევ, მათ არაკ-ამბებში...

– კიდევ უფრო შემაწუხებელი იყო, პალიკო, ამ არსებების უსაშველო ზომები და განფენილობა და ამავე დროს: მათი ერთბაში დაჩუტვა და დაპატარავება, დამცრობა ძირისძირამდე, ბოლოში!!. თან ანთებული ჰქონდათ თითქოს მთელი

შიგანი: მსუსხად ანათებდნენ მათი თვალები, ნესტოები და დაბჩენილი პირები, ალმური ასდიოდათ სხეულიდანაც, პალიკო, რომელიც ფუყე იყო შიგნით მთლიანად, ცარიელი, რეცა ალი ბრიალებდა მათში უცეცხლო, ყველაფრის შთანმთქმელი!.. ელვად გსიცხავდა, მეტადრე, ამ არსებების უგუგო თვალებთან შეხვედრა, მათი გიზგიზი!!. ...

– აუტანელი იყო, ამასთან, შეხლა პირისპირ, შეჩეხება, როცა არსაიდან ჩანს ვინმე მშველელი!.. მხოლოდ დროის შემდეგ გავიცხადე, პალიკო, გავერკვიე, რომ ესეც უნდა ყოფილიყო იქ ყველაფერი: რამეთუ ქვესკნელის საუფლოში არავის რჩება ხორციელობა და ლანდს ემსგავსება იქ მოხვედრილი ყველა სამშვინველი.....

– მთავარი მაინც ის იყო, პალიკო: ეშმას სიჭრელე და ფერადოვნება, გაუგებარი!. ... მისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია მაშინ, უბრალოდ მენიშნა და გამიკვირდა, რადგან ის არაფერთან ხმიანდებოდა იმჟამინდელთან, არ ასოცირდებოდა, არა ჯდებოდა იმ დროის ჩარჩოში, რადგან „LGBT“-ობას (მისი ჭრელობით და ფერადოვნობით, მისი „პრაიდებით“) არანაირი წონა და მნიშვნელოვანება არა ჰქონდა, პალიკო, საბჭოთა კავშირში და მისი დაშლის შემდეგაც მხოლოდ 2000-იანებში გაჩნდა ის როგორც თემა და საკითხი, საჭირბოროტო (იმავე საქართველოში): გლობალიზების პროცესის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი და ქმედითი მექანიზმი (მეტადრე, „ტრანსჯენდერობა“) დღევანდელ მსოფლიოში!.. მაშინ ის არაფერი იყო ამ მხარეში და მით უფრო გასაკვირი ჩანდა მასთან ამგვარი შეხვედრა: ეშმას ამგვარი წარმოსახვა ქვესკნელის გვირაბში?!..

– უფრო საგულისხმო აქ მაინც სხვა იყო, პალიკო, მაშინ: ქვესკნელის მეუფის უკმაყოფილო და ბრაზიანი სიტყვები, მის დანიშნულებასა და როლზე წუთისოფელში: ადამიანის ბუნებაში ბნელი ძალების ძალობაზე მომართული, ნათელის დამმცრობი!.. ეს ღმერთის განჩინება იყო და განაწესი, პალიკო, როგორც გამოდის, რომელსაც ეშმა ვერარად გადადის, მაგრამ ისეთი სიმძაფრით ეკიდება და ასრულებს მას, მოწადინებით, ვინძლო გაუტოლოს უნდა ეს ფუნქცია უფლის მეუფებას – ზომა-წონით და მნიშვნელობით!. ...

– მაშინვე მივაქციე ამას ყურადღება, პალიკო, როლის აღების თუ მინიჭების მნიშვნელობას და იმაშიც გავერკვიე (თანდათანობით), თუ რატომ უთმობდნენ სოციალური ფსიქოლოგები ამდენ კვლევას როლებრივ სტრუქტურას, მისი ძირითადი მახასიათებლების და საკვანძო წერტილების გამოკვეთას ნებისმიერ ქმედებაში: ჯგუფსა თუ გუნდში, კოლექტივში, თემში, ორგანიზაციაში, ინსტიტუტში, კორპორაციაში.....

...20 წლისა იყო იმჟამად ზეზვა, ეს რომ შეემთხვა: ჯან-ღონით სავსე, ნაწრთობი და ნავარჯიშები ახალგაზრდა ვაჟი, „კაი მუტრუკი“ – მისი სიტყვებით.. საბჭოთა ჯარში მსახურობდა მაშინ, ზემდეგად (sergeant), პუშკინოში; 1985 წლის გაზაფხული იყო, აპრილი; ჩვეული რიგით მიდიოდა მისი სამსახური, ამ ამბავს თუ არ ჩავთვლით...

...დასვენების დრო იყო მოსული; ჯარისკაცები დააძინა ზეზვამ და თვითო-

ნაც გაემზადა მოსასვენებლად: ყველაფერი წესრიგში ჰქონდა (იქაურში), მასაც არ აწუხებდა არაფერი... დაწვა და დაიძინა, ნებად, მაგრამ უეცრად რაღაც ძალამ აიყვანა (ძილში) და სინათლიდან სიბნელეში გადააფრინა, რაღაც მდინარეზე გადაიყვანა სიბნელეში, რომელიც არ ჩანდა – ხმა ისმოდა მხოლოდ მისი!. ... გვირაბის კონტურები გამოჩნდა იმ მხარეს, წინით და მასში შევიდნენ ზეზვა და მისი თანამგზავრი, მდინარეზე ვინც გადაიყვანა (თავისი ნებით არ გაუკეთებია ეს ზეზვას); სწრაფად გაიარეს ის.. გვირაბი რომ დამთავრდა, მკვეთრად შეიცვალა უცებ ყველაფერი – საოცრება დაიწყო და გაიშალა ირგვლივ: მწვანე მინდორი, ბორცვებით, ისეთი ხასხასა ბალახი, როგორიც მთაში იცის მხოლოდ, ალიონზე (სვანეთში, მთის აჭარაში, თუშეთში...), ოქროსფერი რომ ხდება ცა მზის ამოკრეფისას!.. ხელი მოავლო და არაფერი შერჩა ხელში – არ იყო მატერიალური.. ...

„ვინც მატარებდა (ზურგსუკნიდან), ჩემი მეგზური, მის შეგონება-ბრძანებებს ვემორჩილებოდი და მივყვებოდი იქ... დიდ გალავანთან მიმიყვანა მან, თითქოს ქვებით რომ იყო ნაშენები; მის შიგნით დიდი, კარგად შეფოთლილი ხე ჩანდა, ნაყოფს (თუ ჰქონდა) ვერ გაარჩევდი.. გალავანთან მაცხოვარი გაჩნდა (ეკლესიის ხატებიდან შევიცანი), მკაცრად შემომხედა, ზურგი შემაქცია, ხელი ასწია, მარჯვენა, ხიდან რაღაცა მოწყვიტა და სახესთან მიიტანა (არ ვიცი რა იყო?!).. მეგზურმა გალავნიდან მომატრიალა და წამოვედით“...

დიდი, მწვანე ველი გამოჩნდა წინარე; თეთრით შემოსილი ადამიანების ლანდები მიმოდიოდნენ მასზე, სილუეტები... ერთი გამოეყო და მათკენ წამოვიდა, ხელი დაუქნია ზეზვას მეგზურს და უთხრა (გონით, არა ხმით): ადრეაო ამის აქ მოყვანა, უკან წაიყვანეო – ხელის ქნევითაც იმავეს ეუბნეოდა, განმეორებით...

„მეგონა, უკან მოვყავდი, მან კი სამ სხვა ადამიანთან მიმიყვანა კიდევ: სამივეს ბერების მოსასხამები ჰქონდათ მოცმული და თავსაბურავები გადმოფარებული, ყავისფერი (არა, შავი)“.. ფეხმორთხმით ისხდნენ სამივენი, როგორღაც სივრცეში, ჰაერში, სინათლეში.. შუა მათგანი, ყველაზე მაღალი, საჩვენებელი თითით წერდა რაღაცას ქვემოთ, ქვიშაზე – იწერებოდა!. ... სახეები არ უჩანდათ, მხოლოდ წვერები... არ ჩანდა, რა იწერებოდა, გარნა ის წერას აგრძელებდა... მისგან მარცხნივ მყოფს (ზეზვასაგან მარჯვნივ) წიგნი ჰქონდა გადაშლილი, ძალიან დიდი, ბატის ფრთა ეკავა ხელში, სამელნეც, ჭრაქიც იქვე იყო!. – ყველა ჰაერში.. რამდენიმე ფურცელი გადაშალა მან, წიგნის შუაში.. მეგზურს შეხედა ამ დროს, რეცა რა ვუყოთო ამას, ეკითხებოდა..

„ჩემი მეგზურისგან გავიგონე, მას როგორ ეაჯებოდა: ჯერ ახალგაზრდაო, კარგი აქვს ბევრი გაკეთებული და ბევრ კარგს გააკეთებსო კიდევ – გონითი იყო ისევ ეს საუბარი... იმდენად მომწონდა იქაურობა, აქ მინდა-მეთქი დარჩენა, ვითხოვე, იქ კარგს არაფერს ვაკეთებდი!.. კარგად ვიცითო რაც გიკეთებია, მაგრამ ბევრად მეტი გაქვსო კიდევ გასაკეთებელი“...

„ძალიან მეწყინა იქ რომ არ დამტოვეს!. მეტად მიზიდავდა იქაური უხორცობა, ეს უცნაური უხორციელობა, საოცარი სიმსუბუქე მისით მოტანილი, სინათლეში ყოფნა და მისი შუქფენის შეგრძნება, ჰარმონიული თანხმობა ერთმანეთთან ყველასი და ყველაფერის, განსაკუთრებულად საამო ხმა (მსუბუქი საგალობელივით), სულ რომ თანმდევდა გვირაბიდან გადმოსვლის შემდეგ“!!. ...

სიხარულით წამოიყვანა ზეზვა მეგზურმა (მის უკან მდგომმა) სააქაოსკენ: გვირაბი გამოატარა პირუკუ, წყალზეც გადმოვიდნენ, უცნო მდინარეზე, აქეთა მხარეს და დააბრუნა აქაური ცხოვრების არეში და მდინარებაში: მის საუფლოში და სამანებში – წუთისოფლის მიწყივ ცვალებად რეალობაში.....

აღარაფერი ახსოვდა ამეებიდან გამოფხიზლებულ ზეზვას.. ერთი რამ იყო მხოლოდ მისთვის უცნაური და გაუგებარი: გაოფლიანებული რომ იყო ასე ერთიანად, გაწუწული ჰქონდა მთელი სხეული; სუნთქვა რომ უჭირდა; ხელს ვერა ძრავდა (ვერ წევდა ზევით); ვერ ინძრეოდა ერთხანს საერთოდ, ვიდრე სუნთქვა არ დაუბრუნდა, არ დაულაგდა და გული არ ჩაჯდა მიჩვეულ რიტმში!.. გარეთ გავიდა (თბილი საღამო იყო), სიგარეტი გამოართვა მორიგეს, მოწია და თანდათან დამშვიდდა: კვლავ ჩადგა მწყობრში.. იმ ამბავზე ბევრი აღარ უფიქრია, ჩვეულ ყოფას დაუბრუნდა ისევ – ჯარში სამსახურს, იმ დროის განრიგით და განაწესით... დიდი ხნის შემდეგ გაახსენდა მხოლოდ ეს გარდახდომა, მდინარის იქით გადასვლა, გვირაბის გავლა და მოხვედრა იქითურ მხარეში!. – ოცდახუთი წლის გავლის შემდეგ, მთელი ახალგაზრდული ხანის.. ისიც უცნაურად, დაუთქმელად, საიდანღაც ამოუვიდა, მანამდე გაელვებადაც რომ არ მოსვლია თავსა თუ გულში!. ... უეცრად შემოახსენდა ხატის ჭედვის დროს, იმ ძილ-ღვიძილიანი დღის თავგადასავალი: ხელსაწყოები დაყარა და გარეთ გავარდა აფორიაქებული, იქით-აქეთ დაიწყო სიარული, ბოლთის ცემა გამეტებით, ცდილობდა აღედგინა იმ ჟამის ამბები, მისი წვრილმანებით: სად დადიოდა? ვინ და რა ნახა? იქ რა გარდახდა და ვით დაბრუნდა უკან, სოფელში??. ...

– გამახსენდაო, პალიკო, რომ ჯარში წასვლამდე ეკლესიაში დავდიოდიო ხატების სანახავად და ვინძლო იქიდან ჩამრჩაო მაცხოვრის სახება, თუმც კი არ ვიცოდიო მისი ამბავი და წარმოდგენაც არა მქონდაო, თვითონ ვინ იყო!..

– იქაცო, პალიკო, იმ დღის ხილვაშიცო, იმ თითქოსდა ქვით ნაშენი კედლის გალავანთან: არა ვიცოდიო მის შესახებო, უბრალოდ მასში მაცხოვარი ამოვიცანიო, მივხვდი რომ იქ სწორედ ის იყო, სწორედ ის ვნახეო!. ...

– დღეს იმავე გზის გავლის მეშინიაო, პალიკო!! – მაშინ არა ვიცოდიო იმ სამყაროზე, მის არსებობაზეც არ მიფიქრიაო, დღეს კიდევ წარმოდგენა მაქვსო უკვე იქაურობაზე, გარნა არ ვიციო, იქ სად ამოვყოფ ამ ჯერზე თავსო!!! ..

– დღეს უკვე იმაზეც ვფიქრობო, პალიკო (მინდა თუ არ მინდა), რა მიკეთებია და რა არ მიკეთებია ცხოვრებაში და ძნელად ვსაზღვრავო თუ სად აღმოვჩნედები, უეცრად რომ გადამიყვანონ იქით სამყაროში, იმ საუფლოში და სამკვიდროში: როგორ მიმიღებენ იქაურები და სად განმაწესებენო ამ შემთხვევაში???.

– გულდასმით ვეძებო, პალიკო, რის გაკეთებას მოელოდნენო ისინი ჩემგან, რას გულისხმობდნენ „საკეთებელში“, რას ითხოვდნენო სამერმისოდ, მყობადის წილობით?. ...

– ბევრი რამ გადაფასდაო ჩემში და ჩემთვის, ახალი გზა მაქვსო, პალიკო, მისაგნები ამ ჭარმაგობაში, სანახავი და გასაკვალი: ვფიქრობო ამაზე გულისგულ, ბევრს; თითქოს იკვეთებაო რაღაცები, „საკეთებელი“.. უკვე მოქმედებაც მაქვსო დაწყებული და პირველი ნაბიჯებიც გადადგმული...

– არაჩვეულებრივია, პალიკო, რაოდენად ცვლის ცხოვრებასთან მიმართებას და დამოკიდებულებას ერთი შეხებაც იქითურ მხარესთან (ხილვაში თუ ზმანებაში).. უშუალო ხილვა იქაურობის, მისი არსებების!. შეგრძნება და განცდა იმ სამყაროს რაობის, მისი უთუო არსებობის: რომ სიკვდილით ყველა არ თავდება – უფრო გადასვლაა სხვა სამყოფელში!. რომ აქ სიკვდილი საშუალებაა უფრო: გადასავლელი გზა გარდაცვალების...

– არაჩვეულებრივია, პალიკო, რომ ეს შეხვედრა „იქითურობასთან“ იქავე თავდება, სადაც დაიწყო (შენს საცხოვრისში), თავს არ გახსენებს და არ გაბეზრებს მერე დიდხანს, მთელად ინახება გონის საცავში, ხელშეუხები და შეულახავი.. მხოლოდ ჟამის შემდეგ მოგიბრუნდება, წინ დაგიდგება მთელი სიცხადით: მასში გარკვევას გთხოვს, გამოწვლილვით; განვლილ გზას მოგკითხავს და შენს ქმედებებს წუთისოფელში!. ...

– შენც უკვე იცი: რომ ცხოვრება გასეირნება არ არის, პალიკო, გასავლელი გზაა, თავიდან ბოლომდე, გარდაცვალებამდე – გადასვლამდე იქით სამყაროში; და რომ ის სამყარო მკვიდრად არის გადაბმული შენს აქ ყოფნასთან – შენს ცხოვრებასთან სააქაოში!.....

– მართლაც რომ, პალიკო: „შენ გაგიმარჯოს სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“!

... ჩვენს არაჩვეულებრივ ხათუნას ვაცილებთ წუთისოფლიდან; „ამაღლების“ ეკლესიის მღვდელმა ითხოვა, ჩვენი მრევლი იყოო ეს კდემამოსილი ახალგაზრდა ქალბატონი და, თუ შეიძლება, ეკლესიიდან გავასვენოთო... აქ გლოვა არ არის, დიდი მოთქმა და გოდება, სახის ხოკვა და ხმით ტირილი გაგრძელებული, გარნა დიდი წუხილია და გულდაწყვეტა, ხათუნას დაკარგვით გამოწვეული: როფორც ეს შეჰფერის ეკლესიას და გარდაცვალებულს... დამწუხრებული შემოდის ყოველი, ნაცნობი თუ ნათესავი, მოყვასი თუ ახლობელი, მავანი; ეკლესიის შუაში დადგმულ სასახლეს შემოუვლის ნელი ნაბიჯით, მხრებაწურული და თავდახრილი, თითქო ერიდებაო ვინმეს შეხედოს, თვალი გაუსწოროს, რამეთუ არა აქვს სიტყვა სათქმელი.. გარდაცვლილს დახედავს დაკვირვებით და დაჟინებით, ემშვიდობება დამწუხრებული; ჭირისუფალს მიუსამძიმრებს მორიდებით (ხელის შეხებით და წარბების აწევით); ჩუმად გადის ეკლესიიდან, დაღონებული, მის მყუდრო ეზოში შეკრებილ ხალხს უერთდება, ახლობელ-ნაცნობებს: მათ ჩუმ ლაპარაკს, ნაღვლით გაჟღენთილს... იგივე გრძელდება ეკლესიის გარეთაც, მის მიდამოში, იგივე მდგომარეობა: დამწუხრებული ხალხის სამძიმარი.....

ორი პარაკლისი აღასრულეს ეკლესიის მღვდლებმა პროცესიის მსველობის დროს, ხათუნას სულის შესავედრებელი; ეკლესიის ქალთა პატარა გუნდის გალობაც ისმოდა აქ, მოგუდული და სევდისმომგვრელი; დროდადრო ისევ მეორდებოდა, ეკლესიის შინასივრცეს ავსებდა ლბილი ბგერებით: რეცა სიკვდილის მიგებება იყო, მისი მიღება პატივით და წესის დაცვით!. აქ ყველაფერი ნამდვილი იყო და გულის მომწყვლელი: დიდი წუხილი და გულდაწყვეტა; დამშვიდობება და გაცილება ყველასთვის სათნო ქალბატონის; თვითონ სიკვდილის მობრძანება ცხოვ-

რების მხარეში და მიცვალებულის სამშვინველის მისთვის გადაცემა, მოფრთხილებით რომ გადაიყვანოს სააქაოდან საიქიოში და სრულად აღასრულოს ძნელი მისია (დასაბამიდან დაწესებული): გარდაცვალება ადამიანის.....

ხორციელ სხეულოვნებას დაცილებული სამშვინველი ოჯახის თავზე ტრიალებს დიდხანს: ვერ ეპუება ახალ მდგომარეობას, ოჯახის წევრებთან, მოყვასებთან, ცხოვრების დუღილთან განშორებას!.. მერე თანდათან თავისთავს მიუბრუნდება, იგზნობს როგორღაც, სხეულოვანი სამოსიდან ამოსულს და განცალკევებულს: მსუბუქს, თავისუფალს, გარნა მაინც (და ისევ!) ერთიან არსებად შეკრებილს და განმხოლოებულს: ახალ მთლიანობად მოგებულს?!. მიმოიხედავს, აქეთკენ, იქით, დიდი სივრცისკენ მიბრუნდება ბოლოს (განაწესის მიხედვით) და გადაეშვება სიცარიელის უწახნაგებო, უძირო მღვიმეში: გზის გასაკვლევად უკიდეგანო და დაუსაზღვრავ მხარეში... თავიდან მხოლოდ ეს გაფაციცება ესმის, მისივე გზნების, შეშფოთების, შინა მღელვარების, მერე ფიქრებიც უერთდება: ფრთხილად, შორისებით, ფთილებრ ბგეროვნებით... თავიდან ხვდება თითქოს თავისთავს, ახლიდან იცნობს მისსავ არსებას, ცხოვრების კვალში დაგროვილ-შეკრებილ აზრებს და განცდებს, წუხილს, შეგრძნებებს, ტკივილს, სიხარულს, თრთოლვას, სიძულვილს, თნობას და ლმობას, შეყვარებას და შეზარებას, ამაღლებას, დაუდგრომლობას, აღტყინებას და სასო-ნარკვეთას!.. ამას მიჰყვება სივრცის შუილი (არაფრის ბანი), სამშვინველს თავში რომ ჩააღრმავებს უსიტყვობით და უმისამართობით..

მერე რაღაც ხმები ამოხდებიან „არსაიდან“: ერთი, მეორე, აქედან, იქით, ბჟუტებივით, თითქმის რომ არ ისმის, გარნა მჟღავნდებიან ფთილა ბგერებით, პატარა ზარების ოდნავი გაკვრით თუ სიმის ჩამოკვრით – ციცინათელების გაკრთომასავით ღამის სიბნელეში... სხვები წამოვლენ კიდევ, მოჰყვებიან: წინით, გვერდიდან, სხვა ალაგებიდან.. თითქოს ახლად ამოსულ სამშვინველს ეხმიანებიან, ეძახიან, ესალმებიან და ეცნაურებიან... მერე კიდევ სხვები უერთდებიან, სულ უფრო მეტნი და მეტნი: ზევიდან, გვერდიდან, სხვადასხვა მხრიდან – სიცარიელის უჩინარი ჰორიზონტებიდან: მათკენ რომ მიდიხარ და ვერ უახლოვდები!. ... უკვე ახლოსაც ჩნდებიან, სულ გვერდი-გვერდით, თან მოგყვებიან: მეგზურობას იჩემებს რეცა ზოგიერთი, გვერდი რომ აუარო უფერო მღვიმის უხილავ ღრმულებს, გადაიარო გზა გასავლელი!..

ისე გამოდის თანდათანობით, რომ გადავსებულია თურმე სიცარიელე სულდგმულებით, გადაჭედილი მათი ქოთქოთით და ხმიანობით: მანამდე გარდაცვლილთა სამშვინველებით და გზის გამკვლევი სულებით, მეგზურებით!!. ასე ხვდებიან ახლად მოვლენილს, მარტოობა რომ არ აგრძნობინონ, ობლობა მისი: თანდათან ჩნდებიან, ნელი-ნელ, თითო-ოროლობით, მერე უფრო მეტნი ხდებიან და უფრო მეტნი: პატარა ზარებს აწკარუნებენ ყოველი მხრიდან, სხვადასხვა ჯერით, რეცა ახალისებენ სოფლიდან ახლად ამოსულ სამშვინველს, ვიდრე ის არ განკითხულა და განჩინება არ მიუღია მისი შემდგომი ბედის და ხვედრის.. სფეროს ემსგავსება მაშინ მთელი სიცარიელე, უფსკერო მღვიმე, ახმიანებული სულდგმულთა გზნებით.....

ბაალბეკი, ფინიკიური ქალაქი, რომლის პირველი დასახლება 9-10 ათასი წლის წინანდელ დროში იმზირება.. ის ბექაას ველზეა გაშენებული, 1130 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თითქმის შუაში ბეირუთსა და დამასკოს შორის: 68 კილომეტრით დაცილებული ბეირუთს (87 კილომეტრი სამანქანო გზა) და 56 კილომეტრით დამასკოს (125 კილომეტრი სამანქანო გზა); მასზე გადის ბეირუთ-დამასკოს შემაერთებელი რკინიგზა (გაშვებული უკვე 1895 წელს) და მას გაყოლებული ავტომაგისტრალიც... ის მნიშვნელოვანი სამლოცველო, წმინდა ადგილი იყო ანტიკურ მსოფლიოში ცის ღმერთის, „ბაალის“ და მისი მეუღლის (ცათა დედოფლის – ფინიკიურ რელიგიაში), „ასტარტეს“ თაყვანისმცემლებისთვის... თვითონ სახელი „ბაალი“ ბექაას ველის ბატონ ბაალს ნიშნავს, თავის მხრივ...

არაფერია ცნობილი ბაალბეკზე ბერძნების მიერ სირიის დაპყრობამდე (ძვ. წ. 332); ძველი წელთაღრიცხვის 64 წელს ის რომის დაქვემდებარებაში გადავიდა; რამდენიმე ათეული წლის შემდეგ რომის კოლონია გახდა – ბაალბეკში რომის ლეგიონი დადგა და განსახლდა ამ დროს; თავისი განვითარების და აღზევების უმაღლეს წერტილს ქალაქმა სწორედ რომაელების დროს მიაღწია...

ბაალბეკი „ჰეზბოლას“ საყრდენი წერტილია, მისი ცენტრია ლიბანში დღეს... ამან გარკვეული გარჩევა გამოიწვია ქალაქში ჩემს ჩასვლასთან დაკავშირებით (ქვეყნის ევროკავშირის დელეგაციაში), რამდენადაც ესტონელი ტურისტების ერთი ჯგუფი დაიკარგა იმ არეში მცირე ხნის წინ და ერთობ სახიფათოდ ჩანდა იქ გამგზავრება ამ პირობებში.. მეორე მხრივ, გაუგებარი (და არაეთიკურიც) იქნებოდა ბაალბეკში მიმდინარე პროექტის მსვლელობის შესწავლა და შეფასება იქ ჩაუსვლელად, იქაურ რეალობებსა და პროექტის განხორციელების თავისებურებებში ადგილზე გაცნობის გარეშე, მეტადრე, როცა ევროპელი და ადგილობრივი ექსპერტები ქალაქში მოქმედებდნენ და მუშაობედნენ მეტწილად, პროექტის გაშვებიდან მოყოლებული; ამასთან, არ შეიძლებოდა პროექტის ავ-კარგიანობის და სარგებლიანობის შეფასება მიმღები მხარისგან (ბაალბეკის მუნიციპალიტეტისგან) მის სტრუქტურასა და მსვლელობაზე შენიშვნების, მოსაზრება-წინადადებების მიღების გარეშე.. ამის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ ბაალბეკში ჩასვლა და ვითარების ადგილზე გაცნობა საჭირო იყო მაინც...

ბეირუთიდან ადრიანად გავედით: მე, პროექტის გუნდის ხელმძღვანელი ლიბანში და მისი ორი ევროპელი ექპერტი... ბეირუთს გავცდით და აღმართს შევუყევით ბაალბეკის მიმართულებით; გაეროს საგუშაგო შემოგვხვდა რაღაც მანძილის გავლის შემდეგ, იქ რომ ჩააყენეს სამოქალაქო ომის კვალად... პროექტის თავისებურებებზე ვლაპარაკობდით, მუნიციპალიტეტში მის განხორციელებასთან დაკავშირებით: მისი საჭირბოროტობისა და სარგებლიანობის ცალკეულ მხარეებზე; სრული სახით განხორციელების რეალურობაზე; შემხვდარ წინაღობა-სიძნელეებზე; გაწეული სამუშაოს მიმართულებებზე და ზომა-წონაზე; პროექტის გუნდის და მიმღები მხარის მომართულობაზე, ურთიერთობაზე და ურთიერთქმედებაზე... თვითონ პროექტი ორი ქვე-პროექტისგან შედგებოდა: პირველის ამოცანა იყო ბიოგაზის საწარმოს შექმნა ბაალბეკში და მიღებული აირისგან ელექტრობის გამომუშავება (ადგილობრივი მოხმარებისთვის); მეორეს მონაწილეობა უნდა მიეღო მუნიციპალიტეტის შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) აღდგენაში და მის „მწვანე სახლად“ გადაქცევაში – ენერგო-ეფექტიანობის საშუალებების შემოტანით და მზის ენერგო-სისტემის დაყენებით ამ შენობაში...

ორ საათზე მეტი დასჭირდა ქალაქში ასვლას; არაფერი ღირსშესანიშნავი და განსაკუთრებულად თვალისმომჭრელი გზად.. პირველ რიგში პროექტის ოფისს მივაშურეთ: მოვწესრიგდით, გეგმები და განრიგი შევათანხმეთ და მუნიციპალიტეტში წავედით, სადაც გავიყავით უკვე: მე ჩემ წილ სამუშაოს შევუდექი, ისინი – თავისას... პირველი შეხვედრა ბაალბეკის მერთან მქონდა: პროექტის საერთო ჩარჩოსთან და მის ქვე-პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე; პროექტის გუნდთან ურთიერთობა-თანამშრომლობის ხასიათსა და ფორმებზე; პროექტის მსვლელობასთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და მოსაზრებებზე... შემდეგ მუნიციპალიტეტის მხრიდან პროექტის მსვლელობაზე პასუხისმგებელ პირთან ჩავატარე ინტერვიუ, უფრო კონკრეტულ და ტექნიკურ საკითხებზე, პროექტის გაშლის პროცესზე; და ბოლოს ორ ადგილობრივ ესპერტ-ინჟინერს შევხვდი და ცალ-ცალკე ვესაუბრე მათ მიერ ჩატარებული საპროექტო გამოკვლევების შედეგებზე... მერე მუნიციპალიტეტის შენობაც დამათვალიერებინეს და იმაშიც გამარკვიეს, თუ რის გაკეთებას, სად და როგორ აპირებდა პროექტი ამ შენობაში – რა საფეხურზე იყო შესაბამისი სამუშაოები მოცემული დროისთვის... ამის შემდეგ ქალაქგარეთ გავემგზავრე პროექტის გუნდთან ერთად, მუნიციპალიტეტის სპეციალური ჯიპით, ბიოგაზისთვის შერჩეული ადგილის სანახავად და მისი იმჟამინდელი მდგომარეობის გასაცნობად; მანქანას მერის პირადი მცველი მართავდა, თითო-ოროლა სიტყვით რომ გვეხმაურებოდა მხოლოდ...

– როგორღაც სხვანაირი იყო, პალიკო, ეს „მგზავრობა ბაალბეკში“, დაწყებული იქ ჩასვლა-არჩასვლის საკითხის გარჩევით, მისი მოკლე ვიზიტით მოფარგვლით და ადგილზე მუშაობის ყველა ნაკვეთის შეძლებისდაგვარად მოკვეცით.. თვითონ მანქანით მგზავრობაც ერთგვარი „სამუშაო თათბირისთვის“ იყო უფრო გამოყენებული, პალიკო, და მხოლოდ გაკვრით თუ შეაჩერებდი გარემოს მოხილვაზე თვალს (ბეირუთიდან გამოსული), ღათუ არც არაფერი განსაკუთრებული არ

იშლებოდა წინ: უბრალოდ მთაში მივდიოდით, ზღვას გაშორებულნი, ზევით და ზევით...

– თავისებური იყო ქალაქის მერთან შეხვედრაც, პალიკო, ის ხომ ოფიციალურ ხასიათს ატარებდა (აღნიშნულად), რის გამოც ინტერვიუს ჩატარებისგან თავი შევიკავე და უფრო საუბრის სახე მივეცი – მოცემული პროექტის საერთო მართებულობა და მუნიციპალიტეტისთვის მისი ჩარჩოს შესაფერისობა განვიხილეთ, მისი საჭირბოროტობა მიმღები მხარისთვის, პროექტის გუნდის ქმედებების ეფექტიანობა და ეფექტურობა განვლილ პერიოდში: ყოველი სიტყვა მოზომილი იყო და დაკვირვებით შერჩეული; მუნიციპალიტეტის მხარის შენიშვნები და მიდგომები ყურადღებით მოსმენილი, დაზუსტებული და ჩანიშნული...

– მეტად თავისებური იყო ბიოგაზის საწარმოსთვის შერჩეული ადგილის სანახავად წასვლაც, პალიკო: თავიდანვე შევნიშნე, რომ ეს სულ ჩვეულებრივი ჯიპი არ იყო, თუმც არც ჟავშნიანი მანქანა – რაღაც შუალედური უფრო, მისი მაგვარი; გზაში ამ ქვეპროექტის განხორციელების იმჟამინდელ სტატუსს ვაზუსტებდი პროექტის გუნდთან – ბოლო ნაბიჯებს, გადადგმულს მის ფარგლებში; ტრიალ მიდორზე მივდიოდით, წინ გადაშლილი ველის არეში; რაღაც დროს ყურადღება მივაქციე (უნებურად), რომ ძალიან სწრაფად მივდიოდით, მეტისმეტად მაღალი სიჩქარით ამ ძლივს მოხრეშილი გზისთვის, არაბუნებრივად, პალიკო!. და უცებ გამახსენდა, თუ სად ვიყავით და მივხვდი, რომ შეიძლება სამიზნეც გავმხდარიყავით ვინმე გარესთვის, სხვისთვის, ამ გზაზე, სულიერი რომ არ ჩანდა მიგარდმო, ირგვლივ!.. ...

– უსიამო ჟრუანტელმა დამიარა, პალიკო, რეალობა რომ გავიცხადე: პირველად ვიყავი ამგვარ ვითარებაში... მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება, როგორი შეკუმშული იყო ჩვენი მეგზური-მძღოლი, მოკუმული, ხმას რომ არ იღებდა მთელი გზა, რარიგად იყო ჩაჭიდებული საჭეს ორივე ხელით, გაფაციცებით მოყურალი წინარე ხედის!!. საინტერესო იყო თან სასწაულად, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, პალიკო, ვითარებაში, როცა არ იცი, შემდეგ წამს რა გელის, რომელი მხრიდან!. ... – თავისი გემო ჰქონია ამასაც, თურმე, გეშის აღმძვრელი გზნების...

– სხვანაირად ვბრუნდებოდით, ქალაქში, უკან, რეცა ჩვეულებრივი იყო, პალიკო, აქ ყველაფერი: ჩვენი აღქმები შევაჯერეთ (მანქანაში) საწარმოსთვის შერჩეულ ადგილზე, მის შესაფერისობაზე და იმჟამინდელ მდგომარეობაზე, დარჩენილი დროის საკმარობაზე – ორაზროვნება რომ აგვეცილებინა ქვეპროექტის შემდგომ შეფასებებში.. თან იქაურობას ვათვალიერებდი, პალიკო, ვაკვირდებოდი გულდაგულ, გულდასმით, მაგიურობას მივყვებოდი წინ გადაშლილი ველის უდრტვინველობის, შინაგანად მომზადებული და მომლოდინეც მის სამანებში უცნო ფათერაკთან შეხვედრის!..

მსუბუქ სადილზე მიგვიწვია დაბრუნებულები ქალაქის მერმა, გვიან სამხარზე, უფრო... ოფიციალური მიწვევა იყო, რომელზეც უარის თქმა არ შეიძლებოდა.. მასზე სრულად იყო წარმოდგენილი არაჩვეულებრივი ლიბანური სამზარეულოს მრავალფეროვნება და სისავსე: სულ მცირე ულუფებით, თითო-ოროლობით, ნაკვეთ-ნაკვეთობით, გარნა მისი მრავალსახოვნების და თავისთავადო-

ბის თვალსაჩინო წარმოჩენით, გათვალისწინებით, რომ „თვალი ჭამს და თვალი სვამს“!.. ... პროექტის საკითხებს შევეხეთ რამდენიმე სიტყვით თავიდან, ცალკეულ კვანძებს, სავარაუდო სიძნელეებს; ბაალბეკის ამბებზე ვისაუბრეთ უფრო მეტი მერე: მის დღევანდელ მდგომარეობაზე, საფიქრალზე, მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებზე, საერთო თემებსა და მოლოდინებზე, და აქაურების უთუო ფინიკიელობაზე, შეწყობილად რომ იყო ხაზგასმული ადგილობრივების მიერ – როგორც ყველგან ხდება ამ ქვეყანაში... ..

საკმაოდ მოკლე იყო ეს ღონისძიება: მცირედ გადასცდა ნახევარ საათს... მასპინძლებს გამოვემშვიდობეთ მის შემდეგ, იქვე, მადლობა გადავუხადეთ თანამშრომლობისთვის, განვლილი დღისთვის და მასპინძლობისთვის, და ერთურთს დავშორდით; ვიზიტი დასრულდა: ისინი თავის საქმეებს მიუბრუნდნენ მუნიციპალიტეტში, ჩვენ პროექტის ოფისს მივაშურეთ დღის ნამუშევრის შესაჯამებლად... ოფისში მოკლე ინტერვიუები ჩავატარე ევროპელ ექსპერთებთან და პროექტის გუნდის ევროპელ ხელმძღვანელთან, შევაჯერე ყველა შეკრებილი და გუნდის ხელმძღვანელთან ერთად ბეირუთისკენ დავიძარით; ევროპელი ექსპერტები ადგილზე დარჩნენ, პროექტის ქმედებების გასაგრძელებლად ბაალბეკში; საღამოსკენ გადაიხარა დროც ამასობაში...

იქვე, მეზობლად, რომაელების ნაქალაქევი იყო, გამორჩეული, ძნელად რომ მოიძებნება მისი ბადალი რომის ნაკვალევში: მის შესასვლელთან გავჩერდით; დღის სინათლე ძალობდა კიდევ არემარეში, რომლის შუქ-ჩრდილშიც სრულად იშლებოდა და იხსნებოდა რომაული ბაალბეკი წინ.....

თითქოს მომზადებული ვიყავი მასთან შესახვედრად, ამ გასაოცარ ქმნილებასთან ადამიანის, საკმაო მასალა გავარჩიე და გავიარე (აქ ჩამოსვლამდე) მასზე და ირგვლივ: მის გრანდიოზულობაზე და განსაკუთრებულობაზე; მის უზარმაზარ ნაგებობებზე და გაუგონარი ზომა-წონის ლოდებზე, მონოლითებზე („ბაალკბეკის ქვებზე“); უსაშველო სიმაღლის და მეტად დიდი დიამეტრის აწვართულ სვეტებზე, თვალს ძლივს რომ მიაწვდენდი; საოცარ საინჟინრო და კონსტრუქციულ გადაწყვეტებზე; ნაგებობების შიდა და გარე სივრცეების სტრუქტურაზე, მოყვანილობაზე და არქიტექტურაზე; მისი ტაძრების მორთულობა-კაზმულობაზე და მათში ჩატვიფრული ხელოვნების ხმოვანობაზე, რომელიც დანართი კი არ იყო იქაურობის, ამ ნაგებობების – მიღებული დანამატი ქალაქის წყობაში, არამედ მისი მეტყველების გაგრძელება და გამთელება, სისრულის მიმცემი.. და მაინც, ერთთავად შევცბი მასთან შეხვედრისას, შევიკუმშესავით მისთვის მეყვსეულად თვალის შევლებით, რამეთუ იქ ისევ ქალაქი იდგა, სავსე და მთელი, გაშლილ-განფენილი და ზეაღმართული და არანაირად რაიმე (თუნდ საოცარი) ძეგლის ნანგრევები!!.. შევშფოთდისავით, როგორღაც, უნებლიეთ, დავიბენი: ამ უცნობელობით და მოულოდნელობით!. – რომ ის ცოცხალი იყო თითქოსდა ახლაც, აწმყო დღის წრეში, გარნა სხვაგვარი ხორციელობით და განსხვავებული ყოფა-ცხოვრებით, რომელშიც დრო ერთი წამითაც არ შეჩერებულა, მაგრამ სხვანაირად მიდის და სხვაგვარად იწვის: სხვა ნაკვეთურებით და ნიშნულებით, ნაბიჯმზომებით და ხანგრძლივობებით და ჟამთასვლის ტრიალში თავისად ყოფნით!. აქ მხოლოდ სივ-

რცე დარჩენილა ძველებურად შემოფარგლული: ქალაქის კედლებით მოსაზღვრული და მოკავებული, გარნა რომაული ბაალბეკის მონახაზს ალაგ-ალაგ, აქეთ და იქით გადაცდენილი...

შევედი ქალაქში, ნელი-ნელ, მოზომილი ნაბიჯებით, არსად ვიჩქაროდი; არავინ ჩანდა მის მიდამოში, ირგვლივ, არა სულიერი მის სამკვიდროში, მაგრამ ის არ იყო ცარიელი, ფარღალალად დარჩენილი, მიტოვებული საცხოვრისივით, ვინძლო პირიქით: გადავსებული იყო მისი სხეულის ნაწილებით და ნაკვეთებით (სხვადასხვა ზომის და შედგენილობის, სხვადასხვა ფორმის და სახეობის, სხვადასხვა სისრულის და მთლიანობის, კრებულად მდგომი, შექუჩებული თუ ცალ-ცალობით...), გაუჩერებლად რომ მეტყველებდნენ და გიყვებოდნენ თავ-თავის ამბებს, შეუსვენებლივ: თუ მიხვიდოდი და მოუსმენდი, ყურს დაუგდებდი!. ... თან აქ არ იყო სტუმრებისთვის გაჭრილი ბილიკები, ნაქალაქევის დასათვალიერებლად გამზადებული, გზამკვლევებით და მოკლე ცნობებით ყველა კუთხეში და შენც შეგეძლო ისე გევლო და ისე გეარა მის სანახებში, როგორაც ამას გული გიკარნახებდა ან თვალი მიგანიშნებდა, მიწყივ საუნჯის მძებნელი!.. აუჩქარებლად მი-მოდიოდი, წინარე არეს ეშინაურებოდი და მასზე გაბნეულ სხვადასხვა საგანს, მათ გამოკვეთილ სხეულებს (სულ თითო-თითოდ) ეხებოდი, ეცნაურებოდი; მერე უცაბედად თავს ზევით აწევდი და იუპიტერის ტაძრის აშვეტილი სვეტების რიგს შეეფეთებოდი, ერთთავ მონუსხული და გაბუჟებული მისი ეულობით და ზე-სწრაფობით და უზარმაზარი საძირკვლით, მას რომ აქამდე იჭერდა და ინახავდა, დროით გამოკვეთილს!!.. იქითკენ მაღალი სვეტებით შემოჯარული ბახუსის ტაძარი შემოგხვდებოდა, მას აჩერდებოდი, უხვად და მდიდრულად მორთულს და შემკულს სხვადასხვაგვარი დეკორაციებით, მის ესოდენ დიდ და მონუმენტურ კარებზე გამოქანდაკებულ ბაკქურ გამოსახულებებს, მისტიკურ ღრეობასა და ხორხოცზე რომ გიწვევდნენ მაცდურად შინით!. უფრო აქეთკენ ვენერას მიძღვნილი მრგვალი ტაძარი გიხმობდა თვისად, სრულიად განსხვავებული სხეულოვნებით და ხმოვანობით, მოხდენილობით და დახვეწილობით, ჰარმონიული ფორმებით და მოყვანილობით – მონუმენტურობაზე (სხვებისგან განსხვავებით) უარის თქმით... და ასე თანდათან შედიოდი ამ ძველ ქალაქში, სულ უფრო შიგნით, სად ყოველ ნაბიჯზე რაღაც გხვდებოდა, გეხმიანებოდა და თავისთან გიწვევდა, გეპატიჟებოდა, გეწეოდა სხვადასხვა მხარეს: აქეთ ასობით ტონა სიმძიმის ლოდი გელოდა, თავისით რომ არ იყო აქ ამოსული და არც ასეთი გლუვი და დამუშავებული ჰქონდა პიველყოფილად წახნაგოვანი გვერდები; ჟამთასვლით შელახული ნაგებობების ნარჩენნატეხები გიყურებდნენ იქითა მხრიდან – ერთი, მეორე, მესამე... – გარნა ყოველი თავისი ფორმით და მოყვანილობით, მოჩუქურთმებით, ზოგი წაქცეული, სხვას მიყუდებული, ხან ფეხზე მდგომი, მაგრამ დაბრეცილი ან გვერდ-მორღვეული და მაინც ყველა საკუთარი სახის მქონე და თავისად მეტყველი.....

– უცნაური იყო, პალიკო, ეს შეხვედრა რომაულ ნაქალაქევთან, როცა ნარჩენებს ელი ძველი ქალაქის, მის გადანარჩუნებულ, დროით და ბუნებრივი კატასტროფებით შელახულ ნაგებობებს, სხვადასხვა წილად შენახულს დღემდე, ცარიელ შორისებს მათ შუა და ცალკეულ ნატეხებს ამ შენობების, გაბნეულს აქა-იქ მო-

ფარგლულ არეში; წინ კიდევ ქალაქი გხვდება, ცოცხალი, პალიკო, თავისი სახით და თავისი იერით, გადავსებული ათასწლეულებში გამოვლილი ტაძრებისა და საცხოვრისების ნარჩენებით, ნანგრევებით და ნაკვეთებით, საიდან-სად მოტანილი ქვებით და ლოდებით, თან ყველა მათგანი სუნთქავს და მეტყველებს შეუჩერებლივ, გულმოდგინებით!..

– შიგნით შედიხარ თანდათან, პალიკო: პირდაპირ, ერთ მხარეს, მეორე მხარეს, მარჯვნით თუ მარცხნით.. აქ ყველა მომხდური გულღიად გხვდება, თავისთავს გაცნობს და ამბავს გიყვება თავს გარდახდენილს: ერთნი ცალ-ცალკე, ზოგი კი ერთად, ანსამბლებად, რამდენიმე ხმაში... შენც ამ სვლას მიჰყვები, დროს ველარა გრძნობ, სივრცე კი იშლება ირგვლივ დახუნძლული, თანდათანობით... შუაში ხვდები რაღაც დროს, პალიკო, ყოველი მხრიდან ქალაქის ნაკვეთები რომ შემოგეჯარება და შემოგყურებს თავისი სახებით, მათთან მისულს და მათ შორის აღმოჩენილს, ყველასგან გამორჩეულს და გამოკვეთილს!. თვალიც რომ გაგექცეს, ისევ მათ რომ ხვდები, პალიკო, აწვართულ სვეტებს თუ ტაძრების სხეულებს, ჟამთასვლით შელახულს და მიმორღვეულს..

– აქ საოცარი სიტყვაობაა, პალიკო, მრავალხმიანობა დაუოკებელი: ამდენი სათქმელი და მოსაყოლი და მოსათხრობი, საუკუნეებში და საუკუნეებში, ათასწლეულებში შეკრებილი და დაგროვილი!!. შეგიძლია ჩაუჯდე და უნჯად უსმინო ამ გაუთავებელ დუდუნს და ღაღანს ნაქალაქევის, ზენად აღვლენილს...

მერე სულ უფრო ახლოს მიდიხარ მათთან, რეცა ეზომები, შეფარდებას ახდენ ადამიანის განზომილების და მათი სხეულოვნების... შემაღლებულ მოედანთან მიდიხარ, სამასტონიანი ლოდი-მონოლითებით რომ არის აწყობილი (900 ტონასაც აღწევს ერთი) და მათზევე რომ არის თვითონ დაყრდნობილი – ერთი ციცქნა ხარ მათ გვერდით ყველა ფიზიკური საზომით, შენსავე თავს ეკარგები.. იუპიტერის ტაძრის სვეტებთან ადიხარ, მაღალ ტერასაზე, კიბეებით; ერთ სვეტთან ჩერდები (სქელ ქვა-ლოდზე რომ დგას თავისად, დანდობით) და მის მკვრივ ტანს ხელებით ეხები; ორნახევარ მეტრამდე დიამეტრის სიგანის სხეულს გარს უვლი ნელინელ (აქედან, იქიდან..); თავს ლამის კისრის გაწყვეტამდე გადასწევ უკან, ოცამდე მეტრი სიმაღლის სვეტის წვეროს რომ მისწვდე თვალებით, რომლის თავზედაც სქელი ქონგურა-ფილაა კიდევ გადმომდგარი, განსაკუთრებულად გამოჩორკნილ-მოჩუქურთმებული, ამ უზარმაზარი ტაძრის ნარჩენის თავზე დადებული და დასვენებული!. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს აქ ყველა ნაკვეთი, დამთრგუნველსაც როგორღაც, მათ ზომა-წონას რომ მიედრები და ეფარდები.. ძირს, ზედაპირზე ამგვარადვე მოჩუქურთმებულ ნაწილსაც ნახულობ (ქონგურა-ფილის) და გესმის ნათლად, რომ ის ამ უშველებელი სვეტების თავზე იყო (რაღაც მანქანებით) ატანილი და მათზე მკვიდრად დაშენებული, მაგრამ შენ მათ უკვე ერთიანად ხედავ, მთლიან სხეულად დადგენილს და გინდა-არგინდა ინუსხები, ოცდები.. უნებურად გიჩნდება მიმდევი კითხვები (მათ მიყოლილი): რატომ იყო საჭირო ამ ზომის სვეტები აქ და თან ესერიგად გამოკვეთილი?. რამ გამოიწვია ეს მოწადინება ზღვარგადასული, დაუშრეტელი, მეტადრე, რომ ოთხმოცზე მეტი ამგვარი გრანიტის სვეტი იყო ამოტანილი ასუანიდან (ზემო ეგვიპტიდან) ამ სი-

მაღლეზე, იმ დროს, ბაალბეკში.. რა განწყობა მუშაობდა მაშინ ასეთი, ყოვლის დამძლევი, შეუჩერებელი?. ...

ეს განსაკუთრებული ძალისხმევა და მოწადინება, მიზანსწრაფულობა და რუდუნება დასახულის მიღწევაში ნაქალაქევის ყოველ ნანგრევში იმზირებოდა, პატარა იქნებოდა ის თუ დიდი: ბახუსის ტაძრის წაქცეულ სვეტებში თუ ნანგრევების ცალკე (სხვადასხვა ზომის და წონის) ნაკვეთებში, მათ მოყვანილობასა და ჩუქურთმებში, მორთულობაში; რომაელების სახლების მოზაიკაში თუ მათი გასაოცარი ტაძრების აღნაგობასა და შემკულობაში, ახოვანობასა და მთლიანობაში; და საბოლოოდ: მთელი რომაული ბაალბეკის ერთიანობასა და ერთსახობაში, ერთ ხელწერაში, რომელიც იკითხებოდა მის ყოველ ნატეხში, ყოველ ნარჩენში, ნაგებობაში თუ ნაკვალევში – შეუძლებლის საზღვრების გადაკვეთის და გადალახვის გაუნლებელი ჟინი და ჯინი, დაულეველი!!!. თან ეს არ იყო რამე გაელვება, ერთჯერი ზეაღსვლა, ერთჟამიერი: ტალღას მოყოლილი აღტყინება, მის გადასვლასთან ერთად რომ გაიბნევა, გაიფანტება და დაიხაფრება, ძნელად გასაკვლევი: ის ორ საუკუნეს გრძელდებოდა და მუშაობდა, ეს გაჯიქება და ეს განწყობა ფარგლების დაძლევის, შეურყევლად და შეუვალად და შეუცვლელად, გაუჩერებლად: მისი განსხეულებით ხელთუქმნელ ძეგლში, რომელიც გაუძლებდა ჟამთასვლის ქცევას და ხალხთა შფოთვას ათასწლეულებში და დადგინდებოდა (ბოლოსდაბოლოს) ნაქალაქევად რომაელების.....

– ეს მეტად მძიმე იყო, პალიკო, ნაქალაქევის ხანგამოვლილ მკვიდრებთან ახლოს მისვლა და ხელით შეხება, მათთან შეფარდება და შედარება, შეგრძნება მათი თვალუწვდენობის და განუზღვრელობის და ყოველ ნაკვესში ჩაქსოვილი ყოვლისდამძლევი ძალისხმევის და რუდუნების – მათი ზრახვის ზომის!. შეგრძნება საკუთარი მწირობის და უმერმისობის, მათ თუ შეეჩეხე სადმე შარაზე, გზების კვეთაში.. მიუხედავად იმისა, პალიკო, რომ ნაქალაქევში ყველაფერი ადამიანის ხელქმნილი იყო, მისი ანაგები და ამართული (თითქოს საცნობი), დამკვიდრებული და დროს მიგებული, ის მაინც არ იყო მავანთა მიერ შექმნილი, არამედ მათი, მხოლოდ და მხოლოდ: რომაელების!!. ...

– მეტად ძნელია, პალიკო, პეტრეს ტაძარს შეხედო (გვერდიდან იქნება თუ მის სვეტებთან ახლოს მისული) და მშვიდად მიიღო და წაიკითხო მკაფიო გზავნილი, რომაელების მიერ გამოკვეთილი: ვაკეთებ არა მხოლოდ იმას, რაც წარმოუდგენელია და შეუძლებელი, არამედ ყველაფერს, რაც კი მომინდება და მომეწადინება: რაც მომეფიქრება ცხოვრების ხმევაში!.. ანუ – აქ არ არის, პალიკო, რაიმე ფარგალი ნების შემზღუდავი: მოწადინებაა უკვე საკმარი, ყველაფრის სახსარი...

– წარმოიდგინე, პალიკო, რომ ასეთ ძალას ხვდები, შენკენ მომავალს და კარგად იცი, იგი ვინ არის, მისი ნიშატი და ხასიათი, მისი აღტყინება განუზომელი და ყველას წამლეკი და მყისად ხვდები, დარწმუნებულად, რომ გამოსავალი აქ აღარსად არის.. გაწვრთნილიც რომ იყო, კარგად აღჭურვილიც, გამოცდილებაც გქონდეს და ბრძოლის უნარიც: აქ განწირული ხარ, უცილობლად, თუნდ იყო „უშიშო, ვითარცა უხორცო“, თუგინდაც შეაკვდე, მკლავმოუღლელი მეომარი, მაინც ვერაფერი გიშველის, პალიკო, ვერა გადაგარჩენს ამ ბედისწერას, მაინც დარჩები

დამარცხებული და კიდევ ის არის გულის მომწყვლელი: ის ვერად იგრძნობს რომ შეებრძოლე, მედგრად დაუდექი შუბ-ფარის ბრიალში!. – უბრალოდ გადაგივლის, არც დაგიმახსოვრებს, (რამეთუ) აღსასრულებელი აქვს სიტყვა დათქმული და მას ვერა ძალა ვერ შეაჩერებს, ვიდრე ფონს არ გავა დაჩემებულის!..

– ასე მოექცა რომი ფინიკიელებსაც, პალიკო, „კართაგენი უნდა დაინგრესო“ რომ დათქვა და დაიჩემა და მართლაც ის სრულად აღგავა პირისაგან მიწისა და სრულად მოსრა მისი მკვიდრნიც, და არა მარტო მათი ქვეყანა და სახელმწიფო ააოხრა, არამედ მათი არაჩვეულებრივი ცივილიზაციაც მოაშთო, ფინიკიელების: ფუძეში, ძირში!!. – რადგან ასე დათქვეს და მოიფიქრეს, პალიკო, რომაელებმა, ასე ჩათვალეს საჭიროდ მათი დრო-ჟამის რიგში და მწკრივში...

– იგივე ჰანიბალი, პალიკო, მთელი იტალია რომ გადაქელა და დაუნანებლად ითარეშა ცენტრალური და სამხრეთ იტალიის მდიდარ და ხვავრიელ პროვინციებში, რომელსაც რომაელებმა ვერარა უყვეს თავის ქვეყანაში, მაგრამ მაინც შეძლეს (წლების ხარჯვის შემდეგ) და აიძულეს, კართაგენში გადასულიყო, დაბრუნებულიყო (კართაგენელებისვე მოთხოვნით): იქ დაამარცხეს, ბოლოს, ჰანიბალი, მძიმე ბრძოლაში, მისსავ ქვეყანაში!.. და კართაგენის განადგურების და მოსპობის შემდეგ თვითონ დაიკავეს, პალიკო, ფინიკიელების ადგილი წუთისოფელში: სხვა ცივილიზაციური განაწესით და განრიგებით, დადგინებით და მომავლის ძიებით.....

– ასევე მოექცენ რომაელები ძველ ბაალბეკსაც: საძირკველში ჩაიტანეს, პალიკო, მთელი მისი ტანი და სხეული და თავზე დაადგეს ახალი ქალაქი, რომაელების მიერ აგებული და აშენებული!. თან ყველა გამოიყენეს, გაითავისეს ფინიკიელების ცოდნა-გამოცდილება და მიდგომები, ტექნოლოგიები და მეთოდები: ქალაქის დაგეგმარებასა და გაშენებაში, პალიკო, არქიტექტურასა და კონსტრუქციებში, მოყვანილობასა და მორთულობაში, კაზმულობასა და იერ-სახეში, გარნა საკუთარი სახეცვლილებების და ხელწერის შეტანით მათში, განსხვავებებით და დამატებებით ყოველ მათგანში: მათი ბეჭდის დასმით ადგილზე, ყოველ განაკვეთში!..

– ძველი ბაალბეკი თვალს მიეფარა, პალიკო, ფუძეში დარჩა „პატარა ქალაქის“, ამაღლებულ მოედნად გადაქცეული, სადაც უკვე სხვა ცხოვრება მიდიოდა და იშლებოდა, სხვა წესწყობილების და მიმართების – სხვა ბედის ბორბლის ძალუმი ტრიალით...

– იმავე პეტრეს ტაძრის ქვეშ, პალიკო, ბაალს და ასტარტეს მიძღვნილი ცენტრალური ფინიკიური ტაძრის ნანგრევები იყო მოქცეული, ამ მონუმენტური რომაული ტაძრის საძირკვლად, მის ბალავრად გადაქცეული: უკვე რომაულ ქალაქში, რომაულ ბაალბეკში.....

და მაინც, ეს კითხვა რჩებოდა კიდევ პასუხგაუცემი: თუ რატომ აშენდა ეს რომაული ქალაქი (რომის ყოვლისშემძლეობის და ძალმოსილების საჩინო სიმბოლო) პირდაპირ თავზე ძველი ბაალბეკის: 1150 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან; ანტი-ლიბანის თოვლიანი მთების ხედით ერთ მხარეს; ბექაას ველით შემოსაზღვრული!?. ... აქ სირიაში გადასასვლელი საქარავნო გზა გადიოდა ძველთა-

განვე და ბაალბეკიც ერთი საყრდენი წერტილი იყო მის ხაზზე, მაგრამ (ზღვას დაშორებული) ის ვერ გახდებოდა ვაჭრობის და კომერციის, ხელოსნობისა და ხელოვანობის მნიშვნელოვანი ცენტრი, ხალხს რომ მიიზიდავდა ყოველი მხრიდან თავის სანახებში!.. სხვა მხრივ უნდა გამხდარიყო ეს ადგილი (და ეს ქალაქი) საგულისხმო და საინტერესო რომაელებისთვის...

და სინამდვილეშიც, ბაალბეკი არც არაოდეს ყოფილა აღებ-მიცემობის, ადამიანების (ამ მიმართებით) ერთურთთან შეხვედრის და გადაკვეთის ღირსშესანიშნავი ცენტრი და საგულისხმო ალაგი: ის მნიშვნელოვანი სამლოცველო, წმინდა ადგილი იყო ანტიკურ ხანაში, ცის ღვთაებების (ბაალის და ასტარტეს) თაყვანისმცემლებისთვის – სწორედ ეს იყო მისი სახიერება და მნიშვნელობა, გამორჩეულობა იმ დროებაში!. ბერძნების მიერ დაპყრობის შემდეგ ქალაქმა დაკარგა თავისი რელიგიური ფუნქცია და მხოლოდ სიმბოლურად თუ შეინარჩუნა სახელობა ფინიკიური წმინდა ადგილის...

სწორედ ამით მიიქცია მან რომის ყურადღება და გადააწყვეტინა, აქ აეშენებინა თავისი ქალაქი, ძველი ბაალბეკის ადგილზე, მის სამანებში, მის შემნაცვლებლად და გამგრძელებლად წუთისოფელში: იმავე ფუნქციით და სახოვნებით, იმავე დანიშნულებით, გარნა რომაული ღმერთებით და აღმსარებლობით და განრიგებით!!. მან ამით ჟამის შეცვლა გამოკვეთა და გამოაჩინა, გაუსვა ხაზი: ფინიკიური ცივილიზაციის დასრულებას და მის ადგილზე ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის აღმოცენებას: ადამიანის ყოვლისშემძლეობის და ძალმოსილების დროის დადგომას – რომის აღტყინებასა და ძალისხმევაში მისი განსხეულებით და დემონსტრირებით!!. ამისთვის მას წმინდა ადგილი სჭირდებოდა, საუკუნეებგამოვლილი და მიღებული, აღიარებული, შესახსენებლად მომავალთათვის: რომ ადამიანმა ეს საფეხური უკვე გაიარა და გაითავისა, შეისიხლხორცა ცხოვრების იდეოლოგია „ზღუდეთა გადალახვის“; რომ სხვა დრო დადგა უკვე ქვე-ყანაში და სხვა გზა გაჩნდა (მასთან ერთად) სოფელში სავალი.....

– და ბაალბეკმაც დაიბრუნა თავისი რელიგიური ფუნქცია, რომის ძალისხმევით; ისევ წმინდა ადგილად გადაიქცა, პალიკო, ანტიკური მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გამორჩეულ სამლოცველო ადგილად, გარნა რომაელების სახელობით და სახეობით, სიმბოლოებით და ტაძრებით: სამლოცველოებით...

– ეს უკვე რომაული წმინდა ადგილი იყო, პალიკო, თავიდან ბოლომდე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნიდან თუ მხარიდან ამოსული მომლოცველები რომაელების გრანდიოზულობას, ყოვლისშემძლეობას და ძალმოსილებას ხვდებოდნენ პირისპირ, მის ძალას და უნარს, გადალახოს ყველა ზღუდე და ფარგალი და გადაწყვიტოს ნებისმიერი ამოცანა ანუ საკითხი მის წინ დამდგარი – ესოდენ თვალსაჩინოდ წარმოჩენილი ახალ ბაალბეკში!. ნებსით თუ უნებლიეთ, პალიკო, ისინი მოწიწებით და პატივით იმსჭვალებოდნენ რომაული სამყაროს და ცხოვრების იდეოლოგიის მიმართ და ვინძლო მიბაძვასა და მათი ყაიდით ცხოვრებასაც ესწრაფებოდნენ თანდათანობით...

– ასე ჩაენაცვლა რომაული წმინდა ადგილი ფინიკიურ წმინდა ადგილს, პალიკო, იმგვარად, რომ კვალიც არ დატოვა წინარე დროების; მიუხედავად იმისა,

რომ მასზე იყო მთლიანად დაფუძნებული და აღშენებული, ფუნქციურადაც მისივე გამგრძელებელი!.. ზუსტად ისევე, როგორც შეცვალა რომმა ძველი ბაალბეკი, მას რომ დააშენა საკუთარი ახალი ქალაქი, გამოიყენა ის როგორც ჩონჩხი და ბალავარი მისი ქალაქის...

– ამით დაასრულა რომმა ფინიკიური ცივილიზაციის ჩანაცვლება, პალიკო: მისი ყველა მიღწევის და საშუალების ათვისებით და გათავისებით და მათი შემდგომი განვითარებით!.. მეტად მნიშვნელოვანი იყო, პალიკო (ამ ჩანაცვლების სისრულისათვის), ბაალბეკის გარდაქმნა და გადაქცევა რომის წმინდა ქალაქად: ახალი მიზანმიმართების და ცხოვრების იდეოლოგიის გასაცხადებლად და დასამკვიდრებლად.. ორ საუკუნემდე მოანდომეს რომაელებმა ამ პროცესს, რაც ნათელსა ხდის: თუ რაოდენი სერიოზულობით და რუდუნებით უდგებოდა რომი ამ საქმეს, მის ყოველ ნაკვეთს და განშტოებას; რომ ეს არ იყო სტიქიური, თვითდინებადი პროცესი, არამედ შეგნებული და მიზანმიმართული ქმედება, დაკვირვებით და დაუნჯებით წარმართული და განხორციელებული!. ...

საკვანძო იყო რომის მიერ ბაალბეკის ათვისება და მისაკუთრება ამ ცივილიზაციურ ჭიდილში: რომმა ჯერ ფიზიკურად მოსპო და მოაშთო მთელი ფინიკიური სამყარო, ბოლო მოუღო მის არსებობას, შემდეგ კი მისი ხსენებაც გააქრო ანტიკურ მსოფლიოში!.. ეს პროცესი კართაგენის სრული აოხრებით დაიწყო, მიწასთან გასწორებით და ბაალბეკის რომაულ ქალაქად და წმინდა ადგილად გადაქცევით დასრულდა (საბოლოოდ), რამოდენიმესაუკუნიანი ბრძოლის და პაექრობის გავლით...

ასე გამოვიდა: ორი ცივილიზაცია, ორი სამყარო შეხვდა ერთმანეთს ამ დროს, კაცობრიობის საჯილდაო ველზე: ბერძნულ-რომაული სამყარო, უზომოდ აღძრული და აღტყინებული რომის თაურობით; და კართაგენი, ფინიკიური ცივილიზაციის წინამძღოლი და მედროშე იმ ჟამისათვის.. რომაელებს ყოვლისშემძლეობის და ძალმოსილების უზღვავი მუხტი მოჰქონდათ თან, ყველა ზღუდის დამრღვევი და გადამლახავი; ფინიკიელები კი უსწრაფესი, გარნა ევოლუციური განვითარების დამკვიდრებას ეშურებოდნენ (საუკუნეებში და საუკუნეებში რომ გამოატარეს) ადამიანეთში!.. შეუძლებელი იყო მათი ერთმანეთთან შეთავსება და შეთვისება, მათი მორიგება – ვერ მოხერხდებოდა ვერა მანქანებით: ისინი ურთიერთსაპირისპირო, სხვადასხვა მხარეს ეწეოდნენ წუთისოფელს, კაცის ცხოვრებას ჟამთასვლის კვალში... ..

რომმა გაიმარჯვა... კაცობრიობამ გაითავისა და შეითვისა მისი განწყობა ყოვლისშემძლეობის, გამაგრებული და განმტკიცებული მისივ ფორმულებით, რომ: ადამიანს ხელეწიფება განახორციელოს ყველაფერი, რაც მოეფიქრება; მის ძალმოსილებას არა აქვს ფარგალი... ეს გუნება-განწყობა და დებულებები გულმოდგინედ ჩაიბეჭდა (ძველების გვერდით) კაცობრიობის გრაგნილებსა და ეტრატებში; ის ძნელად იკვლევდა გზას ცხოვრებაში, ჭრიალით, განსაკუთრებით რომის დაცემის შემდეგ, შუასაუკუნეებში, გარნა სრულად გაიხსნა და გაიშალა აღორძინების ხანიდან დაწყებული, მეტადრე, როდესაც ადამიანმა გაიცხადა, რომ „ცოდნა ძალაა“, ყოვლის შემცვლელი.....

დღეს ეს უკვე ღმერთთან ღია ჭიდილში გადაიზარდა, დაუფარავში და ხელაღებულში, დაუკრეფავში გადასული!. ადამიანებს (მავანთ და მავანთ) აღარ მოსწონთ უფლის მიერ ქმნილი სამყარო, სულჩაბერილი; და მისი შეცვლა უნდათ, გარდაქმნა მაინც, ან ახლის შექმნა: თუ გამოვიდა, საძლისი თუ არის... აქ მთავარ კვანძად თვითონ ადამიანი ჩნდება, ცხოვრების ცენტრი, თავი და თავი ყველა ამბის: ისიც აღარ მოსწონთ ახალ შემომქმედთ (ხანგამოვლილი და ყავლგასული..) და მისი შეცვლა, გარდაქმნა უნდათ უწინარესად (თუნდ ახლის შექმნა), თუ გამოვიდა: ოცდამეერთე საუკუნეში.....

– ზედმიწევნით საგულისხმო და „საინტერესო დროს“ ვცხოვრობთ, პალიკო, ჩვენ, შვილები ამ სამყაროსი...

ბეირუთისკენ დავეშვით... გზაში თითქმის არ ვლაპარაკობდით, მხოლოდ კანტი-კუნტად გადავულაპარაკებდით ხოლმე ერთმანეთს, მოკლე წინადადებებით, თითო-ოროლა სიტყვით, ღათუ არ ვგრძნობდით საუბრის სიმწირეს ამით... თავში რომაული ნაქალაქევის სურათები ტრიალებდა ერთთავ, ხატოვანი და სახოვანი: გარდასული ქალაქის ცოცხალი სახება, თითქოსდა უწყვეტად მეტყველი; ნაკვთები მისი სხეულოვნების, მიგარდმო მიმოფანტული; განუზღვრელობის შრიალი დიდში თუ პატარაში თუ მათ წიაღში; უსაზღვრო ნების ტრიალი ქალაქის ყოველ ნაკვეთში; ზეაღმატების აღლუმი ყველა ნაგებში და შუასკნელში დახშული, შთენილი ფინიკიელთა წარსული!. მათ უკან კიდევ რომაელები, რაშებზე ამხედრებულნი, მომავლის ფლობის წყურვილით აღძრულნი და აღტყინებულნი!.. ...

გაეროს საგუშაგო გამოვიარეთ ისევ, უკანა გზაზე.. მალე ბეირუთშიც შევალთ.. სასტუმროში მივდივარ პირდაპირ, მცირედს დავისვენებ, წესრიგში მოვიყვან თავს და ვახშამზე წავალ მერე კოლეგებთან ერთად, ერთ-ერთ ზღვისპირა კაფე-რესტორანში – ღამის ბეირუთის ცხოვრებასაც შევავლებ თვალს...

„მკვდარი ზონა“ ბიძინამ ახსენა პირველად ჩვენთან, „ჩაის თემაში“, მუდმივი გამყინვარების არეზე როცა ლაპარაკობდა, რომელშიც ხვდები მაღალი მთის მწვერვალიდან (იგივე, ევერესტიდან..) ქვემოთ დაშვებისას, ნაკვეთ-ნაკვეთ რომ ჩადიხარ დაბლა, ნელინელ, თანდათანობით, ყოველი ნაბიჯის გულდაგულ მოზომვით და ფრთხილად გადადგმით, ზუსტად განსაზღვრული მოქმედებებით და მოძრაობებით, დაკვირვებით და მოთმინებით – იქ, სადაც არ არის ფერი, სუნი, სადაც კანი გეწვის და გისკდება, გიხურს, კვდება ყოველი, მარტო ცოცხალი კი არა, მკვდარიც: ტანსაცმელი ფერს კარგავს, ხუნდება, ძაფები აწყდება, ირღვევა მასზე ყველაფერი!..

განსაკუთრებულია თვითონ ეს ჩამოსვლა ქვემოთ, ჩამოღწევა – უცნაური, გასაოცარი – მკვდარ ზონაში ყოფნის შემდეგ მწვანეზე გადმოსვლა, მიწას შეხება ფეხით, თვალებით, ანუ სიცოცხლეში შემოსვლა ისევ, დაბრუნება: იგრძნობა ყველა ბალახის, ყვავილის სუნი, ყველასი ცალ-ცალკე, სულ თითო-თითოს სურნელი მოდის, თავბრუდამხვევი, გარნა ეს ძალიან ცოტა ხანს გრძელდება: წამები, წუთი!. იმასაც ხვდები (წამიერად) – კარგია ასე რომ ხდება, ასე მოკლე ხანს – დიდ-ხანს რომ გრძელდებოდეს, ალბათ ვერც გაუძლებდი!.. იგრძნობა თვითონ ჰაერის ნოყიერება, მისი სისქე და სიმსუყე, თუ როგორ ყლაპავ ამ ჰაერს, ისუნთქავ და როგორ ჯერდება ჟანგბადით ორგანიზმი.. – ეს კარგი ემოციაა შენთვის, დამატებით... აქ გინდა-არგინდა, უნებურად უფალს მიმართავ, მას ეაჯები: მადლობას უძღვნი ან შველას ევედრები.. ...

არაჩვეულებრივია, „აი დანახვა თვითონ ადამიანის, დანახვა საკუთარი თავის, აი გაგება ვთქვათ იმის, რა არის ერთი ლუკმა პური, ერთი ლუკმა პური რას ნიშნავს, ერთ ყლუპ წყალს რა მნიშვნელობა აქვს, ერთ მზის სხივს“... ეს მთაში ბევრად ადვილად ხდება, ვიდრე დანარჩენ ცხოვრებაში.....

ანუ, მუდმივი გამყინვარების არეში: ქრება გარემოს ფერი, სუნი, სიცოცხლის ნიშან-თვისება, მისი ნიშანწყალი, ვერ აღწევს შენამდე, ვერარად გწვდება; არღარა მოძრაობს ცოცხალთა შორის, არა კავშირი ერთმანეთთან, ერთურთს მიგება, შეშდება ყოველი, კვდება შენ თვალწინ.. და ეს ემართება არა მხოლოდ ცოცხალს

გარშემო, მკვდარსაც ასევე, მკვდარი მატერიით შეკრულ-შეწყობილ საგნებს თუ ნივთებს, იგივე სამოსს, ტანსაცმელს შენს ტანზე, რომლის ნაწილებს შორისაც ირღვევა ყველა ბმა, კავშირი, წყდება ძაფები ნაკერებში, იშლება ნაწილთა ერთობა, მათი თანხმობა, ჩერდება, კვდება ყველაფერი!..

ანუ – არაფერი მოძრაობს მუდმივი გამყინვარების მხარეში, ვერად ინძრევა და მითავ კვდება!. და ამ მხრივ არის სწორედ მუდმივი გამყინვარების არე „მკვდარი ზონა“, სიკვდილის ადგილი: იმიტომ, რომ აქ გულიც აღარ ფეთქავს, ისიც ჩერდება, არარა სუნთქავს, არა იძვრება და ნებისმიერი ძრაობა კიდევ (სულ უმცირესიც), პირიქით: სიცოცხლეს სინჯავს, მის გაღვივებას და მოძრაობას ამხელს, აღდგენას ნიშნავს!!. და ძალიან მართალია ილია, ზედმიწევნით, როდესაც ამბობს და ამტკიცებს დაჟინებით, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.....

– წარმოიდგინე, პალიკო, მუდმივი გამყინვარების არეში ხარ და მას გადიხარ ზემოდან ქვემოთ, მოთმინებით და მოდგინებით, უშუალოდ ეხები მის ცივ სხეულს, გრძნობ მის თეთრ სიცივეს, შეიგრძნობ მისი ნიშატის სუსხიანობას, შინგნით რომ გითოშავს ყოველ მონაკვეთს!. და ეს გრძელდება გაუთავებლად, პალიკო, დროს აღარ ითვლი, ძლივასღა უძლებ ამ მშვინვარებას და მაინც მიჰყვები, მაინც მიჰყვები: სამშვიდობოს გასვლას ცდილობ ყოველი მყისით და ძალისხმევით, მას ეშურები!..

– ბოლოსდაბოლოს გადიხარ სამშვიდობოზე, პალიკო, სიცოცხლესა ცნობ და უბრუნდები, მის ყოველ ნაკვეთს შეიგრძნობ უმძაფრესად, სულ ნამცეც-ნამცეცობით და თითოობით და მას აყოლილი და მიყოლილი, მასთან ერთად თვითონაც ცოცხლდები!!. აქ სრულად გადიხარ თითქოსდა კვდომის გზას, ყოველ წამს განიცდი, წვეთი-წვეთობით და მერე ასევე ხვდები სიცოცხლის აღდგენას, ნაკვეს-ნაკვესობით: მას უბრუნდები!. თავსაც კი იკავებ, ზღვარს რომ არ გადასცდე სიცოცხლის გზნების და აღტყინების: არ გადააბიჯო დადგენილ სამანებს, დარჩე სოფელში...

– და არაჩვეულებრივად წარმოადგინა, პალიკო, ბიძინამ მთელი ეს ამბავი, მისი სახეობა და შინაარსი: მოკვეცილად და შეკუმშულად, მოკუმულად, სხეულის ენის მომჭირნედ მოშველიებით, უბრალოდ ამ ვითარების და მდგომარეობის უშუალო აღწერით და მის გადავლაზე თვალის მიდევნებით, სულ მთავარ კვანძებზე გამახვილებით და ასე მეტყველი შეყოვნებებით!. – ისე, რომ არავის დარჩენია სხვა კითხვა კიდევ და არ უთხოვია მეტი ცნობები...

– გამოდის, პალიკო, დედამიწაზე არის ადგილები, სადაც მოხვედრილმა შეიძლება განიცადო კვდომის პროცესი, მთელი მისი შიშებით და ტკივილებით, სასოწარკვეთით და გულის შეკუმშვით და მერე იქიდანაც გამოაღწიო (თუ გაუძელი) და სიხარული იგრძნო განსაცვიფრებელი: შეუდარებელი განცდა უკან დაბრუნების და გაცოცხლების, რეცა მეორედ დაბადების!!. – უფალი იპოვო შენი მომზირალი... ვინძლო ამიტომ ადიან, პალიკო, მთამსვლელები (მორწმუნენი თუ ურწმუნონი) სულ უფრო მაღალ და მაღალ მთებზე, მათ მწვერვალებზე, კვლავ რომ განიცადონ კვდომა-აღდგინების სულისწამღები მისტერია, ამოუშლელი, კიდევ გაიარონ ეს განსაცდელი!..

– ის კი იქვე რჩება, პალიკო, „მუდმივი გამყინვარება“, არას მოყურადე და არას მძებნელი და უმოძრაობით გაშეშებული: მხოლოდ არსებობით თავის გატანა (თითქმის სიკვდილი), ვიდრე ბუნება ნირს არ შეიცვლის, ვიდრე არ დათბება და გალღვება ყინული და არ გამჟღავნდება მისი შიგთავსი, მისი დაფარული სახე და იერი!. აქ მოძრაობა და უძრაობა ერთურთს ახშობენ (მუდმივი გამყინვარების არეში), სიკვდილი და სიცოცხლე აბათილებენ ერთმანეთს მიწყივ: არარა ხდება მის საუფლოში, თუ არ მიხვედი და არ გაიარე მისი ხვეული.....

მუდმივი გამყინვარება, თავისთავად, ეს ნიადაგია, რომელიც უწყვეტად რჩება 0°-ზე დაბალ ტემპერატურაზე, წლების მანძილზე, ხმელეთზე იქნება ეს თუ ოკეანის ქვეშ.. ხმელეთზე ის შეიძლება მის ზედაპირზე შეგხვდეს (იგივე, მთების მწვერვალებზე) ან (უფრო ხშირად) მის სიღრმეებში: რამოდენიმე სანტიმეტრიდან დაწყებული რამდენიმე კილომეტრამდე მიწის ზედაპირიდან.. ეს გლობალური მოვლენაა თავისი განვრცობით და ზომა-წონით, რომელსაც დედამიწის მთელი ხმელეთის ერთ მეოთხედამდე უკავია დღეს, ერთგვარი ნარჩენი უნდა იყოს (როგორც იმზირება) დედამიწაზე თხუთმეტი ათასამდე წლის წინათ დასრულებული ბოლო გამყინვარების, მისი რელიქტი და შემხსენებელი...

თავისი რაობით, „მუდმივი გამყინვარება“ არ არის სრული სიკვდილის მდგომარეობა, ეს უფრო გარკვეული სახის არსებობაა (თითქმის სიკვდილი) მისი ხასიათით, რომელიც შეიძლება სიცოხლეშიც გადავიდეს, დაბრუნდეს უკან გარემო პირობების ხელშემწყობი ცვლილების (იგივე, დათბობის) შემთხვევაში... ამ დროს შეიძლება მთელი მისი ბიომასა გაცოცხლდეს (მცენარეული და ცხოველური) შესაბამის არეში და მკვეთრად შეცვალოს ადგილობრივი გარემო და მისი შედგენილობა, მისი იერი!.. იგივე რუსეთის ტერიტორიის ორი მესამედი მუდმივი გამყინვარების არეებითაა დაფარული (ციმბირი და ბაიკალის იქითა რაიონები) და არავინ იცის, არავინ უწყის რა გაცოცხლდება და რა გაიღვიძებს იმ მხარეებში გლობალური დათბობის პირობებში, და რა გარდახდება და დაემართება იქაურ ბუნებას (მის არსებობას, როგორც ასეთს) მათთან შეხვედრით – კეთილი იქნება ის თუ უკეთური...

– გესმის, პალიკო, ეს ორობითობა გხვდება აქ წინ, ყოველ ნაბიჯზე, მათი ერთობა ცხოვრების ბრუალში: მოძრაობა და უძრაობა (მთელი სიგრძე-სიგანით); და მათგან მომდინარე, სიცოცხლე და არსებობა (თითქმის სიკვდილი)... ორივეს თავისი ხიბლი აქვს და თავისი საცდური და თუ ერთმანეთისგან არ განასხვავე, ვერც კი გაიგებ, თუ სად აღმოჩნდი: რად დაიხარჯე და სად მიხვედი!..

– გესმის, პალიკო: სხვადასხვა ცხოვრება გექნება ამის მიხედვით, სხვადასხვაგვარი გზით და სხვადასხვაგვარი ბოლოთი.....

გარნა დედამიწაზე ნამდვილი „მკვდარი ზონებიც“ არსებობს, სადაც სიცოცხლის ნასახიც არ არის, არა ჭაჭანებს, არაფერი.. ეს იქა ხდება (უწინარესად), სადაც წყალიც კარგავს თავის ცხოველმყოფელობას, სიცოცხლის მომცემ ძალას და თვისებას, კვდება თვითონაც!.. ასეთია ჟანგბად-ნაკლული არეები ოკეანეებში და

დიდ ტბებში, ჩვენი პლანეტის სხვადასხვა მხარესა და არეებში... ბევრი ამგვარი ადგილი ბუნებრივად წარმოიქმნა ჩვენს პლანეტაზე (უმეტესწილად), მისი ევოლუციის მსვლელობაში, თუმც მათი რაოდენობა შესამჩნევად იზრდება ბოლო ხანს, ბოლო ათწლეულებში...

„მკვდარი ზონის“ წარმოქმნა მაშინა ხდება, როცა წყალში გახსნილი ჟანგბადის ოდენობა, კონცენტრაცია გარკვეულ ნიშნულზე დაბლა ეცემა, ამ ზღვარზე დაბლა ჩამოდის: როცა ნახევარ მილილიტრზე ნაკლები ჟანგბადი მოდის მის ერთ ლიტრ წყალზე.. წყლის ფლორა და ფაუნა ვეღარ ჩერდება ამგვარ წყალში და უფრო მაღალი დონის ჟანგბადის შემცველ ზონებში იწყებს გადასვლას თანდათანობით!. ერთ ლიტრ წყალში ნახევარი მილილიტრი ჟანგბადის შემცველობის მქონე წყლის სხეულში ყველა ცოცხალის მასობრივი კვდომა იწყება: წყალში გახსნილი ჟანგბადის ესოდენ დაბალი კონცენტრაციის მქონე წყლის სხეული ვეღარ ეხიდება სათანადოდ წყლოვან სიცოცხლეს (მის ფლორას და ფაუნას), ვერ ეშველება, ვერ უზრუნველყოფს მის ცხოველყოფას და უჟანგბადოდ თვითონაც კვდება, დროთადინებაში...

„მკვდარი ზონების“ გაჩენა-გაფართოება ოკეანეებში და ტბებში სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, სხვადასხვა ფაქტორით განპირობებული: მინერალების და მკვებავი ნივთიერებების (აზოტის, ფოსფორის) მზარდი მატებით წყალში; ბუნებრივი პირობების ცვლილებებით – წყლის დონის ამაღლება სანაპიროზე, წყლის ცირკულირების სქემების შეცვლა, ქარის მახასიათებლების, პარამეტრების ცვლილება; გარემოს დაბინძურება, ადამიანის მოქმედებების თანმდევი... ყოველ ამ ფაქტორს თავისი წვლილი შეაქვს „მკვდარი ზონების“ გაჩენასა და გაფართოებაში, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ზიანი წყლის სხეულისთვის მათ ერთობლივ ზემოქმედებას მოაქვს, ერთურთზე შეწყობილს...

– აქ მართლა სიკვდილი სუფევს, უკვე, პალიკო, „მკვდარ ზონაში“: არა მოძრაობის შეჩერება და გაშეშება ირგვლივ ყველაფრის, არამედ კვდომა მასში ყველა ცოცხალის, თავადად წყლისაც, დაშრეტა მისი ცხოველყოფის.. ამიტომ, აქ ვერ შეხვდები (და ვერ გაივლი) „გაცოცხლების“ მწველ მისტერიას, სიცოცხლის აღდგინებას მკვდარში და ცოცხალში, თითქოსდა „მეორედ დაბადებას“!. – „მკვდარ ზონაში“ ვეღარა აღდგება, პალიკო, რამეთუ მასში არარა რჩება სიცოცხლის მგზნებელი...

– ღათუ, ამგვარ არეშიც შეიძლება გაჩნდეს სიცოცხლე, ამ პირობებშიც: თუ ეს ბუნებამ ინება და მკვეთრად შეიცვალა თავისი ნირი და ხასიათი (ბუნებრივი კატასტროფებით...) ანდა ჟამთასვლამ და ადამიანის მცდელობამ ახალი საშუალებები მოიტანა სიცოცხლის გაჩენის და დადგინების!. გარნა ეს უკვე სხვა სიცოცხლე იქნება, პალიკო, სხვისი გორის და სხვისი მოდგმის, სხვა წყლის სხეულში გაღვივებული.....

„მკვდარი ზღვა“ მარილიანი ტბაა, ერთ-ერთი გამორჩეული „მკვდარი ზონა“ დედამიწაზე, იორდანიას, ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის მოქცეული და განფენილი.. მისი გამორჩეულობა ამ „ზღვის“ რაობით და განსაკუთრე-

ბული ნიშან-თვისებებით არის განსაზღვრული.. მათ შორის იმით, რომ: ეს ერთ-ერთი ყველაზე მარილიანი წყალსაცავია ჩვენს პლანეტაზე (ის თითქმის ათჯერ უფრო მარილიანია, ვიდრე ოკეანე); ტბის ზედაპირი 430.5 მეტრით დაბლაა ზღვის დონიდან, რაც მის სანაპიროს დედამიწის ხმელეთის ყველაზე დაბალ მონაკვეთად აქცევს; „მკვდარი ზღვის“ სიღრმე 304 მეტრია და ის ყველაზე ღრმა ტბა არის მსოფლიოში; მისი წყლის სიმკვრივე იმდენად მაღალია (მარილის მეტად მაღალი შემცველობის შედეგად), რომ „მკვდარ ზღვაში“ ცურვა ტივტივს ემსგავსება, ტივტივში გადადის; ზემაღალი მარილიანობის გამო, მასში ვერ ჩერდებიან წყლის მცენარეები და ცხოველები (საიდანაც მოდის კიდეც ამ ტბის სახელდება) და მხოლოდ ბაქტერიები და მიკრობული სოკოები თუ შეგხვდება აქა-იქ მის წყლოვან სხეულში, მეტად მცირე რაოდენობით; მდინარე იორდანია ცოცხალი წყლით მისი მთავარი მასაზრდოებელი, თუმცა კი პატარა წყაროებიც გხვდება ამ არეში („მკვდარი ზღვის“ ქვეშ და ირგვლივ), მაგრამ ეს ვერად ცვლის მის მარილიანობას მთლიანობაში, რადგან ტბის ზედაპირიდან (650 კვადრატული კილომეტრი ფართიდან) აორთქლებული წყალი ეთანადება მასში ცოცხალი წყლის შენაკადებს, ტბიდან კი არ გამოედინება რაიმე ნაკადი; „მკვდარი ზღვა“ იორდანის ბზარის ხეობაში არის გაშლილი, მის გაწელილ ჩავარდნილ ტაფობშია მოქცეული, ისრაელსა და იორდანიაში... ეს გეოგრაფიული არე, გეოგრაფიული რეგიონი მდინარე იორდანს შეიცავს მთელ სიგრძეზე (მისი წყაროებიდან დაწყებული და „მკვდარ ზღვამდე“ მისული) და იმის იქით გრძელდება მერე, ვიდრე წითელ ზღვას არ მიაღწევს თავის სვლაში... ტბის სამხრეთდასავლეთ ნაწილს სოდომის მთა მიჰყვება გასწვრივ – მისი სახელი ლეგენდარული ქალაქი „სოდომიდან“ მოდის... ამ მთის სხეულის 80% თვითონ მარილია (ქვამარილი), სრულად; ის 8 კილომეტრია სიგრძეში და 5 კილომეტრი სიგანეში, 226 მეტრით მაღლა არის ასული „მკვდარი ზღვის“ ზედაპიდან, გარნა ჯერ კიდევ 170 მეტრით დაბლა რჩება ზღვის (ოკეანის) დონესთან შედარებით; ქარიანობის გამო მას რამდენიმე ნაწილი გამოეყო დროთასვლაში და ერთ-ერთ მათგანს „ლოტის მეუღლეს“ ეძახიან დღესაც, ამ მხარეში...

„მკვდარ ზღვას“ ერთი უცნაურობა, თავისებურება ახასიათებს კიდევ: ქვაფისის, ასფალტის გამოყოფა მის ზედაპირზე!.. – ტბის ფსკერზე არსებული ღრმულებიდან გამოჟონილი ნავთობი, ფისი ზემოთ ამოდის და თან ამოაქვს წვრილი ღორღი და ხრეში, შხეფებად ამოაფრქვევს ამ შავ მასას, შავ სუბსტანციას ტბიდან, რომელიც ცივდება ჰაერში ამოფრქვევისას და ასფალტის ბელტებად ეცემა უკვე წყლის ზედაპირზე, მასზე ტივტივის გასაგრძელებლად!.. მუქი ლურჯია თვით ამ „ზღვის“ წყალიც, ასერიგად მძიმე და მლაშე, მარილიანი და ფისშერეული... ქვაფისგადაკრული პატარა გამოკვეთილი ფიგურები (სტატუეტები) და ბიტუმით დაფარული ნეოლითური თავის ქალები იყო ნაპოვნი ტბის არქეოლოგიურ ადგილებში და, კიდევ აღმოჩნდა, რომ ძველეგვიპტური მუმიფიცირების პროცესში გამოყენებული ასფალტის იმპორტირებაც (გარდაცვლილთა სათანადოდ შესაფუთად და სიკვდილის გზაზე დასაყენებლად) „მკვდარი ზღვიდან“ ხდებოდა სწორედ!. ... საკმაოდ ქუშია მთელი ეს გარემო, მთლიანობაში, როგორღაც ჟამი და მოღუშული, ღათუ ჯანდაცვით კვლევებსაც აწარმოებენ „მკვდარი ზღვის“

მიგარდმოებში (სახვადასხვაგვარი მინერალის უხვი შემცველობის გამოისობით) და სამკურნალო ტურიზმიც კარგად არის განვითარებული ამ შავბნელ მხარეში...

– ძალიან განსხვავებული გამოდგა, პალიკო, ეს „მკვდარი ზონა“, „მკვდარი ზღვითა“ და მთელი მისი ავლადიდებით წარმოდგენილი: ზემარილიანი წყალსაცავი, რომელშიც ბაქტერიები და მიკრობული სოკოებიღა ყუჟობენ მხოლოდ (ისიც, მცირე ოდენობით), რეცა გარდასული ცხოვრებიდან გადმოსულები, ტბაში ოდესღაც არსებული სიცოცხლის ნიშნობად ვინძლო, რომელიც ღვიოდა მის იმჟამინდელ ცხოველ სხეულში...

– ცოცხალი წყალიც ჩაედინება ტბაში, პალიკო, მდინარე იორდანით მოტანილი (უწინარესად), მაგრამ ესეც ვერა ცვლის ტბის ნივთიერებას და სხეულოვნებას და სახეობას, რადგან მისი ფარდი წყალი ორთქლდება „ზღვის“ ზედაპირიდან იმავდროს და არა იცვლება მის შიგნეულობაში, ნირსა და იერში ჟამთასვლის კვალად: წყლოვანი სიცოცხლე ვერა ღვივდება მისი წყლის სხეულში, ღათუ ნაწინასწარმეტყველებია თითქოს, პალიკო, რომ „მკვდარი ზღვის“ წყალი გაიწმინდება და გასუფთავდება მერმისში, ერთ-ერთ მომავალში; დღეს კიდევ ის ისე მკვრივია, მხოლოდ თუ იტივტივებს მის ზედაპირზე ადამიანი!. და ასე გრძელდება დრონი და დრონი, საუკუნეები და ათასწლეულები...

– მეორე მხარე აქ „მკვდარი ზღვის“ მდებარეობაა, პალიკო, მისი სამყოფელი: ის თითქმის 450 მეტრით ქვემოთაა ზღვის დონიდან, ანუ დედამიწის ზღვა-ოკეანის ზედაპირი ოთხ ასეულ მეტრზე მეტით ზევითაა ასული ამ ტბის ზედაპირთან შედარებით, როგორღაც ზემოდან მოყურადე და თავს წამომდგარი!. ... მახსოვს, პირველად გერმანიაში, კიოლნში (ჩოლოგნე) მომიხდა ამ განცდის გავლა, პალიკო, მისი არაჩვეულებრივი საკათედრო ტაძრიდან რომ გამოვედით, იქვე, მდინარე რაინთან და მეყვსად შევნიშნე, რომ თვითონ მდინარე რამოდენიმე მეტრით მაღლა მიედინებოდა, ჩვენს თავებს ზემოთ, ჩვენ კი მის ფსკერზე მივდიოდით ამ დროს ნებიერად, მისი წყლებისგან და დინებისგან მხოლოდ მდინარის კალაპოტის კედლებით განყოფილები!!. – ლამის გვერდზე გავხტი, პალიკო, უნებურად, დაბნეული და შეცბუნებული, შეწუხებულიც როგორღაც შიგნით: ამ უცნაურ რეალობასთან პირისპირ შედგომით, მასთან შეხვედრით შეძრწუნებული...

– უფრო მომცველი იყო, პალიკო, ეს განცდა ნიდერლანდებში, ამხელა ხმელეთი როცა ვნახე ჩრდილოეთის ზღვას გამოგლეჯილი, გარნა მისავე ქვემოთ მოქცეული, ნებისმიერ დროს რომ შეეძლო ზღვას პირობითი მიჯნის გადმოლახვა, წართმეული მიწის მთელად დაფარვა და ისევე უკან დაბრუნება მის ცივ სხეულში!.. მაგრამ იქ უფრო სხვამ გამაოცა, სხვამ გამაკვირვა, უფრო სხვამ წაიღო გზნებული ფიქრი, როცა იქაურებმა ქარის წისქვილებთან მიმიყვანეს და ახლოდან მაჩვენეს მათი რიგები (ჩამწკრივებული აქეთ და იქით), რომელთა მეშვეობითაც ზღვიდან გადმოსულ წყალს უკანვე აბრუნებდნენ, პალიკო, მის ცივ მრუმეში, იმავწამს, დაუყოვნებლივ, შეუსვენებლად და შეუჩერებლივ, მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, უკვე ასწლეულები და ასწლეულები: რომ დაენარჩუნებინათ მათი ქვეყანა, მათი სამკვიდრო და საცხოვრისი!! – დიდი პატივი მათ ძალისხმევას, მათ გულოვნებას და უდრეკობას სოფლის ტრიალთან უწყვეტ ჭიდილში.....

– გარნა აქ სულ სხვა მდგომარეობაა, პალიკო, „მკვდარი ზღვის“ მხარეში, სხვა რეალობა და სხვა განაწესი: ასეულობით მეტრით ქვევით უნდა ჩახვიდე ზღვის დონიდან „მკვდარ ზღვამდე“ რომ ჩააღწიო, მის ზედაპირამდე და ნაპირებამდე მიხვიდე ბოლოს, სად ლამის ეხები დედამიწის ქერქს, გრძნობ მის სიახლოვეს და სხეულოვნებას, რომლის იქითაც პლანეტის მხურვალე წიაღი იწყება უკვე, დედამიწის შიგნითა სკნელი, მუდამ მბორგავი და შფოთიანი, გავარვარებულ ლავას რომ გადმოანთხევს ხოლმე პლანეტაზე მიმობნეული ვულკანებიდან და ცხელი აირის სქელ ბოლქვებს ტყორცნის ატმოსფეროში გავეშებული!. და ეს შეგრძნება უფრო მძაფრდება, პალიკო, სკნელთან სიახლოვის, როცა იმასაც გაიცხადებ, რომ ამ ტბის სანაპირო ზოლი ხმელეთის ყველაზე დაბალი მონაკვეთია დედამიწაზე და რომ მის იქით „მკვდარი ზღვის“ ფსკერია კიდევ, სამასი მეტრით უფრო ქვევით მოქცეული, ვინძლო მიბჯენილი პლანეტის ქერქს, მისი მანტიის ოდნავ ზევით...

– მაგრამ აქ კიდევ სხვა რამეც არის, პალიკო: „მკვდარი ზღვა“ იორდანის ბზარის ხეობაში მდებარეობს და მისი ფსკერი ამ ბზარს მიჰყვება, საიდანაც ჟონავს კიდეც სკნელის ოხშივარი, ნავთობის შხეფებად ამოსული ტბის ზედაპირზე და ასფალტის ბელტებად დაფენილი მისსავე თავზე!.. ისეთი განცდა გეუფლება, პალიკო, რომ მთელ ამ ამბავს რაღაც მოვლენა უსწრებდა წინ, რომლის შედეგად მთელი ეს არე გადაიწვა და დაიხრუკა, მარილად იქცა და სიბნელე ჩაუჯდა ტანში!. ამის შემდეგ კი ყველაფერი წყლით დაიფარა, ტბა აღმოცენდა, პალიკო, ზემარილიანი, მავანთა მიერ „მკვდარ ზღვად“ წოდებული.. მუმიფიცირებასა ჰგავს, პალიკო, ძველი ეგვიპტელები რომ იყენებდნენ, გარდაცვლილი წარჩინებულების გვამების შესაფუთად (თანაც აქაური ქვაფისით): მათი სამშვინველების საიქიოში გასაშვებად, ხოლო გვამების სააქაოში შენარჩუნებით...

– ამ აღქმას ისიც უდგება მოწმედ, პალიკო, რომ „მკვდარ ზღვას“ მარილის მცირე მთა მიჰყვება გასწვრივ (სოდომის მთა), რომლისგან ერთ-ერთ გამოყოფილ ნაწილს „ლოტის მეუღლე“ შეარქვეს შემდეგ.....

ეს ის ადგილია, „მკვდარი ზღვის“ არე, სადაც „ტაფობის ქალაქები“ იყო (ბიბლიის მოწმობით) გაშენებული – სოდომი, გომორა, ადმასი, ცებოიმი, ბელაყი ანუ ცოყარი – და სწორედ სოდომი და გომორა იყო ის ქალაქები, რომელთაც ღმერთის რისხვა დაატყდათ თავს მათი ზღვარგადასული აღვირახსნილობისა და ცოდვილობის გამო: გოგირდი და ცეცხლი აწვიმა ამ ქალაქებს უფალმა ციდან და სრულად დაამხო და გაანადგურა, შემუსრა ისინი და მთელი მათი შემოგარენი: ყოველი მკვიდრი ამ ქალაქებისა და ყოველი მცენარე მიწაზე აღმოცენებული!.. და დარჩა მხოლოდ გოგირდი და მარილი მათ ნასახლარზე, დაიწვა და დაიბუგა მთელი ქვეყანა, არღარა ითესებოდა და არც არაფერი იზრდებოდა იქ, მოისპო როგორც სოდომი და გომორა, ისე ადმა და ცებოიმი (ცოყარი გადარჩა მხოლოდ, ერთადერთი), ქალაქები, რომლებიც თავისი რისხვითა და წყრომით აღგავა ღმერთმა პირისაგან მიწისა, რომელთაც მოიწიეს უფლის რისხვა და წყრომა და სასჯელი მისი...

გეოგრაფიულად „მკვდარი ზღვის“ არე ზუსტად შეესაბამება და ესატყვისება „სოდომის ცოდვის“ ადგილის ბიბლიურ აღწერილობას: დღეს აქ არა ხარობს და არა იზრდება, წყალიც კი მკვდარია მის ბნელ მღვიმეში; მლაშე ტბას გასწვრივ მარილის მთა მიჰყვება, რომლის ერთ-ერთი განყოფილი ნაწილი ცალკე დგას ლოტის ცოლივით, რომელმაც „უკან მიიხედა ... და იქცა მარილის სვეტად“; ამ სასჯელამდე „ტაფობის ქალაქებმა“ ყელამის მეფე ქედორლაღომერს და მასთან მყოფ სამ მეფეს ბრძოლა გაუმართეს სიდიმის ველზე, „სადაც ახლა მლაშე ზღვაა“ განფენილი; „და იყო სიდიმის ველზე უამრავი ფისოვანი ორმო“, ფისოვანი ღრმულები რომ არის მლაშე ტბის ფსკერზე, იმდაგვარი.. სავარაუდოა, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც აღსრულდა უფლის ნება და სასჯელი, ღათუ ჯერ აქ არ არის მიკვლეული გადამწვარი ქალაქების უშუალო ნარჩენები, თუმც ცდა ბევრია და წიაღსვლებიც.. მეორე მხრივ, აქ არც უნდა იყოს სხვა არაფერი, გარდა „გოგირდისა და მარილისა“, რაც დღესაც ადგილზეა მლაშე ტბის მხარეში... ...

თავისი რაობით „სოდომის ცოდვა“ „ტაფობის ქალაქების“ მაცხოვრებელთა აღვირახსნილი სქესობრივი ურთიერთობების გაღვივებას უკავშირდება და მათში ჰომოსოქსუალობის (მეტადრე, მამათმავლობის) დამკვიდრებაში მდგომარეობს, რამაც მოიწია ესოდენი განრისხება და გაწყრომა ამ ქალაქებზე ღმერთის და ყოვლის მომსვრელი მისი სასჯელი, მათზე მოვლენილი!. „ბუნების წინააღმდეგ დანაშაულის“ კვალიფიკაცია მიიღო ამ ცოდვამ შემდგომში, იმის აღნიშვნად, რომ ეს თვითონ ბუნების, სამყაროს, წუთისოფლის – უფლის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა თავისი რაობით და სახეობით, რომელსაც სასტიკი სასჯელი მოჰყვება პასუხად, უცილოდ, მერმისშიც, ყოვლის მომსპობი და დამაქცეველი.. ასე შემოვიდა „სოდომის ცოდვის“ ცნება და გაგება ისტორიულად და დამკვიდრდა ადამიანეთში.. და სწორედ მის ძეგლად წარმოდგა მაშინ და წარმოდგება დღესაც „მკვდარი ზღვა“, მლაშე ტბა, თვითონ ამ ცოდვის და მისით მოწეული სასჯელის თავის თავში გამაერთიანებელი და განმასახიერებელი...

– ასე გამოკვეთილად არის, პალიკო, სოდომისა და გომორას, „ტაფობის ქალაქების“ ამბავი ბიბლიაში მოთხრობილი და მიდევნებული, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ, დაწვრილებით, მათი აღვირახსნილობის და ცოდვილობის გამომჟღავნებით და მოწეული სასჯელის გარდაუვალი აღსრულებით.. და შეგნებულად უნდა იყოს, პალიკო, ეს ყველაფერი ესოდენ მკაფიოდ გამოყვანილი, გამიზნულად, იმის გასაცხადებლად, რომ „ბუნების წინააღმდეგ დანაშაული“ ასე უბრალოდ ვერ ჩაივლიდა ვერავისათვის, რომ მას სასჯელი მოჰყვებოდა უცილობლად ყოვლის მომსვრელი და დამქცეველი!..

– და ასევე იყო ის მაშინ აღქმული, პალიკო, იმდროინდელი მსოფლიოს მიერ, იმდროინდელი ადამიანებით, და გადაცემული მომავალთათვის გულისხმაყოფად, რამაც „სოდომის ცოდვა“ მითითების წერტილი გახადა, საჩინო კვანძი შემდგომში იმათთვის, ვინც ცოდვილობის ზღვარს გადადიოდა, მასში იფლობოდა და იგანგლებოდა, შესახსენებლად იმისა, თუ რა ბედი ეწიათ სოდომს და გომორას, ცოდვაში ჩაძირულთ და წუთისოფლიდან ამისად განკვეთილთ!.. (ამგვარია იმავე ესაიას თვითმეტყველი შეგონება-წინასწარმეტყველება: „და იქნება ბაბილონი,

სამეფოთა მშვენება, ქალდეველთა სიამაყის შარავანდედი – ღვთის მიერ დამხობილი სოდომსა და გომორასავით“)...

– ამ მიმართებით, „მკვდარი ზღვა“ სწორედ უფლის სასჯელის აღსრულების დამოწმება და თვალსაჩინოება გახდა, პალიკო, რომელიც აგონებს ადამიანებს ყოველჟამ, რომ წუთისოფელში არსებობს აკრძალვები, რომელთა გადასვლა არად ეგების, არ შეიძლება და ისჯება უცილოდ; თუ დაარღვიე, მას თუ გადახვედი, ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება კოსმოსში, პალიკო, ჩვენს სამყაროში, სადაც ფუნდამენტური უნივერსალური ფიზიკური მუდმივები უწყვეტად იცავენ სამყაროს სიმყარეს და ცხოველყოფას, მიწყივ მოქმედნი და არ უშვებენ უფლის მიერ მოცემული წესწყობილების თუნდაც მცირედით გადახვევას ან გვერდის ავლას!. იგივე ხდება წუთისოფელში: აქაც არსებობს აკრძალვები, ცხოვრების წესები, რომელთა დარღვევა თუ გადაცდენა („ბუნების წინააღმდეგ დანაშაული“), სასტიკად ისჯება უცილობლად, შეუბრალებლად და დაუნანებლად, არვის დანდობით...

– და ასე გრძელდებოდა, პალიკო, ვიდრე დღესამომდე (ავად თუ კარგად), ამას მიჰყვებოდა ადამიანი დღევანდელ დღემდე, როცა ადამიანი უკვე ცდილობს შექმნას ახალი რეალობა და სინამდვილე, თავისი, კუთვნილი, საკუთარი, სადაც ყველაფერი დასაშვებია და გაქვს უფლება დაარღვიო ყველა აკრძალვა, თუნდ წუთისოფლით დაწესებული!!. ...

– ეს მეოცე საუკუნის სამოციანების შუა წლებში დაიწყო, პალიკო, თავისუფლების გრილი სიოს შემოსვლით ახალგაზრდებში და ნებიერად ცხოვრების ამო გემოს აქა-იქ მოსინჯვით, აკრძალული ხილის დაგემოვნებით და მისი ხიბლისგან გაბრუებით, გონის დაკარგვით.. მერე ეს ყველაფერი უფლებების ენაზე მოითარგმნა, მათი უმაღლეს ღირებულებებად გამოცხადებით და მით „სოდომის ცოდვამდეც“ მივიდა ეს აღტყინება, ყველანაირი სქესობრივი ურთიერთობების გამართლებით და მათი უფლებრივი დაკანონებით!. და მსწრაფლვე დაიწყო, პალიკო, შექმნა „LGBT“ ჯგუფების, თემების, მოძრაობების, მათი „პრაიდებით“ და ფერადოვნებით და თავისუფალი ქცევის და ურთიერთობების უკვე საჯაროდ დემონსტრირებით, რამაც ისინი ერთ ნასკვად შეკრა, საჩინო კვანძად მიმდინარე გლობალიზების: ერთ გამწევ ძალად მთელ ამ პროცესში!..

– მეტად მარტივია აქ გათვლა, პალიკო: მათ კარგად უწყიან, გლობალიზების პროცესის წარმმართველებმა (და „LGBT“ მოძრაობების მეურვეებმა), რომ „სოდომის ცოდვა“ არავის გაუუქმებია და მასზე სასჯელიც ისევ ადგილზეა, ვერავინ ასცდება მის აღსრულებას და ყველას თავისი მოეწევა!. და მაშინ გადარჩენა მხოლოდ ერთი ჩანს, პალიკო, მათთვის (მათი მცნებით): ყველა გააბახონ მრუდე სექსუალური კავშირებით და ურთიერთობებით, მთელი ადამიანეთი; და მაშინ უფალი სასჯელს გააუქმებს, არ აღასრულებს, არ მოსპობს მთელად ადამიანეთს წუთისოფელში!! და ამ გზით ისინიც გადარჩებიან, ესრეთ გამრავლებული სოდომელები!!!. ... ამიტომ არიან, პალიკო, ასერიგად დაგეშილები „LGBT“ თემის წარმომადგენლები: ცოდვების ზეაღმატებით სძიობენ ისინი სასჯელის აცილებას, თავის გადარჩენას, ჯოჯოხეთის სიახლოვით წახდენილები...

– ფუჭი მცდელობაა, პალიკო, ტყუილი იმედი, რამეთუ უფალი შემოქმედია

ყველა არსებულის და ყველა ქმნილის და თუ ვერ შეირგო ადამიანმა მისი ხატობა, ვერ შეიშნოვა, მაშინ გადაშლის მთელ ამ ქმნილებას და ახალს შექმნის მის ადგილზე თავისი გზნებით, გარნა სხვაგვარი განაწესით და წყობილებით: სამყაროს, სოფელს, დედამიწას და ადამიანს, სხვაგვარ წუთისოფელს, სხვა ქცევის კოდექსით!.. მეტადრე, რომ იესომ დატოვა კიდეც მასზე გაფრთხილება, იგავურად მოწოდებული: *„აწ რაÁ უყოს მათ უფალმან მის ვენახისამან? მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის მოქმედნი იგი და ვენახი იგი მისცეს სხვათა“*...

– არც გლობალიზების განხორციელება გამოუვათ, პალიკო, მის მესვეურებს, რამეთუ ესეც გავლილია უკვე წუთისოფელში, იგივე „ბაბილონის გოდოლის“ ამბის ბიბლიური გადმოცემით!.. და მთელი ეს ამბავი („გლობალიზება-LGBT-ობა“) ზუსტად ისეა, ჩვენი თემო რომ დაიღრიალებდა ხოლმე, პალიკო, თავისი მჭექარე, ბოხი ხმით, საქართველოში უკეთურთა მოქმედებებით აღშფოთებული: „არა, არა! ასე არ გამოვა! ბუნების კანონები არსებობს სამყაროში!!!“ – ჭეშმარიტად, პალიკო, ამენ.....

გაშლილი ველი, დიდი მინდორი, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე; მაღალი ბალახი (თითქმის ყელამდე), მუქი მწვანე ფერის (ლამის მუქ-ლურჯში გადასული), ძალიან სქელი ღეროებით, ძლივს რომ გადიხარ, ძლივს რომ ერევი, ძალის-ძალით გადაადგილდები; ახლობელი დედა-შვილი მიმიძღვება წინ, გზას მიკვალავენ და მითელავენ, სიარული რომ გამიადვილდეს და როგორმე გავაღწიო იქაურობას; როგორღაც იოლად მიდიან თვითონ ისინი ამ უღრან მინდორში, საკმაოდ სწრაფად და დაჯერებით; მობრუნდებიან ხოლმე, რომ ამაჩქარონ, მეც ძალიან ვცდილობ, თუმც მეტად მიჭირს ბალახების რიგის გაჭრა და გავლა; დროდადრო ბრუნდებიან და უკან იყურებიან, შორით, თვალების მოჭუტვით, მოჩრდილვით, დაკვირვებით, როგორღაც გაფაციცებულები, ვინძლო რამე არ გამოგვრჩესო, არ გაგვეპაროსო ამ ჩქარობაში; მეც მივიხედავ ხოლმე, მათ აყოლილი, არა ჩანს ირგვლივ... რაღაც ნაკვეთში, უკან რომ მოიხედეს, აფორიაქდნენ, აღელდნენ ერთთავ, მეც შემომიძახეს, სვლას მოუმატეო, ნუღარ ყოვნდებიო; კიდევ ავჩქარდი, რაც ძალი მქონდა, უკან მივიხიდე კვალად და ძლივს მოვნიშნე რაღაც წერტილის მაგვარი ჰორიზონტის იქით, მეტად ბაცი, თუმც გავარჩიე (ამ სიშორიდანაც), რომ მოძრაობდა და მეც გავფაციცდი, რამდენადაც შემეძლო, უნებურად, თავისით... ახლობელი დედა-შვილი სულ უფრო მეტად ღელავდა, შფოთავდა, ფორიაქობდა, წამდაუწუმ უკან იყურებოდნენ ფერწასულები და ისედაც ქანცგაწყვეტილს, სულ უფრო და უფრო მაჩქარებდნენ, ბრაზიანად, მამუნათებდნენ, ძლივს რომ მივყვებოდი, აქოშინებული!. ძალიან სწრაფად მოდიოდა ის რაღაც არსება, გვიახლოვდებოდა ყოველი წუთით, ბურთს დაემსგავა პატარა წერტილი, თუმც შორით-შორ იყო ჯერ გვარიანად; თან სულ იზრდებოდა, ამასობაში, მისი სხეული, ვეებერთელა ცხოველის ზომებს იღებდა თანად და მისი მოხაზულობაც სულ უფრო მკაფიო და მკაფიო ხდებოდა, გამოკვეთილი!. საოცრად იოლად გადმოდიოდა ამ უსიერ მინდორს, სქელ ბალახს, მიწაზე რომ წვებოდა მისი შეხებით: უზარმაზარი ბომბორა ძაღლი აღმოჩნდა, ხშირი და გრძელი ბეწვით დაბურული, შავში გადასული მუქი-ლურჯი ფერის, უშველებელი ტანით და თათებით, ვეებერთელა თავით და

სქელი კისერით!.. მთელად აწრიალდა დედა-შვილი, რაღაც ძლიერმა შიშმა აიტანა, ხელებსღა წევდნენ ჩემს ჩასაჭიდებლად, იქიდან რომ გავეყვანე როგორმე მაინც, გარნა დრო არა რჩებოდა უკვე ამდენი, მანძილი ილეოდა ყოველი მყისით და ბოლოს დამაგდეს იქვე მიწაზე, ქანცგაწყვეტილი და ძალაგაცლილი და იქაურობას გაეცალნენ თვითონ, გაცხარებულები და გამწარებულები!!. და ისიც უკვე თავს წამომადგა, ამ დროს, ეს საშინელი ცხოველი, თან მთელი ცა გადამიფარა თავისი უშველებელი, ვეება სხეულით!. ფეხი გავიქნიე ინსტინქტურად, მივუშვირე, მიწაზე ვეგდე ღონემიხდილი, აღარას ვძიობდი და არ ველოდი, არაქათგაცლილი და დალეული!.. ის კი უცაბედად იქავე გაჩერდა, ჩემ წინ, ფეხებთან ჩამიხტა გახარებული, იქვე ჩაიმუხლა და ჩუმად ჩაწვა, თავი ფეხებზე მომადო და მიიყუჟა, წკმუტუნი დაიწყო კმაყოფილი: ძაღლმა რომ იცის, პატრონს რომ ნახავს და კრუსუნს დაიწყებს დავანებული...

– მეყვსეულად მივხვდი, პალიკო (არ ვიცი, საიდან), ჩემი „სიცოცხლე“ რომ იყო ეს დიდი ცხოველი: დედა-შვილს ჩემი თავი რომ არ დაანება, არ გადააყვანინა იქითა სოფელში და ისევე უკან დამაბრუნა, ცხოვრების კვალში, წუთისოფელში.. ...

– საოცარი იყო, პალიკო, მისი ეს ქცევა, ეს თავგადადება გამეტებული, მისი ზღვარგადასული აღტყინება დაულეველი, ასეთი დაგეშილობა და ძალისხმევა – ჩემს გადარჩენაზე მომართული, ყველა წინაღობის და ყველა ზღუდის დამძლევი და გადამლახავი!. არაჩვეულებრივი იყო, როგორ მოიწევდა ეს ძაღლი, პალიკო: მოექანებოდა, თითქოს მოფრინავსო სინათლის სიჩქარით: უზარმაზარი, უშველებელი, ნირის წამხდენი და გულის მომწყვლელი ყველა მომხდურისთვის, გარდა ჩემისა, მისი პატრონის... ...

– ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასე დიდი თუ იქნებოდა კაცის სიცოცხლე, პალიკო, ადამიანის, ასეთი ძალის და შემართების: ესოდენ დიდი და ღონიერი, ყოველგვარი წინაღობის იოლად დამძლევი.. ესერიგ შემკვიდრებული თუ იქნებოდა შენს კუთვნილ ცხოვრებას, ადამიანის, მის აღმა-დაღმართს და დაღვლარჭნილ გზას გაუნელებლად მოჩერებული!. საოცარია, პალიკო, როგორ ეშურება, სრულად რომ განვლო შენი ცხოვრება, ბოლომდე გალიო წუთისოფელი და თან წაიღო მისი გზნება, მისით მოწეული და მოგებული: ცნობა და გარჩევა ავის და კეთილის და სიყვარული: შენი მოყვასის და ნათესავის, ღმერთის შექმნილი ადამიანის.. მხოლოდ მერე გტოვებს და მერე გაგეცლება (თავისი ნებით): გაგიშვებს მიღმა, იქითა სოფელში...

– ისეთი მძაფრი იყო, პალიკო, ეს განცდა და შეგრძნება (ზმანება იყო, ხილვა თუ სიზმარი), თუ როგორ მოქროდა ეს უსაშველოდ დიდი ცხოველი, შიშის მომგვრელი და დამთრგუნველი, შეუჩერებელი, შეუნელებელი, შეუკავებელი, თითქოს შენს დასაღუპად დადგენილი, ამ დროს კი – სწორედ შენს დასაბრუნებლად უკან, ცხოვრებაში – მოვლენილი და განწესებული!! უნებურად რომ ფიქრდები (ზეზვასი არ იყოს), პალიკო, გრძელი ფიქრით, რომ რაღაც კიდევ გაქვს, გასაკეთებელი: იმასთან ერთად, რასაც აქამდე იქმოდი, რასაც მისდევდი და რასაც ელტვოდი!..

– ისიც ცხადი ხდება ამ კვალზე, პალიკო, მთელი სისრულით, რა უდიერად

ეპყრობოდი თურმე საკუთარ სიცოცხლეს, ღმერთით ბოძებულს, რა ფუჭად ხარჯავდი მის ძალუმობას და მოსილებას, ძალიან ხშირად, სულ არაფერში: ვითომ რაღაც ცდაში, არას მეტყველში, უმისამართო მოქმედებებში – დროის გაყვანაში (სინამდვილეში) და მის მოკვლაში – ანუ, უბრალოდ, არსებობაში!. ... ის კი არად გტოვებს და გეჭიდება მთელი ძალღონით, არა გშორდება, პალიკო, ერთი მტკაველით და თუ მაინც გაიღვიძე, როგორც იქნა, ბოლოსდაბოლოს, ისეთ სიხარულამდე მიგიყვანს, ვერც ინატრებდი: გემოს გაგრძნობინებს სავსე ცხოვრების, მისი სისრულის და სინამდვილის: შენი თავის მოგების და მოპოვების წრეთა ბრუნვაში და ბედის წვნაში!.....

უცნაურ კვლევებს ატარებენ ხოლმე საქართველოში.. მარიმ სხვადასხვაგვარი მონაცემი და აღწერილობა შეკრიბა „სამოთხეზე“, „ედემის ბაღზე“ და დედამიწის (ჩვენი პლანეტის) შესაბამის მახასიათებლებს შეაჯერა ისინი, განსხვავებით სხვათა კვლევა-ძიებებისგან, რომლებიც მეტნაკლებად მსგავსად აღწერდნენ და წარმოადგენდნენ თვითონ „სამოთხეს“ (ძირითად ხაზებში), გარნა მისი სავარაუდო ადგილ-მდებარეობის განსაზღვრაში განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, რომელსაც დედამიწის ფარგლებში ეძებდნენ თავიდანავე გამეტებით...

თვითონ „ღმერთების ბაღის“, იგივე „ღვთაებრივი სამოთხის“ ცნება (ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ადამიანეთში) შუმერებიდან მოდის, რომელიც ბაბილონელებში გადავიდა იმავე შინაარსით შემდგომ: ეს „უკვდავთა სახლია“, ანუ მათი სახლობის ადგილი, სადაც მტაცებელი ცხოველები არა კლავენ და არ ერჩიან არავის, არ არსებობს ავადმყოფობა და არ ბერდებიან მისი მოსახლენი; მისი სავარაუდო ადგილი სპარსეთის სრუტეა ან ლიბანი (ლიბანის მთებსა და ჰერმონის მთებს შორის მოქცეული წმინდა ადგილი)... „ედემის ბაღი“, „სამოთხე“ ბიბლიაში აღწერილია, როგორც ოთხი მდინარის (შენაკადის) ადგილი, რასთან მიმართებითაც ორ არეს განიხილავდნენ მის სავარაუდო ადგილსამყოფელად შემდგომში: სპარსეთის სრუტეს (სამხრეთი შუამდინარეთი), სადაც ტიგროსი და ევფრატი ჩაედინება; და სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი, სადაც ტიგროსი, ევფრატი, მტკვარი და არაქსი იღებს სათავეს... „სამოთხის“ ადგილმდებარეობას ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გარეთაც ეძებდნენ სხვები: განიხილავდნენ ირანს, ინდოეთს; კოლუმბის მესამე ექსპედიციის დროს ის ფიქრობდა, რომ ამქვეყნიურ სამოთხეს მიაღწია, პირველად რომ შეხვდა სამხრეთ ამერიკის კონტინენტს; მის უფრო კონკრეტულ ადგილებს უთითებდნენ ჩრდილო ამერიკაში – მორმონები, „პანაცეა საზოგადოება“...

მთლიანობაში ყველა ეს განხილვა-ვარაუდი დედამიწის ფარგლებში ტრიალებდა, მის არემარეში ეძებდა „ღვთაებრივ სამოთხეს“ და სწორედ იმ მხრივ იყო მარის კვლევა უცნაური და მოულოდნელი, რომ მან მთელი დედამიწა განიხილა „ედემის ბაღის“ შესაძლო ადგილად და სამყოფელად, როგორც ასეთი!.. და კიდევ უფრო გასაოცარი იყო მისი აღმოჩენა (კვლევის შედეგი), რომ სამოთხისა და

დედამიწის ფიზიკური მახასიათებლები ფარდი იყო ერთმანეთის, შედარებადი!!. აქ ბუნებრივად წარმოდგა თაური კითხვა, ამოსავალი: მაშინ რატომ აღარ არის დედამიწა სამოთხე დღესაც?? რა შეიცვალა მასში ასეთი ადამიანის პირველი დაცემის შემდეგ (მეტადრე, რომ ადამიანი დღესაც აქავე სახლობს)??. და სრულიად განსაცვიფრებელი (და მართებული) იყო აქ მარის დასკვნა: ესე იგი, ღმერთმა დატოვა დედამიწა-სამოთხე, თვითონ; წავიდა აქედან!.. !.. !..

– გესმის, პალიკო, ღმეღთმა კი არ გააგდო სამოთხიდან ადამიანი (როგორც ფიქრობენ), არამედ თვითონ უფალმა დატოვა ის!. მისივე ქმნილი „ღვთაებრივი ბაღი“, „უკვდავთა სახლად“ ქმნილი პლანეტა!..

– დატოვა მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ კეთილისა და ბოროტის ცნობა მოინდომეს: ყველაფერში გარკვევა რომ მოუნდათ, პალიკო, – თვითონ, თავისად (ღათუ სხვისი შეგონებით)!. აქ მათ უკვე არავინ სჭირდებოდათ, პალიკო, არავისი დახმარება და მიშველება, მათ გვერდით დგომა: სამყაროს შეცნობა სწადდათ და მალევე შეუდგნენ ამას, ერთურთის ცნობით დაწყებული.. ...

– და უფალმაც მიიღო მათი არჩევანი, მათი ეს გზნება (ნებსით თუ უნებლიეთ მოსული მათთან): საშუალება მისცა ადამიანს, პალიკო, ამ გზას გაჰყოლოდა და იქავ ეცხოვრა, დედამიწაზე, მაგრამ უკვე ღმერთის გარეშე, წუთი-სოფელში, სადაც დაბადებაც არის და სიკვდილიც მასთან.. მარტოკა დატოვა, თავის ამარა, დრო-სივრცის ხვიებში მოქცეული...

– უფალი სამოთხეში სახლობდა მანამდე, პალიკო, სადაც მიიყვანა მერე ადამიანიც.. ამას პირდაპირ აღნიშნავდნენ შუმერები, „ღმერთების სახლს“ უწოდებდნენ რა ამ დიდებულ ბაღს და იმავეს ამბობს ბიბლიაც, გვამცნობს რა, რომ ღმერთი დადიოდა სამოთხეში, რა დროსაც შეიტყო კიდეც ადამის და ევას ეს შეცოდება...

– ანუ, თავისთან დაასახლა უფალმა პირველი ადამიანი თავიდან, პალიკო, მის სამკვიდროში და იქვე დაასახლა მისი ნეკნისგან გამოყვანილი ქალიც (მარტო რომ არ ყოფილიყო ადამი), გარნა მათ ეს არ იკმარეს და მაშინვე მოინდომეს საკუთარი ნების გამოხატვა და დამკვიდრება: ყველაფერში გარკვევა და ღმერთს გატოლება მით!..

– უფალიც წავიდა, პალიკო, იქიდან, დაუტოვა მათ დედამიწა და ასპარეზი და ცხოვრების გზა გასავლელი...

– დედამიწა რომ სამოთხედ იყო შექმნილი, მისი შუმერული თუ ბიბლიური აღწერებიდანაც ჩანს, პალიკო: სრული და სავსე ფლორა და ფაუნა, და ყველა საჭირო ნივთიერი ელემენტი („ძვირფასი ქვები..“)... მაგრამ ეს კიდევ უფრო ცხადი ხდება კოსმიური თვალთახედვიდან დღეს, სადაც ჩვენი პლანეტა ერთადერთ ციურ სხეულად წარმოდგება (ჯერ კიდევ), რომელშიც კომპლექსური სიცოცხლე (გონიერი არსების შემცველი) სახლობს და ცხოვრობს: მიუხედავად „უცხოპლანეტელების“ თავდაუზოგავი ძებნისა სამყაროს უკიდეგანო სივრცეში!!. და უფრო მეტიც, ეგრეთწოდებული „ეგზო-პლანეტების“ (ანუ, ჩვენი მზის სისტემის გარეთ არსებული პლანეტების) მიკვლევის და გასინჯვის დროს, ისევ დედამიწის მახასი-

ათებლებს უფარდებენ მათ, პალიკო, მათში „კომლექსური სიცოცხლის“ ნიშნების ყოფნა-არყოფნის დასადგენად, დაწყებული იმით, თუ რა ასაკისანი არიან ისინი, რამეთუ ოთხნახევარი მილიარდი წელი მაინც არის საჭირო პლანეტაზე ამგვარი სიცოცხლის გასაღვივებლად და ჩამოსაყალიბებლად!.. ...

– გესმის, პალიკო: დედამიწა სამოთხედ, „უკვდავთა სახლად“ იყო ჩაფიქრებული და შექმნილი თავიდან, მაგრამ პირველი ადამიანის დაცემის შემდეგ იგი დატოვა ღმერთმა და, მიუხედავად იმისა, რომ ის კიდევ წალკოტია დღეს, დედამიწა აღარ არის სამოთხე, რადგან უფლის მადლი აღარ ტრიალებს მასზე!.....

ასე გამოდის, ღმერთს არ დაუსჯია ადამი და ევა კეთილისა და ბოროტის ცნობადი ხიდან ნაყოფის ჭამისთვის; მით უმეტეს, აქ არა ყოფილა სასჯელი, დადებული მისი სიტყვის (არა აკრძალვის) გადასვლაზე, სიტყვისა, რომლითაც მან ამცნო ადამს, რომ ამ ნაყოფის შეჭმას სიკვდილი მოჰყვებოდა თან.. უფალმა ქერუბიმი დააყენა მხოლოდ ცხოვრების ხესთან მისასვლელი გზის დასაცავად და თვითონ დატოვა აქაურობა, ჩვენი პლანეტა, დედამიწა... მით გაწყდა უშუალო კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის – პირდაპირი შედეგი (და დანაკარგი) პირველყოფილი ცოდვით მონაგები..

შუამავლების მეშვეობით ხორციელდებოდა ეს კავშირი შემდგომ: დიდი გმირების მეოხებით (ანტიკურ ხანაში); მისტერიალური მედიაციების გამოყენებით და საშუალებით (სხვადასხვა დროს); ეკლესია-მონასტრების ამოქმედებით; რელიგიური ომების აღტყინებებით!.. მაგრამ ეს ვერა ცვლიდა უფალთან უშუალო ურთიერთობის გზნებას და მასთან ერთიანობის შეგრძნებას (მიღებულს სამოთხეში ყოფნის მონაკვეთში), ნაკლულობის განცდას ტოვებდა ადამიანში ამ გაშუალებული კავშირებით, მათი პირობითობით და უნაყოფობით – გაწელილ სევდას ცხოვრების ქმნაში და აღქმაში, დაგროვილს მათში.. ეს დაშორიშორება ქვეყანასა და ზეყანას შორის, მიუწვდომლობა ზენარის მკვეთრდებოდა და მატულობდა საუკუნეთა სვლაში და გზა-კვალს კარგავდა თანდათანობით წუთისოფლის შეუჩერებელ მდინარებაში...

– კიდევ უფრო დიდი იყო ღმერთის წასვლით გამოწვეული გულისტკენა, პალიკო, იმის შეგნება, რომ უფალმა უბრალოდ კი არ დატოვა დედამიწა, ჩვენი პლანეტა, არამედ მიატოვა ადამიანიც, მისივ შექმნილი და სულჩადგმული!..

– ის ნელინელ ცხადდებოდა, პალიკო, ეს ტკივილი გულის სიღრმეში, მისი კედლების შიგნით, გაუყუჩებელი, მოუშუშებელი; იმის შეგრძნება, რომ ობოლივით ხარ დარჩენილი ცხოვრების ველზე, რეცა ეულად წუთისოფელში... და ის სულ უფრო მძაფრდებოდა და ძლიერდებოდა, ეს განცდა ობლობის და ეულობის!. სიბრაზეშიც გადადიოდა, პალიკო, თანდათანობით, გულმოსულობაში, თავგამოდებულ ძიებაში ნათესავების, ჯერ დედამიწაზე (მის კიდეგანეში და გარდასულ ჟამებში), მერე კი ცაში, კოსმიურ მღვიმეში, სადაც მიაპყრო ადამიანმა იმედის თვალი და დაიწყო სიცოცხლის ძებნა, სხვა არსებების, თუნდაც სხვა ფორმის და აღნაგობის, სრულიად უცნო მოყვანილობის: ვინმე სულდგმულის, გინდ მტრობის გზნებით გადავსებულის, ოღონდაც ცოცხლის, რამ სულიერის!!. თან ბოღმა ემა-

ტებოდა, პალიკო, ბრაზი, იმედგაცრუაება ყოველ ახალ ჯერზე – მამაზეციერის მიმართ, მისი მშობელის...

ეს მიუწვდომლობა, კავშირის დაკარგვა მამაზეციერთან და გულისტკენა, ეულობით მოწეული, გაუსაძლისს ხდიდა ცხოვრების დინების მიყოლას ნებად და სოფლის ტრიალის დევნას უკვალო სივრცეში.. მისმა სიმძაფრემ თავის ზღვარს აღორძინების ხანაში მიაღწია: როცა ადამიანმა სცადა ერთიან მოეხილა გავლილი გზა და გარდახდომები, საბოლოოდ გაერკვია ურთიერთმიმართება მისი და ზენარის; როცა ადამიანები უშუალოდ ესიტყვებოდნენ ზეცის ბინადართ, უბნობდნენ მათთან, ეხმიანებოდნენ (ამა თუ იმ გზით), ცდილობდნენ პირდაპირ გაერკვიათ ურთიერთობები ღვთაებრივ დასთან და მის წევრებთან, შუამავლების გარეშე, თავისი გზნებით და ძალისხმევით!.. სწორედ მაშინ (და ამის შედეგად) დაიწყო ადამიანმა საკუთარი სამყაროს შექმნა და შეწყობა, ახალი ქვეყნის შენება დედამიწაზე და მასზე მომართვა ცხოვრების სვლა-გეზის: ღმერთის გარეშე, მისი შეწევნის.....

ძნელი იყო ამ პროცესის დაძვრა და წარმართვა, იმავე გარემოში, ადამიანეთში, სადაც ხალხში კიდევ იყო ღმერთის მოშიშობა და მისი მოლოდინი გაუნელებელი.. ამან თანდათანობითი განყოფა მოიტანა მერმისის მშენებლების და დანარჩენი ხალხის (ჩვეულებრივების: ძველი ღირებულებების და ცხოვრების წესების გამტარებლების), გაუცხოვება ერთმანეთისგან, დაძაბული ურთიერთობები... მან განსაკუთრებულ სიმძაფრეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მიაღწია, რაც ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა შემდეგ დროებაში!.. გზამკვლევი ხაზი აქ ზ ე კ ა ც ი გახდა, დედამიწაზე აღსაზევებელი; ამოსავალ წერტილად ცნობა მიიღეს (ნიცშეს მოწმობით), რომ „ღმერთი მოკვდა!"; ძირითადი თეზისები ამცნობდნენ ქვეყანას დამატებით: რომ

„ღმერთი მკვდარია: ადამიანისადმი სიყვარულმა მოკლა ღმერთი... ის უნდა მომკვდარიყო: ის იხედებოდა თვალებით, რომელნი ყოველს ხედავდნენ... მისმა სიბრალულმა სირცხვილი არ იცოდა: ის უბილწეს კუთხეებში მოძვრებოდა... ღმერთი, რომელი ყოველს ხედვიდა, ადამიანსაც: ეს ღმერთი უნდა მომკვდარიყო! ადამიანი ვერ აიტანს ამგვარი მოწმის სიცოცხლეს... ის ბუნდოვანიც იყო, ... რისთვის არ ლაპარაკობდა უფრო მკაფიოდ?.."; რომ

„არის ძველი შეშლილობა, მას სიკეთე და ბოროტება ეწოდება... კეთილი და ბოროტი მხოლოდ ლტოლვილი ჩრდილები და სველი სევდა და მგზავრი ღრუბლებია... ვინღა მოეკიდოს „სიკეთესა" და „ბოროტსა"?.. შემუსრეთ, შემუსრეთ ძველი ფიცარნი!..

ერიდე ქველთა და მართალთა!.. ერიდე წმიდა უბრალოებას!.. ერიდე შენი სიყვარულის ჟინს... მღვდლები: იგინი ჩემი მტრებია... მან, რომელსაც იგინი მხსნელს უწოდებენ, მათ ხუნდები დაადო, – ხუნდები ცრუ ღირებულებათა და ამაო სიტყვათა... ლოცვა სამარცხვინოა!.. არა სიყვარული სნეულთა და დაბნეულთა..."; რომ

„ზეკაცი მიწის აზრია... ახალ ღირებულებათა აღმომჩენთა ირგვლივ ტრიალებს ქვეყანა... ჰქმენით რაც გსურთ... ნუ დაინდობ მოყვასსა შენსა! ჰხამს ყოფა

ახალ კეთილშობილთა... არა უკან იხედებოდნენ თქვენნი კეთილშობილნი, არამედ წინ!.. გიყვარდეთ ქვეყანა თქვენი შვილებისა... თქვენი შვილებით გამოისყიდეთ მამათა თქვენთა შვილობა... რაც ძირს ეცემა, ხელიცა ჰკარ!..

თვით ეკლესიებიც მიყვარს და ღმერთის საფლავები, ოდეს მათი დანგრეული თაღების ცა ნათელი თვალებით იცქირება: მიყვარს, მზგავსად ბალახისა და წითელი ყაყაჩოსი, დანგრეულ ტაძრებზე ჯდომა... იცინოდე, იცინოდე, ჩემო წმინდა, ჯანსაღო, ბოროტება!.. ჩემი უკანასკნელი ცოდვა ... – სიბრალული!.. ხოლო ჩვენ არა გვსურს სასუფეველი ცათა: ... გვსურს სასუფეველი მიწისა...“; რომ

„აწ უსაშინელესია მიწის გმობა... „საიქაო“ სრულიად ფარულია ადამიანისგან, იგი უკაცო, უადამიანო ქვეყანაა, რომელი ზეციური არარაობაა... მიწიერი სიქველეა, რომელი მე მიყვარს... და რასაც ქვეყანას უწოდებთ, იგი ჯერ თქვენს მიერ ქმნილი უნდა იყოს... ყველაფერი წარხდება, ამად ყველაფერი ღირსია წარხდომად!.. ვეძიებ მიწის ბედნიერებას...“; რომ

„ადამიანი თოკია ცხოველსა და ზეკაცს შორის – თოკი უფსკრულის ზედა... საცდელი იყო ადამიანი... ადამიანი რამეა, რომელი ჯერ არს ძლეულ იქმნეს... „მე“-ა ზომა და საფასი ყოვლისა... ჩემი მე ადამიანის დიდი მძულვარებაა... ნაკლები სიამოვნება უნახავს ადამიანს: ეს არის მხოლოდ ჩვენი დასაბამი ცოდვა... მყობადის ხეზე ვაკეთებთ ბუდეს...

ადამიანთა საზოგადოება: ესე ცდაა... ცდა, ჰე ძმებო! არა „აღთქმა!“ შემუსრეთ, შემუსრეთ სიტყვაი ესე ჩვილ გულთა და ორჭოფთა!.. კეთილთა რეგვენობა უძიროდ გონიერებაა!.. შემუსრეთ, შემუსრეთ კეთილნი და მართალნი!.. ბოროტება ადამიანის უკეთესი ძალაა... ჭეშმარიტად ბოროტისათვისაც არის მყობადი... მე მახარებს დიდი ცოდვა, ვით ჩემი ნუგეში...“; რომ

„ახალს ნებას ვასწავი მე კაცთ... უკეთუ ხართ ერთიანი ნების მსურველნი და ყველა საჭიროების შეცვლას აუცილებლობას უწოდებთ, იქ არის წყარო თქვენი სიქველისა... ნება იხსნის: ასეა ჭეშმარიტი მოძღვრება ნებისა და თავისუფლებისა... შორს ღმერთისა და ღმერთებისგან, ...: რაღას შექმნიდი, უკეთუ ღმერთები იარსებებდნენ... იგი ჩემი ნებაა: მდუმარე და უდრეკი ელის იგი წლებსა, გულქვაა მისი გრძნობა და უკოდველი... სურვილი გვიხსნის...“; რომ

„მტერი ვარ სიმძიმის სულისა... სხეული დიდი გონებაა... „მე“ მეტყველებს სხეულიდან და კვლავ სხეული ჰსურს... მრავალი სნეული ხალხი იყო მარად, რომელნი ოცნებობენ და ღმერთს ეძიებენ... აღივსო ქვეყანა ზედმეტებით... დიდ ხანს არ დაყოვნდება, აღმოცენდება ახალი ხალხი... რჩეული ხალხი აღმოცენდება – ხოლო მისით ზეკაცი“.....

– როგორ შინებიათ, თურმე, საზვერეების და განკითხვის ჟამის „მყობადის მშენებლებს“, პალიკო, რომ (მათგან თავის დასაღწევად) ღმერთის სიკვდილიც კი მოიგონეს: აუხდენელი ამბავი, მოვლენა წუთისოფელში, რამეთუ ღმერთი უკვდავებასაც ნიშნავს თავისთავად და მისი მოკვლა, მისი მოკვდინება შეუძლებელია საერთოდ, მეტადრე რომ თვით დრო-სივრცესაც (რაშიც იშლება მთელი სამყარო და მისი ბადე) იგივე შემოქმედი ქმნის და თვითვე განაგებს!. შეიძლება ილაპარაკო ღმერთის არსებობაზე ან არარსებობაზე, პალიკო, მაგრამ მის სიკვდილზე

ლაპარაკი და მასზე განსჯა (თუკი არსებობს უფალი) უაზრობაა სათავეშივე, თავის ფუძეში...

– როგორ ვერა ჰგუობს, ვერ იტანს თურმე ეს ხალხი იმას, რომ უფალი ყოვლის მჭვრეტელია, პალიკო, და არა რჩება მისგან დაფარული!. საიქიოც მოუძულებიათ (მათი საიქაო) ამის გამო და ზენარსაც ემიჯნებიან თავგამოდებით! – სააქაოთი უნდათ მოფარგლონ ცხოვრება მთელად, პალიკო, და აქვე ეძიონ საკუთარი ბედნიერება და მარადისობის გზა-კვალი...

– სიკეთე და ბოროტება გამოიკვეთა მთავარ ზღუდედ და დაბრკოლებად ამ ხალხისათვის, პალიკო, მათი თემისთვის: ცოდო-მადლის გარჩევა, მისი სასყიდელით და მისი სასჯელით; მისი ცხოველყოფა სოფელში დღემდე და ჯერაც არსებული ზნეობის ფარგლები, თავის აშვების ნებას რომ არ აძლევს ბოლომდე მათაც და მაინც ინარჩუნებს (ასე თუ ისე) ცხოვრების წესრიგს!.

– ამავე რიგის წინაღობას წარმოადგენენ მათ გზაზე, პალიკო, კიდევ შერჩენილი ქველნი და მართალნი, უბრალოები და სიყვარულით მცხოვრებნი, მეტადრე ეს მღვდლები და მორწმუნენი, მათი აღმასვლის პირდაპირი მტრები და შემაფერხებლები: ამდენი ზედმეტი ხალხი ქვეყნად, საწუთროდან მოსაშორებელი და მოსაცილებელი!..

– და მაინც წარმოუდგენელია, პალიკო, გაუგებარი, „მყობადის მშენებლების“ ესოდენი ზიზღი ეკლესია-მონასტრებისადმი, ძველი სიწმინდეებისა და სიტყვებისადმი, ზღვარგადასული სიძულვილი და გაუტანლობა ჩვეულებრივი („პატარა“) ადამიანების, დაუოკებელი სურვილი ყველა არსებულის მოსრის და მოშთობის, პირისაგან მიწისა მათი აღგვის და გაქრობის, მათი წარხდომის!!. იმდენად დიდია, ჩანს, მათში შიში უზენაესის, რომ მზად არიან, პალიკო, მისი ყველა კვალი გააქრონ ქვეყნად, ყველა ნიშანი, ოღონდ კი გათავისუფლდნენ ამ შიშისაგან, ძრწოლას რომ იწვევს და გათოშვას მათი სხეულების!..

– ისე გამოდის, პალიკო, უცნაურად, რომ სწორედ მათ სჯერათ ყველაზე მეტად მაღალი ღმერთის: მისი არსებობის და მოსილების, ყოვლისმომცველობის და შემძლეობის: ასეთ უკიდურესობებამდე რაღაი მიდიან, დაუფარავად, ღიად და გახსნილად, სრულიად პირდაპირ, გამოცხადებულად, დიდი ბრძოლებისთვის გამზადებულები!!. ...

– და აქვე ჩნდება ზეკაცის ხატებაც, პალიკო, როგორც საპირწონე და შემნაცვლებელი მიწაზე ცოცხალი ღმერთის!. თუმც მის მოსვლამდე (რიგის მიხედვით) ჯერ ახალი ღირებულებები წარმოჩინდება, დადგინებისთვის გამწესებული: ჰქმენი რაც გსურდეს; ნუ დაინდობ მოყვასსა შენსა; რაც ძირს ეცემა, ხელიცა ჰკარი; წმინდა, ჯანსაღი ბოროტება – უკეთესი ძალაა ადამიანის; შორს ღმერთისა და ღმერთებისგან; არა სასუფეველი ცათა, არამედ სასუფეველი მიწისა; მიწიერი სიქველე მხოლოდ და ყველგან; ყველა არსებული ღირსია წარხდომის; მარტოდენ მიწის ბედნიერება; დიდი მძულვარება ადამიანის; მყობადის ხეზე კეთდება ბუდე; ყველა საჭიროების შეცვლა აუცილებლობაა მყობადის; მდუმარე, უდრეკი, გულქვა, უკოდველი ნება; დიდი გონება – ჩვენი სხეული; რჩეული ხალხი; ახალი კეთილშობილება; ახალი კეთილშობილები...

ყველა ამის განხორციელებისთვის და განსხეულებისთვის, ზეკაცის მოსვლისთვის, სადაგი ნიადაგის მომზადება და გაწყობა იყო უწინარესად საჭირო: ახალი რჩეული ხალხის გამოყვანა-აღმოცენება, მათი ცხოვრების მდინარებაში შეყვანა, ჩანერგვა და ახალ კეთილშობილთა მათგან გამორჩევა; ძველ ღირებულებათა და წმინდა სიტყვათა აგდება-გაბიაბურება, არსებული ჩვევების და ქცევის წესების, შეხედულებების და წარმოდგენების გაუფასურება – ყველა მიღებულის და ღირსად ჩნეულის დამდაბლება; ჩვეულებრივი ადამიანების დამცრობა და დამცირება, მათი რაობის და სახეობის დაკნინება – ადამიანის (როგორც ასეთის) მოძულება; ახალ ღირებულებათა წარმოჩენა და შემოტანა ქვე-ყანაში, მათი დადგინება და დამკვიდრება ადამიანებში; მიწის სიქველის ხატის და ხიბლის გამოვლენა და გამოკვეთა ადამიანეთში; მქმედი ნებისთვის პატივის მიგება და ასპარეზის გაჩენა საწუთროში; მერმისის ქმნაზე ცხოვრების მომართვა და მისი დღენიადაგ თესვა-გაღვივება: გაუნელებლად, მიზანმიმართულად და თანმიმდევრობით.....

და ეს პროცესიც მალევე დაიწყო, არ დაუყოვნებია და გზნებით გაიშალა: ყველა არსებულის, წარსულიდან გადმოყოლილის ძალის დატანებით და მოკიდებით მოშლა და მოშთობა; მათი აწმყოდან მოცილება და მოშორება და სხვა ცხოვრებისთვის, მომავლისათვის ასპარეზის გაწმენდა, მოსუფთავება და მითვისება!..

მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი დაიხარჯა ადამიანეთის ამ გარდაქმნაზე, გაისარჯა მკვიდრად: დიდი აღტყინებით, მძვინვარებით და გაშმაგებით, დაუნდობლად, უშურველად და დაუნანებლად!.. მისმა აფოფრილმა რევოლუციებმა ქარიშხალივით გადაუარეს რუსეთს და გერმანიას, ქარაშოტივით დააცხრნენ მათ, მიწასთან გაასწორეს ერთიანად; ორი მსოფლიო ომი დაემატა ამას, მთელ დედამიწას რომ დაეცა თავს, გადაქელა და გადათელა ირგვლივ ყველაფერი და კაცობრიობის მეტი ნაწილიც ჩაითრია ამ გაუკვალავ აღრევასა და ორომტრიალში!!. ყველა მოსრეს და მოსპეს, დაარბიეს და დააქციეს ამ მოვლენებმა, გაანადგურეს ძირფესვიანად, სუყველას მისწვდნენ, ვინც იმდროინდელი საშუალებებით მოიწყვლებოდა და მოიშთობოდა და ყველას მიადგნენ, რაც (და ვინც) იმჟამს წარმოჩნდებოდა და ქმედითობას გაამჟღავნებდა...

ზეკაცებიც გამოჩნდნენ ამ დროს სარბიელზე (ჰიტლერი, სტალინი, ჩერჩილი, მაო ძედუნი...), მაგრამ ამას არ შეუცვლია თვისობრივად ცხოვრების სახე და ხასიათი, ადამიანური ურთიერთობები და მიმართებები: იგივ ჭიდილი და პაექრობა მხარეების, პირისპირობა გაუნელებელი; ერთნი წესიერნი და სვინდისით მოქმედნი, მეორენი უწესონი და ყველას მკადრებლები; საქმის მცოდნენი, ერთ მხარეს, მომზადებულები, და უმეცრები იქით, გაუწვრთნელები; თავისიანები, აქეთურები, და იმათები, იქაურები; შეურიგებელნი და გაუტანლები, და დამთმენები და მიმღებლები; წესების გარეშე ბრძოლის მიმდევრები და წესების ფარგლებში მეომრები; ერთგულები და უღალატონი, საიმედონი, და ფიცის გამტეხები და გამყიდველები; გმირები და ვაჟკაცები, და მხდალები და ჯაბანები; ბრძოლის ველზე ბოლომდე მდგომნი, შეუპოვრები, და ბრძოლის ველიდან გაქცეულები და გაპარულები; გამარჯვებულები და დამარცხებულები, უბრალოდ ომში მოხვედრი-

ლები; მოგებულები და წაგებულები; გადარჩენილები, სამშვიდობოს გამოსულები, და დაღუპულები, საიქიოს გადასულები; მოზეიმენი და გახარებულები, და მგლოვიარენი და დამწუხრებულები; სახელიანები, ჯილდოსნები, და სახედაკარგულნი და დასჯილები; აღზევებულები და აღტყინებულები, და დამცრობილები და დაცემულები; უბრალო ხალხი, იქით და აქეთ, სხვადასხვა მხარეს, ჩვეულებრივები...

– ისინი ვერ ჩაჯდნენ ნიცშეს ხატებაში, პალიკო, ეს „ზეკაცები“ (ამ ჯერზე მაინც), მის სისტემაში და განრიგებაში: ვერც მიზანმიმართებებით, ვერც მისწრაფებებით.. მათ არ უცდიათ ახალი სამყაროს შექმნა დედამიწაზე, ახალი ქვეყნიერების; უბრალოდ ბატონობა უნდოდათ რაც შეიძლება მეტ ნაწილზე დედამიწის და მისი განკარგვა თავის ნებაზე: ამას ცდილობდნენ მთელი ძალღონით და ყველა არსებული და არარსებული საშუალებით!. სწორედ ამით განსხვავდებოდნენ ისინი სხვებისაგან: თავისი უსაშველო მოწადინებით და ყოვლისმომცველი ძალისხმევით – განუზღვრელი ქმედითობით და გაქანებით!. სხვამხრივ არა ჰქონდათ, პალიკო, ამ დროების „ზეკაცებს“ განსხვავებული ჩვეულებრივი ადამიანებისგან: არც მათი ნიშატით და ხასიათით, და არც სახეობით...

– ჩვეულებრივი იყო ამ „ზეკაცების“ დამოკიდებულება და მიმართებები ერთმანეთთანაც, ურთიერთობები, განსხვავებული იყო მხოლოდ მათი ზომა-წონა, მოქმედებების მასშტაბები და მათი შედეგები.. ანუ: არანაირი თვისობრივი სხვაობა ჩვეულებრივი ადამიანებისგან, შინაარსობრივი...

– ერთი რამ გამოჩნდა, მხოლოდ, ამ დროს, პალიკო, რეცა უმნიშვნელო, მეორადი, სხვათაშორის, მაგრამ ნიშანდობლივი, პროცესის თანმხლები: *ძალის მნიშვნელობა*: როგორც მისი ზომა-წონის, ასევე, მისი ფორმების და სახეობების: როგორც მისი ფლობის, წარმოების და განკარგვის, ასევე ძალის მოქმედებაში მოყვანის საშუალებების: არა ადამიანი თვითონ თუ ზეკაცი, პალიკო, არამედ ძ ა ლ ა თვითონ (თავისთავად), როგორც ასეთი, და მისი ქმედითობის გამოხატულებები!!..

– უკვე მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გამოიკვეთა, პალიკო, „ძალის“ ფენომენის პირველი საცნო ნიშნები, საჩინოები: სამხედრო შეიარაღების გართულებაში; და მეტადრე, ატომური იარაღის გამოყენებაში, რომელმაც აჩვენა, თუ როგორ წარმოუდგენლად დიდია ამ იარაღის (საშუალების, მოწყობილობის) სიმძლავრე და მოქმედების ფარგლები!. ... მასთან შედარებით არღარად ჩანდა, პალიკო, ადამიანი (მთელი მისი შესაძლებლობებით) და არც ეს საარაკო ძალმოსილება თავად „ზეკაცების“.....

ასევე გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და გადავიდა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში: თავისი ბირთვული იარაღის შექმნა-განვითარებით და იმის სულ უფრო მეტად გაცხადებით და გაცნობიერებით, რომ ცოდნა (განსაკუთრებით, სამეცნიერო ცოდნა) მართლაც ძალა ყოფილა, კონკრეტულ მოქმედებებზე, ოპერაციებზე დაყვანადი!.. დროის გადამრთველი აქ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება იყო, 1957 წელს რომ განხორციელდა: მსოფლიო შეძრა ამ ამბავმა, დააბნია, ააფორიაქა თავისი მოულოდნელობით და მჭექარობით, გაუგო-

ნარობით, შიშიც კი აღძრა (აღტაცებასთან ერთად) ერთგვარი ხალხში: ჰქონდა კი უფლება ადამიანს, ასე შორს წასულიყო თავის მცდელობაში!? ხომ არ გადადის იგი დასაზღვრულ ფარგლებს, აკრძალულ ზონაში ამგვარი ქმედებებით!?. ...

და გაფაციცდა დედამიწა, დატრიალდა, გადაწყობა დაიწყო ადამიანურ-ზეკაცურ მყობადზე მიმართებიდან ძალის ფენომენის ამოქმედებაზე თავისი ძალისხმევის მომართვისაკენ, წარმოსახვითი მომავლიდან ქმედით აწმყოზე გადართვისაკენ!.. და დაიწყო, შესაბამისად: ცოდნის ქმედებაში გადაყვანის მეთოდების, ტექნიკების, საშუალებების, მიდგომების, ალგორითმების, ოპერაციული სისტემების, პროცესების ფორმალიზების მოდელების უკვე არსებული ნაკვეთების მოძიება, შეკრება, დაფასება, გამართვა და დალაგება – ცოდნის ტექნოლოგიზების სისტემების განვითარებისთვის სათანადო ნიადაგის მომზადება...

ასეთი იყო მეოცე საუკუნის 60-იანი წლები, მთელად და სრულად – ადამიანურ-ზეკაცურ ფენომენზე ფოკუსირებიდან ძალის ფენომენზე გადასვლის და გამახვილების გარდამავალი პერიოდი.. ... უზარმაზარი ცვლილებები მოიტანა მან, რომლებიც ადამიანეთის ცხოველყოფის ყველა მხარეს შეეხო თანადათან, თანმიმდევრობით, დაწყებული განათლების სისტემების გარდაქმნით და „კვლევების და დამუშავებების“ (Research & Development) სისტემების და ფორმების შემდგომი განვითარებით, სადაც ხაზი ესმებოდა თითქოს თავისთავად, რომ ყოველგვარ „კვლევას“ მისი შედეგების შემდგომი „დამუშავება“ (ტექნოლოგიზება) უნდა მოჰყოლოდა აუცილებლობით!..

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში (საკუთრივ, 1969 წელს) დაიწყო აგრეთვე ისეთი (წინა დროისათვის უცნაური) სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაც, როგორიცაა „ტექნოლოგიური პროგნოზირება და სოციალური ცვლილება“ (“Technological Forecasting and Social Change”) და სრული ძალით ამოქმედდნენ „კვლევებისა და დამუშავებების“ ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა „ფიქრის კერები“ (“Think Tanks”)... თვითონ ადამიანის ბედი და გზაკვალი, მისი ცხოვრების ხაზი როგორღაც მეათე ადგილზე გადავიდა ამ პირობებში, ყოველგვარი სპეციალური ძალისხმევის, ვინმეს მოწადინების გარეშე, თავისით და მასთან უმტკივნეულოდ, რამეთუ დროების მთელ ამ გარდაქმნას ისევ ადამიანი ახორციელებდა, თანმიმდევრობით, ღათუ უკანა ხაზზე მოქცეული უკვე, მოვლენათა განვითარების ტალღას აყოლილი და გაკიდებული.....

– ძალიან უცებ დასრულდა, პალიკო, როგორღაც მოკვეცილად, ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით, ადამიანი-ზეკაცის ესოდენ მძაფრი, თითქოსდა ყოვლისშემძვრელი ეპოპეა: რეცა გამორთესო იგი მეორე მსოფლიო ომის დასრულებასთან ერთად ეთერიდან, შეწყვიტეს მისი მაუწყებლობა ადამიანეთში.. ერთი მხრივ, ეს ლოგიკურ დასრულებასაც ჰგავდა მთელი ამ ამბის, რადგან გარდავლილმა რევოლუციებმა და მსოფლიო ომებმა უკვე მოსრეს და გაწყვიტეს, პალიკო, ყველა, ვინც შეიძლებოდა, და მათი მძვინვარებაც უნდა დასრულებულიყო ადრე თუ გვიან, ამ მდინარების; თუმც, მეორე მხრივ, ეს შეიძლება უფრო გვიანაც მომხდარიყო, პალიკო, იგივე ინერციის და ერთურთთან ბრძოლის ჩვევის მოქმედებით წუთისოფელში...

– გადამწყვეტი აქ ატომური იარაღის პირველი გამოყენება იყო, პალიკო: ორი ატომური ჭურვის ჩამოგდება ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე და მათი საშინელი შედეგები, ერთთავ რომ დაზაფრა მთელი დედამიწა!!. როცა ადამიანი პირისპირ დარჩა საკუთარ თავთან (ალბათ პირველად, ისტორიაში), საკუთარი ნაღვაწ-ნამოქმედარით შეძრწუნებული და შეშფოთებული, გაოგნებული!.. აქ უკვე აზრი დაკარგა, პალიკო, ყოველგვარმა ომმა და ყველა ამბავმა წინარე დროების...

– მეორე ამბავი თვითონ ატომურ იარაღთან შეხვედრა იყო, პალიკო, მისი აღმოჩენა (არანაკლები სიმძაფრის და მღელვარების), რომ ასეთი რამის შექმნა შესაძლებელი ყოფილა მართლაც, რომ მართლა არსებობს ეს ატომური, ბირთვული ძალები და მათი ამოქმედებაც კი ყოფილა შესაძლებელი, შესაბამისი ცოდნის ფლობის და გამოყენების შემთხვევაში; უბრალოდ ამას სათანადოდ სდომებია მოპყრობა, პალიკო, დაკვირვებით და ყურადღებით; ყველა დანარჩენი ამბები ბალღობად ჩნდებოდა ამ ახალ გზასთან შედარებით: ეს დახარჯული ათასწლეულები...

– ორ ათწლეულზე მეტი დრო დასჭირდა, პალიკო, ადამიანს ყველა მომხდარის გადახარშვისთვის, გადააზრებისთვის, არსებული სისტემების და პროცესების, საკუთარი თავის გადაწყობისთვის და მომზადებისთვის: ახალ რეალობაში გადასვლისათვის.....

70-იანებით დაიწყო ახალი დროება; პირობითად მას შეიძლება „ზღაპრები ძალაზე“ დაერქვას (კასტანედას სიტყვარის დასესხებით)... აქ ცოდნის და ძალის ურთიერთგადაბმა შეადგენდა ყველაფრის საფუძველს, რომლის დაყვანა ხდებოდა წყობილ, სათანადოდ ალგორითმიზებულ მოქმედებებზე სხვადასხვაგვარი პრაქტიკული თუ ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტისთვის: შესაბამისი ტექნიკების, ხერხების, მეთოდების, ოპერაციული სისტემების და პროცესების, ფორმალიზების მეთოდების გამოყენებით, ანუ – არსებული თუ ახლადმიკვლეული ცოდნა-ძალის შესაბამის ტექნოლოგიებში გადაყვანის და ამოქმედების გზით... ამ პირობებში უკვე “know-how”, (იგივე, „ვიცი-როგორ“) წარმოდგა საკვანძო, გასაღებ სიტყვად დამდგარი დროების გზამკვლევად, მის უკან შესატყვისი „ვიცი-რატომ“ ცოდნის გულისხმობით და ძალმოსილებით...

დიდი აღტყინების ხანა იყო ეს, ათასნაირი “know-how”-ს ქმნასა და მათი მიყენებით ამდენადვე ბევრი და მრავალნაირი (დონით, სირთულით, ზომა-წონით, მასშტაბით) ამოცანების გადაწყვეტაში ჩაფლული ადამიანის, რომელიც თითქოსდა პირველად (და, როგორც იქნა) საკუთარი ქვე-ყანის შენებას შეუდგა დედამიწაზე!!. ... ამასთან ერთად, ეს პროცესი სულ უფრო სწრაფდებოდა და მძაფრდებოდა და ზენაყოფიერი ხდებოდა ცოდნა-ძალიდან ტექნოლოგიებამდე და შემდგომ ამ ტექნოლოგიების დანერგვამდე მანძილის, დროის მსწრაფლ შემცირებასთან ერთად და შესაბამისი პროცესების სულ უფრო მზარდი ავტომატიზების ჯერად.. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ პრინციპულად გადაუწყვეტელი ამოცანა თითქოს აღარც ჩანდა საწიერზე; საკითხი იყო მხოლოდ, როდის მოხდებოდა ეს, შედარებით რთული (თუ ძნელი) ამოცანების გადაწყვეტა: ხვალით თუ ზეგ თუ რომელიღაც შემდგომ, არცთუ ძალიან შორეულ ჟამს, გარნა მაინც მიწვდომად მერმისში...

– დიდი შეჯიბრის, დიდი ჭიდილის ხანა იყო, პალიკო, ეს (მეოცე საუკუნის 70-იანები და 80-იანები): სწრაფობა პირველობისთვის და წინწასულობისთვის სულ ახალი და ახალი, ქმედითი, ინსტრუმენტული ცოდნის წარმოების და მისი ახალ-ახალ "know-how"-ებში და ტექნოლოგიებში განსხეულების გზით, რომლის კვალდაკვალ მოწინავეების და ჩამორჩენილების, თანამედროვეების და სადღაც უკან ჩარჩენილების გამორჩევა ხდებოდა თანდათან ადამიანეთში!. აქ დიდი ტკბობა იყო, პალიკო, ინდულგირება ამ პროცესებში მონაწილიობით და მეტადრე მათში თაურობით (მოწინავეების) და დიდი შური მის უკანა ხაზებში აღმოჩენილების, ბოღმამდე მისული მიმდინარე პროცესების გარეთ, მის მიღმა დარჩენილებში – რეცა ცხოვრებიდან გარიყულების!..

– ასე ხდებოდა, თითქოს ბუნებრივად, პალიკო, თავისთავად ადამიანების დაფასება, დანაწევრება და განსხვავება ამ დროებაში, პროცესად ქცეული ახალი ჟამის მდინარებაში – მისი თანმდევი და მისი წილადი.. შეფასების კრიტერიუმებად „განვითარებულობის" მოგებული დონე და ზომა-წონა განისაზღვრა მაშინ, თავიდან ისევ თავისთავად, ბუნებრივად, შემდეგში უფრო ფორმალური მახასიათებელ-მაჩვენებლების, „ინდიკატორების" შემოღებით, მოწინავეობა-ჩამორჩენილობის შესაბამისი შეფასებით და განრიგებით და მითვე დაიწყო, პალიკო, ქვეყნების დაფასოება განვითარებულ, განვითარებად და მესამე სამყაროს ქვეყნებად, შესატყვისი ჩარჩოების მოხაზვით და ქვეყნების საერთო რიგში სათანადო ადგილის და მდგომარეობის მათთვის მიჩენით!..

– დედამიწაზე ყოველთვის ჰქონდა, პალიკო, ადგილი რაღაც დაფასოებას, განსხვავებას სუბიექტების, ყველა ხალხში და ქვეყანაში, კულტურასა და ცივილიზაციაში (მათი მდგომარეობის, სიმდიდრის და ძალმოსილების მიხედვით...), მაგრამ მას ლოკალური ხასიათი ჰქონდა ყოველთვის მაინც და ეს პირველი შემთხვევა იყო, პალიკო, ამ მიმართებით (ამ მხრივ), დაფასოებამ საყოველთაო, გლობალური ხასიათი რომ მიიღო!.. შესაბამისი სუბიექტების (ქვეყნების, მათი საზოგადოებების, ადამიანების...) განსხვავება-განრიგება მათი განვითარებულობის, მოწინავეობა-ჩამორჩენილობის მიხედვით ხდებოდა ამ დროს: რეცა პირველი ნაბიჯი ახალი ხალხის შესაქმეში და საჭირო (სადაგი), შესაფერისი წევრების გამორჩევა-გამოკვეთა მისთვის!. ...

ამას თან ახლდა და მიჰყვებოდა "know-how" პროცესის სულ უფრო მზარდი განვითარება, გაშლა: ერთი მხრივ, მიმდინარე კვლევების ველის მეტად და მეტად გაფართოება და, მის კვალობაზე, მოგებული ცოდნის მასივის სულ უფრო დიდი (და მნიშვნელოვანი) ნაწილის ალგორითმიზება და შესატყვისად ოპერაციონალიზება, ანუ – სულ უფრო მეტი და სხვადასხვაგვარი "know-how"-ს დამუშავება და დანერგვა, ამოქმედება ხდებოდა ამ დროს; და, მეორე მხრივ, თითქმის ყველანაირი (არა მხოლოდ სამეცნიერო) ცოდნის ტექნოლოგიზება და მისი შემდგომი დანერგვა ხდებოდა შესაძლებელი უკვე, მთელი ამ ცოდნა-"know-how" პროცესის ხანგრძლივობის მზარდ შემცირებასთან ერთად!. საქმე იქამდე მივიდა (თანდათან), რომ ნებისმიერ მოვლენაზე, საგანზე, ობიექტზე, ფენომენზე საჭირო მონაცემების მოპოვება-მოგროვების მექანიზმების და მათი დამუშავების მეთო-

დების და საშუალებების ზედმიწევნითი განვითარების შედეგად, არსებითად უკვე ყველანაირი ინფორმაციის ცოდნად გადაქცევა შეიძლებოდა და მისი შემდგომი ტექნოლოგიზება, შესაბამისად: მოგებული ინფორმაციიის "know-how"-დ გადაქცევა და მისი შემდგომი დანერგვა-ამოქმედება!!.. მეტადრე საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) განვითარებამ შეუწყო ხელი მოვლენების ამგვარ მდინარებას, მას გაუხსნა გზა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფქმედების და სიმძლავრის განუწყვეტელი ამაღლების თანად...

ყოვლისშემძლეობის წარმოდგენა და განცდა შემოდიოდა ადამიანეთში ისევ, რომაელებმა რომ დაიჩემეს და გაითავისეს პირველად, ადრე, თითქმის 2000 წლის წინ: შემოდიოდა როგორღაც ირიბად, თითქოს უკანა კარიდან, მაგრამ თანმიმდევრობით... დიდი სხვაობა იყო მათ რაობაში და სახეობაში, მათ ხასიათში და შინაარსში, მათ ხატობაში: რომაელების „ყოვლისშემძლეობა" მთლიანად ადამიანის ქმნილება იყო, რომის მიერ განსხეულებული და ხორცშესხმული – აქ ადამიამანი იყო აუცილებელი პირობა და სუბიექტი, მისი უშუალო შემოქმედი, რის დასტურადაც რომი ქმედებებით ამტკიცებდა, რომ ადამიანისთვის დაძლევადია შეუძლებელიც!!. მისგან განსხვავებით, მეოცე საუკუნის ბოლოსთვის მოგებული „ყოვლისშემძლეობა" ცივილიზაციური ქმნილება იყო უფრო, მისი ნაღვანი, რომლის შექმნაში ადამიანიც მონაწილეობდა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ცივილიზაციურ მექანიზმებს და საშუალებებს ჰქონდათ უკვე მოგებული: კვლევებს და დამუშავებებს, ქმედითი ცოდნის წარმოების სისტემას, მთელ მსოფლიოში რომ იყო გაშლილ-განფენილი; და ამგვარი ცოდნის ქმედებამდე მიყვანის პროცესს – მისი ტექნოლოგიზების და დანერგვის გამართული ხაზით... ესა ხდებოდა აქაც და იქაც, მასში მონაწილეობდნენ ესენი, ისინი: მთელ დედამიწას ესიტყვებოდა ამ დროებით მოწეული „ყოვლისშემძლეობა"!. განსხვავებული იყო მისი გზავნილიც, ფუძე-დებულება, რომელიც ამბობდა თავმოწონებით, რომ წუთისოფელში შესაძლებელია ყველაფერი და არა არის მასში დასაზღვრული!!. რომ უსაზღვროა აქ ასპარეზი და გასაქანი თვით წარმოუდგენელი, გაუგონარი მოვლენებისთვის, გარდახდომებისთვის, მიღწევებისთვის და არღა არის ქვე-ყანაში დაუშვებელი, რამეთუ აქ „შესაძლებელია ყველაფერი" და მის ფარდად და ჯერად და შესატყვისად – „დაშვებულია ყველაფერი".....

– და დრო გაჩერდა, პალიკო, გაშეშდა აწმყოში; წინ კიდევ უსაზღვრო სივრცე გადაიშალა, განუსაზღვრელი შესაძლებლობებით და მათი მოგების უთვალავი გზებით, ზღვარგადასული აღტყინებებით და დაუოკებელი თამაშის გზნებით!!..

– აქ ადამიანი მეორად არსებად წარმოდგა, პალიკო, უკვე, როგორც ასეთი, მთელი მისი ნიჭებით და უნარებით, ბრძოლისუნარიანობით და შეუპოვრობით, სიცოცხლის ნაკვესით, რადგან ის ცოტას საზღვრავდა და ცოტას წყვეტდა ამხდარ ცხოვრებაში, მის დადგინებაში, რამეთუ მოვლენათა განვითარება თვითორგანიზებადი პროცესის ჩარჩოში მოექცა უკვე და ადამიანზე ცოტა რამ დარჩა დამოკიდებული მის განფენაში: ის აღარას წყვეტდა და ვერას იჩემებდა სოფლის ტრიალში...

– ზედმეტი გახდა თითქოს, პალიკო, ამგვარ ცხოვრებაში ეს არას შემძლები ადამიანი და რეცა მოვიდა კიდეც იმ ნიცშესეული „ახალი ხალხის" აღმოცენების

შესაფერისი დრო და მისი სადაგი ჟამი და ნიადაგი!?.. და მართლაც, მალევე დაიწყო, პალიკო, ახლებური გამორჩევა ადამიანების, მათი ჯგუფების და ერთიანობების, ფოკუსირებით „უმცირესობებზე“, მათი ეთნიკური, ღირებულებითი თუ სექსუალური მიკერძოების ნიშნით!.. მათგან შემდგომში რჩეულები გამოიკვეთნენ (თანდათან), “LGBT” თემის წარმომადგენლები, და მათგან კიდევ, შემდეგ ჯერზე, ამოვიდნენ ახალი კეთილშობილები, „ტრანსჯენდერები“...

– და მოვლენების საერთო განვითარებაც იმავე ხაზს მიჰყვებოდა, პალიკო, მეტადრე მიმდინარე პროცესების ციკლური სისტემების (პოლიტიკის ციკლის; პროგრამის ციკლის; პროექტის, ანუ უშუალო ქმედებების ციკლის...) ჩარჩოში მოქცევის შემდეგ, სისტემების, რომლებიც ერთმანეთთან არიან გადაბმულები და აგრძელებენ ერთურთს, ერთ მთლიან სხეულოვნებას ქმნიან მათი ძალისხმევით: ისინი ძრაობაში არიან ერთთავად, ქმედებაში, გარნა ერთიანობის დაურღვევლად და დაუკარგავად!.. დეკლარირებული (თუ ნამდვილი) ამოცანების ასე თუ ისე გადაწყვეტის შემდეგ, ამ სხეულოვნების და მისი მდგენელი სისტემების გადახალისება ხდება ჩვეულებრივ, მათი ფუნქციონალობის და ერთმანეთთან გადაბმულობის შენაჩუნებით (შემდეგი რიგის ამოცანებზე გადართვის წილ).. მას კიდევ შემდეგი მოჰყვება მერე, და კიდევ შემდეგი, და კიდევ სხვა, სანამ ეს საჭირო იქნება, პალიკო, გაგრძელდება, და თვითონ ეს პროცესიც, ციკლური სისტემებით გაწყობილი და გამართული, ისიც მეორდება და მეორდება, სხვადასხვა სახით და სხვადასხვა იერით, გამეორდება და გამეორდება: ვიდრე არ მოგწყინდება და არ მოგბეზრდება..

– და ადამიანიც აქვე იკარგება, პალიკო, ამგვარ სისტემებში და პროცესებში მოქცეული და გამომწყვდეული, იხაფრება, რადგან აღარა აქვს დიდი მნიშვნელობა მის კომპეტეციებს, ნიჭს და უნარ-ჩვევებს, ცოდნა-გამოცდილებას და შემართებას: რამეთუ ეს განმეორებადი და განმეორებადი პროცესი და მისი ციკლები ყველაფერს იტანს და ყველაფერს ირგებს; რამეთუ ის არ ჩერდება და მაინც მიდის, რაღაცას აკეთებს გაუთავებლად და მისთვის სულერთია, თუ შენ ვინა ხარ, რისი თავი გაქვს, რა განგასხვავებს სხვისგან – ის მაინც მოქმედებს, იღვწის!. აქ პიროვნების ინდივიდუალურობა, თავისებურება უფასურდება, ერთმანეთს ემსგავსება თანდათან ყველა, ერთნაირდება...

– და მაინც საოცარია, პალიკო, როგორ წყობილად მიჰყვებიან ახალი დროების შემოქმედნი ნიცშეს მოძღვრებას და განრიგებას: ამდენი ხნის და გარდახდომების, ამდენი წყლის ჩავლის შემდეგ!.. ერთია, მხოლოდ, უკვე დედამიწასაც ვერ სჯერდებიან: კოსმოსზე უნდათ, სამყაროზე განავრცონ თავისი „ქვეყანა“ და მისი განაწესი, მთელი „სააქაო“ დაიუფლონ და მოიცვან მისით...

„ყოვლისშემძლეობის“ სხეულოვნების, ქსოვილის გაშლა მეოცე საუკუნის 90-იანებში დაიწყო, მისი ნაბიჯების თანდათანობითი აჩქარებით და ძალმოსილების განვრცობით.. რამდენადაც ყველანაირი ცოდნის მოპოვება და მისი ტექნოლოგიზება (ქმედითობამდე მიყვანა) სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა და ნაკლებ დროს ითხოვდა, ცოდნის ძალა უკვე უშუალოდ ცხოვრებაში შემოდიოდა, ცვლილებებს იწვევდა მის მიდამოში, სხვადასხვა ველში და სხვადასხვა არეში,

თვალდათვალ, შეუჩერებლივ... აქ წინა პლანზე ტექნოლოგიები გამოდიოდა დროთასვლაში, ისა ხდებოდა მთავარი მექანიზმი (პროცესის გამწევი) და ტექნოლოგიებსვე ხვდებოდა უკვე პირისპირ ადამიანი, თუმც კი მათ უკან შესაბამისი ცოდნა იგულვებოდა და იგულისხმებოდა ყოველთვის.. ახალი ტექნოლოგიების შემოსვლა, მათი გამოჩენა ველზე ჩვეულებრივი ამბავი გახდა ცხოვრების მდინარებაში და მისით მოტანილი ცვლილებებიც გარჩევადი ხდებოდა ცხოვრებაში (სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა კვალედში) და მოვლენათა ამგვარ განვითარებას მოყოლილი ოცდამეერთე საუკუნეც ტექნოლოგიების საუკუნედ აღიქმებოდა უკვე, თავისი ხასიათით და შინაარსით: ასე შემოვიდა ის წუთისოფელში...

ეს ყველაფერს ეტყობოდა, ცხოვრების ყველა მხარეს, მაგრამ რამდენიმე მიმართულების, სამოქმედო ველის (როგორც საყრდენი წერტილების) გამორჩევა მაინც შეიძლებოდა მათში.. ესენია: საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელთა განვითარება არ ნელდებოდა და გრძელდებოდა გაუჩერებლივ; ბიოინჟინერია, უფრო დაკვირვებით, მაგრამ თანმიმდევრულად რომ მიიწევდა წინ; ხელოვნური ინტელექტი, თითქოს ფრთხილად, უკან მოხედვით რომ იხსნებოდა, გარნა ისინჯებოდა უკვე და თავის ძალას და მიმართებას ცხადად ავლენდა; კოსმოსური კვლევები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ამ დროებაში, რამეთუ წინ იყო ვარსკვლავ-ცა მუდამ გადაშლილი და საშუალებას იძლეოდა შიგ ჩაგეხედა და გარკვეულიყავი მისი ცხოველყოფის ყველა მექანიზმში, განვითარების პროცესის ყველა განაკვეთში: ვინძლო საკუთარი სამყაროს შესაქმნელი ცოდნის მოსაგებად და გაშეშებული აწმყოს მასში გაშლად და განფენად!..

„საინფორმაციო ტექნოლოგიები“ საერთო პლატფორმას ქმნიდნენ ამ ძალისხმევაში, ყოვლისშემძლეობის პროცესის ყველა მიმართულებით გაშლა-განფენისთვის და მისთვის დაუსრულებელი ხასიათის მიცემისთვის.. ეს ხორციელდებოდა მათი ტექნიკურ-ოპერაციული და პროგრამული საშუალებების განუწყვეტელი გაუმჯობესების და მათი ფუნქციონალური პარამეტრების (მახასიათებლების) ნაკვეთ-ნაკვეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ამაღლების გზით, რაც განუზომლად ზრდიდა დამანიანის შესაძლებლობებს მონაცემთა (საზოგადოდ ინფორმაციის) დიდ მასივებთან მუშაობაში: მათ მოკრებაში, დამუშავებაში, ანალიზში და მიღებული შედეგებისთვის სათანადო პროდუქტის (პროდუქტების) სახის მიცემაში – მათ მოვლა-პატრონობაში.. გარნა ამავდროს, მეორე მხრივ, ამ პროცესის განვითარების კვალად, უსარგებლო ხდებოდა ადამიანის საკუთარი (საუკუნეებში და საუკუნეებში გამოყვანილი) უნარ-ჩვევები მონაცემებთან, ინფორმაციასთან მუშაობაში: ადამიანი, როგორღაც, მეორეხარისხოვანი პირი, სუბიექტი ხდებოდა ამ მიმართებით – უსარგებლოც, პერსპექტივაში!. ...

„ბიოინჟინერია“ ცდილობს, მიბაძოს ბიოლოგიურ სისტემებს, ან კიდევ, გარდაქმნას და კონტროლი გაუწიოს ამგვარ სისტემებს.. მისი ერთი გამორჩეული განშტოებაა „გენური ინჟინერია“ (გენების მოდიფიცირება, სახეცვლილება, მანიპულირება): ტექნოლოგიების რიგი, რომელიც გამოიყენება მოცემული ორგანიზმის უჯრედის აგებულების, სტრუქტურის, შედგენილობის შესაცვლელად გაუმჯობესებული ან ახალი ორგანიზმის შექმნის მიზნით – და ეს ადამიანსაც ეხება,

სხვებისდა გვარად, სრულად!.. ამ მიმართებით, ერთ-ერთ საგულისხმო სამოქმედო არეს „გენური თერაპია“ წარმოადგენს: სამოქმედო ველი, რომელიც ფოკუსირებულია უჯრედების გენეტიკურ გარდაქმნაზე თერაპიული (სამკურნალო) ეფექტის მისაღებად, მათ შორის, სათანადო „გენების ჩანაცვლებით“ (საჭიროებისდა მიხედვით).. ეს მიმართულება კიდევ უფრო შორს წავიდა დღეს, როცა „გენების რედაქტირების“ კონცეფცია და პრაქტიკა შემოვიდა გენურ თერაპიაში, რომლის გამოყენებაც შესაძლებლობას იძლევა, გარკვეული გენური დეფექტის კორექცია (გამოსწორება) მოხდეს, უბრალოდ რაიმე (დაზიანებული) გენის ჩანაცვლების მაგივრად!!..

ეს გენომს ეხება უკვე, რომელიც ორგანიზმის უჯრედში მთელ მემკვიდრულ მასალას ინახავს, მოაქვს ჩვენამდე, და რომლის „კორექციამ“, შეიძლება, ამ ორგანიზმის არა მხოლოდ ინდივიდუალურობა, არამედ თვით სახეობაც შეცვალოს.. „გენების რედაქტირება“ დადებითი (სასურველი) სამკურნალო შედეგის მიღებას ემსახურება დღეს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ის შეიძლება სხვა სახის ამოცანის (ამოცანების) გადაწყვეტასაც მოემსახუროს იმავე გზით და წარმატებით: ტექნიკურად აქ არანაირი პრინციპული სირთულე არ დგება, რადგან შესაბამისი ტექნოლოგიები უკვე არებობს და ახლების დამუშავებაც არა ყოვნდება... „გენების რედაქტირებას“ ადამიანის მიმართაც იყენებენ უკვე, იმავე ნიშნით: სხვადასხვა ავადმყოფობისგან, სენისგან მისი განკურნების მიზნით...

„ხელოვნური ინტელექტი“ მანქანების მიერ გამოვლენილი და გამოჩენილი ინტელექტია; ეს „ინტელექტის აგენტების“ ველია თავისი ხასიათით: სისტემების, რომლებიც აღიქვამენ გარემოს და საჭირო ნაბიჯებს დგამენ თავისი მიზნების მიღწევის შანსების მაქსიმალურად ამაღლებისთვის... თვითონ „ხელოვნური ინტელექტი“, როგორც აკადემიური დისციპლინა შეიქმნა (წინა საუკუნის 50-იანებში); გარდამავალი წარმატებით ხასიათდებოდა მისი განვითარდების ხაზი: აღმასვლის ტალღებით, იმედგაცრუებებით, ახალი მიდგომების შემუშავებითა და მოსინჯვით და ისევ გაგრძელებით, ათწლეულების მანძილზე, გაგრძელებით... დღეს ეს ველი უფრო გამოკვეთილია: მკაფიო მიზნების ირგვლივ იკრიბება და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზეა ფოკუსირებული... „ხელოვნური ინტელექტის“ შესწავლა იმ დაშვებაზე იყო თავიდანვე დაფუძნებული, რომ ადამიანის ინტელექტი „შეიძლება იმდენად ზუსტად აღიწეროს, რომ შესაძლებელი იქნება შეიქმნას მანქანა, რომელიც ადამიანის ინტელექტის სიმულირებას შეძლებს“ – იქნებ მის ჩანაცვლებასაც, შემდგომში..

ეს დამოკიდებულება დღესაც მუშაობს (და უფრო მეტადაც), რაც თავისთავად აყენებს საკითხებს „ხელოვნური ინტელექტით“ მოწეული „ხელოვნური ცხოვრების“ ავ-კარგზე: მის გონებასა და ეთიკაზე, ზნეობასა და მორალზე, ადამიანის ადგილზე მის გარემოში, მეტადრე, თუ მან გაითავისა ნიცშეს დებულება, რომ „სხეული დიდი გონებაა“, ყოვლისმომცველი!. – ვინძლო არ გახდეს „ხელოვნური ინტელექტის“ ირგვლივ და მეოხებით წარმოქმნადი ხელოვნური ცხოვრება ნიცშეს საოცნებო „სააქაო“ ქვეყნის ცხოველმყოფელი, რომელშიც უადგილო და ყავლგავლილი იქნება ყველა ეთიკურ-ზნეობრივი წუხილი და არ იქნება ადგილი და

საჭიროება ადამიანის, მით უმეტეს, რომ უკვე შექმნილია პირველი ცოცხალი რობოტებიც („ქსენობოტები“): სიცოცხლის ხელოვნური ფორმები, ციცქნა ორგანიზმები, რომლებსაც საკუთარი თავის კვლავწარმოებაც შეუძლიათ უკვე, დღეს!!.

„კოსმოსური კვლევები“ განსაკუთრებული ინტენსივობით ხასიათდება, რასაც ორი ფაქტორი განაპირობებს, უწინარესად: ერთი მხრივ, ეს სამყაროს რაობის და სახეობის, მასში მიმდინარე პროცესების და მოქმედი მექანიზმების, სივრცის და დროის ერთურთში გადანასკვის სიღრმისეული შესწავლის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, შეცნობის წყურვილი; და, მეორე მხრივ, ეს კოსმიური მოვლენების და ხდომილებების სიმულირება-მოდელირების და ქმედი მექანიზმების დედამიწაზე (შესატყვის მასშტაბებში) გადმოტანა-ამოქმედების მისწრაფებაა დაუოკებელი!.. საკუთარი, განსხვავებული სამყაროს შექმნის სურვილამდეც შეიძლება მიხვიდე ამ გზით, საბოლოო ჯამში, მეტადრე, როცა არ მოგწონს ზენით მოგებული კოსმოსი შენთვის, მისი წყობილება და აღნაგობა, მისი განაწესი: ხარვეზიანად მიიჩნევ მას... და უკვე გარჩევადია ამ მიზანმიმართების გამოვლენის პირველი ნიშნებიც: საწყისი ნაბიჯები ჩვენი მზის სისტემის ერთ-ერთ პლანეტაზე (იგივე, მარსზე) ადამიანური დასახლების შექმნაზე მიმართული; და გეგმები პლანეტებს შორის ცარიელ სივრცეში (დედამიწასთან ახლოს) ავტონომიური დასახლების, სამყოფელის აშენებაზე და ცხოველყოფაზე განსაზღვრული – აქაც გაურკვეველი რჩება (როგორაც სხვებთან) ბედი „ჩვეულებრივი“ ადამიანების.....

– ასე უცნაურად თუ თავისებურად ვითარდებოდა, პალიკო, მოვლენები ამ ახალ დროებაში, განსაკუთრებით „ყოვლისშემძლეობის“ სხეულის თანდათანობით გაშლასა და ხორცშესხმასთან ერთად.. მას ხელშესახები ცვლილებები მოჰყვებოდა ადამიანის ყოფასა და ყოველდღიურობაში, რაც აადვილებდა მისი მიმდინარე საკითხების და ამოცანების გადაწყვეტას, სასურველი მიზნების მიღწევას, პალიკო, მაგრამ, მასთან ერთად, რაღაც გაურკვევლობაც შემოჰქონდა ადამიანის ადგილზე და რაობაზე მომავალში, რადგან სულ უფრო მეტი ნაწილი მისი ფუნქციების და საკეთებლის მიწყივ განახლებადი ტექნოლოგიების მხარეს გადადიოდა თანდათანობით!..

– ის შეუმჩნევლად შემოვიდა, პალიკო, გაურკვევლობის შეგრძნება ადამიანში, თავიდან თითქოს ანაზდად, გაკვრით, უნიშნო განცდად დღითიდღე სვლაში, მაგრამ არა ქრებოდა და არ ნელდებოდა და სულ მატულობდა დროების კვალში!. თითქოს ადამიანისავე ძალისხმევით იყო მთელი ეს ამბავი გაღვივებული და გაშვებული, „ძალის ზღაპრებით“ აღგზნებული და აღტყინებული და „ყოვლისშემძლეობამდე“ მიყვანილი, გარნა დამცრობას იწვევდა როგორღაც, პალიკო, თავად ადამიანის: თანმიმდევრობით!..

– თითქოს ბუნებრივი იყო, პალიკო, ეს ცივილიზაციური განვითარება და აღმასვლა წუთისოფელში, ადამიანის მოწადინებული და ჩაფიქრებული, მისით სულჩადგმული, მაგრამ თავის ჭკუაზე წავიდა რაღაც წერტილიდან ეს პროცესი, პალიკო, თავის გუნება-განწყობაზე და ჭკუაზე დამდგარი, ადამიანის არად მომკითხავი: რეცა მანქანაო, დედამიწის მომცველი, თავის ნებაზე მოწყობილი და მოგებული!..

– ზედმეტი ხდებოდა ამ გარემოში ადამიანი, თითქოსდა ყველაფრის შემოქმედი, გაუნელებლად, პალიკო, შეუჩერებლივ, დაკარგული ამ დაუმთავრებელ და გაუთავებელ აწმყოში, სულ ახალ-ახალი მანქანების და არსებების გარემოცვაში, მათი ხელოვნური ცხოვრების საუფლოში და სამყოფელში!..

– და ახალი ქვე-ყანის აწყობაც დაიწყო, თვალდათვალ, პალიკო, მისი გამართვა „ციფრული“ ცხოვრებით: ციფრული მონაცემებით, გამოსახულებებით, თვალსაჩინოებით; ციფრული ინფორმაციით, ცნობებით, მედიით; ციფრული ბგერებით და ხმოვანებით, მუსიკით; ციფრული ხელოვნებით და კულტურით, განათლებით; ციფრული აკადემიური სამყაროთი; ციფრული ეკონომიკით, ბაზრით და მარკეტინგით; ციფრული ბიზნესით, ინდუსტრიით და ციფრული მართვით; ციფრული სუბიექტებით, იდენტურობით და უფლებებით; ციფრული მოქალაქეობით, თამაშებით და მსოფლიოთი; ასევე ციფრული ადამიანებით... მის ამოსავალ სიტყვას, პალიკო, “დიგიტ”-ს, ორი მნიშვნელობა აქვს: ციფრი, და, თითი: აქ არვის სჭირდება უკვე „ჩვეულებრივი“ ადამიანი – მისი ადგილი აქ არსად არის...

– ამად შესძახა პოეტმა, პალიკო, ასე გამეტებით: „გადავარჩინოთ მოქალაქეში ადამიანი!“. ის შეიძლება განივრცოს კიდევ: „გადავარჩინოთ ცივილიზაციაში ადამიანი“...

– დაუმთავრებელ აწმყოს შეწყობილი ახალი დროების შემოქმედნი კი აგრძელებენ თავის გნიასს და ნავარდს უსაზღვრო სივრცის კიდე-განეში და ხან აქ ნახულობენ – თხზავენ რაიმეს ახალს, ხან კიდევ იქ, ანუ: „კვლავ ერთხელ“ მუშაობს ხარბად, რომლის აზრია „აწ და მარადის!“ (ნიცშეს მიხედვით) – გამეორება, დაუსრულებლად, აწმყოში მომწყვდეული წუთისოფელის...

– გარნა კოსმიური დრო მაინც მიდის, არა ჩერდება, პალიკო, არცერთი წამით, არცერთი ნვინით და ადამიანიც კიდევ სახლობს დედამიწაზე, სამყაროც ჩვეულ ბორგავს და ბობოქრობს და მომავლისკენ მიქრის!. ის თან მოიტანს მის მორიგ წინარე აწმყოს, მას შეგვახვედრებს დრო-ჟამის კვალში, სად ჩვენც მივიტანთ ჩვენს წილად აწმყოს, ერთად რომ ცხოველვყოთ მყობადი ხვალის.....

ელექტრონული მუსიკა.. ანუ მუსიკა, რომელიც იქმნება ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტებით, ციფრული მუსიკალური ინსტრუმენტებით, ან ელექტრონული მუსიკის ტექნოლოგიის გამოყენებით და შეიცავს ორივე სახის მუსიკას, ელექტრონული საშუალებებით და ელექტრომექანიკური საშუალებებით (ელექტრო-აკუსტიკური მუსიკა) შექმნილს; ანუ მუსიკა, რომელიც კრიბავს და თავს უყრის ერთად სამყაროში არსებულ და არარსებულ ყველა ბგერას და ხმობას და სხვადასხვანაირი და სხვადასხვაგვარი (ურიცხვი, უზღვავი, უშქარი) გათამაშებით და მანიპულირებით ახმოვანებს და აჟღერებს მათ.. მისი შემოქმედი მუსიკოსები: ერთი მხრივ, აგნებენ და ავლენენ არსებულ ბგერებს და ხმებს, მიმობნეულს და მიმოფანტულს სივრცეში, „მინდორ-ველად"; და მეორე მხრივ – თხზავენ და იგონებენ და ფორმას აძლევენ მათ საკუთარი ძალისხმევით და აღტყინებით, ელექტრონული საშუალებებით!.. ის ნელა ვითარდებოდა, ეს პროცესი, ნაკვეთ-ნაკვეთ, ხანგრძლივი გზის გავლით და გალევით, ღათუ ერთ ადგილას არ ჩერდებოდა დიდხანს, მიწყივ ძრაობდა, ახალ გზებს იკვლევდა და გადიოდა, ლახავდა შემოხვედრილ მიჯნებს და სამანებს, წინ მიიწევდა შეუსვენებლივ, როგორც ყველა სხვა ამ დროს, ამ კვალში, ჟამთასვლის ზმობას და ზმნობას ჩაჭიდებული...

ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების, მოწყობილობების შექმნა-დამუშავება, მათი დამზადება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოდის; 1920-30-იან წლებში მათზე შესრულებული პირველი კომპოზიციები აჟღერდა და ახმოვანდა; მას ელექტროაკუსტიკური მუსიკის განვითარება მოჰყვა 1940-იანებში, რომელიც ალგორითმულ, პროგრამირებულ მუსიკალურ კოპოზიციებში გადავიდა კომპიუტერებით 1950-იანებში; 1960-იანებში ციფრული კომპიუტერული მუსიკა შეიქმნა და ახმოვანდა უკვე... 1970-იანების დასაწყისიდან ელექტრონულმა მუსიკამ პოპულარობა შეიძინა (სინთეზატორების და ელექტრონული დასარტყამი ინსტრუმენტების გამრავლებასთან ერთად) და გავლენის მოხდენა დაიწყო საერთო პოპულარულ მუსიკაზე, იმ დროის; 1980-იანებში ციფრული სინთეზატორების მასობრივ წარმოებასთან ერთად და პროგრამირებადი დასარტყამი ინსტრუმენტების შემოსვლის კვალად ელექტრონული პოპულარული მუსიკა წინა პლანზე გამოვიდა; ხელმისაწვდომი მუსიკალური ტექნოლოგიების გამრავლებამ (ამას რომ მოყვა 1990-იანებში) ელექტრონული მუსიკის წარმოება ჩამოყალიბე-

ბულ ნაწილად აქცია პოპულარული მუსიკის განვრცობის არეში... დღევანდელი ელექტრონული მუსიკა სხვადასხვა ჟანრს და მიმართულებას ირთავს თავის თავში და „ექსპერიმენტალური ხელოვნების მუსიკიდან“ მის პოპულარულ ფორმებამდე (იგივე „ელექტრონული საცეკვაო მუსიკა“...) იშლება მთელად...

– მეტად თავისებური იყო ეს პროცესი, პალიკო, გზნებით სავსე მის ყოველ ნაკვეთზე, თავიდან ბოლომდე... წარმოიდგინე, პირველი ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების გამოჩენა არენაზე და მათზე აჟღერებული ბგერები, რომლებიც თითქოსდა ესოდენ ნაცნობი მექანიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით მოგებულ ბგერებსა ჰგავდნენ, შორს არ გასცდენოდნენ მათ, მაგრამ რაღაც სხვა ხმოვანობაც მოჰქონდათ, პალიკო, თან სამშვინველის უცნო კვანძებს რომ ათრთოლებდნენ და ამოძრავებდნენ და უცხო განცდებს უხსნიდნენ გზას!..

– აქ არ იყო მათი შედარება-შეფარდების გარჩევა, პალიკო, მათი უკეთესობა-უარესობის განსჯა, უბრალოდ განსხვავებული იყო ტრადიციული, მექანიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით მოგებული ბგერების ჟღერა და ელექტრონული ინსტრუმენტებით მოწეული მათი ხმოვანება, სულ სხვადასხვაგვარ გზნებას რომ აღძრავდნენ და განსხვავებულ განცდებს აძლევდნენ გასაქანს, რომლებიც არა ფარავდნენ ერთმანეთს, პალიკო, არ ეცილებოდნენ უფროსობას ერთურთს და უფრო სავსეს ხდიდნენ მათ საერთო ხმოვანებას და მოგებული მუსიკის დენას...

– და ასე ყოველ ჯერზე, პალიკო, ყოველი ახალი სახის თუ ტიპის ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტის, მოწყობილობის გამოჩენასთან ერთად და მით აღმოცენებული ბგერების გაჟღერების თანად და დარად...

– აქ ორი ხაზი იკვეთებოდა მკაფიოდ, პალიკო: ერთი მხრივ, ახალი და ახალი ელექტრონული მოწყობილობების შემოსვლა ასპარეზზე, ყოველს რომ თავისი საშუალებები და შესაძლებლობები შემოჰქონდა ბგერებთან მოპყრობაში და მოქცევაში: მათი ხმოვანობის გაწელვა-შეკუმშვით თუ ასწრაფებით, ხანგრძლივობის მართვით; ტონალობის აღმასვლა-დაბლასვლით თუ განელებით; ხმის ამაღლება-დაწევის თავისუფალი ფარგლებით; ტემბრის სირბილე-სიხისტის, შეფერილობის ათასნაირი ცვალებადობით; ბგერების ერთურთთან შერწყმა-შეერთების თუ მიჯრით მიყოლის მართვით და წარმართვით; მარტო-ბგერების გამორჩევით და აჟღერებით, შუალედებით ერთურთს მიდევნებით; მელოდიების რიგების დინებით თუ ხმოვანი ტალღების შხეფებად გაბნევით; ხმების და ბგერების ერთურთში შერევით, მათი გადასვლებით და გადმოსვლებით; უცნაური ხმების სივრცის სკნელიდან აღმოსვლით და უცხო ბგერების (არგაგონილის) ამოძახებით; მათი საწუთროში შემოსვლა-შემოყვანით და შეთვისებით; ერთიან ჩარჩოში ყველაფრის მოკრებით და ერთ განაწესში მათი მოქცევით..

– და, მეორე მხრივ, პალიკო: ახალი ბგერების და ხმოვანობის აღმოჩენასთან ერთად, ჩნდებოდა სურვილი (დაუოკებელი) კიდევ სხვა ბგერების გამოვლენის, მოგების და მოპოვების და მათ მისაკვლევად ახალი საშუალებების გამოძებნის!. და იწყებოდა შემდეგი დონის ელექტრონულ მოწყობილობებზე მუშაობა, მათი შექმნა და ამოქმედება, თან რომ მოჰქონდათ, პალიკო, ახალი ბგერების ჯერი, სხვაგვარად შობილი და შეწყობილი...

– ისინი ერთმანეთს მიჰყვებოდნენ და ეხიდებოდნენ, ენაცვლებოდნენ, პალიკო, ელექტრონული მოწყობილობები და მათგან შობილი „მუსიკის ხმები“: ხან ერთი უსწრებდა მეორეს, ხანაც მეორე პირველს, თუმც ერთად იღვწოდნენ და ირჯებოდნენ და ერთად წევდნენ ელექტრონული მუსიკის აღმასვლის ხაზს...

ელექტრონული მუსიკის განვითარების პროცესში ცალკეული კვანძების გამორჩევა შეიძლება, რომლებმაც განსაზღვრეს, დიდწილად, ამ პროცესის სტრუქტურა და მდინარების სვლაგეზი... ელექტრონული მუსიკის მოწყობილობებთან მიმართებით ამგვარ მოვლენებად, ამბებად, ხდომილებებად შეიძლება გამოიყოს: ელექტრონული მუსიკალური ნაწარმოების პირველი „პარტიტურის“ დაწერა (1957) – მას კომპიუტერული მუსიკის პროგრამების და პროგრამული ენების ოჯახის შექმნა მოჰყვა თან.. პირველი „სინთეზატორის“ გამოგონება (იგივე 1957) და პირველი „პროგრამული სინთეზატორის“ შექმნა (1958), რამაც სინთეზატორთა ტექნოლოგიების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობა მოიტანა შემდგომ წლებში: ციფრული სინთეზატორები (1970-იანები) და კლავიშიანი სინთეზატორები (1980-იანების დასაწყისი), ერთ მოწყობილობაში რომ აერთიანებდნენ ყველა საჭირო აუდიოსინთეზის ელექტრონიკას და როიალის ტიპის კლავიატურას.. „ელექტრონული მუსიკის ინსტრუმენტების“ გამოყენება პოპ და როკ მუსიკოსების მიერ (გვიანი 1960-იანები) – მათი გამოყენება „ბითლზის“ მიერ ახალი ერის გამოცხადება იყო ელექტრონულ მუსიკაში.. „ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების ინტერფეისის“ (კავშირი, ურთიერთქმედება) სტანდარტიზება (1980); ამ სტანდარტს „მუსიკალური ინსტრუმენტების ციფრული ინტერფეისი“ (MIDI, 1983) ეწოდა – ციფრული ინტერფეისით და ელექტრონული მაკავშირებლით სხვადასხვაგვარი ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების დიდი სიმრავლის, კომპიუტერების და მათთან მიბმული აუდიომოწყობილობის ერთმანეთთან დაკავშირება-შეერთება: მუსიკის დაკვრისთვის, რედაქტირებისთვის და ჩასაწერად..

„ციფრული აუდიო“ – ბგერების ჩაწერის და კვლავწარმოების სრული ტექნოლოგია: იყენებს ხმოვანი სიხშირის სიგნალების ბგერით ტალღებს, კოდირებულს ციფრულ ფორმაში, რომელიც შეიძლება ჩაიწეროს, რედაქტირდეს, გარდაიქმნას და გამრავლდეს (ასლებად) კომპიუტერებით და სხვა ციფრული საშუალებებით; აუდიოსიგნალის ციფრულ ფორმატში გადაყვანამ შესაძლებელი გახადა მისი მოხერხებული მანიპულირება, შენახვა, გადაცემა და აღდგენა; ციფრული აუდიოტექნოლოგიის განვითარების კვალად (1970-იანები და 1980-იანები), მან თანდათან ჩაანაცვლა ანალოგური აუდიოტექნოლოგიები.. „სემპლერი“ (სამპლერ) – ელექტრონული ან ციფრული მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც იყენებს რეალური ინსტრუმენტების (როიალის, ვიოლინოს, მუსიკალური საყვირის...) ბგერით ჩანაწერებს (ნიმუშებს, მოდულებს), მუსიკალური ნაწარმოებების (სიმღერების...) ნაწყვეტებს, გზად შემოხვედრილ ბგერებს (ქუჩის საყვირები, ოკეანის ხმები...), ნებისმიერ მოგებულ ხმებს; ტვირთავს და ინახავს მათ, აგროვებს მეხსიერებაში (ციფრულში...) და შემდეგ აღადგენს მათ თვითონ სემპლერის პროგრამით, MIDI კლავიატურით, სინთეზატორით თუ სხვა ჩამრთავი მოწყობილობის (ელექტრონული დაფების...) გამოყენებით, მუსიკის შესასრულებლად თუ შესაქ-

მნელად (მეხსიერებაში შენახული ნიმუშების გამოყენებითა და მანიპულირებით): პირველი ციფრული სემპლერი დამუშავდა 1969-ში; ნიმუშების გადამრჩევი ციფრული სინთეზატორი („სეკვენსერი“) გამოჩნდა 1976-ში; პირველი პოლიფონიური ციფრული გადამრჩევი სინთეზატორი ხელმისაწვდომი გახდა 1979-ში; პირველი მასობრივი სემპლერი გამოუშვეს 1985 წელს...

ამის პარალელურად იქმნებოდა და იშლებოდა სხვადასხვა ჟანრის და სახეობის ელექტრონული მუსიკა, რომელშიც ასევე შეიძლება გამოირჩეს საკვანძო მოვლენები და ნიშანსვეტები: „ხმაურის მუსიკა“ – ხმაურის გამოხატული გამოყენებით მუსიკალურ კონტექსტში, რომელიც: შეიძლება შეიცავდეს როგორც აკუსტიკურად, ისე ელექტრონულად წარმოქმნილ ხმაურს და შეიძლება იყენებდეს როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ (არასტანდარტულ) მუსიკალურ ინსტრუმენტებს; ის გარკვეულწილად შლის განსხვავებას მუსიკალურ და არამუსიკალურ ხმოვანობებს შორის, რათა გააღვიძოს და გამოიხმოს სამყაროში საერთოდ არსებული ბგერები და ხმები და გააჟღეროს ისინი წუთისოფელში; მოპოვებულ და მოგებულ ბგერებს, მათ ელექტრონულ ჩანაწერებს იყენებს როგორც ნედლ მასალას, პირველად ხმობას, მათი სხვადასხვაგვარად გამოკვეთისთვის და გათამაშებისთვის, მანიპულირებისთვის...

„მომენტის ფორმა“ („კონტაქტეს“ პრემიერაზე წარმოდგენილი პირველად, 1960-ში: პიესა ელექტრონული ბგერებისთვის, როიალისთვის და დასარტყამი ინსტრუმენტისთვის) – ამოსავალი წერტილია „მომენტის მოზაიკის“ შექმნა ბგერათა საერთო მდინარებაში, მუსიკის თხრობაში; თვითონ მომენტი: თვითკმარი, კვაზიდამოუკიდებელი ნაკვეთია მუსიკალურ კომპოზიციაში, წყვეტებით, შორისებით განყოფილი სხვა ნაკვეთებიდან; ცალკე ერთეული, გარჩევადი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით (ტონალობა, სიმაღლე, ტემბრი, ხანგრძლივობა...); მთლიანი, განუყოფელი ამოძახილი – ან მკაფიო შედგენილობის სტრუქტურის ხმები, ან მათი ნარევი; სტატიკური ან დინამიური, მათი ნარევი; ხანგრძლივი, ხანმოკლე (სურვილის მიხედვით).. კომპოზიციურად „მომენტის ფორმაში“ არიდებულია მუსიკალური თხრობის საერთო ხაზი, მისი სტადიალური სვლა არ მოიხატება რაიმე განვითარების მრუდით; ეს ფორმები ინტენსიურია თავიდანავე და „მთავარი წერტილების“, მომენტების გამოკვეთას და მათი დონის შენარჩუნებას ეშურება; რამე მაქსიმუმი და მინიმუმი აქ ყოველ წამსაა მოსალოდნელი და მათი განვითარების მიმართულების წინასწარმეტყველება შეუძლებელია; ისინი დაწყებულია ყოველთვის უკვე და შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად, და ყოველი „ახლა“ და ყველა „ახლა“ ინდივიდუალური, დამოუკიდებელი და კონცენტრირებული მუსიკალური ნაკვეთია, თავისთავად არსებობა რომ შეუძლია: მეოცე საუკუნის დასაწყისის „კინემატოგრაფიულ შეწებებს“ მიაგავს მათი ურთიერთგადაბმულობა და მიმართება.. ეს ფორმებია, რომლებშიც მყისიერება არ არის წარმავალი, ერთი ნაწილაკი განსაზღვრულ ხანგრძლივობაში: ის უდროობის ზოლია, ზეაღმართული მუსიკის სვლაში – მარადისობის კვალი, არსად რომ იწყება და არ თავდება ჟამის დასასრულს და ხელმისაწვდომია ყოველ მომენტში, ყოველ „ახლაში“...

„აუდიუმი“ – ბგერითი ხელოვნების წარმოდგენა, რომელიც თამაშდება სპეცი-

ალურად მოწყობილ სრულიად ბნელ თეატრში, დარბაზში: სივრცული ეფექტების გამოსაკვეთად და ასამაღლებლად და ბგერების ქორეოგრაფიული წარმოსახვების, მათი სივრცული ქორეოგრაფიის შესაქმნელად.. აუდიუმ-კომპოზიციები მუშავდება აკუსტიკური და ელექტრონული ინსტრუმენტების და ბუნების ხმების გამოყენებით; გამომუშავებული ბგერები „ქანდაკდება“ და წარმოსახვით ფორმებს ღებულობს წყვდიად სივრცეში (მათი დინამიკების საშუალებით მანიპულირების გზით): ბგერების კონტროლირებადი გადაადგილებით სივრცეში; და ბგერა-სივრცის ერთიანი, უწყვეტი ქსოვილის გახსნითა და განსხეულებით: თეატრის 176 დინამიკი ბგერების ტალღებში ძირავს და აბანავებს მსმენელებს დღეისით იქ.. პირველი აუდიუმ-კონცერტი 1962-ში შესრულდა; პირველი აუდიუმ-წარმოდგენა 1967-ში გაიმართა; მას ყოველკვირეული წარმოდგენების შემოღება მოჰყვა შემდგომ...

„სტოქასტიური მუსიკა“ („ფორმალური მუსიკა“ ან „კომპოზიციური მეთოდი“, სხვანაირად) – სხვადასხვაგვარი ალბათური ალგორითმის გამოყენებით შექმნილი მუსიკალური ფრაგმენტი, ნაწარმოები, რომლის პარამეტრები (ტონალობა, სიმაღლე, ტემბრი, ხანგრძლივობა...) ალბათურად იცვლება წინასწარ დადგენილი ჩარჩოს ფარგლებში; მუსიკალური ნაწარმოები მართავადი, შემთხვევითი პროცესის (სტოქასტიური პროცესის) სახეს ღებულობს მასში, რომლის თითოელი პარამეტრის მომდევნო მდგომარეობა, მნიშვნელობა მხოლოდ ნაწილობრივ განისაზღვრება მისი წინარე მდგომარეობით და ბგერების მიმდევრობას მართული განუსაზღვრელობა (ინდეტერმინიზმი) წარმართავს უკვე.. ელექტრონული მუსიკის წარმოების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები მნიშვნელოვნად ამარტივებს ამგვარი მუსიკალური პროცესების წარმოებას და შესაბამისი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას, რამდენადაც ეს პროცესები პროგრამირებადია დიდწილად და არ თხოულობს მუსიკოსების განსაკუთრებულ ცოდნასა და ძალისხმევას.. „სტოქასტიურ მუსიკას“ არა ჰყავს ბევრი მიმდევარი (მისი ფორმალური სირთულის გამო), მაგრამ ის საკვანძო მომენტს გამოკვეთს, რომელიც ელექტრონული მუსიკის გამეცნიერების (გამათემატიკურების) და მუსიკოს-კომპოზიტორების როლის დამცრობის დაწყებას გვაუწყებს...

„გარემომცველი მუსიკა“ (ambient music) – ინსტრუმენტული მუსიკის ფორმა, რომელიც ტონალობაზე და ატმოსფეროზე აკეთებს მახვილს და ბგერის ქსოვილის შრეობრივ სტრუქტურას იყენებს მუსიკის ქმნაში; ადამიანის გარემომცველი არის „ატმოსფერული“, „თავისთავადი“ ხმების მოხმობას და გაღვიძებას ესწრაფვის აქ.. ბუნების ბგერითი ქარგა შეიძლება იყოს ჩართული მასში და აკუსტიკური ინსტრუმენტების (როიალი, სიმებიანი საკრავები, ფლეიტა) ბგერების ხმობა, მიმსგავსებული სინთეზატორით; ამოსავალი წერტილია მიდგომა, მტკიცება, რომ ბუნებაში ყველაფერს თავისი ხმობა აქვს, ბგერითი ტალღები, რომლებიც გაბნეულია ატმოსფეროში და გახმიანებას მოელის.. ის 1960-იანებში და 1970-იანებში წარმოიქმნა და განვითარდა როგორც მუსიკალური ჟანრი (ახალი ინსტრუმენტების ფართო ბაზარზე გამოჩენისდა კვალად) და გვიან 1980-იანებში ჰქონდა გამოცოცხლება კიდევ...

„სივრცის მუსიკა“ (იგივე „სივრცული მუსიკა“) – ახალი თაობის მუსიკის ერთი

განაკვეთი, მისი ქვეჟანრი; „გარემომცველი მუსიკიდან“ არის წარმოქმნილი და „მსუბუქ მუსიკასთან“ ასოცირდება, მას ეხმიანება: წყნარი, ჰიპნოზური და მდინარი ხმობა, ჭვრეტის ყოვლისმომცველობის განცდას რომ აღვიძებს მსმენელში.. მისი საკვანძო სიტყვა, ტერმინი „მჭვრეტელობითი მუსიკაა“, ანუ მუსიკა, რომელიც სივრცულ წარმოსახვებს და შეგრძნებებს უღებს კარს, უკვალო სივრცეში გადაადგილების განცდას.. ის შეიძლება გამოირჩეს ხასიათით; მისი ბგერითი ტექსტურა (მუსიკალური ქსოვილის სტრუქტურა) შეიძლება იყოს მარტივი ან კომპლექსური; ის შეიძლება იყოს ინსტრუმენტული ან ელექტრონული და ნაკლებად ზრუნავდეს ფორმალურ კომპოზიციურ სქემა-ფორმებზე...

„სივრცული როკი“ – ხასიათდება თავისუფალი და გრძელი სასიმღერო სტრუქტურებით და ინსტრუმენტულ ტექსტურაზე ფოკუსირებით, რომელიც ჰიპნოზურ, არაამქვეყნიურ ხმოვანობას ქმნის და აადვილებს გარე სივრცის, კოსმოსის ხმების და ბგერების შეგრძნების გაჩენას; ამოსავალი იყო თეზისი (მიდგომა), რომ გარე სივრცე არ არის სრულიად ცარიელი, რომ ის „მძიმე ვაკუუმია“, სინამდვილეში, თავისი ბგერითი ტალღების ქარგით.. ჟანრი „ფსიქოდელიკის კულტურიდან“ (ფსიქოდელიური ხელოვნება, ფსიქოდელიური მუსიკა, ფსიქოდელიური ტანსაცმელი) გამოვიდა 1960-იანებში; ის შექმნეს მუსიკოსებმა, რომლებიც ფსიქოლოგიურ ნარკოტიკებს მოიხმარდნენ: ჰალუცინაციური განცდების და წარმოსახვების შესაქმნელად და მუსიკალურ ქსოვილში მათ მოსაქცევად: ასე შემოდიოდა „კოსმიური ხმოვანება“ მათ მუსიკაში.. პინკ ფლოიდების ადრეული ალბომები შეიცავდა „სივრცული როკის“ პიონერულ მაგალითებს ამ კვალში (გვიანი 1960-იანები)...

„სინთ-პოპი“ (იგივე „ტექნო-პოპი“) – ახალი ტალღის მუსიკის ქვეჟანრი, რომელმაც სინთეზატორი გამოარჩია მთავარ მუსიკალურ ინსტრუმენტად თავისთვის; განვითარების პირველ ფაზაში (1970-იანები) მან მახვილი უფრო მძიმე, მეტად ელექტრონულ ხმოვანობაზე გააკეთა, თავი აარიდა როკის დაკვრის ჩვეულ სტილს, რიტმებს და სტრუქტურებს, რამაც მისი მუსიკა როგორღაც პირქუში, სტერილური და ხისტი გახადა: ელექტრონულად მოზუზუნე, თითქმის უცვლელი ინტონაციით.. მეორე ფაზაში (1980-იანები) სინთ-პოპის მუსიკაში საცეკვაო რიტმები შემოვიდა და მასში უფრო ტრადიციული როკის ინსტრუმენტალიზებამ დაიდო ბინა, რამაც მნიშვნელოვნად დაათბო იგი, უფრო მიმზიდველი და მისაღები გახადა მსმენელისთვის; ამისდა კვალად, სინთეზატორების ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად (იაფფასიანი პოლიფონიური სინთეზატორების გამოჩენა...), ისინი (დასარტყამ ელექტრონულ ინსტრუმენტებთან ერთობით) სულ უფრო მეტად გამოიყენებოდა ორკესტრების ჩვეული და გაცვეთილი ბგერების, ხმების მისამსგავსებლად და მათ ჩასანაცვლებად; ამან, თავის მხრივ, მოხსნა მუსიკოსების მრავალრიცხოვანი ჯგუფების მოხმობის საჭიროება ამ ჟანრში.. სინთ-პოპი, ასევე, უარს ამბობდა საკუთარი მუსიკის აუთენტურობაზე (ორიგინალურობაზე, ნამდვილობაზე) და ხაზს უსვამდა მის გამოკვეთილ და მიზანდასახულ ხელოვნურობას, საიდანაც მოდიოდა მისი ხიბლიც, რამეთუ ის: „ალტერნატიულ“, არსებულისგან განსხვავებულ ბგერების ქარგას და ხმოვანობას სთავაზობდა მსმენელს, და კიდევ მიდგომას: „გააკეთე შენ თვითონ“, რომელიც არ თხოულობდა წლების დახარჯვას სინთეზატორზე დაკვრის შესწავლაზე და ნაკლებად გაწვრთნილ და

აღჭურვილ მუსიკოსებსაც უღებდა კარს ადგილის მოსაგებად ელექტრონული მუსიკის მხარეში.. ასეთი იყო სინთ-პოპი 1970-იანებში და 1980-იანებში; შემდეგ ათწლეულებშიც უბრუნდებოდნენ დროდადრო მას, ვინძლო ნოსტალგიით იმ დროებაზე, როცა სინთ-პოპი ქმნიდა ამინდს პოპ და როკმუსიკის საუფლოში...

„კომპიუტერული მუსიკა" – მუსიკა, შექმნილი კომიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით: კომპოზიტორებისთვის დახმარების გაწევით ან უშუალოდ კოპიუტერების მიერ დამოუკიდებლად შექმნილი (ალგორითმული კომპოზიციის პროგრამებით); მისი ძირები ელექტრონული მუსიკის საწყისებთან მიდის და პირველ ექსპერიმენტებთან და მიგნებებთან მეოცე საუკუნის დასაწყისში; ამ მუსიკაზე მუშაობის ხასიათი დიდწილად მუსიკისა და მათემატიკის ურთიერთდამოკიდებულებით იყო (და არის) განსაზღვრული.. კომპიუტერით დაკრული მუსიკალური მელოდიები პირველად ადრეულ 1950-იანებში გაჟღერდა, სტანდარტული რეპერტუარით; იმავე 1950-იანებში დაიწყო ციფრული ბგერების სინთეზი კომპიუტერებით და ალგორითმული კომპოზიციის პროგრამების შექმნა კომპიუტერებისთვის; ამავე დროზე მოდის კომპიუტერით შექმნილი პირველი მუსიკალური ნაწარმოები „ილლიაკ სუიტა სიმებიანი კვარტეტისთვის" ("Illiac Suite ...", 1957); კომპიუტერები გამოყენებული იყო აგრეთვე წარსულის დიდი კომპოზიტორების მუსიკაზე მისამსგავსებლად, მათი იმიტირებისთვის (იმავე მოცარტის).. დღეს, უკვე: კომპიუტერებით შეიძლება დაიწეროს და შეიქმნას ნებისმიერი სახის მუსიკა, ტრადიციულით დაწყებული და უახლეს, სრულიად ახლებურ მუსიკამდე მისული; უნდა გაცხადდეს, მხოლოდ, კომპიუტერულ მუსიკასთან მიმართებით, რომ ეს არის არა მუსიკალური სტილი, არამედ ტექნიკა – მუსიკის შექმნის ტექნიკა.. შესაბამისად, მასში მუსიკოსის, კომპოზიტორის როლი მეორადი გახდა უკვე, დაყრდნობილი და დანდობილი ამ ტექნიკაზე, მის საშუალებებზე და განვითარების პროცესზე...

– გესმის, პალიკო, ეს ძალიან ცოცხალი პროცესი იყო, ელექტრონული მუსიკის სამკვიდროს შექმნა, გადავსებული აღტყინებებით და აღმოჩენებით!. ყოველი ნაბიჯი ახალ შესაძლებლობებს რომ ხსნიდა წინ, საცნოდ შენივთულს და ხელშესახებს: სულ ახალ-ახალი ბგერების და ხმოვანობის შემოსვლა სოფლად; განსხვავებული მუსიკალური ფორმების და სხეულოვნების აღმოცენება; მუსიკალური ქსოვილის ათასგვარად შერთვა-შეძახვა და სხეულყოფა; და მიწყივ განახლებადი ელექტრონული ინსტრუმენტების, მოწყობილობების და საშუალებების თანხლება და მეშვეობა – რეცა თავისუფლების აღლუმიაო, პალიკო, ირგვლივ ყოველგან, ნების ზეიმი დაუფარავი, განუსაზღვრელი შესაძლებლობების ხმევა, მათი აღსრულება და ცხოველყოფა გაუნელებელი!..

– ეს აღმავალი პროცესი იყო, პალიკო, მზარდი თანდათან: მეტი და მეტნაირი ბგერების ხმობა ყოველ ნაკვეთზე, მათი ერთმანეთთან შერთვა-შეთავსება; ათასნაირი მუსიკალური ფორმა და კომპოზიციური ფორმატი, ნახაზი, მუსიკალურ ნაწარმოებებად მათი შემკვრივება; სულ უფრო და უფრო ახალი და სრულყოფილი ელექტრონული მოწყობილობების და საშუალებების შემოსვლა ველზე, ამოქმედება; მათი პროგრამული უზრუნველყოფის და კომპოზიციის ალგორითმების გამრავლება კვალად და მათი ხელმისაწვდომობის და ქმედითობის თან-

მიმდევრული ამაღლება: და ხდომილებები, და აღმოჩენებები, და მიკვლევები, და მიღწევები – აღსრულებები!.. ...

– რაღაც იცვლებოდა, პალიკო, ყოველ ჯერზე: ზომით თუ თვისებით, ფორმით თუ ფუნქციით, ხასიათით.. ბგერებით თამაში და მანიპულირება, მათი დაჯგუფება და გადაწყობა სხვადასხვა ნაკრებად, მელოდიად თუ ცალკე ხმობად; და კომბინირება ამ ნაკვეთების, მათი შეჯერება და შეერთება, პატარა პიესებად გადაქცევა!. კომპოზიციებად მათი შეკრება, აქედან, იქიდან მოვლა, კომპოზიციების კლასტერებად მათი დაჯგუფება და გაველება!.. მეტი და მეტი შესაძლებლობები, პალიკო, და მათი გაიოლებული გამოყენება: ბღუჯებად, ბუჩქებად ალგორითმები; პროგრამული უზრუნველყოფის მრავალსახეობა; მიკროპროცესორების გახელება და ციფრული ფორმების ცვენა!!. სივრცე იხსნებოდა განუსაზღვრელი, ყველაფერს რომ დაიტევდა და უკვე ყველა რომ ჰქონდა...

– ის გაჯერებაზე გავიდა, პალიკო, ეს პროცესი, 1980-იანების ბოლოს, როცა გასაგები გახდა უკვე, ნათელი, რომ არა იყო შეუძლებელი ამ სანახებში, რომ დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ, ან სულაც მაზეგ, საჭირო მუსიკალური ფორმა აღმოჩინდებოდა, გამოვლინდებოდა და განსხეულდებოდა: ნებისმიერი სახის თუ გვარის, გზნების თუ ფერის ბგერა და ხმობა; არსებული და არარსებული, ბუნებითი თუ ხელით ქმნილი, გამოგონილი თუ წარმოსახული ბგერების წყობა; ნებისმიერნაირად დართული და შეძახული მუსიკალური ქსოვილი, ამ ბგერა-ხმებით აკვესებული; ნებისმიერი ტიპის და ფორმის, შედგენილობის და შეფერილობის კომპოზიციები, იმპროვიზაციები და მათით შეკრული, ფორმამიცემული, გაცოცხლებული და ახმოვანებული მუსიკალური ნაწარმოებები: ასეთი, ისეთი, აქაური, იქაური, აქეთური, იქეთური, ამნაირი, იმნაირი, არანაირი მელოდიები გადმოდენილი!.. და ეს ყველაფერი წინ გაშლილ ველზე, სივრცის განუზღვრელ მიდამოებში, მის დაულეველ სათავსოებში – რომ არსად მიდიან, პალიკო, და არად ჩქარობენ, არ ფორიაქობენ, დაგულებულნი ელოდებიან თავის ჯერს და წილს...

– განსაკუთრებით კომპიუტერული მუსიკის განვითარებას და გაშლა-განფენას მოჰყვა, პალიკო, ამ პროცესის გაჯერების და სისავსის შეგრძნება, რეცა სისრულის, ელექტრონული მუსიკის მასობრივად, სახლში წარმოება როცა გახდა შესაძლებელი და მისი საზოგადოებისთვის დაუბრკოლებლად ინტერნეტით მიწოდება („ლეპტოპის“ მუსიკა, თუნდაც)!. ამას მუსიკის წარმოების პროცესის „დემოკრატიზებაც“ უწოდეს შემდეგ, პოლიტიკური ქვეტექსტის მიწერის ჩვევით...

– იგი 1990-იანებშიც გრძელდებოდა და მის შემდეგაც, პალიკო, ელექტრონული მუსიკის გაშლა-განფენა, გარნა მან მეტად ინსტიტუციური სახე მიიღო როგორღაც ამ დროისათვის (კომპიუტერული მუსიკის პერიოდული გამოცემები, ასოციაციები, საერთაშორისო კონფერენციები...).. იგივე „ელექტრონულ საცეკვაო მუსიკას“ (ამ დროში მეტად პოპულარულს) დღეისათვის აქვს: თავისი რადიოსადგურები, „ვებსაიტები“ და გამომცემლობები; კომერციული და კულტურული მნიშვნელობა და ღირებულება... ღათუ ამ ველში, ელექტრონული მუსიკის სამკვიდროში, აღარა გხვდება, პალიკო, დიდი აღმოჩენები, აღფრთოვანებები, აღტაცებები, უფრო მიმდინარე სიახლეები ჩანს ირგვლივ: ხორცშესხმა ადრექმნილი შესაძლებლობების... აქ ნაკლებ ხვდები მუსიკოსების შემოქმედებას, უფრო ექს-

პერიმენტებია (მუსიკალური), მოსინჯვა ამის და იმის, სხვადასხვა სინჯის, ტექნოლოგიური სიახლეების ხმევით მის ირგვლივ: თამაშის თანამედროვე ფორმებია უფრო, მისი მეთოდოლოგია და მეთოდები...

– ეს მომართულობა თავიდანავე ჩანდა, პალიკო, ელექტრონული მუსიკის შემოქმედთა მოქმედებაში: ისინი რაღაცისგან გათავისულებას ლამობდნენ თითქოს (ერთი ხნით მაინც), სხვაგნით ეშურებოდნენ გასვლას დაჟინებით!.. დროითი წყობიდან და ჩარჩოებიდან ამოსვლის მცდელობას ჰგავდა ეს მისწრაფება აღტყინებული, უსაზღვრო სივრცეში გადასვლის სურვილს!. ასე იკითხებოდა მათი ძრაობა ელექტრონული ბგერების პირველი გაჟღერებით დაწყებული და ყოველი შემდეგი ნაბიჯის გადადგმის წილ..

– და სივრცეც ნაკვეთ-ნაკვეთ იხსნებოდა მათ წინ, პალიკო, თანდათანობით: ჯერ ხმაურის უწესრიგო ხმებმა იხუვლეს; მერე მომენტის უთავბოლო გზნება გაცხადდა; ბგერების სივრცული ფორმებიც მალევე იხილეს, მათი გადაადგილებაც შეძლეს აქეთ და იქით; შემთხვევით ქმნილი ბგერები დაეწყვნენ ერთად (მართვადი განუსაზღვრელობის რიგში); მერე გარემო ბუნების ხმებმაც გაივაკეს; ახმიანდნენ ბგერები კოსმიური სივრცის.. მათ ელექტრონული მოწყობილობები წამოეწივნენ, ხან ერთი უსწრებდა მეორეს, ხანაც მეორე პირველს: აავსეს ხმობით ირგვლივ ყველაფერი, ყოველი ნაკვეთი, პალიკო, და ყველა ნიშა...

– ამასობაში, ელექტრონული ტექნოლოგიის განვითარებასთან და დამკვიდრებასთან ერთად: კომპოზიციის ალგორითმების მოდულები მუშავდებოდა, პალიკო, კომპიუტერული უზრუნველყოფის პაკეტები; მონაცემთა ბაზები შეიქმნა (ბგერების, ხმების, მუსიკალური ნაწყვეტების...) და მათი დამუშავების პროგრამები; ბგერების ციფრული სინთეზი ხორციელდებოდა, კომბინირება მუსიკალური ფრაზების; მუსიკის ციფრული ენა ჩამოყალიბდა, პალიკო, და მისი სინტაქსი!.. ანუ: ელექტრონული მუსიკაც ჩარჩოებში მოექცა, ასევე, ფორმალურში და მანქანურში, რომელიც თავისავე თავის კვლავწარმოებასაც ახდენდა და ახერხებდა: განახლებებით და გამრავლებით!!. აქ მუსიკოს-კომპოზიტორის როლი პირობითი იყო უკვე, მეორადი – ის ამ ტექნოლოგიური სისტემების მომხმარებელი გახდა (მუსიკის ქმნაში) უფრო, ვიდრე შემოქმედი...

– დრო კიდევ სადღაც გაუჩინარდა, პალიკო, ამ გზაზე, დაილია თანდათანობით და ელექტრონული მუსიკის მიმდევრები გაულეველი სივრცის პირისპირ აღმოჩნდნენ, მოუმზადებლები.. მასში კი უკვე ყველაფერი იყო (სივრცეში), მანამდე ქმნილი, და ყველა სხვაც (როგორც შესაძლებლობა), თავის ჯერს დალოდინებული!. ღათუ აქ ახალი აღარა ხდებოდა, უბრალოდ გაფორმება იყო (დროდადრო) მორიგი გამოცხადების...

– და ეს სიცივე მხოლოდ შთენილი ეული სივრცის (დროისგან დაცლილის) და შეცბუნება დამდგარი ამ სინამდვილით, ისევ მუსიკოსებმა იგრძნეს, პალიკო, და მართლად ასახეს თავის ნაწარმოებებში: თავიდან უფრო დაბნეულებმა (1990-იანების დასაწყისი), მერე უფრო დაჟინებით და დაკვირვებით, კმაყოფილებითაც ერთგან, ვითარებაში გარკვევას დაშურებულები და დაფიქრებულები.....

დოლური ხმობა, დასარტყამი ინსტრუმენტების, რაღაც ჭყვიტინივით, ღრჭიალივით, სიმებიან საკრავზე ხემის კაწვრით თუ ხახუნით, თუ კიდევ სხვაგვარად გამოცემული; მარტივი რიტმი, დაფდაფური და მასზე ელექტრონული (არა მექანიკურ-ინსტრუმენტული) მუსიკალური ნაკვეთი დადებული და ხან აქეთ, ხან იქით გადაწეულ-გადმოწეული; მიდის უწყვეტად, შუალედების გარეშე, შორისების, არსად არ წყდება; რაღაც ნაბიჯზე მარტო დასარტყამი ინსტრუმენტის დაფი მოისმის, მაგრამ არა როგორც რაიმეს მეტყველი რიტმი, არამედ ისე, თავისთავად, გამეორება და გამეორება, რამის შეუცვლელად, რეცა გაუთავებელი გზის ხმობა, არსად რომ არ მიდის: მონოტონური, ერთგვაროვანი, რომ არასა ცვლის... ვიდეოც ასევე მიჰყვება: ადგილები იცვლება, სურათები, არას გეუბნება, არას გიყვება – იქ არარა ხდება განსაკუთრებული, უბრალოდ არის.. აქ ადამიანებიც არიან, რაღაც მუზარად-სკაფანდრული თავებით თუ ჩაფხუტებით; დანარჩენი, ჩვეულებრივი: თითქოს ჩვეულ ყოველდღიურ საქმიანობას ეწევიან, მიდი-მოდიან, გარნა არ ლაპარაკობენ, არას ამბობენ, ხმას არ იღებენ, ვერც; არანაირი გამომეტყველება ამ ჩაჩქან-თავებში, უბრალოდ არიან აქ, თუ ცხოვრობენ, გაურკვეველი ცხოვრებით... მანქანა მიდის, ორი მგზავრით, ისეთივე მუზარად-თავებით; ამ დასახლებასაც გადის, უკან იტოვებს, სად ეს ხალხი სახლობს და მუშაობს, რაღაცებს აკეთებს, იგივეს, იმდაგვარს, რასაც აკეთებდა ადრე, უწინ, მაგრამ არა აქვს რამე მნიშვნელობა, შინაარსი ამჟამის კვალში... ქალაქგარეთი ბუნებაც ჩნდება, ჩვეული, დედამიწური, ისევ იქ არის, მხოლოდ ცარიელია როგორღაც, არას აღმძვრელი, არას მომთხრობი – უბრალოდ იქ არის; უდაბნოც ჩნდება, წინით გაშლილი, აღმა-დაღმებით, იმავე ელფერით, იმავე ლარებით, გარნა როგორღაც თავისთვის რჩება, არას მომცემი, არას მთხრობელი... სიმღერაც ისმის, ჩვეული, ძველებური, მაგრამ არავის ეხება, არავის აღძრავს რამისთვის, არაფერს ითხოვს, ისმის თავისთვის.. არაელექტრონული ინსტრუმენტების ხმოვანობაცაა, ღათუ ისიც არავის უხმობს, არვის ეძახის, არავინ ჰყვება მის ხმოვანებას, ისიც თავისთვის ისმის, თავისთვის არის... მოსახლენიც ერთთავ საქმიანობენ, სულ რაღაცას აკეთებენ, ფაციფუცობენ, ყველანი, ერთად, ცალ-ცალკე, როგორაც უწინ, მხოლოდ არაფრისთვის და არავისთვის, უბრალოდ მოქმედებენ, როგორც იციან და როგორც ახსოვთ, ჩვევით; ირგვლივ რაღაცები ხდება და კეთდება, თავისთავად, თავისთვის, მიდის და მიდის... დრო კი აღარ იძვრის, არას აუწყებს, არსად ეჩქარება, არსად გეძახის, დაბნეულობაა მხოლოდ როგორღაც ირგვლივ, ალბათ ახლახან მოხდა ეს ამბავი და სივრცე დარჩა ოდენ ადგილზე, დროს განყოფილი – ალაგი და ინერცია მეუფეობს ირგვლივ, ოდენ ის იღვწის... არავისა აქვს საკუთარი სახე, გამომეტყველება მუზარად-ჩაჩქანებში, ოდნავ განსხვავებულად აცვიათ მხოლოდ, მაგრამ არა აქვს ამას რამე შინაარსი თუ ხასიათი, უბრალოდ არის.. ირგვლივ მხოლოდ სიცარიელეა, დედამიწური, სხვადასხვა პეიზაჟით, სურათებით, არას მეტყველი: მხოლოდ მისი ცივი ხმა ისმის...

რაღაცა მოხდა აქ, პალიკო, დრო-სივრცის გამყოფი: წინარე რომ გახსოვს, ახალს კი ვერა ცნობ და არც ის ცდილობს გაუწყოს თავისი.....

ჩაფხუტიანები, ორნი, რიტმული მუსიკა, დოლობით მიყოლებული; ერთის სიმღერა, ლაპარაკივით, გზად, ირგვლივ რომ იყურებიან, ახალ ცხოვრებას აკვირდებიან, მათნაირების, რაღაც ტაშივითაც ისმის.. თითქოს იმგვარადვე მიდის ყველაფერი, როგორც უწინ, მაგრამ აღრეულად – აღრეული რიტმული მუსიკის თანხლებით; უბრალოდ აკეთებენ რაღაცებს, ირჯებიან: დროს ხარჯავენსავით.. მთელი ქალაქივითა ჩანს, ისევ, მათ წინ: მათი სიმღერა-ღაღადივით, რიტმული ამოძახილივით, მარტივი რიტმული მუსიკის თანხლებით.. მერე ბურთივით რაღაცა ჩნდება, დედამიწა-თუ, მათ ხელში, არაფრად რომ აღარ ღირს, აგდებულად რომ უყურებენ (ეს ორნი) და ისე, სხვათაშორის ათამაშებენ თავის ხელებში, მარტივი რიტმული მუსიკის გვერდით, ირგვლივ რომ ისმის.. მერე „ლეპტოპი“ ჩნდება, ერთი ნიშანი ახალი ყოფის: კომპაქტური, თხელი, მსუბუქი, რუდუნებით გამოყვანილი, პატივსაცემი, ყველაფერს რომ იტევს, დედამიწასაც, სამყაროსაც, ყველა ხმას, სივრცეში დაგროვილს და მიმობნეულს და ათასნაირად გახმოვანებულს: ამ ორს რომ აფიქრებს თავისი კმარობით და დაუსრულებლობა-დაუმთავრებლობით... ისევ ის ორი, ჩაფხუტიანი, მსუბუქი მუსიკის თანხლებით, ფონურით, ლაპარაკობენ-მღერიან ერთმანეთში, აგრძელებენ მოხილვას მათივე სოფლის, წუთების გარეშე დარჩენილის, სახეცვლილი ცხოვრების.. ჩვეულებრივი ხალხიც გამოჩნდება სადღაც, ბოლოს რიტმული მუსიკაც შემოდის, სულ მეორდება და მეორდება (მხოლოდ ასე მჟღავნდება დრო ამ მხარეში); ხმაური შემოდის, ადამიანური, ერთად რომ არიან ბევრად და ჟრიამულობენ ხმაურიანად თუ აკეთებენ რაღაცებს ჩვეულებრივად, ძველებურად, ახლაც, ფასი და მნიშვნელობა არავითარი რომ აღარა აქვს.. მალევე წყდება ეს ხმაური და ჟრიამული, და მათი მიმოხილვა და მიმოხედვა და ერთმანეთთან სიტყვობაც გრძელდება, ორის...

როგორღაც ცოცხალია, პალიკო, მათი ეს გადალაპარაკებები კიდევ, მაინც.....

ღრჭიალა რიტმული მუსიკა, დოლით გამაგრებული, ისევ მიდიან, უდაბნოში, ორნი, ერთურთის მიდევნებით, ისეთივე რიტმიკით, დროდადრო გადასვლებივით; უკვე სხვაგან არიან, მერე, მეტროში, სხვებიც რომ არიან, მათნაირებიც და ჩვეულებრივებიც; უფრო ხმოვანი, მარტივი რიტმული მუსიკა, სულ რომ იმეორებს თავის თავს; ქუჩაშიც გავიდნენ, სინჯავენ რამეებს, მიჰყვებიან ფონურ რიტმობას, უკვე ჩვეულებრივს ამ ცხოვრებაში, მოკლე რიტმული გადახვევები, მის შორისებში.. გარეთ გავიდნენ, ბუნებაში, მეტი ინსტრუმენტი ჩაერთო მის ბგერობაში, უფრო ხმებიანი მუსიკა, გარნა იმავე რიტმით; მანქანით მიდიან, ბუნებაში, რომელიც იგივეა, რაც იყო და არას გამცნობს, გაუწყებს ახლისას, გარდა გაუთავებელი სიჩუმისა, ამ რიტმში რომ ისმის.. ისევ მიდიან და თითქოს რიტმიც იცვლება ხანდახან (სხვა არაფერი): მაღლდება, მძაფრდება ოდნავ, უფრო ხმიანდება და ასე მიდის; მანქანაც მიდის, რეცა უფრო ხალისიანად, სხვა ინსტრუმენტების და ადამიანების ხმების შემომატებით და შეძახებით.. რაღაც დარბაზი, მერე, უცნო, ელექტრონულ-ორღანული ხმოვანობა იმავე რიტმის ფარგლებში; რაღაც ხალხია იქ, რაღაცას აკეთებენ, ტრიალებენ ამ დროში, ამ დროის მხარეში; მერე ისევ მანქანა, რიტმობა, სხვა გარემოში გადასვლა: სხვანაირი ხმოვანობა, უფრო ბევრხმიანი; შუქსხივი, მისი თამაში სქემატურ, ბრჭყვიალა ნაგებობაზე,

და განსხვავებული რიტმი, ჩვეულ განმეორებადი.. ისევ გადასვლა, სხვა რიტმიკა, ხმობა, საქმიანობა; ბოლოს მანქანა ჩერდება, იქ, სადაც დაიწყო ეს მგზავრობა-მოხილვა მხარის: უდაბნოს გადასვლა, თავისნაირებთან დაბრუნება, მიღება თავისნაირებით.. მერე ერთმანეთის დანახვა და ერთმანეთთან მისვლა, ამ ორის, ერთხანს ერთმანეთის ყურება, დაკვირვებით: უფრო მსუბუქი მუსიკა, ჩვეულებრივი, უპრეტენზიო, გარნა იმავე რიტმით, გადმოცემული მხოლოდ დაფდაფით: რეცა მაჯისცემა ცხოვრების, დროის სვლის გარეშე ყოფნის, მაინც რომ ფეთქავს და რეცა იღვწის!. უცნო შენობაში შედიან, ორნი; მათ ვიღაცები სინჯავენ, ინდიკატორებს და პარამეტრებს ნახულობენ და აჯერებენ (ორგანიზმების); რაღაც მოვარდისფრო მასაში ავლებენ, მერე, – ვინძლო აცოცხლებენ თუ ასხვაფერებენ, რაღაცისთვის ამზადებენ თეთრ პერანგ-ხალათ გადაცმულები.. მუსიკა ისევ რბილია, ადამიანური, ადამიანების სიმღერა მოისმის, წყნარი და მელოდიური; ნაკლებად მჭახეა რიტმიც, ნაკლებად გამორჩეული და წინწამოწეული: ერთ-ერთია მხოლოდ სხვებს შორის, ხმა მიგებული.. ტანსაცმელი ჩააცვეს, თითქოსდა ჩვეულებრივი, ღიმილიანი სახეები მისცეს, ადამიანური და გარეთ გაუშვეს მერე, შეცბუნებული და დაბნეული, ჩაფხუტთავიანების გარემოში!. ბოლოს ჩამოადნათ ეს მოვარდისფრო სამოსი და ისინიც ჩაფხუტებში დარჩნენ, სხვებისდაგვარად, მათგან უკვე განურჩევლები; უდაბნოში გავიდნენ ისევ, მოიხსნეს და დაამსხვრიეს ეს ჩაჩქანები, გარნა მის შიგნითაც მუზარადები შერჩათ, ღათუ ბევრად თხელი და კომპაქტური, მაგრამ იმგვარივე, მუზარად-სკაფანდრული...

შეწუხება შეეტყოთ, პალიკო, დროის სვლას მიჩვეულ ადამიანებს, კიდევ რომ ღვივის.....

ელექტრონული გიტარის მძაფრი რიტმობა, მძიმე, დოლით თანხლებული, ერთი და იგივე ფრაზა, და რაღაც ხმობა (ვინძლო ელექტრონული როიალის) აყოლილი; მკვეთრი გადასვლა აჩქარებული ხემის წრიპინზე, ორ-სიტყვიანი შეძახება ქალი-მომღერლის, შუალედებით, რეცა ვაჟისაც, ორჯერადი; გრძელი ძახილი, სქელი სტვენასავით; ქალმა მოკლე ფრაზა გაამღერა, გრძელი სტვენა მერე, ქალის გაგრძელება, როიალივით თუ გიტარა ისევ, უწყვეტად, საერთო რიტმის თანხლებით, ოდნავ მოგუდულის; ქალის სიმღერა გაგრძელებული, ტალღოვანი ამოძახილ-ამოსკვნასავით: მეტყველებასავით.. უფრო მსუყე ინსტრუმენტული მიყოლა, ორ-სიტყვიანი ძახილი ქალის, ამ ფონზე, ორი-სამი; ვაჟის (თუ ვაჟების) მღერა ერთხანს, მერე ისევ ელექტრონული გიტარა, განმეორაბადი აკორდით, და დოლის რიტმი კვალად, მიყოლებული; ელექტრონული როიალი შემოვიდა, მარტივი ფრაზის გამეორებებით და ოდნავ ამაღლებით, ვაჟების ხმობა, ინსტრუმენტის (თუ ინსტრუმენტების), რაღაც სხვა ხმები შორით, ახლოდან, ნაწყვეტ-ნაწყვეტი – პატარა ქაოსივით, მცირე ხნით, მიგარდმო, ამათ მხარეში.. უწყვეტი ელექტრონული გიტარა, ქალის სიტყვობა, გაუჩერებლად, ერთხანს, ინსტრუმენტული შუალედი; ისევე ქალი, სიტყვებით, იგივე რიტმი დოლური, მერე ვაჟი შემოდის იმგვარადვე, სიტყვებით, მერე კვლავ ქალი, უფრო ჩქარად, ორი-სამი ბოხი ხმა ვაჟის, გრძელდება, ზარის ჩამოკვრასავით, პერიოდული, უფრო მძაფრი დაფობით, გრძელი საყვირივით, სადღაც რომ მიდის, შორი წივილივით!. და ისევ ქალი,

მერე ვაჟი, ბოხი ხმით, ერთმანეთში ირევა ყველა, ყველაფერი: ქალი, ვაჟი, ბგერები, ხმები, წივილი, დაფობა, ახლოდან, მოშორებით, უცნაური ხმები დროდადრო, ხმოვანი ტიტკტიკი, ელექტრონული გიტარის აყოლა და მისი თამაში!. რაღაც მელოდიასავით, ვიღაცის შემღერებით, ვიღაცის-რაღაცის წყვეტილი ხმები (რეცა ხორხიდან), და უცნაური აჩქარება ინსტრუმენტული და ისევ დოლური რიტმი, უწყვეტობის, მთელობის შემნარჩუნებელი; ქალის შემოსვლა ისევ, ვაჟის, თითქოს ლაპარაკი ერთმანეთთან მოკლე ფრაზებით და გზად რიტმული ინსტრუმენტობა, საცეკვაო-სახტუნაოსავით, და მას მიყოლა ერთი ინსტრუმენტით, მეორით, მათი მოკლე შეძახებებივით, მხოლოდ დოლ-დაფის რიტმი, გაუჩერებელი და ამავე რიტმის ინსტრუმენტული შეწყობა, ძახილივით: ხან ოდნავ გაწელილი, ხან ორი-სამი, ერთურთს აყოლილი, გარმონის ხმები, ახლოს, იქავე, და მერე უწყვეტი, და ხმობა ბას-გიტარის!.. და ასე სხვადასხვა ინსტრუმენტის ერთად მოქცევა, მათი სხვადასხვა ხმობა-ბგერობით, გამეორებებით და გადასვლებით, განსხვავებებით: ერთმა რიტმმა დაიკავა აქ წამყვანობა; ქალის და ვაჟის ამოძახება მიყოლებით; ისევ ეს რიტმი, და რაღაც შეხმიანება უფრო შორიდან, რეცა დიდი გზაა კიდევ გასავლელი...

თითქოს გაერკვნენ, პალიკო, ცოტად თუ ბევრად, წინარე დამდგარ რეალობაში.....

უფრო მოსმენასა ჰგავს რაღაც ხმების, საიდან არ მოსულის (უშუალო გარემოდან თუ უფრო დიდი ბუნებიდან, თუ იმის იქიდან კიდევ) და არა დაკვრას: ადამიანისმაგვარი ხმის მოკლე შემოძახილს, გამეორებულს და გამეორებულს და რიტმის შემცველს, რომელსაც მიჰყვება დოლური რიტმიც – ორივე ცვალებადი სიხშირისაა და ინტენსივობის, თითქმის უწყვეტობაში გადასული ზოგ მონაკვეთში, თანავ სხვადასხვა გაუგებარი ხმების შემომატებით!. დროის მსვლელობის სრულ ამოგდებას ესწრაფვის თითქოს, მხოლოდ საკუთარი მაჯისცემა რომ გესმოდეს და გარემოს იყო შეჩერებული, კიდევ რას გეტყვის უცნო ენაზე, ანუ რას მოგთხოვს: სულ უფრო ძაბავს მთელ ვითარებას, რომ ვერც ამოისუნთქო თავისუფლად, რეცა გიშლის დაფიქრდე მაინც, რა ხდება საერთოდ, ანთუ არც ხდება სულ არაფერი.. ზოგი უცნაური ბგერათა წყება კიდევ სულ შორიდან მოდის და თანდათან გიახლოვდება, მძაფრდება თავისი ხმობით, ირგვლივ გევლება და მარტოდ გტოვებს, გაუგებარი ბგერების სიმრავლეში ჩაძირულს და დარჩენილს, მარტოდ დაშთენილს, გზა რომ აღარ ჩანს, ვერსად ვერ წახვალ, უნდა აიტანო როგორღაც, გაუძლო კიდეც, მიიღო ეს მოძალება, დროს რომ აღარ ცვლის და იქვე გტოვებს, გაუთავებელი გამეორებების ბადეში გაჩხერილს.. მერე ისევ რიტმის შეცვლა მოკლე იმპულსებით და რიტმულ ველში უკან მიბრუნებით, მხოლოდ ერთი-ორი ხმობის მძაფრი თავსდგომებით!. მერე, თითქოს ეს ყველაფერი სადღაც თავისად მიდის, თანდათან და შორიდან გიყურებს, ხელი რომ არ წაგცდეს და აქედან სადმე წასვლა არ გაიფიქრო ან დააპირო: მასთან ერთად უშუალო, ახლო გარემოც ისევ ხმიანდება და ორივ ერთად გადგანან უკვე თავს დარაჯებივით.. ბოლოს მხოლოდ ერთი მბჟუტავი, განმეორებადი ხმობაღა ისმის, დაფით თანხლებული, რეცა შველას რომ ითხოვს ვიღაც შორიდან გაუთავებელი გამეორებე-

ბით, სასოწარკვეთილი; და ესეც არ თავდება, ხან გამძაფრდება და გაგრძელდება, და ისმის, ისმის; რეცა ინავლება და იქვე სხვაც ისმის, თითქოს გაგებინებს, რომ აქ კიდევ ბევრია არსებული; და მიდის, მიდის, მიდის და მიდის – სხვა არაფერია, გარნა არ თავდება ეს ხმოვანება, არად იღლება, არა წუხდება, არსად ისწრაფვის.. გრძელდება, ნელდება, სხვა ხმებს ერევა, მაგრამ მაინც ისმის, არა თავდება: ხან მხარს მოიცვლის, მერე მეორეს, გადაბრუნდება, გადმობრუნდება, არ ენაღვლება.. თითქოს მიილია, ძნელადღა ისმის, გარნა აღიძრა ისევ, ხმა აიმაღლა, ისევ იქ არის, რომ არ დაგავიწყდეს ეს რეალობა და რომ თვითონაც არსად წასულა: წაიწევს, წამოიწევს, გაჩერდება ამ მაღალი გრძნებით: უბრალოდ ჩუმდება, არსად წასულა უფება სივრცის...

პირისპირ შერჩნენ, პალიკო, ამ კვალის ბოლოს: ეს სინამდვილე, ყოვლისმომცველი და მას შემყურე ადამიანი.....

– საოცარია, პალიკო, ელექტრონული მუსიკოსების ასეთი მგრძნობელობა გარემოს ცვლილების, რეალობის ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გარდასვლის მიმართ და მასთან სწორედ მაშინ, როცა ცივილიზაციურმა პროცესმა თითქმის დაასრულა დროის მდინარების აწმყოში ჩატვიფვრა, მისით მოფარგვლა და მოკავება წუთის და საწილოდ უძირო სივრცის განფენა უსაზღვროდ, იქით: სწორედ 1980-იანების ბოლოს და 1990-იანების დასაწყისში, როცა გაიხსნა მეუფება სივრცის!. და მუსიკოსებმაც მაშინათვე იგზნეს, პალიკო, ეს გარდახდომა: წუთისოფლიდან სივრცის გაუვალ კიდე-განეში...

– ისინი 1990-იანების დასაწყისშივე შეუდგნენ მის მიმოხილვას, პალიკო, სივრცეში განფენილი სოფლის და მისი რაობის, მისი სახეობის და შინაარსის და საკუთარი თავის ამ რეალობაში, როლის და ადგილის სახეცვლილ სოფელში.. თავიდან დასარწმუნებლად, რომ ეს მართლაც მოხდა, ეს გარდახდომა, ეს სახეცვლილება, მთელი ეს ამბავი, და მერე უკვე გასარკვევად ამ სოფლის გზაკვალის..

– მთელი 1990-ანები დახარჯეს მუსიკოსებმა ამაზე და აღმოაჩინეს, პალიკო: რომ დრო მხოლოდ „რიტმებშიღა“ დარჩენილა დაგუბებული, წუთისოფლის გულისცემის ფეთქვასავით და ძგერასავით: სიცოცხლეს რომ ინახავს და ინარჩუნებს კიდევ უფრო სხვა გარდასვლისათვის; რომ გაგებინებს – სივრცეში ყველაფერია, რაც კი ოდესმე შექმნილა ან შეიძლება შექმნილიყო სამყაროში, ღათუ როგორღაც უსულო, უგერგილო, არას მომწევი და არას მთქმელი; რომ ხელის გაწვდენაზეა, პალიკო, აქ ესეც და ისიც, სულყველაფერი, გარნა ხმაურსა ქმნის გაუთავებელს მათი ხმობა და ბგერობა, უთავ-ბოლობა, წუთის სვლის გარეშე დარჩენილი და დაულაგებელი...

– კიდევ უფრო ძნელი იყო, პალიკო, იმის გაცხადება, რომ აღარ იყო ამ სამყოფელში დიდი საჭიროება ადამიანის, მისი ჭკუა-გონების და უნარ-ჩვევების, უცნაურობის, თავისთავადობის, რამეთუ აღარა იცვლებოდა ამ მიდამოში და მიგარდმოში; უბრალოდ არსებობდა ყველა ერთად, ერთიან სივრცეში განთავსებული: საკმარი იყო უკვე მხოლოდ სხეული შენი, მისი გზნებები და შეგრძნებები – სხვა არაფერი...

– შეშფოთება მოიტანა ამ სინამდვილემ მუსიკოსებში, დაბნეულობა, და-

კარგულობა, ძნელად დასაძლევი, ბოლომდე რომ გაჰყვა მათ სამშვინველს, პალიკო, 2000-იანებში.....

გვირაბი, ბნელი, მხოლოდ აქა-იქ შუქის ნაფლეთები; ვიღაცები დარბიან, დახტიან იქით და აქეთ ატროვებულებივით; დოლური რიტმი, და რაღაც ხმები დროდადრო, უფრო შორიდან; სიმღერა-ლაპარაკი ადამიანის, ცხარე და მჭახე, აღგზნებული, რაღაც ცალკე ხმები (ბუსი თუ ჭოტის..), ერთიც და მეორეც, პატარა არეში; მომღერალი როკავს, არეულად, ხან აჩქარებულ, ხან შენელებულ რიტმებს მიჰყვება დასარტყამი ინსტრუმენტის – ყველაფერი გვირაბში ხდება, მროკავი ადამიანის და მისი უშუალო გარემოსი, ნახევრად განათებული არის გამოკვეთით.. ბოლი ბნელ არეში, და ცალხელაწეული კაცი, ადამიანი, მძიმედ მეტყველი რიტმი, რაღაც ცვალებადი კივილის თანხლებით; სხვადასხვა ინსტრუმენტის აჩქარება და გამწარებული ყვირილ-სიმღერა გვერდით: ერთის, რამდენიმესი, მიმატება ელექტრონული გიტარის მძიმე რიტმობის.. კივილი რაღაც საკრავის, რამდენიმებგერიანი სიტყვის გამეორება მომღერლის მიერ, მერე იმავეს კეთება ინსტრუმენტების ძაგძაგით, სხვადასხვაგვარი ხმობით და მომღერალთან ერთობით; ერთის კივილ-შეძახილი მერე, ორბგერიანი, და მეორის ყვირილ-ლაპარაკი.. ოდნავ შეცვლილი დოლური რიტმი, სხვა ინსტრუმენტები, და ერთისა და იმავეს შეძახება და გამეორება გაუთავებელი; მერე სხვა მომღერალი შემოდის კიდევ, უფროდაუფრო გაწვრილებული შეყვირება-შეძახილებით და მათ მიყოლილი გამეორებებით; აგრძელებს, ამგვარადვე მიჰყვებიან ინსტრუმენტები, თავ-თავიანთ თავზე იღებენ მერე ჯერს: ხან ერთია წამყვანი (სხვების თანხლებით), ხან დოლ-დაფები, ელექტრონული გიტარის რიტმული შეძახებები, მერე საყვირიც ემატება (თუ საქსოფონი), ხმობაც შემოდის ადამიანის; დოლი ჩქარდება ძალიან, ელექტრონული ორღანი მიჰყვება მას და ყველა ერთად სწრაფდება, დიდი ბაყაყის პერიოდული შეძახებებივით!. ქალის ერთ-ორსიტყვიანი სიმღერა-შეყვირება, ერთჯერად აყოლა სხვა ხმების, დოლით და ელექტრონული ორღანით დაჭერილი რიტმი, ორბგერა შეყვირებები წვრილი ხმის და ორ-სამსიტყვიანი შეხმიანება ვაჟის; ქალის და ვაჟის შეძახილები, ერთიმეორის მიყოლებით და რაღაც ხმობა, თითქოს შორიდან მოსული, რამდენიმეჯერ მოღწეული; მერე ქალის გრძელი ძახილი, აწეულ-დაწეული და გაწელილი, რომელსაც მიჰყვება მსგავსივე შეყვირებები: მოკლე, ერთი-ორი, მერე ისევ გრძელი, გაგრძელებული, გაუთავებელი, და მხოლოდ დოლი, მისი რიტმები; მერე ერთი-ორი სიმღერა-ძახილი, ოდნავ აჩქარებული რიტმის თანხლებით: დასარტყამს მიჰყავს მოქმედება, აქედან და იქიდან უცნო ბგერები, ვაჟის რიტმული ლაპარაკი-ძახილი, ორ-სამსიტყვიანები, რაღაც ფრინველის შეყვირებასავით, მიყოლებული.. და ისევ მოკლე ინსტრუმენტული ხმობა, იმავეს გამეორება, ვაჟის მეტყველება, იგივე სიტყვები, განმეორებადი ზუზუნი ხემის – მოკლე, სიმებიან საკრავზე ხახუნით გამოცემული; რეცა ცეკვა-თამაშის რიტმი შემოდის დოლით და ელექტრონული გიტარით, ვაჟის შეძახება მოჰყვება, ერთი-ორი, რაღაც ინსტრუმენტული ბასის ბგერობა გვერდით, სხვა ინსტრუმენტების ხმების შემომატება სხვადასხვა მხრიდან, ბასების რიტმი, ორ-სამსიტყვიანი შეძახილი, სამჯერ თუ ოთხჯერ გამეორებული.. მეტი ინსტრუ-

მენტის ხმობა, დოლური რიტმი, ვაჟის იმგვარივე შეძახილები; უფრო გაწელილი ერთ-ორაკორდიანი ინსტრუმენტული მონაკვეთები, ოდნავ უფრო გაშლილი ძახილი ვაჟის; სხვებიც მიჰყვებიან, ინსტრუმენტები და უფრო მაღალი შეყვირება ვაჟის, რიტმული ხმაური: გაწელილი ბგერები, ასევე ვაჟის; მხოლოდ დოლია შუალედებში, ამგვარივე ძახილი ორ-სამსიტყვიანი, ადამიანის ხმა და ყველაფერი ერთმანეთში არეულ-დარეული, ქაოტური!. უფრო დალაგებულ რიტმზე გადასვლა, თავიდან ელექრონული გიტარით და დაფ-დოლით, და რაღაც ჭყივილი (ხემის?!.), მერე ისევ ელექტრონული გიტარა, მარტივი რიტმი და თითქმის ჩვეულებრივ ლაპარაკზე დასული ლაპარაკ-ძახილი ადამიანის!.. ბას-გიტარის უწყვეტი ბგერობა, გამეორებული, ისევ ძახილი, უფრო კონკრეტული, მისამართულივით; მერე მეორის შემოსვლა, იმგვარივე, მიყოლებით, ინსტრუმენტების ჯერობა შუალედში, შორისში, ელექტრონული გიტარის და დოლის რიტმები, ორბგერა შეყვირებასავით და ისევ გიტარა-დოლის მოწოდებები, მიდევნებული.. რაღაც ტალღოვანი ბგერები, გრძელი, ალბათ ელექტრონული ორღანის, და იქვე დაფი და ინსტრუმენტების ხმები, გრძელი, მერე ნაწყვეტებით, ვაჟის ძახილი დროდადრო, ძნელად გასარჩევი ამოსკვნასავით თუ კვნესასავით.. თანდათან მოდის ხმაური, ბუყბუყივით ინსტრუმენტების, სხვა ხმების შემომატება, ოხვრა-ძახილი ორსიტყვიანი, რეცა ბგერების მოძრაობა და შემოძახება: შორიდან, ახლოდან, იქიდან, აქედან – ინსტრუმენტული.. მერე მკვეთრი რიტმი დოლის და ბას-გიტარის, ქალის შეძახილები და ზუზუნი აღმოსავლური სიმებიანი საკრავის, ისეთივე გაწელილ-წყვეტილი გამღერება ქალის, უფრო ბრძანებასავით ძახილი ვიღაცის, მისი თუ სხვისი; თითქოს სალამურის ბგერობა, მელოდიის გაჩენასავით, შუალედებით, იგივე და იმდაგვარივე შემღერება მოისმის ქალის.. დოლი, ელექტრონული ორღანივით გაწელილი ბგერები, მათი ნაკვესები; მეორის შემოსვლა, ვაჟის, სიმებიანი შუალედი, და ისევ ვაჟი; რეცა რაღაცას ყვება, თითქმის ადამიანური ხმობით და მეტყველებით, მას ინსტრუმენტები მიჰყვებიან იქავე, გვერდით.. მერე სიჩუმე ვარდება ერთხანს, ისევ დასარტყამი ინსტრუმენტი, სიჩუმე ნელად ილევა, სიშორის შუილი ისმის, და ისევ დოლური რიტმი და ელექტრონული გიტარა მასთან, ასევე სხვა ინსტრუმენტებიც, შემოდის ვაჟის თხრობაც: დროდადრო ჩხავილამდე დასული, ინსტრუმენტები მიჰყვებიან კვალად, დანელებით..

და მერე ეს ხმობაც დამთავრდა, თანდათან დაილია დაფიც, თითო ბგერობამდე დავიდა და ასე დარჩა, დადუმებული...

ბევრი შფოთვა იყო და ბორგვა, პალიკო, ამ ხმიანობაში.....

ელექტრონული გიტარის რიტმული შემოსვლა, დასარტყამის აყოლება, რაღაცა ჯგუფი ოთახში: მღერიან-ბღავიან, ეშმაკეულად იჯღანებიან (კიდევ სხვა ოთახში), ჭიანჭველები ონკანიდან აბაზანაში – გაშინებენსავით ჭიაღუებით, ტკიპებით, კიდევ სხვა უცნაურობებით; მონაცვლეობით დოლის და ელექტრონული გიტარის რიტმობა, მერე ერთად, შეთანხმებით; ისევ აღგზნებული, შმაგი მღერა ერთის, მეორის, ნიანგის ღრეჯა შუალედებში: ეშმაკის როკვას მიაგავს, ხმობას და ქცევას ეს მონაკვეთი; საქსოფონის თუ ჩასაბერი საკრავის წყნარი შემოსვლა მერე, გაწელილად გაბგერება, უკვე ქუჩაში.. ბას-გიტარის რიტმები და აყოლა მე-

ორე, ბოხი გიტარის; დაფი, ხორხიდან ხმებივით იქვე, საიდანღაც ამოსული; სხვა ინსტრუმენტებიც ემატებიან, შენაცვლებები ბას-გიტარასა და მეორეს შორის, დოლი მიყოლებით; თითქოს შორიდან ერთსიტყვიანი შეძახილი ხრიალა ხმით, რამდენიმეჯერ, შედარებით წვრილი, გაწელილი ხმის (ელექტრონული ორღანის) წინ წამოწევა, გამოყოფა და გამორჩევა; ელექტრონული გიტარის გამოკვეთილი რიტმი; ელექტრონული ორღანის ბოხი, მოკლე აკორდის გამეორება და ადამიანების რაღაც შეძახილები გზად; მერე ისევ მხოლოდ ელექტრონული გიტარის ზარული ღრჭიალა რიტმები, ქალის ხმის შემოსვლა, რაღაც ინსტრუმენტის ჭყავილა ხმები, ერთი თუ ორი ვაჟის ძახილი-სიმღერა მყვირალა სიტყვებით, ამავე რიტმების კვალში; მერე საყვირის შეკივლებასავით და ქალის კაკუნივით ხმობა, ვაჟის აქა-იქ შეძახილები, ნელად მბრუნავი ფირფიტის ხმებივით; მერე ტაშივით შემოკვრა და შორი ელექტრონული გიტარის რიტმები; ქალის (თუ ვაჟის) ერთიორი შეძახება, შესიტყვება, გამეორება თავიდან ბოლომდე რამდენიმესიტყვიანი ნაკვეთის, უფრო შორიდან ვიღაცის ამოძახებებივით, და ინსტრუმენტული თანხლება ამ მონაკვეთის; მერე ისევ ის ქალი და სიმებიანზე ხემის გაბმული ხაზი.. ისევ ელექტრონული გიტარის ხრინწიანი რიტმი, ვაჟების აყოლა მასზე, იქავე დოლი, ვაჟების შეძახებები, რამოდენიმე, მერე ინსტრუმენტების ხმობა, ისევ ვაჟების ნაკვეთ-ნაკვეთ შეძახილები, ინსტრუმენტები, ერთობლივივი ხმიანობა, სხვადასხვაგვარი, სადღაც წასული, რეცა სხვა მხრიდან რომ ბგერობს, ლიკლიკისავით, და ისევ ვაჟების შეძახილები.. ელექტრონული გიტარის ხრინწიანი რიტმობა კვლავად, ცოტა სხვანაირი, იერშეცვლილი, ძნელად ამონასუთქი ხმებივით ვაჟების, რიტმის სვლას სრულად აყოლილი; მერე ერთი და იგივე ინსტრუმენტის ამოძახება ჯერადი, შიგადაშიგ ადამიანების ხმები და ბაყაყის ყიყინივით შეყვირება, გამეორებით და გამეორებით: ხმოვანი ხმაური, წყაროების გარჩევით!. დოლ-დაფის შემოსვლა, ელექტრონული ორღანი გრძლად, ქალის ხმა-აკორდი, ბევრჯერ, უფრო იქით; მერე ინსტრუმენტების გაცეცხლება და ისევ ქალების ხმა-შეძახება შორით.. ელექტრონული ორღანის წვრილი აკორდი, რიტმულად, სიმებიანზე ხემის ზუზუნი იქვე, და ქალის ხმობა, დოლის გახელება, სხვა ინსტრუმენტების მასზე აყოლა, იმავე კვალზე დადგომა ქალების!. კვლავ ბასის რიტმები, შორით ელექტრონული ორღანის ხმის გაწვრილება, ქალის შეძახება-შემღერება და ისევ დაფის და ელექტრონული ბასის და რაღაც საყვირის გაცხარება, და კიდევ სხვა ბგერები.. მერე ისევ ბასი, შეყოვნებებით, ელექტრონული ორღანი, დოლი და ერთ-ორსიტყვიანი შეძახილი ვაჟის, გამძაფრებული, მერე ინსტრუმენტების გაცხარებაც, უფრო ხანგრძლივი; და ყველაფრის გამეორება (ვაჟის ხმობისაც), და იგივე კიდევ, თავიდან, დაწყებული ბასის შეყოვნებებით, გადასული უფრო მეტ გაცხარებაში, რომელიც თანდათან ნელდება თითო-თითოდ ინსტრუმენტების გამოკლებით!. ზუზუნი სიმებზე, თანდათან მატებით, საყვირის ხმობა, რაღაც მიმომდინარე ექოები და უცნო ბგერები, ვაჟების ამღერება, იმავე რიტმითა და ტონალობით, და მერე მილევა ნელინელ სიმებზე ზუზუნის, ხემის.. ვაჟის რიტმული სიმღერა, მოკლე შეძახილივით, მერე ვაჟების სიმღერა-ძახილი, სადღაც გაშვებული; და მერე დაფი; მძაფრდება თანდათან, ვაჟების მსგავსივე შეძახილ-მღერობა, და ელექტრონული ორღანის (თუ როიალის) კლავიშების მიდევნება; მერე დოლური კაკუნი და ხემის

ზუზუნი სიმებზე, ვაჟის ხმა მხოლო, მიყოლებით, მერე რიტმულად, მერე ვაჟების შეძახილები: ხანმოკლე, ბევრი; მსგავსადვე ბასის რიტმობა, დოლი, და ისევ ვაჟის შეძახილები; კივილივით ისმის ხმა თუ სიმებიანის გაწვრილებაა ხემით; სიმღერა-ლაპარაკი ვაჟის, მძაფრი, ასეთივე ელექტრონული გიტარა, და ისევ ძახილი და გრძელი კივილი ხემის.. ღმუილივით ხმა სიმებიანზე, ელექტრონული ორღანის წივილი და იქვე დაფი, მოკლე შეძახებები ვაჟის, იგივე „კივილი", მისი გაჩერება და დადუმება, მისით.. შორიდან ხმობა შემოდის, სიმღერასავით, რიტმული, ინსტრუმენტული, კვლავ წვრილი ხმების თანხლებით და დოლის და ელექტრონული ბასის მდინარე რიტმები; სხვა შეძახებები, ახლოდან, შორიდან, აზუზუნებულ-აკივლებული სიმებიანი, გაწელილი, შორით წასული ხმები, რაღაც ექოებივით იქავე, მიჯრით; საერთო ხმობის დაბრუნებასავით, გარჩევად ხმაურამდე მისული, გამეორებებით, დაშორებით და დანელებით; და ისევ ბასი, ორღანი, დაფები, რიტმულად ხმობა ყველასი; ელექტრონული გიტარასავით, დოლური თითებით, ელექტრონული ორღანის ბოხი ბგერები, წყვეტილი ნაკვეთები ზუზუნის, შორით საყვირები, გაწვრილებული ხემი, და ისევ დაფები.. რიტმული ზუზუნი, დოლური რიტმი; მეორდება დასარტყამი, ელექტრონული გიტარის თითო ბგერა ისმის; ისევ რიტმული ზუზუნი, დაფები თითებით, რაღაცა ქშენა, ისიც რიტმული, ელექტრონული გიტარის თითოდ მოსული ბგერები: მიდის, მეორდება ყველა, მთლიანად, რაღაც ემატება, რეცა ბგერობა თითებით და ისევ ხმების დენა გაუთავებელი...

აქ ხაზის მოძებნა ძნელია, პალიკო, ნაკვეთებია ყველგან, გადახლართული ერთიმეორეში, მასში მოქცეული და გაბლანდული ადამიანით.....

პირდაპირ აგრესიული დოლური რიტმი, მიყოლებული ბასის ხმობა, ქალის სიმღერა, სამი სიტყვით თავიდან, ელექტრონული გიტარის მძაფრი შემოსვლა, ქალის მღერა გამეორებული, ოდნავ შეცვლილი, მეტი ინსტრუმენტის შემოერთება, ელექტრონული ორღანის ხმები; და ისევ ქალი, იმავე სიტყვებით, ბოლოში გაწელვით და გამეორებით; ინსტრუმენტული შუალედი, იმავე რიტმებით; იმავე ქალის მიმღერება ინსტრუმენტების თანხლებით, დასრულება ამ მონაკვეთის, თანდათანობითი დანელება და დადუმება ინსტრუმენტების; ყველაფერი შავ-ბნელ ფონზე მიდის, ცალკეული ნაკვეთების განათებით, შავი არსებაც (კაცი) გაჩნდება ბოლოს – რეცა ეშმას საუფლოა მოწეული.. ღნავილივით მოისმის ელექტრონული გიტარის ნაკვეთი, ორბგერიანი კაკუნივით დოლის; კიდევ ინსტრუმენტის შემოსვლა შუალედში; ინსტრუმენტული რიტმები, დროდადრო აჩქარებული და გამეორებული, იმ ინსტრუმენტის (პირველის) გზადაგზა მოკლე შეძახებებით: იგივე რიტმობა გრძელდება, ძირითადად, სიმძაფრის ოდნავი, მსუბუქი მართვით, მცირე ცვლილებებით მის მსვლელობაში და მიმოხრაში; ქალის შემღერება შემოდის შორიდან, ორაკორდიანი, მეორის გაწვრილებული ყვირილი, აჩქარებული შეყვირებებივით, და ისევ ინსტრუმენტული რიტმები, გამოკვეთილი; კვლავ ქალის კივილ-ძახილი ისმის და ხაზგასმული რიტმობა ინსტრუმენტების, ამ ქალის იქით; ისევ ეს ქალი შეკივლება-შეძახილებით და კვლავ ინსტრუმენტების რიტმები მის იქით, დოლის თაურობით!. კვლავ ქალის კივილ-ძახილი, ინსტრუმენტების რიტმული ფონი და გაგრძელებები, ინსტრუმენტული ცვლილებებით; შორიდან ქალის ორაკორდიანი

შემღერება, გრძელი, ამ ინსტრუმენტულ მონაკვეთში; ინსტრუმენტების რიტმობა მთლიანად მერე, ხანგრძლივი, ცვალებადი წინამძღოლობით: ჯერ დოლის, მერე ელექტრონული გიტარის, მერე ერთად და კაცების ამოოხება შორიდან, ექოებივით: ერთი, მეორე და გაგრძელებული რიტმობა ინსტრუმენტების; სულისწამღები, დაუმთავრებელი ჩივილ-ძახილებივით ადამიანების, შორიდან, ვინმე ერთის, გამეორებული და გამეორებული; ისევ კივილი შორიდან და შეკრებილი ერთად ეს ყველაფერი; მიდის და მიდის: ხან შეძახილები, ვიღაცების ხმები, მერე მღერა-მეტყველება, საიდანღაც; კივილიც იქიდან მოდის.. რიტმობის დასვლა ელექტრონული გიტარის მოკლე რიტმზე, გაუჯერებელზე; დასარტყამის შემოსვლა ველზე და რაღაც ცალკე ბგერობა კიდევ, სხვადასხვა მხრიდან, და ადამიანის შორი ძახილი, ერთსიტყვა, მინავლული, სიღრმიდან სივრცის; ფონად დოლის და ელექრონული გიტარის (და კიდევ რაღაცის) შეწყობილი რიტმი, ძახილს რომ მიაგავს გამეორებულს და კიდევ ერთხელ გამეორებულს; და ცალკე ხმიანობა აქედან, იქიდან, უცნობი ხმების, ადამიანისაც, ერთსიტყვა, გამეორებებით.. რიტმი კი გრძელდება, მიდის და მიდის, არ გაჩერებულა არცერთ შუალედში, ახლა უკვე ელექტრონული გიტარის, დოლის და დროდადრო ბაყაყისმაგვარი ბოხი ძახილის; თანდათან თითქოს შორიდან ისმის, მერე მძაფრდება უფრო; გაუთავებელია, ლამის მოფარგლულ ქაოსად იშლება ყველაფერი, მაგრამ სადღაც, ზემოდან ისევ შემოდის დოლური რიტმი და წამყვანი ხდება ამ მოქმედების; ამ ფონზე ლაგდება როგორღაც ქაოსი და ყოველი ინსტრუმენტი, ბგერების წყარო, ყველა ხმა უფრო გამოკვეთილად ისმის, და მიდის და მიდის, ვერად ჩერდება, რადგან დრო აღარას ჩქარობს და სივრცეში კი შეიძლება ყველა (ვინც და რაც) მოთავსდეს და დაეტიოს, აქეთ და იქით.. ისევ გრძელდება დოლური რიტმი, სიჩუმეს აკრთობს; ერთ შუალედში, სივრცის ნაკვეთში, ერთად ხმიანობს ყველა და ყველაფერი, მერე ისევ მარტივი რიტმი და მას მიდევნებული ნარევი ხმების, ზოგის წინ წამოწევით, თაურობით, გარნა აბნეულად და არეულად მაინც; მერე ეს ყველა ერთ რიტმს დაჰყვება და მით ლაგდება, თითქოს ჩუმდება კიდეც, მაგრამ ისევ რიტმულად; და ასე არეულად მაინც მიდის, საერთო რიტმობას დაყოლილი და დამორჩილებული, მიდის: გაუთავებელსა ჰგავს მათი ერთად ხმობა, ენერგიის დალევამ თუ გაანელა ის, სხვა აქ არა ჩანს.. ის კიდევ მიდის, ამა თუ იმ ხმობით, იმავეთი თუ სხვებით, ასეთით თუ ისეთით, ისევ მიდის, ვინძლო იმედია, მხოლოდ, რომ ადრე თუ გვიან ცა თუ ქვესკნელი გადაიხსნება და ერთად ჩაიტანს ყველას და ყველაფერს თავის ღრმულში!. ის კიდევ მიდის, მხოლოდ დოლის ხმობა და ელექტრონული გიტარის მიყოლა მასზე; შორითაც რაღაც მოისმის, ამის და იმის, რამე კავშირის გარეშე, თავისად, თავისთვის; თითქოს გაუჭირდა ელექტრონულ გიტარას რიტმის დაჭერა, მაგრამ დოლი ისევ მხნედ იღვწის.. უეცრად, საიდანღაც მელოდიური შემღერება ქალის, მარტივი, მოკლე, გამეორებებით; მაგრამ დოლმა და ელექტრონულმა გიტარამ აიტაცეს ისიც და თვითონ გააგრძელეს თავისეულად, ქალის ხმობა კი ჩქარ და გაურკვეველ სიტყვობაში გადავიდა, ფირფიტას რომ ააჩქარებ და გააწვრილებ მის ყველა ხმობას, ისე!. რაღაც გადასვლასავით ისევ, მაგრამ გარჩევად ხმობაზე უკვე, ღათუ მცირე ხნით, მერე ყაყანივით ისევ, რიტმობა, ვაჟისგან ცალკე სიტყვების ძახილი, გამეორება და გამეორება მათი; მერე ინსტ-

რუმენტული ნაკვეთი, ვაჟის სიტყვები, თითქოს სივრცის სიღრმეში შესვლა, იმავე რიტმით დოლის და ელექტრონული გიტარის, რაღაც საკრავის ხმის შემოჭრასავით და იქითკენ აჩქარება მათი სვლის.. თავისას იძახის და იმეორებს ვაჟი, დაღათუ რატომ და ვისთვის?. ელექტრონული გიტარის ხმების გაწელვა, თითქოს შორითკენ წასვლა, და ისევ ვაჟის შემოსვლა; ვიღაცას უხმობს თუ ეძახის, რაღაცას თავისას უხსნის.. ელექტრონული გიტარის ხრინწიანი რიტმი, დაფის მიერთება, ქალის შეკივლება გრძელი, ვაჟის მყვირალა მეტყველება, წვრილი ინსტრუმენტული აკორდ-შეძახება მოკლე, ვაჟის მყვირალა მეტყველების გაგრძელება, ქალის კივილი (სამჯერ), სრული დოლური რიტმი და იქვე ბასი, საყვირის ხმასავით, ახლოს, მყვირალა მეტყველება, ქალის გაწელილი კივილი, გამეორებებით.. გადასვლა: ხმოვანი დაფივით, მისი რიტმული ტიტინი მერე, დოლის და ელექტრონული გიტარის რიტმობა, ადამიანის შეძახება, ისევ საერთო რიტმი, ელექტრონული ორღანის გაწელილი ხმობა, ქალის კივილი, ყველაფრის გამეორება, ასევე ქალის შეკივლების; კვლავ ინსტრუმენტები და ქალის შეკივლება დროდადრო, მაგრამ განახევრებული.. ისევ გადასვლა: ზუზუნი სიმებზე, გამეორება, ვაჟის მოკლე შეძახება, თითქოს განმეორებად მელოდიაზე გასვლა, მასზე აყოლა კაცის...

გამოსავალის ძებნას ჰგავს, პალიკო, ეს დაუზოგავი ძალისხმევა, თავი რომ დააღწიონ როგორმე ამ გაუთავებელ ორომტრიალს დროის მიღმა დარჩენილი სივრცის.....

– ძნელი აღმოჩნდა, პალიკო, დროისგან განყოფილ სივრცეში ყოფნა, აქ მოქმედება, როცა ხელმისაწვდომია ყველაფერი, მაგრამ არსად ჩანს რამე გზამკვლევი, ქმედების მიმართულება და მისამართი, რადგან ამ სივრცეში ყველაფერია უკვე შექმნილი და განჭვრეტილი და რაც უნდა მოიმოქმედო, მაინც იქვე რჩები, ფუჭად ირჯები...

– უნებურად ედები, პალიკო, აქეთკენ თუ იქითკენ, მოსინჯავ ამას და იმას, ცდილობ სხვადასხვაგვარად მიუდგე საკუთარ თავს, საკუთარ ყოფნას, წინარე დამდგარ რეალობას!. გარნა არაფერი იცვლება მასში, არა იძვრება, რამეთუ აქ აღარ მუშაობს „დრო, ყვეელაფერის მქმნელ-გარდამქნელი“, წინით კი გხვდება ოდენ ეს „სივრცე, ყველაფრის დამტევებელი“, რომელშიც ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ არა შეცვლა მოგებული წესწყობილების...

– აქ „რეალობა“ თამაშად იქცევა, პალიკო, სადაც თვითონ სივრცე გეთამაშება (მთელი მისი განუზღვრელი ავლადიდებით), სადაც თავად შენც მისი წილი ხარ მხოლოდ, ერთი ნამცეცი და შენი რაობა და მიმართება (ადამიანის) არ ენაღვლება უკვე არავის.. მაშინ შემოვიდა ეს გრძელი წუხილიც, შფოთვა და ფორიაქობა გაულეველი, ცდა და მოსინჯვა გზის გასაკვლევად ყველანაირი საშუალების: გამოსავლის ძებნა გამეტებული და დაუზოგავი!. მაგრამ ქაოსს დაემსგავსა, პალიკო, აბდაუბდას ეს ქმედებები, ერთურთს შეწყობილი: რეცა ხმაურიაო, უბრალოდ, სადღაც, შემოკავებულ არე-მარეში...

– სწორედ ეს მდგომარეობა გააცხადეს და წარმოადგინეს ელექტრონულმა მუსიკოსებმა თავიანთ ნაწარმოებებში 2000-იანებში.. ისევ საოცრად ზუსტად, პალიკო, საჩინოდ, კვესებით: ყველა განცდა და შეგრძნება, აღტყინება და მოწა-

დინება, ძალისხმევა, უწყალოდ დახარჯული!. მხოლოდ ერთი ნაკვეთი გამოკრთა ამ სურათში ხელჩასაჭიდი: „რიტმის“ რაობა და მნიშვნელობა, პალიკო, სიცოცხლის გულისფეთქვას რომ ინახავს დროისგან დაცლილ და განყოფილ სოფელში, სივრცეში.. რეცა ამ რიტმშიაო ახლა ჩატვიფრული წუთის მთელი სიმძაფრე და მშვინვარება, მყისების ძგერა დაუშრეტელი!.

– ეს „რიტმი“ გახდა, პალიკო, ამ შუალედის ელექტრონული მუსიკის მთავარი ღერძი, რომლის ირგვლივაც იკრიბებოდა ყველა ხმობა და ბგერობა ელექტრონული ინსტრუმენტებით თუ ტექნოლოგიური საშუალებებით გამოცემული.. დასარტყამი ინსტრუმენტი იყო აქ გამოკვეთილი წამყვანი, ღათუ მას ენაცვლებოდნენ ხოლმე სხვა ინსტრუმენტებიც (ელექტრონული გიტარა, ბასები, ელექტრონული როიალი...); ხან ერთურთს მიჰყვებოდნენ, პალიკო, შეეწყობოდნენ, ხანაც ერთად აახმიანებდნენ მოგებულ რიტმებს გახელებით!. და მათ მიჰყვებოდნენ: შეყვირებები და შეძახებები (ადამიანების თუ ინსტრუმენტების); რაღაც ექოები შორიდან, აქეთ-იქიდან; თითოდ ბგერები, უცნაური ხმები, მოკლე აკორდები, ცალ-ცალკე, თავისად; ორ-სამმარცვალა შემღერებები, მათ შორის გრძელი შუალედებით; ხემით გაწვრილებული სიმებიანები, გაწელილი ბგერები ელექტრონული გიტარის, ორღანით გაგრძელებული ცხოველი ხმები; და გამეორებები და გამეორებები, პალიკო, ყველასი მათი, გაუთავებლად, დაუმთავრებლად!. და ისევ ფონად საერთო რიტმი, ყველას რომ აძლევდა ხმის ამოღების შესაძლებლობას და გადაჰყავდა ყველა ერთად გარდავლილი ცხოვრებიდან არსებობაში, ბოლო რომ არსად ისმის...

– ასეთად იქცა, პალიკო, ადამიანისთვის 2010-იანები: „არსებობის“ მიღების, მასთან შეგუების და მორგების ჟამი, დაგემოვნების.....

ელექტრონული ორღანის გაწელილი ბგერობა, რაღაც ჩასაბერი საკრავი (საქსოფონივით) აყოლილი მას; მერე დოლური რიტმობაც შემოდის, ელექტრონული გიტარაც და ის გრძელი ბგერობაც გრძელდება, დაფის რიტმი მეგზურობს მათ – რეცა სადღაც მიდიხარ, თუ შედიხარ, თუ იკარგები თანდათან.. უკან ბრუნდება გრძელი ბგერობა (ოდნავ სახეცვლილი), შედარებით დაბალი ხმობით, ელექტრონული გიტარაც იქვეა, როიალიც სადღაც იქ იყო; იმავე როიალის გამეორებული აკორდი, ისევ დოლ-დაფი და ელექტრონული ორღანის თუ ბასის (თუ ორივესი ერთად) შემოსვლა და ხმის ამაღლება თანადი: ბევრი ინსტრუმენტი ერთად, მაგრამ აურევლად, დალაგებულად, დოლ-დაფიც, ყველანი ერთ ტონალობაში – ერთად ნელდებიან და ილევიან, აუღელვებლად, აუჩქარებლად.. შემდეგი ნაკვეთი (თუ ნაწარმოები): შუილივით მოდის უცნო ხმა შორიდან, გრძლად, აქა-იქ კლავიშური დაფის ბგერობა, თითო-თითობით, მას მოყოლილი ელექტრონული ორღანი, ამოძახებასავით და გამეორება, კიდევ და კიდევ, შუალედებით; წყნარ მელოდიაში გადადის (ამოძახების ჩართვით) ყველა, გრძელ და გაწელილ, სქელ ხმობად იქცევა ორღანის ბგერების ხმევა სხვა აკორდების შემომატებით: სხვადასხვა ტალღებად იშლება, თითქოს რაღაც კვალს მიჰყვები და თანავ მიმოიხედავ ირგვლივ: ისმის ორ-სამბგერიანი ხმობა წყნარი გრძელი ხმის ფონზე, გამეორებული და გამეორებული.. რაღაც სხვა ხმები შემოგხვდებასავით და ისევ გზა, კიდევ კვალი,

და ისევ განსხვავებული ხმები დროდადრო, წყლის სიღრმეში რომ შემოგხვდება მეყვსად, გაუგებარი, და იგივე უხმაურო კლავიშიანი დაფი იქავე, უფრო დიდხანს რომ მარტოდ ისმის: რომ მიდიხარ და მიდიხარ იმავე გარემოში, ვითარებაში, რეცა ელექტრონული გიტარის ერთი სიმის ჩამოკვრა რომ შემოგიერთდება (იმავე რიტმში) და შენც მიდიხარ და მიდიხარ, თითქოსდა ფიქრში, სადაც სხვა ტონებიც შემოდიან თანდათან (კლავიშიანი დაფის შემოერთებით) და სხვა ხმებიც მათთან ერთად, ადამიანის თუ ადამიანების; ერთ ყლუპად ივსება ყველაფერი როგორღაც, ერთ მოკავებად და კვლავ ამ კლავიშიანი დაფის და დოლის რიტმი, იქით და აქეთ, სივრცეში თუ ფიქრში, თუ ორივეში; თან დოლური ხმა უფრო მაღლდება და გრძელი ხმაც ახლიდან ხსენდება, მოდის და უკვე სამის ერთად სვლა ამ გზაზე ისმის; შეხვედრა რაღაც ბგერებთან და ისევ კლავიშიანის და დოლის რიტმი და მათზე ხელის და თითების ცემა, გამოზომილი.. ნელა შემოდის უფრო სქელი და გრძელი ხმობა, ძლივს გარჩევადი, შეყეფებასავით რაღაც დროს კიდევ, გაზადაგზა რომ ისმის; ადამიანის ჯაზური მეტყვობა უცებ, მდინარი, თითქოს კითხულობს, აქ სადა ვართო ან როგორ მოვხვდით?!. და აგრძელებს და აგრძელებს, შეწუხებული, საქსოფონის თითო ბგერის შეძახებით და მიყოლებით; მერე საქსოფონის მოკლე პარტია იკვრება იქვე და ისევ დოლური რიტმი.. წვრილი წივწივი სიმებზე ხემის, რიტმის დამჭერი, უხმაურო, ასევე ბას-გიტარის, იმავე რიტმით, რაღაც შეძახება ერთი ექოსავით, საიდანღაც რომ ისმის; მერე ელექტრონული როიალის კლავიშები და ისევ ხემი და ეს დოლი და ბასი, მხოლოდ თანდათან ამაღლებული ხმებით, რომელიც ისევ არ გაწუხებს, თითქოს იმავე გზის კვალს უბრუნდება ყველაფერი.. კვლავ უცნო ხმებს ხვდება ადამიანი, უცნო არსებებს და მათთან შეხვედრის თანად ცვლის მეტყველების ტონალობას, ფორიაქობის გარეშე, საერთო რიტმიდან არა ვარდება, დოლი და ხემი რომ იჭერენ ელექტრონული როიალის თუ გიტარის თანხლებით; ქალის შეძახება-სიმღერა, ორის, ერთმანეთთან გადაძახება და ელექტრონული ორღანის აყოლება მათზე, იმავე რიტმით; ქალის ხმაც გადადის მასში, ინსტრუმენტებიც ჰყვებიან (მათთან შეხვედრით ახმიანებულები), გზა-ფიქრის რიტმში; მერე თანდათან ნელდება ყველა ეს ერთად, დოლ-ბასის რიტმით და რაღაც სიტყვობით ადამიანის, რეცა თავისთვის, იქით რომ მიდის; მერე ორის საუბარი, უბნობა, მკაფიო სიტყვებით, გასაგებით ერთმანეთისთვის; მეორეს მიჰყავს ეს სიტყვობა უკვე ან პირველადი დასკვნების გაკეთებას ცდილობს, და კედელივით რიტმი მიჰყვება გვერდით, ხემის თუ ორღანის ამ დროს, და ისევ დოლი შემორჩება ბოლოს, რაღაც აკორდებით ელექტრონული როიალის (წყნარად რომ ისმის), თითოკლავიშიანი რიტმის მიმატებით დოლის რიტმობისთვის: ისმის და ისმის.. ტალღოვანი რიტმი, გრძელი, გაწელილი ხმობა მათ გვერდით, დოლის წამყვანობა, თითქოს სულ უფრო იქით მიდიხარ, სიღრმეში სივრცის და ფიქრის, თითქოს დოლის ჯოხების ერთურთზე კაკუნი მერე, და წყნარი მოხსენება ადამიანის, თუ რა და სად არის, ღათუ ისიც მეორდება რიტმობის ციკლში და აღარ ისმის!. ინსტრუმენტები კი ხმიანდებიან, რიგის დათმობით ერთამანეთისთვის, ერთურთს შეწყობით, კაცის ორი სიტყვა იმავე რიგის – თითქოს რაღაც გაირკვაო ამ გზობის წილად, და ჯერი არის და ნება წყნარი შუალედის და წყნარი ფიქრის, და ისიც მიდის და მიდის... იგივე წყნარი რიტმი დოლის და ბასის თუ ელექტ-

რონული როიალის, შუალედივით, მშვიდი, რომელსაც ემატება ორღანის მსუყე ბგერობა იმავე რიტმში და ადამიანის სიმღერა-სიტყვობა, დალაგებული, წვლილი, მშვიდად რომ იღებ და მიჰყვები ფიქრში: არაფერი მძაფრი და ღელვის მომწევი, გამაღიზიანებელი; ელექტრონული გიტარის წერტილოვანი ბგერობა და ჯგუფის აყოლა იმავე რიტმში, არავინ რომ დაობს და ყველა წუწუნის გარეშე ღებულობს იქაურობას, მის რეალობას, მოცემულს ირგვლივ; შორიდან ხემის ხმა და დოლის რიტმი; რეცა გზა კიდევ გრძელდება და მასზე დამდგარს სხვა ხმებიც გესმის; ხემის მოკლე გადასვლასავით და დოლის რიტმი, ყველას რომ რიტმულ როკვაში იწვევს და აერთიანებს, გართულებების და პრობლემების იქით.. ღათუ შორიდან მაინც შემოდის ხმები, რაღაცები ისმის, ადგილზე რიტმობას ოდნავ ააღელვებს ინსტრუმენტების შემოერთებით და ერთად ხმიანობით, რომელსაც (ნებსით, თუ უნებლიეთ) ადამიანების ხმებიც ემატება, მერე კი ისევ ინსტრუმენტები აქეთ და იქით და გზების რიგი; ადამიანების ხმების გამოკვეთა დამარცვლული სიტყვობა-სიმღერით, ტალღებს გაყოლილი და გაექოებული სხვა ინსტრუმენტების ხმები, განუზღვრელ სივრცეში გაბნეული და გაშვებული ორღანის მსუყე ბგერებით, ელექტრონული გიტარის რიტმული ჩამოკვრით, დოლის გაუნელებელი ცემით და ისევ (და მაინც) ადამიანების ერთად ღაღადით თუ სამყაროსთვის შეწევნის შეთხოვნით: იმავე რიტმში, დაუნჯებით და დაჯერებით!. და ისევ დოლი (რომ არ გაწუხებს) და ამგვარივე ბასი, კლავიშიანი თითო-თითობით ბგერობა დაფის და მათ შეწყობილი ულუფა-ულუფა შეხმობა ადამიანების – ყველას დალევა-დადუმება და თხრობის წამყვანის ბოლო და წყნარი, მკაფიო სიტყვები...

რეალობასთან შეთვისების ნაბიჯებსა ჰგავს, პალიკო, ეს ძალისხმევა და ხმიანობა ადამიანების.....

ნელა შემოდის ელექტრონული ორღანის მოგუდული, გაწელილი ხმობა, გრძელი საყვირივით, მას ჰყვება ელექტრონული როიალის მჭექარე აკორდები, ამაღლება ტონების: კოსმოსიდან უვლიან-აკვირდებიან თითქოსდა დედამიწას და მთვარეს ელექტრონული ორღანის უწყვეტი, მაღალი, მსუყე ხმებით, ზემო სფეროებიდან რომ იღვრება, მოისმის; დედამიწიდან გაშვებული სატელიტებიდან, თანამგზავრებიდან მოიხილავენ კიდევ პლანეტებს, სქელი ორღანული ხმებით გაზავებული დოლური რიტმებით.. ახალი ნაკვეთებივით, მერე: კლავიშებიანი დაფის ხმობა (რეცა ჯოხების დარტყმა-ჩამორტყმით) და ელექტრონული გიტარის ორბგერა რიტმი, დოლის შემოსვლა და დაფის თითო-ბგერობის მასთან მიერთება, ელექტრონული გიტარის აყოლა მასზე; ასევე რიტმული (ვინძლო ორღანის) ხმების შემატება და თითო-ბგერობის გამრავლება; მერე ქალის (თუ ბავშვების) წამოყვირება-წამოკივლების ხმა და რიტმის აჩქარება, ხმის ამაღლება; ისევ კივილი (თუ სიცილი), თამაშობა და ელექტრონული გიტარის გაცხარება, ჟივილ-ხივილი წვრილი ხმების გზადაგზა, კიდევ სხვა ხმების შემოსვლა თანდათან, ხემის სიმებზე გავლასავით, გახახუნება; დოლის გამოკვეთა, რაღაც ამოსუნთქვების თანხლებით, ორბგერა ორღანული ხმების რიტმული შემოსვლა; თანვე ბასები, ისიც ორბგერა, და ორი-სამი ინსტრუმენტული შეკივლება.. ზარის ჩამოკვრით გაშვებული გაწელილი ტალღები თუ სიმის აცახცახება ხემით, ელექტრონული

როიალის სამაკორდიანი რიტმი, გაგრძელებული ხემის ფონზე, ტონიდან ტონზე გადასვლა, აკორდების გადარბენა და გაუთავებელი რიტმობა დოლის; ელექტრონული ორღანის ორაკორდიანი რიტმი, სქელი და ნელი ხემი, რეცა ვიოლონჩელოზე, ელექტრონული როიალის აყოლით, მისი ორბგერიანი რიტმით, სადღაც-როდისღაცსავით რომ ისმის; ბას-გიტარის სიმების ცახცახი შემოდის, სქელი ზარივით, ზურნის ჭყვიტინივით მოისმის, უწყვეტად, გრძლად, ამოსუნთქვასავით.. რაღაც შესიტყვება თუ გადალაპარაკება, მოგუდული, ქალის და კაცის, ორ-სამ-ჯერ, ფრთხილი, მერე დოლური რიტმის თაურობა, სხვების დუმილი; კაცის შესიმღერება ორიოდ სიტყვით, ბასის სქელ რიტმზე, და ისევ კაცის შუალედი, სხვა სიტყვებით, შეჩივლებასავით, გამეორებებით; და დაფის შემომატება, აქა-იქ სქელი ხემი, ელექტრონული ორღანის მაღალი ხმობა და ხემის გაწელილი ხაზი, სქელი; კაცი თავისას ჩივის, გამეორებებით, თითო-ოროლა სიტყვის ჩართვით, ბასების რიტმის მიყოლებით და ხემის შეხსენებებით; კაცის ამოძახებები ნელდება მერე, მათ ადგილს ბას-გიტარა იკავებს თავისი სქელი რიტმობით და უფრო ხანგრძლივი ხმობით; თანდათან ესეც ილევა და დოლის რიტმებიც შემოდის.. დასარტყამის ჯოხების რიტმული კაკუნი ერთმანეთზე, იგივე, დაფური რიტმით, რაღაც ბგერები იქავე, ადამიანის შეძახებასავით (უსიტყვო), ძალიან სქელი ხემი, შეძახებებთან ერთად, მერე მათ გარეშე, კლავიშიანი ხმოვანი დაფის თითობით ბგერობა, რიტმული, საიდანღაც მოსული; წვრილი ხემი, მოკლე ნაკვეთებით, ქალ-ვაჟის სიმღერ-უბნობა, გარნა უგრძნობო, მერე ელექტრონული გიტარის რიტმული ხმობა, თითქოს თავისთვის, და ქალის შემღერება, თითო-ოროლა ბგერით ხმოვანი დაფის გვერდით; ქალის უსიტყვო სიმღერა, მარტო ბგერებით, ერთი-ორი მარცვლით, მოკლე, დოლური რიტმების ფონზე, ერთხანს კიდევ, რეცა ზღვის ტალღის შხრიალი ახლოს, და ისევ დოლის ცემა, მიდის.. თითობით ხმოვანი დაფის შემოსვლა და დოლიც იქვე, უფრო ჩქარი და მგზნებარე; ელექტრონული გიტარაც მათვე მიჰყვება, მიდის ესევე; მატულობს ხმობა, მკაფიო და გარჩევადი, რაღაც წკმუტუნივით შორითკენ კიდევ, ჩაიარასავით რაღაცამ, ისე, და ისევ დოლი, თითო-თითო ბგერით, სხვა რაღაც კიდევ იქითკენ და სრული დოლი მიყოლებით; ელექტრონული გიტარის შემომატება, იმავე რიტმით, და დაფის ცემა ხელებით, გულ-დაჯერებით; და ესეც გრძელდება – ისიც მიდის; ისევ ისევე, განელება, ხელების დაფი და სრული დოლი, რაღაც უცხო ხმები შიგადაშიგ, მანქანის საყვირივით, ოდნავ აჩქარება ხელების ცემის და იქავე სრული დოლი; ისევ დადიან ირგვლივ რაღაცები, უცნობი ხმები, აქა-იქ, მიგარდმო, დროდადრო: არაფერი ისეთი.. კვლავ რიტმი და რიტმი, თითქოს მოკუმული პირით ოდნავ მიყოლება, მერე უწყვეტი, გრძელი ზუზუნა ხემი და რაღაც საგნებზე დოლობა, განსხვავებული ხმობა იმავე რიტმის, რეცა აფრიკულ დაფებზე და სხვა საკრავებზე და მერე თითებით გათამაშება, მოკლე; და ერთი მთავარი რიტმი, შიგნითკენ, სიღრმეში მიდის, სადღაც კი ბუს ხმობა ისმის; იგივე რიტმი, ელექტრონული გიტარის მიერთება, მცირე გადასვლები, თითებით რბენა რაღაც დაფზე, მიყოლებით; მოკლე, ხრინწიანი ხმის შემოსვლა საიდანღაც და ასე ყოფნა ერთხანს, უბრალოდ, ისე; და ისევ მთავარი რიტმი, მას მიყოლილი, დროდადრო სხვების (გვერდზე გამდგართა) ხმები, და ესეც მიდის თავისად, მიდის, ღათუ ერთ ადგილას რჩება, ისევე, შიგნით!.

ნელდება ისიც, თუმც მაინც ისმის, დოლი და ელექტრონული გიტარის ერთბგერიანი რიტმი: მიდის და მიდის; მერე თითქოს ორმარცვლიანი სიტყვობა შემოდის შორიდან, სრული დოლური რიტმი, ორივე ერთად და კიდევ ხემიც, ისინიც სადღაც იქით; ელექტრონული გიტარის წყვეტილი ბგერობა, სამმარცვლიანი სიტყვების მღერა და ისევ დოლური რიტმი, ტაშივით ხელების შემოკვრა, რიტმში.. ელექტრონული ორღანის გაწელილი ხმობა, იმდაგვარივე ტალღური მიყოლება თითქოს ადამიანების ხმების, წინარე ნაკვეთის რიტმის მობრუნება, სამმარცვლიანი სიტყვობის და ტალღების სვლასთან შეერთება, როგორღაც თავისით, საერთო დოლური რიტმით გაერთიანებული, რომელიც მეტად იკვეთება და ისმის; მერე ეს ტალღების ლივლივი მეორდება, გარნა ნელდება და ისევ სრული დოლური გზნება იკვეთება, შორით რომ მიდის; მას მეორე (სხვა) დოლური ხმობა ენაცვლება, იმავე რიტმით, და იქით კიდევ მესამე ისმის, რეცა ჯოხებით (ანთუ სხვანაირად) იმავე რიტმის შენარჩუნებით!. რაღაც ღმუილივით შემოდის კიდევ იქიდან, იმავე რიტმით და მერე ისევ ჩვეული სრული დოლი, რიტმული ღმუილის შემომატებით – მიდის და მიდის, ისმის, კიდევ და კიდევ, ორივე ისმის და მიდის; ტაშივით ემატება რაღაცა ამ ორს, იმავე რიტმში, გაურკვეველი რჩება მხოლოდ ეს ღმუილი: ადამიანისაა თუ სივრცის?. მარტო ტაშივით იქიდან და დაფის რიტმი, ბაყაყის ყიყინივით, საიდანღაც მოსული, ძლივს გარჩევადი ბგერობა გზად და თაურობა სრული დოლურობის.. ელექტრონული გიტარის შემომატება და ორღანის ორ-ორი ბგერა (თუ აკორდეონის) და ერთად გაკვლევა-გაგრძელება თუ ადგილზე მიმოხედვის რიგი; ხელით დაფობა მიემატა, სივრცის ამოსუნთქვასავით, შორით, აქა-იქ, თავისად, თავისთვის; ხემის შემოსვლა, ორღანის გრძელი ხმობა, ფონობას რომ იჭერს დოლთან, გიტარასთან, მათი რიტმულობის გვერდით; ისიც რიტმია თითქმის, მხოლოდ უფრო გრძელი ტალღის, რომლის მხარის შეცვლას ძნელად თუ გაარჩევ, ძალიან შორით, აქ კი გრძელდება დოლის და გიტარის ჩვეული რიტმობა, მიმართული იქით.. ღრუ ხმა, ელექტრონული როიალის ერთკლავიშიანი რიტმი; ღრუ ხმა უწყვეტად გრძელდება, ტონალობას ოდნავ თუ იცვლის, სხვა კლავიშებიც მალევ შემოდიან და მრავლდებიან მისით; რაღაც გადასვლა-გადმოსვლები ბგერების, მელოდიურობამდე მისვლისთვის, ჩვეულებრივი სიტყვობა იქავე კაცის, რაღაცის განმარტებასავით, ჩახლეჩილი ხმით; როიალის ორბგერა რიტმობა და ღრუ ხმის უწყვეტი დინება, თითქოს თვითონ სივრცის ხმოვანება ისმის, მისი სქელი ფუღურო ხმა სიღრმიდან ამოდის, გარემოში შემოდის და მაღლდება მოახლოებით.. დოლური რიტმი მკვიდრდება, ნელა შემოდის წვრილი ხმა ხემის, როიალის ერთ-ორბგერიანი რიტმი ემატება, კლავიშური ბგერები მრავლდებიან, რიტმულობის შენარჩუნებით და მელოდიამდე მისვლით; მკაფიო დოლური რიტმები ისევ და რაღაც ჩასაბერი საკრავის (საყვირის თუ საქსოფონის) ამოძახებები, რიტმის აჩქარება, სწრაფობა და სრული დოლის წამოწევა წინ; ღრუ ხმა ორბგერა ტალღად იშლება, სინუსოიდებივით, ელექტრონული გიტარა მათ უფრო გამოკვეთს, აქეთ-იქიდან სხვა ინსტრუმენტების შეშველებით.. ელექტრონული ორღანის წვრილი ხმა კნავილივით მოისმის, როიალის კლავიშებზე ჩქარდება ბგერები, დოლთან თანხმდება და სივრცის შეძახებებიც იქვე ისმის; სხვადასხვა ტონალობის ხმობა და ისევ მკაფიო თაურობა რიტმის (ისევ ელექტრონული გიტარის),

პირდაპირ ტვინში რომ შემოდის და საითკენღაც გიწვევს, გეძახის, ხმოვანი დაფის თითო-ოროლა ბგერის შემოსვლით, მცირე ხანს შეხმიანებით და მასთან ერთად ზუზუნა ხემის თანდათანობითი მინავლებით და სიჩუმის თავისთავად დადგომით...

თითქოს შეეწყვნენ, პალიკო, ამხდარ სინამდვილეს, რაღაც ხიბლიც კი იგრძნეს: ყველაფრის ქონების და მისაწვდომობის, განუზღვრელობის მრუმე მღვიმეში ყოფნის.....

რიტმი, ხმაური, ელექტრონული გიტარის რიტმული ხმობა, ასევე დოლის, ჰაერის თუ სივრცის წივილი ანთუ ვიღაცის (რაღაცის) მასში შეკივლება, იქავე ვარდნის თუ დაცემის, ნგრევის ბგერები, მეორებადი, წვრილი ხმა-წივილი შორიდან, ბევრი ინსტრუმენტის ხმაური რიტმში, დოლის გამოსვლა წინ, რაღაცების კიდევ, ვარდნა, ხმიანობა და მძაფრი შემოსვლა გიტარის რიტმის; შეძახილივით ადამიანის, მერე დოლობა და ელექტრონული გიტარის განელებული რიტმი; წინ დედამიწის ბურთი თუ სფერო თუ უფრო დიდი რამ, სამყაროს ტიპის.. ისევ რიტმები, დოლ-გიტარული, რაღაც გადასვლები ელექტრონული გიტარის (რიტმის ფარგლებში) და უკან ხმოვანი ხმაური: დოლი, გიტარა, ცალკე სიმების ხმობა, კაცის სიტყვობა-სიმღერა, ბოლოში მახვილით, გრძელი ტექსტი, აქეთ-იქიდან ინსტრუმენტების შეწყობა, ხმაურის თანა-ხმობა, კაცის ნაკვეთის გამეორება, მერე სიტყვებით სიმღერის რიგი.. გიტარის ხმამაღალი წამოწევა წინ, თითქოს იმავე სიტყვების სიმებზე თხრობა, ბგერობა სიტყვების და ისევ რიტმი, იგივე ფიქრი; გიტარის რიტმი, თითო ბგერაზე დასვლა თანდათან და იქვე საერთო რიტმი, ელექტრონული გიტარის თუ სხვა ინსტრუმენტების თანხლება, დროდადრო სივრცის შეძახებასავით (ხმოვან დაფებზე ხელების ცემით), საერთო რიტმის გაცხარება და გრძელი წუილი ქარის თუ სივრცის; ისევ საერთო რიტმის თაურობა (გიტარის წილით) და სხვადასხვა ხმების ძახილ-წიობა, გიტარის აკორდის გამეორება და კიდევ ხმები აქეთ და იქით...

დოლის შემოსვლა, ბაგუნით, ბრახუნით; ელექტრონული გიტარის გაწელილი ბგერები, წვრილი, ქალის შესიმღერება, თავისით, რიტმს მიყოლება, სიტყვების გამოკვეთა შიგადაშიგ, გამეორებებით; შეყოვნება და გაგრძელება ქალის სიმღერის, რაღაცების აღნიშვნა და წარმოჩენა გაწელილი ბგერებით, და ინსტრუმენტების მსგავსივე ხმობა, მერე, თავთავისნაირი, ზოგჯერ წივილივით და ისევ რიტმი, შეუჩერებლად, მას მიყოლილი.. რეცა სივრცეში გასვლაა და ახალი სიღრმეების მონიშვნა, მათი აჟღერებით, და გრძელი, წვრილი ხმის გაღუნული ხმობა, რამდენიმეჯერ, მიყოლებით; ელექტრონული გიტარა შემოდის, თავისი ბგეროვანი სიმღერით, საერთო რიტმის ფარგლებში, დოლური რიტმი ეშველება მალევე, და ელექტრონული ორღანის სქელი, გაწელილი ბგერები ისმის; ხმოვანი დაფის რიტმები და ქალის სიმღერის (თუ კაცის) გაჟღერება და სადღაც წასვლა, იქით, იქიდან შემოძახება და უფრო წვრილად და გრძლად მოთხრობა ამ ამბის საქსოფონით, ანუ, ინსტრუმენტით; და ისევ გიტარის სიმები თითობით, მცირე ხანს, მონაცვლეობით...

დოლის რიტმი, დაფის ერთჯერი მიერთება, ღრმა ბას-გიტარა, ელექტრო-

ნული; ქალის შემღერებ-შესიტყვება, ვიღაც მეორის ხმა მიჰყვებასავით, ტექსტის ბოლო მარცვლის გამეორება ორ-სამჯერ, და იგივე მელოდია მიდის; რიტმის გამეორება რამდენჯერმე ხმიანი ელექტრონული გიტარით და ისევ ქალის მარტივი, მელოდიური სიმღერ-სიტყვობა მოგუდული ხმით, რაღაც დიდი ბას-გიტარის მოხმობა ორჯერ, სქელი ზარივით (მკვეთრად რომ შემოჰკრავ), ელექტრონული გიტარის გამოკვეთილი ბგერები მერე და გრძელი ძახილი ქალის, მოკლედ მოკვეთილი, რიტმობა გიტარის.. ელექტრონული ორღანის გაწელილი ბგერები და ისევ შეძახება ქალის; მას ელექტრონული გიტარის ბგერა-ბგერობით მღერა ენაცვლება და ორღანის სქელი რიტმი, და წყნარი დოლი შემოდის მერე, ჩასაბერი საკრავის მოკლე შეძახებები, ჯერობის ერთმანეთზე გადაცემა ინსტრუმენტებით და განელება ამ მონაკვეთის.. გამოკვეთილი ბგერები, ელექტრონული გიტარის, და ნელი რიტმობა, თითქოს სივრციდან ორღანული გრძელი ბგერების ჯერი, აქეთ ბასების ერთი შეშველება, ელექტრონული გიტარა ისევ და ხმოვანი დაფი, მასზე თამაშობა, წყნარი და გრძელი ბასი: რეცა ეს ყველა სივრცეში ხდება, წილი ექოობაც, და არავის ეჩქარება დიდად – ყველა იქ არის, არვინ იჩქარის...

დოლი, მარტივი რიტმი, გრძელი როიალი, აჩქარება რიტმის, რაღაც შეხმიანება ელექტრონული გიტარის, ნელი; შემღერება სიტყვებით კაცის, მათ აყოლილი გიტარა, ზუსტად, მელოდიის და სიმღერის გარიტმება და მათი თხრობა – იგივე, გიტარის ბგერების ჯერით; და ისევ ვაჟი, გიტარის თანხლებით, მიყოლა და გაგრძელება სიტყვების: ისევ იგივე – გიტარით, ოდნავ მეტი გათამაშებით ტონის და მისი სიმაღლის.. ბევრად მეტი ინსტრუმენტის შემოსვლა, სხვადასხვა ხმების, წინით განფენილ სივრცეში, ელექტრონული გიტარის რიტმზე შეჩერებით, სხვაგნით რომ მიდის, და ისევ ხმებია გარემოში, უცნაურებიც და ყველაფრის დაჭერა-გამოკვეთა ხდება ბასების რიტმით, ელექტრონული გიტარის ბგერების და სხვა ხმების შესვლა-გამოსვლით.. ელექტრონული გიტარის თითო ბგერობით რიტმობა, მკვეთრი და ჩქარი, და რაღაც ბგერები სივრცეშიც ჩნდება – ასეთი, ისეთი და ჩქარი რიტმი, ყველას დამძლევი და ყველას გამბნევი მიგარდმო, ირგვლივ და ისევ რიტმი და შეძახება ელექტრონული გიტარის.. დოლური რიტმი და ვაჟის წყნარი თხრობის გაგრძელება და ვიღაცის თანხმობა ანთუ ექოსი, ყველასი ერთად ერთ ნაკვეთში მოქცევა, ერთიან რიტმში და კვლავად თხრობა სიტყვების, იმავე რიტმში...

დოლის რიტმები და მას მიყოლა, ჯერ წერტილოვანი, მერე სქელი ორღანული ხმებით და გზებით, სრული დოლურობა, მერე, და მას შეწყობილი ელექტრონული გიტარის რიტმები, ხმები, ორღანის სქელი ხმობის შეხსენება და სადღაც ქალის ძახილი წვრილი ხმით, და სხვა ბგერები მიგარდმო, ელექტრონული გიტარის რიტმის წამოწევა წინ; თხლად მოზუზუნე ხემი, დოლის ამოსვლა ზევით და ორღანის გრძელი და წვრილი, ჩაკარგული ბგერები, ხმები.. რიტმის აჩქარება და ჩქარი ზუზუნი ხემის, დაფივით ბგერობა გიტარის და გამძაფრებული დოლური რიტმები, ესევე ჩქარი რაღაც სხვა სიტყვები, ხმები და ერთმანეთში გადასული ხმოვანი დაფის თითობა თუ გიტარის ბგერები, თან საცეკვაო რიტმის შემოსვლა და აჩქარება სულ მეტად და მეტად და აქ გიტარის წვრილი, უწყვეტი კივილი და ისევ აკაკანებული დოლი, გრძელი საყვირივით აქეთ და იქით, მისი სიტყვე-

ბი!. რეცა ებრაული ცეკვა-სიმღერა „ავა-ნაქილაა“ მოწეული, ვინძლო მისთვის არ ყოფილა დიდად საძნელო ყოფნა დროისგან დაცლილ გარემოში.. თითქოსდა გამოჩნდა რაღაც გემო ამ თამაშობაში: სივრცის არეებში ნებად ბორიალში, ყველანაირი ხმების და ბგერების მიკვლევა-ცნობაში, მათ წარმოსახვაში (მერე) და გახმოვანებაში – ამგვარ გართობაში და თამაშობაში... ...

რეცა მის შიგნით ყოფნას შეგუებაა, პალიკო, დროგაცლილ სივრცეში, დაინტერესებული მიმოხედვა და ყურისგდება მისთვის.....

– ჩვეულად შეხვდა ადამიანი ამ რეალობასაც, პალიკო, ჟამით მოტანილს, მეყვსად რომ წარმოდგა მის წინარე მთელი მისი განუზღვრელობით: ისევე, როგორც სხვა ვითარებებს, ცხოვრება რომ ახვედრებდა დროდადრო თავის გრეხილებში – თავიდან შფოთვა, ფორიაქი, მიდებ-მოდება სხვადასხვა მხარეს, ალალბედზე მოსინჯვა, მერე, ამის თუ იმის: ვინძლოს იმედად ხშირად, რომ გამოჩნდებოდა მაინც ბილიკი, სამშვიდობოსკენ მიმართული.. მაგრამ არ იმუშავა, პალიკო, ამ მიდგომამ, ამ შემთხვევაში, ამ პირობებში, რადგან ეს არ იყო დროებითი მდგომარეობა, უცნოდ მოგებული: აღარა ჯერობდა დრო ამ სოფელში და დაუსრულებელ აწმყოში აღმოჩნდა ადამიანიც მომწყვდეული!. ღათუ უკიდეგანო სივრცე გადაიშალა ამავდროს წინით, უზღვავი შესაძლებლობებით და საშუალებებით მის უფსკერო სხეულში და ხვეულებში...

– ნათელი გახდა, პალიკო, რომ უნდა მოერგო ამხდარ სინამდვილეს, უნდა შეეწყო და შეეთვისო (გინდა-არგინდა) მის აღნაგობას, ვინძლო შეეგუო კიდეც, რამეთუ ის აღარ იცვლება (და არ შეიცვლება) თავისით, უბრალოდ „აწმყო“ გადაადგეთ მასში აქეთ და იქით, სხვა არაფერი.. უნდა მონახო შენი დამოკიდებულება, შენი მიმართება ამ სოფლისადმი, მოძებნო (თუ მოიგონო) მასში არსებობის ფორმა და საშუალება, შენი საწიერი..

– და ასეც გამოვიდა, თავისი გემო ჰქონია ამ მდგომარეობასაც, პალიკო, თავისი ხიბლი (მაცთუნებელი): ნებისმიერი ხმისა და ბგერის (ბუნებითის თუ შეთხზულის) მოგება და გაჟღერება; მათი ათასგვარი მწკრივების თუ კრებულების აწყობა, გახმოვანება, მიმოქცევა და გათამაშება; ყველანაირი ტიპის და სახეობის მუსიკალური კომპოზიციის თუ განაკვეთის გაწყობა, გამართვა, ახმიანება; ადამიანების ხმებით და სიტყვებით, შეძახილებით თუ შეყვირებით მათი შევსება და შეზავება; ასხლეტილი ხმების თუ ექოების შემოფეთება, მათი გაწელვა ანუ მოკვეცა; თითო ბგერების გახმოვანება, ერთურთს შეწყობა და გაბევრება!. და კიდევ სხვები, და კიდევ ბევრი ხმამოგებული და მოწეული, და ყველაფერი ხელმისაწვდომი, პალიკო, ირგვლივ, იქავე, მიგარდმო, გვერდით..

– თვით სივრცის ხმობაც გესმის, პალიკო, ამ სამყოფელში, წვრილი, გაცრილი წვიმის წვეთების შხუილივით რომ გებურება, რეცა შუილი უგრძესი ტალღის, გიბრალტარიდან ატლანტის ოკეანეში რომ გადადიხარ და მეზღვაურებს ოკეანის გასისინებულ, წყნარ ზედაპირზე რომ მოესმებათ – „ოკეანის სუნთქვა“, რომელსაც ველარ შეელევიან და მასთან მიბრუნებას და მისი სუნთქვის ახლიდან გრძნებას და გაგონებას მუდამჟამ დაეშურებიან.. ან სქელი ღმუილი, კანის დამძაგრავი, მშიერი ღლოფინი, უწყვეტი ღვრემა უშველებელი კოსმიური შავი ხვრე-

ლის უძღები მუცლის, მისი სტომაქის სიღრმეებიდან რომ მოგესმება და შეთედ შთები მისი საცეცების ცხელი ზმუილით შეძრწუნებული!..

– პირდაპირ ზემოქმედებას ახდენდა ეს ყველაფერი ადამიანზე, პალიკო, სადაგ (საჭირო) განცდებს და შეგრძნებებს აღძრავდა და აღვივებდა მის არსებაში; მეტადრე, სულ გამოწვლილვით რომ იყო უკვე შესწავლილი, თუ რა სიგრძის ტალღის ბგერები (მათი წყობითურთ) როგორ მოქმედებს ადამიანის ტვინის თუ ნერვული სისტემის ცალკეულ უბანზე, რა განცდებს და შეგრძნებებს, წარმოსახვებს და წარმოდგენებს, აზრებს და ფიქრებს, რა გრძნობებს იწვევს ისინი!!. ნარკოტიკულ მდგომარეობაში რომ შეიძლებოდა, პალიკო, გადაგეყვანა ამ გზით ყოველი ადამიანი (ცალკე თუ ერთად შემოწყობილი), უმოქმედობაში, ყოველგვარი ნარკოტიკული საშუალების გარეშეც, სადაგი ბგერებით, პალიკო, ოდენ, საჭირო ხმებით!.

– მეტადრე ცოცხალი წარმოდგენების, კონცერტების მოწყობის დროს ხდებოდა, პალიკო, საჩინო ეს შესაძლებლობები, როცა მსმენელ-მაყურებლების წინ აღმართულ სცენაზე ათასნაირი წარმოსახვა-სურათის შექმნა და მართვა შეიძლებოდა ელექტრონული მუსიკის მდინარების ხვეულ ხლართებში!. თუნდაც უბრალოდ ფერადი ბოლის შემოტანა სცენაზე, მისი გაფუება-გათხელება და მოცულობის ცვლა მას მიყოლილი: რეცა გალაქტიკათშორისი ნისლეულიაო (იონიზებული აირით გზნებული..), პალიკო, შენ წინ, რომელშიც შეგიძლია შეიარო, გამოიარო (წარმოსახვაში), გაუყვე აქეთ თუ იქით... ანდა, ინსტრუმენტების რიტმებს გაყოლა: თითქოს სამყაროს გულისფეთქვაო, გულისძგერა, მისი ტიკტიკი, ურიცხვი, შიგნით, რომელთაც მიჰყვება შენი როკვა ადგილზე, გრძნებით...

– გარნა „ვითომ“ არის ეს ყველა, პალიკო, მასზე დაყრდნობილი და დანდობილი მთელად: ვითომ ბუნებითი ხმები და ბგერები ან ადამიანით შეთხზული ხმოვანება.. ვითომ კომპოზიტორების მიერ შექმნილი მუსიკალური ფრაზები, პიესები, ნაკვეთები, კომპოზიციები, ნაწარმოებები.. ვითომ ბუნებრივი ხმაური, ჰაერის რხევა-ტალღები, ფოთლების შრიალი, ქარის შლიგინი, ბორჯღალის ღელვა, ბგერათა ლიკლიკი, წყაროს ჩუხჩუხი, ღრუბლების ქცევა, ტალღის დახეთქება, ნაპირზე ქაფქაფი, ცის ჩამოქცევა, ჭექა-ქუხილი, სივრცის შუილი, სიშორის ხმევა, ბორბლის ღრჭიალი, მთის სხეულიდან ქვის მოწყვეტა და ხრამის ძირამდე ხტუნვებით რბენა, ქვაბულის ფშვინვა, ალის გიზგიზი, ნაკვერცხლის ცეკვა, თან ექოები, შორიდან, ახლოს, ტყვიის გაწივლება, ბუზების ბზუილი, კოღოს შემოჩენა, მზით შეცხუნებული ჰაერის ლაპლაპი, მისი ალმური, უხმო ბგერებით ვარსკვლავცის კრთომა, ციური სფეროების ორღანული ხმები გაწელილი, კოსმოსის ხმიანობა რადიოტალღებით (ადამიანების გასაგონად).. ვითომ მუსიკალური ინსტრუმენტების ხმების; ბგერების კლავიშიანი საკრავებით, სიმებიანი საკრავებით, ჩასაბერი საკრავებით, დასარტყამი საკრავებით გამოცემა.. მათი გაზავება ადამიანის სიტყვობა-სიმღერით – ქალის თუ ვაჟის, წყვილის თუ ჯგუფის აქა-იქ შემოსვლა...

– სინამდვილეში კი, პალიკო, ეს ყველაფერი – ყველანაირი ბგერების და ხმების კმევა, მათი ყველანაირი შერთვა-შეწყობა და ყველანაირ მუსიკალურ

ქმნილებად შეკრება, მათი ელექტრონული და ელექტრო-მექანიკური ინსტრუ-მენტებით გაჟღერებ-გახმოვანება – ელექტრონული მუსიკალური ტექნოლოგი-ის და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით ხორციელდება!. და როგორც წესი, ამგვარი წარმოდგენის წარმართვას, პალიკო, დღეს უკვე ერთი ადამიანიც ყოფნის, რომელსაც ერთი მუსიკოსი ეხმარება ხოლ-მე (ელექტრო-გიტარა, უმეტესწილად), ბუნებრივობის ელფერის მაინც მისაცემად და სულ მალე აქ ადამიანს ბიო-რობოტი შეცვლის, რომელიც განუზომლად უფრო ზუსტად და შეუცდომლად განსაზღვრავს, თუ როდის რა ალგორითმები და პროგ-რამული პაკეტები გამოიყენოს და როგორ გაუშვას ეთერში ეს წარმოდგენა!!. ადამიანს კი ნარკოტიკულ მდგომარეობაში გადაყვანილი მსმენელ-მაყურებლების როლიღა შერჩება შესასრულებლად (ძირითად ფუნქციად), პალიკო, დროგაცლილ სივრცეში განსხეულებული წარმოსახვების და წარმოდგენების უთავბოლო დევნა და დაუმთავრებელ წუთში, აწმყოში შთენა...

– ამაზე ფიქრის (წუხილის) ნიშნები მხოლოდ ბოლო წლებში გამოჩნდა, პალიკო, მუსიკოსებში, 2020-იანების დასაწყისში: თვითონ დროგაცლილი სივრ-ცის რაობასა და ნივთიერებულობაში გარკვევის ცდასავით, ამის მონდომება.....

აფეთქების ხმასავით; და მას მოყოლილი ხმაური, ელვა და მერე ბათქი თუ უბრალოდ ქუჩაში მანქანების მოძრაობა და მისი ხმობა და რიტმობა გაუთავებე-ლი – პარალელური ხაზებივით: აქ ქუჩის უწყვეტი დინებით გამოწვეული შხუილი და არეული ხმები; იქ სიბნელეში აბრიალებული მაშხალები და მათ მიდევნებული ნგრევა-ჩამოშლის და მტვრის აშლის ხმაური გრძელი.. ვაჟის რიტმული აყოლა ქუჩაში, ხალხის სიარული, ერთურთს შეძახება, შეხმიანება, საითკენღაც სვლა და იქვე იგივე რიტმი; გზად ბნელ სცენაზე თუ დარბაზში აქა-იქ შანდლის აკვე-სებასავით და იმავე რიტმში მროკავი ორი-სამი ადამიანის ლანდები; და გრძელი რიტმობა, დოლური, სცენაზე თუ ბნელ დარბაზში; ქუჩაში კიდევ – ჩვეულებრივი ამბები: ბავშვის ტირილი, მშობლების შეწუხება, ბავშვის შეკივლება და მეყვსად ბნელი სცენა-დარბაზი, და იქაც იგივე რიტმი; ქუჩად მიმავალი ვაჟი (თითქოს იმავე რიტმში), რაღაც სიტყვების შეძახება და დარბაზ-სცენაზე გადასვლა, იმავე წუთში.. სრული დოლური რიტმი და ხან ეს ქუჩა (ჩვეული) და ხან ჩაბნელებუ-ლი სცენა, აკვესებული მაშხალით და ადამიანების როკვით; და ისევ ქუჩა, მის ხვეულებში მავანების სიარულით, მოძრაობით, მიზანმიმართული, მისამართული სვლასავით, გარნა იმავე რიტმით, იმავე სცენით, იქაც და აქაც რაღაცების კეთე-ბით; ამ განაკვეთის უცებ დასრულება და დამთავრება: საჰაერო განგაშის გაბმუ-ლი საყვირით მისი შეწყვეტა – ქუჩაშიც და იმავე ბნელ სცენა-დარბაზშიც...

რიტმს ჩაჭიდებაა, პალიკო, თითქოს: ქუჩა-სივრცეში გასვლა, სიარული და ერთ აგილზე ლანდივით როკვა, ბნელ სცენა-დარბაზში: ვიდრე არ გაგაჩერებს კივილი განგაშის.....

ჯოხების ცემა დაფზე და ჩასაბერი საკრავის გაწელილი, მარტივი ერთ-ორმარცვლა ხმობის ტალღური გადასვლა-გამეორებები, დოლის ხელითცემა და კიდევ სხვა ხმები (სხვადასხვა საკრავის შეძახილებივით) და მერე დოლი უმეტე-

სად, გაბევრებული; საქსოფონის გაწელილი ბგერები დროდადრო, ელექტრონული გიტარის თითო-თითობით ბგერობა და კაცის უსიტყვო, მსგავსივე რიტმული ხმობის შემოსვლა, ტონალობის და ტემბრის ცვალებადობით – მისი სიშორე-სიახლოვის განცდის შესაქმნელად, ალბათ.. რიტმის აჩქარება და წარმოდგენის შემსრულებელ-წარმმართველი ქალის ადგილზე როკვის მიყოლება თან, ვაჟის ორ-მარცვლიანი ოხვრის გაგრძელება, იმავე რიტმით, და რაღაც ხმები კიდევ, შორი ხმაურივით და ბას-გიტარის წინით გადმოსვლა, ამ რიტმის ახლოს მოტანა და ზღვის ხმიანობა სადღაც კიდევ იქით; ადამიანის სიმღერ-სიტყვობა შემოდის, ვინ-ძლო გრძელ ამბავს ყვება თუ უბრალოდ ამ რიტმს მიჰყვება, დოლს და ბასს ერ-თად რომ მიჰყავთ, სხვა ბგერების შემომატებით გრძელდება და გაწვრილებული ზარივით იშლება, შორით რომ ისმის; მერე ახლოდან, ადამიანის ხმის ექოსავით მოისმის, ისევ ჩვეულ ხმობაზე გადადის და მალე მხოლოდ დოლური და ელექ-ტროგიტარულ-ბასური რიტმი რჩება, რომ მიდის და მიდის.. სხვა საკრავებიც უერთდებიან რაღაც დროს, ბუნებრივი ხმები და ბგერები; ქალის შეყვირებასავით იქვე და ისევ საკრავები, ინსტრუმენტები და სივრცეში გაბნეული ხმები (თავისი ექოებით); და შრიალი, შუილი სიშორე-სიახლოვის, მანძილის შეგრძნების, ვაჟის სიტყვებით შეყვირება, შეყოვნებული თუ გაშვებული სადღაც დოლით და სხვა საკრავებით; მერე ადამიანის სიმღერა, გარნა უფრო წყობილივით, ელექტრო-ორღანის თუ რამდენიმე ადამიანის თანახმობა მასთან და ისევ წარმმართველი რიტმი დოლის და ელექტრონული გიტარის და სივრცის გაწუილებასავით იქვე, თავისთვის; და ისევ ადამიანის სიტყვები, მოკლე (სულერთია უკვე, ქალის თუ კა-ცის) და ისევ დოლი, და ადამიანის ოხვრა-ამოძახებასავით, რამდენიმესი.. კვლავ დოლ-გიტარის რიტმი, საქსოფონის შეთამაშება და ისევ მხოლოდ ეს რიტმი და ბასი მაშინვე, სხვა დაფის შემომატება (მხოლოდ თითების ცემით მისი ახმიანება), მერე კვლავ ჯოხური დოლი და იგივე დაფი და ადამიანის სიტყვობის შემოსვლა, საშუალო სიმაღლის, ოდნავ ზევით და ქვევით, რიტმში, ხელჩაქნეულივით, უბ-რალოდ აირს რომ უყვება რაღაცას, თავისას; წარმოდგენის გამმართველი ქალის ერთ ადგილზე რიტმული როკვაც შეუჩერებლად გრძელდება.. და ისევ ადამია-ნური ხმობა, უკვე რამოდენიმესი, აღმოსავლურივით და ბას-გიტარის თაურობა მასში, თანვე დოლის ჯოხური რიტმი და ადამიანების ხმების გაგრძელება იქით; სტვირივით სადღაც, რომელიც ისმის (რეცა გეკითხება შენს მდგომარეობას, „ხარ თუ არა ხარ კიდევ? და სად ხარ? იცი?.“), დაფის შემატება, ერთჯერი, და ქალის გაწელილი სიტყვობა-სიმღერის შემოსვლა, რეცა საქსოფონის იმგვარივე ბგერო-ბის წილად; ორ-სამმარცვლიანი გაწელილი სიტყვები და ისევ დოლ-გიტარული რიტმი (ელექტრონული გიტარის მეთაურობით), მათი გადაფარვა-გადაკარგვა გაგრძელებული რიტმით.. სიმებიანი საკრავის მძაფრი შემოსვლა, ერთბაშად და დოლ-გიტარა მასთანვე, გვერდით, რაღაც უცნაური წერტილლოვანი ხმობა საი-დანღაც, რეცა ჩასაბერი საკრავის თითო-ბგერობა, მერე გაცხარებული საქსოფო-ნი (თუ აკორდეონი), ბგერების თამაშით, ზოგის გაწელვით და საცეკვაო ნირზე გადასვლით; და მაინც, დოლური რიტმი რჩება ბოლოს და უკვე თავიდან სხვა-დასხვა წერტილოვანი ბგერა შემოდის, თანდათანობით; და ისევ რიტმი, ეს სქელი ხემი, ელექტრონული ორღანის ერთი-ორი მძიმე ბგერის მიყოლებით, სიმებიანის

წამყვანობა, მერე კი ფონად დაფენა და სრული დოლი ისევ და აკორდეონის (თუ ელექტრონული როიალის) შემოსვლა აქა-იქ, წარმმართველ ქალს კი ქურთუკი მოუცვია (ყვითელი, თხელი), როკავს ადგილზე, იმავე წყობით.. რიტმი და მძიმე ხემი, როიალივით; იქავე, გაკვრით, სხვა საკრავები და ცხარე დოლი; რეცა ვაჟების ბოხი ხმების მძიმე შემღერება, გახელებული დოლი, გაწელილი აღმოსავლური ზუზუნი ხემის, გაგრძელებული ელექტრონული ორღანის მაღალი ხმებით და ისევ დოლური რიტმი, რომელიც მიდის და მიდის!. ქალის მარცვლოვანი სიმღერა-სიტყვობა, მსმენელ-მაყურებლის ახმაურებასავით და განუწყვეტელი დოლი, მისად, ჩქარი ორღანივით და ვაჟების მძიმე ხმობა (ერთი, მეორე, იქით..) და ისევ ეს დოლი, ყივილივით სადღაც, დოლის გაგრძელება და დალეული სხვები; ქალის შემოსვლა-მეტყველება, სიტყვებით თხრობა, დარბაზის ახმაურება, ქალის ხმის ამაღლება და გრძელ თხრობაზე გადასვლა, და იქვე, მიყოლებით, დოლი; ქალის შეყვირება-შეძახებები თითქოს, „როდემდისავით“, და ისევ დოლი, განელება თანდათანობით და მერე ჩვეულ ხმობაზე დაბრუნება; სქელი ხემივით და ვაჟის ორბგერა გაგრძელებული შეძახებები, სხვა მოკლე დაფები გვერდით, ვაჟის აღმოსავლური შეძახილები, ერთნაირი შუალედებით და საქსოფონის მძიმე ამოსკვნები კვალად, თავისთვის, გრძელი, ისინიც შუალედებით და მათთან უწყვეტი დოლი.. ისევ ვაჟის მოკლე შეძახილები, ორ-სამ მარცვლიანი გაწელილი სიტყვებით, ვიოლინოს აკვესება სიჩუმეში და სტვირის (თუ სალამურის) სიტყვები ტექსტივით, შესვენებებით და ჩასაბერი საკრავის მოკლე შეხმიანება და მარტო დოლი, თავისად, შეუსვენებელად; ამოძახილები, ამოსუნთქვებივით, მერე ორღანის ცახცახა ხმობა და რეცა ვიოლინოს მოკლე თანხლებები, ჯოხების კაკუნი ერთმანეთზე თუ ხელების შემოკვრა, ტაში, ელექტრონული გიტარის გამოკვეთილი ბგერები და სივრცის ძახილი შორიდან, რიტმული ხემი და ოდნავ გაჭიმული გიტარული ბგერები; ყველანი ერთად, ხან ერთის მეწინავეობა, ხან მეორესი, უწყვეტი დოლი, ბგერების ზარივით გაბნევა, სადღაც ხმიანი ამოოხრება, თანდათან დალევა ყველასი, და მხოლოდ დოლის და მისი რიტმის გაგრძელება; ქალი უერთდება სიტყვობა-სიმღერით, მელოდიაშიც გადადის ხოლმე, იმავე რიტმის მიღებით და მიყოლებით, ელექტრონული გიტარა და ხმოვანი დაფი იქვე, გიტარის მეთაურობით; მათ ელექტრონული როიალი უერთდება, განმეორებადი აკორდით და ყველა ეს დოლზე დადის, მისი უწყვეტი რიტმით; ვაჟის (თუ ქალის) მიერთება სიტყვური სიმღერით, მარტივ მელოდიამდე მისვლა, მას მიერთებული საკრავებით და ისევ დოლზე დასვლა და მისი რიტმის გაგრძელება, რომელიც ჩვეულად მიდის: არსად (თუ სადღაც) მიდის...

თითქმის ქაოსამდე მისული ხმობაა, პალიკო, რიტმი რომ იჭერს ჟინით.....

გვიანი საღამოს ქუჩა, განათებული შენობებით და ფარნებანთებული მანქანებით, მოსიარულე ხალხით და სახასიათო საერთო შხრიალით (ფონად დადებული); პირბადიანი ვაჟი, ზამთრის ტანსაცმელში (სპორტული ქურთუკი, ნაქსოვი ქუდი..), დაიძრა და თავისი გზით მიდის; მაშხალის ანთება-აფეთქებასავით უცებ, ბათქით და გაბდღვიალებული ბურთით თუ ლამპიონით იქით და აელვარებული არე (სცენაზე თუ დარბაზში ან კიდევ, გარეთ, იქით) და ჯოხის აჩქარებული კა-

კუნი დაფზე, მისი რიტმი და ყვითელბალნიანი ძაღლი (უპატრონოსავით), უკვე ქუჩაში, ვაჟთან, მანქანის გავლა-გაჩერება-გაგრძელება იქვე, მათ გვერდით, რეცა ჩვეულებრივი ამბავი (არაფერი განსაკუთრებული) ქალაქის ჭრილში.. იმავე ხმებივით (მანქანის დაძვრის) და რაღაცის ბდღვნასავით (თუ ტყვიამფრქვევის ჯერი) წითელ-ბნელ დარბაზში და ძაღლის წასვლა ვაჟისგან, ქუჩაში; ისევ მანქანის ჩავლის ხმა ქუჩაში და სროლა-გრუხუნივით სცენაზე, დარბაზში (რაღაც სხვა ამბავში); და იგივე ვაჟი ქუჩაში, თითქოს რიტმის დაჭერა ხელჩანთის ქნევით და ადგილზე ქანაობით; სხვები თავის სვლას განაგრძნობენ (ბავშვიანი ქალიც..) და ვაჟიც მათ აჰყვება სვლაში – რიტმიც ჩართულია, დაფზე ჯოხის კაკუნით, ამ გზაში და კვალში.. იგივე რიტმი და შუქის ფეთება შავ-წითელ, მბორგავ დარბაზში და მროკავი (აფორიაქებული) ადამიანების ლანდების გამოჩენა მის აწითლებულ არეში, ვინძლო იმავე ქუჩაში მი-მომავალი ქალების, ვაჟების – ადანიანების!. და ისევ ქუჩაში (ანუ წუთის გარეშე დარჩენილ სოფელში) ხალხის მსვლელობა, თავთავის გზაზე, აქა-იქ მანქანები, ავტობუსი, და მათ ხაზზე იგივე რიტმი; და ესევე როკვა, იმავე რიტმში, ხალხის, წითელ-ბნელ ბდღვიალა, ცახცახა სცენა-დარბაზში, და იქვე ქუჩა, ის ვაჟი, პირბადეჩამოხსნილი, თითქოს გეძახის რომ აჰყვე, იმავე რიტმში ძრაობით (ხტუნვით, ხელისქნევით, ნირით..), მერე ჩვეულ სვლას აგრძელებს, გვერდით ავტობუსიც ჩაივლის, ბავშვიც მშობელს და ქუჩას მიჰყვება ბავშვივით, თამაშობით; და იქვე იგივე დარბაზი, შუქის გამწარებული კიაფით ამ შავ-წითელ (ალისფერ) ხვიებში და ესევე გაცხარებული როკვა, უფრო და უფრო აღგზნებული (თუ შეშფოთებული) ადამიანების, დოლის და დაფის შეუჩერებელ ცემასა და რიტმობაში.. ბავშვის ტირილი ქუჩაში, შეკივლებასავით და ელექტრონული გიტარის რიტმის მიერთება მასთან, უკვე ამ სცენა-დარბაზში; ვაჟის შემობრუნება, ახლა ქუჩაში, ისევ პირბადით და რაღაცის შეძახება, იმავე რიტმში, და აქვე დარბაზი, გაბდღვიალებული დიდი ნათურით (თუ ლამპიონით), ადამიანების ხტუნვა-სირბილი მის აწითლებულ ბუღში, და ისევ ქუჩა ამ ვაჟით, მოკიდებული ზურგჩანთით და შემხვედრი ფარნებანთებული ავტობუსით, ღამის ქალაქში; გზად სხვა ვაჟს ჩაუვლის, უცნაურად რომ იყურება, ღიმილით, დაკვირვებით, ვითომ დამცინავი შეკითხვით „აქ რის ნახვასო მოელით?.“, და მერე ისევ ის დარბაზი, რეცა განელებული ცეკვა-თამაშით, გადასვლა-გადმოსვლებით აქეთ და იქით, და ისევ ქუჩა, მალევე, ჩქარა მომავალი ქალებით, ერთმანეთის გვერდით სწრაფად ჩავლით; თითქოს იგივე ძრაობაა, როგორც მროკავების, და იგივე რიტმი, ერთნაირი, აქ იქნება თუ იქით, და იქვე შავ-წითელი სცენა-დარბაზი, შუქის და ხალხის ძიგძიგით, თითქოს მდინარე ჩანს მის იქით, წითლად აპრიალებული (სისხლით თუ სინათლით), და ისევ იგივე ქუჩა, განათებული შენობებით და პირბადიანი ვაჟით და დედა-შვილით, სხვაგნით მიმავალით; კიბეებზე ადიან, ხიდზე გადასასვლელად, სამივენი, იმავე რიტმის თანხლებით და მეკვლეობით, და ისევ შავ-წითელი დარბაზი, შუქით და დაბინდული თითების ლანდებით და გათამაშებით; ვაჟი და დედა-შვილი, მოქცეული ხიდის გვირაბისმაგვარ ჩარჩოში და მასში მიმავალი, ბოლოში დიდი შუქის შემონათებით და კიბეზე, დაბლა ჩასვლით; დარბაზში კი სივრცე აცახცახდა, ისე, თავისით; კიბეზე ჩავიდნენ ყველანი, ქუჩის მეორე მხარეს, გადაილაპარაკეს ოდნავ, ამის და იმის; ბოლოში მაღალი კედელი გამოჩნდა,

აჭრელებული სათამაშოებით, დარბაზშიც როკვას აგრძელებენ ერთი და იმავე რიტმებით; დაიკარგები, თუ არ აჰყევი, და შენც მიჰყვები, მიჰყვები.. ისევ ეს სამი (ალბათ ოჯახი), რაღაც სადგურზე გავიდნენ, ლიანდაგივით; დარბაზში როკვა გრძელდება დანელებული, იქვე ის ქუჩა და ბავშვის დედა, ეს ქალი; მეორე მხარეს ვაჟია, ბავშვიც იქითკენ გადადის, იმავე რიტმის დიგდიგში და ვაჟმაც გააგრძელა სვლა თავისი ხაზით; დარბაზი ვერად ჩერდება, უნდა-არუნდა როკავს, რაღაც შხუილი მოისმა, კაცი ელოდება ოჯახს, დარბაზშიც ცეკვა თავდება-ჩერდება, რაღაცებს შესძახებენ ერთურთს (თუ აირს) და განგაშის კივილი იწყება, გაბმულად ისმის, ღამით...

რეცა დროგაცლილ სივრცეში, განურჩევლობაში, ყველა თავსდება, პალიკო, და რიტმი ხდება უკვე განმგებელი ყველაფრის, ჟამის.....

სქელი ქსოვილის მასა, შავ-ნაცრისფერის ნარევი, გარდამავალი, გრძელი ტალღასავით, მსუყე და სქელი, ერთ მხარეს ნაწილის ცახცახით, რეცა ცალკე არეა იქით, უბრალოდ მიდებული ქსოვილს თუ დადებული გვერდით.. ბუნებაში შესვლაა, მინდვრით, სიღრმეში, აუჩქარებლად, მაგრამ შეუჩერებლად; ღმუილი დაჰყვება თითქოს, რაღაც ნამსხვრევებია ვერცხლისფერი საგნების, დაყრილი მწვანე ბალახზე, ბუნებაში, მინდორში; მწვანე მინდვრიდან ამოსვლა, ბალახის ხელშეუხებლად, მისი ზედაპირის, ჰაერიდან მოხილვა, ზემოდან, იქაურობის: აქ მიწის ბელტი, შორით მთის ძირის სიღუე – ყველა ცოცხალი შრიალებს, ფუთფუთებს; რაღაც საგნები აქა-იქ, ნარჩენები: წყლის ჭურჭელივით, ცისფერი; რკინის გაღუნული სალტე, ბალახის თავზე ამოზიდული; მიწურის თუ ქოხის სახურავის ნაკვეთი; სხვა რამეები კიდევ: ადამიანის თავის ქალა თუ ჩაჩქანი; ბალახში ჩამჯდარი შემფრთხალი ცხვარი თუ რაღაც ცხვარივით; ნასადილევის ნარჩენებივით გვერდზე, ანთუ უბრალოდ მიტოვებული ნაგავი.. უფრო ზემოდან მოხილვა ამ არის, წყლის კანკალივით თითქოს, გამჭვირვალე, და მისი ფსკერის გადაშლა თვალწინ; რეცა მოჭრილი ხის მორი აქეთ, მისი ნაჭერი, მოცახცახე თავისით, კლდის ნაკვეთები ასევე (ვინძლო რაღაც წყალსაცავის შიგნითაა ყველა მოხვედრილი); ისევ ის ადგილი, მინდორი, მიგარდმო არე, ყველაფერი მოცახცახე, გარდამავალი ტალღებივით მათზე, რეცა სხვა ნივთიერებულობის, სუბსტანციის ნაკვეთი.. მთების კალთები, ამაღლებული თავანივით შორით, მერე უცებ გალაქტიკის გაელვებასავით ცაში, მისი ნაკვალევივით ბნელი ცის თაღზე (ძლივს შესამჩნევი), და ისევ დედამიწა, მეტად გადახრილი თუ წაქცეული ხეებით, კვლავ ცისიერის გახსნასავით მერე და გალაქტიკებს შორისი ნისლეულის გარბენასავით!. და ისევ მიწა, ბუნების ნაკვთები: ხეები, ფოთლები, აშვეტილი მთა და მისი მძიმე ტერფები; ისევ რაღაცამ გაიბრჭყვიალა მყისად, გაიბრწყინასავით და ისევ რაღაც საგნების ნარჩენები (თუ ნატეხები) მოვერცხლისფერო, რომ ლაყლაყებენ, ირხევიან შიგნიდან, სულ უფრო მეტად და მეტად; მერე თითქოსდა მათ შიგნით შესვლა იწყება, ერთ-ერთის, მის შედგენილობას გადიხარ სწრაფად და გაარჩევ უკვე მასში თვითონ უჯრედსაც (თუ მოლეკულას ან კიდევ უფრო პატარას), რომელიც იზრდება თანდათან, ფართოვდება, მკვრივდება და ქსოვილს ემსგავსება; რომლისგანაც ნივთიერება იქმნება და ისხმება ყველა სახე და სხეული, ტანი!.

რაღაც შენობების თავები, კოშკივით, ქალაქი, ზემოდან ნამცეცები ცვივა, საიდანღაც მოსული, არეში იბნევა, უცნო სხეულების, ხელოვნური წარმონაქმნების, არსებების ნაკვეთებივით, მათი პროექტირებისთვის თუ ამოქნა-ამოყვანისთვის, თუ უკვე არსებულის გარდასახვისთვის განწესებული, ლამის ატომებამდე დასული, საჭირო ყალიბებში მათი ჩასმა-ჩაჯენისთვის: რეცა ასე იქმნებოდა სამყაროც დრო-ჟამის სვლაში და ბედის წვნაში და თამაშში.. თავსწამომდგარი სხეულები, ნაგებობები; ზემოთკენ მიდიხარ; აჩქარება მერე უეცრად ყველაფრის, ნაკადები, ჩანჩქერები სხვადასხვა მხრიდან: თითქოს აფეთქებაა მთელი გარემოსი და მასთან გაჩენა რაღაცა უცნო, მოძრავი არსებების, გაუგებარი სხეულოვნების და მოყვანილობის; აფეთქებას ჰგავს მთელი გალაქტიკის, აღძრული ტალღების გადმოსვლა, ერთურთში არევა, ერთმანეთზე გადასვლა და ქალაქის თავზე ცის გამოჩენა!. და ადამიანები თუ ბიო-რობოტები, მტკიცედ გადადგმული ნაბიჯებით და კვლავ ის ყალიბი, პროექტირება, და ქმნის პროცესები, მიკრო-დონეზე ნაკადების, ამოფრქვევების და ფორმის მიცემის რეგულირება, და იქვე ქალაქი, შენობა, აგურები და ისევ პროექტირება-პროგრამირების ფუძეში დაბრუნება.. და მეყვსად ჩვეულებრივი რიტმის ბაკუნი, და ცისფერი ცის გამოჩენა, და მასში იმ საგნების და პროცესების ნაკვეთის გაქცევა-გადარბენა და კვლავ ბნელ ცაზე (თითქოსდა) რაღაც ცენტრალური სხეულოვნების გაჩენა თუ აფეთქება და იმდაგვარივე პროცესის ცისფერ ცაზე გაელვება და რაღაც საგნების თუ ნარჩენების სივრცეში (ატმოსფეროში) ცვენა თუ მიმოქცევა; რაღაცების შეკრება და ადამიანისმაგვარი სხეულოვნების უცნო არსების მით ფორმირება და გამოჩენა, აირშივე თუ სივრცეში მისი როკვა, ვარჯიშობა და აქაურ (ადამიანურ) რიტმებში ცეკვა-თამაშობა, მათთან შეთვისება და მერე რიტმის აჩქარება, დოლის და ხემის და სხვა საკრავების გახელება და გაველება და მათი ბრუნვა-ტრიალი, ერთად ყველასი, ერთბაშად შხეფებად ქცევა, ყველას და ყველაფრის წერტილებად გადაქცევა, მიწაზე დაშვება-დაცემა და მის წიაღს შეერთება!!. იქვე ნარჩენები, თავით შეხვედრილი და ასე თითქოს უკან დაბრუნება, და მიწაზე განრთხმული ადამიანი, დაცემული, მისი უძრავი სხეული, ორად მოკეცილი, ნარჩენებს შორის მოქცეული, ძალიან თეთრი, იქვე ბას-გიტარა და არაფერი, არას მინიშნება...

ელექტრონული მუსიკა ისმის, უწყვეტად მიჰყვება ამ გარდახდომას, მის ყოველ ნაკვეთს და პწკარედს, ხდომილებას, რიტმის გამორჩევის და დაჩემების გარეშე, რეცა ბუნებრივი პროცესია, თავისით რომ იხსნება და თავისად რომ იშლება, მხოლოდ ბოლოსკენ შემოდის ამ გარემოში რიტმი, სიცოცხლის ჟამი როცა იცვლება..: გრძელი ორღანი, ძირითადი აკორდი, სხვები გვერდიგვერდ, რაღაც ჟრიამულივით მის იქით და მთავარი ტონის მძაფრი ამაღლება, და მალევე დალევა; ელექტრონული გიტარის მკვეთრი სიმი, ბგერის გამოკვეთა, ჩასაბერი საკრავივით იქვე, ერთი ჯერით, ხმოვან დაფზე თითებით (ჯოხებით) გადარბენა; რაღაცის ხვნეშასავით, ფშუილი, ფშვნეტა, შრაშუნი, ცის სხეულების მიწაზე დაცემა, ზარის შემოკვრასავით კიდევ და კიდევ, შუალედებით, აუჩქარებელი, ფშვნასავით, მერე, დაცემის შემდეგ, აქეთ თუ იქით მიმობნევა; მოკლე ქუხილი, ერთგან ჩქარობსსავით, მერე კვლავ მოკლე, და უცებ დოლური რიტმი, ერთბაშად, ჩქარი, ჩვეულებრივი, რეცა შეუფერებელი ამ ვითარებისთვის; ხემის სიმებზე

გასმა-გამოსმა, გრძელი, ფრუტუნივით, ვიოლინოს აჩქარება, ჩასაბერი საკრავის ყვირილი იქით, მძაფრი ზუზუნი ხემის, რიტმულობა, ჩამოკვრა დოლზე თუ დაფზე და მარტო დოლის რიტმი, ელექტრონული ბასის შეძახებები მის გვერდით, მოკლე, და მისი დადუმება...

სქელი ორღანივით, უწყვეტი, რაღაცების გამოკვეთით, თითქოს მოხილვა მიდის მთელი გარემოსი, ყველაფრის არსებობაა თითქოს ერთად და ერთდროულად მოკრებილი უდროობაში, ანუ სივრცეში, პრინციპის, „არის და არ არის", მოქმედებით!. რომ ყველაფერი ერთი ნივთიერებულობისგან შედგება, რომელიც სხვადასხვა ბუნებას და ხასიათს იძენს, სხვადასხვა ფორმას და სახეობას ღებულობს, სხვადასხვა მდგომარეობას და სხეულოვნებას ირჩევს, სხვადასხვა მდგრადობას და წარმავალობას იმკვიდრებს და, სავარაუდოა, მისგან ხელოვნური ადამიანის გამოძერწვაც მოხდეს... ...

თავის თავთან დარჩენილი სივრცე, პალიკო, დაგუბებული ქაოსის საბუდრად იქცევა.....

– და აქ სულერთია უკვე, პალიკო, ამას აკეთებ თუ იმას, ეს გენაღვლება თუ ის, რადგან დროგაცლილ სივრცეში ჟამი არას ქმნის, არად ირჯება და ვერა დაალაგებს აქაურ ამბებს ხდომილებების წყობილ ჯაჭვებად; ქაოტურ ქმედებებად თუ მოიკრიბება ისინი მხოლოდ, შემთხვევის წილხვედრად!. რამეთუ ამ სამყოფელში რიტმი წყვეტს ყველაფერს, რიტმი განაგებს, რა მოხდეს, რა არ მოხდეს, როგორ და სად, რაც საკმარია არსებობისთვის, „ვითომ" ყოფნისთვის, მაგრამ არ ეთვისება და არად ყოფნის ცხოვრებას, ანუ, ცოცხლობას (სულხან-საბას შეგონებით): ყოველ მყის, ყოველ წამ, ყოველ ჟამ!..

– უწონადობასა ჰგავს, პალიკო, ეს „ვითომ" მდგომარეობა, როცა ნებისმიერ მხარეს შეგიძლია გაუყვე, გაუხვიო აქეთ თუ იქით, გარნა იქვე რჩები მაინც, უცვლელად, რამეთუ სივრცეს (თავისთავად) არა აქვს კიდე, გამორჩეული მიმართულება და ყველა წერტილი მასში ცენტრია, ცენტრალური ადგილი მისი განფენის!..

– გარნა საკმარისია, პალიკო, სიშორის გზნება შემოიტანო, მისი შეგრძნება და ნებისმიერ მხარეს ჩაუყვე შიგნით, სივრცის სიღრმეს მიაშურო დაჯერებით და მაშინვე იგრძნობ დროის სუნთქვას და მღელვარებას, თან რომ აგყვება დაუკითხავად და დაჟინებით, რადგან სივრცის სიღრმეში შესვლა წარსულში ჩასვლასაც ნიშნავს (ამასთან ერთად), მას ეფარდება; შეიძლება სოფლის ძირამდეც ჩახვიდე, პალიკო, მის გაჩენამდე, დასაბამამდე ყველას და ყველაფრის, და პირველ აფეთქებასაც შეესწრო ვინძლო, მატერიის ამოფრქვევა-ამოტყორცნას არაფერიდან და ჟამის დაწყებას და მიმართებას მერმისისაკენ!..

– და მასთან ერთად ისიც გაიგონო, პალიკო, ბუღის ბოლქვებად აგორგლილი ნაწილაკების პირველი ამოსუნთქვა და შეყვირება წუთისოფელში, მათი ასწრაფება, ერთურთს შეხეთქება, სივრცის განვრცობა სხვადასხვა მხარით, სხვადასხვა გეზით, ერთად შეჯგუფება ღრუბლის ბურთულებად და ბრუნვის დაწყება აჩქარებით, თან ხმოვანობის შემოსვლა, პალიკო, ათასნაირი ბგერის, ხმის, ცალ-ცალკე, პატარ-პატარა ჯგუფების, გუნდების თანახმობა, შეძახილები; იქვე

შემკვრივება ხდება პირველი კოსმიური წარმონაქმნების: ვარსკვლავების, პატარა შავი ხვრელების, ნისლეულების, უხილავი მატერიის აბლაბუდური ქსელების (რომელთა უბეებშიც თავსდებიან და ლაგდებიან ახლად გაჩენილი ციური სხეულები) და ამ პროცესის გაშლა-განფენას თუ გამოჰყევი, პალიკო, სამყაროს შექმნის და გაველების, სულ უფრო მეტი და მეტი და სხვადასხვაგვარი კოსმიური წარმონაქმნის გაჩენის და გამრავლების და გაბევრების, მათი ერთმანეთთან მისვლის და შერთვის, ურთიერთქმედების, ურთიერთობების, გაგრძელების, და ამ პროცესის შეუჩერებელი აღმასვლის კვალად მის ყოველ ნაკვეთზე სულ ახალი და ახალი ხმოვანების შემომატებასაც თუ უგდე ყური, იმასაც შეესწრები, რეცა უამრავი ბგერების წყარო გაჩნდა და ჩნდებაო სამყაროში და ყველა საკრავი თავის ხმას ურთავსო საერთო ხმობას, საერთო გზნებას, უზარმაზარი ორკესტრი იქმნებაო თითქოს კოსმოსში, ყველანაირი სახეობის და ბგეროვნების მუსიკალური საკრავების, ინსტრუმენტების, ერთურთს შეწყობილი და შეჯერებული, შეთანხმებული როლებით და პარტიებით და სოლოებით, გუგუნს რომ იკრებს, პალიკო, მთელი სამყაროსი თანდათანობით, ერთობლივი ხმობით და თანაწყობით, კოსმიური სიმფონიის გუგუნს და მღერასაც გაიგონებ მაშინ, აწმყომდე მოსული, გულს რომ ეფონება და მერმისს იწვევს დაჯერებით, უცვლელი ნებით და იმასაც აცხადებს დარწმუნებით და დაჯერებით, რომ კოსმიური დრო სულ მოქმედებდა, ყოველთვის, მიწყივ, არ გაჩერებულა არცერთი წამით, არცერთი ნვინით და დღესაც კარს უხსნის მორიგ მყობადს, ახალ მომავალს – როგორც ყოველთვის, როგორც სჩვევია, და როგორც იცის!!! ... ...

უ

ამ ნაწილაკს, „ჰიგგს ბოზონს“ (Higgs boson) ათწლეულების განმავლობაში ეძებდნენ იმის გასარკვევად, თუ რამ და როგორ გახადა ჩვენი სამყარო ისეთი, როგორიც არის – მასის შემცველი, ანუ ნივთიერი, მატერიალური საბოლოო ჯამში; რამეთუ კოსმოსის აღნაგობა, მისი ქსოვილი, მასში მოქმედი ძალები და პროცესები საკმაოდ წვრილად იყო უკვე გამოკვლეული და შესწავლილი; მისი ნივთიერებით შემოსვის მექანიზმში გარკვევაც თუ მოხერხდებოდა, ვინძლო საკუთარი, „ადამიანური“ სამყაროს შექმნა და ცხოველყოფაც გამხდარიყო შესაძლებელი (საჭიროების შემთხვევაში), დრო-სივრცის კვართის მოგება და მორგება ხელთქმნილი სოფლისთვის...

საკითხი, ამ შემთხვევაში, სწორედ იმ ელემენტარული (ქვეატომური) ნაწილაკების მასაში იყო, რომლებისგანაც შენდება და აღნაგობას იძენს ყველა დანარჩენი ჩვენს სამყაროში, მეტადრე, რომ (როგორც აღმოჩნდა), მაღალ ენერგიებზე ნაწილაკებს აღარ გააჩნიათ მასა – უმასო ტალღები ხდებიან ოდენ და სინათლის სიჩქარით მოძრაობენ (ფოტონის მსგავსად) ამ პირობებში და საიდან და როგორ, რა მანქანებით ღებულობენ მაშინ ისინი მასას (ნივთიერების რაოდენობას) სუსტ ურთიერთქმედებებში (თან ყველა თავისას), უცნობი რჩებოდა იმ დროისათვის (1960-იანების დასაწყისში)... ამ საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად ინტენსიური თეორიული კვლებები წარიმართა, რაც მივიდა იმ წარმოდგენამდე და გაგებამდე, რომ ერთი ნაწილაკი (და მისი ველი) უნდა ყოფილიყო ელემენტარული ნაწილაკებისთვის მასის მიცემაზე პასუხისმგებელი.. ამ ნაწილაკის რაობა და სახეობა და საკვანძო პარამეტრებიც იწინასწარმეტყველეს მკვლევრებმა და მისი ძებნაც დაიწყო ამისდა კვალად, პარალელურად, გაუჩერებელი!..

40 წელზე მეტი წაიღო მთელმა ამ პროცესმა, ამ ძალისხმევამ და მიაგნეს მასაც ბოლოსდაბოლოს – ნაწინასწარმეტყველებ, სანუკვარ ნაწილაკს, იმ სახეობის და რაობის და მოყვანილობის, რომელსაც ვარაუდობდნენ და ელოდნენ ასე თავგამოდებით და გამეტებით, ასე მოთმინებით: ჰიგგს ბოზონი 2012 წელს აღმოაჩინეს, დიდ ადრონულ კოლაიდერზე (ამაჩქარებელზე), CERN-ში, ჟენევასთან, შვეიცარიაში.. კიდევ რამდენიმე წელი დაიხარჯა შემდეგ მისი ცალკეული მახასი-

ათებლების დაზუსტებაზე, გამოკვეთაზე და ექსპერიმენტალურ დადასტურებაზე, რამაც სარწმუნო გახადა ამ ნაწილაკის რეალურობა და შესატყვისობა თეორიულ წინასწარმეტყველებებთან, რაც ჰიგგს ველის არსებობასაც ამტკიცებდა, თავის მხრივ, ნავარაუდევი თვისებებით... თვითონ ნაწილაკის და მისი ველის სახელწოდება პიტერ ჰიგგსთან დააკავშირეს – მეცნიერთან, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა იწინასწარმეტყველა ჰიგგს ველის და მისი გადამტანი ნაწილაკის (ამ ველის კვანტის), ჰიგგს ბოზონის არსებობა და ნიშან-თვისებები...

ჰიგგს ბოზონი სულ ჩვეულებრივი ნაწილაკი ვერ გამოდგა, რომლის ქცევაც სრულად განჭვრეტადი და სადაგ ჩარჩოში მოქცევადი აღმოჩნდებოდა; მან მკვლევართა შორის ახალი თავსატეხები უფრო გააჩინა, ვიდრე მიკროსამყაროს ფუნქციონერებაში გარკვეულობა, მისმა აღმოჩენამ რომ მოიტანა; საკუთრივ: ეს ფუნდამენტური ნაწილაკია (ფუძე-ნაწილაკი, სხვა ნაწილაკებით რომ არ იკრიბება და არ შედგება მათგან); მასიური ნაწილაკია, მისი მასა 130-ჯერ აღემატება პროტონის მასას და ამ მასას მაღალ ენერგიებზეც ინარჩუნებს (სხვებისაგან განსხვავებით); ეს ბუნებაში აღმოჩენილი პირველი სკალარული ნაწილაკია, ნულოვანი სპინით (თანდაყოლილი ბრუნვითი მოძრაობის რაოდენობის მომენტით) – მას აქვს სიდიდე, მაგრამ არა აქვს ორიენტაცია; მას არ აქვს მუხტი; ის არასტაბილურია მეტად, თითქმის დაუყოვნებლივ დადის სხვა ელემენტარულ ნაწილაკებზე; მეტად იშვიათად იჩენს თავს; ანტინაწილაკია თავისივე თავის, ამიტომ ანიჰილაცია (თავის ანტინაწილაკთან შერწყმა და გაქრობა) მას არ ემუქრება...

ჰიგგს ველიც განსხვავებულია სხვა ველებისგან, გამორჩეული თავისი გვარობით და სახეობით, მახასიათებლებით; კერძოდ, ეს: სკალარული ველია (მას აქვს სიდიდე, მაგრამ არ გააჩნია ორიენტაცია); არანულოვანი ველია სიდიდით, რომელიც განჭოლავს და ავსებს მთელ სამყაროს, მის ყველა არეს სხვამხრივ ცარიელი სივრცის, ვაკუუმის ჩათვლით!. ის არაფრისგან ქმნის მასას (საიდანაც ამოვიდა მთელი სამყაროც) და თანავ პასუხისმგებელია ყველა ელემენტარული ნაწილაკის მასაზე... როცა ნაწილაკები სერავენ ჰიგგს ველს, ისინი ურთიერთქმედებენ, „წყვილდებიან“ (როგორც ამას უწოდებენ) მასთან და აქედან ღებულობენ საკუთარ მასებს, ყველა თავის წილ!..

ამ პროცესს „ჰიგგს მექანიზმი“ ჰქვია: ის ჰიგგს ველს, ჰიგგს ბოზონს და მათთან ურთიერთქმედ ნაწილაკს (თუ ნაწილაკებს) შეიცავს მოქმედებაში, რომლის ნაყოფიერება, შედეგიანობა ამ „დაწყვილების“ სიძლიერეზეა, თითქოს (თუ თურმე), დამოკიდებული – ლამის მათი ჩასკვნა-ჩახუტების ზომაზე, გამოდის, როგორც ეს ვაჟის და ქალის შეუღლების დროს ხდება ხოლმე, რის შედეგადაც ბავშვი ჩაისახება, ახალი ადამიანი (არა ყოველთვის)... და თვითონ ჰიგგს ბოზონიც ჰიგგს ველთან ურთიერთქმედებით იღებს თავის მასას, საკუთარს, როგორც ყველა სხვა, ყოველი...

– გესმის, პალიკო, ეს ერთი ნაწილაკია თავისი ველით, მხოლოდ და მხოლოდ, ნივთიერობას რომ სძენს ყველა დანარჩენს ჩვენს სამყაროში!. და საოცარია, პალიკო, როგორ წყობილად მოქმედებს ბუნება ამ შემთხვევაშიც: წესის და რიგის გამოკვეთით, თავისუფლების ზომა-წონის ზუსტად მოფარგვლით და გან-

წესებით, რადგან ეს სამყაროს სხეულის ნივთიერულ შემოსვას ეხება, პალიკო, მისთვის ხორციელობის მიცემას, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ დაიძვრებოდა კოსმოსში, ვერ დაიწყებოდა მისი გაშლა და განფენა დრო-სივრცის მღვიმეში!.

– აქ წყობის პირობებს ის განსაზღვრავდა, პალიკო, რომ „ბიგ ბენგის“ აფეთქებიდან ერთი მეტრილიონედი წამის განმავლობაში (მყისზე ნაკლებში), უზარმაზარი ენერგიებით ამოფრქვეული ნაწილაკები უმასონი იყვნენ ყველა და სინათლის სიჩქარით მოძრაობდნენ, ფოტონებივით: ტალღური სხეულოვნების ენერგიის ქულები, რეალურად, რომლებიც ჰიგგს ველთან (და მის ნაწილაკთან) მხოლოდ მას შემდეგ შევიდნენ ურთიერთქმედებაში, რაც სამყარო გაიშალა და გაცივდა, პალიკო!. ამიტომ არის, რომ მასის გადაცემაც მხოლოდ სუსტი ურთიერთქმედებებით ხდება მათთვის; რომ არანულოვანია ჰიგგს ველი (არ არის ნული, გარნა სუსტია მაინც) და ჰიგგს ბოზონსაც შედარებით ზომიერი მასა შეეფარდა...

– ეს ზღვრული სიდიდეებია, პალიკო, მათი მცირედით შეცვლაც შეუქცევად ცვლილებებს გამოიწვევს სამყაროში!. იმავე ჰიგგს ბოზონის მასა სტაბილური და არასტაბილური სამყაროს ზღვარზე გადის და მისმა მცირედმა ცვლილებამაც შეიძლება არასტაბილურ მდგომარეობაში გადაიყვავანოს კოსმოსი და ბედის ანაბარა დატოვოს იგი.. იგივე ეხება ჰიგგს ველსაც – მისი სიდიდე სულ მცირედ განსხვავებული რომ იყოს, არანაირი ფიზიკური სტრუქტურა არ შეიქმნებოდა სამყაროში და ისიც ერთიანად ჩაიშლებოდა ვაკუუმის ბნელ წკვარამებში...

– იმ უნივერსალური, ფუნდამენტური ფიზიკური მუდმივების მაგვარია, პალიკო, ეს მდგომარეობა, რომელთა მცირედით შეცვლაც კი, არსებული კოსმოსის გაქრობას ან სრულ გარდაქმნას გამოიწვევს მყისად, ანუ: ჰიგგს ველთან და ჰიგგს ბოზონთან მიმართებითაც ერთგვარი აკრძალვები აქვს შემოტანილი ბუნებას მათთვის დასაშვებ ცვლილებებთან დაკავშირებით.. გამოდის, ფუნდამენტური მუდმივების გვარად, ჰიგგს ველს და ჰიგგს ბოზონსაც თავისი როლი აქვთ და წვლილი შეაქვთ ჩვენი სამყაროს სტაბილურობის შენარჩუნებაში – არა მხოლოდ იმით, რომ მათი მეშვეობით შეიძინა კოსმოსმა ნივთიერობა, მატერიალურობა, არამედ იმითაც, რომ ისინივე აკონტროლებენ სათანადო თანაფარდობების შენარჩუნებას კოსმოსში და არეგულირებენ მათ...

– წარმოიდგინე, პალიკო, ტალღური სხეულოვნების ნაწილაკი, ტალღური პაკეტი (გარკვეული სიხშირის ტალღების კრებული, ერთ მთლიანობად შეკრულ-შეფუთული), როგორც უწოდებენ მას, მიცურავს ჰიგგს ველში, მასთან ურთიერთქმედებას და მასის შეძენას მონდომებული და მოწყურებული, ჰიგგს ველი კი, მიიღებს მას, „დაუწყვილდება“ და გადასცემს სათანადო მასას ან გაატარებს და არას მიაგებს, იმისდა მიხედვით, თუ რა ბალანსია მასა-მატერიის ამ დროს სამყაროში (ჭარბი, ნაკლები, თუ ზომის ფარგლებში) და რა გვარიშვილობის და ჯიშისაა, ამასთან, რა აღნაგობის, თვითონ ეს „ტალღური პაკეტი“-ნაწილაკი, რით არის იგი სხვებზე საჭირო და უკეთესი!. ...

საქმე ელემენტარული ნაწილაკების ორბუნოვნებაა: ერთი მხრივ, ისინი თავს ავლენენ როგორც ნივთიერი, მატერიალური ნაწილაკები, მეორე მხრივ კი, როგორც ტალღები, ტალღა-ნაწილაკები (ტალღური პაკეტის სახით) – გარემო პი-

რობების შესატყვისად და მათდა ფარდად.. ამასთან, ორივე მათგანი ნაწილაკია თავისად, რადგან: მატერიალურ ნაწილაკს აქვს განსაზღვრული მასა და მოცულობა, ანუ ნივთიერი სხეულოვნება და ადგილი სამყაროში; ხოლო ტალღა-ნაწილაკს აქვს ენერგია და სპინი, ტალღური სხეულოვნება (პაკეტად შეკრული), რომელიც საკუთარ ადგილს იკავებს დრო-სივრცის ბადეში (რომელსაც ვერ შეეცილება სხვა ტალღა-ნაწილაკი)... ორივე მათგანს სრულიად გამოკვეთილი ინდივიდუალობა ახასიათებთ, თავისთავადობა, თავ-თავისი, რომლებიც სხვადასხვა ნაკვეთია თითქოს, სხვადასხვა ნაწილი ერთი და იმავე ფიზიკური ობიექტის, ელემენტარული ნაწილაკის (და არა უბრალოდ მისი განსხვავებული გამოვლინებები), რომლებიც ერთვიან ერთურთს, ეთვისებიან, ავსებენ ერთმანეთს მიმატებით და მით სრულ სხეულოვნებას, ერთიანობას სძენენ ელემენტარულ ნაწილაკს – ცხოველყოფას წუთისოფელში.. ...

ამას უნდა ეხმიანებოდეს ის ფაქტიც, რომ ზემაღალ ენერგიებზე ელემენტარულ ნაწილაკს არა აქვს მასა, უმასო ხდება, ანუ: მისი ნივთიერება „იწვება“, სრულად იხარჯება ამ დროს და მასა ენერგიაში გადადის, ღათუ ის ინარჩუნებს ნაწილაკურ აღნაგობას ამ პირობებშიც (ტალღური პაკეტის ფორმით) და მოძრაობს თანად, სინათლის სიჩქარით...

მხოლოდ ნილს ბორი განიხილავდა ნაწილაკების ამ ორბუნოვნებას – ნივთიერს, ანუ ხორციელს, და ტალღურს, ანუ ეთერულს – როგორც ერთ-ერთ კვანძს სამყაროს საერთო წყობილებაში, რომელთა ერთურთთან შერთვა და შეთვისება სრულ სხეულოვნებას და ცხოველყოფას აძლევს ელემენტარულ ნაწილაკს (და შედგენილ ნაწილაკებსაც) წუთისოფლის მდინარებაში.. რომ ეს ბუნების განწესებაა და არა მიკროსამყაროს ობიექტების გამოვლენის თუ აღწერის ფორმები!. თვითონ ეს ფენომენი – ორბუნოვნება – შემოწმდა და დადასტურდა (ვერიფიცირდა) არა მხოლოდ ელემენტარული ნაწილაკებისთვის, არამედ, ასევე, შედგენილი (ნაერთი) ნაწილაკებისთვის, როგორებიცაა ატომები და მოლეკულებიც კი!!. მაკროსკოპული („დიდი“) ობიექტებისთვის, მათი ტალღების ზედმიწევნით მოკლე სიგრძეების გამო, ტალღური მახასიათებლების გამოვლენა და აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია...

კიდევ, აღმოჩნდა, რომ მასა და ენერგია გადაბმულია ერთმანეთთან ბუნებაში, ერთიან სიდიდეს ქმნიან ამ ბმით, რომელიც ინახება ყველა პირობებსა და პროცესებში; უცვლელი რჩება, მუდმივი, რამეთუ ისინი ერთმანეთში გადადიან (როცა საჭიროა), სათანადო წესით და რიგით და განრიგებით: მასას თუ აკლდება, ენერგიას ემატება მისი ფარდი, და, ასევე, პირიქით – მათი კრებითი სიდიდე კი არ იცვლება ამ პირობებშიც, ანუ ინახება სამყაროში!.

საკუთრივ მასა (საზოგადოდ) მაღალ ენერგეტიკულ პროცესებში იკარგება ჩვეულებრივ: ბირთვულ რეაქციებში, ენერგიის გარდაქმნებში, შესატყვის ქიმიურ რეაქციებში.. მასა შესაბამის კინეტიკურ (მოძრაობის) ენერგიაში, სითბურ ენერგიაში ან გამოსხივების (სხივურ) ენერგიაში გადადის ამ დროს, ამაზე იხარჯება, იწვება მისად, რის შედეგადაც „ხარჯვაში“ მოყოლილი ელემენტარული ნაწილაკები კარგავენ ჰიგგს ველთან ურთიერთქმედებით და „დაწყვილებით“ შე-

ძენილ მასას, თავის ნივთიერულ შედგენილობას და სხეულოვნებას და ტალღურ ბუნებასა და სხეულოვნებაზე დანდობილნი რჩებიან ოდენ, მათ შეჩერებულნი!. ღათუ ისინი ინარჩუნებენ თვითონ ნაწილაკის ინდივიდუალობას: იმავე ტალღური სხეულოვნებით (ტალღური პაკეტი), იმავე გზნებით (ენერგიით) და ორიენტირებით (სპინით): წუთისოფლის ცხოველყოფაში მონაწილეობაზე მომართულები და მოწადინებულები, გარნა ვერ შემძლენი!!..

სამყაროში ყოფნას, არსებობას მაინც აგრძელებენ ეს ტალღა-ნაწილაკები, ხორციელ ქსოვილს და სხეულოვნებას მოკლებულები და კოსმიური წრე-ბრუნვიდან ამოვარდნილები – გარდაცვლილები (ქართულ ენაზე) და ცხოვრების გზნებას განყოფილები, გარნა მის ორომტრიალში და წუთისოფლის ბრუალში დაბრუნების უზომოდ მოსურნენი, მისთვის აღძრულები და დაგეშილები!. და ისევ ჰიგგს ველს მიაშურებენ ეს უგზო-უკვლო ნაწილაკები, კოსმოსს რომ ავსებენ პირითპირამდე, კიდითკიდემდე, თავგადადებულად ეშვებიან მის მრუმე წყლებში, მასთან დაწყვილებას და მასის მიღებას მოწადინებულები!!. ღათუ მხოლოდ ზოგ მათგანს მიაგებს ჰიგგს ველი სანუკვარ მასას, ახალ ცხოვრებას წუთისოფელში – იმჟამს არსებულ თანაფარდობებთან შეფარდებით და მისადაგებით.. სხვები კი ისევე რჩებიან (უმეტესნი), როგორც იყვნენ, ტალღური პაკეტები კოსმიურ სივრცეში, სიცარიელეს მიჩერებულები, ისევ ისევე გზნებით სავსენი და ელვარენი და დაბადებას მონატრებულები: „არის-არ არის“ ნაწილაკები, ამ მიმართებით, ვირტუალურები...

ისინი ცარიელ სივრცეში რჩებიან, იქვე, მას ეკედლება ეს ტალღური პაკეტი – „ვირტუალური“ ნაწილაკები, და რადგან ყოველი მათგანი ცალკე ადგილს იკავებს მის არეებში, ნებსით თუ უნებლიეთ, როგორღაც თავისთავად აფართოებენ იმ არემარეს, ცარიელ სივრცეს და მთელად კოსმოსს (საბოლოო ჯამში), რაც ვინძლო ერთი მიზეზიც იყოს (სხვა მიზეზთ შორის) სამყაროს გაშმაგებული და უკანმოუხედავი, მზარდი აჩქარებით მიმდინარე გაფართოების!!. რაც, მეორე მხრივ, იმასაც გვამცნობს, იმასაც გვეუბნება, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ტალღა-ნაწილაკი ჩნდება (თუ შემოდის) ჩვენს სამყაროში, შინაგანი წვით გზნებული და ანთებული, კოსმიური ცხოვრების მოშლასა და დალევაზე, მის გაუხშოებასა და გაჩანაგებაზე მომართული და მოღერებული!..

გამოდის, გადატენილია ცარიელი კოსმიური სივრცე (თითქმის ვაკუუმი) ამგვარი „ვირტუალური“ ნაწილაკებით, დაბადება რომ ენატრებათ და ესახებათ, ხორციელი ცხოვრების ალმურში ამოვლება რომ სწყურიათ ველური ჟინით და ვნებით და მზად არიან, თუ გაჩენას ვერ ეწევიან, დედაბუდიანად წალეკონ წუთისოფელი, მთელი მისი სანახებით და საჩინოებით; მილიარდობით წელიც რომ დასჭირდეს ამას, ტრილიონობით, ოღონდ კი შეიცვალოს იქაური ყოფა და წყობა, თუნდ დაიხაფროს ირგვლივ ყველაფერი!!.

ვინძლო აქედან არის, ამ განწყობიდან, რომ: ჩვენი სამყაროს ენერგეტიკის 70 %-ზე მეტი „ბნელ ენერგიაზე“ მოდის, კოსმოსს რომ აფართოებს ასე გამეტებით, შეუჩერებლად და შეუსვენელებლივ; 25 %-ზე მეტი უკავია იმ „ბნელ მატერიას“, სინათლეც რომ ვერ გამოაჩენს წუთისოფელში; და მხოლოდ 4 % რჩე-

ბა „ჩვეულებრივ მატერიაზე“, ნივთიერზე, მთელი მისი კოსმიური სხეულებით და წარმონაქმნებით და მათი ცხოველყოფით, რომელსაც იცავს კიდეც (სავარაუდოდ) დაშლა-განყოფისგან ეს უხილავი „ბნელი მატერია“ – „ჩვეულებრივ მატერიას“ ყველა მხრიდან შემოწყობილი.....

– რა ძვირი ყოფილა, პალიკო, დაბადება ჩვენს სამყაროში, რა ბევრს სდომებია მის სამკვიდროში შემოსვლა და მისი ცხოვრების ფერხულში ჩაბმა, ხელების გაშლა და გაველება, თუნდ ერთი მყისით, სულ ერთი ყლუპით შეგრძნება მისი ქოთქოთის და ცხოველყოფის, მისი ძრაობის და მიმოქცევის!!. და რა ცოტანი ლახავენ მის ზღურბლს, პალიკო, რა ცოტა ახერხებს გაჩენას და სოფლის ბრუალში ჩართვას, მიერთებას – სულ ერთი ციცქნა, ერთი ბეწო, ნამცეცი ერთი ამ უამრავი ხმევის და გზნების!. ...

– და წარმოიდგინე, პალიკო, რა გადაჭედილია კოსმიური სივრცე ამ გულნაკლული ნაწილაკებით, ნემსიც რომ ვერ ჩავარდება მათ შორის; ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩალაგებულები, ვერ გაინძრევი, ვერ მოიხრები, ვერ მობრუნდები აქეთ თუ იქით, სულს ვერ მოითქვამ, ხმას ვერ ამოიღებ, ვერვის მოუხმობ და არც ვინ გეძახის: ერთმანეთს მიჯრით მიწყობილები, მიკრობილები და მიჭყლეტილები!.

– ერთიღა რჩება გზნება, პალიკო, ოღონდ გააღწიო იქაურობას, ამ სულის ხუთვას (ლამის ამოხდას), ოღონდ გაეცალო ამ წყევლის ალაგს და არას დაუდევ, არას კითხულობ, არას იფიცებ, არას ემიჯნები, თვითონ ეშმასაც დაუმდაბლდები და მოემსახურები, ყმად დაუდგები: ოღონდ კი გახვიდე სამშვიდობოს ამ საოხრედან, ამოისუნთქო, ღრმად ჩაისუნთქო და ჩაყლაპო ცხოველი ჰაერი, შეიგრძნო სოფლის მშვინვარება და მდინარება, გადაიარო მისი აღმა-დაღმები!!.

– და ისევ ჰიგგს ველს მიაკითხავ, მაშინ, პალიკო, მიესალბუნები, მიელამუნები, კოსმოსს რომ ავსებს კიდითკიდემდე, ცარიელ სივრცესაც რომ ეტანება, მასაც რომ სწვდება, იქაურ ვაკუუმს!. თუმც მრავალთაგან, ისევ და ისევ (როგორც ყოველთვის), ერთი-ორი თუ მიიღებს მხოლოდ მისგან თავის წილ მასას, ხორციელობას და მთლიან სხეულს, შესაძლებლობას ისევ გაუყვეს ცხოვრების განრიგს...

– და წარმოიდგინე, პალიკო, იქ რაღა ხდება, ნამდვილ ვაკუუმში, დიდ არაფერში, სად მატერია და ანტიმატერია ერთად არის შეგროვილი და თავმოყრილი, ერთმანეთთან გადანასკვული და გადახლართული, ერთურთზე აღძრული და დაგეშილი, აღზევებული; რომ ეძგერებიან მყისად ერთმანეთს, ყოველწამიერ, ნაკვეთ-ნაკვეთი, ნაწილაკ-ნაწილაკი, შეასკდებიან დაუნდობლად, მთელი ძალღონით, ერთურთს შეერწყმიან, შეუერთდებიან და დაიწვებიან ცხელი ნაღვერდლით: ენერგიის ქულას შობენ ოდენ, ანთებულ გზნებას; ნამწვავიც არ რჩება შემდეგ მათი შეწყვილების!.

– და ასე ყველგან, მიგარდმო, პალიკო, ამ დიდ არაფერში: იგივე ვნება, მძვინვარე გიზგიზი ირგვლივ არემარის, თვითონ ვაკუუმის, ამ სიცარიელის – გაუთავებელი და დაუსრულებელი!. ვინძლო ეს იყოს კიდეც ჯოჯოხეთი, პალიკო, გაუნელებელი ცეცხლი „არაფერი“-ს: მეყვსად შეხლილი აღტყინებები და მათი მხურვალება აალებული!..

– ალბათ მითავე ესწრაფვის ყველა ასე დაბადებას, პალიკო, ასე მონდომებით და გამეტებით, ცოტა ხნით მაინც რომ დაივიწყოს ამ ცეცხლის ალი და მისი გიზგიზი დაუცხრომელი, დაულეველი, მოუთოკავი, სამყაროს კიდეზე რომ მოჩანს ხოლმე (ხანდახანობით), სულ შორით-შორით, კოსმოსის იქით, გადასაკარგავში, ძლივს გარჩევადი თხელი ლიცლიცი (რეცა ლივლივი) მისი ენების...

– ამასვე მოჰყვა სწორედ, პალიკო, პირველ აფეთქებას ამოყოლილი, ამოხეთქილი ნაწილაკების აღგზნებულობა და აჩქარება, სინათლის სიჩქარით რომ ამოიფრქვნენ, სრულად დამწვარი თავისივე მასებით: როგორმე აქეთ რომ გამოესწროთ, სულ ერთი წენით, ერთი მეყით გაღებული ვაკუუმის, არაფრის კარებში!. – ახლადქმნად სოფელში რომ ამოსულიყვნენ, ჩვენს სამყაროში, მომავლის მხარეში...

– რა სხვა რამ ყოფილა, მაინც, პალიკო, ეს დაბადება წუთისოფელში.....

ორბუნებოვნება, მისი შინაარსი და ხასიათი ადამიანშია ყველაზე მკაფიოდ და გამოკვეთილად მოცემული.. ერთი მხრივ, მას ფიზიკური, ხორციელი სხეული აქვს, მისი ორგანიზმის ცხოველყოფით – სრულიად გარჩევადი და ინდივიდუალური; მეორე მხრივ, მას სამშვინველი გააჩნია, მისი ტალღური ბუნებით, ეთერულ სხეულში მოქცეული და მისით შემოსილი, სადაც იკრიბება ყველა გრძნობა და განცდა, ფიქრი და გულისთქმა, გზნება და გრძნება, აღტყინება და მოწადინება, ჟინი და ვნება, წუხილი და სიხარული, აღმაფრენა და დახაფრულობა არაფრამდე: ყველა შეგრძნება და შეცნობა ადამიანური – ასევე სრულიად ინდივიდუალური!. და ამავე დროს, ადამიანს ერთი სხეული გააჩნია მთლიანობაში მხოლოდ, მისი იდენტობის სრულად წარმომჩენი – რომელიც არ არის ხორციელი და ეთერული სხეულების რაიმე ნაკრები, ჯამი (რაგინდრა რთული), არამედ მათი შერწყმა-შეერთებით და შეჯერებით, ერთურთთან შეთვისებით და შემკვრივებით ქმნილი სხეულოვნება, რომლის ტალღური და ხორციელი ბუნება გადაბმულია ერთმანეთთან, გადანასკვული და გადახლართული და ყოველთვის ერთ მთელად წარმოჩნდება ცხოვრების წვნაში: გადაჯაჭვულია ერთმანეთთან ყოველ მტკაველში, ყოველ ნაკვეთში, ყოველ კვალედში, ყველა ხდომილებასა და მოვლენაში, ყველა ამბავში; შეზრდილია ერთიმეორეს ყველა უჯრედში და ყველა ქსოვილში!. – ასე იკრიბება და იკვეთება და წარმოდგება პიროვნულობა ადამიანის: ერთიანი და განუყოფელი...

ამიტომ არის ესერიგ მომწყვლელი და მტკივნეული ადამიანის გარდაცვალება, თვითონ მისთვისაც და გარემოსთვის (მოყვასებისთვის, ახლობლებისთვის...), რადგანაც ამ დროს არ ხდება უბრალოდ განყოფა მისი ფიზიკური და ეთერული სხეულების (თუმც ამას მოჰყვება, საბოლოოდ, გარდაცვალება ადამიანის), აქ ეს განყოფა ყოველ ნაკვეთში მიდის, ყოველ ნასკვში და ყოველ კვანძში, მიკრო და მაკრო დონეებზე, სხვადასხვა განზომილებაში და არა ერთიანად, ერთდროულად – არამედ თანდათანობით: ზოგი წინ უსწრებს, ზოგი მიჰყვება, ზოგი იგვიანებს – ყველა თავის წილ და თავის რიგად.. იგივე ტვინი იმდენხანს აგრძელებს მუშაობას გულის გაჩერების შემდეგ, რომ ადამიანმა მოასწროს გარდავლილი

ცხოვრების ახლიდან გავლა და განცდა და აღქმა: ერთბაშად, ერთშესმად, მიყოლებით!. მხოლოდ ამის შემდეგ ეყრება ეს ორი სხეული ერთიმეორეს სრულად და მთელად, ორი ბუნება ეთიშება ერთურთს: გვამი მიწას უბრუნდება (კოსმიური მტვერი); სამშვინველი კი საიქიოსკენ გაუწევს – ბედის განჩინების მისაღებად და მისი კვართის სატარებლად, განაწესით...

სამი ხაზი ჩნდება ამ გზაგასაყარზე, ისახება, შესაძლებელი: სამოთხის მხარეს გადასვლა და მის სანახებში შესვლა, მათთან შეწყობა, შეთანადება და შეთვისება – ზეაღმავალი გზა, ტერასული, თანდათანობით აღსავლელი; ან ჯოჯოხეთში შთავარდნა, ცეცხლოვან ხახაში, მის ალში დაწვა და დადაგვა, ტანჯვა-წამება გაულეველი და გაუნელებელი; ან კიდევ, გზა-კვალის დაკარგვა მთელად, არა მინიშნება შენი მისადგომის: არც ერთგან რომ არ გიღებენ, არც მეორეგან, არც რამე სხვა ჩანს ირგვლივ მოსაწევი; მათ შორის რჩები სადღაც გამოკიდებული და ისევ ჯოჯოხეთს მიუბრუნდები, იქ შეშვებას სთხოვ მის მეურვეებს, ემუდარები, გარნა დახშული გხვდება მუდამ კარები და მაშინ გრძელ რიგს მიემატები, იმავე კართან, შენნაირების – დანტემ რომ გნახათ, ატუზულები!..

სასუფეველში გადასულ სამშვინველს ვინძლო დასჭირდეს კიდევ (ერთხელ თუ მეტჯერ) უკან დაბრუნება წუთისოფელში, მის სამანებში – ნარჩენი ცოდვის კვალის გასალევად და წასაშლელად და სამშვინველის ამ თანანადებიდან გასათავისუფლებად, გასამსუბუქებლად.. მას არ გაუჭირდება მომავალი მშობლების მოძებნა და მათთან შეთვისება: მათ სიყვარულში ჩაწვნა-ჩასახვა, დედის მუცელში ხორციელობის შეძენა და ახლიდან გაჩენა, დაბადება: საწუთროში დაბრუნება...

ჯოჯოხეთში განწესებული სამშვინველის ხვედრი მეტად მძიმეა, უსასოო და აუტანელი: მისი სახმილის გაუნელებელ ცეცხლში წვა და ვერდაწვა დაუმთავრებელი, დაუსრულებელი; დასჯილი სამშვინველებით გაჭედილ არეში ყოფნა და მათში რევა და აზელვა, მათ ოხშივარში ხარშვა და ჟღრიალი, ერთურთს რომ გლეჯენ და ფლეთენ გაუთავებლად, ყველანი ყველას, ყოველი მხრიდან, იქიდან თავის დაღწევის ცდაში, რომელსაც ვერასგზით ეწევიან, დრო ვიდრე არ მოვა მათთვის დადგენილი.. მერე მომავალი მშობლების მონახვაც უჭირს სკნელიდან ამოსულს: ცოტა თუ თანხმდება ცოდვილი სამშვინველის მიღებას და შეფარებას თავის საცხოვრისში.. და ბევრი მათგანი ასევე რჩება, განუსაზღვრელ დროს, გაურკვევლობაში, აგრძელებს ყიალს კოსმიურ სივრცეში, ჯერის მომლოდინე და მოიმედე, მოდარაჯე, ჩასაფრებული!..

ორივეგან უარყოფილი სამშვინველები იმ ხალხს ეკუთვნის, ვინც კარგად ყოფნაზე ("წელლ-being") იყო დაგეშილი, რაზეც დახარჯეს ცხოვრების მეტი ნაწილი: ან მის მოგებას ეშურებოდნენ (კარგად ყოფნის) თავგამოდებით; მასში ეშვებოდნენ ყველა ფორით, მთელი არსებით; ან ღონეს ხარჯავდნენ (ყველა შესაძლო გზით), რომ არ დაეკარგათ ეს „კარგად ყოფნა", მისი სანახები, სიამის მიღებას მიდრეკილები და ნებად ყოფნის მოტრფიალენი, თუნდ გაგრძელებულიყო ასეთი ყოფა, ასე არსებობა ათასი წელი (და მასზე მეტიც)!. და ეს არ იყო თავკერძობასთან პირდაპირ მიბმული რამ, უბრალოდ მოსწონდათ მათ ასე ყოფნა, ეს მდგომარეობა გამორჩევით, როცა გარკვეული გაქვს ყველა ქმედება, ყველა ნაბიჯი,

ყველა ამბავი, თავს აღარ იტეხ ცოდვა-მადლის გამორჩევაზე, სოფლის ბრუნვაზე და მის გზა-კვალზე, ამ დიდ აწმყოს ხარ მორგებული, შეწყობილი და შეთვისებული და ნაკლებ გაღელვებს, გეფიქრება სხვათა ცხოვრება, ბედ-იღბალი, ქვეყნის ავ-კარგი!. ნაკლებად გიძვირს თვით შენი სახეც, ინდივიდუალობა, კერძო სახელი, ასე ყოფნა გყოფნის, ნებად არსებობა, მასში ყურყუმალაობა, ყირამალები, სიამით თრთოლა და ჟრუანტელი, მისი თამაშები და გადაღმები, თან ისე გეშინია საიქიოსი, საზვერეების, მზად ხარ ასე იყო გაუთავებლად, სულ გაიყურსო, უბრალოდ იარსებო ათასობით წელი და კიდევ მეტიც!. და მით არ იღება გარდაცვალების შემდეგ შენი სამშვინველისთვის არცერთი კარი (არც სასუფევლის, არც ჯოჯოხეთის), რომ არსებობა სამშვინველს ისედაც შეუძლია, დაბადების გარეშე, არემარეში, ნათლის ხილვის თუ დაუსრულებელ ალში დაგვის გაუვლელად, მათ გარეშე!. მითავ რჩებიან ეს სამშვინველები რაღაც შორისში, სადღაც, ვიღაცა, უსახელო და უთვისტომო, ისევ იმ ცარიელ სივრცეს შეხიზნულები...

გარნა ეს შეგრძნება „არავინობის“, „არასახობის“, „არარაობის“ იმდენად ჭარბობს ყველა ტკივილს და ყველა გვემას თვით ეშმას მიერ გამოგონებულს, ოღონდ კი იქიდან ამოვიდნენ, გაეცალონ იქაურობას, სიცარიელის სუსხიან შუილს; მზად არიან თავიდან შექმნან თვითონ სამყარო, მთელი კოსმოსი, როგორმე ახლიდან რომ დაიბადონ, ამოიგანგლონ წუთისოფლის ბილიკების მტვრიან ხვიებში!!. ლამის მონადირეებად გადაიქცნენ, მშობლების ძებნაზე და მოგებაზე დაგეშილები!. მათი რიცხვი კი ერთთავ მატულობს, განუხრელად, ამ გარიყული სამშვინველების, ხალხის რაოდენობის ზრდასთან ერთად დედამიწაზე (უხსოვარი დროიდან მოყოლებული) და კვლავაც აგრძელებს მომატებას, მეტადრე, ჩვენს დროში, გაწელილი აწმყოს ხანაში.....

– ასე გამოდის, პალიკო, ეულად დარჩენილი სამშვინველი ისევ ხორციელ სხეულთან შერწყმას და შეერთებას ეშურება, ისევ ესწრაფვის, მთლიანობა რომ დაიბრუნოს, თუ აღიდგინოს, თუ შეიძინოს; ცხოვრებაში რომ შევიდეს, წუთისოფელში და ცოცხლობა შეძლოს და იგემოს მის სამანებში: ადამიანად იქცეს, მისი კვართი მოირგოს და ატაროს, გზა განვლოს და გაიაროს გასარჩევი..

– და ეს მხოლოდ ისე, პალიკო, თავისთავად, ბუნებითად, წრებრუნვის ნაკვეთი ოდენ, როცა პირველად მოდიხარ სოფელში, თავისუფალი, შილიფად ჩაცმული და მოწყობილი ან როცა არ გღუნავს წელში ცოდვები, დაგროვილი თანანადებები... გარნა სხვა არის უკვე სრულიად, თუ დიდი ვალი გაქვს, პალიკო, გადმოყოლილი და მისი სიმძიმით ქვესკნელს ეშვები, იქ ჩაიქცევი და ჩაიშლები: ჯოჯოხეთის მძვინვარე ღუმელში, ეშმას სამკვიდროში და საუფლოში, მისი მსახურების (ჭინკების და მაჯლაჯუნების) ცხელ მუგუზლებში, სხვა დასჯილ სამშვინველებთან ერთად შექუჩული და შეკუჭული, მათში აღრეული და აზელილი, იქიდან ამოსვლის სურვილს და ლტოლვას ყველა ძარღვით და ძაფით ჩაჭიდებული და ჩაბღაუჭებული, ოღონდ კი გამოჩნდეს რამე საშველი!!.

– და ახლა იმათ შეხედე, პალიკო, ყველასგან გარიყულ სამშვინველებს, დაკარგულებს და დახაფრულებს, არც ვინაობა რომ არა აქვთ და არც რაობა თავისი, არა ინდივიდუალობა და პიროვნულობა გამოკვეთილი, ხელმოსაკიდი და ჩა-

საჭიდი, სიცარიელეში რომ არიან ჩახლეწილები, არც არავინ კითხულობს და არც არავინ ცნობს, თვითონაც არა აქვთ რამ სახმობელი, მათნაირებთან ერთად არიან კოსმიურ არაფერში ჩახორგილები, მისი მყინავი სუსხით გათოშილები და გაშეშებულები, გაუვალ უძრაობაში გაჩხერილები და გაჭედილები, და ახლა ესენი წარმოიდგინე, პალიკო, ეს სამშვინველები, მათი ყოფა და მდგომარეობა, სასოწარკვეთა გულის შემჭმელი, რარიგ ენდომებათ მათ დღის შუქზე გამოსვლა როგორმე, დღის სინათლეზე, ცხოვრებაში ჩაყვინთვა და მასში გაცურვა: აქედან იქამდე, კიდიდან კიდემდე!! და რას არ გაიღებენ, ეს შესაძლებლობა რომ მოიგონ, მოიხელთონ როგორმე, კვლავ დაიჩემონ რაობა და ვინაობა, საკუთარი სახე საცნობელი, ანუ შექმნან ისინი ისევ თავისი ზმობით და ცხოვრებით და ცხოველყოფით!!.

– ამ ყველაფერს კიდევ, მის მიღწევას – დაბადება სჭირდება, პალიკო, უთუოდ და უცილოდ, გარდაუვალად, ადამიანის: მომავალი მშობლების მოძებნა და დაჩემება და მათ ცხოვრებაში ჩაბუდება საიქიოდან გადმოსული სამშვინველის, ასეთი კი უამრავია, პალიკო, სამშვინველი, აურაცხელი, ცხოვრებას მოწყურებული და მონდომებული და მოშიებული და უნდა მოასწრო მაშინ და სხვებზე ადრე მონახო ისინი, შენი მომავალი მშობლები: რომ გაგარჩიონ და შეგითვისონ, შვილად მიგიღონ დაბადებული!..

– და წარმოიდგინე, პალიკო, რა ორომტრიალია ამ დროს კოსმოსში, საიქიოდან ადამიანეთამდე, სააქაომდე მოყოლებული, რა ჭიდილია სამშვინველების, რა შეხეთქება მათი ეთერული ტალღა-სხეულების, დაუნდობელი, დაუცხრომელი, გაუნელებელი; ხორციელობას კი მხოლოდ მათი ნაწილი ღებულობს, პალიკო, ყველა სხვა იქავე რჩება, სადაც იყო, კოსმიურ სივრცეში, ეთერულ სამოსელში მოქცეული სამშვინველები, შემდეგი შემთხვევის მომლოდინე და მოიმედე: ზოგი წლებია, ზოგი საუკუნე, ათასწლეულები, ამ ბედის კარებთან მდგომნი და ხვედრის შემყურენი, მიჩერებულები, რამეთუ აქაც თანაფარდობას იცავს, პალიკო, ბუნება (როგორაც ყველგან, როგორც ყოველთვის), გარდაცვლილების და დაბადებულების, ამ სამყოფელში: წონასწორობა რომ არ დაირღვეს ცხოვრების მსვლელობის და მიმოქცევის...

– კვანძი ყოფილა, პალიკო, დაბადება წუთისოფელში, ელემენტარული ნაწილაკებისთვისაც (ანუ სამყაროში) და ადამიანებისთვისაც (ანუ ადამიანეთში), და ორივეგან ერთსა და იმავეზეა ლაპარაკი, პალიკო, მოთხრობა იმავე ამბის: იქ მასის შეძენასა და გათავისებაზე (ნივთიერების, მატერიის), მიკროსამყაროში; და აქ ხორციელობის მოგებასა და შეთვისებაზე (დედის მუცელში ჩასახვა და მისგან შობა), ადამიანეთში..

– და ორივეგან ერთი და იგივე ხდომილებაა, პალიკო, იგივე მოვლენა: ტალღური და მატერიალური სხეულების (ორი ბუნების) ერთურთთან შერწყმა-შეერთება და ერთიან სხეულად გადაქცევა: იქ ელემენტარული ნაწილაკის ტალღური პაკეტის შერთვით მასის მქონე სხეულთან; აქ – ადამიანის სამშვინველის მის ხორციელ სხეულთან შეწყობა-შეჯერებით და მასთან შეზრდით!.

– და რა ჭიდილი მიდის ამისთვის, პალიკო; შეხლა-შემოხლა, ერთურთის გვემა და სახიჩრება დაუნანებელი, მოწეული შესაძლებლობის მოსაგებად და მი-

სათვისებლად – იქაც, მიკროსამყაროში, და აქაც, ჩვენთან, ადამიანეთში: საწუთროში მოსვლისთვის, მისი ცნობისთვის და მასში ცხოვრებისთვის, ანუ ცოცხლობისთვის!!..

– რა უცნაური ხდება მაშინ, პალიკო, უადგილო და გაუგებარიც, ადამიანების ჩივილი წუთისოფელზე, უკმაყოფილება რგებული ხვედრით, გაუთავებელი წუწუნი და გულისწყრომა საკუთარ ბედსა და ცხოვრებაზე, მის სავალ გზებზე; ერთი წუთით მაინც რომ წარმოიდგინონ, რომ გაიხსენონ საიდან მოდიან, რას გამოექცნენ და რა გამოიარეს, რაზე ოცნებობდნენ ჯოჯოხეთის მძვინვარე ცეცხლში, ან რას ნატრულობდნენ გათოშილები ცარიელი სივრცის დამზრობ სიჩუმეში!!. ან ის ლოდინი, უსიგრძეგანო, ვიდრე გამოჩნდებოდა რამე გზა, სადმე, აქეთ გადმოსვლის რამე იმედი!. ...

სხვაგვარად ჩნდება ამ წრებრუნვაში თვითონ ცხოვრება, მისი ადგილი და მნიშვნელობა ჩვენს სამყაროში, წუთისოფელში, სადაც ის უკვე წარმოდგება, როგორც მთავარი მოვლენა და გარდახდომა, საშუალება ადამიანის შეცვლის, მისი ცვლილების, რომლის გარეშე დაბადებასაც არა აქვს ფასი და მისი საჭიროებაც აღარსად არის!. და ამას გულისხმობს ალბათ იესოც, როცა შეგვაგონებს დაჟინებით, რომ „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაÁ“ – და ცხოვრებაში ხდება (უნდა მოხდეს) ისევ ესეც, როგორც სხვა ყოველი...

ანუ, ცხოვრება მთავარი განძია და მთავარი ძღვენი ჩვენს სამყაროში, ის აძლევს ნამდვილ აზრს და შინაარსს თვითონ კოსმოსს, მის ცხოველყოფას და მდინარებას, წუთების სრბოლას ნამყოდან მერმისში.. ამ ყველას განცდა, მეტადრე გაგება კი გარდაცვალებას მოაქვს მხოლოდ, მის საიდუმლოს: განყოფას სამშვინველის და ხორციელი სხეულის, და აღმოჩენას უდროობაში, თან დიდ სინანულს და გულის ტკენას ვინძლო უფიქრებლად განვლილი ცხოვრების!. და განუზომელი სურვილი უკან დაბრუნების, რაც შეიძლება მალე შემობრუნების, რაღაცები რომ გამოასწორო: ზოგმა მეტი და ზოგმა ნაკლები, ზოგმა ყველაფერი... და რა მართალია, რარიგ ზუსტი ამ საწიერზე ვაჟას სიტყვები: „შენ გაგიმარჯოს სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“!..

ეს უკანმოუხედავი ბრძოლაც დაბადებისთვის, დაუზოგავი და გამეტებული (ტალღა-ნაწილაკებშიც და სამშვინველებშიც) ხომ სინამდვილეში იმისთვის მიდის, რომ სოფელს მოხვიდე და სრულად იგრძნო მასში ცხოვრების გზნება და ბჭენი – ავი და კარგი, კეთილი, ბოროტი, აღმა და დაღმა, მათი გარდასვლები, აქეთ და იქით მიმოქცევები, გრძელი თუ მოკლე, მწარე თუ ტკბილი, შარა, შუკები, მთა, უფსკრულები, მძიმე და მსუბუქი, ცივი და ცხელი, თბილი თუ გრილი, დაბინდული თუ თვალებგახელილი, გლუვი, ხორკლიანი, ტლანქი, მოხდენილი, ანთუ სრულიად ყველას აცდენილი!. – სიცოცხლეს როგორმე რომ მიაკვლიო, მარადისობას შეეხო ხელით.....

– გესმის, პალიკო, ცხოვრება გამოდის ყველაფრის კვანძი წუთისოფელში, რადგან მასზეა უშუალოდ დაფუძნებული, თუ სად მოხვდება მისი გავლის შემდეგ

სამშვინველი: სასუფეველში, ჯოჯოხეთში თუ ყოვლის დამზრობ სიცარიელეში..

– ეს კი მხოლოდ და სწორედ დაბადებას მოაქვს, პალიკო, მის მისტერიას, მისგან შევდივართ ჩვენ ცხოვრებაში, მის სანახებში, ის რომ ბოლომდე გადავიაროთ (სულ ნაკვეთ-ნაკვეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ) და გავიკვლიოთ სამყაროში ჩვენი გზაკვალი!. რაც აძლევს კიდეც ესოდენ ზომას და მნიშვნელობას ჩვენს დაბადებას, ადამიანის...

– და ის დიდი აფეთქებაც, პალიკო, სულ პირველი, ის „ბიგ ბენგიც“ ხომ დაბადება იყო ჩვენი სამყაროსი, მასში ცხოვრების დაწყების და ყველა არსების შობის და გაჩენის; ყველას რომ თავისი ცხოვრება ეგზნო და გაევლო და იქ ეპოვნა საკუთარი ადგილი, თავისი ალაგი!. ბოლოს ჩვენამდეც მოაღწია, პალიკო, დედამიწამდე და ისიც იშვა, ადამიანი, მისი სამშვინველით და ხორციელობით, ცხოველყოფით და სოფელში ცხოვრებით, რომლის გარეშე მადლს ვერ მოიმკი, წუთს ვერ გაზომავ და ნათელს ვერ ეწევი!!. რომელიც ბოლომდე უნდა გაიარო, რაგინდ ძნელი იყოს, აუტანელი, სულის შემხუთავი და გულისამრევი: ისე გაწყდება ეს გრძელი ხაზი, დიდი აფეთქებიდან (დასაბამიდან) ჩვენამდე მოსული და შენც გიენაში ჩაინთქმები ან გაიჭედები სიცარიელეში!!!

– ამიტომაც არის, ალბათ, პალიკო, რომ ყველა დიდ რელიგიაშიც და კერპთაყვანისმცემლებშიც ყველაზე დიდ ცოდვად სიცოცხლის მოკვეთა ითვლებოდა ყოველთვის, თავის მოკვდინება და ყველა ენაში მთავარი „გასაღები სიტყვა“, რამდენიმე რიგით უფრო ხშირად რომ გამოიყენება და ამოითქმება, ისევ „ყოფნა“ არის!! ...

– და გასაოცრად, პალიკო, საკვირველად, საიდანღაც, რაღაც მანქანებით – ეს ყველაფერი პოეტმაც იცოდა, პალიკო, სულ ყველაფერი! და მიუხედავად იმისა, რომ უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი, ისე შესძახა სამყაროს, დარწმუნებით და დაჯერებით, რომ უნებურად შენც იმეორებ მთელი ძალღონით: „და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“!!! ...

– ჭეშმარიტად, პალიკო, ამენ!..

ჩვილი გოგონა, სულ თოთო, ხუთი-ექვსი თვის (წლებს რომ იტყვიან უფრო ამ ასაკში) – მუხლებზე უწევს პირაღმა დედას, მის მხრებზე მიუწყვია პაწია ფეხები – ძალიან დაკვირვებით უყურებს გადმოხრილს სახეზე, თვალებში, ათვალიერებს გაგრძელებით, მის მოფერებას იწყებს; გულს რომ მოიჯერებს, თავისი ფუმფულა ხელებით, ძალიან ნელა, სულ ნაკვეთ-ნაკვეთ, ხელისგულებით, აუჩქარებლად, დახანებით, თავზე გადაუსვამს ნელინელ, თმებს შეეხება, შუბლზე ჩერდება, აქეთ და იქით, თვალებზე, წარბებზე, დაჯერებით, ცხვირს ჩამოჰყვება, ლოყებს ეფერება, ყურებსაც მისწვდება, იპოვის, თათუნებს შემოავლებს დედას თავიდან ყელამდე, პატარა მკლავების მიშველებით და დიდხანს უყურებს, მიჩერებით, თავისი დიდრონი, ლურჯი თვალებით, თითქო მადლობას უხდისო მშობელს მისი გაჩენისთვის და მიღებისთვის!. ნუთუ ასეთი ბავშვების გაჩენის დრო უკვე მოვიდა, ჯერი, თავით რომ იციან, საიდან მოდიან, სად მოვიდნენ, რატომ და რისთვის.. ღმერთო, გაუნათე მათ ცხოვრების გზა და არ მოაკლო წყალობა შენი.....

ᲛᲔ

მოცალეობა.. „და დასცხრა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელნი ქმნა. და აკურთხა ღმერთმან დღე მეშვიდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ღმერთმან ქმნად“... ეს პირველი მოცალეობა იყო, მისი პირველი ზმობა სამყაროში, რომლის ჭვრეტადაც დადგა უფალი, ქმნილი სოფელის, მის მომავალზე და ბედის რთვაზე ფიქრში წასული... და მან წმინდა-ჰყო მოცალეობა, ეს შედგომა და შეყოვნება ერთი დღით: ერთად ყოფნა უზენაესის და მისი ქმნილების!.. აქავ მიაპყრო უფალმა მზერა ადამიანს, მისითვე შობილს და მას გადასცა უშუალოდ, უსიტყვო ხმობით თავისი ფიქრი და გულისნადები.. და მის შემდგომ, ყოველ ჯერზე, მოცალეობის ჟამს, ისევ და ისევ დგება ეს ერთობა ღმერთის და სოფლის და ადამიანის, ცეცხლია ოდენ საჭირო, ანთებული და ადამიანი, ყოვლის შემგრძნები: გამოქვაბულში, შუაცეცხლთან, თუ ბუხრის ალთან გულში და გონში უფლის მძებნელი...

ერთია მხოლოდ თავიდანვე გამოსაკვეთი: რომ მოცალეობას არა აქვს საერთო „მოცლილობასთან“ ან „უქმად ყოფნასთან“; რომ ეს არ არის აგრეთვე არც „თავისუფალი დროის ქონა“ და მის მართვასთან (თუ გამართვასთან) დაკავშირებული „თავისუფალი დროის“ (თუ „დროის ტარების“) ფორმები, საშუალებები, ტექნოლოგიები, მოქმედებები!. რომ მოცალეობას წინ უსწრებს ყოველთვის გაკეთებული საქმე და მისი ნაყოფი, ნაღვაწი, რომელსაც უჭვრეტს მისი მომწევი, მისი შემომქმედი და ადგილს უჩენს წუთისოფელში.. რომ ეს კოსმიური ხდომილებაა თავისი ნიშატით და ხასიათით, მისი შინაარსით, თუნდაც სულ ციცქნა, სულ ერთი ბეწო, რომელშიც ერთიანდება უფალი, ქვეყანა და ადამიანი...

ეს პირველი შეხება იყო, შესაქმის მეშვიდე დღეს, მამაზეციერის და ადამიანის, მათი პირველი შეხვედრა საწიერში, რომლის თხელი და მსუბუქი ღრუბელი მჭვირვალი ნისლივით მუდამ თანა სდევს მოცალეობას და თავს დასტრიალებს ადამიანებს, მათ განცდებს და შეგრძნებებს, მათ წარმოსახვებს თნობის ხვიებით და ხან რას ჩასძახებს, ხან რას შეაგონებს, რას ჩასჩურჩულებს ჩუმი სიტყვებით...

– და თვლა არა აქვს, მართლა, პალიკო, ამ დროის გზნებით და აღტყინებით, მისი შთაგონებით აღძრული ადამიანის მოწეულ ნაყოფს, მოგებულ ნაღვაწს,

მისი ქმედებების, ყველა მხარეს და ყველა ალაგს!.

– მერე იწყება ლოდინი, პალიკო, ხშირად ხანგრძლივი და გულის მომწყვლელი: უკვე შემდეგი მოცალეობის, სად უფალსა გრძნობ მთელი არსებით და შენს თავს ხედავ მასთან შეწყობილს.. სად ზენარს უსმენ გარინდებული, რომ შეიგონო სიტყვა ცხოველი!..

– დროდადრო უნებს გაგახსენდება, პალიკო, ის სულ პირველი მოცალეობა, როცა უფალმა სულ ყველა უთხრა ადამიანს, მისი ამბავი და გარდახდომა და მომავალი: თუ ის ვინ არის და სად მოვიდა; თუ რატომ ხდება ეს ყველაფერი და რა გზები აქვს წინ გასავლელი, გარდასავლელი; თუ ვინ იქნება მისი თანამგზავრი და თუ რას ნიშნავს ცხოვრების უღელი, ეს დრო და სივრცე, წუთისოფელი!!.

– ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოდის მერე, პალიკო, პირველი შეხვედრის ნაკვესები, ხშირად ერთმანეთთან დაუკავშირებელი, გადაუბმელი და გაუნასკვავი და თუმც საამოა მეტისმეტად მათი შეგრძნება, მათთან შეხვედრა, მოცალეობის გზნება და თნევა, შინგნით მაინც რჩება რაღაც ნაღველი, რაღაც სევდა, სულ გულისგულში, მის წიაღში გაბუდებული, რეცა გაწყვეტილი თანახმობის და თანაწყობის, სიცარიელის, თვითონ რომ უნდა შეავსო, პალიკო, მარტოდ შთენილმა: როგორღაც, როგორმე, შენი ძალისხმევით.. ...

ეს მონატრება ღმერთის სიტყვების, მისი ნათქვამის გახსენების (ანუ აღდგენის), პირველი მოცალეობის დროს რომ ამცნო უფალმა ადამს და ყველა გადასცა მდუმარებაში, უხმო სიტყვებში, სულ მოჰყვებოდა ადამიანს და ტრიალებდა ადამიანეთში, მეტადრე მას შემდეგ, რაც ღმერთი წავიდა დედამიწიდან და გადავიდა ზეშთა სოფელში და მხოლო დატოვა, თავის ამარა, ადამიანი!.. ამითავ იყო, ალბათ, მის რიგად, სულ რომ მატულობდა მნიშვნელობა და ღირებულება, ფასეულობა მოცალეობის, სად ერთურთს შეხვედრის და გაცნაურების სურნელი დგება, პირველი შემთხვევიდან გადმოყოლილი და შეხმიანება შეიძლება უზენაესთან, თუნდ არაპირდაპირ, არა უშუალოდ: გზნებით და ფიქრებით!!.

სხვადასხვა სახე და ფორმა მიიღო მას შემდეგ მოცალეობამ, სხვადასხვაგვარი ფერი და იერი, გარნა მისი რიტუალიზება (დალაგება) ყველგან ხდებოდა, გარემოსთან და წეს-წყობილებასთან შეფარდებით... ღათუ აქ იყვნენ სხვებიც, რომლებიც არ სჯერდებოდნენ და ყაბულდებოდნენ ამ ირიბ ფორმას ზენაარსთან ურთიერთობის და უფრო პირდაპირ ხმობას ეძებდნენ, საშუალებებს მასთან შეხვედრის, უშუალო დაკავშირების.. მთავარ წინაღობად ცხოვრების ხმაური დგებოდა მათთვის, მისი გაუვალი და გადაულახავი დღითიდღეობა, განუზღვრელობა და ორომტრიალი!. ცხოვრებიდან განდგომა გამოჩნდა მაშინ ამ საშუალებად, ღმერთთან მიახლოების და ურთიერთობის და ბევრი დაადგა კიდეც ამ გზას, ამ აღმართს: ვინ სად მივიდა, ვინ სად გაჩერდა, ვინ სად დაეყუდა: ზოგი ქვაბულში, ზოგი უდაბნოში, ზოგი მონასტერში და ზოგიც სხვაგან, სხვა სამყოფელში...

ბევრგან გამოიღო მისი ნაყოფი ამ ძალისხმევამ: ზოგმა მოძღვრება შექმნა თავისი და მის ირგვლივ შემოიკრიბა მიმდევრები – თანადროულები თუ მერმისში მის კვალზე დამდგარნი; ზოგმა ახალი რელიგია დააარსა, თავისი სამიზნეებით და მიმართებებით და აღმსარებლებით; სხვამ სკოლა შექმნა, შემეცნების და ცხოვ-

რების განსჯის, მისი ცენტრები; ვინ მოძღვრად დაუდგა ხალხის წინამძღოლს, მასწავლებლად და დამრიგებლად მისი ქმედებების!. ამ განდეგილობით და დაყუდებით იყო მოწეული ეს ყველა, უზენაესთან პირდაპირი შეხმიანებით: უფრო ხანგრძლივი მოცალეობით, რომლის ნაყოფი ცხოვრებაში გადავიდა და განსხეულდა, მოვლენათა განვითარების თავისი რიგით და წყობილებით...

გარნა იყო აქ კიდევ ერთი გზა ზენარის მიწვდომის და მისი შესმენის, თავისთავად რომ ნივთდებოდა და ხორციელდებოდა (თავს თუ გაართმევდი), თავიდან ძნელად გასარჩევი და გამოსაკვეთი: თვითონ ცხოვრების მსვლელობის და გარდახდომების მიყოლა და მიდევნება და მათში წაკითხვა და შეცნობა უზენაესის შეგონებების!!. ... ვოვამ გააცხადა და გაასაჩინოა პირველმა (ან ერთ-ერთმა პირველმა) ამ მიდგომის რაობა და სახეობა და შინაარსი, მის ერთობ პატარა, მაგრამ საოცრად სავსე და გამოკვეთილ, არაჩვეულებრივ კინოსცენარში, „ოიდიპოსი“...

ეს ის ნაცნობი ოიდიპოსი იყო, იგივე, ბედისწერით დაღდასმული და განგებით განსაზღვრული ცხოვრების კვალით, ჩვილი ბავშვობით დაწყებული და ბედისწერის ზეობით დასრულებული, როცა მთელი ამ ამბის ახლიდან გავლა და გახსნა მოუხდა თებეს კრებულთან ერთად, მის შეკუმშულ და მოკავებულ, მოკუმელ არეში, ყოველი საკვანძო ხდომილების გამოკვეთით და გაცხადებით და მათი რაობის და შინაარსის ნათელყოფით და დასკვნების ცხადყოფით!. და ეს ყველაფერი წარმოადგინა ვოვამ, თავიდან ბოლომდე, სულ ნაკვეთ-ნაკვეთ და მისხალ-მისხალ, მიყოლებით და თანმიმდევრობით, არაფრის გამოტოვებით და არას მიმატებით, გარნა შორისდებულების და ოხვრა-გოდების და შეგონებების გამოტოვებით, უბრალოდ მშრალი აღწერით ყოველი მათგანის და მთელი ამ ამბის, განყენებულადაც კი, როგორღაც, რაღაცნაირად, რაც უფრო მძიმეს ხდიდა, განუზომლად, ამ თავგადასავალს, ერთმანეთს მიწყობილი მოვლენების ძეწკვით და ძაფებით, განგებით რომ შეიკრა ერთ ხაზად და ზარად თუ ოიდიპისის სამშვინველის გადმოყოლილი თანანადებებით, სად ბავშვის გაჩენაც იყო და გადარჩენაც, ბედის გაღიმებაც და სულის შემძვრელი უწყებაც, არსაიდან მოსულ ფათერაკთან შეჯახებაც და მასზე გაცდენაც, მომდევი სიქველეც და აღზევებაც, სიხარულიც და დავანებაც, ბედის დაწყევლაც (ერთბაშად, უეცრად, დაუნდობლად) და არაფერი!!. ... და ამის აღწერა, მშრალი და უხმო, უხმაურო, შეუფუთავი, გეუბნებოდა დარწმუნებით და დაჯერებით, რომ ეს ნამდვილია და მართლა მოხდა, რომ ესეც ხდება (ისევე, როგორც ყველა სხვა), წუთისოფელში!.. ჟრუანტელი დაგივლის უნებურად, შიშის სუსხი, ულმობელი...

და ვოვაც მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო უშუალოდ ამ ამბავში, როცა მწყემსი და ოიდიპოსი (მწყემსს და ყავარჯენს დაყრდნობილი და დანდობილი) თებედან წავიდნენ და გზას გაუყვნენ უსასრულობაში, როცა ოიდიპოსმა სამყარო იგზნო, მისი უთვალავი მკვიდრით და მოსახლით და ლაპარაკი დაიწყო თავის მეგზურთან, გაოცებულმა ამ მრავალხმობით და სახეობით!.. როგორ მიღმა რჩებოდა თურმე ეს ყველაფერი, ცხოვრების ხმაურით და სიახლოვით დახშობილი და დადუმებული, გაუქმებული.. ყველას ხმა ესმოდა, ყველაფრის – ირგვლივ, მათი

ბგეროვნება, და ყველას გზნობდა და არჩევდა და აღიქვამდა მისი თავისუფალი, მგრძნობიარე სამშვინველი.. და იქვე ნათელიც კრთებოდა ხოლმე, კვალი ზენარი ბინადრების და ოიდიპოსსაც ახსენდებოდა გზადაგზა რაღაც სიტყვები, ნაკვესები, ვინძლო უზენაესის მიერ თქმული ოდესღაც ადამიანისთვის!..

ეს მოცალეობა იყო უკვე, სრული და სავსე, უშუალო ჭვრეტა წუთისოფლის, მისი სახმილების, სამყაროს ხვიების, უფლის ქმნილების და მისი ნაღვაწის, გაუთავებელი და დაუსრულებელი!. – ვიდრე პირში სული ედგმებოდა ოიდიპოსს და არ ამოხდებოდა საბოლოოდ, სოფლიდან განდგომილს.....

– და არაჩვეულებრივი იყო, პალიკო, გასაოცარი, ვოვას მყისიერი გადართვა ამ მშრალი თხრობიდან სრულ ჩართულობაზე ოიდიპოსის ამბის ბოლო ნაკვეთში: მას მიერთება და მასთან ყოფნა, გვერდით მიყოლა მის ბოლო ჟამში: უხმოდ, უჩუმრად, უშუალოდ, სულ სხვა გზა-კვალის თელვაში!. და მასთან ერთად გადათვლა, პალიკო, ცით ვარსკვლავების და პლანეტების, თვალის მიდევნება ცთომილთ ხომლების კიაფის და თანავარსკვლავედების, გაკვირვება ნისლეულების ფერადოვნებით და კუდიანი ვარსკვლავების გაწოწილი სხეულოვნებით, მიყურადება შორისების, სივრცის მონოტონური, გრძელი შუილის და შავი ხვრელების შემზარავი ამოოხრების – დანახვა ყველასი, რაც ხდება სოფელში, საწუთროში, და თავის პოვნა ამ სამყაროში!..

– აქ მახვილი ცხოვრებაზე კეთდებოდა, პალიკო, სწორედ – მის გავლაზე და გარდავლაზე თავიდან ბოლომდე, რომლის შემდეგაც (ანთუ გზადაგზა) თანანადებების ტვირთისგან თავისუფლდება ადამიანის სამშვინველი და მსუბუქდება (იცვლება მაინც), ჯერით და რიგით: იხსნება, მყისად თუ თანდათანობით, სამყაროს სამზერად და მის საჭვრეტად და აღსაქმნელად მისი ნიშნების, მისი სიტყვების...

– და ასე იყო, პალიკო, ყოველთვის: ყოველთვის იძლეოდა და იძლევა ცხოვრება შესაძლებლობას და საშუალებას – სხვა პირად იქცე მისი გავლის კვალად, უფრო სავსედ, სრულად და მთელად, უფრო გარკვეულად წუთისოფელში (ვიდრე იყავი, როცა მოხვედი...), რომ შენს სამშვინველს აღარ მოუწიოს გააფთრებული ჭიდილი, ბრძოლა სხვა სამშვინველებთან ახალი დაბადებისთვის და გაჩენისთვის.. იძლევა შესაძლებლობას ამ ცხოვრებაშივე დაიბადო, პალიკო, გაჩნდე მეორედ (როგორც შეგვაგონებს ამას იესო), რომ გაიკვლიო გზა სასუფევლის!..

– ოიდიპოსის გზა აქ უკიდურესია, პალიკო, მეტად მტკივნეული და ძნელად გასავლელი, გარნა მასაც თავისუფლებამდე მიჰყავხარ ბოლოს: თუ გაიარე და გაუძელი!. და ეს გამოკვეთა სწორედ ვოვამაც, ასე გამოწვლილვით და გამოკვეთით და დარწმუნებით, ხაზი გაუსვა, რომ ცხოვრება შესაძლებლობაა ბედის გალევის და კვალზე დადგომის!. მის იქით გასვლის და სხვა მხარეს გადასვლის...

– რომ ცხოვრება მუდამ მეტყველია, პალიკო, თუ მისი ჭვრეტა და შესმენა შეგიძლია ან მისი ტექსტის კითხვა თუ იცი, მეტადრე ჩვენს დროს, როცა ყველაფერი ღიად ითქმება და თვალწინ იშლება და აღარაფერია უკვე დაფარული ან დამალული!. – როცა ცხოვრება ზუსტად გეუბნება, სრულად, გარკვევით, თუ შენ სადა ხარ და რა დრო არის დღეს ჩვენს მიწაზე, და თუ რა ხდება ეხლა სოფელში: რატომ და როგორ, ვისთვის და რისთვის!..

– ის არ შეამჩნიეს, პალიკო, ვოვას ეს მახვილი ცხოვრებაზე, მის მნიშვნელობაზე, ისე გაატარეს, ვითომ არაფერი; ვინძლო არ ეამათ მისი რაობა და შინაარსი და არ ისურვეს საკუთარი დამოკიდებულების გამჟღავნება ამ სიმართლისთვის.....

ადრეულ დროშივე გაჩნდა უფრო ბუნებითი და ბუნებრივი სახეობა მოცალეობის, ადამიანის მიწათმოქმედებაზე და ცხოველების მოშინაურებაზე გადასვლამ რომ მოიტანა, რომელსაც მომთაბარეობიდან ადამიანების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა და მათი დასახლებების აღმოცენება მოჰყვებოდა თან.. „პირველ სასოფლო-სამეურნეო რევოლუციას“ (იგივე, „პირველ ნეოლითურ რევოლუციას“) უწოდებენ ამ პროცესს, რომელიც VIII-VII ათასწლეულებში მიმდინარეობდა (ძველი წელთაღრიცხვით) და ძველი წელთაღრიცხვის VI–IV ათასწლეულებში მიიღო განვითარებული სახე შესაბამის რეგიონებში... ამავე პერიოდში დაიწყო ვაზის მოშენება და გახარებაც და ყურძნის დაწურვა და ღვინის დაყენება მისი ნაჟურიდან, რასაც ჩვენამდე მოღწეული 8000-წლოვანი ქვევრიც ადასტურებს, რომელშიც ღვინის ნალექიც კი იყო შერჩენილი, ჯერ კიდევ, ძირში..

ეს კი ნიშნავს, რომ მარანიც უნდა ყოფილიყო უკვე იქ (როგორც დღესაც არის საქართველოში), ღვინით სავსე ქვევრით (თუ ქვევრებით), შუაცეცხლი, ტაბლა, ჯორკოები, მას შემომსხდარი მოყვასები, ნათესავები, დაბინავებული ჭირნახული და სტუმარიც თუ შემოესწრებოდა მათ ამ შეკრებას (ღვთით ბოძებული), სადღეგრძელოსაც იტყოდა კაცი!. და აქ უთუოდ იტრიალებდა იმ პირველი მოცალეობის თხელი ღრუბელიც, სათნო და თბილი, ესოდენ ღირებული და ფასეული გამყინვარება გამოვლილი (თხუთმეტი ათასი წლის წინ რომ დასრულდა ბოლოს) და ახალი ცხოვრების კვალზე დამდგარი ადამიანებისთვის.. აქ მადლსაც უძღვნიდი ღვთიურ ძალას, უშურველად და დაუნანებლად, ეს საშინელი დროება რომ გამოგატარა (ათასწლეულები), გაგაძლებინა და გადაგარჩინა და ფონსაც გაგიყვანა აწმყოს მოწეული!..

ვინძლო აქავ იწყებოდა პირველი შეგრძნება ზენარის მადლის და შემწეობის, ამ ცხოვრებას მოწყურებული ადამიანებისთვის: მასთან სიახლოვის და შემხებლობის, რაღაც უშუალო და პირდაპირი ურთიერთობის.. ალბათ ასევე დაიწყო კულტურის ქმნა და ჩამოყალიბებაც, ანუ „მოწყობა ცხოვრებისათვის“ (უფრო სხვა სიტყვებით), და ეს არ ეხებოდა მხოლოდ „გამორჩეულებს“, „განსაკუთრებულებს“, ის ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის, ყველა მიწათმოქმედისთვის და მათი დასახლებებისთვის: გათავისება კულტურის, ანუ სათანადოდ მოწყობა საკუთარი ცხოვრების!. ამგვარად აღმოცნებულ, აშენებულ კულტურას თავისი წესწყობილება შემოჰქონდა ადამიანეთში: მათ ქცევაში, მოქმედებაში, ურთიერთობებში; ალაგებდა ადამიანთა ყოფას, თავის წილ ადგილს უჩენდა ყველას და ყველაფერს, წესი და რიგი შემოჰქონდა მათ ცხოვრებაში.. ...

როგორღაც უბრალოდ ჩანდა ამ სახის „მოცალეობა“, არაფერი არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული, მისტიური, გარდა თვითონ ამ უცნაური ჩვეულებრივობისა ზენართან მიმართებაში და უთიერთობაში, ასე თავისთავადი რომ იყო

და ბუნებრივი, ასე ცინცხალი, მეტადრე სტუმარიც თუ გეწვეოდა და ერთად შეიგრძნობდით პირველსურნელს იმ სულ პირველი მოცალეობის და მადლიერების სიტყვებს აღავლენდით ზენით ყველასთვის, აქამდე მოსვლისთვის და მოწევისთვის!!. ალბათ აქედანვე მოდის ის გამოთქმა, „სტუმარი ღვთისაა“, ასე ნაცნობი ჩვენში (და საერთოდ კავკასიაში): ერთად რომ გავაცოცხლოთ პირველი სიტყვები უზენაესის, უჩუმრად თქმული ადამიანისთვის!..

კულტურის ჩარჩოში ჩაჯდა შემდგომ ეს სახეობა მოცალეობის, სხვადასხვაგვარი მოყვანილობით და სხვადასხვა ელფერით, სხვადსხვა ხალხში და სხვადასხვა მხარეში, შესატყვისი რიტუალიზებით, გამორჩეულობა რომ შეუნარჩუნა და არ გათქვიფა ყოველდღიურობაში, სხვა ფენომენებში, შესაძლებელი გახადა ინდივიდუალური სახე მიეღო მოცალეობას ყოველ თემში და ყოველ გვარში, ყოველ ოჯახში, მცირეოდენი სახეცვლილებებით: მათი შეთვისებით და გათავისებით.. გზად ის კარგავდა, როგორღაც, „არაჩვეულებრივობას“, გარნა მკვიდრი ნაწილი ხდებოდა აღმოცენებული კულტურების...

– სწორედ ის იყო, პალიკო, მთავარი თავისებურება და ღირებულება ამ სახის მოცალეობის, რომ ის: თავში იდგა ბინადრობაზე გადასული ადამიანის კულტურის ქმნაში და ჩამოყალიბებაში, სად დაიმკვიდრა კიდეც თავისი ადგილი შემდგომ, როგორც მისმა ერთმა ფუძეელემენტმა (სხვა რამეთ შორის); და ადამიანების კუთვნილება გახდა, პალიკო, ჩვეულებრივების, უბრალოების, არა მხოლოდ გამორჩეულების – კულტურის გაშლა-გაფართოებასთან ერთად და მისი განვითარების თანად და მის წილ...

– მას არ დაუკარგავს თავისი მისტიური განზომილება ამ გზაზე, პალიკო, რეცა ამაღლება ერთგვარი, ზენართან შეხმიანებასავით!. მოცალეობაში კვლავაც რჩებოდა რაღაც საკრალურობა, გადმოყოლილი, რაღაც დაფარული და მიუწვდომელი და მუდამ საწადელი, გარნა ის უკვე ახლობლურიც გახდა, უცნაურად, ადამიანებისთვის, თანდათანობით, ხელშესახები, რომლის სითბოს და გზნების განცდა ყველას შეეძლო, არ იყო დახშული: ვინც ყურს ათხოვებდა და დაუგდებდა და გულს გაუღებდა მისი ტალღების ამო ლამუნს, ზენით მობერილს...

– ის ერთურთის გაცნობას და დანახვას უწყობდა, პალიკო, ხელს, ერთმანეთთან მისვლას და ერთურთის დანახვას: თავისი „შუაცეცხლით“ და „ყურძნის ნაჟურით“, ტაბლა-ჯორკოებით და მოყვასთ თავშეყრით, „უცხოს“ რომ სტუმრად ნათლავდა და ღვთის ძღვნად აქცევდა მთელი ამ ქმედების დალაგება-დაწყობით და რიტუალიზებით!..

– ეს ხელს უწყობდა ადამიანების ერთმანეთთან შეხვედრას და დაახლოებას, ერთურთის გაგებას და გაგონებას, ურთიერთობას, არა მხოლოდ ნათესავებთან, ახლობლებთან (თავისიანებთან), და მათი სხვადასხვაგვარი ერთობების გაჩენას და შეთვისებას, თავისთავადობის შენარჩუნებით: გვარების, თემების, დასახლებების, ქალაქების – თავისი მიმართებებით და ურთიერთობებით და შეწყობილი მოქმედებებით, გაბევრებით და გაფართოებით..

– აქ უკვე სხვა ცხოვრება ყალიბდება, პალიკო, სხვა თარგზე მოჭრილი და გაშვებული (ნომადურობისგან განსხვავებული): თავისი ადათ-წესებით და შეთან-

ხმებებით, წახნაგებით და კუთხეებით!. და იქვე ცივილიზაციაც იდგამს, პალიკო, ნელინელ ფეხს – ქალაქური, აღმავალი, მყარ ბალავარზე დამდგარი და განვითარებაზე მომართული...

– და დროც ნელინელ ჩქარდება, პალიკო, მეტი და მეტი ხდომილება, ამბავი თავსდება მის თითო ერთეულში და სივრცეც იშლება მასთან ერთად (მას გაკიდებული), ნაკვეთ-ნაკვეთობით, უჯრედებით!. მოცალეობაც შინაურული ხდება როგორღაც, სულ უფრო, ხალხურივით, ხელმისაწვდომობით გათამამებული: ადგილს და ყოფას მორგებული, შეთვისებული და გათავისებული, ღათუ ის არ კარგავს, პალიკო, ამ ვითარებაშიც, ამ რეალობაში არც გემოს და სურნელს, არც მომნუსხველ ხიბლს და მგზნებარებას იმ სულ პირველი მოცალეობის!.. ...

– ეს უკვე სხვა ცხოვრება იყო, პალიკო, სხვა კვალზე დამდგარი: სავსე, აღჭურვილი და შემართული; თავისი წარსულით (განვლილი გზით), აწმყოთი და მომავალით; გამზადებული ჭაპანის გასაწევად და გრძელი და ხანგრძლივი გზის გასავლელად: ცხოვრებისათვის, მისი გარდახდომებით და მიმოქცევებით, აღმა-დაღმებით და კლაკნილებით, ალმაცერობით – თავისი სამკვიდროს გაშლისთვის და განფენისთვის.....

მერე ქრისტე მოვიდა ადამიანეთში, ძე ღმრთისა, იქადაგა და ყველა გვითხრა და გვაუწყა და გაგვიცხადა, თუ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ, სადა ვართ დღეს და ვით ვიცხოვროთ ამა სოფელში; ხაზი გაუსვა, ამასთან ერთად, გარკვევით, რომ ღმერთის „თანა ცხორებაÁ იყო და ცხორებაÁ იგი იყო ნათელი კაცთა“ (ცხოვრება და არა არსებობა, არა “წელლ-being”-ი) და დაუმატა თან დაუნჯებით: „მე ვარ გზაÁ და მე ვარ ჭეშმარიტებაÁ და ცხორებაÁ“!.. ადამიანთან უზენაესის უხმო მიმართავის, ლაპარაკისგან განსხვავებით (პირველი მოცალეობის ჟამს რომ ჰქონდა ადამთან უფალს); წუთისოფელში მოსული ძე ღმრთისა უშუალოდ უბნობდა და საუბრობდა, ურთიერთობდა ადამიანებთან და იყო მათთან, ჭეშმარიტ სიტყვას აძლევდა და უსხნიდა ცხოვრებაშივე, ნაკვეთობით, და „იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად“...

სოფლიდან გასვლის ჟამმაც მოაწია, მერე (თავის დროს), და სერობა ჰქონდა ქრისტეს მის თორმეტივე მოციქულთან ამის გამო, სულ ბოლო („საიდუმლო სერობად“ წოდებული): ამ ამბის საუწყებლად და გასაცხადებლად და გასარჩევად გამართული: მოციქულების მოსამზადებლად ამ გარდახდომისთვის და შემდგომი ყოფნისთვის.. და აიღო იესომ სასმელი, სერობის კვალად, და უთხრა მოციქულებს: „მოიღეთ და განიყავით თავისა თქუენისა“; აიღო პური და გატეხა და მისცა მათ და უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის მოცემული, ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა“; და დაუმატა ასევე: „ესე სასუმელი – ახალი შჯული სისხლისა ჩემისაÁ თქუენთვის დანთხეული“...

ანუ, ეს ყოველი მაცხოვრის ადამიანეთში მოსვლის და ყოფნის სახსენებელი უნდა გამხდარიყო მისი სოფლიდან გასვლის შემდეგ, თვითონ ქრისტეს მიერ დაბარებული და დატოვებული: რეცა ცოცხლად შეხება მის სისხლთან და ხორცთან, მოგებულ შჯულთან (მისგან მოცემული), შეგრძნება მისი ღვთიური არსების,

კვლავ მასთან ერთად ყოფნა, თითქოსდა ცხადლივ, და მასთან მიმართება, ადამიანების, რამეთუ იესოს ნათქვამი ჰქონდა აგრეთვე სხვაგან, რომ „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი სახელისა ჩემთვის შეკრებულ, მუნ ვარ მე შორის მათსა“!!.

ორი მიმართულებით, ორი ხაზით განვითარდა ქრისტეს ნაანდერძევზე ამოსული და აღმოცენებული მოცალეობა შემდგომ: სამონასტრო-ეკლესიური აღსრულებით; და ყოფით-კულტურული განსხეულებით და ცხოველყოფით...

ქრისტიანულ რელიგიაში, მეტადრე აღმოსავლურ მართლმადიდებლობაში, მონასტრის „სატრაპეზო“ (ბერების საკვების ერთობლივი მიღების ადგილი) ამგვარ საკრალურ, მოცალეობის განხორციელების ალაგად იქცა მონასტრების გაჩენასთან ერთად: ის წმინდა ადგილად ითვლება და განიხილება, თითქმის ისევე, როგორც ეკლესია (ზოგიერთ შემთხვევაში)!. ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობაა ეს, რომელიც შეიცავს ტრაპეზობისთვის განსაზღვრულ საერთო დარბაზს და სამლოცველოს, და დამხმარე სათავსოებს, აგრეთვე, მასთან...

თავად „ტრაპეზი“, ანუ მაგიდა (იგივე ტაბლა, ბერძნულად), უსისხლო მსხვერპლშეწირვის ადგილია აქ, საიდანაც ხდება ტრაპეზობის კურთხევა, დალოცვა... საკუთრივ ტრაპეზად მოიაზრება როგორც საკურთხეველი, ისე ეს მაგიდა, სადაც იდუმალად და დაფარულად, მაგრამ უშუალოდ სუფევს უფალი: თავისი სატრაპეზო ღვინით (იესოს „სისხლი“) და პურით, სეფისკვერით (იესოს „ხორცით“)!.. თვითონ „ტრაპეზი“ ოთხკუთხა (ქვის ან ხის) მირონცხებული მაგიდაა, ძვირფასი ქსოვილით მოსილი და აუცილებელი სიწმინდეებით (სახარება, ჯვარი, შვიდსანთლა...) მასზე; აქ ყოველთვის არის ასევე ხატი და ლამპარი... ამგვარ გარემოში ღებულობენ ერთობლივად საკვებს ბერები და ღვთისმსახურები სატრაპეზოში: უფლის სამკვიდროში და საუფლოში, მასთან შეხებაში და მიმართებაში.. აქ სრულად არის რიტუალიზებული მოცალეობა, მისი მჭვრეტელობით და უფალთან ხმობით: უფლის მადლის და მეუფების უშუალო გზნებით და შეგრძნებით!. ამ მიმართებით, სამონასტრო ტრაპეზობა საიდუმლო სერობას მიჰყვება, მთელად: თავისი წყობით და მოსილებით...

განვითარების მეორე, ყოფით-კულტურული მიმართულება აქ თვითონ სუფრაა, ანუ „პურობა“ ქართულად, სადაც პურიც ტყდება და ღვინოც ისმება (როგორც დაიბარა თავად ქრისტემ), ღმერთის სადიდებელს ამბობენ, ოჯახს და ქვეყანას გამარჯვებას და კეთილდღეობას უსურვებენ, წინაპართ მოიგონებენ და პატივს მიაგებენ, გარდაცვლილთა შესანდობარს იტყვიან, ცოცხალთ გაამხნევებენ და აღმასვლას უსურვებენ; ერთურთს დალოცავენ პურობის წევრები და კეთილ საქმეებს და ნაღვაწს შეუქებენ ერთმანეთს – სადღეგრძელოებით: დღეგრძელობას უსურვებენ ყველას და ყველაფერს, რაც ადამიანურია და ღვთივ ბოძებული!. ასეთი არის ნიშატი და შინაარსი და ხასიათი ყველა დალოცვისა სადღეგრძელოთი, ორიოდ სიტყვითაც რომ მოიფარგლო მისი წარმოთქმისას და ოდენ სახის მეტყველებით...

აქ ბჭობენ ღვთიურზე, წუთისოფელზე, ადამიანზე და მის გზა-კვალზე, ერთიმეორეზე და ცხოვრებაზე, დროებაზე და მის ავ-კარგზე: ისევე, როგორც

იესო და მისი მოციქულები ბჭობდნენ და სჯიდნენ ხოლმე მათ სერობებზე... პურობის წესრიგი ბუნებითია, თავისთავადი და ბუნებრივი, ერთდროულად კოსმიური და ადამიანური, და თამადაც მხოლოდ მიჰყვება მის ხაზს, ჩვეულებრივ; უბრალოდ განწყობასა ქმნის შესატყვისს და რიტმს და რიგს წარმართავს სუფრის მსვლელობის და მდინარების – ზენართან შეხმიანების, მოცალეობის... ...

ანუ, პურობა ქეიფი და დროსტარება არ არის და, მით უმეტეს, არ არის ღრეობა!. აქ არ შეიძლება, შეუფერებელია თრობამდე მისვლა („ფეხის არევა“), თავაშვებულობა, რაიმე ქცევა ზღვარგადასული.. ამისთვის არსებობს ნადიმი, წვეულება, საზეიმო სუფრა, ქეიფში მოლხენა; ეს პურობა უფრო მისტერიაა, პურობა-სერობა, გახსენებებით და გამეორებებით (კიდევ და კიდევ) ყოველივე ძვირის და მკვიდრის და ღირებულის!. აქ პირველჯერად ღმერთს ახსენებენ, მის სადიდებელს ამბობენ პირველი სიტყვით და ბოლოს კიდევ ყველაწმინდას ადღეგრძელებენ, მისი მწყალობი კალთა რომ გადმოგვაფაროს ღვთისმშობელმა და ფონს გაგვიყვანოს წუთისოფელში..

ამ პურობაზე სიმღერასაც იტყვიან ხოლმე, მრავალხმიანს, და თუ გალობაც გაურიეს, მათი ხმიანობა ზეშთა ცის სფეროებს მისწვდება, მათ ხმობას შეუწყობს ადამიანთა გულისთქმას და გულისნადებს!.. აქ ცხოვრების უწყვეტობას ამტკიცებენ და მის ხსომებას ყველა ჟამში; ყველას აწმყოში იხსენებენ და „ალავერდით“ გადასცემენ მყობადის კვალში...

მომთაბარეობიდან ბინადრობაზე გადასული ადამიანის გზნებით მოგებულ პირველყოფილ მოცალეობას ეხმიანება ეს, ქრისტეს მიერ შეგონებული და შემოღებული, პურობა-სერობით განსხეულებული მოცალეობა: იკვეთება, როგორღაც, მასთან ერთად.. იქ: შუაცეცხლი, ტაბლა ჯორკოებით და შემომსხდარი მოყვასნი, ნათესავები, სტუმარი (მოწვეული თუ შემოსწრებული) და ღვინო, მადლიანი ვაზის ნაჟური, ყველასი ამათი გამაერთიანებელი; ხოლო აქ: გაშლილი მაგიდა (იგივე „ტაბლა“), პური და ღვინო, ღვთივ კურთხეული, ირგვლივ შემომსხდარი საზოგადოება, ახლობლები და მოწვეულები (მეინახენი), თავში თამადა და წესით და რიგით გაწყობილი სადღეგრძელოები... იქ: ალის ენები (სინათლის ფთილები), თხელი ღრუბელი, ჭვირვალი ნისლივით, მამაზეციერის შეგონებები, მისი სითბო და პირველი სიტყვები!. აქ: გახსენება ყველასი და ყველაფრის, მერმისზე მომართვა და გაცხადება მისი იერის, ერთურთის დანახვა და იქავე იესო, ირგვლივ და მათ შორის მყოფი, მომზირალი... იქ მამა-ღმერთის მადლი და სიცოცხლე, მისით მოგებული, აქ ქრისტეს გამოცხადება და ცხოვრების გზა-კვალი, გაშლილ-განფენილი – რეცა ერთმანეთს მიჰყვებიან, თან ერთად არიან ჟამთასვლის ხვიებში: მამა ღმერთი და ძე ღმრთისა, იესო, სოფლად მოვლენილი.....

– ორი სახე მიიღო ქრისტეს მიერ გზნებულმა მოცალეობამ, პალიკო: „ტრაპეზობა“, და „პურობა-სერობა“.. ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან – აღნაგობით და გვარობით, მიმდინარეობით – გარნა ერთი ფუძე აქვს ორივეს: სერობა!. ის ქრისტეს ნაანდერძევ „პურთან“ და „ღვინოსთან“ ერთად შემოვიდა ადამიანეთში, რეცა ერთგვარი გაგრძელება, პალიკო, იესოსა და მისი მოციქულების

დღითიდღე სერობების, რომლებზეც ქრისტე თვითონ წარმარმართავდა სერობის ხაზს და მსვლელობას და განსაზღვრავდა ბჭობის თემებს და საკითხებს და საგანს განსჯის!..

– „ტრაპეზობა“ ქრისტიანულ მონასტრებში დამკვიდრდა საბოლოოდ, პალიკო, მისთვის სატრაპეზოებია გამოყოფილი, სადაც „უსისხლო მსხვერპლშეწირვის“ რიტუალიც სრულდება და „მამაო ჩვენო“ ლოცვაც აღევლინება ბერებისა და ღვთისმსახურების მიერ საკვების ერთობლივად მიღების წინ, რომელსაც ისინი მდუმარედ იღებენ, უფლის გზნებაში და ჭვრეტაში ჩაღუებულები.. ამგვარი სერობა რიტუალიზებულია, პალიკო, მთლიანად, ერთსა და იმავე საზოგადოებას კრიბავს ყოველთვის (ბერებს და ოფიციალურ ღვთისმსახურებს) და მცირედ იცვლება დრო-ჟამის სვლაში...

– „პურობა-სერობა“ უფრო სხვანაიარია, პალიკო, სხვადასხვაგვარი ხალხი შეიძლება აღმოჩნდეს მასზე ერთი მაგიდის ირგვლივ, მათი ერთად ყოფნა სუფრის წესებით ლაგდება, პურობის სახეობით და შინაარსით...

– აქ სიტყვა ფასობს და ჩინობს, პალიკო, თამადის მიერ თქმული და მის ირგვლივ ბჭობა იმართება, სადღეგრძელოებით, რომლებითაც ერთმანეთს ცნობენ და ხედავენ პურობის წევრები, ერთ ჯგუფად იკრიბებიან როგორღაც უცნაურად, თითქოს წინასწარ იცოდნენო, სად მოდიოდნენ და სიტყვებიც ჰქონდათ მისთვის მომზადებული!.. ამგვარი პურობის მონაწილენი ისე ხვდებიან და მოიკითხავენ ერთმანეთს შემდეგ, როგორც ძველი ნაცნობები, პალიკო, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მხოლოდ ამ სუფრასთან იცნეს ერთმანეთი!!. – ისე მნიშვნელოვანია იქ ნამყოფობა და დროება იქ გატარებული...

– ეს უფრო ახლოა, პალიკო, ქრისტესეულ სერობასთან, ასე უბრალო რომ იყო, ღია და გახსნილი, გარნა იესოს მიერ წარმართული და გამართული და მოწესრიგებული: უბრალოდ მისი იქ ყოფნით დალაგებული!.. ამ „პურობა-სერობაზე“ უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია, რამდენად სავსეა სუფრა ხორაგით, საჭმელ-სასმელით თუ ნუგბარით, მათი დახვავებაც ოდენ ხაზს უსვამს მეორადობას: რადგან აქ მოცალეობაა, პალიკო, მთავარი!!.. ალბათ ამიტომ ეძახდნენ ქართველები სუფრას „პურის ჭამას“ და არა ქეიფს (ანუ ზარზეიმს), ასეთი პურობა სულ ორ-სამ კაცშიც შეიძლება გაიმართოს, მოეწყოს, რამეთუ იესო იქნება იქავე, მათ შორის...

– ეს ქართული წარმონაქმნია, პალიკო, „პურობა-სერობა“, მისი მიმართებით და თამადა-სადღეგრძელოებით!. ის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც გადავიდა მერე, გავრცელდა (არაქრისტიანულშიც), სახეცვლილებებით, მაგრამ საქეიფო-სალხინო სუფრების გამართვისთვის გამოიყენება უფრო, პალიკო, ვიდრე საკრალურობის შეძენისა და შენახვისთვის!.. სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში „ტრაპეზობის“ ყაიდას მისდევენ სუფრაზე: ერთი სადღეგრძელოთი მის დასაწყისში და მერე თავისუფალი ჭამა-სმით, დანაყრებით...

– ქართული პურობა იმ პირველად „სერობას“ ეხმიანება, ებმება როგორღაც, ტაბლა-ჯორკოებით და შუაცეცხლით რომ იყო გაწყობილი და ღრმა მჭვრეტელობით და შინაგანი გზნებით ავსებული; უბრალოდ ქრისტემ მას საგნობრიობა შესძინა, პალიკო: პურის გატეხვით და ღვინის დაყოლებით, დანაბარებით და ნაანდერძევით.....

ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა, ადრეულ ზაფხულს, ივნისის დასაწყისში... აივანზე ვიდექი, პატარა ეზოს მხარეს, შუაღამისკენ, მოაჯირს დაყრდნობილი.. ვარსკვლავცას შევყურებდი, თავს ზემოთ გადაფენილს, ცთომილთა ციაგით ახმიანებულს (იმ დროს ჯერ კიდევ სავსე იყო თბილისის ცა ვარსკვლავებით, გადაჭედილი), ამ ცას გავყევი აქეთ და იქით, ქალაქის თავზე ებგურივით წამომდგარს!. ხან ცალკეულ ნაკვეთებს ვუმზერდი მასში, მათ შემოგარენს, ხან გარს ვუვლიდი მიყოლებით, მერე ერთ მათგანს მივაჩერდი უფრო დიდხანს, დაკვირვებით: მის უკან მღვიმეში ჩახედვა მინდოდა, მრუმედ რომ ჩანდა, ცარიელივით.. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც წერტილები გამოჩნდა მასში, პატარა ბჟუტებივით, ძლივს რომ გაარჩევდი, მერე მათმა სიმრავლემ ზრდა დაიწყო, განში და სიღრმეში (თუ სიმაღლეში) და რაღაც დიდ გროვად შეიკრიბა, სულ უფრო ციცქნა ბჟუტა წერტილების მატებით, სიცარიელის ნამცეცს რომ აღარ ტოვებდნენ თანდათანობით; და იგივე ხდებოდა ყველა მხარეს, სადაც კი თვალს მიაწვდენდი, უცებ რომ ნათელს ხდიდა და გაგებინებდა: რა უამრავი მნათობი ყოფილა მაინც ცაზე, ჩვენს სამყაროში!. ასე მართალი რომ იყო, თურმე, ის ძველი ნათქვამი: „ვინ დათვალოს ... ცაზე ვარსკვლავები“...

უნებს მივყვებოდი ვარსკვლავცის ღუებს და მათ წილ ფიქრებს და წარმოსახვებს: კოსმოსის ბინადრებზე და მათ ყოფაზე, სოფლის წყობაზე და ცხოვრებაზე, ბორბლის ტრიალზე და შემთხვევაზე, და მეყვსეულად განგების წინ შედგომაზე!!. და უცაბედად, ანაზდეულად, შეუმზადებლად, ასე გაშტერებული როცა ვიყურებოდი სადღაც დრო-სივრცის უღრან ხვიებში, მოხდა რამ სრულიად გაუგებარი, გამაოგნებელი და დაუჯერებელი: მაღალი ციდან კოკისპირულად წამოვიდა ოქროსფერი წკირების ხშირი ნაკადი, უხმო თავსხმასავით, მხოლოდ რომ ხედავ და არა ისმის, ათიოდ მეტრში ჩემგან, როგორღაც ირიბად, რამოდენიმე ათეული მეტრის სიგანეში!!. გაშეშებული შევყურებედი ამ ჩამოქცევას ოქროს წკირების, თვალსაც ვერ ვახამხამებდი, ვერ ვინძრეოდი, ვერას ვამბობდი!. მერე ისევე შეწყდა, როგორც წამოვიდა ეს ნაკადი – რეცა ცის ლაშქარი, მიწას ჩამოსული (თუ რამე ცნობა, მით მოტანილი) – უცებ, მყისიერად, ერთ წამში; ათეული წამი თუ გაგრძელდა მისი თქეში მთელად და კვალიც არა დატოვა ამ ამბის.. დღესაც არ ვიცი, ეს რა იყო, ან რას ნიშნავდა, რა უწყება მოჰქონდა ჩემთვის.. მეგობარს მოვუყევი, წესიერ კაცს, მეტად მნიშვნელოვანიაო, მითხრა დაფიქრებით, ცხოვრება გეტყვისო, არ ეძიოო, არ გაეკიდოო, გაგაგებინებსო თავისი გზებით... ...

და მართალი იყო მაშინ ომარიც, ანაკლიაში, ის უცნაური ბავშვი რომ გამოარჩია ყველა სხვას შორის – სხვა ბავშვებივით რომ იქცეოდა, მათთან ერთად დარბოდა და თამაშობდა, მაგრამ სხვაგან იყო ამავდროს ყოველთვის!. თვით მისი პორტრეტის ხატვის სეანსებზეც, მოდიოდა და მიდიოდა, ვითომ არაფერი.. ესევე ზუსტად დაარქვა ამ სურათს ომარმა: „ტალღამ წაიღო“, როგორიც იყო ეს ბავშვი ბუნებით... ვინძლო თავისთავს მიამსგავსა და თავის ცხოვრებას, სავსეს დაუზოგავი და დაუნდობელი შრომით, მუშაობით და მერე ესევე გამეტებული დროსტარებით, ღრეობამდე მისული პურობით და თავის შექცევით, სადაც ყველა მისი მეინახე (კაცი თუ ქალი) ქეიფში და ლხინში იძირებოდა, ის კი სხვაგან იყო ამ დროსაც (მათთან მყოფი), სხვა სანახებში: სამყაროს ჭვრეტდა და ეხმიანებოდა და უფლის სიტყვების გაგონებას ეშურებოდა – მოცალეობდა, თავდავიწყებით.....